საქართველოს ეკლესია

საიუბილეო გამოცემა

ილია მართლიდან მეორეამდე

„საქართველოს მოამბის“
სპეციალური გამოცემა

ილია მართლიდან

წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე)

წიგნი პირველი

ილია მეორემდე

ორ წიგნად

2017

ეძღვნება
წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის)
დაბადების 180
გარდაცვალების 110
და
წმინდანად შერაცხვის 30 წლისთავს

სპეციალური გამოცემა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ტროპარი წმინდისა ილია მართლისა 6

ილია ჭავჭავაზე – ლოცვა (ლექსი) 6
საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინება 7

ქ ა დ ა გ ე ბ ა უწმინდესის და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა
სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში 1987 წელი, 2 აგვისტო (20 ივლისი)
წმინდა ილია მართალი 8
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის
ქ ა დ ა გ ე ბ ა ილიაობის დღესასწაულზე
ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი, 2 აგვისტო, 2006 წელი 10

საპლინგი* ქართველი ერისადმი

გამოცხადება უფლისა ღმერთისა და
მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი (1989 წ.) 12
გამოცხადება წმ. ილია მართლისა (1989 წ.) 12

დაუჯდომელი წმინდისა ილია მართლისა 14

ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია 21

წიწამურამდე
მამული, ენა, სარწმუნოება
ილია პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, წმინდანი

პ ო ე ზ ი ა
ყვარლის მთებს ... 32
მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული ... 33
პოეტი ... 33
ჩემო კალამო ... 33
დაე თუნდ მოვკვდე არ მეშინიან. 33
ბაზალეთის ტბა ... 34
ქართვლის დედას ... 34
პ რ ო ზ ა
მგზავრის წერილები ... 35
პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა
ზოგიერთი რამ ... 44
ერი და ისტორია ... 48
საქართველოს მოამბეზედ ... 49

ილია მართლის სიბრძნის კრიალოსანი ... 56

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ... 64
ილია ჭავჭავაძის თხოვნა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს ... 64
ეპისკოპოსი გაბრიელის პასუხი ილია ჭავჭავაძეს ... 65

ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი
რეზო შატაკიშვილი – ილია ჭავჭავაძე სცენაზე ... 67

პირველი ქართული ბანკი
ილია ჭავჭავაძე – პირველი ქართველი ბანკირი ... 69

წმ. ილია მართლის სამრეკლო ... 77

რედაქტორის გვერდი
მღვდელი ილია (ნუგზარ) ჩიკვაიძე –
ახლა, როგორც არასდროს უნდა მოუხმოთ ილიას ... 84
მერაბ კოსტავა – ილია ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ... 85
ექვთიმე თაყაიშვილი – ილია ჭავჭავაძე – *მოგონება(ამონარიდები)* ... 92
არტურ ლაისტი –
მოგონებები ილია ჭავჭავაძეზე*(წიგნიდან „საქართველოს გული“)* ... 98

მღვდელი ილია (ნუგზარ) ჩიკვაიძე – გოდება ილიაზე (ლექსი) ... 112

წ ი წ ა მ უ რ ი

გოდება ქართველი დედაკაცისა ... 113
აკაკი წერეთელი – სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე ... 114
იაკობ გოგებაშვილი – საარაკო სინამდვილე და საიუბილეო ოცნება ... 115
ვაჟა ფშაველა – ილია ჭავჭავაძის სახსოვრად ... 117
ეპისკოპოსი ლეონიდე –
სიტყვა თქმული ილია ჭავჭავაძის კუბოს შესვენებაზე სიონის ტაძარში ... 118
ნიკო ნიკოლაძე – (* * *) ... 120
იროდიონ ევდოშვილის სიტყვა ... 120

ნიკო ლორთქიფანიძე – წიწამურიდან მთაწმინდამდე 121
გალაკტიონ ტაბიძე – წიწამურში რომ მოჰკლეს ილია 121
ვასილ ბარნოვი –
სიტყვა თქმული თელავის საბოროში ილია ჭავჭავაძის
პირველ პანაშვიდზე ენკენისთვის 2-ს, 1907 წ. 122
კონსტანტინე გამსახურდია – PATER PATRIALE 123
გიორგი ლონიძე – ილიას სურათზე 129
კოლაუ ნადირაძე – წიწამურიდან საგურამომდე 130
ლადო ასათიანი – ილიასადმი 131

საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძის ქვრივის თხოვნა
ტფილისის გენერალ-გუბერნატორისადმი 133
ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა 134

ილია და იოსებ სტალინი
დაუვიწყარი ამბავი 139
ილია და სოსელო 141

მეუფე თადეოზი – ლელთ ღუნიას სიმღერა 144
მუხრან მაჭავარიანი – მარად და ყველგან ჩვენი ილია 144
ობოლა (კოსტა) გაღმელი – საინგილო და ილია ჭავჭავაძე 145
თამაზ ჭილაძე – წინასწარმეტყველი 147
სიმონ ჯაფარიძე – „განდეგილი“ და ბეთლემის ლეგენდა 165
ილია,,,განდეგილი“ და უორდროპები 167

დედაენის სახლი და ილია ჭავჭავაძე

ილიაობა თელავში 169
ილია – სალოცავი ხატი ქართველისა 169

ნიკოლოზ გოგოჭური – ქართველი ერის უკვდავი მოძღვარი 171
ჯანსუღ ღვინჯილია – საქართველო არ წავიდა ილია ჭავჭავაძის გზით! 176
გიორგი გოცირიძე – ილია ჭავჭავაძე და მსოფლიო 179
ტარიელ ჭანტურია – ხარკი 180
თამაზ ხმალაძე – დროის მკვლელები *(ფრაგმენტი რომანიდან)* 181
იმედა ჯახუა – ბებერი ლომი 182
ჯანსუღ ჩარკვიანი – პოეტი 182
ეთერ ანაშვილი – მწუხარე საქართველოს გოდება 183
ვენერა ნატროშვილი – კვლავ მამულისთვის ჯვარცმული დადის 183
ფარნაოზ რაინაული – ილიას აჩრდილი 184
სიმონ ბალახაძე – სანამ... 184
ლალი ბედუკაძე – ილია ჭავჭავაძის საფლავთან 184
პაატა ნაცვლიშვილი – ერი სკაცი 185
ილია (ნუგზარ) ჩიკვაიძე – ციკლიდან ,,ილია მართალი“ 190

ილია მართალი (ჭავჭავაძე) – ჩემო კარგო ქვეყანავ!.. 191

ქარითველ წმიდანთა დასი

ტროპარი წმინდისა ილია მართლისა

ღუაწლითა და სისხლითა შენითა უდაბნოჲ იგი სოფლისაჲ მოიმუშაკე და გონებითა ღმრთივბრწყინვალითა დაცემულნი კუალად აღგუადგინენ, ჭეშმარიტებაჲ სთესე და გჳრგჳნი უკვდავებისაჲ მოიპოვე, სიმართლისათვის დაითმინე და ზესთასოფელი დიდებისაჲ დაიმკვიდრე.

ძეო, ქართველთა ერისაო, ერისათვის წამებულო წმინდაო ილია მართალო, ყოვლადდიდებულო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა ძმათა შენთათჳს, შეწყალებად სულთა ჩენთათჳს.

უწმინდესი და უნეტარესი,
სრულიად საქართველოს
კათოლოკოს-პატრიარქი
ილია II

ლ ო ც ვ ა

მამაო, ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ შენ წინა:
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა, ამით შეურაცხ-ვჰყო მე ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, – არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“

ილია ჭავჭავაძე

1858, 17 ივლისი. ტიარლევო.

საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინება

მ ი ს ი
უწმიდესობისა და უნეტარესობის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ილია II-ის თავმჯდომარეობით
ა.წ. 20 ივლისს შედგა საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომა,
რომელმაც ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით
განიხილა მისი ღვაწლი ჩვენი ერისა და ეკლესიის წინაშე.

წმინდა სინოდმა აღნიშნა, რომ ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის მიერ
დიდი ხანია მიჩნეულია წმინდანად და მეოხად ჩვენდა წინაშე ღვთისა.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმინდისათა

წმინდა სინოდმა განაჩინა:

ერისა და ეკლესიის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისათვის
ილია ჭავჭავაძე შერაცხილ იქნას წმინდანად და ეწოდოს მას **ილია მართალი**.
მისი ხსენების დღედ დადგინდეს 20 ივლისი (2 აგვისტო);
დაიწეროს წმინდანისათვის საჭირო ლოცვები;
შეიქმნას შარავანდედით მოსილი **წმ. ილიას ხატი**.

წმინდა სინოდის თავჯდომარე

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

წმინდა სინოდის წევრნი:

ალავედელი მიტროპოლიტი გრიგოლი (ცერცვაძე)
ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი (ჭკადუა)
ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე)
აგარა-წალკის მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამიშვილი)
ბოდბელი მთავარეპისკოპოსი ათანასე (ჩახვაშვილი)
ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე)
მარგველი ეპისკოპოსი ქრისტეფორე (წამალაიძე)
ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე)
ჭყონდიდელი ეპისკოპოსი ვახტანგი (ახვლედიანი)
წილკნელი ეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი)
ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი კალისტრატე (მარგალიტაშვილი)

ქ ა დ ა გ ე ბ ა

უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა და სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში

1987 წელი, 2 აგვისტო (20 ივლისი)

წმინდა ილია მართალი

„და აღვიმაღლე რჩეული ერისაგან ჩემისა“
(ფს. 88. 19.)

„წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა
მამულისათვის თავის დადება“
(„აჩრდილი“)

სახელისა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!

ჩვენთან არს ღმერთი!

დიდი დღეა დღეს. დღევანდელ დღეს წმინდა ეკლესია ზეიმობს ილიაობას, ილია წინასწარმეტყველის დღეს, რომელიც თავისი დიდი რწმენით, თავდადებით ისრაელში იცავდა ჭეშმარიტ სარწმუნოებას.ქართველმა ერმა მრავალი ტაძარი ააშენა ილია წინასწარმეტყველის სახელზე, მის სახელს ატრებდა ჩვენი დიდი წინაპარი—ილია ჭავჭავაძე. ყოველ წელიწადს იგი დღესასწულობდა წმინდა ილია წინასწარმეტყველის დღეს, ილიაობას.

ამიერიდან კი ჩვენ, ქართველები, წმინდა ილია წინასწარმეტყველის ლოცვა-კურთხევით, მუდამ ვიზეიმებთ ჩვენი ახალი წმინდანის, დიდი ქართველი მწერლის, საქართველოს უგვირგვინო მეფის, მისთვის წამებულისა და მისი გადამრჩენლის, ილია ჭავჭავაძის ილია მართლის დღეს.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა იწყება საქართველოსთვის საბედისწერო ჟამს, როცა ჩვენმა სამშობლომ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, როცა საქართველოს ეკლესიას მოჰკვეთეს თავი და დაუმორჩილეს რუსეთის ეკლესიის სინოდს, როცა ერის სული იყო ჩამკვდარი, სიწმინდე შელახული ბეთლემი უკაცური.

ამ დროს ღვთის განგებით მოგვევლინა ილია, როგორც წინასწარმეტყველი და მქადაგებელი, როგორც ხმა მღაღადებელი უდაბნოსა შინა“, სიტყვა მართალი და ჭეშმარიტი, რათა ბიბლიურ მოსესავით აეღო მოწამებრივი ტვირთი ერის წინამძღვრისა.

მისი გენია, მისი საოცარი ნებისყოფა მირონცხებული და შინაგანად მომზადებული აღმოჩნდა ამ ისტორიული მისიისათვის.

თითქოსდა ილიაზე იერემია წინასწარმეტყველისადმი თქმული უფლის სიტყვები: „ვიდრე გამოხვიდოდი შენ საშოდან, მე განგწმინდე შენ, წინასწარმეტყველად ხალხთა დაგადგინე შენ“ (იერემია, 1,4-5).

მან იტვირთა ჯვარი სრულიად საქართველოისა და შეუდგა გოლგოთის აღმართს.

მან გაბედულად იღიმაღლა ხმა ადამიანთა უფლებების დასაცავად: დაჰგმო სიკვდილით დასჯა, როგორც უმკაცრესი ზომა სამაგიეროს მიზღვისა, როგორც უკიდურესად მიწიერი და არაქრისტიანული ქმედება.

ილიამ იცოდა, დამოუკიდებლობისათვის ჩვენს ბრძოლასა და ეროვნულობის შენარჩუნებაში, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანულ რწმენას, ამიტომაც სათავეში ჩაუდგა საქართველოს ეკლესიისთვის უკანონოდ მიტაცებული ავტოკეფალიის აღდგენის საქმეს.

სწამდა, იმ ქვეყნისა, რომელიც ჯვარს ეცვა ჯვარცმული მაცხოვრისთვის, სწამდა იმ ხალხისა რომელმაც თავის მკერდზე დაუდგა ქრისტიანობას საყდარი, ქვად საკუთარი ძვლები იხმარა, კირად კი-სისხლი, რომელსაც ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ შემუსრავენ.

სწამდა, რომ მისი თანამედროვე საქართველოს გადარჩენა მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებას შეეძლო, რომ ესწავლა ხალხს გარჩევა კეთილისა და ბოროტისა, ცოდვისა და მადლისა, ჩასწვდომოდა ცხოვრების არსს და მიზანს, პიროვნების დანიშნულებას, ეგრძნო ჭეშმარიტი თავისუფლება და ბედნიერება. . . იგი

სულშეძრული წერდა:

„სად არის იგი მღაღადებელი,
ქვეყნის ხსნისათვის,- ჭეშმარიტება?
სად არის იგი, ბიწის მდევნელი,
ჯვარცმული ღმერთის მაღალი მცნება?“

ილიას ცხოვრების ეტლმა, ილია წინასწარმეტყველის ეტლის მსგავსად, ცეცხლის კვესებით გადაუარა საქართველოს ცას და წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენში.

გარდაცვალება არ ითქმის მის სიკვდილს. ეს იყო ჯვარცმა და მსწრფლამაღლება.ეს იყო გარდასახვა, თითოეულ ქართველში განბნევა და მასში ერის სიყვარულად აღდგომა.

დიდებულად ბრძანა დიდმა აკაკიმ: თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ შენც მასთან ერთად უკვდავი იქნებიო.

ზეციური საქართველოს მკვიდრი, მიწიერი საქართველოს თანამდევი ილიას ნათელი, უკვდავი სული ჭეშმარიტად დღესაც თავს დაგვტრიალებს.

გვსურს ვაუწყოთ მრევლს, ჩვენს მორწმუნე ხალხს, საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა აღასრულა თავისი ვალი და ილია ჭავჭავაძე-ილია მართალი წმინდანად შერაცხა.

ამიერიდან მისი სული იკიაფებს იმ სათაყვანებელ თანავარსკვლავედში, გზას რომ უნათებს მრავალტანჯულ, მაგრამ სულიერად გაუტეხელ, ყოველგვარი ბოროტების წინაშე ქედუხრელ ქართველ ერს.

ეს არ არის უბრალო განჩინება, ეს არის დიდი განგება ღვთისა... წმინდა სამებამ-მამამ, ძემ და სულიწმინდამ გამოხატა თავისი ნება და გამოაჩინა ახალი ბრწყინვალე წმინდანი, იგი იქნება მფარველი ჩვენი ერისა. ეს წირვა არის მისი პირველი დღესასწაული. ქართველი ერი ზეიმობს ილია მართლის, როგორც წმინდანის დღეს. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენთან არს ღმერთი.

უნდა ვიცოდეთ:

დიდი ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვა არ არის მხოლოდ აღიარება მისი დამსახურებისა(დამსახურება კი მისი ერისა და ეკლესიის წინაშე მეტად დიდია). ეს არის უფრო მეტი. როცა ხდება ამა თუ იმ პიროვნების წმინდანად კანონიზირება, ღვთის ლოცვა-კურთხევით, მას ეძლევა განსაკუთრებული მადლი, განსაკუთრებული ძალა ერის შეწევნისა. ამიერიდან წმინდა ილია ჭავჭავაძე,-წმინდა ილია მართალი არის შუამდგომელი წინაშე ღვთისა ჩვენი ერისა და ეკლესიისათვის.

რით დაიმსახურა წმინდა ილია მართალმა ეს პატივი? რა თქმა უნდა, თავისი ღვაწლით და მოწამებრივი აღსასრულით.

წმინდანად აღიარების შემდეგ ილია არის არა მარტო პოეტი, მწერალი,საზოგადო მოღვაწე, არამედ გამორჩეული მოძღვარი, მქადაგებელი სიკეთისა და სიმართლისა, რწმენისა. წმინდანად აღიარების შემდეგ იგი არის დიდი სულიერი მფარველი ჩვენი, დამხმარე, შუამდგომელი წინაშე ღვთისა. იგი ამიერიდან არის მფარველი ჩვენი კულტურისა, ჩვენი მწერლობის, ჩვენი ახალგაზრდობის, ჩვენი მომავალი თაობის.

მე მინდა მოგილოცოთ ეს ბედნიერი დღე, მოგილოცოთ თქვენ და თქვენთან ერთად მივულოცო სრულიად საქართველოს.

ადამიანი და ერი რომ იყოს ძლიერი სულიერად და ფიზიკურად, უნდა იყოს ღვთის მოშიში, უნდა იყოს ღვთისადმი მლოცველი. ჩვენ დღეს წმინდა სამების განგებით და, ასევე, დედა ღვთისმშობლის ლოცვითა და მფარველობით, რომლის წილხვედრიცაა ჩვენი ერი, შეგვემატა დიდი ძალა.

წმინდა ილია წინასწარმეტყველის ლოცვით, წმინდა ილია მართლის ლოცვით ღვთისმშობელმა დედამ დაიფაროს თავისი დედობრივი კალთით სრულიად საქართველო.

შემთხვევითი არ არის, რომ ილიას ეწოდა მართალი. უზენაესი სიმართლე საღვთო წერილის მიხედვით არის ღმერთი, და სიმართლის მქადაგებელი უპირველეს ყოვ-ლისა, თვითონ უნდა ცხოვრობდეს ამ სიმართლით. წმინდა ილია მართალი სწორედ ამ სიმართლით ცხოვრობდა და სიმართლეს ქადაგებდა.

სიმართლე არ შეიძლება დაეტიოს ერთ ადამიანში, ისევე როგორც სიწმინდე და მადლი.

ისიც იღვრება, ეფინება ხალხს. ილია მართალი დაადგა მაცხოვრის გზას. ეს კი არის გზა გოლგოთისა, რომელიც თუმცა მძიმეა, მაგრამ აღდგომითა და ამაღლებით მთავრდება.

წიწამური ჩვენი წმინდა გოლგოთაა, წმინდა სამსხვერპლოა. სამსხვერპლოა ყველა მათი, ვინც იცავს ჭეშმარიტებას, სიმართლეს.

შევთხოვ ღმერთს, წმინდა ილია მართლის ლოცვით, უფრო მეტად განამტკიცოს ჩვენი ერი ჭეშმარიტ სარწმუნოებაში,სიყვარულში, სიკეთეში.

შევთხოვ წმინდა ილია მართალს, იყოს აწ და მარადის გამორჩეულად მფარველი ჩვენი ახალგაზრდობისა, ჩვენი სტუდენტობისა. ამიერიან ჩვენი ახალგაზრდობა მიმართავს მას განსაკუთრებული ლოცვით, თხოვნით, ვედრებით და ღვთის მადლით, ასრულდება მათი ნატვრა. . .

ორივე ილიას მადლი გეწეოდეთ, ღმერთმა დალოცოს ჩვენი დიდი წინაპარი, წმინდა ილია მართალი. ამიერიდან ის, როგორც ბრწყინვალე ვარსკვლავი ჩვენს წმინდათა შორის ბრძანდება.

მისი შეწევნა არ მოგაკლოთ ღმერთმა თქვენ და სრულიად საქართველოს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის

ქ ა დ ა გ ე ბ ა

ილიობის დღესასწაულზე

ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი,
2 აგვისტო, 2006 წელი



ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ძმანო და დანო, ჩვენო სასულიერო შვილებო!

ჩვენთან არს ღმერთი!

დღეს არის ორი დიდი წმინდანის — წმინდა წინასწარმეტყველის ელია თეზბიტელისა და ჩვენი ეროვნული წმინდანის — ილია მართლის ხსენების დღე. განსაკუთრებულია მათი ღვაწლი კაცობრიობისა და ჩვენი ერის წინაშე. შემთხვევით არაფერი ხდება. შემთხვევითი არ არის, რომ ამ მთას, სადაც ჩვენ ახლა ვიმყოფებით, წმინდა ელიას მთა ეწოდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მთაზე წმინდა ელია წინასწარმეტყველის მიერ აღსრულებული დიდი სასწაულები უნახავს ქართველ ერს. არც ის არის შემთხვევითი, რომ ყოვლადწმინდა სამების წმინდა ტაძარი სწორედ წმინდა ელიას მთაზე აშენდა.

რუსი პოეტი ევგენი ევტუშენკო თავის პოეზიაში ეხება ერთ ძალიან მნიშვნელოვან საკითხს — შემთხვევითობასა და ბედს. ის ამბობს, რომ შემთხვევითობას აქვს კიდევ მეორე სახელი — ბედი. შემთხვევითი ნამდვილად არაფერია. ყველაფერი ღვთის ლოცვა-კურთხევითა და ღვთის უზენაესი განგებით ხდება. ბედი ადამიანისა, ბედი ერისა შედგება ორი ძალის — ღვთისა და ადამიანის ნების შეერთებისგან. მათი შეერთების შედეგს უწოდებენ სინერგიას. ბედნიერია ის ადამიანი, რომლის ცხოვრებაშიც ხდება შეერთება ღვთისა და ადამიანის ნებისა და ძალისხმევისა, ანუ სინერგია.

ჩემმა ბავშვობამ წმინდა ელია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარში განვლო. მახსენდება, როცა დედ-მამას ბავშვები ეკლესიაში მივყავდით, - ვცდილობდი, რომ ამბიონთან ახლოს დავმდგარიყავი, იმისათვის, რომ როდესაც დიაკონი კვერექსის სათქმელად გამოდიოდა, ხელით ან თავით შევხებოდი მის სამოსელს. რა იყო ეს? ბავშვური სურვილი თუ ღვთის მადლის გარდამოსვლის განცდა, - ეს თავადაც არ მესმოდა. თუმცა პატარა ვიყავი, კარგად მახსოვს, რომ როდესაც სასულიერო პირების შესამოსელს შევეხებოდი, საოცრად ბედნიერი ვიყავი და სახლში დიდი მადლი მიმქონდა.

მახსენდება ის დღე, როცა მიტროპოლიტმა (მაშინ ჯერ კიდევ ეპისკოპოსმა) ზინობმა უწმინდესი და უნეტარესი მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით, ბერად აღმკვეცა წმინდა ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში. მაშინ ქართველ ხალხს სულიერად ეძინა. აღკვეცა ლოცვის შემდეგ აღსრულდა და არცერთი ქართველი მას არ დასწრებია. უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის ღვთისმსახურებას ქართულ ტაძარში სულ 20-30-40 ადამიანი ესწრებოდა. ვინც ხანდაზმულია და ვინც იმ დროს შესწრებია, ალბათ კარგად ახსოვს ეს პერიოდი. მიუხედავად ამისა, მადლი ღვთისა იყო საქართველოსა და ქართველ ხალხზე. არ შემიძლია ვთქვა, რომ თქვენ, ეკლესიაში ჩემი ქადაგებით ან ჩემი მოღვაწეობით ხართ მოსული. თქვენ ყველანი ტაძარში ღვთის მადლმა, ღვთის ძალამ მოგიყვანათ. თითქოს დიდი ძილის შემდეგ გაიღვიძა ქართველმა ერმა!

ერთხელ მკითხეს, როგორ დაახასიათებდით საბჭოთა პერიოდსა და შემდეგ, პოსტსაბჭოურ ხანაში ეკლესიის მდგომარეობასო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მიიღო დამოუკიდებლობა და თავისუფლება, ეკლესია მაინც რთულ მდგომარეობაში იყო და ეს მდგომარეობა მაშინ შემდეგნაირად დავახასიათე, მე ვთქვი: ეს იყო მზიანი ღამე. და მართლაც, ეს იყო ღამე, მაგრამ მზე მაინც ანათებდა, უფალი არ გვტოვებდა; საოცარია, მაგრამ ხშირად,. როდესაც შეხვედრები მქონდა მთავრობის წარმომადგენლებთან, როცა ისინი ჩემთან რაღაც საქმეებზე, ოფიციალურ საკითხებზე სასაუბროდ მოდიოდნენ, წასვლისას ჩუმად მეტყოდნენ ხოლმე: გულში მეც მწამსო. მათ ეს ღიად არ შეეძლოთ განეცხადებინათ და ჩუმად მეუბნებოდნენ,. და აი, მადლობა ღმერთს, რომ ღვთის ძალითა და ლოცვა-კურთხევით ქართველმა იწამა არა მარტო გულში, არამედ ღიად, ლოცვაში ნათქვამია: "მრწამს უფალო და აღვიარებ". ადამიანმა უნდა იწამოს; ეს, რა თქმა უნდა, შინაგანი პროცესია, მაგრამ საკუთარი აღმსარებლობა უნდა აღიაროს კიდეც ხალხის წინაშე, მხოლოდ მაშინ ხარ ნამდვილი ქრისტიანი. გავიხსენოთ ქრისტიანობის პირველი სამი საუკუნე, როცა ქრისტიანები მოედნებზე გამოდიოდნენ და საჯაროდ აცხადებდნენ: "მე ვარ ქრისტიანი!", თუმცა კი იცოდნენ, რომ ამის შემდეგ მათ აუცილებლად აწამებდნენ. მაგრამ მათ სწამდათ და აღიარებდნენ კიდეც თავის სარწმუნოებას!

დღეს არის ასევე უდიდესი ეროვნული დღესასწაული - ხსენება ილია მართლისა. ილია მართალი (ჭავჭავაძე) ცხოვრობდა იმ დროს, როცა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა ჰქონდა დაკარგული, ეკლესიას კი - ავტოკეფალია. წმინდა ილია მართალმა უდიდესი ღვაწლი იტვირთა, იგი წარმოსთქვამდა ქადაგებებს, ე.ი. აღასრულებდა იმ მოვალეობას, რასაც უნდა ასრულებდეს პატრიარქი, მღვდელმთავარი, სასულიერო პირი! დიდია მისი დამსახურება ღვთისა და ჩვენი ერის წინაშე! ამიტომაც ჩვენმა ეკლესიამ ის წმინდანად აღიარა; ამასთან ერთად იგი მოწამეც არის.

წმინდა ილია წინასწარმეტყველის, წმინდა ილია მართლის და უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია I-ის მადლი და ლოცვა-კურთხევა გფარავდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს, ამინ!

მინდა შეგახსენოთ, რომ სახელი ილია (ძველად ამბობდნენ - ელია) მომდინარეობს ებრაული სიტყვიდან და ნიშნავს ძალას ღვთისა.

ძალა ღვთისა არ მოგაკლოთ მამაზეციერმა თქვენ და სრულიად საქართველოს!

დალოცვილი და გახარებული გამყოფოთ ღმერთმა!

ღმერთმა დალოცოს, გაახაროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო!

ჩვენთან არს ღმერთი!

ყველას გილოცავთ ამ დიდებულ დღესასწაულს! ეს განსაკუთრებული დღესასწაულია იმიტომ, რომ ჩვენ წმინდა ელია წინასწარმეტყველის მამულში ვიმყოფებით. ამ მთას ოდითგანვე ეწოდება წმინდა ელიას მთა და შეგეწიოთ წმინდა ელია წინასწარმეტყველი თქვენ და სრულიად საქართველოს!

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ლოცვა უფლის წინაშე ჩვენი ერისთვის

„უფალო ჩემო და დიდებავ ჩემო, აკურთხე და დაიცავ ერი ქართველთა.“

საპლინგი* ქართველი ერისადმი

გამოცხადება უფლისა ღმერთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი (1989 წ.)

„თქვენ დაივიწყეთ ღმერთი, მაგრამ ღმერთს ახსოვხართ თქვენ. გონს მოუხმეთ ქართველებო და დაიჯერეთ, რომ მოვდივარ მთელი ზეციური ბრწყინვალებით, რათა ბოლო მოვუღო ბოროტთა ზეიმს, სიმართლე აღვამაღლო და მოგანიჭოთ აღთქმული ბედნიერება.

ქართველნო, როგორი სულიერებით ხვდებით ჩემს მოსვლას, ჩემს ლტოლვას თქვენდამი, ხართ კი მზად? თქვენ დაივიწყეთ ღმერთი, მაგრამ ღმერთს ახსოვხართ თქვენ. ახსოვს ქართველთა რწმენა, სიმართლე, თავგანწირვა. მწარედ დაისჯებით, ვინაიდან თქვენი ცოდვა ორმაგია: როგორც ქრისტიანების და როგორც ღვთისმშობლის ამორჩეულების.

ერთდროს მიცნობდით მე, ჭეშმარიტ ღმერთს, დღეს კი ვეღარა მცნობთ. იწვოდით ქრისტიანულ ალთა კორიანტელში. დღეს კი წარმართულ სატანის მხევლებს ემონებით. ერთი კი იცოდეთ, თქვენზეა დამყარებული ქრისტიანული სარწმუნოების დიდება და მის ღალატს ვერ გაპატიებთ.

... მაგრამ, საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომი ქვეყანაა და გადარჩება.“

გამოცხადება წმ. ილია მართლისა (1989 წ.)

„ღვთისმშობლის შვილობილს ასეთი ყოფა არ ეკადრება.

თავი და თავი ჩვენი, — ქართველთა, — უბედურებისა ჩვენივე ურწმუნოებაა.

კითხვაზე — რა გვაკლია ქართველებს იმისათვის, რომ დავიბრუნოთ წარსული სული, — პასუხი ერთია: რწმენა, ქრისტიანული რწმენა!

თათრებზე ჯერ არას ვიტყვი, ოსებზე და აფხაზებზე კი ღირებულ ამბებს მოგახსენებთ: მათ არც კი იციან თუ როგორ გეხმარებიან სულიერი დიდების აღდგენაში. მათ თქვენ მაშინ გაგაჩერეს, როდესაც თქვენ ერთი ნაბიჯის გადადგმა და უფსკრული გაგიმასპინძლდებოდათ. რა მათი ბრალია თუ დედა მარიამმა ისინი აირჩია საქართველოს მაღვიძარებად?! აფხაზთა და ოსთა კი ნუ შეუგინებთ მოქმედებას, არამდე ყური მიუგდეთ და გაიგებთ მათი მოქმედების არსს. ისინი თითქოს მეტყველებენ: ასე არ შეიძლება ქართველებო, მეტი დრო არ გაქვთ თქვე დალოცვილებო, ამდენი ხანი ფხიზლობდით, (საუკუნეები) ახლა, ასე რამ დაგაძინათ, რომ ვერაფერი გაღვიძებთ, ქრისტე მობრძანდა და პირველები ქართველები უნდა შეეგებოთ, როგორც ღვთისმშობლის შვილობილნი.

სანამ სისხლი არ დაიღვარა, მანამ ვერ გამოიღვიძეთ და ტკბილი უდარდელი ძილიდან ახალგამოსულებს უცებ მოქმედება მოგვთხოვეს მტრებმა. ცუდ ხასიათზე დააყენა მტერმა ძილისგუდა ქართველი.

სანამ თათრებმა არ იხუვლეს ქვემო ქართლში, მანამდე ვერ მიხვდა ქართველი მამა-პაპის სისხ-

---

სალპინგი* — იგივე სალპიონი ითქმის საყვირნი მკვდართა აღდგომისდამნი, გინა, სარეკელი ლოცვად შემკრებელნი. (სულხან-საბა)

ლით მორწყული მიწით, რომ არ უნდა ივაჭროს. კუთვნილი მიწის გაყიდვა არ შეიძლება იმიტომ, კი არა, რომ არ შეიძლება იგი ადამიანური კანონით, არამედ იმიტომ, რომ ამით ღმერთის მიერ დადგენილ საზღვარს ანაწილებ. ხოლო ღმერთმა თითოეულ ერს იმდენი მიწა მისცა, რამდენიც მას ეყოფოდა. ადამიანი კი, როგორც ყოველთვის, ღმერთს ეუბნება, თავის მოკლე ჭკუით ანაწილებს საზღვრებს და ამბობს (მხიარულად) ღმერთო, თურმე შენ მიწები არა სწორად გაგინაწილებია შვილებიასთვის, არ ყოფილხარ მთლად შეუმცდარი და ბრძენიო.

ახლა კვლავ თათარს მივხედოთ, რომელსაც ქართველმა თათრული გარიგება და მიწა მიჰყიდა. ამაზე თათარმა თქვა — ვერ ყოფილხართ მთლად ქართველნიო და გაშალა მხრები. წარმართი ქართველები კი თავისთვის ამბობდნენ: უცხო ტომის შვილები სტუმართმოყვარულად მივიღეთო, ვაჭამეთ, ვასვით, ნოყიერი მიწები ვაჩუქეთ და რაღა უნდათ ჩვენგანო.

ცდებით ქართველებო! თქვენ მათ მიწა მიეცით ქართული სტუმართმოყვარეობით კი არა, არამედ ფულთმოყვარეობის ჟინით. თქვენ მათ მხოლოდ მიწა მიჰყიდეთ; ჭამა-სმაზე კი რა მოგახსენოთ, ვითომ მართლა თქვენ აჭმევთ თათრებს, თქვენ უკლავთ წყურვილს? პასუხს არ ვითხოვ.

მივყვეთ ოსებს: სანამ მათ არ იმღერეს ლაშქრული, მანამდე არ ვსთქვით ოსები სტუმრები რომ ყოფილან, სამაჩაბლო რომ მიგვიცია და ქართული მიწა ურიცხვ ტომთა სათარეშოდ გაგვიხდია.

სანამ აფხაზებმა სისხლი არ დაგვიქციეს, მანამდე ვერ ირწმუნა ქართველმა, რომ აფხაზეთი კარგავს ქართულ სულს, იღუპება.

საქართველო მარტო თბილისი და ქუთაისი ხომ არ არის, დიდ ქართველებს მარტო ამ ორ ქალაქში ხომ არ დაუბუდებიათ?!

რა უნდა დავარქვა ამ საქციელს — დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალიაო — ამბობთ და არ კი დგებით.

ქარიშხალია ე. წ. ოსეთში, აფხაზეთში და სხვაგანაც დაიქროლებს ჩვენი უმოქმედობის გამო.

ქართველებო, ნუ შეგაძრწუნებთ ქართველთა სისხლი. ეს სისხლი თქვენთვის იღვრება, თქვენს განსაწმენდად ჩქეფს. კარგად უნდა გეტკინოთ, რომ იყვიროთ, უნდა იგრძნოთ დაღუპვის საშიშროება, რომ იფხიზლოთ.

ქართველებს ვერავინ დაამარცხებს, თუ თვითონვე არ დაამარცხა თავი. მტრების მიერ ნასროლ სიცრუეს სიცრუით ვერ დაამარცხებ ბოლომდე, სიმართლე უნდა დაუპირისპირო. ხართ კი მართლები? მტრები თქვენგან გმირობას ითხოვენ, ყველაზე მეტად კი მრწამსისაკენ შემობრუნებას.

სანამ მტრებმა მუსლიმანური დროშა არ ააფრიალეს, მანამდე ვერ მიხვდა ქართველი, რომ ქრისტესათვის სჯიან და ვერ მიხვდა ქართველი იმას, რატომ არის მტრის მიერ ნასროლი ყოველი ისარი აგრე მწარედ და გამაოგნებელი.

რატომ არის?

იმიტომ, რომ ქრისტეს მცნება უკუვაგდეთ, ღმერთი უარვყავით.

მტრის მიერ ნასროლ ისარს ადრე ქრისტე, უფალი ჩვენი, თავის თავზე იღებდა, გვიფასებდა ქრისტეანული სარწმუნოებისათვის გაწეულ განსაკუთრებულ თავგანწირვას, ახლა კი ქრისტე დავკარგეთ. მთელი ცხოვრების სიმძიმე, უსამართლობა, სიბოროტე ჩვენ დაგვაწვა. სხვაგვარად შევხედეთ ჩვენს თავს და დავინახეთ, რომ უფლისა ჩვენისა ქრისტეს გარეშე ჩვენ გავშიშვლდით. მაგრამ ეგ არაფერი, სასირცხო ადგილას ფოთლები ავიფარეთ, თითქოს გული დავიმშვიდეთ, თავის მართლება ვიწყეთ — ასეც არ გამოვიყურებით ურიგოთო.

მაგრამ ვაი, რომ არ უხდება ქართველს ასეთი ყოფა. სამართლისათვის ბრძოლაში იწრთობა ქართველთა სული, ქრისტიანულ ბრძოლაში წარმოჩნდება ქართველთა მთელი სიდიადე, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ, პირველ რიგში ჩვენს გონებაში დაბუდებულ მტრებს კი ემსხვერპლნენ.

მტრის მიერ ნასროლ სიბოროტეს სიკეთე უნდა დაუპირისპიროთ, ოღონდ სიკეთე ისე არ აგვერიოს სხვა რამეში, როგორც ეს სტუმართმოყვარეობის მცნების გაგების შემთხვევაში მოგვივიდა, პატივმოყვარეობაში რომ ავურიეთ, მტრის მიერ ნასროლ ურწმუნოებას კი რწმენა უნდა დავუპირისპიროთ. ბრწყინვალე რწმენა და მაშინ კი ნამდვილად ვიგრძნობთ, რომ ჩვენთან არს ღმერთი“.

ღირს არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ, შენ ღვთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ ყოვლად უბიწოდ და დედად ღვთისა ჩვენისა, უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესშთაესსა სერაბიმთასა, განუხწრთნელად მშობლისა სიტყვისა ღვთისასა, მხოლოსა ღვთისმშობლისა გალობით გადიდებდეთ.

ტ რ ო პ ა რ ი

ღუაწლითა და სისხლითა შენითა უდაბნოჲ იგი სოფლისაჲ მოიმუშაკე და გონებითა ღმრთივბრწყინვალითა დაცემულნი კუალად აღგუადგინენ, ჭეშმარიტებაჲ სთესე და გჳრგჳნი უკვდავებისაჲ მოიპოვე, სიმართლისათვის დაითმინე და ზესთასოფელი დიდებისაჲ დაიმკვიდრე.

ძეო, ქართველთა ერისაო, ერისათვის წამებულო წმინდაო ილია მართალო, ყოვლადდიდებულო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა ძმათა შენთათჳს, შეწყალებად სულთა ჩენთათჳს.

დ ა უ ჯ დ ო მ ე ლ ი წ მ ი ნ დ ი ს ა ი ლ ი ა მ ა რ თ ლ ი ს ა

კონდაკი 1

ტბასა ბაზალეთისასა ჩადგა აკვანი ოქროვანი კიბემან ზეცისამან, და ყრმაჲ იგი მწოლარ(.) აკვანსა მას შინა, ანგელოსთა თანა უგალობდა ღმერთსა, ალილუია.

იკოსი 1

აღივსო პირი მისი ქებითა და დიდებითა უფლისაჲთა, ჭეშმარიტებისათჳს დამაშურალმან აღიღო ჯუარი ღმერთისაჲ და შეუდგა გზასა მას უფლისასა, ხოლო ჩუენ, მხილველნი მისისა საკვრველმოწამეობისანი განუწყვეტლად ვჰმობთ:

გიხაროდენ, ყრმაო, ღმრთისა და მამულისათჳს შეწირულო;
გიხაროდენ, ჭეშმარიტებისა ჩვლობიდანვე შემცნობელო;
გიხაროდენ, უფლისა მიმართ მამულისათჳს მვედრებელო;
გიხაროდენ, ღმერთისა დიდებისათჳს თანდადებულო მოძღვარო;
გიხაროდენ, უგრგვინო ხელმწიფებაო, ერისაო.
გიხაროდენ, ერისათვს სიხარულევანო წამებაო;
გიხაროდებ, უფლისა მიერ გამობრწყინებულო მნათობო;
გიხაროდენ, მამაო, დამაშურელო და მხცოვანო;
გიხაროდენ, სამართალო დიდებუნებოვანო;
გიხაროდენ, გულთამხილავო წინამძღოლო;
გიხაროდენ, ძეო ქართველთა ერისაო;
გიხაროდენ, ერისათჳს წამებულო წმინდაო ილია მართალო, ყოვლადდიდებულო.

კოდაკი 2

ყრმისა მის განათლებისათჳს აღიძვრიან ძალნი ცათანი, მშობლისა დედისა მისისა აღმაყუანებელნი ზეცად, რაითა სასოებისა დამდებელი ყრმაი ღვთისმშობლისა ზედა მიაპყრობდეს გულსა, სულსა და გონებასა ყოვლადწმინდასა დედოფალსა ვედრებად მისისა წილხუდომილისა ივერიისათჳს და ყოველნივე მის თანა ადიდებდნენ ღმერთსა, ალილუია.

იკოსი 2

ქალაქსა პეტრესსა წარგიყვანა შენ სულმან წმინდამან, ხოლო შენ დამტევებელი ნებისა შენისა ჰგოდებდი, ვითარცა იერემია, მამულსა შენსა, მთათა და ველთა მათ შეიწრებულთა და ხმელქმნილთა, რომელი მოელოდა წყალსა სინანულისასა და მწყემსსა კეთილსა, და შენცა ისწავებდი დღითა და ღამით მოუკლებლად და გულთმეცნიერებით, და გუასწავებდი ჩუენ უგულისხმოთა და უხმართა, რომელნი ვღაღადებთ ესრეთ:

გიხაროდენ, მოძმეთათჳს დაუღალავო მუშაკო;
გიხაროდენ, ნებისა შენისა დამშრეტელო;
გიხაროდენ, სასუფევლისადმი ერისათჳს მვედრებელო;
გიხაროდენ, სასუფევლისა გულსა შინა დამამკუიდრებელო;
გიხაროდენ, გვრგვნო სულიერებისაო;
გიხაროდენ, არგანო ხელმწიფებისაო;
გიხაროდენ, ყანისა მადლითა დამარწყულებელო;
გიხაროდენ, გუთნისდედაო და დაუღალავო მთესველო;
გიხაროდენ, უღლისა ზეცათასა მტჳრთველო;
გიხაროდენ, მადლისა ბაღნარო და მდელოო;
გიხაროდენ, მარილო სოფლისაო;
გიხაროდენ, გულთამხილავო წინამძღოლო;
გიხაროდენ, ძეო ქართველთა ერისაო;
გიხაროდენ, ერისათჳს წამებულო წმიდაო ილია მართალო, ყოვლადდიდებულო.

კონდაკი 3

მიგაბარეს რა სოფლისა დიაკონსა განსწავლისათვს და სადიდებლად ღმრთისა, აღიღებდი ხელსა, უფლისაგან ძლევამოცემულსა, და დაისწავებდი წიგნთა ყოველთა საღმრთოთა და საეროთა, გამოარჩევდი, ვითარცა იფქლსა ღუარძლისაგან ყოველსა სარგოსა, ხოლო ჯერკუალსა განაგებდი და გულსა შინა ადიდებდი ღმერთსა, ალილუია.

იკოსი 3

ჰმზერდი რა უსამართლობათა სოფლისათა, ტანჯუათა და იწროებათა მამულისა შენისათა, რომელ გმინავდა და სისხლსა მოწამეობრივსა დაანთხევდა, აღიღებდი მახვლსა მხილებისასა და უსჯულოებათა ამხილებდი, ხოლო ჩუენ სიყუარულისა და თავდადებისა შენგან მსწავლელნი, ხელაღპყრობით ვხმობთ:

გიხაროდენ, სიმართლისა ჩაუქრობელო ლამპარო;
გიხაროდენ, ნათელო სულისაო, დაუღამებელო;
გიხაროდენ, მართლმკუეთელობისა განშუენებულო მარგალიტო;
გიხაროდენ, სიბრძნისა და მოთმინებისა მაგალითო;
გიხაროდენ, ცილისწამებათა სასწაულებრივ დამთმენელო;
გიხაროდენ, აღუშფოთებელო ნავსაყუდელო ერისაო;
გიხაროდენ, ქართველთა აღმადგინებელო მნათობო;
გიხაროდენ, მიწიერისა მამულისა სასუფეველთაგან შემაერთებელო;
გიხაროდენ, ღუაწლითა და სისხლითა შენითა სასუფევლისა მიწად ჩამომყუანებელო;
გიხაროდენ, ნათელო მიუაჩრდილებელო;
გიხაროდენ, გულთამხილავო წინამძღოლო;
გიხაროდენ, ძეო ქართველთა ერისაო;
გიხაროდენ, ერისათჳს წამებულო წმიდაო ილია მართალო, ყოვლადდიდებულო.

კონდაკი 4

ვენახმან ჭეშმარიტმან განგაბრძნო შენ, კეთილმვედრებელო და მღაღადებელო წმიდაო მართალო ილია. დარწყულებულო ღჳნითა მით ზეცისაითა და გულმხიარულად მიმღებელი პურისა მის საღმრთოისა, იდექი ვითარცა მუშაკი ერთგულებისაი ვენახსა მას შინა და, დიდებულისა გჳრგჳნოსანყოფისა შენისა სასოებით მხილველნი, ჩუენცა უგალობთ და ვადიდებთ ღმერთსა, ალილუია.

იკოსი 2

სუეტი ცეცხლისაი გარდამოვიდა ზეცით და მოგიძღოდა შენ, ვითარცა მოსეს, ხოლო ერი იგი, გადარჩენისათვს მვედრებელი მირბოდა ნაკუალევსა ზედა შენსა და ცხოვრებისა მის ღრმთისაგან მომლოდინე ხმობდა:

გიხაროდენ, ცეცხლო სიხარულისაო;
გიხაროდენ, სიყუარულო ზეცისაო, გაუნელებელო;
გიხაროდენ, განსაცდელსა საკვრველებით დამთმენელო;
გიხაროდენ, მტერთა გონიერებით დამამხობელო;
გიხაროდენ, მოძმეთაგან პატივდებულო მოღუაწეო;
გიხაროდენ, სიმდაბლისა და ზომიერებისა ღმრთივგამოჩინებულო მაგალითო;
გიხაროდენ, ჭეშმარიტებისათვს აღმეტყუელებულო სიმართლეო;
გიხაროდენ, მდუმარებითა მჭევრმეტყუელებისა მასწავლელო;
გიხაროდენ, მჭევრმეტყუელებითა მდუმარებისა დამცველო;
გიხაროდენ, ვეშაპთა მყრალისა ოხშივარისა კეთილსურნელებითა დამაცხრობელო;
გიხაროდენ, ღუაწლო, დაუცხრომელო და უშურველო;
გიხაროდენ, მამაო, დამაშურალო და მხცოვანო;
გიხაროდენ, სამართალო დიდბუნებოვანო;
გიხაროდენ, გულთამხილავო წინამძღოლო;
გიხაროდენ, ძეო ქართველთა ერისაო;
გიხაროდენ, ერისათვს წამებულო წმინდაო ილია მართალო, ყოვლადდიდებულო.

კონდაკი 5

მადლი ჭეშმარიტებისაი დაადგრა თავსა შენსა ზედა, წმიდაო მართალო ილია, ოდეს მსაჯულად სიმართლისა დაგადგინებენ შენ და მსმენელნი შენგან ღმრთივგანჩინებულთა სამართალთა იხარებდენ და იშუებდენ ესრეთ, ალილუია.

იკოსი 5

განკჳრვებულნი ვხედავთ მართლმსაჯულებასა შენსა, წმიდაო და მართალო ილია, მართლად განმსჯელო და სულისა დაუდგრომელო მოღუაწეო;

გიხაროდენ, ღმრთივდადგინებულო და გონიერო მოსამართლეო;
გიხაროდენ, მართლისა სამართლისა აღმასრულებელო ხელმწიფეო;
გიხაროდენ, მსაჯულო მოუსყიდველო და კეთილო;
გიხაროდენ, განკითხვისაგან მოყუასთა დამხსნელო;
გიხაროდენ, რამეთუ ჩაგრულნი შენგან შუებასა ჰპოვებენ;
გიხაროდენ, რამეთუ განსასჯელნი შენგან სწავლასა მიიღებენ;
გიხაროდენ, სამართლიანობისა დაუჭკნობელო გვრგვნო;
გიხაროდენ, მოწყალებისა დაუშრეტელო სიხარულო;
გიხაროდენ, სულისა დიდებულო შემოქმედებაო;
გიხაროდენ, ღმრთისადმი ცოდვათა ჩუენთათვის მვედრებელო;
გიხაროდენ, ქურივთა, ობოლთა და ჩაგრულთა დამარწყულებელო წყაროო;
გიხაროდენ, ურჯულოებისა რჯულითა დამსჯელო;
გიხაროდენ, ივერთა თვალგამობრწყინებულო მნათობო;
გიხაროდენ, გულთამხილავო წინამძღოლო;
გიხაროდენ, ძეო ქართველთა ერისაო;
გიხაროდენ, ერისათვს წამებულო წმიდაო ილია მართალო, ყოვლადდიდებულო;

კონდაკი 6

ნათელი დაბნელებული აღმოუბრწყინდა სოფელსა, იხილა რა ქადებაი შენი მამულისა შენისათვს და ჯუარცმისა უხილავისა სასწაულებრივად მხილველნი, ჩუენცა უგალობთ და ვადიდებთ ღმერთსა, ალილუია.

იკოსი 6

თავადმან სოფლისამან უწყოდა რა ყოვლადმოწყალებაი სიბრძნისა შენისაი, ცეცხლი ცეცხლოვანი აღაფრქვა უფსკრულთაგან ვეშპისა პირისათა, ხოლო შენგან ძლეული და მხილებული ივლტოდა იგი ივერიისაგან და მხილველნი ძლევისა ამის საკვრველისაი ხმობდენ და ღაღადებენ შენდამი ყოველნი:

გიხაროდენ, შეორგულებულთა და დაბრმობილთა თუალისჩინო;
გიხაროდენ, ღმრთისა კეთილსურნელოვანო დიდებაო;
გიხაროდენ, ნათელო თუალშეუდგამო;
გიხაროდენ, თავდადებისა შარავანდედო ოქროვანო;
გიხაროდენ, სახლო სიწმიდისაო;
გიხაროდენ, მთაო მდუმარებისაო;
გიხაროდენ, სიყუარულითა და მშვდობითა მოყუასთა მამხილებელო;
გიხაროდენ, ერისა და ხელმწიფებისა ვითარცა მარგალიტისა და საუნჯისა შემკრებელო;
გიხაროდენ, ცათა შინა გულისა დამაუნჯებელო;
გიხაროდენ, სიწმიდისა გულსა შინა დამამკვდრებელო;
გიხაროდენ, გულთამხილავო წინამძღოლო;
გიხაროდენ, ძეო ქართველთა ერისა;
გიხაროდენ, ერისათ*ს წამებულო წმიდაო ილია მართალო, ყოვლადდიდებულო.

კონდაკი 7

თავადთა და აზნაურთა შესაკრებელსა მჯდომარე, სიმდაბლისა და ზომიერებისა მაგალითად გამოსჩნდი შენ, წმიდაო ილია, ოდეს აღიარებდი სწავლებასა მოციქულთასა — არცა თავადი და არცა მონაი, არამედ ყოვლადვე და ყოველსა შინა ქრისტე, — იტყოდე და დაამტკიცებდი წინაშე მათსა სარწმუნოებასა შენსა: — მიუბოძოთ მიწაი, მონათა მათ ჩუენთა ვიყუნეთ ჩუენ ურთიერთარს ვითარცა ძმანი, და შორის ჩუენსა არღარა იყოს არცა ბატონი და არცა მონაი, არამედ ქრისტე, ალილუია.

იკოსი 7

ესმა რა ბოროტსა მას თავადსა ღმრთივშუენიერებაი სიტყუისა შენისაი, აღიძვროდა შენდამი წმიდისა რისხვით და გულარძნილებითა დიდითა აღაშიშულებდა ხანჯალსა ორლესულსა და იცემდა მჯიღსა და ყიოდა საზარელითა მით ხმითა მოკუდინებისათვის შენისა, ხოლოშენ დამამტკიცებელი მშვდობისა და სულგრძელებისა მრავალ-მოწყალისა ღმრთისა ჩუენისა, აღიარებდი მას მხოლოსა ჭეშმარიტისა უშიშრად ვითარცა უხორცოი და ჩუენცა, მხილველნი თავდადებისა შენისა განკვრვებულნი ვხმობთ:

გიხაროდენ, შვილთათვის მწედ გაბრწყინვებულო მშობელო;
გიხაროდენ, სიმდაბლისა და მოწყალებისა მდინარეო;
გიხაროდენ, ჩვეულებისამებრ მამულისა სლვისა დამამტკიცებელო;
გიხაროდენ, მართლმადიდებლობისა შეუორგულებლად დამცველო;
გიხაროდენ, მიუკერძოებელო სრჯულმდებელო;
გიხაროდენ, ცხოვართა მათ მგელთა მტაცებელთაგან, განმარიდებელო;
გიხაროდენ, სიცოცხლისა მამულისათვს დამდებელო;
გიხაროდენ, ღმრთისგან კურთხეულო ქვეყანაო;
გიხაროდენ, ხელმწიფებისა დაუმხობელო გვრგვნო;
გიხაროდენ, თუალშეუდგამო მწუერველო;
გიხაროდენ, გულთამხილველო წინამძღოლო;
გიხაროდენ, ძეო ქართველთა ერისაო;
გიხაროდენ, ერისათვს წამებულო წმიდაო ილია მართალო, ყოვლადდიდებულო.

კონდაკი 8

კრებული მთავართაი განაცვფრე წმიდითა ღაღადებითა შენითა, წმიდაო და მართალო ილია, ოდეს წარსდექ წინაშე მათსა და სთქვი: სიკუდილსა ნუ დავსდებთ სასჯელად განსასჯელთა, არამედ კაცსა აცხოვნებს სინანული, და მოუწოდე ყოველთა, ვითარცა ავაზაკსა ჯუარცმულსა, რომელმან თქვა: მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვდე სუფევითაშენითა, ალილუია.

იკოსი 8

ბოროტისა გულისთქუმისა დაცხრომად აღძრულმან სულმან წმინადამან წარსთქვა და გამოაცხადნა ქუეყნად დიდებანი შენნი, ხოლოჩუენ გუასწავათაყუანისცემა სამებისა მხოლოისა ღმრთისა და ჩუენცა გულმხიარულებით უგალობთ წმიდასა გამოჩინებასა შენსა:

გიხაროდენ, მამულისთვის დაუღალავო მუშაკო;
გიხაროდენ, ღმრთისადმი კეთილმითუალულო საკმეველო;
გიხაროდენ, ზესთასოფლისათ*ს შეკრებილო საუნჯეო;
გიხაროდენ, მართალთა მეყსეულოშეწევნაო;
გიხაროდენ, კეთილგონიერო მოწყალებაო;
გიხაროდენ, ღმრთივგამოჩინებულო სიყუარულო;
გიხაროდენ, ავაზაკთა სინანულად მომყუანებელო;
გიხაროდენ, მამულისა მტერთა დადამხობელო მახ*ლო;
გიხაროდენ, კეთილმოწესეო, ქუეყნისაო;
გიხაროდენ, თავდადებისა უცვალებელო თ*სებაო;
გიხაროდენ, გულთამხილავო წინამძღოლო;
გიხაროდენ, ძეო ქართველთა ერისაო;
გიხაროდენ, ერისათ*ს წამებულო წმიდაო ილია მართალო, ყოვლადდიდებულო.

კონდაკი 9

კრებული უსჯულოთა, შეძრწუნდა დიდებითა და კეთილმოღუაწეობითა შენითა, ოდეს იხილეს ერი იგი შენი, შენგან დამწყსილი და შეკრებილი ვითარცა მცხოვარი, იზაკუეს გულსა შინა თ*სსა და განიზრახეს მოკუდინაბა შენი, ხოლო შენ იცნობ რა ანგელოსისა მიერ განსაცდელსა შენ ზედა მოწევნადსა, არათუ შეიძრვი, არამედ იტყ*იყავნ, უფალო, ნება შენი, ვითარცა შენ გინებს, ალილუია.

იკოსი 9

ნათელი შარავანდისა დაადგრა ეტლსა ზედა შენსა, წმიდაო და მართალო ილია, ოდეს მიხუედ ნებითა შენითა წიწამურად და დასდევ თავი ცხოვართა შენთათ*ს შეორგულებელად, და ჩუენცა, თავდადებისა შენისა მხილველნი შეუორგულებელადვე ვხმობთ:

გიხაროდენ, მამულისა ჩაუქრობელო ლამპარო;
გიხაროდენ, მტერთა შენთათ*ს თავდაუზოგავო მლოცველო;
გიხაროდენ, ნებისა შენისა უარმყოფელო;
გიხაროდენ, ღმრთაებრივისა ნებისა უდრტ*ნველად მიმღებელო;
გიხაროდენ, ეკლესია გ*რგ*ნისა მომხუეჭელო;
გიხაროდენ, რამეთუ ავაზაკთა დასთრგუნავ მშ*დობითა;
გიხაროდენ, რამეთუ ღუაწლითა და სისხლითა შენითა ერსა შენსა განწმენდასა მოანიჭებ;
გიხაროდენ, მოძმერთათვის შეწირულო ზუარაკო;
გიხაროდენ, ცოდვათა ჩუენთა საკურნებელო სალბუნო;
გიხაროდენ, სიყუარულისა თვალსაჩინო მასწავლებელო;
გიხაროდენ, ჩუენთა შემწიკულე ბულთა ბაგეთა კეთილსურნელოვანისა ლოცვისა მიერ გამწმედელო;
გიხაროდენ, ზეცისათ*ს განმზადებულო მამულო;
გიხაროდენ, ცრემლით განშუენებულო სიხარულო;
გიხაროდენ, დაუმხობელო სამეფოო ქართველთაო;
გიხაროდენ, გულთამხილავო წინამძღოლო;
გიხაროდენ, ძეო ქართველთა ერისაო;
გიხაროდენ, ერისათ*ს წამებულო წმიდაო ილია მართალო, ყოვლადდიდებულო.

კონდაკი 10

ცეცხლსა მას გაუნელებელსა და მატლსა დაუძინებელსა განაქარვებს ქრისტე – დაკლვითა თვსითა –მაცხოვარი ჩუენი და შენცა ტანჯვთა და კეთილმოწამეობითა მიახლებულო გოლგოთასა, განგუაკვრვებ და გუასწავებ აღმსარებლობასა ღმერთისასა, ალილუია.

იკოსი 10

მზ* სიმართლისაი აღმოუბრწყინდა მრავალთა, ოდეს იხილეს კეთილაღმატებულება შენი, წმიდაო და მართალო ილია. ერისათვს წამებასა შენსა განვადიდებთ ჩუენ ყოველნი და ჭეშმარიტისა აღმსარებლობით ვხმობთ:

გიხაროდენ: ცეცხლო სიხარულისაო;
გიხაროდენ, ჟამო ჟამთაო და ნათელო დაუბნელებელო;
გიხაროდენ, მოწყალებისა დაუშრეტელო სათავეო;
გიხაროდენ, უწყალოებისა დამშრეტელო მზეო;
გიხაროდენ, სულიერებისა თვალუწვდენელო მწუერვალო;
გიხაროდენ, სიყუარულისა აღუწყუელო სიუხეო;
გიხაროდენ, მიმტევებელო ყოველთაო;
გიხაროდენ, ღმერთისგან განშუენებულო ვენახო;
გიხაროდენ, ღმერთისადმი ლოცვისა კეთილსურნელოვანო ბადაგო;
გიხაროდენ, ცოდვათა მცხუნვარებისაგან დამფარველო ტალავერო;
გიხაროდენ, სათნოებათა თუალმიუწთომელო ბალავერო;
გიხაროდენ, მტერთაგან მამულისა დამცველო ზღუდეო;
გიხაროდენ, გონიერებისა ღმრთივ განშუენებულო მარგალიტო;
გიხაროდენ, თავდადებულთა დიდებაო;
გიხაროდენ, აღუშფოთებელო გულო და უცვალებელო სიწმიდეო;
გიხაროდენ, გულთამხილავო წინამძღოლო;
გიხაროდენ, ძეო ქართველთა ერისაო;
გიხაროდენ, ერისათვს წამებულო წმიდაო ილია მართალო, ყოვლადდიდებულო.

კონდაკი 11

ნათელი დაუბელებელი მოგვუფინა ჩვუენ ღუაწმან და სისხმლამ შენმა, წმიდაო და მართალო ილია, აღმასრულებელო და განმამტკიცებელო ჯულისაო.

მოძღუარსა მოძღუართასა და გვრგვნსა ხელმწიფებისასა გადიდებს შენ ეკლესიაი ქართველთაი, ღმრთივგამოჩინებულო და კურთხეულო თავდადებაო ერისათვს, გულთმეცნიერებით და უდრტვნელად მიახლებულო გოლგოთასა ღმერთისასა, ალილუია.

იკოსი 11

გვრგვნი სულიერებისაი მოგანიჭა შენ ხელმწიფებისათვს უფალმან, წმიდაო და მართალო ილია, წმიდისა მღუდელთმთავარისა ალექსანდრესაგან შევედრებულო და კურთხეულო სასუფეველსა ღმერთისასა, შეგივრდებით შენ ყოველნი შვილნი ივერისაანი, დამწყსილნი და მსწავლელნი შენგან ღუაწლთა და თავდადებათა მოყუასთა და ღმრთისათვს, შეგივრდებით და გიღაღადებთ ესრეთ:

გიხაროდენ, დაბნელებულთა გულთა ჩუენთა სინათლეო;
გიხაროდენ, ღმრთისგან კურთხეულო და სულთა ჩუენთა დამარწყულებელო სიმართლეო;
გიხაროდენ, ცეცხლო, ღმრთისა მარჯუენითგან გარდამოსრულო;
გიხაროდენ, სულიერებისა ღვთივგამოჩინებულო სასწაულო;
გიხაროდენ, გონიერებისა დაულევნელო სალაროო;
გიხაროდენ, მხიარულებაო სულთა შეჭირვებულთაო;
გიხაროდენ, სიმტკიცეო ღმრთისაკენ მიდრეკილთა სულთაო;
გიხაროდენ, ცეცხლო ღმრთისა დიდებისაო;
გიხაროდენ, სასუფევლისა მკვდრობაო;
გიხაროდენ, ქართველთა ხელმწიფებისა სიმტკიცეო და მშვდობაო;

გიხაროდენ, მამაო დამაშურალო და მხცოვანო;
გიხაროდენ, სამართალო დიდბუნებოვანო;
გიხაროდენ, გულთამხილავო წინამძღოლო;
გიხაროდენ, ძეო ქართველთა ერისაო;
გიხაროდენ, ერისათვს წამებულო წმიდაო ილია მართალო, ყოვლადდიდებულო.

ჰოი, წმიდაო და ერისათჳს წამებულო, მართალო ილია, მიითუალე ჩუენ უღირსთაგან სადიდებელი ესე, რაითა უფალმან ღმერთმან ჩუენმან მეოხებითა შენითა გვასწაოს ჩუენ სლვაი ჩუეულებისამებრ მამულისა, განგუამტკიცოს მართლმადიდებელსა სარწმუნოებასა ზედა, შეგუკრიბოს ცხოვარი განბნეული უდაბნოსა შინა ურჯულოებისასა და მოგუანიჭოს სასუმელი იგი სინანულისაი, რაითა ჩუენცა შენთანავე უგალობდეთ ჯუარცმულსა მას ღმერთსა, ალილუია, ალილუია, ალილუია.

შემდგენელი მღვდელი ილია (ერობაში ნუგზარ ჩიკვაიძე)
2000 წლის სექტემბერი

წმინდა სინოდმა განიხილა და დაადგინა, რომ წმინდა ილია მართლის ხსენება გარდა 2 აგვისტოსი დადგინდეს ასევე 12 სექტემბერს, მისი მოწამეობრივი აღსასრულის დღეს.

ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია

ილია ჭავჭავაძე 1837 წლის 27 ოქტომბერს (ძვ. სტ.) კახეთში, მაშინდელი თელავის მაზრის სოფელ ყვარელში დაიბადა.

ილიას წინაპრები

ყვარელი, სადაც გაატარა მომავალმა პოეტმა ბავშვობა და სიყმაწვილე, საუკუნეების მანძილზე იყო საქართველოს აღმოსავლეთი საზღვრების კარიბჭე, რომელიც იცავდა ჩვენს ქვეყანას მომხვდური მტრის ამაოხრებელი შემოსევებისაგან და რბევებისაგან. ამის დასტურად აქ დღემდე არის შემორჩენილი ძველი ბურჯებიანი ციხე-გალავანი და კოშკები.

ჭავჭავაძეთა გვარი საისტორიო წყაროებში XV საუკუნიდან, კერძოდ, ალექსანდრე I დიდის დროიდან მოიხსენება.

კახეთის თავადი ჭავჭავაძეები იყვნენ „ორ გვარად“ – წინანდლისა და ყვარლისა.

ილია ყვარელი ჭავჭავაძეების შთამომავალია. ილიას პაპის მამას – **ბესპაზ ჭავჭავაძეს** თავი გამოუჩენია 1755 წელს ხუძახის ბატონისნურსალ-ბეგისა და მისი 20-ათასიანი ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლაში ყვარლის დაცვის დროს. როგორც თეიმურაზ II და ერეკლე II 1755 წლის წყალობის სიგელი მოწმობს, სხვა ქართველ მეომრებთან ერთად ბესპაზ ჭავჭავაძემ „რჯულის გულისათვის თავი საყათლანოდ გადასდვა, ოცდასამი დღე ლომსავით იბრძოლა“ და ყვარლის ციხე-გალავანს ალყა შემორტყმული ხუნძახის ბატონი და მისი მრავალათასიანი ლაშქარი სატიკად დაამარცხა და სამარცხვინოდ უკუაქცია!

პოეტის პაპა პაატა ბესპაზის ძე ერეკლე მეორისა და საქართველოს უკანასკნელი მეფის – გიორგი მე-13-ის დროს გამოჩენილი პირი ყოფილა. ერეკლე მეფის დროს პაატა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მოიხსენიება, როგორც მონაწილე ექსპედიციისა იმერეთში 1788 წელს, როდესაც ერეკლემ იმერეთის მეფედ დასვა თავისი შვილიშვილი სოლომონ მეორე.

1798 წელს, როდესაც **გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პატარა კახი** და როგორც ხალხური ლექსი ამბობს – „საქართველოს შეეხსნა რკინის კარები“ – **პაატა ჭავჭავაძე იყო ერეკლეს დამტირებელთა შორის**, ქართლ-კახეთის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ჩამოუსვენებია ერეკლეს ცხედარი თელავიდან მცხეთაში, სადაც იგი მიაბარეს სამშობლოს მიწას საქართველოს ძველ დედაქალაქში.

პაატას ხუთი ვაჟი ჰყოლია: **სვიმონი, გარსევანი, ალექსანდრე, გრიგოლი (მამა ილიასი) და იოსები.**

ილიას ბავშვობა და სიყმაწვილე 1837-1847

პოეტის მამა – **გრიგოლი**, ერთ ხანად სამხედრო სამსახურში ყოფილა ოფიცრად, მაგრამ ოსმალეთთან ომის დამთავრების შემდეგ იგი ბრუნდება საქართველოში და ირთავს ქრისტეფორე ბებურიშვილის ქალს **მარიამ (მაგდანე) ბებურიშვილს**.

გრიგოლს და მარიამს სულ ექვსი შვილი ჰყოლიათ: ოთხი ვაჟი და ორი ასული.

ილია მესამე შვილი იყო გრიგოლ და მარიამ ბებურიშვილი ჭავჭავაძეებისა. თავის ავტობიოგრაფიაში ილია წერს: „დავიბადე 27 ოქტომბერს 1837 წელს, სოფელ ყვარელში“.

ილიას გამზრდელი **სალომე ლოლაძე** გვიამბობს: **„ილია ანგელოზივით ბავშვი იყო. ცელქობა და თამაში არ უყვარდა. მოსწონდა კითხვა და მეცადინეობა...**

მეტის მეტი ხათრიანი ბავშვი იყო. ხმას არ აუმაღლებდა თავის დღეში მოსამსახურეს. ხშირად გაგზავნიდა ხოლმე მისი მამიდა მუშების დასათვალიერებლად და სამუშაოდ დასაძახებლად. ილია მალე დაბრუნდებოდა მარტო და კი არავის მოიყვანდა. მამიდა გაუჯავრდებოდა ხოლმე. ილია კი უპასუხებდა: „ოჰ, მამიდაო, ისე ტკბილადა სძინავთ ჩრდილში, რომ ვერ გავაღვიძე, შემეცოდნენ.“ **ილიას სიყრმის მეგობარი კოხტა აბხაზი** იგონებს: „უნდა მოგახსენოთ, რომ ილია პატარაობიდანვე, მართალია, როგორღაც მიუკარე-

ილიას დედ-მამა

მარიამ ბებურიშვილი და გრიგოლ ჭავჭავაძე

ბელი და ჩუმი იყო, მაგრამ ამასთანავე მაშინადვე ოხუნჯობის დიდი უნარი ემჩნეოდა. მეტის მეტი მოსწრებული ხუმრობა იცოდა და თუ კი ვისმე სასაცილოდ აიგდებდა მართლადაც რომ მიწასთან გაასწორებდა...“

ქართული ენის, წერა-კითხვისა და სამშობლო ქვეყნის გმირული წარსულის, ქართული მწერლობისა და ზეპირსიტყვიერების სიყვარული ილიას პატარობიდანვე ოჯახში ჩაუნერგა დედ-მამამ:

„მამა-ჩემმა ძალიან კარგი ზღაპრები იცოდა და ჩვენც გვიყვარდა ყურის-გდება ზღაპრისა“, ან კიდევ: „მამამ დაიწყო: მე ადრეც მიამბნია, რომ ჩვენს ქვეყანას ძალიან ემტერებოდნენ თათრები. მოსვენებას არ გვაძლევდნენ, ხან აქედამ, ხან იქიდამ მოგვესეოდნენ ხოლმე. ჩვენც, რაც შეგვეძლო, რაც ძალი და ღონე გვქონდა, ვებრძოდით, ვეომებოდით“,- ასე ალაპარაკებს ილია ჭავჭავაძე მამას მოთხრობაში „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“, ხოლო ავტობიოგრაფიაში პირდაპირ წერს: „მამაჩემი რამდენადმე განათლებული კაცი იყო, აფიცრად მსახურობდა ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკში და რუსული კარგად იცოდა“.

ილიას მამიდა მაკრინე

მაინც, ილიას პირველი მასწავლებელი და შთამაგონებელი დედა ყოფილა. ილია ჭავჭავაძე წერს:

„დედაჩემმა მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა. სულ ზეპირათა ჰქონდა დასწავლული თითქმის ყველა ლექსი და ყველა ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც კი იშოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი ან ხელნაწერი. საღამოობით დაგვსხავდა ბავშვებს და გვკითხავდა: აბა, ვინ უფრო კარგად მიამბობს, რაც გუშინ გაიგონეთო. ვინც კარგად ვუამბობდით, გვაქებდა და ამ ქებას ჩვენც დიდად ვაფასებდით“.

მაგდანა (მარიმ) ბებურიშვილი სანამ 1832 წელს გრიგოლ ჭავჭავაძის მეუღლე გახდებოდა, მანამდეც მისი ოჯახი წმინდა ქართული ტრადიციების მატარებელი ყოფილა და ქართული ეროვნული მწერლობის ძეგლთა გადაწერა-გამრავლებას მისდევდა. ასე რომ, როგორც ვხედავთ, ქართული მწერლობის სიყვარული ილიას თურმე დედის ოჯახიდანვე მოსდევდა.

1845 წელს, ალ. ყიფშიძის გადმოცემით, შინაური სწავლის მიღების შემდეგ 8 წლის ილია მიუბარებიათ სოფლის მთავარ დიაკვნისათვის, ვისთანაც გატარებულ სამ წელს წარუშლელი კვალი დაუტოვებია მწერლის ცხოვრებაში. ავტობიოგრაფიაში ილია გადმოგვცემს: „სწავლა 8 წლის დავიწყე ჩვენი სოფლისავე მთავართან ქართულის წერა კითხვითა. მთავარმა ძალიან კარგად იცოდა ქართული და სახელი ჰქონდა განთქმული საღმრთო წიგნების კარგის მკითხველისა. ხოლო უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, მომხიბვლელი თქმა იცოდა ამბებისა. გვიმბობდა მდაბიურად და ბავშვისათვის ადვილად გასაგების ენით უფრო საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა, ვის რა გმირობა მოემოქმედნა, ვის რა ფალავნობა გაეწია, ვის რა ღვაწლი და სიკეთე დაეთესა სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოდ და დასაცველად.

ბევრი ამ ამბავთაგანი ღრმად ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის – „დიმიტრი თავდადებული“ – თემად გამოვიყენე მრავალი წლის შემდეგ. ერთი კიდევ პატარა საშობაო მოთხრობად დავწერე. ჩემს „გლახის ნაამბობში“ ზოგიერთს ადგილს ცხადად ამჩნევია კვალი მთავრის ამბების გავლენისა.

მთავართან ვსწავლობდი ამავე ჩემ სამშობლო სოფლის გლეხკაცების შვილებთან. რამდენადაც მახსოვს, ხუთნი თუ ექვსნი ვიყავით. ყველანი შინიდან დავდიოდით მთავართან დილ-დილით და სწავლა გვქონდა შუადღემდე.

ილიას დედა სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვლილა ყვარელში 1848 წლის 4 მაისს. მაშინ ილია 10 წლის იყო. დედით დაობლებული ძმისშვილების პატრონობა იტვირთა მამიდამ – მაკრინე პაატას ასულმა ჭავჭავაძე-ერისთავისამ. მაკრინე გათხოვილი იყო ივანე არაგვის ერისთავზე და ამ დროს დაქვრივებული იყო. მაკრინე პაატას ასულმა ჭავჭავაძე-ერისთავისამ და მართლაც რომ ნამდვილი დედობა გაუწიათ მათ.

ასე გაიარა ილიას ბავშვობამ. მეთერთმეტე წელში გადამდგარი ილია 1848 წლის იანვრისათვის მამამ თბილისში ჩამოიყვანა.პატარა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებაში დგებოდა ახალი ხანა-თბილისის ხანა, პანსიონსა და გიმნაზიაში განსწავლის წლები...

გიმნაზიელი
ილია ჭავჭავაძე

თბილისი

პანსიონსა და და გიმნაზიაში
1848-1856 წლები

1848 წლის იანვრისთვის გრიგოლ ჭავჭავაძემ თავისი მეორე ვაჟიშვილი მაშინდელ ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო რაევსკის და ჰაკეს კერძო პანსიონში მიაბარა, სადაც 4 წელიწადს სწავლობდა.

1851 წელს სწავლის გასაგრძელებლად ილია თბილისის გიმნაზიის მეოთხე კლასში შევიდა.

1852 წლის 10 დეკემბერს, როცა ილია თბილისში უკვე გიმნაზიელი იყო, ყვარელში მამაც გარდაეცვალა. ამის შემდეგ მთელი ოჯახის ტვირთი და ხუთი ობოლი ძმისშვილის აღზრდა-პატრონობა მამიდა მაკრინეს დააწვა მხრებზე. სწორედ ამ დიდი სულიერი ტკივილის გამოა დაწერილი ჩვენამდე მოღწეული ილიას ყრმობის დროინდელი, მისი ერთ-ერთი პოეტური ცდა “მოთქმა საწყლისა“. 15 წლის გიმნაზიელის ცხოვრებაში მომხდარ ამ ღრმა ტრამვას შეიძლება მიეწეროს ის ფაქტი, რომ ილიას ამ დროს საგნებში არასახარბიელო ნიშნები მიუღია, რის გამოც იგი გიმნაზიის იმავე მეოთხე კლასში დაუტოვებიათ. სამაგიეროდ, 1853 წელს ილიას მდგომარეობა საგრძნობლად გამოუსწორებია.

ილიას ბავშვობისა და მოწაფეობის ხანა მშფოთვარე პერიოდია ჩვენს ისტორიაში,, ეს არის კავკასიისა და ყირიმის ომების ხანა, ბატონყმობის მძიმე უღლისა და რუსეთის თვითმპყრობლობის ბრძოლის ხანა. 1854 წლის ივლისში წინანდალზე ლეკთა თავდასხმამ იმსხვერპლა მისი უფროსი ძმა კონსტანტინე.

პეტერბურგს გამგზავრება,

პეტერბურგის უნივერსიტეტი.
1857-1861 წ.

თბილისის გიმნაზიის რვა კლასის დამთავრების შემდეგ ილიას მტკიცედ ააქვს გადაწყვეტილი რუსეთში წასვლა უმაღლესი განათლების მისაღებად. რუსეთში წასვლამდე ილია ყვარელში იმყოფება. იგი ამ დროისათვის რამოდენიმე ორიგინალური ლექსის ავტორი გახლდათ. 1857 წლის 15 აპრილს სოფელ კარდანახში დაწერა ლექსი **„ყვარლის მთებს“.**

1857 წლის ივლისში ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში ჩავიდა და წარმატებით ჩააბარა უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები იურიდიული ფაკულტეტის კამერალურ განყოფილებაზე, რომელიც იძლეოდა ეკონომიკურ-ფინანსური და ადმინისტრაციული დარგების ცოდნას.

სტუდენტი
ილია ჭავჭავაძე

1859 წლის ზაფხულში ავადმყოფი ილია რამდენიმე თვით ჩამოსულა საქართველოში გამოსაჯანმრთელებლად და აქ შემოდგომამდე დარჩენილა.

ილიას სტუდენტობის დროის შესახებ მოიპოვება მოგონებანი ილიას მეგობრის **კოსტა აფხაზისა**, რომელიც ილისათან ერთად სწავლობდა, როგორც გიმნაზიაში, ისე უნივერსიტეტშიც, და **ნიკო ნიკოლაძისა**, რომელიც ილიას შემდეგ ჩავიდა პეტერბურგში. ნიკო ნიკოლაძის დროს პეტერბურგის სტუდენტობაში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ხსოვნა სტუდენტ ილიას შესახებ, რომელიც პეტერბურგის ქართველი სტუდენტობის მიერ აღიარებულ ხელმძღვანელად ითვლებოდა.

კოსტა აფხაზი გადმოგვცემს:

„უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტუკური და ეკონომიური სამეცნიერო საგნები აინტერესებდა. ჩვენ სტუდენტები, ხშირად ვიკრიბებოდით და ვბაასობდით როგორც საზოგადო კითხვებზედ, აგრეთვე ჩვენს დაბეჩავებულს სამშობლოს მომავალზედ. ვკითხულობდით ხშირად ქართულ წიგნებს“.

ილიას სტუდენტობის ხანა პეტერბურგში დაემთხვა რევოლუციებისა და ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ომების, მათი მუდმივი გამოძახილის პერიოდს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ახალგაზრდა ილია, თავისი დამონებული სამშობლოს მომავალ ბედზე ფიქრით მოცული, მღელვარებით ადევნებდა თვალყურს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას ევროპაში. როდესაც 1860 წლის გაზაფხულზე გარიბალდიმ აიღო მესინა,

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები, 1861 წ. დგანან: (მარცხნიდან) ალექსანდრე (კოსტა) აფხაზი, მიხეილ ჩიკვაიძე, სხედან: ლუარსაბ (შაქრო) მაღალაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ალექსი მესხიშვილი, გიორგი ყაზბეგი, წინ — ბელოი.

ხოლო შემდეგ იტალიის ნახევარკუნძულზე გადმოვიდა, ილია ამას აღფრთოვანებული მიესალმა ლექსით: **„მესმის, მესმის სანატრელი, ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა“**

ილიას დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა ოცდაათამდე ქართველი სტუდენტი. ილიას გარშემო შემოკრებილი ქართველი სტუდენტობა შეადგენდა იმ ბირთვს, რომელმაც საქართველოში დაბრუნების შემდეგ, შეადგინა **„პირველი დასი“**.

ილიას დროს შეიქმნა რუსეთში ქართველი სტუდენტობის — **„თერგდალეულთა“** ტრადიციები.

1857-1861 წლები არაჩვეულებრივად უხვი გამოდგა სტუდენტი ილია ჭავჭავაძისთვის შემოქმედებითი ნაყოფიერების თვალსაზრისით. სტუდენტობის 4 წელი უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჭავჭავაძის როგორც პიროვნებისა და მოქალაქის, მოაზროვნისა და მწერლის ფორმირებისა და სრულყოფისათვის, მისი პროგრესული სოციალური-პროგრესული, ფილოსოფიური და ესთეტიკური მრწამსის შემუშავებისათვის. იგი იმთავითვე ინტენსიურად და საფუძვლიანად სწავლობდა საქართველოს ისტორიასა და ქართულ მწერლობას. რუსულ და ევროპელ მწერალთა და მეცნიერთა მემკვიდრეობას; გატაცებით დაეწაფა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების — ბელინსკის, გერცენის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის ნააზრევს, რაც დაუკავშირა საკუთარი ხალხის პროგრესისათვის ბრძოლის მიზნებსა და ამოცანებს.

საქართველოში დაბრუნება

„როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას“

1861 წლის გაზაფხულზე, აპრილში ილია ჭავჭავაძემ დატოვა პეტერბურგის უნივერსიტეტი და საქართველოში გამოემგზავრა. ამშობლოსთან შეხვედრის მოლოდინით აღძრული ფიქრები, მისი ჭირვარამის, მისი „დაუყუჩებელი ტკივილების“ მწვავე განცდა და მზადყოფნა მისთვის ერთგულად მსახურების მხატვრულად აისახა „მგზავრის წერილებში“, რომელიც არა მარტო ავტორის ან **„თერგდალეულების“** მიზნებსა და ამოცანებს, არამედ მთელი ქართველი ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს, საზოგადოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უწმინდეს იდეალებს გამოხატავდა და მიზანდასახული აქტივობის, მოქმედებისა და ბრძოლის წყურვილითა და მოწოდებით იყო განმსჭვალული. „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება და როგორ შემეყრება იგი მე — ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?“

ილიამ საქართველოში ჩამოსვლის პირველ წელსვე თავის გარშემო შემოიკრიბა ახალი თაობა, ქვეყნის ცოცხალი ძალები. ამ დროს ჩაეყარა საფუძველი ილიას მოთავეობით იმ საზოგადოებრივ დაჯგუფებას, რომელიც **„პირველი დასის“** სახელით არის ცნობილი.

შორეული მგზავრობიდან დაბრუნებული და ახლად გაჩაღებულ ლიტერატურულ ბრძოლაში ჩაბმული ახალგაზრდა პოეტი ზაფხულსა და შემოდგომას მშობლიურ ყვარელში ატარებს, სადაც იგი 1861 წლის აგვისტოსა და ოქტომბერში ქმნის ორ ახალ შესანიშნავ ლექსს **„მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“** და **„ჩემო კალამო“.**

1863 წლის 10 აპრილს, ილია ჭავჭავაძე დაქორწინდა საგურამოს მფლობელ თავად თადეოზ გურამიშვილის ასულ ოლღა გურამიშვილზე. ამ ხნიდან მოყოლებული თვით ტრაგიკულ აღსასრულამდე ილიას ცხოვრება და შემოქმედება უკვე განუყრელად არის დაკავშირებული მის სახელთან...

1863 წელს ილია ჭავჭავაძე აარსებს ჟურნალს ***„საქართველოს მოამბე“***, რომელიც მიუხედავად უმძიმესი საცენზური პირობებისა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჭეშმარიტ მედროშედ იქცა.

მძიმე პირობებში ილიამ შეძლო გამოეცა „საქართველოს მოამბის“ 12 წიგნი, რის შემდეგაც ჟურნალი დაიხურა...

სახელმწიფო სამსახურში
ქუთაისი და დუშეთი
1864-1873

1863 წლის ბოლოს ჟურნალ **„საქართველოს მოამბის“** დახურვის შემდეგ, ილია ჭავჭავაძე იძულებული შეიქმნა სახელმწიფო სამსახურში შესვლაზე ეფიქრა, რათა ნივთიერი სახსარი მოეპოვებინა: „1864 წლის დამდეგს, როცა განიზრახეს გლეხკაცობის განთავისუფლების რეფორმა საქართველოში, გამგზავნეს იმერეთს, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ და დამავალეს გამომერკვია, თუ რა ურთიერთობა სუფევდა მემამულეთა და გლეხკაცთა შორის ბატონყმობისგან წარმომდგარი“, — წერს ილია თავის ავტობიოგრაფიაში.

კავკასიის მეფისნაცვლის 1868 წლის 1 თებერვლისს ბრძანებით, თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე დაინიშნა თბილისის გუბერნიის დუშეთის მომრიგებელი განყოფილების მომრიგებელ მოსამართლედ, წლიური ხელფასით – 2400 მანეთი, შემდეგ — საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით — მომრიგებელ შუამავლად აღმოსავლეთ საქართველოში. 1868—1873 მუშაობდა დუშეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლედ. ამ ხანებში დაწერა მან **„გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები“** (1865), გადაამუშავა **„ქართვლის დედა“** (1871) და **„აჩრდილი“** (1872), დაასრულა მუშაობა დიდი ხნის წინ ჩაფიქრებულ **„მგზავრის წერილებისა“** (1871) და **„გლახის ნაამბობზე“** (1872), ამავე პერიოდში შეიქმნა ეროვნული წყლულების მტკივნეული აღქმით გამოწვეული მწვავე სატირული ლექსები — **„რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია**

ოლღა ჭავჭავაძე (მარჯვნიდან პირველი), ილია ჭავჭავაძე (უკანა რიგში მარჯვნიდან მეორე), დუშეთის საზოგადოებაში (1870 წ.)

მეცხრამეტე საუკუნისა“ და **„ბედნიერი ერი“** (ორივე 1871), ქართული პატრიოტული ლირიკის უბრწყინვალესი ქმნილებათაგანი — **„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია“** (1872); სატირულ-პუბლიცისტური ლექსები **„გამოცანები“**, „კიდევ გამოცანები“ და **„პასუხის პასუხი“** (1871—1872).

ქართული ბანკის დაარსება. „მეფე ლირის“ თარგმნა და გამოცემა 1873-1876

1873 წლის მაისში ილია ჭავჭავაძე გამოვიდა სახელმწიფო სამსახურიდან და თბილისში გადმოსახლდა.

საქართველოში ბატონყმობის გადავარდნის დაწყებისთანავე, გამოჩენილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ **დიმიტრი ყიფიანმა,** რომელიც ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობის წინამძღოლი იყო, **წამოაყენა ბანკის დაარსების იდეა.**

ილია ჭავჭავაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბანკის წესდების შემუშავებელ სხდომებში. **1873 წლის მაისში ილია ჭავჭავაძე ბანკის წესდების დამტკიცების დასაჩქარებლად და საბანკო საქმეების შესასწავლად, დავით ყიფიანთან და დიმიტრი ყაზბეგთან ერთად რუსეთს გაემგზავრა.**

ბანკის წესდების მოლოდინში ილია ჭავჭავაძე პოულობს თავისუფალ დროს და პეტერბურგში ხელს კიდებს ახალ დიდ საქმეს„ უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტ **ივანე მაჩაბელთან** ერთად იგი იწყებს შექსპირის **„მეფე ლირის“** ქართულად გადმოთარგმნას.

ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი.

ბანკის წესდების დამტკიცებას, რომ კარგი პირი შეატყო, ილია აღარ დაელოდა საბოლოო გადაწყვეტილებას და ათი თვის ტაჯვა-წვალების და რუდუნების შემდეგ, 1874 წლის აპრილის დამდეგს პეტერბურგიდან სამშობლოში გამარჯვებული გამოემგზავრა.

1874 წლის 28 მაისს ფინანსთა მინისტრმა რეიტერნმა ბოლოს და ბოლოს დაამტკიცა თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის წესდება.

1875 წლის თებერვლიდან ამოქმედდა თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი, რომელსაც მთელი 30 წლის მანძილზე 1905 წლის 23 ივნისამდე სათავეში ედგა ილია ჭავჭავაძე.

ილია არც „მეფე ლირის“ დაბეჭდვის საქმეს ივიწყებს. 1877 წლის თებერვალში ილიამ „მეფე ლირი“ ცალკე წიგნად გამოსცა.

„ივერია“

პირველი პერიოდი

1877-1885

ილია და „ივერია“ ყოველი ქართველის ცნობიერებაში ერთმანეთისაგან სამუდამოდ განუყოფელი ცნებებია. გაზეთის პირველი ნომერი დაიბეჭდა 1877 წლის 3 მარტს. ყოველკვირეული გაზეთის სახით.

1879 წლიდან „ივერია“ გადაკეთდა ყოველთვიურ ჟურნალად, რის ნებართვაც ილიასთვის კავკასიის მეფისნაცვლის მთავარმმართველობის უფროსს გენერალ-ლეიტენანტ დიმიტრი სტაროსელსკის მიუცია.

1880 წლიდან „ივერია“ გადაკეთდა სამთვიურ ორგანოდ.

1881 წლიდან „ივერია“ კვლავ ყოველთვიურ ჟურნალად გადაკეთდა და ასე გამოდიოდა 1885 წლის ჩათვლით.

ორიგინალურ მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად ამ პერიოდში ილიამ ქართული ლიტერატურა გაამდიდრა, როგორც მხატვრული, ისე მეცნიერული ძეგლების თარგმანებითაც. აგრეთვე მრავალფეროვანია მისი პუბლიცისტიკა.

ფასდაუდებელია ის ამაგი, რომელიც ამ პერიოდში (1877-1885) ილია ჭავჭავაძემ დასდო ქართულ სკოლას, საერთოდ ქართულ სწავლა-აღზრდისა და განათლების საქმეს და, რაც მთავარია, სკოლაში ქართული ენის უფლებათა დაცვას.

ამავე პერიოდში დღის წესრიგში დგება **„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“** დაარსების საკითხი.

წესდების პროექტზე 1878 წლის 30 იანვარს ხელი მოუწერია 126 დამფუძნებელ წევრს, ხოლო

დ.ყიფიანს, ბ. ღოღობერიძეს და ი. ჭავჭავაძეს დასამტკიცებლად მთავრობისთვის წარუდგენიათ 1878 წლის 20 ივნისს, რომელიც ზოგიერთი ცვლილების შემდეგ დაუმტკიცებიათ 1879 წლის 31 მარტს, რის შესახებაც ოფიციალური ცნობა 1879 წლის 14 აპრილს მიიღო დამფუძნებელ წევრთა რწმუნებულმა დ. ყიფიანმა თბილისის გუბერნატორისგან.

საყოველთაოდ ცნობილია ილია ჭავჭავაძის ამაგი, რომელიც მან ქართველ მოღვაწეებთან ერთად დასდო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიას და მისი შენობის აგებას, რომელიც შემდეგში გახდა აკვანი თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისა.



ძველი და ახალი „ივერია“

„ივერია“ – მეორე პერიოდი

1886-1901

1885 წლის 16 სექტემბერს, მთავრობის განკარგულებით, „მავნე“ მიმართულებისათვის სამუდამოდ აიკრძალა ეთადერთი ყოველდღიური გაზეთი „დროება“. ილია ჭავჭავაძე მაშინვე შეუდგა ყოველთვიურ ჟურნალ „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთების სამზადისს. ილიას დაუბეჭდავს მომავალი გაზეთის სარეკლამო ფურცელი: „ქართული ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია“ გამოვა ჟურნალის სამაგიეროდ 1886 წლის I-ს იანვრიდამ ყოველ-დღე“.

მართალია „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გამოსვლის პერიოდში ილიას შემოქმედებითი ძალა და ენერგია უმეტესად პუბლიცისტურ-ჟურნალისტურმა მუშაობამ და საზოგადო მოღვაწეობამ შთანთქა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ილიას დიდმა მხატვრულმა ტალანტმა ამ პერიოდშიც შექმნა რამდენიმე პირველხარისხოვანი პოეტური და პროზაული შედევრი, მათ შორის, ქართული პროზის შედევრი **„ოთარაანთ ქვრივი“**

საგურამოში, თავის მიერ გაშენებულ სახლკარში ჩაუყარა საფუძველი ილიამ შესანიშნავ ტრადიციას – ყოველ 20 ივლისს, წმ. ილიას სახელწოდების დღეს, იგი აქ მართავდა „ილიაობას“, რომელიც დროთა განმავლობაში ჭეშმარიტ ეროვნულ დღესასწაულად იქცა!

1897 წლის იანვარში შესრულდა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავი.

1891 წელს ილია ჭავჭავაძეს ჯანმრთელობის სერიოზული შერყევა გამოაჩნდა.

1900 წელს ილია სამკურნალოდ ევროპაში მიემგზავრება (გერმანია, ავსტრია).

ივერიის გარეშე

1902-1907

ილიას და ოლღას სახლი ანდრიას ქუჩაზე

ევროპაში მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ილია ერთ წელს კიდევ უძღვებოდა თავის გაზეთს, მაგრამ 1901 წლის 5 დეკემრიდან რედაქტორობა ალექსანდრე სარაჯიშვილს გადასცა, თუმცა „ივერიის“ 1902 წლის №1-152 -ის გამომცემლად მაინც ილია დარჩა. ამის შემდეგ ილია უკვე საბოლოოდ ჩამოსცილდა „ივერიას“ და ერთხანს აქტიურ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც უფრო ნაკლებ ედგა კვალში.

1902 წლიდან ილია და ოლღა ჭავჭავაძეები ნიკოლოზის ქუჩაზე მდებარე საგნაშვილისეული სახლიდან საცხოვრებლად გადავიდნენ მაშინდელ ჯერ ვაგზლის ქუჩაზე და ცოტა ხნის შემდეგ ანდრიას ქუჩაზე.

1903 წელს ილია ჭავჭავაძე აფხაზეთში ჩადის. გაგრაში ახალი სასწავლებლის დაარსებაში მონაწილეობისთვის.

დადგა 1905 წელი.

ილია ამ დროს უკვე 68 წლის მოხუცი, ავადმყოფობით იყო გატეხილი.

ილია სტუმრად შერვაშიძეებთან.
აფხაზეთი. 1903 წ.

ილია 1905 წელს გამოდის საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით.

1906 წლს მარტში ილია ჩავიდა პეტერბურგში სრულიად რუსეთის თავადაზნაურობის საიმპერიო ყრილობაზე, როგორც საქართველოდან გაგზავნილი დელეგატი-ამომრჩეველი სახელმწიფო საბჭოსი.

ი ლ ი ა სახელმწიფო საბჭოს წევრებთან ერთად.

1906 წლის აპრილში იგი არჩეული იქნა სახელმწიფო საბჭოს წევრად.

ილია ჭავჭავაძე იყო ერთი და მხოლოდ მას ერთს შეეძლო ერის მტრისათვის ღირსეული პასუხის გაცემა.

1906 წლის 6-8 აპრილს ილია აირჩიეს სახელმწიფო საბჭოში თავად-აზნაურობის წარმომადგენლად. იგი მეორე დღესვე რუსული გაზეთების კორესპონდენტებთან ინტერვიუში აცხადებს: "არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელ საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები, საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემს ღონეს!" (ჟურნ. "განათლება", 1908 წ. 3-4, გვ 108).

ილიამ გაუბედურებული ხალხის ინტერების დაცვა აქტიურად განაგრძო. მან მოითხოვა ადამიანის სიკვდილით დასჯის შესახებ კანონის გაუქმება, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა, საქართველოს ავტონომია.

სახელმწიფო სავჭოს პირველი სესია გაგრძელდა 1906 წლის 27 აპრილიდან 12 ივლისამდე. ივლისში ილია საქართველოში დაბრუნდა. აქ იგი თებერვლამდე დარჩა. თებერვალში ილია ისევ რუსეთს გაემგზავრა სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე. ივლისში ილია მეუღლით დაბრუნდა საქართველოში...

ᲬᲘᲬᲐᲛᲣᲠᲐᲛᲓᲔ 13 ᲗᲕᲔ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲧᲝ...

ნ ი ნ ა მ უ რ ა მ დ ე...

მამუღლი, ენა, სარწმუნოება

ილია ჭოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, წმინდანი

ყვარლის მთებს

სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა:
თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!
მახსოვს, ყმა ვიყავ, ძლივს მოსული გონს და ცნობასა,
როს სიდიადე თქვენი მგვრიდა კანკალს, ურჟოლასა...
იგი არ იყო შიშის ურჟოლა, შიშის კანკალი,
იგი არ იყო ძვრა გულისა მფრთხალი და მხდალი.
მე თრთოლვით ვსჭვრეტდი ლაჟვარდ ცაზედ თქვენსა სიმაღლეს
და შევნატროდი ყმაწვილურად თქვენს ზემო მხარეს;
სადაც ღრუბელნი ვერ ჰბედავდნენ შიშით სრბოლასა.
სადაც ისმენდით ამაყადა გრიგალთ ქროლვასა,
სადაც წეროთა ქარავანი, ცას დაღუპული,
თქვენ თავთან იყო თითქმის ძლივ-ძლივ გასწორებული, —
იქ მე ვნატრობდი, ყმაწვილ ყრმობის სიმარტივითა,
ფრენას და ტანტალს თქვენს საშინელ გრიგალივითა.
ვნატრობდი ხოლმე, რომ ვეხვიო სუბუქსა ქარსა,
ან თავისუფალ არწივისა ძლიერსა ფრთასა,
რომ აღმოვფრინდე და შევეხო თქვენს ამაყ თავსა.
როცა ჰღმუოდნენ ხევში მძვიფრნი სასტიკნი ქარნი,
ვითარ მრისხანე დაჭრილ ლომთა საშიშნი ხმანი,
ვითა ფოთოლი — ისე ვთრთოდი, ვუგდებდი რა ყურს,
იმ ხმებში ვგრძნობდი მე რაღაცას ნაცნობს, მშობლიურს.
თუ მაშინ ყრმისთვის უცხო იყო თავმოწონება,
აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება
თქვენს შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი,
გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართვლად გაზრდილი.
როს ყმაწვილური მწუხარება ჩემს ყმაწვილურს გულს
სჩაგრავდა ხოლმე, თქვენ-წინ ვღვრიდი ჩემ ცრემლთ ნაკადულს,
თქვენ შეგჩიოდით, შეგტიროდით, თუმც კი იმ ჩემს ცრემლს,
როგორცა ეხლა, ისე მაშინ არ სცემდით ნუგეშს...
და ეს აჩრდილნი საოცნებელთ წარსულთა წამთა
ჩემს სიკვდილამდე მემარხება გულშია ღრმათა!..
რარიგ მიყვარდით, მეგობარნო ჩემ ყმაწვილ ყრმობის,
და აწ მაშორებს თქვენთან ვალი ამ წუთის-სოფლის,
მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლადა
და რას მომთხოვდა უარესსა დასასჯელადა?!
ყოვლი ნაბიჯი ჩემის ცხენის თქვენთან მაშორებს,
ყოველი წუთი გკარგავს თქვენა და მეც მაობლებს...
აგერ თქვენც ჰქრებით თანდათანა... თქვენსა მწვერვალსა
ძლივს ვარჩევ... წუთიც!.. მხოლოდღა ვსჭვრეტ ციაგსა ცასა.
ამაოდ ვებრძვი მანძილსა და ჰაერის სისქეს
და მოუსვენრად ვატანტალებ მწუხარს თვალსა ჩემს!..
თქვენნი მწვერვალნი აღარ სჩანან და მშვენივრად ცას
აღარ უმკობენ ერთნაირსა ციაგს კამარას!..
მშვიდობით, ჩემნო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა...
უცხოეთიდამ კვლავ მოგაწვდენთ ჩემს გულს და თვალსა;
კვლავ გაგიღიმებთ შორ ქვეყნიდამ თქვენ ჩემი სული,
და დამიწყებსცა სიყვარულით ფეთქასა გული.

1857 წელი.

მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული

მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ
სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება.

დაჟინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად
იძვრის ჩემს გულში,
და მე არ ვჩივი, — მიხარიან,
რომ ეგრეთ ჰშრვება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში,
შენს სიყვარულში.

მაგრამ მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში, კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!..

პოეტი

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.
მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა.
დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში;
ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული...
მაშინ ციდამ ნაპერწკალი
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა!

ჩემო კალამო. . .

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?
რასაც ვმსახურებთ,
მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა
უშიშარად მოვფინოთ ხალხში
ბოროტთ საკლავად, —
მათ სულთ-ხდომის სეირს ვუყუროთ.

თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული,
ხომ იცის ღმერთმა,
რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი:
აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა
და დაე გვძრახონ, —
ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი.

ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს,
ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრიყვნი ამბობენ,
კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!

დაე თუნდ მოვკვდე არ მეშინიან. . .

დაე თუნდ მოვკვდე
არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე,
რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი;

რომ ჩემს საფლავზედ
დაყუდებულმან
ქართველმა, ჩემგან შეყვარებულმან,
გულწრფელობითა და სიმართლითა,
მე ჩამომძახოს თუნდ ჩუმის ხმითა:

იყავ მშვიდობით
შენს მყუდრო ძილში!
შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა;
თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან —
ჩრდილში
ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა.

ბაზალეთის ტბა

ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო,
და მის გარშემო, წყლის ქვეშე,
უცხო წალკოტი ჰყვავისო.
მწვანეა მუდამ წალკოტი,
არასდროს, თურმე, არ სჭკნება,
ქვეყნისა დროთა ტრიალსა
იგი არ ემორჩილება.
ვერ ერჩის, თურმე, მის მწვანეს
ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი,
და იმის მზიან ჩრდილებში
მუდამ გაზაფხული არი.
წალკოტის შუაგულშია
ის აკვანი ასვენია,
და ჯერ კაცთაგანს იქ ჩასვლა
არავის გაუბედნია.
მარტო ერთნი სირინოზნი
იმ აკვანს გარს ეხვევიან,
მარტო იგინი გრძნეულნი
დასტრფიან და დამღერიან...
ამბობენ, — თამარ დედოფალს
ის აკვანი იქ ჩაუდგამს,
და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით
ტბა კარვად ზედ გადუხურავს.
ამას კი აღარ ამბობენ —
აკვანში ვინ ჩააწვინა,
ან თვით ერმა თვისი ცრემლი
ზედ ტბად რისთვის დაადინა...
იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?
თუ ესე არის, ნეტა მას,
ვაჟკაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აკვანსა!
თუ ესე არის, ნეტა მას,
დედასა სახელდებულსა,
ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის
თვის ძუძუს მადლით ცხებულსა!

ქართვლის დედას

„აწმყო, შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მომავალისა“.

ლეიბნიცი.

ქართვლის დედაო! ძუძუ ქართვლისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;
დედის ნანასთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა...
გაჰქრა ის დროცა!.. დიდმა ნაღველმა,
კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა,
სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა,
თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა.
მითხარ, — სადღაა მამა-პაპური
მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,
სახელისათვის ამაყი თრთოლა,
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?
მას ნუღარ ვსტირით; რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...
აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, —
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, —
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...
მენდე, მიიღებს ნერგს, შენგან დარგულს,
და მოგცემს ნაყოფს, ვით კაცი, კაცურს.
დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული.

მგზავრის წერილები

ვლადიკავკასიდამ ტფილისამდე

I

დილის ექვსი საათი შესრულდა თუ არა, იმ სასტუმროს წინ, რომელიშიაც მე წინა ღამეს ჩამოვხტი, რუსის პირდაუბანელმა და თავდაუვარცხნელმა „იამშჩიკმა“ ფოშტის პოვოსკა მოაყენა. ეს იყო ვლადიკავკასში. საკვირველია! რუსის მხატვრების სურათებზედ რა ლამაზად არის ხოლმე გამოყვანილი ამ სქელკისერა „იამშჩიკის“ ბრიყვი სახე, იმისი ოყრაყული სანახაობა, იმისი მიდუნ-მოდუნებული ზლაზვნა, უადამიანო და პირუტყვული მიხვრა-მოხვრა. რამოდენადაც სურათია კარგი, ორ იმოდენად საძაგელია ნამდვილი. მაგრამ ამბობენ: И дым отечества нам сладок и приятен. კვამლის სიტკბოებაზედ კი უკაცრავად, და სიამოვნებაზედ კი ამას მოგახსენებთ, რომ კვამლი ფრიად სასიამოვნოა, - პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭვრეტას უშლის, მეორე იმისათვის, რომ კვამლი ხშირად თვალიდამ ცრემლს გვაყრევინებს ხოლმე. ოჰ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურებასაც ვერა ვხედავთ.

როცა ავიბარგე, ესე იგი ჩემი ერთადერთი ბოხჩის ოდენა ტყავის ხურჯინი ჩავაგდე პოვოსკაში, მივუბრუნდი ჩემს ახლად გაცნობილს ფრანსიელს გამოსასალმებლად.

- ეგ ეტლი ვისი მოგონილია? - მკითხა მან და მიმიშვირა ხელი ფოშტის პოვოსკაზედ, რომელზედაც ჯერ არგამოფხიზლებული „იამშჩიკი“ უგემურად სთვლემდა.

- რუსისა, - ვუპასუხე მე.

- მგონი, არა ხალხი მაგაში არ შეეცილოს. მებრალებით, რომ თქვენ იძულებული ხართ მაგას გაალაყებინოთ ტვინი და გაადღვებინოთ გულმუცელი.

- არა უშავს-რა. მთელი რუსეთი მაგით დადის და მე რა ღმერთი გამიწყრება, რომ დამიშავდეს რამე.

- მაგით დადის?! იმიტომაც შორს არის წასული!.. ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ. მე კი, სწრედ გითხრათ, თავს ვერ გამოვიმეტებდი, რომ მაგაში ჩავმჯდარიყავ. მშვიდობით! თუ შევხვდეთ ერთმანეთს კიდევ როდისმე, გთხოვთ მიცნობდეთ.

ამ სიტყვებზედ მომაწოდა ხელი გამოსასალმებლად და ისე მჭიდროდ მომიჭირა ხელი, როგორც მარტო ევროპელმა იცის ხოლმე.

პოვოსკაში ჩავჯექ.

პოვოსკა ჩემს ჩაჯდომაზედ შეტოკდა. „იამშჩიკმა“ თვალები აახილა და ბღვერა დამიწყო. მერე აკრიბა სადავეები, „მწუო, მწუო“, დაუწრუწუნა უჭმელობისაგან გადალეულს და ყურებჩამოყრილ ცხენებს და მოუღერა შოლტი. ცხენები მიდგნენ-მოდგნენ, მაგრამ ალაგიდან არ დაიძრნენ. Ну, чо-о-орт; трогай што-ли! დაიყვირა „იამშჩიკმა“, აიქნივა სადავენი და ფეხებითაც ტყაპუნი დაიწყო. შენც არ მომიკვდე, ცხენებმა ყურიც არ გაიბღერტეს. ამ ყოფას ის ჩემი ნაცნობი ფრანსიელი ფანჯრიდამ უყურებდა და სიცილითა სკდებოდა. რა უხაროდა იმ სულელს?

- მაგით დადის!.. ხა, ხა, ხა! - ხითხითებდა იგი, - ვიღა დაეწევა!

თუმცა მე სამხიარულო არა მჭირდა-რა, მაგრამ მეც გამეცინა. „იამშჩიკმა“ თავისი ძროხის თვალები ჩემკენ მწყრალად მოაბრუნა და ისე მრისხანედ შემომიბღვირა, თითქო მემუქრებოდა: შენც ეგრეო. მერე ისევ ცხენებს მიუბრუნდა და ყოველს მათგან თითო შოლტი გადაუჭირა. ცხენებმა ამის პასუხად ტყუპ-ტყუპი ტლინკი აყარეს, როგორც იყო ადგილიდამ დასძრეს ჩვენი პოვოსკა და ძუნძულით გასწიეს. დანჟღრეულმა ზარმა დაიწყო თავისი უგემური ჟღარაჟღური, პოვოსკამ ქვებზედ ხტომა და ლაყლაყი ხან აქეთ და ხან იქითა.

II

ამ ყოფით განვშორდი ვლადიკავკასს და პირი ჩემის ქვეყნისაკენ ვქენი. თერგის ხიდი ისე გამოვიარე, რომ, არამცთუ წყალი დამელიოს, თვალიც არ ამიხილებია. მეშინოდა, თერგდალეულობა არ დამწამონ-მეთქი. თერგდალეულები ჩვენს ქართველ კაცს როგორცღაც არ ეჭაშნიკება და არ მოსწონს. ამაზედ ფრიად საფუძვლიანი საბუთი აქვთ: პირველი, იმიტომ არ მოსწონთ, რომ თერგდალეულები მართლა-და თერგდალეულები არიან, მეორე იმიტომ... იმიტომ, რომ მეორესაც თერგდალეულები არიან, მესამე იმიტომ... იმიტომ... იმიტომ, რომ მესამედაც თერგდალეულები არიან. მოდი და ამისთანა ჭკვიანური საბუთი სხვა საბუთით დაურღვიე ჩვენს დარღვეულს ქართველობას.

ეგ დასაღუპავი თერგი! რა ორპირი ყოფილა! დახე, როგორ მიმკვდარა. რაკი ზურგი ჩვენსკენ უქნია და პირი რუსეთისაკენ, რაკი გაუმინდვრებია და გაუვაკნია, როგორღაც ის დეევგმირული ხმა ჩასწყვეტია. ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის თერგი აღარ არის, რომელზედაც ჩვენს პოეტს უთქვამს:

„თერგი ჰრბის, თერგი ჰღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან...“

იქ ისე დამდოვრებულა, ისე მიმკვდარა, თითქო ან როზგქვეშ არის გატარებულიო, ან დიდი ჩინი მიუღიაო. მაგრამ იქნება თერგი იქ ეგრე იმიტომ მიჩუმებულა, რომ მობანე კლდენი გვერდით არ ახლავს, ის კლდენი, რომლის

„კლდოვანთა გულთა ღრუბელნი
შავადა ზედ დასწოლიან
და მრისხანებით ქვეყანას
წარღვნითა ემუქრებიან“.

მაგრამ მაინცდამაინც ვაი შენ, ჩემო თერგო! შენ, ჩემო ძმობილო, ზოგიერთ კაცსავით, საცა მისულხარ, იქაური ქუდიც დაგიხურავს. ცოდვა არ არის, შენი ჭექა-ქუხილი, შენი ზარიანი ხმაურობა, შენი შფოთვა და ფოთვა, შენი გაუთავებელი ბრძოლა ქვე-კლდე-ღრესთან, თითქო შენი განიერი წადილი შენს ვიწრო საწოლში ვერ მოთავსებულაო. ბევრი რამ საგულისყუროა შენში, ჩემო დაუმონავო თერგო, შენს ძლევამოსილს და შეუპოვარს დენაშია. აქ კი მიმრჩვალხარ დამარცხებულ და ნათრევ ლომსავითა. ცოდვა ხარ და ცოდვას შვრები!..

„ჰე, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?“

შუადღე იყო, რომ ლარსის სტანციაში მოვედი. ლარსამდი ჩემმა გულმა ვერაფერი განსაკუთრებითი სიამოვნება ვერ მიიღო-რა, გარდა იმისა, რომ რამოდენადაც ჩემს სამშობლოს ქვეყანას ვუახლოვდებოდი, იმოდენად გარემო ბუნებას ჩემის ქვეყნის ფერი ემატებოდა და თერგს შფოთვა და ღელვა.

შევედი სტანციის ცარიელს ოთახში, ჩაის დალევა მინდოდა და ამის გამო სამოვარის დადგმა შევუკვეთე ერთს ფეხმოტეხილ სალდათსა, რომელიც ბოლო სტანციის გუშაგად გამოდგა. მანამ სამოვარს შემოიტანდნენ, მივწექ გაფიცრულ ტახტზედ და თავი ფიქრებს მივეცი.

ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასთვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, - ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინში და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომელიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთაქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა.

III

რაკი ვლადიკავკასიდამ გამოვედი და ჩემის ქვეყნის სიომ დამკრა, გულმა სხვაგვარად დამიწყო ფეთქვა. პოვოსკაში ქვებზედ ხათქა-ხუთქი უკეთესთა ფიქრთა დამიბნევდა ხოლმე. ახლა კი, როცა სტანციის ოთახის ტახტზედ მამაპაპურად გავიშოტე, ღვთის წყალობა შენ გქონდეს, რომ მე ფიქრს მივეცი სრული ჩემი გულისყური და ყურადღება. ჯგუფად მომიგროვდა ყოველიფერი, რაც კი დამეტოვა ჩემს მშვენიერს პატარძალსავით მორთულს ქვეყანაში, რაც კი მენახა, მეცადნა და მეცნო უცხოეთშია. მრავალნაირი ფიქრები ერთად, რეულად, გონების თვალწინ წარმომიდგნენ, მაგრამ ელვის უმალეს ერთი ფიქრი მეორეზედ მეცვლებოდა, ასე რომ ჩემი გონების თვალი ერთ და იგივე საგანზედ ერთს წუთსაც ვერ გავაჩერე - ერთის სიტყვით, ჩემს ტვინში სრული რევოლუცია მოხდა: ძირს მილაგებულნი ფიქრები მაღლა მოექცნენ, მაღლა დალაგებულნი - ძირსა და მერე აირივნენ ერთმანეთში. სიტყვამ „რევოლუციამ“ არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაიწმინდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ.

ამ ყოფაში ვიყავ. ბოლოს ჩემთა ფიქრთა, ყოველმა თვითვეულად, თავისი შესაფერი ადგილი დაიჭირა ჩემს გონებაში. მათ შორის ერთი უფრო ბრწყინვალედ გამომეხატა. იმ ერთს მოჰყვა მეორე, მეორეს - მესამე, ასე ბოლოს ერთ განუწყვეტელ გრეხილად შემექმნენ. როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, - ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც უცხო ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება ზურგიც არ შემომაქციოს, იქნება მიმითვისოს კიდეცა, რადგანაც ჩემში მაინცდამაინც ჩემის ქვეყნის დვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიამბოს თავის გულისტკივილი, თავისი გლოვის ფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა?

იქნება მიმიღოს კიდეც და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო, რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თვითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ჟოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად. შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ, რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ, რომ მამულს შვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა, გულითაცა, რომლისთვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ, იმიტომ, რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის. მაგრამ ამას სულ სიტყვაზედ ვლაპარაკობ, საქმე კი საქმეშია. შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ? - ვკითხე მე ჩემს თავს და გავჩერდი კიდეც. ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ შესწყვიტა ის ზემოხსენებული ჩემი ფიქრების ფერადი გრეხილი.

- მართლა-და რა უნდა ვქნა? - ვკითხე მე ჩემს თავს ხმამაღლივ.

- ჩაი უნდა მიირთოვო, - მიპასუხა სტანციის გუშაგმა, რომელმაც ამ დროს შემოიტანა სამოვარი და ჩემს სტოლზედ დადგა.

- ჩაი!..

- სამოვარი იმისთვის არ მიბრძანეთ? - მიპასუხა სულელმა გუშაგმა და გავიდა გარეთ. არ გასულა ამის შემდეგ რამდენიმე წუთი, რომ კარი ისევ გაიღო და ერთმა რუსის აფიცერმა შემოჰყო თავი. იმისი სახის მეტყველება ამჟღავნებდა, რომ ღვინოსა და არაყს ძალიან დაახლოვებით იცნობდა. თვალად ერთი ოცდაათის წლისას ჰგვანდა. ზედ ეტყობოდა, რომ მგზავრი არ იყო.

- ნება მომეცით, - მითხრა მან რუსულად, - გაგაცნოთ ჩემი თავი: მე გახლავართ პადპარუჩიკი . აქ ლარსში ვდგავარ, როტა მაბარია.

- ძალიან მოხარული ვარ, - ვუპასუხე მე, წამოვუდეგ ფეხზედ და ჩამოვართვი გამოწვდილი ხელი.

- საიდამ მობრძანდებით?

- პეტერბურგიდამ.

- ფრიად სასიამოვნოა. ამ უდაბურსა და ვერანა ადგილას ერთი ეგ სიამოვნებაღა მაქვს, რომ შევხვდები ხოლმე მგზავრს განათლებულის ქვეყნიდამ. კაცი, რომელიც გონებითა სცხოვრობს, მოვალეა ღვთისა და ქვეყნის წინაშე შეხვდეს განათლებულს კაცს საბაასოდ გონების გასაფხიზლებლად. დიდად მოხარული ვარ. ბაასი ჭკვის საზდოა.

მითხრა ესა და კიდევ გამომიწოდა ხელი, მეც ხელმეორედ ხელი ჩამოვართვი.

- თქვენ ვინა ბრძანდებით? - მკითხა მან.

- მე გახლავართ ერთი სომხის სოვდაგრის დახლიდარი.

- დახლიდარიო!.. - სთქვა და ტუჩები აიპრუწა.

- დიაღ, ბატონო!

ჩემმა ახალმა ნაცნობმა რომ ეს გაიგონა, მყისვე დიდკაცური სანახაობა მიიღო: მხრები მოიმარჯვა, ის პირველად მორიდებული ლაპარაკი სხვა ჰანგზედ შესცვალა.

- საიდამ მოდიხა-ა-ართ?! - მკითხა გაკვირვებით და დაცინებითაცა.

- პეტერბურგიდამ.

-ჰმ, - ჩაიცინა აფიცერმა, - პეტერბურგიდამ. კარგია, გღირსებიათ პეტერბურგის ნახვა. პეტერბურგი!.. ძალიან კარგი ქალაქია, - სთქვა ესა და არხეინად ჩამოჯდა სკამზედ: - პეტერბურგი!.. ო, ო, დიდი ქალაქის პეტერბურგი!.. ვრცელი ქალაქია!.. არა ჰგავს თქვენ წიტიან ქალაქსა. აბა რა ქალაქია თქვენი ქალაქი? ერთი თავიდამ რომ გადააფურთხო, ფურთხი ქალაქის ბოლოს დაეცემა. პეტერბურგი კი... ხომ გინახავთ პეტერბურგი? რუსეთის გულია. მართალია აქამდისინ მთელი რუსეთი ჰფიქრობდა, რომ მისი გული მოსკოვია, მაგრამ მთელს რუსეთს მე გავუფანტე ეგ ცრუ და უგუნური აზრი: მე მწერალი გახლავართ. გთხოვთ, რომ მიცნობდეთ. ეგრე კი ნუ მიყურებთ. მე დავამტკიცე, რომ პეტერბურგია მთელი რუსეთის გული. იზლერის ბაღი ხომ გინახავთ?

დავუგდევი ყური ამ აფიცერს და გულში კი ვფიქრობდი, ხომ არ გაგიჟებულა-მეთქი, მაგრამ გარდა ამ გადარეულის ლაპარაკისა არა შევატყვერა.

- არა, იზლერის ბაღი გინახავთ, თუ არა? - მკითხა კიდევ იმან.

- პეტერბურგის გულობა რით დაამტკიცეთ? - ვკითხე მე და არ მივეცი პასუხი მის უკანასკნელ კითხვაზედ.

- არა, ჯერ მე მითხარით: იზლერის ბაღი გინახავთ, თუ არა? თქვენ, აქაურები, ესე იგი ქართველები თუ სომხები, სამეცნიერო ლაპარაკს ჩვეულნი არა ხართ, ამიტომაც ერთის საგნიდამ მეორეზედ გადახტებით ხოლმე. თქვენ ზედმიყოლებითი, რიგიანი სჯა არ იცით. ეგ, რასაკვირველია, გაუნათლებლობისაგან მოგდით. მგონი, თქვენ არც კი იცით, - რა არის ცივილიზაცია, ასოციაცია, არღუმენტაცია, ინტელიგენცია, კასსაცია და ფილოლოღია. მაგრამ ესე არაფერი, წარმავალია.

თქვენც გაიწურთნებით. მადლობა ღმერთს, აფიცრობა და ჩინოვნიკობა ბევრი მოდის რუსეთიდამ თქვენს გასანათლებლად. არა, ჯერ მითხარით, იზლერის ბაღი გინახავთ, თუ არა? თუ ეს არ გინახავთ, პეტერბურგიც არ გინახავთ.

- მინახავს.

- გინახავთ? მაშ თქვენ განათლებულებში ფეხი ჩაგიდგამთ. ფრიად მოხარული ვარ, ფრიად მოხარული ვარ. იზლერის ბაღი? როგორი ბაღია, ჰა? ფერიებით სავსე სამოთხე ის არის, აი! ფერიები, ხომ იცით, რა არის? ეგ სამეცნიერო სიტყვაა, იქნება არ იცოდეთ. ეგ მდაბიურად რომ ვთარგმნოთ, იმასა ჰნიშნავს, რომ ის ბაღი სავსეა ჟუჟუნათვალებიან ქალებითა. გინდა ერთს ჩაავლე ხელი, გინდა მეორეს. აი, განათლებას რა შეუძლიან. თქვენი ქალები კი კაცს დაინახავენ თუ არა, იმალებიან. არა, პეტერბურგი... დიდი ქალაქია, ფრიად განათლებული, და იზლერის ბაღი განათლების გვირგვინია, ასეთი ბაღია, რომ „მწუ“.

ამ სიტყვებზედ მეცნიერმა აფიცერმა თითებზედ იკოცა.

- მე იმედი მაქვს, რომ ეს სამოვარი ამ სტოლზედ თქვენთვის სდგას.

- თქვენმა იმედმა არ მოგატყუათ თქვენ.

- მე იმედი მაქვს, რომ თქვენ, როგორც განათლებულის ქვეყნიდამ მოსული კაცი, მეც მითავზებთ ჩაისა.

- არც მაგ იმედს გაგიმტყუნებთ.

- რომიც, რასაკვირველია, გვექნება.

- მაგაზედ კი უკაცრავად.

- ეგ ვერაფერი ნიშანია. თქვენ სომეხი ხართ, თუ ქართველი?

- ქართველი.

- ძალიან მიამა, რომ ქართველი ხართ. თუმცა ჩვენი ლერმონტოვი ამბობს, რომ бежали робкие грузины, მაგრამ მაინც ქართველები სჯობიან იმ პოიებსა. პაპიროზები კი, რასაკვირველია, გექმნებათ.

- გახლავთ.

- იმედი მაქვს, რომ მითავაზებთ.

- დიდის სიამოვნებით, ინებეთ.

- აბა, მაშ თქვენ ჩაი დაასხით და მერე მოვყვეთ სამეცნიერო ლაპარაკსა. თუმცა თქვენთვის ძნელი იქნება სამეცნიერო ლაპარაკის გაგება, მაგრამ მე შიგადაშიგ სამეცნიერო სიტყვებს მდაბიურად გითარგმნით და ამრიგად სამეცნიერო ლაპარაკის გაგებაც გაგიადვილდებათ.

მე ჩაი დავასხი და ერთი ჭიქა იმას დავუდგი. ჩაი რომ მოსვა, გამოაბოლა პაპიროსი და მოჰყვა ლაპარაკსა.

- თქვენი ქვეყანა, მეცნიერის ენით რომ ვთქვა, განათლებული არ არის, ესე იგი, მდაბიურის ენით რომ ვთქვა, გაუნათლებელია. ხომ გესმით?

- ძალიან კარგად.

- აკი მოგახსენეთ, გაგიადვილებთ-მეთქი სამეცნიერო სიტყვების გაგებასა. ახლა დავიწყოთ იქიდამ, რომ თქვენი

ქვეყანა განათლებული არ არის, ესე იგი, გაუნათლებელია. ეს ჩაი მოსკოვისა უნდა იყოს?

- არა, სტავროპოლში ვიყიდე.

- სულ ერთია. ახლა დავიწყოთ, როგორც წელანა ვთქვით, იქიდამ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის. ეგ იმასა ჰნიშნავს, რომ თქვენი ქვეყანა ბნელია. ხომ გესმით?

- დიაღ, კარგად.

- ახლა რაკი იქიდამ დავიწყეთ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის, ისიც უნდა ვთქვათ, რომ განათლება რა არის. მე ამას მაგალითებით აგიხსნით: წარმოიდგინეთ ბნელი ოთახი. წარმოიდგინეთ, თუ არა?

- წარმოვიდგინე.

- არა, იქნება სადმე ერთი ფანჯარა ღია დაგრჩათ, ისიც დაკეტეთ.

- დავკეტე, - ვუპასუხე მე და სიცილი მომივიდა.

- ძალიან კარგი. რაკი ის ფანჯარაც დაკეტეთ, ფარდაც ჩამოაფარეთ.

- ჩამოვაფარე.

- რაკი ფარდაც ჩამოაფარეთ, ოთახიც დაბნელდება, ვეღარაფერს დაინახავთ. უეცრად შემოიტანეს სანთელი, განათდა ოთახი. განათლებაც ეგ არის. სწორედ მოგახსენოთ, არც ეს პაპიროზია ურიგო. პეტერბურგიდამ იქნება?

- არა, ვლადიკავკასში ვიყიდე.

- სულ ერთია. ახლა ხომ გესმით განათლების მნიშვნელობა?

- ძალიან კარგად.

- ახლა, რადგანაც აგიხსენით განათლების მნიშვნელობა, თქვენ უნდა ერთი რამა გკითხოთ: თქვენში ცივილიზაცია როგორ მიდის?

- მაგისას ვერ მოგახსენებთ: დიდი ხანია ჩემს ქვეყანაში არა ვყოფილვარ.

- ეგ არაფერი, მე ეხლავ შევიტყობმ როგორ მიდის: რამდენი გენერლები გეყოლებათ თქვენ, ქართველებს?

- იქნება ერთი ოციოდე მოგროვდეს.

- რაო, ოციოდეო!.. ო, ო, ეგ დიდი საქმეა, - წარმოსთქვა დიდის ყოფით ჩვენმა მეცნიერმა აფიცერმა, - ოციოდეო!.. ამ ერთ მუჭა ხალხში და ოცი გენერალი!.. ეგ, ბატონო, დიდი ცივილიზაცია გქონიათ. ვერ უყურებთ, ოციოდე გენერალი! არა მჯერა. იქნება თქვენ, მეცნიერების ენით რომ ვთქვათ, დეისტვიტელნი სტაცკის სოვეტნიკებსაც მართალ გენერლებშია სთვლით, ესე იგი, მდაბიურის ენით რომ ვთქვა, იქნება შტაცკის გენერლებსა, ანუ უფრო მდაბიურად რომ ვთქვა, უეპოლეტო გენერლებსა, ანუ ამაზედ უფრო მდაბიურად რომ

ვთქვა, უულვაშო გენერლებსაც მართალს გენერლებში სთვლით? უთუოდ ეგრე იქნება.

- არა, თქვენმა მზემ, - დავუფიცე მეც, - არა, თქვენმა მზემ, სულ მართალს გენერლებს მოგახსენებთ.

- ოციოდ მართალი გენერალი! ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას. სულ რამდენი წელიწადია, რაც რუსეთი აქ შემოვიდა?

- იქნება სამოცდაათი.

- შვიდს წელიწადში ორი გენერალი? დიდი საქმეა, დიდი ცივილიზაცია არის. მერე როგორი გენერალი?! მართალი გენერალი! თუ ღვთის ძალით თქვენში ცივილიზაციამ ეგრე იარა, სამოცდაათ წელიწადს უკან კიდევ ოცი გენერალი მოგემატებათ და სულ ორმოცი შეიქნება. დიდი საქმეა. მე ეგ არ ვიცოდი. ან საიდამ უნდა შემეტყო? სულ არ იქნება სამი წელიწადი, რაც ამ ქვეყანაში ვარ. სწორედ მოგახსენოთ, არც მოცლა მქონდა, რომ თქვენის ქვეყნისათვის მეცნიერი თვალი დამეკვირვებინა. მე ერთს დიდს საოსტატო საგანს მოვეკიდე, მრავალი ვიძიე, ისტორიები წავიკითხე და ჩემი დრო სულ ამ სამეცნიერო საქმეზედ გადავაგე. მაგრამ ცუდად არ წახდა ჩემი ღვაწლი, შთამომავლობა მოიგონებს ჩემს სახელსაცა.

- რა იმოქმედეთ?

- რა ვიმოქმედე? ადვილი სათქმელია! აი, ბატონო, რუსეთში მებატონეებს ყმები ჩამოართვეს. მებატონეს ბიჭი აღარ შერჩა. მოჯამაგირეს ანაბარა დარჩა. შეწუხდა ქვეყანა, მოჯამაგირეებმა დაუწყეს ყველაფერს სახლში პარვა. მე, როგორც გულმტკივნეული შვილი, ჩავუფიქრდი ამ ჩემის ქვეყნის მწუხარებას, - ვთქვი: ქვეყანას შველა უნდა-მეთქი. მადლობა ღმერთს, ვუშევლე კიდეც. ასეთი რამ მოვიგონე, რომ მოჯამაგირეს სახლში პარვა აღარ შეუძლიან. ერთმა უბრალო შემთხვევამ კი მაპოვნინა წამალი. ჩემი დენშჩიკი ფრიად დიდი ქურდი იყო, საშაქრეში შაქარს აღარ უშვებდა. ვიფიქრე, ვიფიქრე, როგორ ვუშველო ამ საქმესმეთქი. დავიწყე ყუთის დაკეტა, მაგრამ ხან დაკეტა დამავიწყდებოდა ხოლმე, ხან გასაღები სტოლზედ დამრჩებოდა ხოლმე, და როცა სახლიდამ გავიდოდი, დენშჩიკი შაქარს მომპარავდა. ბოლოს ავიღე, ორი ბუზი დავიჭირე და ჩავსვი საშაქრეში, თავი დავახურე და არ დავკეტე კი. ახლა მკითხავ - რისთვისაო? იმისთვისა, რომ თუ დენშჩიკი კიდევ შაქრის მოპარვას დააპირებდა, ხომ ყუთი უნდა გაეღო. რაკი ყუთს თავს ახდიდა, ბუზები მაშინვე ამოფრინდებოდნენ. მერე, როცა შინ მოვიდოდი, ავხდიდი ყუთს და შიგ რაკი ბუზებს აღარ ვნახავდი, აშკარა იქნებოდა, რომ ყუთის თავი აუხდია ვისმე. ვინ ახდიდა, თუ არა ჩემი დენშჩიკი. რაკი ეს გამოვიგონე, მე დენშჩიკი შაქარს ვეღარ ვპარავს. ეხლა, ყოველ დილას, ჩაის გავათევებ თუ არა, ოთახში ბუზებს ვიჭერ. დავიჭერ ბუზებს, ჩავსვამ შაქრის ყუთში და მთელი დღე არხეინადა ვარ. ვიცი, რომ არავინ მომპარავს. როგორ მოგწონთ ჩემი აზრი? იაფი და ქურდობის უებარი წამალია. ეგ წამალი ყველაფერში იხმარება, რასაც კი ჩვენს ოთახში ყუთებში ვინახავთ ხოლმე. ეს აზრი ჯერ არავისათვის არ გამიმჟღავნებია, მაგრამ თქვენი ქვეყანა ისე მიყვარს, რომ თქვენ ეგ გაცნობეთ და გთხოვთ - თქვენც გაუნათლებელს მებატონეებს აცნობოთ. ერთი ეგ არის, რომ არყის ქურდობას ჯერ ვერა ვუშველე-რა. არყის ბოთლშიაც კი ვცადე ბუზების ჩასმა, მაგრამ ეგ წყეულები შიგ იხრჩობიან - губа не дура. მაგრამ მაგის წამალსაც მალე მოვიგონებ. არა, როგორ მოგწონთ ჩემი ოსტატობა? გრანცუცებმაც იციან ხოლმე მაგისთანა ეშმაკობის მოგონება, მაგრამ იმათის მაშინების ყიდვა ძვირია, ეს ჩემი ოსტატობა კი გროშიც არ დაჯდება. აბა რა არის ორი ბუზის დაჭერა და ყუთში ჩასმა? დიდი არაფერი. აბა ეხლა ჰნახეთ, რა შედეგი ექნება ამ ჩემ მოგონილ საქმეს: ეს ჩემი ოსტატობა რომ გავრცელდება, მაშინ შეიძლება რომ ბუზების სყიდვა დაიწყონ. აი, ქვეყანაში ახალი აღებ-მიცემობაც გაჩნდება: ჩაივლით ერთს მშვენიერ დილას თქვენს ქალაქში და დაინახავთ ბუზების მაღაზიასა. ცუდია თუ? რამდენი მშიერი კაცი ლუკმას იშოვნის ბუზების მეოხებითა. ეხლა კი ბუზები რანი არიან? არაფერი. რის გამოსადეგნი არიან? არაფრისა. აი, მეცნიერის და ჭკვიანის კაცის ნამოქმედებსა და ნაღვაწლს რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის. მე აქ არ მოვდიოდი, თუმც კი ბევრს მეხვეწებოდნენ. ჩემს გულში ვამბობდი: ღმერთს თუ ნიჭი მოუცია რამე ჩემთვის, ისევ ჩემებს გამოვადგე-მეთქი, მაგრამ ამ ახლად დაჭერილ ქვეყნებს უფრო განათლება უნდა-მეთქი; აქ განათლებული კაცები საჭირონი არიან. აბა ცოტა ხანი მოიცადეთ, რა მოხდება. მე ხომ, ზევით, რომ ვთქვი, ის მოვიგონე, ახლა სხვა ჩემისთანა სხვას მოიგონებს, იქნება იმისთანა კაციც გამოვიდეს, რომ თქვენს ქალაქშიც იზლერის ბაღი გამართოს: მეცნიერის კაცისათვის ყველაფერი შესაძლოა. ამ ყოფითა მთელი პეტერბურგის განათლება აქ გადმოვა. მაშინ ჰნახავთ, რომ ერთს მშვენიერ დღეს სეირნობა გაიმართება იზლერის ბაღში, იმ ბაღში თქვენი ქალები თამამად სიარულს დაიწყებენ, გინდა ერთს უთხარ „შენი ჩირიმე“, გინდა მეორეს, ხმასაც არ გაგცემენ. აბა ხალხი მაშინ დაინახავს თავისს სამოთხეს, როგორც მეცნიერნი იტყვიან, ესე იგი, სამოთხე რომ მდაბიურად ვთქვათ... მაგრამ რა ვთქვათ, მდაბიურადაც სამოთხე სამოთხეა. ხომ გესმით?

- ძალიან კარგად.

IV

იმ საღამოს სტეფანწმინდას ამოვედი. მშვენიერი საღამო იყო, ასე რომ იმ ღამეს იქ დავრჩი, რათა თვალი გამეძღო მშვენიერის ხილვითა. ოხ, საქართველოვ!

„სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?“

ოთახიდამ გარეთ გამოვედი და შევხედე სტეფანწმინდის პირდაპირ აყუდებულ მყინვარსა, რომელსაც ყაზბეგის მთას ეძახიან. დიდებული რამ არის ეგ მყინვარი. აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდადა მაქვს და დედამიწა ქალამნადაო. ცისა ლაჟვარდზედ მოჩანდა იგი თეთრად და აუმღვრევლად. ერთის მუჭისოდენი ღრუბელიც არა ჰფარავდა მის მაღალ შუბლსა, მის ყინვით შეეერცხლილს თავსა. ერთადერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალე, ზედ დაჰნათიდა, ერთს ალაგს გაჩერებული, თითქო მყინვარის დიდებულ სახეს განუცვიფრებიაო. მყინვარი!.. დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მაღელვებს, მაციებს და არ მათბობს, - ერთის სიტყვით, მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედამიწაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისევ თანზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი, მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მიდის და მიბღავის და აბღავლებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღელვებელი და ღირსსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია - როგორც უკვდავება და ჩუმია - როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია. ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდამ ამაღლებულა, მაღლიდამ კი შენობა არსად არ დაწყებულა. ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს და უფრო მიყვარს. არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს! მაღალიო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი. მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა. ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი...

V

ჩემოღამდა. თერგისა და მყინვარის ყურებაში და ზოგიერთ ფიქრების გართკაში დრო ისე გამეპარა, რომ თითქმის ვერ შევიტყე, მზე როგორ გამოესალმა მისგან გამთბარ ქვეყნიერებასა და როგორ მიეფარა მთებსა. დაღამდა, თვალწინ აღარა სჩანს-რა, მისწყდა ხმაურობა ქვეყნისა, ქვეყანა დადუმდა.

დაღამდა, მაგრამ არ ვიცი, რას ვიქმოდი, რომ იმედი არა მქონდეს კვლავ გათენებისა. სიცოცხლე სიცოცხლედ-ღა ეღირებოდა?.. მიყვარს, ბუნებავ, შენი დაწყობილობა, რომლის მეოხებითაც ყოველი ღამე თენდება ხოლმე.

დაღამდა, მაგრამ მე მაინც სტანციის გარედა ვარ და დაჟინებით ყურდაცქვეტილი გონებას ვადევნებ თერგის თავზედ ხელაღებულის დენის ხუილსა. ყველა დადუმდა და შენ არ სდუმობ, თერგო! მერწმუნეთ, მე მესმის ამ ხმაგაკმენდილს ქვეყანაში თერგის დაუჩუმარი ჩივილი. არის ადამიანის ცხოვრებაში იმისთანა წუთნი მარტოობისა, როცა ბუნებას შენ თითქო შენსას აგებინებ და იგი თავისას შენ გაგებინებს. ამიტომაც შეგიძლიან სთქვა, რომ მარტოობაშიც არსად მარტო არა ხარ, ჰოი, ორფეხო ცხოველო, რომელსაც ადამიანს გეძახიან. ამ ღამეს ვგრძნობ, რომ ჩემის ფიქრებისა და თერგის ჩივილის შუა არის რაღაც იდუმალი კავშირი, არის რაღაც თანხმობა. გული მიტოკს და მკლავი მითრთის. რისთვის? დროს დავაცალოთ ამის პასუხის მიცემა.

დაღამდა. მისწყდა ადამიანის ფეხის ხმა, მისწყდა ადამიანის მორჭმული ხმაურობა, აღარ ისმის მისის დაღლილის ზრუნვლისა და წადილის გუგუნი, ქვეყნის ტკივილმა დაიძინა, ადამიანი აღარა სჩანს ჩემს გარშემო. ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!.. არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალიბითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა! ჰოი, ბნელო ღამევ, მეჯავრები შენ მე! შენ რომ არ დაარსებულიყავ ქვეყნისათვისა, მე მგონია, რომ ნახევარი უბედურობაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდა. შენთა მოვლენათა

დასცეს პირველად თავზარი ადამიანის გონებასა და დააფრთხეს იგი. მას აქეთ შეშინებულსა გზა თვისი ვერ უპოვნია, - და აჰა, იბრძვის ადამიანი და დღევანდელამდე ათასში ერთსა თავისი ერთხელ დამფრთხალი გონება ფრთხოლას ვერ გადაუჩვევია. აი მიზეზი ქვეყნის უბედურობისა. ჰოი, ბნელო ღამევ! მეჯავრები შენ მე. შენის კალთის ქვეშა, ვინ იცის, რამდენი გაბოროტებული მტერი ადამიანისა ეხლა თავს იმალავს? ვინ იცის, ამ ბნელ ფარდის ქვეშ, რომელიც ეხლა ჩემს თვალს ჩამოაფარე, რამდენი მჭედელი და მტარვალი ქვეყნისა სჭედავს ბორკილთა ადამიანის ბედის შესაჭედად? შენ ხარ ხელის შემწყობი იმ ხელობისა, რომელსაც თვალთმაქცობას ეძახიან და რომელიც ადამიანის დამფრთხალს გონებასა უბედურობას ბედნიერებად აჩვენებს ხოლმე; შენ ხარ ჟამი და დრო კუდიანების სერბოსა, საცა ისმის სადღეგრძელო სიბნელისა. ჰოი, ბოროტო, წარველ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ!..

VI

სტანციაში შევიტყვე, რომ მთებში დიდი დაბრკოლებაა ფოშტით მიმავალისათვის, რადგანაც სტანციებში ცხენები ხშირად თურმე აკლდებათ. მირჩიეს ფასანაურამდე ცხენი მექირავნა და ცხენდაცხენ გადავსულიყავ. მე ეს რჩევა ჭკვაში დამიჯდა. იმ ფიქრით მივეცი თავი ძილს, რომ ხვალე საჯდომს ცხენს ვიქირავებ და ისე გადვივლი მთებსა.

გათენდა. რა მშვენიერი რამა ხარ, დილის რიჟრაჟო! რა მშვენიერი რამა ხარ, დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ! მე მგონია, რომ ამ დილას ყოველი ტკივილი ქვეყნისა უნდა დაყუჩებულიყოს, მაგრამ თერგი მაინც ჰბღავის და იბრძვის. სჩანს, ქვეყნის ტკივლი დაუყუჩავია.

გათენდა და გაიხმაურა ქვეყანამ ადამიანის ხმითა. დღემ დაიწყო თავისი დაუდეგარი ფაციფუცი. კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულაღტყინებულსა. ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები.

გავედი სტანციის გარეთ და ერთს მოხევეს შევხვდი. ვიქირავე მისგან ცხენი იმ პირობითა, რომ თითონაც ცხენით გამომყოლოდა. ბოლოს არამც თუ ვინანე, დიდად კმაყოფილის დავრჩი, რომ ჩემი საქმე ეგრე მოეწყო. ჩემი მოხევე ძალიან კაცი გამოდგა. იგი იყო ჭაღარამორეული, ხანში შესული კაცი. ბოლოს გამოჩნდა, რომ თვალყურმადევარიც ყოფილა იმ პატარა ქვეყნისა, რომელიც მის გარშემო ბედს შემოეხაზა და რომელიცა იმის უფერულის ცხოვრების მისაქცევ-მოსაქცევად დაენიშნა.

შევსხედით ცხენებზედ და წამოვედით სტეფანწმინდიდამ. უკანასკნელად შევხედე მყინვარს. იგი როგორღაც დიდკაცურად იბღვირებოდა თავის სიმაღლიდამ. ამან ამირია იმ დილით დამშვიდებული გონება. გულმა კიდევ ტოკვა დამიწყო და მკლავმა თრთოლა. სრულის მძულვარებით მოვაშორე თვალი მყინვარის დიდებულებასა და უფრო დიდის პატივით გამოვეთხოვე მის ფეხთა ქვეშე გაგიჟებით მავალს თერგსა.

ჩემი მოხევე სანახავად ღირსი იყო. იგი, თვითონ ზორბად მოსული, ივჯდა ერთს პატარა მთის ცხენზედ, რომელიც თითქმის მთელს გზას მგლურის ძუნძულით სასაცილოდ მოძუნძულებდა. ჩემს მოხევეს ჩამოეფხატა ბანჯგვლიანი ქუდი თვალებზედ და ისე გარინდებული იდვა განიერ უნაგირზედ გადაბოტებული, ისე არხეინად და გულამღვრეულად აყოლებდა თავის ახოვანს ტანს ცხენის ძუნძულს, ისეთის დამშვიდებით და განცხრომით აბოლებდა თავის ჩიბუხსა, რომ გეგონებოდათ - ამისთანა ქეიფში სხვა კაცი ძნელად თუ იქნება დედამიწის ზურგზედაო.

- რა გქვიან, ძმობილო? - ვკითხე მე.

- ...ლელთ ღუნიას მიხმობენ, - მომიგო მან.

- სადაური ხარ?

- სადაველ? გაიბოტნიდამ, აქაივ მთაჩია, თერგკიდურზედ.

- ქართველი ხარ, თუ ოსი?

- ოვსი რაიდ ვიქნები?! ქართველ ვარნ, მახევე.

- კაი ადგილია ეს თქვენი ადგილი.

- არაა გონჯაი: ჩვენს ბეჩაობას შეჰფერობს.

- ამისთანა წყალი, ამისთანა ჰაერი სწორედ ბედნიერებაა.

- ჰმ! - ჩაიცინა მოხევემ.

- რას იცინი?

- საცინალს ვიცინი. ცარიალ სტვამაქი მაგნით ვერ გაძღების.

- აქ ძალიან მოსავალი უნდა იცოდეს?!

- რაიდ არ ეცოდინების? ადგილ არაა გონჯაი, პატარ გვაქვნ: თვითვაულს კაცს ორ-ორ შაბადის ყანა არ ექმნების. ვიწროდ ვარნ.

- ეს დიდი გზა დიდ ხელს მოგცემთ.

- რაი ბედანაა გზაი? იგ მისთვის ვარგობს, ვისეც თვის ნაშვრელ-ნამუშევერ გასატან-გასასყიდ აქვნ.

- მაშ ქირაზედ არ დადიხართ?

- რაიდ არ დავდივართ? დავდივართ.

- მაშ ქირით ფულს იშოვნით.

- ვშაულობთ. ჯიბეჩი არ რჩების: მთის კაცი მახევე სვამეხის კერძია. ჭამადი, სმადი არაა სახლჩი, ნაშოვერ დუქანჩი მიდის.

- მაშ ისევ ბარი სჯობნებია: იქ ხალხი უფრო მაძღარია.

- ვინ უწყის? იქაითაც საჭირბოროტოია დარჩენა. ადგილ ჰხაშმობს. იქაველ კაცს ფერი არა აქვნ, ჯანი არა აქვნ. აქაველ ჯანმრთელნი არნ. ცარგვლის გამჩენმა განაგო იქაით-მაძღრობა, აქაით - სიმრთელე.

- რომელი ქვეყანა სჯობია, მაძღარი თუ მრთელი?

- ორივენ ერთადა. უერთურთოდ ქვეყანაი გონჯაა.

- ორში რომ ერთი ამოგარჩევინონ?

- ორჩიდა? არჩევანზედ? ამ ღორღიან კლდეთ ვიჯობდი, ჯანმრთელია. ადამის ძეი ბალახითაც, გაჭირდის, გაძღების, სატკივარს რაი ეყვის?

ამ დროს ჩემს მოხევეს უეცრად თოკის უზანგი ჩაუწყდა, თავი ვერ დაიმაგრა და ცხენს გვერდზედ მოექცა. მერე ისევ გასწორდა, ჩამოხტა ცხენიდამ და დაიწყო უზანგის გამართვა.

- საჭირბოროტოია შეკაზმულ ცხენ, - წამოიძახა ღიმით მოხევემ, - დაილოც შიშვალ ცხენ: ფეხ გადაწვდიდი და გადაჯდიდი.

მე აღარ მოვუცადე მოხევეს და წინ წავედი.

VII

- ერთი მითხარ, თუ ღმერთი გწამს, - ვითხარი მოხევეს, როცა მე დამეწია, - აი, სტეფანწმინდას პირდაპირ რა მონასტერია?

- თერგ-გაღმით?

- დიაღ.

- გიწყალობნოსთ ცოცხალთა, შეგინდნოსთ მკვდართა, წმიდა სამების სახტარი არნ, უწინდალთ განძთა საფარი, ერთა საბჭო.

- როგორ თუ განძთა საფარი, ერთა საბჭო?

- ქართველთა მეფეთა განძი აქაიდ უფარვან მტრიანობას, მცხეთაიდ საუნჯეი საფარად აქ ზიდულა მრავალჯერ,

- საბჭო რაღა არის?

- საბჭოი? იქაიდ არნ სენაკ, სად სამართალი ბჭეთაგან იბჭოდის. რაიც მძიმა საქმე ხევჩი ავარდის, მუნ იბჭობიდნეს.

- ვერ მეტყვი, როგორ იყო ეგ ბჭობა და რაზედ უფრო მოხდებოდა ხოლმე?

- რაიდ ვერ გეტყვი? რაიც ვუწყი შეგასმენ. როდეს ასტყდის ერობაჩი დიდ-დევა, დიდ-საქმე, დიდ-არჩევანი, ერობას იქაიდ გამართვინ, აირჩივინ ბჭედა ბრძენ-ბერკაცნი, პეიტრობით სახელდებულნი, დასხმიან მათ იმ სენაკჩი საბჭობად. რაიც მერედ სამების სახელით, ხთისგან მათხავნილ მადლით იგნ ბჭენი სთქმიან, გადასჭრიდიან, არვინ შეშლიან, არვინ გადავლიან.

- შენ მოსწრებიხარ მაგისთანა ბჭობას?

- რაიდ შავესწროდი? ადრინდალ თქმულობას გიზრახავნ.

- ეხლა რატომ აღარ არის ეგა?

- აწინა?..

ჩაფიქრდა ჩემო მოხევე და პასუხი კი არ მომცა. ცოტა ხანს შემდეგ თვითონ მკითხა მე:

- შენ რაი მილეთის ხარნ?

- ქართველი ვარ, განა ვერ შემატყვე?

- რაიდ შეგეტყვის? ტალავარ არა გაქვნ ქართველთა: რუსად მორთულხარნ.

- განა კაცს ქართველობა მარტო ტანისამოსზედ შეეტყობა?

- თვალთათვის ტყობად სამასელ არნა.

- ენა და საუბარი?

- ქართველთ ენად ბევრი საუბრობს: სვამეხიც, ოვსიც, თათარიც, სხვა მილეთიც.

- ტანისამოსს ქართველისას კი ცოტანი იცმენ?

- ქართველის ტალავარის იერი სრულად სხვაია. რუსულჩი ქართველ კაც მეუცხოების.

- ქართველი გულით უნდა ქართველობდეს, თორემ ტანისამოსი რა არის?

- მართალ ხარნ. მაგრამად გულჩი ვინ ჩაიხედნის? გული შიგნიდ არნ, უხედველ, ტალავარ გარედ არნ, სახედველ.

- თუმცა მე რუსული მაცვია, დამიჯერე, რომ გულით ქართველი ვარ.

- იქნების.

არ ვიცი, ჩემმა მოხევემ დამიჯერა, თუ არა. ეს კია, რომ ამის შემდეგ ამისთანა ბაასი გავაბით.

- წეღანდელ სიტყვაზედ რომ პასუხი არ მომეცი, - დავიწყე კვლავ მე, - მე გკითხე, ეხლა რატომ აღარ ბჭობენ-მეთქი სამების სენაკში.

- აწინა?.. ერობა სადა არნ? რუსობაჩი ვართ. აწინა ყველაი გაცუდდის, ყველაი გაუქმდის. სამების ძირჩი სოფელ გერგეთ არნ. იქაველ კაცთ მეფეთა შეუთქვეს სახტრის დარაჯობაი. მის სამაგიერ მეფეთა თარხნობა მიანიჭის სრულ სოფელს, გუჯარიც მაჰსცის საშვილიშვილოდ. ყვაველ ღამ აწინაც გერგეთიდ სამ-სამ კაც დარაჯად იგზავნების. გერგეთელნ აწინაც სახტრის დარაჯობას თავ-დებულობენ, მაგრამად რუსობაჩი თარხნობა გაცუდდის, მეფეთ გუჯარს რუსობამ ყური არ ათხოვის. გერგეთი აწინა სხვავითა ბეგრობს. გაუქმდის ადრინდალ დაწყობაი, ხთის მათხავნილ მადლით ბჭობაიც სამებაჩი გადავარდის.

- მაშ უწინდელი დაწყობა და დრო უკეთესი იყო?

- რაიდ არა?

- რით იყო უკეთესი?

— ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთურთს დავეყუდნით,

ერთურთს ვიხვეწებდნით. ადრიდა?! ქვრივ-ობოლთ ვიფარევდით, შინ მიწრიელს, გარეთ მავნეს დავულაგმნდით, ხთისა და ბატონის იასაულს მის ყუდროს არ მივკერძდნით, ერთურთს ლაღ მტერთან ჩავეფარვიდნით, დაცემულ ვიურვებდნით, ატირდომილს ვიხოიშნიდით და ესრეთ იყვის ბრალება კაცისა, ერთურთობა. აწინა ერობა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთუსლობაი დავარდნის, მტრობა-ბძარვაი გახშირდის. აწინა ქვრივ-ობოლ ვინა განიკითხის, ატირდომილ გააცინის, დაცემულ ვინ აღადგინის? აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ — პირად და გულად ჯუღურ არნ. ერი დავარდნილ, გალახულ არნ. ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთწყობაი. ადრიდა ჩვენობა იყვის. წარხდა, მოისრა ქვეყანაი, რაია აწინა ჩვენი დარჩენა? ჭამად-სმად სასყიდვალ, ტყეი სასყიდვალ, გზაი სასყიდვალ, ლოცვა-კურთხევაი სასყიდვალ, სამართალ სასყიდვალ, რაიდ დარჩების ბეჩავი მახევე?..

— ეხლა რომ მშვიდობიანობა არის?

— რაის ვაქნევ ცარიალ მშვიდაბას ცარიალ სტვამაქით. რაი არნ მშვიდაბა? უხმარ სატევარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭიაჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის! რაი არნ მშვიდაბა ცოცხვალ კაცთათვის? რაი არნ მტერობა, თუ ერი ერობს? ცარიალ მშვიდაბა მიწაჩიც გვეყოფის.

— მტერი რომ დაგეცემოდათ, აგიკლებდათ და ცოლ-შვილს გიწიოკებდათ ხოლმე?

— აწინა მევალე სვამეხი უფროს გვაწიოკებს, უფროს სახლს გვიკლებს. ადრიდა მტერს მაინც ფარ-ხრმალით შევეთამაშით, ვიგერიებდით, სვამახს რაი ეყვის, ვერ მოსაგერიებელ, ვერ შესათამაშებელ? ადრიდა მტერთან ბრძოლაჩი, სწორების ჯობინობაჩი, სახელ ვშაობდით, სვამეხთან ვაჟაი რაი სახელ ჩამორჩების? ადრიდა, მართალ ხარნ, მტერ იყვის, ერთგულთა ვაჟათა ჩუქებაც დიდიყვის: ადგილ-მამულ ებოძვის, თარხნობაი მიეწყვებოდის. აგერნა თერგკიდურზედ ხელთუქმნი ციხეი ჩნდების. იგ ციხეი არშისა ციხედა ცნობილ არნ.

— როგორ ხელთუქმნი?

— ხთით არნ ციხედა, არ შეუვალ, არ შეულეწ.

— მერე რა უნდა გეთქვა?

— იქაიდ ადრიდა კახთ ლაშქარ მისევოდის. ელაშქრნათ, იგ ციხე ხელთ ეპყროთ. ხევსა შეძრწუნებულს ბატონთან შველაი ეზრახნა. მან შველაი ვერ მასცის. შაწუხდის უშველი ერი. კახთა ვაჟანი ხევისანი მრავალნი მოხოცნეს, მავიდნენ ციხეჩი, ალამნი დასცის. ერთი ყაფილა პეიტარბერ-კაცი, მახევე. ქალაი ჰყოლია უთხოვარ, მზედუნახველ. მან, მახევემ გაისაურნა კახთ ლაშქრის დათრობად. მაზიდნა ღვინოი, შაგზავნა ციხეჩი. თვისა ქალსა მზედუნ<ამცნის მოღორნა კახთ ლაშქრის. მოვეს მოხევენი, შავეს უგებრად ციხეჩი. დასცის კიჟინა, კახნი სრულ მთვრალნი მახოცნის. ხელთ იგდის მახევეთ კვლავადა ციხე. არაგვთ ერისთავს იგ ამცნეს, მან მაჰსცა წყალობად იმ ქალაის მამას იგ ციხე, გუჯარიც მაჰსცა...

— ეგ რა ვაჟკაცობა ყოფილა?

— რაიდ არა? ჭკუიანი ვაჟკაცობაი ეგე არნ. სად ღონეი ვერ ჰღონობს, იქაიდ ხერხს ემუდვნის.

— მაგ კახელების ამოხოცვის ამბით რა უნდა გეთქვა?

— აწინა ყაველნი ქართველნ ძმანები ვართ. არ მტრობით ვისაუბრე კახთათვის. იგ უნდა შემესმინა, რომ ადრიდა სამსახურს თავვიდევდით, საჩუქარიც, ბოძებაც დიდ იყვის; სახელით, ვაჟკაცობით სარჩო-საბადებელთ მაშოვერ ვიყვენით, კაცი უბრალოდ არ წარხდის. აწინა ტყუობით, მეძავ-მრუშობით, ფიცთა გატეხვით, ერთურთ ღალატით სარჩო-საბადებელ საშოვერ გაგვიხდნის.

VIII

მართალია თუ არა ჩემი მოხევე, მე მაგის გასინჯვაში არ შევალ. ან რა ჩემი საქმეა ეგა? მე გაკვრით, როგორც მგზავრი, მიხსენებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ იმის აზრისათვის იმისივე ფერი შემერჩინა და იმის სიტყვისათვის იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრახვაც შემისრულებია.

ჩემმა მოხევემ მე კიდევ ბევრი რამ სხვა მითხრა, მაგრამ ყოველი მისი ნაამბობი დასაწერად არ გამოდგება შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა... მე მარტო ამას ვიტყვი, რომ იმან თავისის სიტყვით თავისს გულისტკივილს მიმახვედრა.

მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტრითა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ — სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!..

ზოგიერთი რამ

I

რაკი ჩვენს ღარიბს ლიტერატურაზედ და ეხლანდელს მწერლობაზედ დაიწყებ სადმე ლაპარაკსა, მაშინვე რაღაც მოდუნებულის პირის მთქნარებითა და, თითქო რაღაც სიმზაკვრით სავსეს სიხარულითა, მოგახლიან ხოლმე: ეხლანდელს მწერლებს ენა არ უვარგათო.

მეც, ცოტად თუ ბევრად, ამაზედ თანახმა ვარ, მაგრამ ერთი ეს მინდა ვიკითხო: გვაქვს კი ენა, რომ ვიწუნებთ კიდეც?..

ვიცი, ამ ჩემს, პირველ შეხედვით უსაფუძვლო, კითხვაზედ მე ბევრი თქვენგანი, მკითხველო, მასხარად ამიგდებს; მაგრამ აბა, მკითხველო, შენ მე ყური მომიგდე: მე გეტყვი და შენ დალაგებით და აუჩქარებლივ მისმინე. მე წინათვე ვიცი, რომ მასზედ, რასაც მე ვიტყვი, გული დაგეთანაღრება, აიტკიცები და შესწუხდები, მაგრამ შენ კი, მკითხველო, იქნება ის არ იცოდე, რომ თითო სიტყვას, რასაც ეს წერილი ქვევით მოგახსენებს, იქნება თითო კოშტი სისხლიც თან ამოჰყოლოდეს. რაზედ გაიჭირე საქმეო, მეტყვი შენ. იმისთვის, ჩემო ძმა, თუ დაო, რომ "თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა"-ო, ჩვენის პოეტის არ იყოს.

II

აიღებს ბეჩავი ქართველი მწერალი ხელში კალამს თუ არა, მაშინვე გულამოსკვნით შედგება ხოლმე და თავის თავსა ჰკითხავს: ვის უნდა ველაპარაკო, და სისხლი ძარღვში გაუშრება ხოლმე. მართლა-და, ვის უნდა ელაპარაკოს? მეტყვიან: ყველასაო. დიაღ, კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, საყოველთაო რა გვაქვს, რომ მწერალმა ფრთა გაშალოს და იმაზედ განაღვლოს საყოველთაო ნაღვლითა, ანუ გალხინოს საყოველთაო ლხინითა? ქართველობა ხომ არა გგონია საყოველთაო სალხინებელი და სანაღვლებელი? დიაღაც ეგ უნდა იყოს, მაგრამ სად არის ქართველი და ქართველობა? ერთი ეს მინდა გკითხო: ვართ-და სადმე? როგორ თუ ვართ-ღაო, შემომიტევ წყრომით. თუ შენ, ჩემო მკითხველო, ადამიანობა, კაცური-კაცობა ხელში მჩვრად არ გადაგიქცევია, ვიცი, რომ ამ კითხვაზედ ძარღვი ჩაგწყდება; ისიც ვიცი, რა ტკივილიც ამოგაკვნესებს; მაგრამ ესეც უნდა იცოდე. რომ ბალღამში ამოვლებულს ჭეშმარიტებასაც ვაჟკაცური მოსმენა უნდა. რით ვერ გაიგე, რომ ჩვენ უბედურნი ვართ!.. ყური მომიგდე.

III

პატარა დალაგებით რომ დაუფიქრდე იმ ხავსმოკიდებულს გუბეს, რომელსაც ჩვენ, ქვეყნის სამასხარაოდ, ცხოვრებას ვეძახით, რომელშიაც ჩვენ, რაღაც დაუდეგარის კმაყოფილებით, ვჭყუპალაობთ, და რომლიდამაც ათასი სხვადასხვა-ფერი ნაკადული იწრიტება ცალ-ცალკე და სხვადასხვა გზით მიდის, და "რაოდენადაც ერთმანეთზედ შორსა ვალს, ეგოდენ დაუძლურდების", - ამ გუბეს რომ თვალღია და აუჩქარებლივ დააკვირდე, მაშინ შენც ჩემთან ამოიკვნესებ და იტყვი: "ვართ-ღაო!"

აჩქარებული კაცი, ის კაცი, რომელსაც უნდა შავი ფიქრები თავიდან მალე მოიშოროს, ადვილად გვიპასუხებს ჩვენ და გვეტყვის: ბრმანი ყოფილხართო. ეს ჩვენი დედაქალაქი და ეს შავის ზღვიდამ კასპიის ზღვამდე გუნდ-გუნდად მორიგებული მისი შვილი - სოფლები, ქართველები არ არიანო, მაშ ვინ არიანო. ქალაქი იქნება დედა იყოს, სოფლებიც იქნება მისი შვილები იყვნენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დედის ძუძუ გაშრა და დედის ძუძუს შვილი აღარა სწოვს.

IV

ქართველები არ არიან, მაშ რა არიანო? არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი - ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა - თავადი, გლეხსა - ორივე, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დედის საქართველოს ოჯახის შვილნი? თავადის აზრი - სათავადოა, აზნაურის - საააზნაურო, გლეხის - საგლეხო, ვაჭრის - სავაჭრო, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთს თესლზედ აღმოსულნი? თავადის აზრი აზნაურს არ უხდება, აზნაურისა - თავადსა, ორივესი - გლეხსა, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთისა და იგივე ხორცისა და სულისა ნაყოფნი და ერთის დედის, საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი? ეს ასომთავრული რომ ასომხედრულს გზას უღობავს, ეს თავადი რომ აზნაურს ზურგს უქცევს, აზნაური - თავადსა, ორივენი - გლეხსა; ეს ვაჭარი რომ სამივეს ერთნაირის სიხარბითა სწოვს, ნუთუ ესენი თვითეულად ცალკე და ყოველნივე ერთად ქართველი ჰგონია ვისმე! ქართველი საყოველთაო სახელია და ამათში რა არის საყოველთაო. ეგ თითო-თითოდ, ერთის გაწყვეტილის ჯაჭვის რგოლებივით რომ ცალ-ცალკე და თავ-თავად დავგორავთ, ზოგი აქეთ, ზოგი იქით, ნუთუ ეგ თვითეული ქართველი ჰგონია ვისმე!

თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თვითეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. ის საერთო ნიშანი

მიჩვენეთ, საითკენაც თვითეულის ჩვენგანის ჭკვა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. საერთო ლხინი მიჩვენეთ, საერთო ჭირი მაინცა, მაგრამ სად არის: ჩემი ლხინი შენი ლხინი არ არის, შენი ჭირი ჩემი ჭირი არ არის. ქართველი საყოველთაო სახელია და კიდევ ამას გკითხავ: საყოველთაო რა გვაქვს? ჩვენში არის: "მე თუ შენ, შენ თუ მე", და ორივენი ერთად კი არაო.

აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულის ქართველის მეტმა (ე.ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო.

ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელი-ღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში, თუ ლხინში, ერთად ძმურად უწევნია, რომელსაც ერთისა და იგივე ენით ჭირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულნია, და რომელიც დღესაც ერთისა და იგივე ენით - თუ არაფერს აკეთებს - თავის მოძმეს მაინც აბეზღებს ღმერთთანაცა და კაცთანაცა.

V

იმერელი, გურული, მეგრელი, ქართლელი, კახელი - ეს ცალ-ცალკედ მითვისებული, კერძოობითად მიღებული, განმაყოფელი სახელები, ჩემის ზემოხსენებულის სიტყვის ცხადი მაგალითებია. მაგრამ მეტყვიან: ეგ ყველა ხალხში არისო. მართალია, მაგრამ არა ეგრე გულსაკლავად, როგორც ჩვენშია. იქ, სხვა ხალხში, საცა თვითეულს პირს თავის დამოკიდებულება თავის ხალხთან არ შეუწყვეტია და სისხლში და ხორცში გამჯდარი აქვს, იქ მაგისთანა სახელები შინაურობაში იხმარება ურთიერთის გასარჩევად და არა საქყვენოდ, საგარეოდ. მარსელში მცხოვრებელი ფრანციელი, რასაკვირველია, ფრანციელსვე ეტყვის, მარსელელი ვარო, მაგრამ უცხო ქვეყნელს კი ეტყვის, ფრანციელი ვარო. ეგ იმას ნიშნავს, რომ იგი შინაურობაში მარსელელია და გარეობაში - ფრანციელი. უცხოსათვის ერთი იმათგანია, საცა ყველანი ამისათვის ცხოვრობენ და ყველასათვის თითონა ცხოვრობს. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი ძალა - ჩემი ხალხის ძალაა, ჩემი სიკეთე - ჩემი ხალხის სიკეთეაო, რომ ჩემი სისხლი ყოველს ფრანციელთან ერთად ღუღსო, ყოველის ფრანციელის ცხოვრების ძარღვი ჩემის ცხოვრების ძარღვიაო, და თუ გინდაო, ყოვლის ფრანციელის ავად და კარგად მყოფობას ჩემს მაჯაზედ შეატყობო. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი წყენა უცხოსაგან - ჩემი ხალხის წყენაა, და ჩემი ხალხის წყენა - ჩემი საკუთარი წყენაა.

ჩვენში? ეჰ, რაღა გითხრა მკითხველო! შენც კარგად იცი, რომ ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მახლობლისათვის და არც უცხოსათვის. იმერელი - იმერელია, გურული - გურულია, მეგრელი - მეგრელია, ქართლელი - ქართლელია, და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან.

ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში - ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა "მე" ხშირია, და "ჩვენ" - იშვიათი!

VI

განვთვითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასოდ დავიჭერით, და მაგ განთვითეულებამ, ცალ-ცალკეობამ ყოველგან და ყოველს-ფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითეულს წკეპლას მოუვიდა, ერთად ძნელად გადასამტვრევს. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საერთო სახელი აღარ შეგვრჩებოდა, და აკი აღარ შეგვრჩა.

რაკი ის დიდებული ქართველობის აზრი, ის საყოველთაო სახელი გონებიდამ გამოგვეცალა, ჩვენი გონება დაიფუყა, სულით და ხორცით დავკუწმაწდით. გონება ჩვენი, როგორც ყოველივე საგანი, რომელიც დაიფუყება, შეგვივიწროვდა, დაგვისუსტდა და, რასაკვირველია, ვეღარაფერს ფართოსა და დიდს აზრს ვეღარ დაიტევდა, და ვერ ზიდავდა ამ მიზეზით ყოველივე აზრი, ფიქრი, სურვილი, გრძნობა დაგვინამცეცდა, გონებითად, ზნეობითად დავპატარავდით. მას აქეთ, რასაც კი ხელი მოვკიდეთ, ვეღარ მოვერივენით, რასაც კი გონების თვალით დავაკვირდით, გონებაში ვერ დავიტიეთ; ავიღეთ ყოველი იგი და დავანაკუწეთ, იმოდენა ნამცეცებად ვაქციეთ, რამოდენის ზიდვასაც თვითეულის ჩვენგანის ღონე შესძლებდა, რადგანაც მთელის ზიდვისათვის საერთო მხარი აღარა გვქონდა. ზემოთ ვსთქვი, რომ ერთიანი სახელი მთელის ჩვენის ხალხობისა ხუთ, თუ ექვს ნაჭრად დავყავით-მეთქი! გონებამ ჩვენმა ერთიანი, მთლიანი აზრი იმ სახელისა ვეღარ დაიტივა, ვერ ზიდა, აიღო და ის სახელი და მისი აზრი ხალხის

მცირე ნაწილს დაარქვა. ამ-რიგად სიტყვას: ქართველს, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, კერძოობითი მნიშვნელობა მიეცა. სიტყვას: მამულსაც - ეგ საქმე დაემართა.

VII

მამული!.. ამ სიტყვის ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ, საცა ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითეულება - ეგ ჭირთაჭირი არა მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მიმნიჭებელი სულია, მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ თვითეულსა - მთელის ხალხისა და მთელს ხალხს - თვითეულისა ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღველითა ნაღვლობს, ლხენითა ლხინობს, დღეობითა და დიდებითა - დღესასწაულობს. იქ მაგ სიტყვაში ყოველია, და ყოველში ყველა არის.

ჩვენში? ჩვენშიაც მაგ სიტყვას მაგეთი მნიშვნელობა ჰქონია თურმე. იცი როდის? როცა ჩემი "მე" და შენი "მე" ჩვენის ერთიანის ხალხის ცხოვრების საყევარში ერთად ბმულა.

ახლაო, მკითხავ, მკითხველო? ნუთუ მაგას კითხვა-ღა უნდა? განა შენ თვითონ არ იცი, რომ ეხლა ეგ დიდებული სიტყვა თვითეულის ჩვენგანის გათავთავებულს უძრავს ქონებასა ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს, - ბინასა, რომელიც ქვისა და კირის მაგიერ ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით დამყარებულია. სადღაა მამული? ხორცის დაუძლურებას სულის დაუძლურებაც ზედ მოსდევს: განვთვითეულდით, და რამოდენადაც თვითეული ჩვენგანი მთელს ქართველობაზედ უძლურია და პატარა, იმოდენად თვითეულის ჩვენგანის აზრი საყოველთაო საგანზედ დაუძლურდა, დაპატარავდა. ჩვენს დაფუყებულს და შევიწროებულს გონებას სადღა შეეძლო ექონია ის ვრცელი და დიდებული აზრი დიდებული სიტყვისა? მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სადავო საჩივარია; მამულისათვის ძლევამოსილობა - მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვანად შემოწმებული; მამულის სიმაგრე - ტყრუშული ღობეა, ვენახ გარეშემო შემორტყმული; მამულის პატივი - ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულის-შვილობა - მხვნელისა და მთესველის სახელიღაა.

VIII

ზღვა კოვზით არ დაილევაო, ნათქვამია, აი თუ არ დაილევა, სად არის მამულის ყოვლად-მპყრობელი, ვრცელი, ფრთაგასაშლელი მნიშვნელობა?

განვიმეორებ, განვთვითეულდით, და თვითეულის ზურგმა ვეღარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასათვის ადვილად საზიდია. თვითეულობით ტვინი ამოშრა, შევიწროვდა და მაგ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ვეღარ იტვირთა. რაღა უნდა გვექნა ამის შემდეგ? ავიღეთ და მთელი მამული, ერთიანი ჩვენი ბინა დავყავით, გავინამცეცეთ თვითეულის დონის კვალობაზედ ასე, რომ ზიდვაც შესაძლო ყოფილიყო ჩვენის ქონდრის-კაცობისათვის და დაპატარავებულს ტვინშიაც მოთავსებულიყო. დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლო ოჯახი, რომლის ბოძად იყო ერთიანი მხარი მთელის ქართველობისა, და მის ნაშთის ნამტვრევებისაგან პატარ-პატარა ხუხულები ავაშენეთ, რომელსაც საზოგადო სახელი "მამული" დავარქვით და რომელშიაც ჩვენც დავეტივენით, და ჩვენი ამომშრალის ტვინის და გონების აზრიც დავტივეთ; დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი; დიდი "მამული" დავშალეთ, პატარები გავიკეთე, და აქაც გავამართლეთ ჩვენის რუსთაველის სიტყვა: ყოველი მსგავსი მსგავსსა შობსო.

თვითეულმან ჩვენგანმან თავისი ხვედრი, დიდის "მამულის" ნაშთი, თავთავად შემოიღობა; იმ შემოღობილში თვითეულმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა და საზოგადო სახელი "მამული" თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: თუ მე არ ვიქნებიო, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ სახით თვითეული ჩვენგანი თავის შემოღობილში შეიკეტა, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აიჩინა; და რომ თვითეულმან ჩვენგანმან საერთო საქმეს თვალი მოაშორა და გონება თავისი საერთო საგანზედ აღარ ავარჯიშა. ის გონებაც ისე დაუბრმავდა, რომ იგი თავის ქონების ღობის იქით ვეღარ გადაუცილებია, რომ თავის მოძმეს გაეხმაუროს მაინცა.

IX

ეხლა, ჩემო მკითხველო, შენ შენს კერძო მამულზედ სწუხარ და სტირი, მე ჩემს კერძო მამულზედა, ყველას გაცალკევებული, საკუთარი და კერძო ნაღველი გვაქვს, როგორღა მივუყენებთ ერთმანეთს აზრსა? რადგანაც ვიცით, რომ ვეღარ მივუყენებთ ერთმანეთს აზრსა, ამიტომაც სალაპარაკოდაც აღარ შევყრილვართ. ან სალაპარაკოდ რიღასთვის უნდა შევყრილიყავით? ლაპარაკი აზრის აღებ-მიცემობაა. მე რა მაქვს შენთან საერთო,

რომ ერთად გვეაზრნა, საერთო აზრის აღებ-მიცემობა გაგვეწივა.. რაკი შენ იმერლობა დაირქვი და მე კახელობა, მე შენთან სალაპარაკო აღარა მაქვს-რა და შენ - ჩემთან; რაკი შენ შენს სახნავს მიწას და ერთობ შენს უძრავს ქონებას შენი მამული დაარქვი და მე ჩემსას - ჩემი, მე შენთან საერთო მოსაფიქრებელი აღარა მაქვს-რა, და შენ - ჩემთანა. ამიტომაც დავშორდით ჩვენ ერთმანეთსა, შენ იქით წახველ და მე აქეთ წამოვედი, და მას აქეთ მე და შენ ერთად აღარ გვილაპარაკნია. დიდი ხნის ულაპარაკობამ, როგორც აზრით, ისე სიტყვითაც, ერთმანეთს დაგვაშორა. ერთიერთმანეთის სიტყვას ყური გადავაჩვიეთ: შენ ჩემი სიტყვა ან სულ არ გესმის, და თუ გესმის, შენებურად გესმის, მე კიდევ შენი სიტყვა ჩემებურად მესმის. ამიტომაც ქართველი ველარავის გვიცვნია, თუმცა კი ყველანი ქართულად ვლაპარაკობთ. რათ მოხდა ესე? იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ ყოველსფერში გავთავ-თავდით, აზრი და ყოველი საგანი გავითავთავეთ და სიტყვაც, რომელიც მარტო აზრისა და საგნის ნიშანია, გათავ-თავდა. ამიტომაც ჩვენი ენა კილოიანი გახდა, იგავიანი, ორპირი შეიქმნა ასე, რომ ერთ და იგივე სიტყვას მრავალგვარი აზრი მიეცა. აბა რა გითხრა იმისთანა, რომ შენ კილო არ გამოაბა? მიირთვიც რომ გითხრა, ამ კარგს დარბაისლურს სიტყვას, თუ მოინდომებ, ცუდად ჩამომართმევ, თუ ნამეტნავად ზოგიერთა კაცის გულის გარყვნილებაში შენც წილი ჩაგიდვია. შემობრძანდი რომ მითხრა, ხომ კაი სიტყვაა, ეგ ჩემზედ ჰკიდია, საწყენად მივიღო, თუ სალხენად. აი აქ "ჰკიდია" ვიხმარე და შენც ათასჯერ ხმარობ, მაგრამ ვშიშობ, რომ მაგ სიტყვას ერთმა ბრიყვმა ვინმე თავისის წამხდარისა და გარყვნილის გონების აზრი არ მიაწეროს.

X

სადღა არის ეხლა ქართული ენა? ან გვინდაღა ქართული, როცა ჩვენ თითონ ჩვენდა დასაღუპავად ქართველობაზედ ხელი ავიღეთ? გონებით რომ აღარ ვსცხოვრობთ, ქართულს ენას აზრს როგორღა გამოათქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარა ვართ, ერთნაირს სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოვსთხოვთ ჩვენს ენასა? თუნდ რომ ჩვენს ენას და სიტყვას აზრიც გამოათქმევინოთ, ვის რად გინდათ, ენას აზრს ვინღა სთხოვს? ჩვენ თითონ დავცალიერდით გუდაფშუტასავით, ცალიერი სიტყვებიღა გვინდა, ცალიერი ხმები, რომ ენამ პირში იშტვინოს და ყურმა ძარღვი იფხანოს. სხვა რისთვის გვინდა ენა? საერთო სახელი ქართველი კერძოობითად გავხადეთ, მამული დანეხვილ ნაფუძვრად გარდავაქციეთ, პატივი - ნეხვად, თავი - გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დავუმატეთ, და მის შემდეგ კიდევ გინდათ, რომ ენა გვქონდეს?

XI

ჩვენ რომ ერთი-ერთმანეთს გადუდექით, თავი შევიკეტეთ ჩვენს პატარა ხუხულაებში და ერთიერთმანეთს აღარ გაველაპარაკენით, რასაკვირველია ენაც დაგვიმუნჯდებოდა და დაგვიკოჭლდებოდა. მეტყველების ნიჭს ისეთი ვარჯიშობა უნდა, როგორც ყველაფერს სხვას. მეტყველების წყარო აზრია და აზრის წყარო გონებითი ცხოვრებაა. ჩვენ განკერძოვების შემდეგ გონებითად აღარ გვიცხოვრია და რადგანაც ენას მაინც პირში ტოკვა უნდოდა ჩვეულებისამებრ, ავიღეთ და უაზრო ხმები, რომელიც ჩვენი ხუხულაების გარეშემო პირუტყვის ბუნებაში ისმოდა, ენის სალაქლაქო ქართულ სიტყვებად ვაქციეთ, და მადლობა ღმერთსა, დღევანდლამდე ამ-გვარის სიტყვებით იოლად მივდივართ. ამიტომაც პირუტყვ-ბუნების ხმის მსგავსის სიტყვებით აივსო ჩვენი ენა. და დახე, თუ ერთი გონებითი აზრის მცველი სიტყვა ემატნა. მაგალითები ათასია: ფრიალი, კრიალი, ბრიალი, პრიალი, გრიალი, ქრიალი, ღრიალი, ჭრიალი, ხრუტუნი, ღრუტუნი, სრუტუნი, წრუტუნი, ჟრუტუნი, ფრუტუნი, და ათასი ამისთანით აივსო აზრმოკლებული, უნიადაგო ჩვენი უბედური ენა. სადღაა ქართული ენა? ქართველობა გათავ-თავდა, მამული - აგრეთვე, სადღა გაიბას ქართულმა ენამ თავისი ფესვი საერთო აზრიანობისათვის? კიდევ იმას ვიტყვი, რაც ზემოთა ვსთქვი: მე რა მაქვს შენთან საერთო, რომ ერთად გვეაზრნა, რომ ერთმანეთის აზრის აღებ-მიცემობისათვის საერთო მნიშვნელობის სიტყვა და ენა შეგვექმნა? შენ შენთვისო, მე ჩემთვისო, ძმებმა ერთმანეთს ვუთხარით, ცივად ერთმანეთს თავი დავუკარით, უცრემლოდ ძმა ძმას გამოვესალმენით, უკანასკნელი საერთო სიტყვა "მშვიდობით" უკანასკნელადღა ვახსენეთ, შენ იქით წახველ და მე აქეთ, თვითეულად, თავ-თავად, და ვინ იცის, როდისღა შევხვდებით ერთმანეთს, რომ კიდევ ძმური, ერთიანი, განუყოფელი ქართული "გამარჯვება" მითხრა შენ - მე, და მე - შენ, ჩემო დაკარგულო ძმაო, თუ დაო!..

[1866-1876 წ.]

ერი და ისტორია

ჩვენ არაერთხელ გვითქვამს რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისას ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა თავისის ყოფილის ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავლებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისაცა. წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავალისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული. რომ ერთი უმეორეოდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძენისაგან, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაო. ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდაუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი.

ბევრს ერს ქვეყანაზედ სულაც არა ჰქონია წარსული, სულაც არა ჰქონია ისტორია, ესე იგი, იმისთანა ცნობიერი ცხოვრება, რომელიც გამოსახავს ხოლმე სულიერს და ხორციელს ვინაობას ერთიანის კრებულისას, მის მიზიდულობას, მის აზრს და საგანს არსებობისას, მის წმიდათა წმიდას, და რომელიცა მკის თავის დროებისათვის და ამასთანავე სთესს მერმისისათვის. ამისთანა ხალხნი დღესაც ბევრნი არიან ქვეყანაზედ. ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის – ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის. ამიტომაც ესეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვისაგამ და იქნება ბევრში უკანაც ჩამოურჩება. ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელ დროში, და სხვა უფრო ძლიერის ისტორიის მქონე ერი დაეძგერება თუ არა თანაც გაიტანს და შეიწირავს ხოლმე ამისთანა ხალხსა.

შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი და რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი – ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის იხარჯებოდა და მხნეობდა და რისთვის და რაში უქმობდა . უმაგისოდ თითონ შვილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს,უხორთუმო სპილოს ემგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდები.

ჩვენს ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდგია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ასეა, ამისი საბუთი თვალწინ გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით – რა ჩამოგვარჩენდა და ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას.

რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ხსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია, და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი და თუ ასეა – რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი? არ არის არც ერთი მხარე ჩვენის ცხოვრებისა, როგორც სხვისაც , რომ რაიმე წარსულის ნაშთი ზედ არ შერჩენოდეს, ხოლო ამ ნაშთისა დღეს ჩვენ აღარა გაგვეგება რა, ვიმეორებ, იმიტომ, რომ დავიწყებული გვაქვს მისი ამხსნელი და განმმარტებელი ისტორია. ამიტომაც ჩვენ ბევრში უთავბოლობა გვეტყობა, არაფერი საქმე არ გვიხერხდება აქეთ და იქით ვასკდებით თავბრუდახვეულ კაცივით და ვერა გამოგვიტანია რა. ეს უქმად წარმავალი გარჯა ჩვენი, უქმად წარხდომილი მხნეობა და ცდა, ქანცს უწყვეტავს გამრჯელს და მის მაყურებელს ერს ხომ გული უტყდება, თავის თავზე სასოება და იმედი ეკარგება და აქედამ განა დიდი მანძილიღაა სრულად განადგურებამდე!

გარდა ყოველ ამისა, ბევრჯერ გვითქვამს და ეხლაც გავიმეორებთ, რომ ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებული და დიდბუნებოვან კაცთა უწმიდესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრონა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი. ერი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანის სულის წირვა, ეგ თავის დიდბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევდება, ჰგულოვანდება და თავმოწონებულია ყველგან, ჭირია თუ ლხინი. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუვარდება, არ დაუძაბუნდება არავითარს ზედმოსულს უბედურებასა და განსაცდელსა. იგი გულგაუტეხელად იბრძვის, იღწვის, გამხნევებული თავის მამა-პაპის მაგალითითა და ანდერძითა, და მარტო გულგაუტეხელი მებრძოლი დაინარჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანს ამ წუთისოფელში.

1888 წელი.

საქართველოს მოამგეზედ

ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა. წესი, ჩვეულობა, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან. რაც გუშინ კაცს ჰგონებია დაურღვეველ ჭეშმარიტებად, რისთვისაც უცია პატივი, როგორც მიუცილებელ საჭიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია, ასე რომ კიდეც გვიკვირს, ადრინდელს კაცს როგორა ჰსწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ჭეშმარიტებად, როგორ არა ჰქონია იმოდენა გონიერება და მხედველობა, რომ გაერჩივა თეთრი და შავი, შავისათვის შავი დაერქმია, თეთრისათვის — თეთრი.

ეს ასე მოხდება ხოლმე განა იმისაგან, რომ ჩვენ ადრინდელებზედ ჭკვიანები ვართ, „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“, ამბობს რუსთაველი. ჩვენ რომ ამ თავმოწონებულის გონიერებითაც ვყოფილიყავით და იმ ადრინდელის კაცის ვითარება და გარემოება გარს შემოგვრტყმოდა, არა მგონია, ავსცდენოდით საზოგადო ცდომილებას, რომელსაც დღეს ეგრე თავმოწონებით დავჰსცინით. **დიდი გენიოსი უნდოდა და იმისი მახვილის ჭკვის თამამი გამჭვრეტელობა, რომ მსჯელობით დროებაზედ მაღლა ავმართულვიყავით, საზოგადო ცხოვრების წრის გარედ გამდგარვიყავით და გარემოების თვალთდამაბნელებელ ხაოსშია შეუმცდარად, წმინდა აზრით დაგვენახა საგანი ისე, როგორიც არის და უნდა იყოს.** რუსთაველმა ძალიან ადრე ჰსთქვა, რომ მარტო ბრძენი საწუთროს ეურჩებაო, სხვანი კი იმისი მონები არიან. იმ დროების გარემოების მოწყობილობა, აზრი, გამსჯელობა, — ერთობ ცხოვრების მდინარეობა ჩვენისთანა ჩვეულებრივ კაცსა ჩააყენებდა საზოგადო რუსხმულში და წაიღებდა თან, რაც უნდა ძლიერ ცდილიყო თავის შემაგრებასა. **ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლიოს იმ ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია. შორმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავისს თამამს სვლაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტვერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულუშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა. ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ ამითი ვამბობდეთ, ვითომც გენიოსი ციდამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავის დროებისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებულია. ის თავის ძლიერ მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია, ე. ი. ცხოვრების შიგმდებარებასა; მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავლისა.** არც ერთი გენიოსი ჩვენ ახალს არას გვეტყვის, ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თვითონ ცხოვრებას ამოურიყავს თავის მდინარეობაში, რაც თავის დაუდგრომელ დუღილშია მოუგდია ზედაპირზედა, — ამიტომაც ხანდისხან ამას უფრო იქნება დაეტყოს თავისი დროების ნიშანი ყველაფრისა: ცუდისა თუ კარგისა, ვიდრე მას, ვინც დაიბადება ხოლმე მარტო იმისათვის, რომ უხეიროდ მოკვდეს.

ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება — იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა. ცხოვრებასაც აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორათაც ბუნებასა. მაცხოვნებელია პირველი ქროლვა გაზაფხულის პირველის დილისა, მაშინ ცა და ქვეყანა ერთიერთმანეთს შეჰხარიან;

უფრო მაცხოვნებელია პირველი ქროლა ახალის ცხოვრებისა — ეგ ახლად დაბადებულის ყრმისა, რომელსაც ძველი ცხოვრება ისე უნდა შეჰხაროდეს, როგორც ძუძუმძლეველი დედა შეჰხარის ახალგაღვიძებულს ბაშვსა. გული სხვარიგად ჰსცემს, როცა დედამიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქავს მწვანე ბალახსა და უფრო სხვარიგათა ჰსცემს მაშინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახალის აზრისა მით უფრო მშვენიერია ეგ ყვავილი, რომ ჭკნება თუ ცხოვრობს, მაინც ისე არ გაძუნწდება, რომ სხვა არ აღმოშობოს, იმ სხვამ კიდევ სხვა და ეგრეთ არ შეადგინოს ისტორიული ყვავილთა გრეხილი, რომელშიაც მომდევარი წინადმსვლელზედ ყოველთვის

უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი, თუ რომ ცხოვრების ვითარების და გარემოების გავლენა ადრე და მალე არ დაუხლართავს გზასა და ზრდას არ დაუშლის. მაგრამ ესეც კია სანუგეშო, რომ როგორი დარიც უნდა დაუდგეს მაგ ყვავილსა, თუკი ძირი ღონიერი აქვს, რაც უნდა ფეხი დააჭირო და სრესო, მაინც გაარღვევს დღესა თუ ხვალ დედამიწასა, ამოხეთქავს და გამოვა სინათლეზედ უფრო დაშვენებული და ძლიერი. ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, – აზრისა კი თავის დღეში არა; მის აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ სრულიად განადგურება კი ძნელად. ამ აზრის უკვდაებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდაებისა, იმიტომ, რომ გრეხილი აზრისა გაუწყვეტელია: ერთს ზედ მოსდევს მეორე, უფრო ახალი, ჯანმრთელი და ღონიერი, – ამასთანაც დაუქცეველი, მარად მყოფი სალაროცა აქვს – მეცნიერება და ხელოვნება, სადაც ისინი ინახებიან. მაგ ცხოველს იმედს, რომელიც განგებას მოუვლინებია კაცობრიობისათვის, რომ ზედ დაერთოს ადამიანის გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა – შედგება ის ძალა, ის იდუმალი ხმა, რომელიც ყოველთვის ეძახის ადამიანს: წინ წადეგ! წინ წადეგ!.. **ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს ეგ იმედი განახლებისა და არ გაჰქრობია უკეთესობის ნდომა!.. ის ხალხი, ის ცხოვრება, რომელიც არ იზრდება, რომელსაც არა აქვს თავისი გაზაფხული და ნაყოფიერი შემოდგომა; რომელიცა ბერდება კი, მაგრამ იმ სიბერის ნაყოფზედ ისევ არ ამოვა განახლებული, განათლებული სიახლის მშვენიერ გვირგვინითა – ის ხალხი, ის ცხოვრება მიჩანჩალებს სამარისაკენ, ბოლოს მივა და აღიგვება, როგორც მტვერი დედამიწის ზურგიდამ. რა აახლებს, რა სცვლის და – თუ ცხოვრება ჯანმრთელია – რას მიჰყავს წინ? ცოდნასა, მეცნიერებასა, რომელნიც თვითვე ცხოვრების ნაყოფნი არიან.** „ხე ცხოვრებისა – ამბობს ერთი ჩვენის დროების ფილოსოფოსი – და ხე ცნობადისა ერთს ძირზედ ამოდიან; მხოლოდ იმათი აღყვავება სხვადასხვა დროს მოდის. როცა ცხოვრების ხეზედ ყვავილი ჭკნება, მაშინ ცნობადის ხეზედ მწიფდება ნაყოფი, და ამ ნაყოფის თესლი აღმოშობავს ხოლმე ცხოვრების ხეზედ ახალ ყვავილებსა“.

ამ მოსწრობილს და, ჩვენის ფიქრით, ძლიერ მართალს შედარებაში მშვენივრად არის გამოთქმული დამოკიდებულება ცხოვრებისა ცნობიერებაზედ და მეცნიერებაზედ. ჩვენ ვეცდებით უფრო გავაადვილოთ ამ დამოკიდებულების გაგება. თუ ცხოვრება, როგორცა ვჰსთქვით, ჯანმრთელია, თუ მასში არის უკეთესობის ნდომა და განახლების ცხოველი იმედი, ეგ თვით დავრდომილის აღმადგინებელი იმედი – მისნი ძალანი, მისნი ძარღვნი მარად დაუძინარნი არიან. იგინი დაუღალავად, დაუყოვნებლივ მოქმედობენ, მოძრაობენ, წარმოებენ, როგორც ყოველიფერი, რასაც კი სიცოცხლე აქვს მინიჭებული. თუ გარედამ აბრკოლებენ, უშლიან იმათ მოძრაობასა, მაშინ ისინი მაინც კიდევ თავისას არ მოიშლიან, მიწაში დაიფლებიან და იმ მიწის სიბნელეშიაც მოქმედობენ იმ დრომდე, ვიდრე დარი არ დაუდგებათ, რომ გარეთ მზის სინათლეზედ გამოვიდნენ და უფრო ფართოდ გაშალონ მოძრაობის ფრთები. ყოველს მათს მოძრაობას, ყოველს მათს მოქმედებას თავისი ნაყოფი ამოჰყავს ცხოვრების ხეზედა და ყოველს ამ ნაყოფს აქვს თავისი აზრი და მნიშვნელობა, იმიტომ, რომ იმათი ძირი ცხოვრებაშია გამოკვანძილი, – **ცხოვრება კი ძნელად თუ რასმეს ჰქმნის უაზროდ.** დღედადღე ეგ ნაყოფი ემატება, დღედადღე სხვადასხვა ყვავილებით იმოსება ხე ცხოვრებისა. ეგ ნაყოფი, ეგ ყვავილები ერთად შეკრეფილი შეადგენს ცხოვრების ვითარებასა, მოსავალსა. ხალხი, უფრო მეტი მაინც, ვერ გამოიკვლევს მაგ ვითარების აზრსა, მნიშვნელობასა, ხშირად კი ბუნდად მიხვდება, ჰგრძნობს, მაგრამ ხშირადაც მოხდება ხოლმე, რომ ხალხი რასაც ჰგრძნობს, იმას ვერა ჰსცნობს და ვერ არჩევს სხვათა შორის. მეცნიერება და ხელოვნება, რომელნიც დღემუდამ ზედ დაჰსტრიალებენ ცხოვრებასა, რომ ყოველი ცვლილება მისი ცნობიერად გადმოიღონ, რომ ყოველი ყვავილი მისი მოჰკრიფონ, შეიტყონ, რისთვის არიან იგინი და რანი არიან, – მეცნიერება და ხელოვნება სხვადასხვა გზით იკისრებენ ახალის ვითარების ახსნასა, ცნობაში მოყვანასა. ამათი უკეთესი მიმდევარი, ხალხის დაწინაურებული თავობა, მაშინვე მიხვდება, რომ დრო იცვლება, ჰგრძნობს, რომ ეცა სული ახალის გაზაფხულისა, განახლებისა, ჰგრძნობს, რომ ძველი ცხოვრება აივსო, დამწიფდა, რაც დათესილი იყო, იმის ნაყოფი მოიტანა და ეხლა ამ ნაყოფიდამ უნდა გამოიკრიფოს ახალი თესლი ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად, რათა მადლობით გაისტუმროს ძველი და სიხარულით მიეგებოს და გზა გაუხსნას ახალსა. მართალია, ეს დაწინაურებული თავობა ხშირად თავგადადებით ცდილობს აღასრულოს დროების მოთხოვნილება, შეაგროვოს მოსავალი, მეცნიერების და ხელოვნების შემწეობით მოიყვანოს

ცნობაში თვითვეული მარცვალი, ყოველს მათგანს დაუნიშნოს შესაფერი ადგილი, რათა თავის დროზედ, შვილებისათვის მაინც ყოველმა მარცვალმა მოიტანოს ნაყოფი და იმ ნაყოფმა ახალი თესლი ახალის ცხოვრებისათვის, – მართალია, ხშირად თავგანწირულად ჯაფასა ჰსწევენ, ებრძვიან ძველსა ახლის სიყვარულისაგან და შეჰხარიან ფაქტსა, რომელსაც აზრი უნდა გამაატანინონ, მაგრამ უფრო ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ვერ ჰსძლევენ მოსავლის სიმრავლესა: ხშირად თვით მეცნიერებაც და ხელოვნებაც უღონონი არიან ერთობ ცხოვრების მოსავლის ცნობაში მოყვანისათვის. თუმცა ზოგიერთს ახსნიან, ზოგიერთს გაგვაგებინებენ, მაგრამ უფრო ბევრს ვერ დაჰსდებენ ღირებულს ფასსა, ვერ დაუნიშვნენ შესახვედრს და შესაფერს ადგილსა. მაშინ ეგ თავგამოდებულნი მოჭირნახულენი რჩებიან, როგორც მუშაკნი, რომელთაც ზოგიერთი მასალა მოუმზადებიათ ახალის შენობისათვის, მაგრამ გამგებელი არა ჰყავთ; არ არის ძლიერი ხელი, რომ დაჰსძრას პირველი ქვა ძველის შენობისა, და გაამაგროს პირველივე ქვა ახალის საძირკველშია. საძირკველის ამოყვანაა ძნელი, თორემ სხვას ისინიც გააკეთებენ. საძირკველის ამომყვანელიც არ დაიგვიანებს ხოლმე მოსვლას. მაშინ გამოჩნდება გენიოსი. ჩვენ არ გვინდა ამითი ვჰსთქვათ, ვითომც სწორედ იმ წამს იბადებოდეს გენიოსი. ის იქნება აქამდინაც იყო, და უთუოდაც უნდა ყოფილიყო, რომ ცხოვრებას თავის ძუძუთი გამოეზარდა, თავისთან გამოეცადა, მოემზადებინა თავის ვითარებისვე აღსახსნელად. თუ აქამდინ არ გამოჩნდა იგი, იმიტომ, რომ იმის ძლიერის სულის შესაფერი საქმე არსად იყო; გამოჩნდა თუ არა საქმე, იმანაც გაშალა თავისი ძლიერი ფრთა და როგორც მზე გამობრწყინდა ცხოვრების გასანათებლად. ეს გოლიათი გონიერებისა თავის ძლიერის მკლავით გადასწვდება მთელს ცხოვრების ნამუშავარსა; შემოაგროვებს ერთად, რაც ცხოვრებას გამოუჩენია; თავის გამჭრიახ თვალით თავიდამ ბოლომდინ განსჭვრიტავს, გაანათლებს იმ შემოგროვილსა, და ყოველს ცხოვრების კითხვას მიჰსცემს შესაფერს პასუხს, ყოველს ფაქტსა – ჭეშმარიტ მნიშვნელობას, ყოველს მიმართულებას – კუთვნილს გზასა და ღონისძიებასა, – ერთის სიტყვით, ახსნის, ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენ შორისვე იყო და არ გვესმოდა. მაშინ იგი გამოანგრევს ძველის საძირკველსა და, ახალის საძირკველში რაკი ქვას დაამკვიდრებს, მიანებებს საქმეს უმცროსთა მუშაკთა. მეცნიერება და ხელოვნება – ეგ საკვირველნი სალარონი კაცის გონიერებისა – არიან კანონიერნი მემკვიდრენი გენიოსისა. იგინი თავის უკეთეს წარმომადგენლების ხელით გენიოსისაგან ნაჩვენებ საძირკველზედ განაგრძელებენ ხოლმე მუშაობასა, გენიოსის ახალს აზრზედა, ახსნაზედა დაამყარებენ ხოლმე შემდგომსა გამოკვლევასა და ცნობიერების წინ წაწევასა. მაგ წარმომადგენელთაგან ცხოვრებისაგან დაბადებულნი ფაქტები, გენიოსის ჭკვისაგან ახსნილნი და ცნობაში მოყვანილნი, მეცნიერებისაგან მიღებულნი, როგორც კანონნი და ხელთმძღვანებელი მომავალისათვის, გადადიან დანარჩენ ხალხშიაცა. რამოდენადაც ეგ ახალი ცნობაები, აზრები ადვილად გასაგებნი არიან ხალხისათვის, იმოდენად ადვილად განსდევნიან უწინდელებსა, რომ ცხოვრებაში იმათი ადგილი თითონ დაიჭირონ და იწარმოვონ შემდგომში. ეგრე, ცხოვრებისავე მოღებულსა, ცხოვრებავე მიიღებს ხოლმე; ეგრე, ცხოვრებისაგან აღმოსულნი, მეცნიერების სიცხოვლით ნაყოფად მოწეულნი, ისევ ცხოვრებასვე დაუბრუნდება ხოლმე წარმატებისათვის. რასაკვირველია, მინამ ეს ასე მოხდება და ხალხი – თუ არ სრულიად, უფრო მომეტებული მაინც – მიიღებს განახლებასა, დიდი დრო გადის. ცხოვრება ამ ახალ აზრებით განახლებული, ისევ იზდება, ჰყვავის, მოამწიფებს სხვა ახალ სათესლე ნაყოფსა და მერე ისევ ჭკნება, როგორც ზემოთა ვსთქვით. ის არ მოუცდის ხოლმე ხალხსა – „აცა, ჯერ რაც მოვამზადეო ამას წინად და რაც მეცნიერებამ და ხელოვნებამ გენიოსის შემწეობით ცნობაში მოიყვანა და კანონად დასდვა, ჯერ ისინი ხალხმა მიიღოსო და დაისაკუთროსო“. არა, ცხოვრება ამას არ მოუცდის ხოლმე, ეგ დაუყოვნებლივ გაჰსწევს თავის წარმატების და განვითარების გზაზედ, ასე რომ მინამ ხალხი მიიღებს დიდიდამ პატარამდე მის უწინდელ ჭირნახულსა, იგი ხელახლად მოასწრობს ხოლმე ახალ მოსავლის მოყვანასა, სხვა ახალ ფაქტების და საჭიროების შემუშავებას და შემოჯგუფებას. კიდევ მოვა დრო განახლებისა, კიდევ ამრიგად მეცნიერება და ხელოვნება ახსნის ცხოვრების მოთხოვნილებასა, ცნობაში მოიყვანს „ახალსა“ და ამათ შემწეობით გადადის ეს „ახალი“ ისევ ცხოვრებაში და ჰსცვლის ცხოვრებასა. აი, როგორც შევიძელით, ვაჩვენეთ, რომ ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან. როგორც მიწიდგან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლედ მოჰსწევენ, ისევ მიწას გადმოჰსცე-

მენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონო და იმ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსულნი შტოები – მეცნიერება და ხელოვნება – ისხმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოჰსწევენ სათესლოთ, ისევ ცხოვრებასვე გადმოჰსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად. ამისთანა დამოკიდებულობა აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებასა თავის რიგზედ – ცნობიერებაზედ. მართალიც არის: რაც ცნობაშია მოყვანილი, რაც დამტკიცებულია, მხოლოდ ის გადადის ხალხში, მხოლოდ ის მიიღება ხალხისაგან. და რაც მიიღება, მხოლოდ იგი ჰსცვლი ხალხის მდგომარეობასა, ცხოვრებასა. ცნობაში მოყვანილი და დამტკიცებული, როგორცა ვჰსთქვით, მეცნიერებაა და ხელოვნება – ეს ორნივ ერთ და იგივეს მსახურებენ: აზრის მოძრაობას; ერთ და იგივეს გამოჰსთქვამენ: ხალხის აზრსა, და თუ რაშიმე განირჩევიან, მხოლოდ იმაში, რომ სხვადასხვა გზით და სხვადასხვანაირად მოქმედობენ და გამოჰსთქვამენ, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ მეცნიერება და ხელოვნება – ეგ უდიდესნი სალარონი, სადაც კაცობრიობის გენია აწყობს ხოლმე გონიერების საუნჯესა, – არ არიან ყველასთვის მისაწდომნი. მაგ სალაროში შედიან ხოლმე მხოლოდ აღმორჩეულნი პირნი, რომელნიც ყველგან ცოტანი არიან, მხოლოდ მაგათა აქვსთ იმათი კარის გასაღები, მხოლოდ იგინი სარგებლობენ, დაისაკუთრებენ იმათ საუნჯესა მაშინ, როდესაც იმათი განმანათლებელი სხივები ყველასათვის საჭირონი არიან, როგორც არსებითი პური. რომელ ხალხშიაც ეგ არის, იქ მომეტებული ნაწილი სიბნელეში დადის: უნდა, საჭიროა, რომ იხელთოს მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფნი, მაგრამ ვერ მიჰსწდომია, განა იმის გამო, რომ უღირსნი და უღონონი არიან, არამედ ათასი სხვადასხვანაირ მიზეზებისა გამო, რომელთაც აქ ჩვენ არ მოვიხსენიებთ. მართალია, ყოველ ცოტაოდენ განათლებულ ხალხში არის ღონისძიება, საშუალობა, რომ მეცნიერების ნაყოფი გადიტანოს ხალხშია; მართალია, არიან სკოლები, სხვადასხვა სასწავლებლები, რომელნიცა ავრცელებენ ხალხშია, მის გამო ცხოვრებაშიაც, სასარგებლო და გამოსაყენ სწავლასა და ცოდნასა, და იმით შველიან ხალხსა. მაგრამ იმათამდინ ისე ცოტას მიუწვდება ფეხი, რომ დანარჩენ ხალხის რიცხვთან რომ შევადაროთ ის ცოტა – წვეთი იქნება ზღვაში. ბევრნი რჩებიან სასწავლებლების გარედ, ბევრს მათგანს უნდა, სურვილი აქვს გაიგოს რამე, შეივსონ სწავლა, გაიხსნან გონება, მაგრამ ზოგი შეუძლებლობისა გამო, ზოგი სიშორისა გამო, ზოგი მოუცლელობისა გამო, ზოგი კიდევ სხვადასხვა დაბრკოლებისაგან მაგ მიუცილებელ ღონისძიებასაც მოკლებულნი არიან. **საჭიროა სკოლების გარდა ისეთი ღონისძიებაც, ისეთი საშუალობაც, რომელმაც იმისთანა თვისება უნდა იქონიოს, რომ ყველგან მიჰსწვდეს, გამოფინოს საქვეყნოდ კაცის ჭკვის ძვირფასნი მარგალიტები საყოველთავო მოსახმარებლად, რომ მრავალთათვის მისაწდომი გახადოს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტასა.** ის საშუალობა, ის ღონისძიება უნდა ცდილობდეს, თუ არ სრულიად ხალხთან, მომეტებულ ნაწილთან მაინც დაიჭიროს საქმე, შექმნას შუამავლად მეცნიერებისა ერთის მხრით, და ხალხისა და ცხოვრებისა, მეორეს მხრით. მაგ ძნელ საქმეს ასრულებს ყველგან ლიტერატურა. ბოლოს დროს, თითქმის ჩვენ საუკუნის პირველ ნახევრის დასასრულში, შეატყეს, რომ თვით ეს **ლიტერატურაც ისე სწრაფად არ ავრცელებს მეცნიერებასა ხალხშია, შეამჩნიეს, რომ ლიტერატურა თუმცა დღეადღე მდიდრდება, ივსება ახალის ნაყოფითა, ახალის იდეაებითა და აზრებითა, მაგრამ ცხოვრებაში ისე ადვილად არ გადადიან იგინი, როგორც საჭიროა. უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ თვით ლიტერატურის ენა დაუშორდა ხალხის ენასა, ხალხს ისე ადვილად არ შეეძლო გაგება მისი, რასაც კითხულობდა – და ჩვენ ზემოთა ვჰსთქვით, რომ თუ ხალხი ვერ გაიგებს, არც ცხოვრებაში შეიტანს. რა წამსაც მიხვდნენ, რომ ლიტერატურა თუმცა უფრო ვრცლად მოქმედობს ბეჭდვის შემწეობითა, მაგრამ მაინც კიდევ ხალხს იმისი გაგება ეძნელება, მაშინვე გამოჩნდა საჭიროება იმგვარ ლიტერატურისა, რომელიც როგორც ენით, ისე აზრის გამოთქმით უფრო ადვილად უნდა ასრულებდეს ზემოთქმულს შუამავლობასა მეცნიერების და ცხოვრების შორის. მაგგვარ ლიტერატურას ჰქვიან: „პოპულიარული ლიტერატურა“, ხან კიდევ ადვილი ლიტერატურა, იმიტომ რომ იგი დანიშნულია მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო, რამოდენათაც შეიძლება, გააადვილოს მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფის მოკრეფა ყველასათვის; მათგან დამუშავებულნი ძნელი მისახვედრი ცნობაები საყოველთავო გასაგებად გაამარტივოს, გააადვილოს და ამით განავრცელოს საჭირო სწავლა და ცნობაები ხალხშია. ამგვარ ლიტერატურას ეკუთვნის ჟურნალიცა, ნამეტნავად ის ჟურნალი, რომელსაც ეძახიან: „საზოგადო ჟურნალი“.** აი, რა-რიგ სამსახური-

სათვის ვნიშნავთ ჩვენს „საქართველოს მოამბესაცა“.

რომ ჟურნალი საჭიროა, ამას თქმა აღარ უნდა. ჟურნალი, როგორც სხვა, ისე ჩვენიცა, არ არის ერთი კაცის სურვილის ნაყოფი: მოუვიდა ჟინი წერისა და გამოჰსცა. არა, მაგისთანა ჟურნალი თავს დიდხანს არ დაიჭერს. ჩვენ ვჰსთქვით, რომ ყოველი საჭიროება ცხოვრებიდგან წარმოდგება. თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერაფერს ვერ მიამყნობთ ისე, რომ იმ ნამყნობმა იხეიროს და ნაყოფი მოიტანოს. მარტო ის საქმეა მკვიდრი და მტკიცე, რომლის ფესვიც შიგ ცხოვრებაშია გამოკვანძილი; უამისოდ ვერა საქმე ვერ გაჰსძლებს, ვერ მოიტანს ნაყოფსა, როგორც თესლი უდედამიწოდ. როცა ცხოვრებას უმოქმედნია და იმ მოქმედებით მოუყვანია როგორიმე მოსავალი, რომლის გაგება და გარჩევა უძნელდება ხალხს და რჩება ის მოსავალი მოუხმარებლად; როცა ხალხში ისმის სურვილი, ძლიერი ნდომა იმ ნაჭირნახულევის გაგებისა, ცნობაში მოყვანისა; როცა ხალხს უნდა და ვერ მიჰსწდომია მეცნიერების ნაყოფსა, მაშინ ხალხის საშველად სხვათა შორის გამოვა ჟურნალიცა. რასაკვირველია, რამოდენადაც ცხოვრება – ეგ დედა ყოველ საქმისა – ძლიერია და ღონიერი, იმოდენად მოსავალი და ნაჭირნახულევი დიდია და უხვი. რამოდენადაც მოსავალი მრავალია, ასე რომ ერთი ჟურნალის თვალი ვერ გადაჰსწვდება, ერთი ჟურნალის ღონე ვერ შეჰსძლებს იმის ზიდვასა, იმოდენადაც მომეტებული ჟურნალები გამოდიან ხალხში. ეს ჟურნალები სხვადასხვა მხრით მოექცევიან იმ ცხოვრების მოსავალსა, სხვადასხვა მხრით სინჯავენ, სხვადასხვა მხრით ცნობაში მოჰყავთ, – და ამ სხვადასხვაობითაც ურთიერთშორის განირჩევიან. ამის გამო ჟურნალების სიმრავლე არამც თუ უნდა იყოს საწყენი, არამედ სასიხარულო იმისათვის, ვისაც უანგაროდ უყვარს თავისი ხალხი და იმისი ბედნიერება. ჟურნალების სიმრავლე ცხადად აჩვენებს, რომ ხალხს არ ჰსძინავს, ფიქრობს, ჰსჯის; რომ ხალხში ტრიალებს, მოძრაობს სხვადასხვა-ნაირი აზრი, რომლის გამომეტყველადაც არიან სხვადასხვა- ნაირი ჟურნალები. ჯერ ჩვენი საწყალი „მოამბე“ არც კი დაბადებულიყო, რომ ზოგიერთ პირმა მტრობაც შეჰსწამა. ჩვენ რა გვეთქმის ამაზედ ამის მეტი, რომ ვინც ლაფში თავიდან ფეხამდე ამოსვრილია, არ შეიძლება ისე შეეხოს სხვას, რომ თავისი ლაფი იმასაც არ მოაცხოს. „მოამბის“ უფროსი ძმა „ცისკარიც“, რომელსაც ყველაზედ უფრო უნდა გახარებოდა, რომ მოძმე ებადება, მშველელი უჩნდება, „ცისკარიც“ კი წინადვე აშინებდა ჩვენ „მოამბეს“, რომ მკითხველებს ვერ იშოვისო. ჩვენ, რასაკვირველია, ამ წინდაუხედავ და უგემურ წინასწარმეტყველობას ყურსაც არ ვათხოვებდით, რომ მხდალ „ცისკარსა“ რამდენჯერმე არ გამოეთქვა საქვეყნოდ თავისი დაფარული შიში და სამარცხვინო აზრი. დაე რაც უნდა თქვას შიშისაგან ზარდაცემულ და გონებაგამოცლილი „ცისკარმა“, ჩვენ კი ამას ვეტყვით, რომ ამ შემთხვევაში იგი ჰგავს იმ ანგარების მოყვარე ძმასა, რომელსაცა ძმის დაბადება იმიტომა ჰსწყინს და გულს უხეთქს, რომ შიშობს, ვაი თუ საცხოვრებელი შუაზედ გამიყოსო. ტყუილად შიშობს „ცისკარი“. ჩვენ ფიქრადაც არა გვაქვს არავის საცხოვრებელის შუა გაყოფა და არც არავის მტრობა. ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გაუმჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია. ღმერთმა გვიხსნას იმ სულელურ თამამობისაგან, რომელიცა ფიქრობს გადაასხვაფეროს ცხოვრება თავისებურად. ჩვენ ისე არ გავბრიყვდებით, რომ ჩვენ საკუთარ წესზედ მოვინდომოთ ცხოვრების გატარება. თვითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა, – მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს. ამიტომაც ჩვენის „მოამბის“ უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება თავის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა. რამოდენად შეიძლებს ჩვენი ჟურნალი ამის აღსრულებას – მაგას დრო და ჩვენი შეძლება გამოაჩენს: საქმეა ყოველისფრის გამომცდელი. ჩვენ წინადვე ვერას ვიტყვით ამის მეტსა, რომ აწინდელის ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუდ ჩაძახილის ამოძახნა, მისის ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისათვის გზის გახსნა. ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ჟურნალი უნდა იყოს უთუოდ დღევანდელ ცხოვრების წრეში მოჯადოებულსავით გაჩერებული, – არა, ყოველ გონიერ ჟურნალის თვალი ხშირად არის მიმართული მომავლისაკენა. „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“, ამბობს ერთი ფილოსოფოსი. აი, აწინდელ ცხოვრებას რა მნიშვნელობა ექნება ჩვენის ჟურნალისათვის. აწინდელი ცხოვრების ვითარება არა მარტო სადღეისო მომავალია, რომელიც დღესვე უნდა დაიხარჯოს, არამედ მასში მომავლისათვისაც თესლი ურევია, როგორც წარსულში ერივა აწმყოსათვის. თუ ჩვენი ჟურნალი დაჰყურებს

დღევანდელ ცხოვრების მოქმედებას, უფრო მაგ თესლისათვის დაჰყურებს, რომ ეგ გამოჰკრიფოს ხვალისათვისა. **რაც შორსა ჰსცემს ჟურნალის თვალი, მით უფრო კარგია, ჩვენის ფიქრით, ჟურნალი და დღეგრძელი. ამ სახით, თუ ჟურნალს უნდა კეთილსვინდისიანად აღასრულოს თავისი ძნელი საქმე, უნდა თვალგაფაციცებით თან აჰყვეს აწინდელ ცხოვრებასა, რათა ყოველ აღმოშობილ ფაქტსა თვალი და გონება ადევნოს; ყოველ აზრის საკეთილო მოძრაობას გზა მიჰსცეს, ყოველიფერი შენიშნოს და ყოველსფერს პასუხი გაჰსცეს, ერთის სიტყვით, უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმასა გასამჯობინებლად, გასაკეთებლად. ამ ძნელ საქმეში ჟურნალმა უნდა წაიმძღვაროს წინ მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი.** ჩვენ ზემოთა ვჰსთქვით, რომ ამ ორ ძლიერ მომქმედთა ღონისძიებათა მოჰყავთ ყოველიფერი ცნობაში და, რაც ცნობაშია მოყვანილი, მხოლოდ ისა ჰსცვლის ცხოვრებასა და აკეთებს. მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა. დაე ზოგიერთმა მწიგნობარმა მეცნიერების სახელითა გაიწყალოს თვალი და გონება იმის გამოძიებაში, რომ ამა და ამ ეგვიპტის პირამიდზედ ეს იეროგლიფი ისე არ უნდა იყოსო, ან წარტოლვილ ჭეშმარიტების ძებნაში ავარჯიშოს თავისი გონება; ან ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალები და ბულბულსავით უაზრო შტვენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს. ისინი მარცხნივ მიდიან გატკეპნილ გზაზედ და ჩვენ კი მარჯვნივ გავწევთ. ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვჰსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებაებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა. რაც კი პირდაპირ მოედგმება ცხოვრების ვითარებასა, რაც კი გადმოიღება ცხოვრებისათვის – ის იქნება უფრო საჭირო ჩვენის ჟურნალისათვის. სხვა რაღაც წარტოლვილ ცნობაებში გაბმა და ტრიალი ჩვენთვის სრულიად უფასო იქნება და გამოუსადეგი. ეგ იმან ინდომოს, ვინც სიტკბოებას ხედავს უქმის ჭკვის ვარჯიშობაში და ფრენაში. ხელოვნებასაც იმას მოვჰსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ. დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვასა“, „გაფაღარათებულ ვარსკვლავების ცაში ბოლთის ცემასა“, მთვარის ხვეწნასა, რომ ჩემ საყვარელს უთხარიო: ცხრა მთას იქით ერთი უბედური პოეტია, რომელსაც შენგამო „ოხვრის კვამლი“ თვალებსა ჰსწვავს და ცრემლს ადენსო;

დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მამივიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგმდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრს ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა, არც ერთის გამოთქმა და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ჟურნალსა. როდი უნდა იწყინოს ქართველმა, როცა ჩვენი „მოამბე“ სხვათა შორის ხელოვნების შემწეობით დაუნდობელად გამოჰფენს ჩვენის ცხოვრების ჭუჭყსაცა. ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ საქვეყნოდ გამოჰსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონი თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივ წყალში გადასაყარნი იქნებიან. ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა, ეგ იმათ მოსდით ქართველების უმეცარ სიყვარულისა გამო, ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო. ისინი, უმეცარნი მოყვარენი ჩვენნი, ზედ დაასმენ ხოლმე შეჩვენების და განგდების ბეჭედსა მას, ვინც კი ველარ მოითმენს ცხოვრების საძაგელ გუბეში დგომასა, ამოჰყოფს თავს, რომ სხვას მაინც უთხრას, ამ გუბეში არ ჩაიგდო თავიო, თორემ დალპებიო მის წარმწყმენდელ ოხშივარის ზედმოქმედებისაგან. ჩვენ საბედნიეროდ არიან ჩვენში იმისთანა პირნიც, რომელთაც ჩვენზედ უკეთ იციან, რომ ვინც შენიშნავს მართლად სხვის ნაკლულოვანებას, შეიძლება მასვე უნდოდეს გასწორება და სიკეთე მისი. რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობელად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულევანობა ცხოვრებისა, ზოგჯერ მით

უფრო ჰსჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი, ცხარი წადილი გასწორებისა. ვისაც ძალიან ჰსძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი – ეს აშკარაა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი ეს ლექსი:

ჩემზედ ამბობენ:
„ის ქართვლისას სიცუდეს ამბობს,
ჩვენ ჭუჭყს არ მალავს –
ეს ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრიყვნი ამბობენ;
კარგი გული კი მაშინვე ჰგრძნობს
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია.

ოღონდ ხელოვნება კი გადაჰსცდეს თავის საკუთარ კანონებსა და მეცნიერება – ჭეშმარიტებასა, და დაე, არც ერთი და არც მეორე ნუ მოერიდება იმის გამოაშკარავებას, განკიცხვას, რაც ჩვენში საკიცხავია და ცუდი. დაე ორივემ იარონ ცხოვრების მდინარეში, მონახონ მარგალიტები და თუ იმათ ამოკრეფაში ლაფი და ლექი თან ამოჰყვება, რა ვუყოთ? ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენის ცხოვრების სასახელოდ. მოგვიტევოს მკითხველმა, რომ მეცნიერება და ხელოვნება – ეგ უდიდესი საგანნი – ისე, გაკვრით მოვიხსენიეთ ამ სტატიაში. ჩვენი სურვილი ის იყო, რომ გვეჩვენებინა არა მარტო სრული არსებითი ვითარება, რომელზედაც ჩვენს „მოამბეს“ კიდევაც ბევრჯერ შეხვდება შემდეგშიაც ლაპარაკი, არამედ მარტო მათი დანიშნულება, ე. ი. რომ იგინი, ჩვენის ფიქრით, არიან მხოლოდ ღონისძიებანი, რომელნიც გვიშველიან ცხოვრების სიბნელიდამ სინათლეში გამოყვანასა. ცხოვრება, მეცნიერება და ხელოვნება, რომელნიც ყოველ ჟურნალსა შიგმდებარედ არიან, იმოდენად მოვიხსენიეთ, რამოდენადაც საჭირონი იყვნენ იმისათვის, რომ მკითხველთათვის გვეჩვენებინა მხოლოდ ის გზა, რომელზედაც გაივლის ჩვენი „მოამბე“. კიდევ გიხდით ბოდიშსა, თუ ეს სტატია მეტაფორებით სავსე ეჩვენოს მკითხველსა. ჩვენი ცდა მარტო ის იყო, რომ ჩვენი აზრი გაგვეგონებინა მკითხველთათვის, იმიტომაც ყოველი ღონისძიება მოვიხმარეთ, რომ ეგ აგვესრულებინა. თუ ამ სტატიამ მაგოდენი შეჰსძლოს, ჩვენ კმაყოფილნი ვიქნებით. მეტი არ იქნება მოკლედ განვიმეოროთ ის, რაცა ვსთქვით ამ სტატიაში. ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა მკითხველთათვის, რომ ცხოვრება თვითრჯულია, იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ; რომ თუმცა იგი ბერდება, მაგრამ იმ სიბერის გამოცდილებით ისევ თავისთავად ახლდება და ჰყვავის; რომ მეცნიერება და ხელოვნება არ არიან მოგონილნი კაცის ჭკვის და გამოხატულობის არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის; რომ იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის; რომ იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარებისა გამო და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება; რომ რაც მაგათგან არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებულია, ის გადადის ხალხში და იგი ჰსცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებასა; მაგ დამტკიცებულ აზრების და ცნობაების გადასვლის გაადვილება ჩვენის „მოამბის“ საქმეა. რამოდენადაც ცნობიერად და ვრცლად მოეკიდება „მოამბე“ თავის ძნელ საქმეს, რამოდენადაც მიაგნობს და შეატყობს ცხოვრების მაჯისცემასა და შენიშნავს იმ მაჯის მცირედსა ცვლილებასა, რამოდენადაც ნათლად განარჩევს ცხოვრებისაგან

მოგუბებულ მასალასა და თვითვეულ მის შემადგენელს ნივთსა საყოველთავოდ განაბრწყინებს მეცნიერების შუქით და ხელოვნების წარმოდგენითა, იმოდენად იგი პატივცემული იქნება საზოგადოებაში და ნაყოფიერი ცხოვრებისათვის. გზა დანიშნული აქვს და არჩეული ჩვენს „მოამბესა“. ვნახოთ, როგორ გაივლის! ღმერთმა კი მშვიდობის და სიკეთის მგზავრობა მიჰსცეს, ღმერთმა მოაპოვებინოს მრავალი თანამშრომელი, რომ ჩვენის ქვეყნის და ხალხის სიყვარულის სახელითა ძმურად ურთიერთს მხარი მიჰსცენ და არ დაივიწყონ, რომ ხალხი – დაბალი თუ მაღალი – ყველა მოყვასია ჩვენი, შეძლებისამებრ ყველამ უნდა ვუშველოთ თუ ხალხი მართლა მოყვასია, რუსთაველი გვასწავლის, მოყვასს როგორც უნდა მოექცეს კაცი:

„ხამს მოყვასი მოყვასისთვის
სიცოცხლისა არ დამრიდად,
გული მიჰსცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად“..

1862 წელი.

ილია მართლის სიბრძნის კრიალოსანი

* * *„ადამიანის უძვირფასესი საუნჯე მისი ვინაობაა.“

* * *„ავი კაცი რამდენადაც მეცნიერია, დიდი სწავული, იმოდენად უფრო ძლიერ საშიშია, უფრო ძლიერ მავნებელია.“

* * *„არამც თუ უსაბუთო ძაგება, უსაბუთო ქებაც კი საწყენია მართებულის კაცისათვის.“

* * *„ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახავ, ვერ ირწმუნებ, და ზოგი – იმისთანა, თუ არ ირწმუნებ, ვერ დაინახავ.“

* * *„მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველს ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა.“

* * *„პაწია ყრმავ, ეხლა როცა პირველად მოდიხარ ქვეყანაში, შენ სტირი და შენს გარშემო კი ყველას სიხარულის ღიმილი მოსდის, იყავ ისე, რომ როცა ქვეყანას ეთხოვებოდე, ყველანი სტიროდნენ და მარტო შენ კი ღიმილი მოგსვლოდეს.“

* * *„აწმყოს, რომელსაც წარსული არ აქვს, არც მომავალი აქვს.“

* * *„გახსოვდეს, რომ ქვეყანაზე ქაღალდის გარდა არის კიდევ სინდისი.“

* * *„ქვეყანაზე, რომ ჭირი არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა.“

* * *„მეზობლის უბედურებაზე ჩვენი ბედნიერება ვერ დაფუძნდება.“

* * *„კმაყოფილება კაცის მომაკვდინებელი სენია.“

* * *„ღობე-ყორეს მოდება ღალატია საქმისა.“

* * *„რასაც თვითონ არ ვიმოქმედებთო, სხვისგან ბევრს ნურას ველოდებითო.“

* * *„შენ რომ ცუდკაცობდე, კაიკაცობაზედ სხვას მაინც ნუ გალანძღავ.“

* * *„წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა.“

* * *„ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვად რადმე; იმიტომ, რომ მამობა და დედობა ადამიანური მარტო შვილების გამრავლება და ძუძუს წოვება არ არის.“

* * *„ვინც ლაფში თავიდან ფეხებამდე ამოსვრილია, არ შეიძლება ისე შეეხოს სხვას, რომ თავისი ლაფი იმასაც არ მოაცხოს.“

* * *„თუ სათავე მღვრიეა, ბოლოში ამაო იქნება წმინდა წყლის ძებნა.“

* * *„კარგია გაღვიძებული ადამიანი, მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულ-აღტკინებულსა.“

* * *„ლუკმა მაშინ არის ტკბილი, როცა კაი კაცობით არის ნაშოვნი.“

* * *„მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე.“

* * *„სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა.“

* * *„ჩემი მსაჯული ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან.“

* * *„ხვალე არ უნდა ჰგავდეს დღევანდელს, თუ კაცს პროგრესი, წინსვლა ადამიანისა ფუჭ სიტყვად არ მიაჩნია.“

* * *„ხელი მიეც შენს მეზობელს, შეერთდით, ერთად იმუშავეთ, თუ გინდათ ქვეყანაში რიგიანად იცხოვროთ.“

* * *„ღონიერი და ჭირთა მძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია.“

* * *„ფეხს ვერ გასძრავთ, თუ საკუთარის ტვინის ძაფები არ ამოქმედეთ, თუ საკუთარი გრძნობა და ჭკუა არ წაიმძღვარეთ, თუ საკუთარი მსჯელობა არ იქონიეთ.“

* * *„ზოგჯერ მოკლე სიტყვაც გრძელია.“

* * *„დედაც კაცია, – გვეუბნება ჩვენი ენა, – და მამაცაო.“

* * *„ათი-ათასჯერ არაფერი მაინც არაფერია.“

* * *„ბოდიში ძნელად თუ მოარჩენს მოგრეხილს კისერსა, – და არც მოტეხილი ფეხისთვის არის უებარი წამალი.“

* * *„ვინც თვითონ მოიპოვებს სახელს, იგი ბევრით წინ არის იმაზე, ვისაც სახელი მამა-პაპათაგან რჩენია და რგებია.“

* * *„თავისუფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყველასა.“

* * *„კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე: ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, – აბა დღეს მე ვის რა ვარგე?“

* * *„სიკეთით სძლიე შენს მტერსა, ერიდე სისხლით ზღვევასა: სულგრძელობითა ძლევა სჯობს ვაჟკაცობითა ძლევასა.“

* * *„სიტყვა თქმაა და არა ქმნა. თქმასა და ქმნას შორის დიდი ზღვარია.“

* * *„ხეს ვერ გაზრდი იმ დროზე ადრე, რაც ბუნებას დაუნიშნავს.“

* * *„ხმალი მაშინ უფრო კარგია, როცა ის ფარია და არა სატევარი.“

* * *„ერთი „მაქვს“ სჯობს ათას „გქონდა-ს“.

* * *„პატიოსანთ მტერთა შორის მოციქული ნამუსია.“

* * *„ყველა კაცმა რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რის შემძლებიც არის, ქვეყნიერებაზე უბედურნი აღარ იქნებიან.“

* * *„უფულო ერი ერთა შორის და უფულო კაცი ადამიანთა შორის ყმაა ფულიანისა.“

* * *„დამალული ჭირი ძნელია, პირდაპირ მოსულს კიდევ როგორც იქნება შეეჭიდება კაცი.“

* * *„მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ.“

* * *„თუ სახელის შოვნა გინდა, დღეს ისეთი ნერგი დარგე, რომ ხვალემა მადლობით სთქვას: „ნანერგითა შენითა მარგე“.

* * *„პატარა ნიჩბითაც ბევრი რამ გაკეთდება და ძალიან შესაძლოა ცოტ-ცოტაობიდან დიდი საქმე გამოვიდეს.“

* * *„კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაულესია, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს. მაშინ ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს.“

* * *„ადამიანი ადამიანობს მარტო პატიოსნებით და ნამუსითა, და ვინც ეს იცის, იმისათვის შებღალვა ან ერთისა ან მეორისა ყოველს დანაკლისზედ უმძიმესია, ყოველს მწუხარებაზედ უდიდესი მწუხარებაა.“

* * *„ზნე-ჩვეულების გაუწმენდელობა და გაუნათლებლობა არის მიზეზი, რომ ქვენა გრძნობანი ზენა გრძნობათა ადგილას გამეუფდებიან ხოლმე, ტყუილი მართალის ნიღაბ ქვეშ დაიარება და ყალბი ხალასად გადის.“

* * *„დღეს ყოველიფერი შეწირული აქვს მარტო გონების გახსნას და დავიწყებულია, რომ ადამიანს ჭკვა-გონების გარდა გულიცა აქვს, რომელსაც კაი-კაცობისათვის ისეთივე წურთვნა და გახსნა უნდა, როგორც ცოდნისათვის ჭკვა-გონებასა.“

* * *„გულდამჯდარად, აუჩქარებლად, მართებულად, გულმტკივნეულად და გულწრფელად ნათქვამი სიტყვა, თუნდაც წუნისა, უფრო მჭრელია, უფრო შემძლებელი, ვიდრე ნიშნმოგებული, გაწიწმატებული და გაბოროტებული ავყიობითა და წიწლაკიანობითა.“

* * *„ჩუმი, მშვიდობიანი, დინჯი, არა-მყვირალა და ჩხავანა მოღვაწეობა, – საცა უნდა იყოს, – თუ გულმხურვალეობით არის გამთბარი, გულმოდგინეობით წარმართული, ერთგულობით ძირმაგარი და პატიოსნებით ნათელცხებული, – უტყუარი ნიშანია თითონ მოღვაწის დიდ-ბუნებოვანობისა.“

* * *„მართალია დიდად წარმატებული გონება და გული უნდა ჰქონდეს, რომ კაცი შემძლებელი იყოს თავისი თავი გაითვალისწინოს და თავის-

თავს მსაჯულად გაუხდეს პირუთვნელად, იმიტომ რომ იგი ერთსა და იმავე დროს მსაჯულიც უნდა იყოს, მოსარჩლეც, ბრალმდებელიც და ბრალდებულიცა.“

* * *„ფული რამდენადაც ბევრია, იმოდენადაც ხარბია და გაუმაძღარი.“

* * *„ნუ გგონიათ რომ იგი წმინდა მადლი სხვის სიხარულით გახარებისა, და მაშასადამე, სხვის მწუხარებით მწუხარებისაც, ცოტა რამ იყოს. იგია პირველი ნიშანი დიდ-ბუნებოვანებისა, დიდკაცობისა, და მარტო რჩეულთა ამა ქვეყნისათა, მაგ მადლს ღმერთი კურთხევით უწყალობებს ხოლმე.“

* * *„მართალი უთქვამს ვინცა სთქვა, რომ ორნაირი სათნოებაა ქვეყანაზე ადამიანის ღირსების აღმნიშვნელი: ერთი უქმი, რომელსაც მოსდევს არა ქმნა ბოროტისა, მეორე მოქმედი, რომელსაც მოსდევს ქმნა კეთილისა. პირველი მაგდენი ვერაფერი ღვაწლია, – სადიდებელი კაცისა მეორე სათნოებაა.“

* * *„სხვაზედ მინდობა – ქვიშაზედ აშენებული შენობა ყოფილა და იქნება კიდეც ამ ქვეყნიერობაში. წამოუვლის ნიაღვარი „შემთხვევისა“ და იმ იმედს, იმ მინდობას აღგვის ხოლმე დედამიწის ზურგიდამ და იმედევნეულს, სხვაზედ დანდობილს, ერთს უდაბურს ტინზედ გარიყავს, – შენს თავს შენვე მოუარეო.“

* * *„მხოლოდ დიდ-ბუნებიანთა კაცთა თვისებაა ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და მის ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება, და თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თვისიცა, ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად უღირს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე.“

* * *„ზნე-ხასიათის წვრთნა ზრდაა შინაგანი კაცისა, თუ ეგრე ითქმის. რადგანაც შინაგანობა კაცისა მისი სულიერი ვინაობაა, მისი სულიერი ბუნებაა, მაშასადამე წვრთნა ზნე-ხასიათისა ზრდაა, გარკვევაა მისის სულიერის ვინაობისა, სულიერის ბუნებისა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, მისის კაცობისა, ადამიანობისა.“

* * *„ვით მამა ზეცისა იყავნ შენ სრული“ – აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა, ვის რა მანძილი გაუვლია. ცალკე ადამიანია თუ მთელი ერი, – ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა სწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელის ერისა.

* * *„ქურდბაცაცაზედ უარესნი არიან ისინი, ვინც იმოდენად ხელს იღებენ თავზედ, რომ ცილისწამებით, ხმების დაყრით, ჩუმად და იდუმალად უბღალავენ თავის მოპირსპირეს პატიოსნებას და ნამუსსა. რაკი ჯავრი ვისზედმე ჩაიდეს გულში, მაშინ იმათთვის მოსარიდებელი აღარა არის-რა: კაცია, თუ ქალია, არ მოერიდებიან, რომ ყოველგვარი ლაფი თავს გადაასხან და ერთსაც და მეორესაც სახელი გაუტეხონ, სახელი დაუმხონ.“

* * *„ჭეშმარიტი განთლება განვითარებულ გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის, და ჩვენის ფიქრით, ისევ გონება განუვითარებელი და ზნე-ხასიათ გაწურთვნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონებაგანვითარებული და ზნე-ხასიათ გაუწვრთნელი, ამიტომაც დღევანდელ დღეს ადვილად შესაძლოა შეჰხვდეთ, – კაცი ცოდნით ერთი იყოს, მოქმედებით და ცხოვრებით კი – სრულიად სხვა.“

* * *„ადამიანის უძვირფასესი საუნჯე მისი ვინაობაა და ნურავის ნუ უკვირს, თუ ამ ვინაობის შემაგინებელს, შემბღალველს, ყოველი პატიოსანი კაცი სამართლიანის გულის წყრომით ზედ აეგება. განათლება პატიოსანს კაცს „სილბოს აძლევს ნაქსოვისას“ – როცა სხვას უნდა „გული მისცეს გულისათვის“ და საშველად ხელი მიაწოდოს, და „სიმტკიცსე ნაჭედისას“ – როცა თავის საკუთარს ვინაობას ჰპატრონობს. იქ „სილბო“ ღირსებაა, აქ კი ლაჩრობა, იქ „სიმტკიცე ნაჭედისა“ გულქვაობაა, აქ კი – ღირსება.“

* * *„ბოროტის უქმნელობა კი არ იზიდავს, კი არ გამსჭვალავს ადამიანის გულს, არამედ ქმნა მადლისა, მარტო მადლის-მყოფელის წინაშე ადამიანი უნებლიეთ იხრის თავს, იყრის მუხლსა და განცვიფრებული მეტყველებს სიტყვით თუ უსიტყვოდ ქებასა და დიდებასა. ეგ იმიტომ, რომ ჭეშმარიტი კაცობა არ ქონა ცოდვისა კი არ არის, არამედ ქონაა მადლისა. კაცურის კაცობის ნიშანი მინიმუმ-ი სათნოება კი არ არის, რომელიც არ-ცოდვის საზღვარია, არამედ მახიმუმ-ი, რომელიც მადლის სამფლობელოა და საუფლისწულოა.“

* * *„კაცმა რომ კაცს უთხრას, შენ საქმე არ იციო, არა მგონია ეს უზრდელობაში ჩამოართვას ვინმემ. ასეც კი უნდა ითქვას სხვათა შორის, რომ მართლმსჯელობას გახურებულის რკინის თვისება აქვს. იგი სწვავს, როცა სუსტს მხარეს შეეხება ხოლმე და მაგ თვისებას ვერავინ ვერ ჩამოართმევს მართლმსჯელობასა ზრდილობის სახელითა. ყველას ემწვავება ხოლმე, როცა ვარაყით მოოქროვებულს კაკალს დაჰხარის, შიგ კაი გული დევსო, და თქვენ-კი გაუტეხთ და შიგ გულის მაგიერ ჭიის საბუდარს დაანახვებთ.“

* * *„თუ სამართლიანი ხარ და კაცთმოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარ, იმიტომ რომ იღვაწებ და იმოქმედებ შეძლებისამებრ, რადგანაც უქმად ყოფნის ნებას გრძნობა სამართლიანობისა არ მოგცემს ამ წუთისოფელში, საცა ოფლის წურვით უნდა ჰყიდულობდეს თვითოეული თავის კერძს ცხოვრებისას, და კეთილის-მოქმედიც იქნები, რადგანაც ავკაცობის ნებას არ მოგცემს გრძნობა კაცთმოყვარეობისა. შეძლებისამებრ იღვაწე და იმოქმედე კეთილი, – სხვას ამის მეტს არასა სთხოვს ქვეყანა თავის შვილსა.“

* * *„ჩვენის ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულთ-მომქმედი მხნეობა, თავ-გაწირვა, თავ-დადება, ვაჟკაცობა სულ იმ ნათელით არის განსხივებული, იმ შარავანდედით არის მოსილი, რომელიც „ძელმა ჭეშმარიტებისამ“, წმინდა ნინოს მადლით და ღვაწლით აღმართულმა, მოჰფინა მთელს ჩვენს ქვეყანასა. ამ ძელზედ, სხივოსანის ასოებით, ქრისტეს წმინდა სისხლით დაწერილი იყო და არის იგი მცნება, რომელიც უდიდესია, უძლიერესია ყოველსა მცნებაზედ: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.“

* * *„სვიმონ მესვეტე სვეტზე ავიდა იქ მიეცა გახრწნილებას სულის საოხად, და ნუთუ ეს სიზარმაცით მოუვიდა და ქვეყანას იმიტომ მოერიდა, რომ ქვეყანა ხელ-ფეხის მოძრაობას, გარჯას და მუშაობას ჰთხოულობდა და სვეტზე-კი უძრავად შეეძლო დებულიყო. ამისთანა ამბავს სხვა მიზეზი აქვს, რომელიც თავს იმალავს ადამიანის მრავალფერს ბუნებაში, და რამოდენად ეს ფარულნი მიზეზნი შორს არიან უბრალო სიკვდილის შვილთა თვალთათვის, იმოდენად მათი პოვნა და მიგნება ხვედრია მარტო იმისთანა კაცებისა, როგორიც რუსთაველია და სხვანი.“

* * *„შეჭიდება ჰოსი და არასი, მათი ერთმანეთთან დაპირისპირება და ამ გზით კვლევა მართლისა – კრიტიკაა. კრიტიკა ბუნებითად ისეთი რამ არის, რომ ერთსა და იმავე დროს, ერთისა და იმავე საგნის კვლევაში „ჰო“-საცა და „არა“-საც ამოქმედებს მართლის გამოსარკვევად და გამოსაჩენად, იგი ნებას არ იძლევა, რომ ან ერთმა და ან მეორემ ცალკე გასწიოს და ცალ-კერძ სჭიმოს ჭაპანი ძიებისა და კვლევისა. როგორც ურემი სწორედ ვერ გაივლის, თუ ცალ-მხრივ გააწევინე ხარსა, ისეც ძიება და კვლევა ჭეშმარიტებისა, ცალ-კერძ ტარებული და განზიდული.“

* * *„სავსება ერთობ ადამიანისა იმაშია, რომ მის გონების აღმატებულებას შეწონილ ჰქონდეს აღმატებულება ზნე-ხასიათისაცა. საჭიროა ზნე გაწმენდილი და გაფაქიზებული ჰქონდეს პატიოსნებითა, ნამუსიანობითა, კაცთმოყვარეობითა და სამართლიანობის გრძნობითა. უამისოდ მისი მსჯელობა და ყოფა-ქცევა ერთმანეთს გადუდგება, ერთმანეთს არ შეეთანხმება, მისი აზრი სხვა იქნება და ყოფა-ქცევა სხვა, გონება ერთს ეტყვის და გული სხვას აქმნევინებს. უზნეობა, უხასიათობაც ეს არის და ამ უზნეობითა და უხასიათობით არის ავი, ზნეუწვრთნელი სწავლული კაცი.“

* * *„მძლედ მობურთალნი ქვეყნიერობის მოედანზედ მარტო დიდხასიათის კაცნი არიან. ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთასრულობა, დიდ-ხასიათობა, იმისდა მიუხედავად, – ტრიალი ემარჯვათ, თუ ემარცხათ. ყოველივე დიდებული საქმე რითაც-კი კაცობრიობა ჰქადულობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვისმე სხვისაგან. ამიტომაც ხასიათიან კაცის წინაშე ყველა უნებლიეთ თავს იხრის, მოწიწებით და სასოებითა: ამიტომაც ყველა, დიდი და პატარა, უკან მისტირის, როცა ამისთანა კაცი მიდის უკან დაუბრუნებლად და სამუდამოდ.“

* * *„უყვარს ქართველს ეს გამრყვნელი და წამახდენელი სენი, რომ თუ არ აქე, თუ არ მიეფერე, პირიდამ თაფლი თუ არ იდინე, სულ ყველაფერი უზრდელობა და ლანძღვა ჰგონია. მაგრამ ამისთანა ცთომილი აზრი არ დააყენებს ხოლმე პატიოსან კაცს, როცა ის შედის რისამე განხილვაში; იმისთვის სულ ერთია, რასაც იტყვის ეს და ეს ბრმა ამა და ამ საგანზედ, ის მხოლოდ ეძებს სიმართლეს და ემსახურება ჭეშმარიტე-

ბას; ის ცდილობს გამოაჩინოს შეუბრალებლად რაც ცუდია – ცუდად, რაც კარგია – კარგად. პირფერობა და ურცხვი უალაგო ქება გლახის და მათხოვრის საქმეა და არა ჭეშმარიტების მსახურისა.“

* * *„ყოველი კაცი ბედნიერებისათვის იღწვის, მაგრამ ყოველს კაცს მიჩნეული არა აქვს თავის საკუთარ ბედნიერებად სხვისი ბედნიერება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, თავისი საკუთარი ბედნიერება სხვის ბედნიერებასთან განუყოფლად ყოველს კაცს ვერ გაუერთებია. ეს ისეთი მძიმე გასადები ხიდია, ეს ისეთი მძიმე და ეკლიანი გზაა, რომ თვითეული ბიჯი ღვაწლია და მსხვერპლი, და რადგანაც ღვაწლია, რადგანაც მსხვერპლია, ამიტომაც მადლია, და რადგანაც მადლია, ამიტომაც გულთა მიმზიდველია, გამმსჭვალავია გაოცებამდე, გაკვირვებამდე. ამისთანა კაცი მზესა ჰგავს, რომელსაც ბრმაც-კი ჰგრძნობს, თუმცა არა ჰხედავს.“

* * *„თვით იკვლიე, თუ შეიძლება და გარემოება შეგწევს, მოსჩხრიკე, შეამოწმე, და თუ ავტორიტეტის აზრი გამართლდა, დაიჯერე მხოლოდ მაშინ, და ამ სახით შენს საკუთარ რწმენად გარდაჰქმენ სხვისაგან აღმოჩენილი და ნაკვლევი. ხოლო საცა გონება და ჭკუა, რომელისამე მიზეზით, ვერ მიგიწვდეს და არჩევანში ხარ, შენს არ-გამოკვლეულს აზრს, არ-ცოდნას, სხვისი, სახელგანთქმულის მეცნიერის, გარკვეული აზრი და ცოდნა მოაშველეო – აი, ეს არის ეხლანდელი მოძღვრება ავტორიტეტების გამო, და ღრმად დანდობა კი, და აყოლა სხვისა იქ, საცა შენი საკუთარი გონება საბუთიანად სხვა რიგად გიჭრის, – ეგ უწინდებური ცოდვაა, უგუნურობად მიჩნეული და სამრთლიანად განდევნილი, უარყოფილი.“

* * *„პატივისცემა იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ ადამიანი ადამიანს პირმოთნეობით ექცეოდეს, ეგ ადამიანის პატივისცემა კი არა, ეგ შეურცხყოფა იქნება. ცუდია, თავის მეცნიერების შემაგინებელია, ადამიანის მოღალატეა ის ექიმი, რომელიც სნეულს უებარს წამალს არ ასმევს მარტო იმის გამო, რომ მწარეაო. არა, ჭეშმარიტი პატივისცემა ის კი არ არის, რომ პირში, გულახდილად, ადამიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას. ისე უთხრას, რომ არ შეუგინოს, არ შურაცხჰყოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძნობა, ღირსება და პატივი, არ დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი კანონი, რომელიც კაცს კაცად ჰქმნის და რომლის მეოხებითაც იგი თავისთავს კაცად სცნობს და აღიარებს.“

* * *„ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებულ და დიდ-ბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი. ერი, რომელსაც ახსოვს თავისის ერთიანის სულის წირვა, ეგ თავის დიდ-ბუნებოვანი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევდება, ჰგულოვანდება და თავმოწონებულია ყველგან, ჭირია თუ ლხინი. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუვარდება, არ დაუძაბუნდება არავითარს ზედმოსეულს უბედურებასა და განსაცდელსა. იგი გულგაუტეხელად იბრძვის, იღწვის, გამხნევებული თავის მამა-პაპის მაგალითითა და ანდერძითა, და მარტო გულგაუტეხელი მებრძოლი დაინარჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანს ამ წუთისოფელში.“

* * *„ადამიანს ხორცის გარდა ერთი რამ სხვა მოჰმადლებია, რომლითაც იგი ადამიანობს, ვით კერძო ღვთისა. ის ერთი – სული და გულია, უჭკნობლობის ნიჭით და ღონით დალოცვილი. ეგ ღვთაებრივი ნიჭი, როგორც ყველაფერი ღვთაებრივი, დროთა მბრძანებელია და არა ყმა. შესაძლოა, ხორცი დაბერდეს, დაუძლურდეს, სული და გული კი ისევ ჰყვაოდეს, ზეგარდმო მადლით შუქმოფენილი და მრავალფერად გადაშლილი, თუკი ადამიანი საკადრისად უპატრონებს, ადამიანურად მოუვლის, ხორცის მბრძანებლად გახდის და ხორცს არ გაალახვინებს. მე ვსთქვი – ეგ ნიჭია-მეთქი და ნიჭს ზრდა, წვრთნა, გახსნა და გაშლა უნდა. ყოველი, ცოტად თუ ბევრად სხვაზედ აღმატებული კაცი არ შეიძლება ამ გზას ასცდენოდეს, და ამიტომაც მოხდება, რომ ხორცით დაბერებულს, სული და გული ჭაბუკისა შერჩება ხოლმე საფლავის კარამდინა. უკეთესენი და უდიდესნი კაცნი ქვეყნიერობაზედ ამისთანანი ყოფილან.“

* * *„ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ-ბუნებოვანების შარავანდედითა და, თაყვანსა სცემს სასოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი თხოვნა, იმათი დაუვიწყარობა. თუნდ ეგეც არ იყოს, შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიაჩნია კეთილად, და რა კეთილი – ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის

ირჯებოდა და მხნეობდა, და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თითონ შვილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ეგვანება, დავით გურამიშვილის არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება.“

* * *„თვითმსაჯულობა, თვითმხილველობა, გონებრივი უმაღლესი წერტილია ადამიანის განვითარებისა და წარმატებისა. შესაძლოა კაცს მრავალი ცოდნა ჰქონდეს, და ის უნარი კი, რომელიც თავისით ჭრასა და კერვას მოასწავებს გონების საქმეში, არ გახსნოდეს, არ გაშლოდეს სამოქმედოდ. იგი „ჰოს“ სათქმელსაც და „არას“ სათქმელსაც ერთნაირის სიფრთხილით, ერთნაირის აწონ-დაწონვით ეპყრობა. იგი იმითაა ღირსეული, რომ „ჰოს“ საბუთსაც ისეთისავე გულმოდგინებით იძიებს, როგორც „არას“ საბუთსა, რადგანაც სახელში მარტო მართალი აქვს და სხვა არარა. ამისთანა კრიტიკა მართლმოყვარე გამომძიებელია და მართლგამკითხავი სასწორი: თუნდ რომ „ჰოს“ გზით შეუდგეს თავის საქმეს, თუნდ „არას“ გზით, ორმავე გზამ მართალთან უნდა მიიყვანოს, ამიტომაც კრიტიკა ერთს გზასაცა ჰხმარობს და მეორესაც, იმისდა მიხედვით, თუ – რა საქმეში რომელი უფრო უტყუარად და ადვილად აპოვნინებს მართალსა.“

* * *„გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდესო:“ ჩვენ გულს გაგვიგმირავს ხოლმე ცხოველი სიტყვა, ჩვენი ძმისვე სიკეთე, ჩვენი ძმისვე ჩვენთვის თავგამოდება. პირველი ქვა, რომელიც თავგამოდებულს მოხვდება ხოლმე, ქართველისაგანვე არის ხოლმე გამოტყორცნილი. წადი აქა და ძლიერი მუხლი ნუ მოგეჭრება. რათა ვართ ასე? იმიტომ, რომ ჩვეს აზრსაც, გრძნობასაც გადავჩვეულვართ, მერე ასე გადავჩვეულვართ, რომ ცოცხალი აზრი, პატიოსნური გრძნობა, უანგარო გულმხურვალება, თავგამოდებული ხალისი რომ ვნახოთ, ვერც კი ვიცნობთ. ეს კიდევ არაფერი, რომ ვერ ვიცნობთ: ავიღებთ და იმასაც ლაფში გავსვრით, – იმ მიზეზით, რა მიზეზითაც დიდხანს ბნელს საპყრობილეში დამწყვდეული კაცი, როცა მზეზედ გამოვა, თვალებზედ ხელს იფარებს, რადგანაც სინათლეს ისე გადაჩვეულა, რომ სინათლე თვალებსა სტკენს, და ამის გამო რაც ნათელია, ბრწყინვალე, იმას თვალების აფარებით აბნელებს.

* * *„გამხელა და გაკიცხვა წუნის დადების საზღვარს არ უნდა გადასცილდეს. წუნის დადება და ლანძღვა-თრევა, შორის-შორია, შუა დიდი მანძილი უდევთ. განა ცუდს – ცუდი, ავს – ავი არ დაერქმის ადამიანის ღირსების შეულახებლად, ადამიანის გაულანძღველად, თავლაფ-დაუსხმელად? ამ შემთხვევაში ავის მომქმედი არ უნდა გააბოროტო ლანძღვითა და თრევითა, იმიტომ რომ გაბოროტება, ვით ძლიერ თავდაუჭერელი ვნებათა-ღელვა, გულის-ყურის კარს დაუხშობს და იმ ზნეობით ძალს, რომელსაც ნამუსს ეძახიან და რომელიც ჭეშმარიტი გამკითხავია და მწურთვნელი კაცისა, ხმას აღარ ამოაღებინებს. ავის საქციელის მდევნელი ზრდილობიანი, მართებული გონება-გახსნილი პატიოსანი კაცი რისთვის აღიძვრის ხოლმე დევნად? იმისთვის ხომ არა, რომ ზოგიერთებსავით სიხარულით ქუდი ჭერსა ჰკარს, ჩემს მოძმეს ძლივს ცუდი ვუპოვნეო და ძლივს ჩემს ლანძღვით სავსე გუდას პირს მოვუხსნიო, არამედ იმისთვის, რომ ან ავის მომქმედს ავი მოაშლევინოს, ან ავზედ სხვას აუხილოს თვალი.“

* * *„ტვინი თუ ნაჩვევი არ არის თვითმსჯელობასა, თუ თავით თვისით ნავარჯიშები არ არის, თუ მის პატრონს დაბადებითვე ნათხოვრებით გამოუზრდია – „ვერ მოგართვის“ მეტს ვერას ეტყვის გაფითრებულს პატრონსა. ეგრე უნუგეშოდ გამოსტუმრებული ტვინის პატრონი თუმცა სასოწარკვეთილებას მიეცემა ხოლმე, მაგრამ დიდის ხნობით კი არა. ტვინის სადგურში ერთი მივარდნილი კუნჭულია, საცა ერთი ბრმა – ნიჭი ადამიანისა ბინადრობს, ის ნიჭი ტვირთთამზიდველ სახედარსავით ყოველთვის მორჩილია, ქვევრის თვისება აქვს, რაც ერთხელ ჩაგიძახნია, იმას ყოველთვის ამოიძახებს და სახელად ჰქვიან მეხსიერება. აი ეს ბატონი მეხსიერება მიეშველება ხოლმე ტვინისაგან განუკითხველს მწერალსა და გზას უჩვენებს ვაი-ვაგლახიდამ დასახსნელს, მაშინ დაიძვრის ხოლმე მეხსიერების სიღრმიდამ ყოველივე ნაგავი, რაც გაზეპირების ქარს და წაღმა-უკუღმად წიგნის კითხვას ოდესმე მოუბუქავს, ენაზედ მოაყენებს ყოველს – გონებაში ჩარჩენილს უთავბოლო ფრაზებს, იმას კი არა ფიქრობს, რომ იმას გულის ფრიალის წამალს სთხოვენ და ის კი ტვინ-დათხეულსავით იძახის: მწყურვალის წამალი წყალიაო.“

* * *„უმეცრობა და უვიცობა დიდი ჭირია და თუ ამას თან დაჰყვა უჭკუობა და უნიჭობა, ხომ ჭირზე უფრო ჭირია.

* * *ჭკვიანი უცოდნიარი ყოველთვის თავის ქერქშია, – რაც არ იცის, იმაზე სჯასა და ლაპარაკს ერიდება. რასაც გონება მისი უცოდინარობით ვერა სწვდება, აქ იგი მეტიჩრობას ვერა

ჰკადრულობს, დუმილს უფრო რჩეობს, სხვას უსმენს, სმენილს თავისის ჭკუის და გონების თვალწინ განკითხვით გაიტარებს, ასწონს-დასწონს და ამნაირად თავის საკუთარ აზრს, ცოდნას გამოინასკვავს, შეითვისებს. ამ ყოფით, თუ სხვა გზით, იგი ჯერ საგანს ისწავლის, გაითვალისწინებს და მერე, თუ საჭიროება მოითხოვს, დაიწყებს სჯასა და საუბარსა.

* * *„ჭკუიანი უცოდინარი თავმდაბალია, თავის თავი სხვაზე მეტი არ ჰგონია, არა ჰბაქიობს, არ იკვეხის, თითონ ზიზილ-პიპილებით არ ირთვება და სხვას მჩვარში არ ახვევს, მან თავის ყადრი და ადგილი იცის და სხვისაც ერთნაირად, მორიდებულია ყოყოჩობას, ზვიადობას და ნამეტნავად მეტიჩრობას, არამკითხე მოამბეობას. რაც იცის, იმას სჯერდება, მეტზე ხელს არ იწვდენს, მეტს სიბრძნეს და ფილოსოფოსობას არ იჩემებს, ტყუილუბრალოდ გაბერილ ფრაზებით ლარის გატანას და მსმენელის თვალის ახვევას ჰთაკილობს და როგორც სამარცხვინო ოინებს ახლოც არ ეკარება.“

* * *„...ვინც ღრმად დაკვირვებას საგნისას ჩვეული არ არის, ვისაც გონების თვალი არ უჭრის და ტფილისის ბულვარის მოძღვრება კაცობრიობის მოძღვრებად უწამებია, იმას ადამიანის „მე“-ს ხსენებით მიზეზი მიეცემა იაფის ფასის ლიბერალობა გასწიოს და ჩვენ შეგვწამოს, ვითომც ჩვენ იმ სამართლიანად გმობილს ეგოიზმს ვქადაგებდეთ, რომელიც ეჩოსავით სულ თავისკენ ითვლის, ყველაფერს თავისთვისა სჩემობს. არა, ჩვენ იმ გრძნობაზედ ვლაპარაკობთ, რომელსაც ადამიანის საკუთარის ღირსების გრძნობა ჰქვიან და ურომლისოდაც არც კაცი კაცად იხსენება და არც საზოგადოება საზოგადოებად. ადამიანს მისი “მე” გაუნადგურეთ, მის საკუთარ კერაზედაც ნუ მოასვენებთ, შინ შეესიენით, სჯიჯგნეთ და ჰსწეწეთ სულიერად თუ ხორციელად, ღღემუდამ შიშს ქვეშ ამყოფეთ, ან ეხლა შემომიხტებიან, ან ეხლაო, ერთის სიტყვით, საკუთარის ღირსების გრძნობა აჰყარეთ და გაუქარვეთ და რაღა დარჩება ადამიანს ცხოვრების საგნად? რისათვისღა გაისარჯოს? რისათვისღა იღვაწოს? რისათვისღა მისცეს მხარი თავის მსგავსსა, თავის მოძმესა? ან რისთვისღა უნდა თითონ საზოგადოების არსებობა? ტყის ნადირი რით იქნება უარესი ამრიგად გათახსირებულ, ამ ყოფაში ჩავარდნილ ადამიანზედ? რა განსხვავება იქნება პირუტყვსა და იმისთანა ადამიანს შორის, რომელსაც თავისი „მე“, თვისი ვინაობა, თვისება, თვისი პიროვნება და ღირსება დაჰსჩაგვრია.“

* * *„კაცმა რომ პატიოსანს და კეთილს საქმეს თავი შესწიროს, ერთი ჩვენგანი არ დაიჯერებს. რატომ? იმიტომ რომ ყოველი ჩვენგანი იმ კაცის ალაგას თავის თავს დააყენებდა და იტყოდა: მე უანგაროდ ამას ვიქმოდი? ამის პირდაპირი პასუხი “არა” იქნებოდა რასაკვირველია „მაშ, არც ის იქმოდა“, – დაასკვნის გონიერი ქართველი; და გამოვიდა, რომ პატიოსანი თავგანწირული კაცი გაუპატიურებული იქნებოდა ქართველის თვალში. თითონ რომ სიკეთეს გადაჩვეულა, სხვისაგანც სიკეთე აღარა სჯერა; აღარა სჯერა, რომ იმ დედამიწაზედ, საცა თითონა სცხოვრობს და ათასი კიდევ მის მსგავსი, აღარა სჯერა – რომ იმ დედამიწაზედ კაცი არის, რომელსაც სიკეთე სიკეთისათვის უყვარს, რომელსაც იმოდენა სულის ძალაცა აქვს, რომ თუ გაჭირდა, სიკეთისათვის თავსაც დასდებს. ქართველი, როგორც თითონ არის, ისე თავის მოძმეც ჰგონია; ამიტომაც ყოველი პატიოსანი საქმე პატიოსნობის სიყვარულისაგან კი არა ჰგონია წარმომდგარი, არამედ რომელიმე დაბალი და სამარცხვინო გრძნობისა და წადილისაგან. ამით ჩვენში ყოველ ბრწყინვალე საქმეს სამარცხვინო ფერს მოაცხობენ ხოლმე, ყოველს კეთილშობილურს განზრახვას, ლაფით მოსვრიან, ყოველს თავგამოდებითს ხალისს ადრე და მალე ჭუჭყიანის ხელით ფრთას მოჰკვეთენ ხოლმე. დიდი სულის ღონე უნდა, რომ კეთილმა კაცმა თავი შეიმაგროს და საზოგადო განკიცხვის კიჟინამ არ შეაყენოს თავის დანიშნულ საგნის შუა-გზაზედა.“

* * *„ვინც კარგად ემსახურება სამშობლო ქვეყანას, იგი უდიდგვაროდაც დიდია.“

* * *„ქვეყანა ტაძარი კი არაა, საცა კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს!“

* * *„ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი.“

* * *„ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულანთებული კაცები არა ჰყავს.“

* * *„ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული – ერთსულოვნებით, ერთგულებით ძლიერია.“

* * *„რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, – პატიოსანს გულში დიდი ადგილი უჭირავს.“

* * *„დროთა ბრუნვამ სხვის მაყურებლად გაგვხადა, სხვაზედ იმედს შეგვაჩვივა და ამაებმა სრულიად წარწყმიდეს ჩვენში ის თვითმოქმედების ძალ-ღონე, რომელიც უწინ იყო და რომელიც თუკი სადმე არის, ყველგან ხალხის ბედნიერების სათაურია და საფულძველიც. ხსნა ჩვენი თვითმოქმედებაში და ერთიანობაშია, საცა კაცი თითონ არ არის, სხვისით არა გაკეთებულა რა, საცა ერთი ვერას იქმს, იქ ოცსა და ორმოცს ერთად შეუძლიან ჰქმნას.“

* * *„უღონობა ქვეყნისა მარტო უფულობა და უქონლობა კი არ არის, როგორც ეხლა ბევრსა ჰგონია, არამედ უფრო ისა, როცა სათნოებიანი, კეთილ-მომქმედი, მაღალ-ზნეობის კაცი არა ჰყავს. სიმაგრე ქვეყნისა, ქვეყნის ძალ-ღონე, ერის შემნახველი და გამდიდებელი ქვითკირი ადამიანის ცხოვრებისა მარტო სათნოებაა და მარტო სათნოებიანი კაცი ჰქმნის ამ წუთისოფელს ტაძრად, – სადაც ღმერთს ადიდებენ, და სამოთხედ, – საცა ბედნიერება ადამიანისა ჰსადგურობს.“

* * *„ქართველს კაცს არც ქარის შემოტანილი უნდა არც გატანილი.“

* * *„დიდი მამულის-შვილური სიყვარული და ღრმა სარწმუნოება – ორი უძლიერესი გრძნობაა ადამიანისა.“

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ქართველ საზოგადოებაში გაძლიერდა აზრი გლეხობაში სწავლა-განათლების დედა-ენაზე შეტანისა და ამ მიზნით, წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებისა. საზოგადოების შექმნის იდეა ჩაისახა ვიწრო წრეში, **ეს აზრი განსაკუთრებით მომწიფდა იოსებ მამაცაშვილის ოჯახში,** სადაც იკრიბებოდნენ მოწინავე ქართველები: **იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, დიმიტრი მუსხელიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, გეგე მაღალაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, ანტონ ფურცელაძე და სხვანი. ამ ჯგუფს 1870 წლიდან შეემატნენ ნიკო ცხვედაძე და გიორგი იოსელიანი.**

აღნიშნულმა წრემ მალევე გაადგა პრაქტიკული ნაბიჯი და ხოვლეში მარიამ იოსების ასულ ჯავახიშვილის სახელზე გახსნა სოფლის სკოლა, სადაც სამი წლის განმავლობაში სწავლება ქართულ ენაზე უნდა წარმოებულიყო, ხოლო მეოთხე წლიდან რუსულ ენაზე გადადიოდნენ. იაკობ გოგებაშვილის აზრით, რაკი სწავლების მეოთხე წელიც ქართულ ენაზე არ წარმოებდა, სკოლას ფრთები შეეკვეცა და ამის გამო წრემ გადაწყვიტა უფრო დიდი საზოგადოების დაარსება და წესდების ნიმუშის შოვნა დაავალა ვახტანგ თულაშვილს. თულაშვილმა რაღაც მიზეზების გამო რუსეთიდან დაგვიანებით მიიღო წესდება, რომელიც იაკობ გოგებაშვილმა და ნიკო ცხვედაძემ დიმიტრი ყიფიანთან მიიტანეს გადასამუშავებლად, თუმცა გოგებაშვილი ავადმყოფობის გამო მალევე გამოეთიშა მუშაობის პროცესს.

1878 წლის 30 იანვარს გრიგოლ ორბელიანის თავმჯდომარეობით გამართულ სხდომაზე წაიკითხეს წესდების პროექტი, რომლის წარდგენა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში დაევალათ დიმიტრი ყიფიანს, ილია ჭავჭავაძესა და ბესარიონ ღოღობერიძეს. 1879 წლის 31 მარტის წესდებით საზოგადოება 1907 წლის მარტამდე მოქმედებდა.

საზოგადოების პირველი (დამფუძნებელი) სხდომა 1879 წლის 15 მაისს. საზოგადოებისა და გამგეობის პირველ თავმჯდონარედ აირჩიეს დიმიტრი ყიფიანი, მის მოადგილედ ილია ჭავჭავაძე, წევრებად ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი და რაფიელ ერისთავი. 1882-1885 წლებში თავმჯდომარე იყო ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი.

1885–1907 წლებში საზოგადოებას უცვლელად თავმჯდომარეობდა ილია ჭავჭავაძე.

მისი თავმჯდომარეობით ახლად არჩეული გამგეობის წევრები იყვნენ: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი ქართველიშვილი, გიორგი იოსელიანი, ალექსი მირიანაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ვასილ ყიფიანი, ეკატერინე გაბაშვილი, ა. ჩოლოყაშვილი, ანტონ ფურცელაძე და ალექსანდრე ჭყონია. საზოგადოების მდივნებად ამ პერიოდში მუშაობდნენ იონა მეუნარგია, გრიგოლ ყიფშიძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი, დავით კარიჭაშვილი.

ილია ჭავჭავაძემ
იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს
საზოგადოების საპატიო წევრობის
შესახებ საერთო წევთა კრების
თხოვნა გაუგზავნა:

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საერთო წევრთა კრებამ 21 ნოემბერს 1890 წ. ერთხმად აღიარა უღრმესის პატივისცემით და გულითადის მადლობით თქვენი მრავალგვარი სამაგალითო მოღვაწეობა საზოგადოდ და ქართულის მწიგნობრობის გავრცელებისათვის საკუთრად და ერთხმადვე დაადგინა უმორჩილესად გთხოვოთ, მიიღოთ ამ „საზოგადოების“ საპატიო წევრობა... საზოგადოების გულწრფელი ნატვრაა, ინებოთ თქვენ მისი საპატიო წევრობა მისდა სასიქადულოდ და თავმოსაწონებლად“.

წმინდა ილია მართალი
ილია ჭავჭავაძე
კანონიზებულია წმინდანად
1987 წლის 20 ივლისს
საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის
კრების მიერ სვეტიცხოველში.

ეპისკოპოსი გაბრიელის
პასუხი ილია ჭავჭავაძეს:

„უმორჩილესად გთხოვთ, გარდასცეთ ჩემგნით, „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კრებას, რომ დიდ პატივად და ჯილდოდ ვრაცხ ჩემ თავს მათგან საპატიო წევრად აღრჩევისა... მე არ ვრაცხ ჩემ თავს ღირსად იმ ქებათა, რომელნიც ამოვიკითხე თქვენ წერილში და ვგონებ, რომ მხოლოდ თქვენმა მეგობრულმა ჩემდამი განწყობილებამ შეგაგონათ თქვენი ამოდენი ჩემი ქება...

მდაბალი გაბრიელ ეპისკოპისი იმერეთისა“.

_____

დოკუმენტები დაცულია ეროვნულ არქივში, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ფონდში.

წმინდა მღვდელთმთავარი
გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე)
კანონიზებულია წმინდანად
1995 წლის 19 სექტემბერს
საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის
კრების მიერ სვეტიცხოველში.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საზოგადოების დაარსებით მოპოვებულ იქნა უფლება – ქართველ ბავშვებს მშობლიურ ენაზე მიეღოთ დაწყებითი განათლება (ცხადია, რუსულთან ერთად), წინააღმდეგობა მაინც ძალზე დიდი იყო კავკასიის სასწავლო ოლქის იმგვარ „მზრუნველთა“ მხრიდან, როგორიც იყო იანოვსკი და სხვა მისთანა რუსიფიკატორები. თუმცა, ეს ცალკეულ მოხელეთა თვითნებობა როდი იყო. ყველაფერ ამას ხელმღვანელობდა მზაკვარი ხელისუფლება, ერთი ხელით რომ ამ უფლებას აკანონებდა, მეორე მხრივ, საიდუმლო ინსტრუქციებით მის ცხოვრებაში გატარებას სასტიკად ახშობდა.

და მაინც:

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სასარგებლოდ თბილისში, სხვა ქალაქებსა და დაბა-სოფლებში იმართებოდა სხვადასხვა ხასიათის საქველმოქმედო საღამოები, წარმოდგენები, ლატარიები და სხვა ღონისძიებები. ბევრი ქართველი მწერალი თავის თხზულებათა გამოცემას სწირავდა საზოგადოებას. ცნობილმა მეცენატებმა ძმებმა ზუბალაშვილებმა და დავით სარაჯიშვილმა დიდძალი თანხა შეიტანეს საზოგადოების სალაროში. თბილისის საადგილმამულო ბანკმა (რომლის დამფუძნებელი და თავმჯდომარე იყო ილია ჭავჭავაძე) 11 ათასი მანეთი ჩარიცხა საზოგადოების ფონდში; ასეთივე თანხა გაიღო ქუთაისის ბანკმა, რომლიდანაც 8 ათასი მანეთი გადაინახეს ქუთაისში ქართული სათავადაზნაურო სკოლის გასამართავად.

მაგრამ საქმე მარტო ქართული სკოლების გახსნით როდი მთავრდებოდა. საჭირო იყო სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენა ისეთის სულისკვეთებით, რომელიც ეროვნულ გრძნობებს გაუღვივებდა ქართველ მოზარდებს. ამ მხრივ ფასდაუდებელი შრომა გასწია იაკობ გოგებაშვილმა „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ შედგენით. ეს სახელმძღვანელოები, დღესაც რომ ქვაკუთხედად უდევს ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებს.

ი. მანსვეტაშვილი: „თვით იაკობ გოგებაშვილი, ეს ერთგული მოამაგე ქართული სკოლისა, ეს დაუღალავი გუშაგი ქართული ენის ხელშეუხებლობისა, ი. გოგებაშვილი, რომელსაც ჭკუაც მოსდევდა და კალამიც კარგად ემორჩილებოდა, ესეც კი ილიას მიაშურებდა და ეტყოდა: „გაგვიძეხ, ბერო მინდიავ! კარს საფრთხე მოგვდგომიაო“, გასრესას, გათელვას გვიპირებენ, ენას პირიდგან გვგლეჯამენ, შენ უნდა გვიხსნა ამ განსაცდელისაგან, შენ უნდა ამოიღო შენი ძალუმი ხმაო. ილია დინჯად მოუსმენდა ყველას, მასალას შეაგროვებდა, შეისწავლიდა, თავის გამჭრიახ გონების ცხრილში გაატარებდა საგანს ისე გააშუქებდა ყოველ მხრივ, პედაგოგიკის ისეთს ღრმა ცოდნას გამოიჩენდა, რომ თვით სპეციალისტებს უკვირდათ, ესე ზედმიწევნით როგორ შეუთვისებია ჩვენი მეცნიერებაო. ასეთი საგზლით შეუდგებოდა გზას და ბრძოლის ველიდან ძლეული არ დაბრუნდებოდა“.

საზოგადოებამ ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული ეროვნული პედაგოგიური აზრისა და განათლების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება-განვითარების, აგრეთვე, ქართველ საზოგადოებაში ეროვნული სულისკვეთების გაღვივების საქმეს. სწორედ ამ საზოგადოების მიერ XIX საუკუნის 80-იან წლებში თბილისსა და ქუთაისში დაფუძნდა ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიები, რომლებშიც სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული პედაგოგიური აზრის გამოჩენილ წარმომადგენელთა იაკობ გოგებაშვილის, სილოვან ხუნდაძის, იოსებ ოცხელის, ივანე გომელაურის, ლუარსაბ ბოცვაძის და სხვათა ღვაწლი.

ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის დახვეწის მიზნით ჩაატარეს ქართული დამწერლობის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეფორმა – ქართული ანბანიდან ამოაგდეს 5 მოძველებული, არქაული ასო-ნიშანი, რომელიც ცოცხალ ქართულ ენაში აღარ გამოიყენებოდა.

საზოგადოებამ იარსება 1923 წლამდე.

ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი

რეზო შატაკიშვილი

ილია ჭავჭავაძე სცენაზე

ქართველ ერს და ქართულ თეატრს ერთი მამა ჰყავს – ილია ჭავჭავაძე. გამაოგნებელია ილიას და აკაკის ძალისხმევა ქართული თეატრის აღსადგენად და თუ უფრო ალალად ვიტყვით შესაქმნელად, რადგან გიორგი ერისთავის თეატრმა სულ რამოდენიმე წელი იარსება და მისი დასამარებიდან მთელი მეოთხედი საუკუნე იყო გასული. ილიას ძალისხმევით შეიქმნა მუდმივი დასი, უძღვებოდა დრამატულ საზოგადოებას, პატრონობდა თეატრს, წერდა რეცენზიებს

აკაკი წერეთელი პეტერბურგიდან დაბრუნებისთანავე სათავეში ჩაუდგა სცენისმოყვარეებს, ილიას მხარდამხარ იბრძოდა ქართული თეატრის აღსადგენად, სხვადასხვა დროს უძღვებოდა დრამატულ საზოგადოებას, წერდა პიესებს, რეჟისორობდა და კიდევ – ილია და აკაკი თავად გამოდიოდნენ სცენაზე, გამოდიოდნენ და კითხულობდნენ საკუთარ ნაწარმოებებს, სხვა პოეტების ლექსებს. როდესაც ილია და აკაკი სალიტერატურო საღამოებზე გამოდიოდნენ, ქართული თეატრი ჯერაც არ იყო აღდგენილი და ქართველები არც საჯარო კითხვას იყვნენ ჩვეულნი, მაგრამ ილია ამ წამოწყებით საძირკველს უმზადებდა ქართულ თეატრს, თავის მოხდენილი დეკლამაციით კითხვის კულტურას ნერგავდა და ქართული მწერლობის პოპულარიზაციას ეწეოდა. ამ საღამოებიდან მიღებული შემოსავალი კი ქართული სცენის სასარგებლოდ ინახებოდა.

ასეთი სალიტერატურო საღამო პირველად 1875 წელს გაიმართა და აფიშაზე ეწერა: „ერთი კეთილი საქმის შესაწევრად“ ეს ერთი კეთილი საქმე ქართული თეატრის აღდგენა იყო...

ილიას სცენასთან ურთიერთობა კი გაცილებით ადრე დაიწყო. 1859 წელს ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა, 22 წლის ჭაბუკმა ილიამ, თბილისში რამდენიმე თვით ყოფნის დროს, პირველი გიმნაზიის იმ დარბაზში, სადარც თავის დროზე გიორგი ერისთავმა პირველი ქართული წარმოდგენა გამართა, დადგა ცოცხალი სურათები შექსპირის „მეფე ლირიდან“. ილიას დადგმულ ცოცხალ სურათებში თბილისის წარჩინებულ ოჯახის წევრებს მიუღიათ მონაწილება, მათ შორის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალ-ვაჟს – სოფიოს და დავითს. მეფე ლირი თავად ილია ჭავჭავაძე ყოფილა.

მოგვიანებით, 1873 წელს ილია ბანკის საქმეების მოსაგვარებლად პეტერბურგს გაემგზავრა და დიდხანს მოუწია დარჩენა, გამონახა რა თავისუფალი დრო, შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმნაც დაიწყო და ინგლისური ენის შესწავლაც სწორედ იმხანად გაუცვნია ინგლისურის საოცხოოდ მცოდნე სტუდენტი ივანე მაჩაბელი და დაახლოვებულან სწორედ „მეფე ლირის“ თარგმნის გამო და ერთობლივი ძალისხმევით უთარგმნიათ კიდეც. ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნისას დაუწყია ილიას საკუთარი თარგმანის საჯაროდ კითხვა. გიორგი შერვაშიძის ბინაზე წაკითხვის შემდეგ, ოლღა გურამიშვილს სწერდა: „ კარგა ბლომა ხალხი იყო და ძალიან მოიწონეს. ასე იფიქრე, ქალებმა იტირეს და კაცები სულ აფერუმს იძახოდნენ. მართლა და თარგმანი მშვენიერი რამ გამოვიდა, ასეთი კარგი, რომ წამკითხველი მთარგმნელებს დაგვლოცავენ. ქალაქში რომ ჩამოვალ, გვინდა წარმოვადგინოთ. სცენაზე მშვენიერი რამ იქნება აი, ღვთის მადლით, როცა მშვიდობით მოვალ, მოვალ და კარდანახში წაგიკითხავთ და თუ არ გატიროთ ცუდი კაცი ვიყო“.

ერთ-ერთ მორიგ წერილში კი ოლღა გურამიშვილს სწერდა, რომ „მაგას კარგი წაკითხვა უნდა რომ კაცმა მოიწონოს. აი, როცა მოვალ, მე თვითონ წაგიკითხამთ დამაშინ ნახავთ როგორი თარგმანია“.

ამ სტრიქონებიდანაც კარგად ჩანს რა როლს ანიჭებდა ილია კითხვას მართლაც, საქათველოში დაბურუნებისთანავე მოაწყო საჯარო კითხვა თბილისში, ქუთაისშიც. კითხულობდა ხშირად.

ილიას გამორჩეულად ორი ნაკვთის წაკითხვა ჰყვარებია „ლირიდან“ – შვილებისგან განდევნილი ლირის მონოლოგი („იზუზუნე და იქროლე“) და კორდელიას სიტყვა მამისადმი.

იოსებ გრიშაშვილი წერს რომ გრიგოლ ყიფშიძის თქმით, „მეფე ლირი“ ამავე წლებში სცენაზეც უთარგმნიათ და ილიას შეუსრულებია კენტის როლი. როგორც ჩანს თანამედროვე „რიდინგისი“, ე.წ. „ჩიტკა“ გაუმართავთ და ილიას კენტის როლი წაუკითხავს. ილიას „მეფე ლირის“ დიდ სცენაზე დადგ-

მაც მოუწადინებია, ისე რომ როლები უნდა შეესრულებინათ მხოლოდ მწერლებს: ილია ჭავჭავაძეს, ივანე მაჩაბელს, მამია გურიელს, ნინო ორბელიანს, დიმიტრი ყიფიანს და სხვებს. თავად კენტის როლი აურჩევია კვლავ, ლირის როლის განსახიერება დიმიტრი ყიფიანისთვის შეუთავაზებია, მაგრამ „მეფე ლირის“ წარმოდგენა მწერალთა მონაწილეობით არ შემდგარა.

ილია ჭავჭავაძის, როგორც კითხვის ოსტატის მოღვაწეობა „მეფე ლირით“ არ შემოფარგლულა. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში ძალიან ბარათაშვილის და გრიგოლ ორბელიანის ლექსების კითხვა და შემდეგ როდესაც სალიტერატურო საღამოების გამართვა დაიწყეს, სცენაზე სწორედ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის ლექსებს კითხულობდა, საკუთარ მოთხრობებთან ერთად.

1875 წელს გამართულ პირველ სალიტერატურო საღამოში მონაწილეობა მიუღიათ ილიას, აკაკის, დიმიტრი ყიფიანს, რაფიელ ერისთავს, პ. უმიკაშვილსა და გ. ჩიქოვანს.

„დროების“ ცნობით, დიმიტრი ყიფიანი დიდი ოვაციით მიუღია საზოგადოებას, ტაშისცემა რამდენიმე წუთს გაგრძელებულა, წაკითხვით კარგად კი წაუკითხავს, „მაგრამ საუბედუროდ, ისეთი დაბალი ხმით, რომ ზოგიერთებს, ვინც სცენაზე მოშორებულნი იყვნენ, არ გაუგონიათ“. რაფიელ ერისთვის კითხვასაც ნაკლი ჰქონია – სუსტი ხმითა და ბორძიკით წაუკითახვს. „ნამდვილი დამამშვენებლები და გამაცოცხლებელნი ამ საღამოსი იყვნენ აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე. ჩვენ იშვიათად გაგვიგონია ისეთი ოსტატური და ხელოვნური წაკითხვა“, – წერდა „დროება“.

იოსებ გრიშაშვილი წერს:

„მე მინდა ერთ წუთს თვალი დავხუჭო და წარმოვიდგინო თბილისის საზაფხულო თეატრის სცენა 1875 წელს აი, გამოდის ილია ჭავჭავაძე, „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი“ – როგორც დაახასიათა გრიგოლ ორბელიანმა. პარტერში ტაშის ტკრციალი გაისმის. მერე სიჩუმე ჩამოვარდება ილია ერთ წუთს ჩაფიქრდებვა და დაიწყებს გრიგოლ ორბელიანის ლექსის „ონიკოვის დარდების“ კითხვას.

„ეს რა ცეცხლში ჩავარდნილვარ, სადა ვარ?
გული მეწვის სასიკვდილოდ მზადა ვარ,
ძაღლსავითა ვგდივარ ა იმ ქუჩაში,
ვყარაულობ ერთის ვისმეს კარებსა
ვინც გაივლის, მკითხავს აქ რას აკეთებ?
შენ რას ნაღვლობ, მე რას გიშლი, რა გინდა?
მითილი ხარ, თორემ არა მკითხავდი,
მოდი ამ ვირს ეშხზე ელაპარაკე“.

ამ ლექსის ნაწყვეტი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ გვეგრძნო ილია სცენაზე, წარმოგვედგინა მისი სახის მეტყველება, მისი დინჯი ხმა და მარჯვენა ხელის მალიმალ აწევა, რაც ასე უყვარდა თურმე პოეტს ილიას დამახასიათებელი თვისება ყოფილა სიტყვის კაფიეტად გამოთქმა დასახის ნაკვთთა ათამაშება (მიმიკა). მისი დეკლამაცია იყო ბუნებრივი და შთამბეჭდავი“.

„ილიას ხმა დიდი არ ჰქონდა, არც ძალიან მჟღერავი, მაგრამ მკაფიო, მკვეთრი და ნათელად გასაგონი. არ იცოდა კილოშეკიდებული ლაპარაკი, ხმის აკანკალება. არც ხელების წარამარა სავსავი. მასში იყო არტისტულობა და არა თეატრალობა ილიას ჰქონდა სიტყვის თავისებური გამოთქმის უნარი და ხმის მოდულაციები ჰქმნიდა მთელ მუსიკას მისი მეტყველებისას“ *(ი. ელეფთერიძე).*

1876 წლის 29 იანვარს, კავკასიის მუსიკალური საზოგადოების დარბაზში, ილიას „კაცია ადამიანის“ ის ადგილი წაუკითხავს, სადაც ლუარსაბი და დარეჯანი შვილის ყოლაზე ოცნებობენ. „როცა მოთხრობის გათავებისას „ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი-ჩუპარ“ დასძახა და ტაშის შემოკვრით გავიდა სცენიდან – ყველას აღტაცების ცრემლებით თვალები აგვენამაო“ – წერს ეკატერინე გაბაშვილი.

ტრიუმფად ქცეულა ილიას გამოსვლა სცენაზე 1889 წლის 25 მარტს, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ გამრთულ სალიტერატურო საღამოზე. ილიას წაუკითხავს გიორგი სიკვდილის სცენა „ოთარაანთ ქვრივიდან“. იაკობ გოგებაშვილი ი. სვიმონიძის ფსევდონიმით „ივერიაში“ წერდა: „საქმე ილია ჭავჭავაძეზე მიდგა. იგი გამოვიდა დინჯად, გაშალა კათედრაზე რვეული და დაიწყო კითხვა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა რომ დარბაზში ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი. ეს ყურადღება კითხვის გათავებამდე არ შენელებულა ხმა აქვს მუსიკალური, კილო შესაფერი, ლოგიური ხმის აწევ-დაწევა რიგზე მიჰყავს, გამომეტყველება და მოძრაობა პირსახისა შეესაბამება წაკითხვის შინაარსსა და საზოგადოდ მისი ხმა მკაფიოდ ჰხატავს ყოველ აზრსა და გრძნობას, რომელსაც კი იპყრობს სიტყვები და ფრაზები“...

პირველი ქართული ბანკი

თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი

ილია ჭავჭავაძე – პირველი ქართველი ბანკირი

„ამ ბანკის საქმეს ყველაფერი შევწირე“.

„ჩვენთვის მარტო ბანკია ის მოედანი, რომელზეც უნდა აღიზარდოს, ფეხი აიდგას, გაიწურთნოს, გაინავარდოს ჩვენმა თვითმოქმედებამ,ჩვენმა ზნეობრივმა ძალ-ღონემ. ვისაც ჩვენი ქვეყანა გულწრფელად უყვარს და ჩვენთვის კეთილი არ შურს, ის დიდის სიფრთხილით,დიდის მოსაზრებით უნდა ეკიდებოდეს ყოველს საგანს, ყოველს აზრს ბანკის შესახებ“.

ილია ჭავჭავაძე

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეა საგლეხო რეფორმის პერიოდში წარმოიშვა. ამ დროს ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი, დიმიტრი ყიფიანი იყო, რომელიც ცხადია, იცავდა მათ ინტერესებს და თვლიდა, რომ შექმნილ ვითარებაში თავადაზნაურობისთვის სწავლა-განათლება სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო. ის მოუწოდებდა თავადაზნაურობას, რომ სახელმწიფოსგან ყმების განთავისუფლებისთვის მიღებული თანხის მეხუთედი გაეღოთ და შექმნილიყო ბანკი, რომელიც საზოგადოებრივი დანიშნულების იქნებოდა და სწორედ მათ სწავლა-განათლების საქმეს მოხმარდებოდა მისი ფინანსები. უნდა აღინიშნოს, რომ დ. ყიფიანს აღნიშნული ბანკი წარმოედგინა ისეთ საკრედიტო დაწესებულებად, რომელიც თავადაზნაურობაზე სესხს გასცემდა დაბალი პროცენტით, ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში კი ბანკი დამგირავებელს მამულს არ გაუყიდიდა, იგი დროებით ბანკის საკუთრებაში გადავიდოდა და სესხის დაფარვის შემთხვევაში იგი პატრონს დაუბრუნდებოდა. ბანკის წესდების შემმუშავებელი სარედაქციო კომიტეტის წევრი ა. ზუბალაშვილი, დ. ყიფიანის წესდების პირველ პროექტზე სავსებით სწორად შენიშნავდა, რომ გამდიდრების, ანუ კომერციული წესი ყველა ბანკს აერთიანებს. კომერციულ და საზოგადოებრივ ბანკს შორის განსხვავება მხოლოდ ბანკის მოგების განაწილებაშია, ანუ მხოლოდ მიზანში და არა საშუალებებში. ბანკში დაგირავებული მამულის გაუსყიდაობის იდეა მას უმაღლეს ჰუმანიზმად მიაჩნდა, ამავე დროს თვლიდა, რომ პრაქტიკაში მისი განხორციელება შეუძლებელი იყო, ვინაიდან ბანკი, რომელიც ამ პრინციპით დაიწყებდა მუშაობას მალევე გაკოტრდებოდა.[1] მოკლედ, დიდი დავიდარაბის შემდეგ, ილია ჭავჭავაძის ძალისხმევით რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა ბანკის წესდება 1874წ. 28 მაისს (ილიას ერთი წელი მოუწია პეტერბურგში ყოფნა და ყელის გამოწევა რუსი მაღალჩინოსნებისთვის, რათა როგორმე დამთავრებულიყო ეს ხელოვნურად გაჭიანურებული საქმე).

1874 წლის 5 სექტემბერს ტფილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელთა საერთო კრებამ ილია ჭავჭავაძე ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია. ის 32 წლის განმავლობაში უცვლელად ხელმძღვანელობდა პირველ ქართულ ბანკს. 1875წ. 15 თებერვალს ოფიციალურად გაიხსნა ბანკი და საკრედიტო ოპერაციების წარმოებას შეუდგა.

ქართველი თავადაზნაურები საადგილმაულო ბანკებს (ტფილისის და ქუთაისის) განიხილავდა, როგორც მუქთად ცხოვრების საშუალებას, უგულებელყოფდა საკრედიტო ვალდებულებათა მკაცრ კანონებს. იცოდა რა ეს ილია ჭავჭავაძემ, ის თავიდანვე აფრთხილებდა მათ, რომ „ბანკი თავადაზნაურობამ დააწესა იმ განზრახვით, რომ მისგან შეწირული ფული სესხად მოეფინოს ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ისე მოეფინოს, რომ მაგ ფულს ერთი გროშიც არ დაეკარგოს, სესხმა ფული ასარგებლოს, ფულმა ფული მოიგოს და მხოლოდ ამ მოგებიდან უფრო ბევრი წილი ჩვენი ქვეყნის საერთო საჭიროებას მოხმარდეს და ზოგი კიდევ ღარიბთაც გაუნაწილდეს, იმ ღარიბთა, რომლებიც რომელიმე უბედურების გამო სიღარიბეში ჩაცვივნულან და არა იმათ, ვინც გულაღმა წვანან, გულზე ფაფუკი ხელები დაუკრეფიათ, პირი დაუღიათ და ჰყვირიან, მასვით და მაჭამეთო“(გაზ.“დროება“, 1875, №15)

ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელთა 3 კატეგორია არსებობდა. პირველში შედიოდნენ ისინი, რომელთაც 20% შეიტანეს იმ თანხიდან, რაც ყმების განთავისუფლების სანაცვლოდ გამოუყო მათ მთავრობამ (სულ 73 239 მან. და 31 კაპ.). მეორე კატეგორიას ქმნიდა თავადაზნაურობის ის ნაწილი, რომელთაც უფლება მიეცათ უსახსრობის გამო, მთავრობისგან მიღებული თანხის 5% გაეღოთ, თანაც ეს თანხა ბანკის ანგარიშზე 10 წლის განმავლობაში უნდა შეეტანათ, ამასთან თანხის პირველი ნაწილი ბანკის გახსნის პირველ თვეს ანუ თებერვალში უნდა შეეტანათ (სულ 20 ათას მანეთზე მეტი). მესამე კატეგორიას კი ის თავადაზნაურობა შეადგენდა, რომელსაც მთავრობისგან არანაირი საკომპენსაციო თანხა არ მიუღიათ, რადგან მათ ყმები არ ჰყავდათ და შესაბამისად, ვერავის გაათავისუფლებდნენ, ამიტომ მათ ნება დართო ბანკმა ძირის თანხად შეეტანათ საკუთარი უძრავი ქონების წმინდა შემოსავლის 10%. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დამფუძნებელი ხდებოდა მემამულე, თავადაზნაურთა სამაზრო წინამძღოლების მიერ გაცემული მამულის შემოსავლიანობის მოწმობის საფუძველზე. ხშირად მოცემულ მოწმობებში შემოსავალი ზუსტად არ იყო განსაზღვრული. ამ შეუსაბამობის გამო, მოხდა ისე, რომ მესამე კატეგორიის დამფუძნებელთა უმრავლესობამ ბანკში ჩადო „კაპიტალი“ 1-დან 2 მანეთამდე (სულ 2160 მან. და 52 კაპ.) მთავრობამ ბანკის დაარსებისთვის ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობას უწყალობა 160000 მანეთი.

წევრი-დამფუძნებელის სიკვდილის შემთხვევაში მისი უფლებები მემკვიდრეებზე გადადიოდა და იყო შემთხვევებიც, როცა ოჯახიდან გამოყოფის შემდეგ, დამფუძნებლის სრულწლოვანი შვილიც აღნიშნული უფლებით სარგებლობდა.

თავდაპირველად, ბანკის მუშაობა მეტად შეზღუდული იყო მთავრობის მიერ, რომელმაც ლიმიტები დააწესა კრედიტების (უძრავი ქონების დაგირავებით) მოცულობაზე და სხვ. ბანკი ტფილისის გუბერნიის მაშტაბით გასცემდა კრედიტებს (1874 წ. წესდებით). 1881წ. 17 თებერვალს წესდებაში მოხდა ჩასწორება. შემოიღეს ურთიერთთავდებობის წესი. ამასთან ბანკის მოქმედების არეალში შევიდა ქუთაისის, ერევნის, ბაქოს, ელიზავეტოპოლის გუბერნიები, ასევე სოხუმის სამხედრო განყოფილებაც, 1891 წლიდან კი უკვე ბათუმიც. ბანკმა გირაოს ფურცლების გამოშვების სრული უფლება მიიღო და საგრძნობლად გაიზარდა საკრედიტო ოპერაციები. რაც მთავარია, ილია ჭავჭავაძემ მიაღწია იმას, რომ ბანკის ფინანსური მომსახურება თუ მხარდაჭერა შეეხო ქართველ მრეწველებს, ვაჭრებს, გამდიდრებულ გლეხებს უძრავი ქონების დაგირავების საფუძველზე. 1881 წლიდან უკვე ბანკის წევრებად ითვლებოდნენ არა მარტო ბანკის დამაარსებლები, არამედ მთელი საოპერაციო რაიონის მსესხებლებიც (მივიღეთ ორი კატეგორია: დამაარსებლები და მსესხებლები.)

ბანკის წესდების მიხედვით, სესხი გაიცემოდა მიწებზე და ქალაქში მდებარე უძრავ ქონებაზე, ხოლო ვისაც მიწების დაგირავება სურდა, ბანკში უნდა წარმოედგინა შემდეგი დოკუმენტაცია: მოწმობა, გაცემული სამსაჯულო ნოტარიუსისგან, რომ დაგირავებული მამული სესხის ამღებს ეკუთვნოდა და რომ მასზე არავითარი დავა, ძიება არ არსებობდა, გეგმა, თუკი ჰქონდა ასეთი რამ სესხის ამღებს, მამულის დაწვრილებით შედგენილი დაფასებითი აღწერილობა. ხოლო ვისაც საქალაქო შენობების დაგირავება სურდა უკანასკნელი საბუთის გარდა უნდა წარმოედგინა ცეცხლისაგან უშიშარმყოფელ საზოგადოებაში აღებული ფურცელიც (ე.ი ამოწმებდნენ შენობის დაზღვევას ცეცხლისგან).

ბანკი გასცემდა მოკლევადიან და გრძელვადიან სესხს. მოკლევადიანი ნაღდი ფულით, ხოლო გრძელვადიანი გირაოს ფურცლებით გაიცემოდა. სესხის ამღებთ უფლება ჰქონდათ ეზრუნათ გირაოს ფურცლების გასაღებაზე საბაზრო ფასებში და აეღოთ ყოველ 100 მანეთიდან გირაოს ფურცელზე 25 კაპიკი. გრძელვადიანი სესხი გაიცემოდა იმ უძრავ ქონებაზე, რომელიც 200 მანეთზე ნაკლებად არ შეფასდებოდა შემფასებელი კომისიის მიერ (იმავდროულად დამოუკიდებლად ხდებოდა შეფასება ბანკის გამგეობის მიერ). მოკლევადიანი სესხი კი იმ უძრავ ქონებაზე გაიცემოდა, რომელიც 200 მანეთზე ნაკლებად შეფასდა. სესხად მიეცემოდა 60% დანაფასისა საქალაქო უძრავ ქონებაზე, 50% - სასოფლო მამულებზე და 40% ვენახისა და ხეხილის ბაღებზე, რომელნიც მხოლოდ მოკლე ვადით სესხში მიიღებოდა. სესხის დაბრუნება უნდა მომხდარიყო 1-დან 3 წლის ვადაში. წესდებაში ნათქვამი იყო, რომ ვისაც ბანკში ქონება ჰქონდა დაგირავებული, იმას შეეძლო, რომ ფული ბანკის ხელიდან პირდაპირ თავის კერძო მოვალეთა ან სახელწიფო საკრედიტო დაწესებულებების საშუალებით გადაეცა.

თუ სესხის დაფარვა თავის დროზე არ მოხდებოდა, ბანკი მოვალის ხარჯზე გაზეთებში აცხადებდა დაგირავებული ქონების გაყიდვას ვაჭრობის დღის აღუნიშნავად. ამის შემდეგ ცხადდებოდა სავაჭროდ დანიშნული დღე. მსესხებელს უფლება ჰქონდა გაყიდვის დღემდე დაეფარა სესხი (ვალის გადაცილებისათვის ერთგვარი ჯარიმა და მამულის სავაჭროდ გამოცხადებაზე დანახარჯი), რითაც საჯარო ვაჭრობით გაყიდვისაგან იხსნიდა თავის მამულს. თუ პირველი საჯარო ვაჭრობით მამული არ გაიყიდებოდა, ორი კვირის შემდეგ

მეორე ვაჭრობა უნდა გამოცხადებულიყო, ხოლო თუ მეორე ვაჭრობის დროსაც არ გაიყიდებოდა, მაშინ მამული გადადიოდა ბანკის სრულ მფლობელობაში, რომელიც 6 თვის განმავლობაში უნდა გაეყიდა.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ პირველი ქართული ბანკის დამაარსებლების, მათგან კი უპირველესად ილია ჭავჭავაძის, მიზანი იყო არა გამდიდრება, არამედ სხვადასხვა საზოგადოებრივი ღონისძიებების, საჭიროებების ფინანსური მხარდაჭერა, მოკლედ ეროვნული საქმის კეთება, რასაც აღნიშნული საფინანსო ინსტიტუტი ილიას ძალისხმევით ასე წარმატებით ახერხებდა.

ბანკთან შეიქმნა საგანგებო ფულადი ფონდი „საერთო-სასარგებლო კაპიტალის“ სახელწოდებით, რომლის პირდაპირი დანიშნულება იყო ქართული სკოლების, საზოგადოებრივ-კულტურული დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, სხვადასხვა ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებებისათვის ფულადი დახმარება. ბანკის პირველი წესდების (1874წ.) მიხედვით აღნიშნულ ფონდში გადაირიცხებოდა წმინდა მოგების 40%, ხოლო 1881 წლიდან - 35%. ბანკმა ილიას 32 წლოვანი ხელმძღვანელობის პერიოდში სულ 2 მილიონამდე თანხა გასცა სხვადასხვა საზოგადოებრივ საჭიროებაზე. თუ რა დიდი ბრძოლა უხდებოდა ილიას ბანკის მოგებიდან თანხების გაცემაზე, კარგად ჩანს 1888 წლით დათარიღებული ერთ-ერთი კრების ოქმიდან. საქმე ეხებოდა ქართული თეატრისა და მისი შენობის შესაკეთებლად თანხის გამოყოფის საკითხს. წინა წელს კრებამ გადაწყვიტა ქართულ თეატრს დახმარებოდა 30 ათასი მანეთით. ილიამ კი გასცა 100 ათასი. კრებაზე მეტად გაცხარდნენ ზედამხედველობის კომიტეტის წევრები, რომლებიც ადანაშაულებდნენ ბანკის გამგეობას, პირველ რიგში კი ილიას და აცხადებდნენ, რომ ზედმეტად გაცემული თანხა დამფუძნებლებზე უნდა გადანაწილებულიყო და ილიამ თავის უფლებამოსილებას ბოროტად გადააჭარბა. ილია ჭავჭავაძის მხარდასაჭერად გამოვიდა მხცოვანი პოეტი რაფიელ ერისთავი. ბოლოს სიტყვა აიღო ილიამ და მიმართა კრებას შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ წინადაც გვითქვამს და ეხლაც ვამბობთ, რომ თეატრს დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ, ჩვენი საზოგადოებისათვის ეს ისეთი საქმეა, რომელსაც ყოველმა ქართველმა შეძლებისამებრ ხელი უნდა მოუმართოს, სახელი და დიდება თბილისის ბანკს, რომ ქართული თეატრი საზოგადო საქმედ სცნო და ფული გამოუყო... მიგვინდია თქვენი განაჩენი მასზე, წავახდინეთ თქვენი მინდობილი საქმე თუ გავაკეთეთ“. ილიას ამ ნაბიჯს კრებიდან 62 წევრმა მხარი დაუჭირა, წინააღმდეგი მხოლოდ 10 აღმოჩნდა. ილია ყოველხრივ მხარში ედგა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომელიც დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით შეიქმნა 1879 წელს და 1885წ. ილია აირჩიეს მის თავმჯდომარედ. 1878წ. ბანკის გამგეობამ ამ საზოგადოებას 11 ათასი მანეთი გამოუყო, რამაც დიდი აყალმაყალი გამოიწვია. ილია ამის შესახებ წერდა: „...“რაო და რისთვისაო“ ყვიროდნენ წინდაუხედავად ზოგი სხვისი წაქეზებით, ზოგი საკუთარი თაოსნობით. „განა ჩვენ კი შვილები არ გვყავსო, თუ გაზრდა საჭიროა ჯერ ისინი გავზარდოთ, გარედ ტაბლას რა უნდაო“, და სხვანი და სხვანი. ჩვენი უბედურება ის ყოფილა, არის და ღმერთმა ნუ ქნას კიდევ იყოს, რომ ყველა ქართველი გლეხი თუ თავადი ძმად და შვილად არ მიგვაჩნდეს. ზემოხსენებულ საზოგადოებას სახეში აქვს მთელი ქართველობა. თავადაზნაურობა კი გამოსულა და იძახის მე და სხვა არაო, ბატონებო, თუ ყველანი ერთად არ ვიქნებით, თქვენი „მე“ თუნდ იყოს და თუნდ არა თავს მაგისთვის ძალიან არავინ შეიტკივებს“[4]

ცალსახაა, რომ ილია, მის მიმართ მტრულად განწყობილი ადამიანების ნაკლებობას არასდროს უჩიოდა. ოპოზიციური გამოსვლები მისი და მისი გუნდის წინააღმდეგ ბანკის დაარსების დღიდან დაიწყო, როცა დამფუძნებლების გარკვეულმა ჯგუფმა იგრძნო, რომ ილიას ხელმძღვანელობით მოქმედ ბანკს თავის სასარგებლოდ ვერ გამოიყენებდა. გაისმოდა მოთხოვნები იმასთან დაკავშირებით, რომ ბანკს კრედიტების გაცემა გაეიოლებინა, გირაოში ჩადებული მამულების შეფასებისას შეერბილებინა მოთხოვნები და თუ ვინმე დროზე ვერ დააბრუნებდა სესხს არ მოეხდინათ გირაოში ჩადებული მამულის საჯაროდ გაყიდვა, ამასთან სესხზე სარგებელი ძალიან დაბალი უნდა ყოფილიყო. ვფიქრობ, ეს მოთხოვნები და ბრალდებები ილიას მიმართ, რომელიც მის არაკომპეტენტურობას და უნიათობას ეხებოდა სრულიად უსაფუძვლოა. ბანკს არ ჰქონდა რაღაც საოცარი პირობები საკრედიტო ოპერაციების წარმოებისას, სესხის დასაფარად საკმარისზე მეტ დროს აძლევდა ბანკი მსესხებელს, თანაც ვადის გასვლის შემდეგაც ჰქონდა მას გარკვეული შანსი გაყიდვისგან ეხსნა საკუთარი ქონება (დეტალურად „ბანკობიადა“-ს შესახებ ქვემოთ ვისაუბრებ).

1881 წელს ილიას საბანკო პოლიტიკის წინააღმდეგ დ. ყიფიანი ილაშქრებს. ბრალდებები ილიას მისამართით ნაირ-ნაირია. კრედიტების გაიაფებასთან დაკავშირებით ილიამ მეტად დასაბუთებულად (ტრადიციისამებრ!) უპასუხა ოპონენტებს: „თუ რა ეშველება გაიაფებას, ამ მხრივ უნდა ეშველოს, სხვა ყოველი უქმი ნატვრაა და უქმადაც ჩაივლის კიდეცა, თუ ერთობ ფულის

ბაზარმა არ გააიაფა საზოგადო კრედიტი. ფულის ბაზარი კი ამ შემთხვევაში საერთო ეკონომიკურის მდინარეობის კანონებს ექვემდებარება და ამ კანონებზე ბანკს ხელი არ მიუწვდება არასგზით, მარტო თავისი ნებით სარგებელს ვერ დასწევს და ვერც ასწევს“. რაც შეეხება, დ. ყიფიანის და მისი მომხრეების, მოგვიანებით ივანე მაჩაბელის და მისი გუნდის მოთხოვნას, რომ ბანკს არ გაეყიდა დაგირავებული მამულები (დ. ყიფიანი და მისი მხარდამჭერები უფრო შორს მიდიან და ითხოვენ ბანკმა არათუ გაყიდოს მამული, არამედ მოუაროს, შემოსავლიანი გახადოს და ვალი დაფაროს ამით და შემდეგ იგი მემამულეს დაუბრუნოს). ილიამ ამ მოთხოვნას შემდეგნაირად უპასუხა: „აქ ამბობენ მამულები ნუღარ გაიყიდებაო... სურვილი კარგია, მაგრამ არა გამოდის რა მარტო სურვილისგან. ვინ ამბობს, კარგი იქნებოდა, რომ ბანკმა ფული გვასესხოს და უკან აღარ მოგვთხოვოს ხოლმე (იცინიან). უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ ბანკმა ყველას უხვად მოგვაყაროს ფული, ოქროთი აგვავსოს, თუნდა არ ვთხოვდეთ კიდეც, მაგრამ ჩემდა და თქვენდა სამწუხაროდ მაგისთანა ბანკები შეუძლებელია (ხანგრძლივი ტაშისცემაა)(„ივერია“, 1892 №110). „ჩვენი უბედურება ის არის, რომ სესხით სარგებლობა არ ვიცით. ბანკმა ყველა ჩვენგანი უნდა შეაჩვიოს ვალის პირნათლად გადახდას, როცა მოვალე ვალს არ უხდის, პირიქით ეტანება კიდეც, ამისთანა მოვალესთან გულჩვილობის გამოჩენა სწორედ გულქვაობა იქნება...კარგად ვიცი, რომ ბევრი ათასს ბრალს დამდებს ამ გულქვაობისთვის, მაგრამ მე ასეთი ბრალისა არ მეშინიან, როგორც იმ ექიმს, რომელიც ავადმყოფს არჩენს...“

ოპოზიცია, მიუხედავად მარცხისა, ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდა. განსაკუთრებით აქტიურობდა ივანე მაჩაბელი და მისი თანამოაზრენი. მან ბანკის გამგეობაც დატოვა პროტესტის ნიშნად (ილია მასთან მეგობრობდა. ერთად თარგმნეს პეტერბურგში ყოფნისას „მეფე ლირი“, ის ილია ჭავჭავაძემ თავის გაზეთში რედაქტორად მიიწვია, ბანკში მოლარე-დამფასებლად დააწყებინა მუშაობა, შემდეგ კი ბანკის ერთ-ერთ დირექტორად გაიყვანა. ამ სიკეთეზე მადლობა კი იმით გადაუხადა, რომ მის წინააღმდეგ მოქმედი ოპოზიციური ძალის მეთაური გახდა.) მაჩაბელმა შეადგინა და დაბეჭდა ბროშურა „თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა“, სადაც წერდა, რომ ყველგან და ყოველთვის ილია ხელმძღვანელი და თავმჯდომარეა და რეალურად, არსად არასდროს არაფერს აკეთებსო. ილიას ბლომად მომხრე გამოუჩნდა, საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ სწორედ მას დაუჭირა მხარი (ეკატერინე გაბაშვილი, მარიამ ორბელიანი, ნ. ჩოლოყაშვილი, თ. ამილახვარი, კიტა აბაშიძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვ.) გაიგზავნა ოპოზიციის მიერ საჩივარი პეტერბურგის ფინანსთა სამინისტროში, საიდანაც გამოიგზავნა რევიზორი დობეცკი. მან ყველაფერი შეამოწმა და ვერაფერი დარღვევა ვერ ნახა და აქეთ განაცხადა, რომ ეს ბანკი საუკეთესო და მისაბაძი არისო მთელ იმპერიაში. იგი უდაოდ მისაბაძია დღესაც და ქვეყანას ძალიან წაადგებოდა ქართულ ბანკებს მეტი ყურადღება, რომ გამოეჩინათ საზოგადოებრივი საქმის მიმართ.

ილია დაიღალა* ამდენი წინააღმდეგობებით და თავის მომხრეებთან ერთად გადაწყვიტა დაე-

---

* **ილია**: „ჩვენი ბანკის საქმე ხათაბალა გახდა. ის უფალი, რომლის ხელშიც არის ეგ საქმე, საძაგელი, უგულო და უადამიანო კაცია. თუმცა არ შეუძლიან იმდენი, რომ საქმე საბოლოოდ გააფუჭოს, მაგრამ აგვიანებს კი და პირდაპირ ყველაფრით გვაჩვენებს, რომ მაგისთანა საქმე უქრთამოდ ვერ გარიგდებაო. აბა ქრთამის მიცემა როგორ შეუძლია ჩვენს კუტრს ბანკსა, ორშაბათს ვაპირობ იმასთან წასვლას და ჩხუბსა. აქამდის ვეფერებოდი, ვეხვეწებოდი, ხელში ვუკვდებოდი მეგონა, რომ ამით იქნება დავიყოლიო მეთქი, მაგრამ ამან ყოველმა არ გასჭრა. ახლა ვაპირობ ჩხუბსა და დიდს ჩხუბსაცა. ვნახოთ, რა გამოვა, ამას წინათ ვიფიქრე, მოდი წავიდე შინ-მეთქი, რისთვის ვიტანჯები და ვწვალობ მეთქი? მაგრამ შენმა წიგნებმა კიდევ გული მომცეს და ვსთქვი: ეს ხომ ჩემგან სილაჩრე იქნება, რომ გაუთავებლად საქმე დამრჩეს; ეგ ბრძოლის ველიდამ გაქცევა იქნება და სირცხვილი-მეთქი. ვინ რას მეტყვის? ხომ მიწასთან გამასწორებენ-მეთქი“.

ნიკო ნიკოლაძე: „რატომ არცერთ ადგილობრივ გაზეთში არ ითქვა არცერთი სიტყვა მოწონებისა და მადლიერებისა იმ კაცისადმი, რომლის სახელი ცნობილი იყო ჩვენი ქვეყნის თითოეული შეგნებული შვილისათვის და რომელმაც მოთმინებით და გონიერი შრომით შესძლო ახალი საფუძველი ჩაეყარა ერთ-ერთი ისეთ დიდად სასარგებლო და აუცილებელი დაწესებულებისთვის, როგორიც კი ოდესმე დაარსებულა ჩვენს ქვეყანაში? რატომაა, რომ ი. ჭავჭავაძე ახლაც მარტოა, ისევ დაუფასებელია, ისევ მოკლებულია მხარდაჭერას, როგორც იმ სამწუხარო ჟამს, როცა მან დაარსა და მხოლოდ საკუთარი მხრებით ატარებდა უდროოდ დაღუპულ, მაგრამ დაუვიწყარ „საქართველოს მოამბეს“?... ზემოდნათქვამის საფუძველზე მე სულ მგონია, რომ ბანკის საქმე ისევე როგორც ადრე „საქართველოს მოამბის“ საქმე, მთელი თავისი სიმძიმით ილია ჭავჭავაძის მხრების დააწვება.“

ტოვებინა ბანკის გამგეობა. მან და მისმა გუნდის წევრებმა განცხადებები დაწერეს წასვლის თაობაზე. საბანკო კრების აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნული მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და წასვლის განცხადების უკან წაღება მოსთხოვეს ილიას, ისინი გრძნობდნენ ქართულ საბანკო საქმეს რაოდენ სჭირდებოდა ილია, რაც 1896წ. 21 ივნისის კენჭისყრის შედეგებზე ნათლად აისახა. ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ ილიას არჩევას (დატოვებას) მხარი 774 წევრმა დაუჭირა, წინააღმდეგი იყო მხოლოდ 8 წევრი (საზედამხედველო კომიტეტის წევრებიდან მომხრე - 767, წინააღმდეგი - 5.) ილიას წინააღმდეგ ვერავინ ვერაფერს გახდა (და ასეც უნდა ყოფილიყო!), როგორც უკვე აღვნიშნე ის ბანკს 32 წელი ხელმძღვანელობდა მეტად ნაყოფიერად. როცა ამ ბანკის მუშაობის კრიტიკულ შეფასებას გადავწყვეტთ, აქვე უნდა გავითვალისწინოთ ორი რამ: I – ეს ბანკი შეიქმნა კარგა ხნის დამოუკიდებლობადაკარგულ საქართველოში, რომელიც რუსეთის იმპერიის კოლონიური მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა და საიმპერიო ძალები ყოველმხრივ ცდილობდნენ, პერიფერიები იმაზე მეტად არ განვითარებულიყვნენ, ვიდრე იმპერიის ცენტრალური ოლქები, ისეთი პროგრესული რეფორმებიც კი, როგორიც ბატონყმობის გაუქმება, სასამართლო, საქალაქო მმართველობის და სხვ. იყო, ხომ პერიფერიებში მეტად დამახინჯებული ფორმით გატარდა! II – ეს იყო პირველი ქართული ბანკი, რომელიც ფაქტობრივად ცარიელ ნიადაგზე შეიქმნა. პირველი ნაბიჯი ცხადია უფრო მეტ ხარვეზს შეიცავს, მეტ რისკთანაა დაკავშირებული ვიდრე მეორე, მესამე... მაგრამ ამ ბანკს იმდენად ნიჭიერი ადამიანი ედგა სათავეში ილია ჭავჭავაძის სახით, რომ საბანკო სფეროში საქართველოს მიერ გადადგმული ეს პირველი ნაბიჯი უაღრესად წარმატებული აღმოჩნდა.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით მოქმედი ბანკის მნიშვნელობა საქართველოსთვის მხოლოდ მის მიერ გაწეული საკრედიტო-საფინანსო დახმარებით, შეწევნებით, დაკრედიტებით როდი ამოიწურებოდა. დიდმა ილიამ ბანკი გადააქცია ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების, სამშობლოს აღორძინების, მისი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლის ერთერთ მთავარ არენად.

გამოყენებული ლიტერატურა:

ქისტაური შ., ილია ჭავჭავაძე დიდი ქართველი ბანკირი- ფინანსისტი, თბ., 1998.
თელია ა., ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე, თბ., 1989.
ასათიანი ი., ილია ჭავჭავაძე და თბილისის ქართული სათავადაზნაურო ბანკი, თბ., 1994.

თბილისის და ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსების მიზეზი და მიზანი

სტატია მომზადებულია მიხეილ მჭედლიშვილის* წიგნის „საქართველო ბოროტების იმპერიის 500-წლოვან მარწუხებში“ მიხედვით (რედ. მანანა ასათიანი)

„დღეს ხშირად გაიგონებთ წუწუნს, რომ ნიჭიერმა მწერალმა საბანკო საქმიანობას შესწირა მისი დაუშრეტელი ენერგიის დიდი ნაწილი. ამის გამო ვალალებენ და ვიშვიშებენ. ავიწყდებათ კი უმთავრესი. თუ არ იქნებოდა თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკები, შესაძლებელია აღარ ყოფილიყვნენ ისინიც, ვისაც ქართულად დაწერილი ლექსები თუ მოთხრობები სჭირდება. ქართულ მიწა-წყალს ისეთი ენერგიით უტევდა უცხო კაპიტალი (უმთავრესად სომხური) და ისეთი ხელგაშლილობით იყიდებოდა ყველაფერი, რომ ძნელად წარმოსადგენია, რა გადარჩებოდა. ფულის დამარცხება არც ხმლით შეიძლება და არც პოეზიით. ფულის დამარცხება მხოლოდ ფულით შეიძლება. არსებობს ცხოვრების ერთი ურყევი კანონი: ჭკუას ჭკუით უნდა ებრძოლო, ენერგიას – ენერგიით, ფულს – ფულით, ხმალსა და თოფს – ხმლითა და თოფით, ცოდნას – ცოდნით, პოლიტიკას – პოლიტიკით, არმიას – არმიით. სხვანაირად მტერს ვერ მოერევი. ვინც ეს არ იცის, იგი მუდამ დამარცხებულია. სწორედ ეს გაითვალისწინეს ილიამ და მისმა თანამოსაგრეებმა და უცხო კაპიტალს ქართული საადგილმამულო ბანკი დაუპირისპირეს. გაიმარჯვეს კიდეც. ამიტომ ილიას საბანკო თუ ფინანსური მოღვწეობა ისეთივე დიდია, როგორც მისი „ოთარაანთ ქვრივი“ თუ „განდეგილი“.

აკაკი ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, გვ. 133).

„1899 წელს ქუთაისის გუბერნატორი შუამდგომლობს ხელმწიფის წინაშე, რომ მას საჭიროდ მიაჩნია დაუნიშნოს თავად-აზნაურების შვილებს სტიპენდიები კადეტის კორპუსებში და არავითარ შემთხვევაში სამოქალაქო გიმნაზიებში; კადეტის კორპუსებში აღზრდა ხელს შეუწყობს ადგილობრივ მცხოვრებლების გათქვეფას რუსულ მოსახლეობაშიო“.

„საქართველოში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ინტელიგენციამ თავის სამშობლო ენა არ იცოდა, თავის წარსულის, ისტორიის უვიცი იყო. თავად-აზნაურობის ყრილობებზე, ბანკის კრებებზე, საერთოდ, ყოველგვარ ყრილობაზე მოქალაქეობა მოპოვებული ჰქონდა რუსულ ენას, რუსულად სწარმოებდა სჯა და ბაასი. ქართველი ინტელიგენტები ბოდიშს იხდიდნენ კრებებზე – ქართული არ გვეხერხება, რუსულად უნდა ვილაპარაკოთო. საერთოდ, მაღალ სფეროებში სამარცხვინო, ცუდი ტონის ნიშანი იყო ქართულ ენაზე ბაასი და მსჯელობა“...

„ინგლისელმა მოხელეებმა, რომლებიც ფოთ-თბილისის რკინიგზას აშენებდნენ, 5-6 თვის განმავლობაში შეისწავლეს ქართული ენა, რუსები კი, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტი საქართველოში არიან, არ იციან არც ერთი ქართული სიტყვა“....

„რუსის ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა საქართველოში მიმართული იყო იქით, რომ მოეხდინა ქართველების ასიმილაცია, მისი რუსობაში გათქვეფა. ამ პოლიტიკისათვის ის იყენებდა ძირითადად სკოლას, სადაც სწავლაგანათლება მხოლოდ რუსულ ენაზე სწარმოებდა, ხოლო სამშობლო ენა, ისტორია, გეოგრაფია და სხვა, რაც ახალთაობას შეაგნებინებდა თავის ეროვნებას, სკოლიდან განდევნილი იყო. მაგრამ ეს კიდევ რა, თვით ერთ ეროვნებაშიც, კერძოდ ქართველებში, იწვევდა განხეთქილებას და ცდილობდა ქართველი ერისათვის ჩამოეშორებინა მისი ორგანული ნაწილები: მეგრელები, მუსლიმანი ქართველები, სვანები, აფხაზები“. **(გრ. გიორგაძე, „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905 წლებში“).**

აი, ასეთ ვითარებაში დაიწყო ილია ჭავჭავაძემ, თერგდალეულთა დასით, დიდი და ძნელი ბრძოლა ვერაგ მტერთან, ბრძოლა საქართველოს გადასარჩენად. ილიამ თავისი ეროვნული მრწამსი, იმპერიული რუსეთის ბრჭყალებიდან საქართველოს ხსნის პროგრამა ასე ჩამოაყალიბა: „ჩვენის დაცემული ვინაობის აღდგენა!!!“

ამ იდეის განსახორციელებლად ილიამ, უპირველეს ყოვლისა, პრესა აამოქმედა. მან ეროვნული იდეალებისათვის უკომპრომისო მებრძოლი ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ დააარსა 1863 წელს, რომელიც 1877 წლიდან ჯერ ყოველკვირეულ, ხოლო შემდეგ ყოველდღიურ გაზეთად გადააკეთა „ივერიის“ სახელწოდებით. ამ გაზეთმა, უფრო გვიან დაარსებულ გაზეთ „დროებასთან“ ერთად, რომელსაც ილიას თან-

ამებრძოლები – ჯერ სარგეი მესხი, ხოლო შემდეგ ივ. მაჩაბელი რედაქტორობდნენ, უდიდესი როლი შეასრულეს თითქმის უკვე გადაგვარებული ქართული ეროვნული სულის აღორძინებაში. ეს გაზეთები, უპირველეს ყოვლისა კი „ივერია“, წლების მანძილზე ფარად ედგნენ ქართულ ენას, ქართულ სკოლას, ქართულ თეატრს და სრულიად საქართველოს, უკიდურესი რეაქციის ხანაში.

მეორე, უპირველესი საკითხი, დაცემული ვინაობის აღსადგენად იყო ქართული სკოლების დაარსება. ამას კი ფულადი სახსრები სჭირდებოდა, რაც არ გააჩნდათ ქართველებს უსასტიკეს კოლონიურ პირობებში. იმპერიის ხელისუფლება კი სახსრებს მხოლოდ რუსულ სკოლებს ახმარდა. ამ პირობებში ქართველ მამულიშვილებს საკუთარი ფულის შოვნაზე უნდა ეზრუნათ.

და აი, მოწინავე ქართველ საზოგადოებაში ჩაისახა აზრი, რომ საკუთარი ეროვნული ფინანსების შესაქმნელად დაარსებულიყო საადგილ-მამულო ბანკი, რომელიც თავიდან აზრად მოუვიდა დიმიტრი ყიფიანს, და რომელიც, თავდაპირველი ჩანაფიქრით, თავადაზნაურთა მამულების შენარჩუნების საქმეს უნდა მომსახურებოდა. ამ ფაქტის შესახებ შემდგომში ნიკო ნიკოლაძე წერდა: თუ ადრე იგი თავადაზნურობის კეთილდღეობის შესანარჩუნებლად იყო ჩაფიქრებული, თერგდალეულთა ხელში ეროვნული ცხოვრების განახლების იარაღად გადაიქცა. ქართველთა სულიერი და მატერიალური საქმიანობის ფუძე გახდაო.

მაგრამ ასეთი ბანკის დაარსება, არცთუ ისე იოლი აღმოჩნდა, ვიდრე ეს მისია თავის თავზე არ აიღო ილია ჭავჭავაძემ, თუმცა ისიც არნახულ წინააღმდეგობას წააწყდა რუსულ ბიუროკრატიისაგან, ბანკის წესდების დამტკიცების საკითხში. ამის გამო აღშფოთებული ილია აი, რას სწერდა რუსი მოხელეების მისამართით საქართველოში თავის მეუღლეს: „მე ამისთანა გულშეუტკივარი ხალხი არ მინახავს რას უზამ ამისთანა ხალხს, რომლებისთვისაც ღმერთს არც მოტვლეპილს კეფაში ტვინი ჩაუდვია და არც მყრალს სულში გრძნობა. ღმერთმა დაიხსნას ყოველი ქრისტიანი ამათ ბრჭყალებიან ხელში ჩავარდნისაგან. ვერ წარმოიდგენ, რა ხალხია, ღმეჭია, ღრეჭია, ფლიდი და მურტალი“. ილიას ასეთ ხალხთან წელიწადნახევრიანი ბრძოლა დასჭირდა, მაინც არ მოეშვა და თავისი უდრეკი ხასიათის წყალობით მიზანს მიაღწია. 1871 წლის 28 მაისს ბანკის წესდება დაუმტკიცეს, ხოლო 1875 წლის დასაწყისში თბილისის საადგილ-მამულო ბანკმა ფუნქციონირება დაიწყო.

ეს იყო იმ დროის პირობებში დიდი ეროვნული საქმე, რამდენადაც ამ დღიდან საფუძველი ჩაეყარა ქართული ეროვნული კრედიტის არსებობას და მით ქართული კულტურისა და განათლების აღორძინების საქმეს. და როგორ ცდებიან ილიას ის ზოგიერთი (კერძოდ, ცნობილი მემუარისტი იაკობ მანსვეტიშვილი), ვინც ამ ბანკში მოღვაწეობას შეცდომად უთვლიან ილია ჭავჭავაძეს იმ მოტივით, რომ, რაც მან ეს ბანკი დააარსა, თავად უკვე ხელი უნდა დაებანა საკუთარი ნაღვაწიდან და ამ საქმეს სხვა (თუნდაც ივანე მაჩაბელი) ჩადგომოდა სათავეში, ხოლო ილიას კი თავისი დიდებული ნიჭი კვლავ მწერლობისათვის მოეხმარებიანაო, „აჩრდილისა“ და „განდეგილის“ მსგავსი ნაწარმოებები ეწერაო.

ამ დარგის მოღვაწეებს არ ესმით, რომ მაშინ საქართველო და ქართველი ერი სრული დაღუპვის საფრთხის წინაშე იდგა, – რომ მაშინ ჩვენი ქვეყნის მოსასპობად აშკარად და დაუფარავად გვიტევდა რუსეთი და სომხეთი მომძლავრებული კაპიტალით, – რომ თბილისი, საქართველოს დედაქალაქი, უკვე სომხურ ქალაქად იყო გადაქცეული, – რომ სომეხი კაპიტალისტების მხრივ მიმდინარეობდა საქართველოს ეკონომიკური დაპყრობის პოლიტიკა. კერძოდ, როცა სომხეთის დედაქალაქი ერევანი ალიზის ქოხმახების გროვა იყო, სომეხი კაპიტალისტები ქართველთა კისრიდან აღებულ კაპიტალს ერევნის აშენებაზე კი არ ხარჯავდნენ, არამედ თბილისში აბანდებდნენ უზარმაზარ მშენებლობებზე, კაპიტალისტურ საწარმოებზე, თბილისის დაუფლების მიზნით. და თუ თბილისი სომხურ ქალაქდ გადაიქცეოდა და მთელი დანარჩენი საქართველო კი რუსულ ვოლოსტებად, ვიღას რათ უნდოდა (აქ მოსახლე რუსებს, სომხებს, ოსებს) მაშინ შენი „ოთარაანთ ქვრივი“, „გლახის ნაამბობი“, „აჩრდილი“ და „განდეგილი“?! ვინღა იქნებოდა აქ ამ ნაწარმოებთა წამკითხველი?!

ბანკის დაარსებამ ბიძგი მისცა, რომ ახლა უკვე ქართული ეროვნული კულტურისა და განათლების საქმეზე ეზრუნათ. და აი უკვე, 1879 წლის 15 მაისს საფუძველი ჩაეყარა მეორე დიდ ეროვნულ დაწესებულებას. ეს იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელსაც დიდი შემწეობა აღმოუჩინა ილიას ქვისლმა – გენერალმა სტაროსელსკიმ (კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწემ), ილიას ნათესაობის გამო. საზოგადოების თავმჯდომარედ გრიგოლ ორბელიანის წინადადებით არჩეულ იქნა ამ საქმის დიდი მოჭირნახულე – დიმიტრი ყიფიანი, მოადგილედ კი – ილია ჭავჭავაძე. საზოგადოებას საბოლოოდ, 1885 წლიდან, სათავეში ჩაუდგა ილია და იგი უცვლელად ედგა მას სიკვდილამდე.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საზოგადოების დაარსებით მოპოვებულ იქნა უფლება – ქართველ ბავშვებს მშობლიურ ენაზე მიეღოთ დაწყე-

ბითი განათლება (ცხადია, რუსულთან ერთად), წინააღმდეგობა მაინც ძალზე დიდი იყო კავკასიის სასწავლო ოლქის იმგვარ „მზრუნველთა“ მხრიდან, როგორიც იყო იანოვსკი და სხვა მისთანა რუსიფიკატორები. თუმცა, ეს ცალკეულ მოხელეთა თვითნებობა როდი იყო. ყველაფერ ამას ხელმღვანელობდა მზაკვარი ხელისუფლება, ერთი ხელით რომ ამ უფლებას აკანონებდა, მეორე მხრივ, საიდუმლო ინსტრუქციებით მის ცხოვრებაში გატარებას სასტიკად ახშობდა.

არაჩვეულებრივად დიდია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების როლი რუსიფიკაციისაგან საქართველოს გადარჩენის საქმეში – უპირველეს ყოვლისა, დაწყებითი ქართული სკოლების გახსნით და იმ ბრძოლით, რასაც ის ეწეოდა იმისათვის, რომ შენარჩუნებულიყო იქ მშობლიურ ენაზე სწავლება.

მაგრამ საქმე მარტო ქართული სკოლების გახსნით როდი მთავრდებოდა. საჭირო იყო სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენა ისეთის სულისკვეთებით, რომელიც ეროვნულ გრძნობებს გაუღვივებდა ქართველ მოზარდებს. ამ მხრივ ფასდაუდებელი შრომა გასწია იაკობ გოგებაშვილმა „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ შედგენით. ეს სახელმძღვანელოები, დღესაც რომ ქვაკუთხედად უდევს ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებს...

ქართული მიწა-წყლისა და ეროვნული ვინაობის დასაცავად თერგდალეულებს დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდათ. ამ ბრძოლაში კი სწორედ **თბილისის და ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი** გახლდათ ის მძლავრი იარაღი, რომელსაც უაღრესად გონივრულად და მიზანდასახულად ხმარობდა დიდი მამულიშვილი, რამეთუ ილია ჭეშმარიტად გახლდათ „... ენციკლოპედიური ჭკუითა და ცოდნით დაჯილდოებული პიროვნება – არა მარტო დიდი მწერალი, პოეტი და პუბლიცისტი, არამედ დიდი ენათმეცნიერიც, ჩინებული ეკონომისტი და ფინანსისტიც, იურისტიც და ისტორიკოსიც, მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი დიდაქტიკოსიც, სოციოლოგიც და კრიტიკული აზროვნების ბრწყინვალე ოსტატიც, უბადლო ჟურნალისტი, ღრმად მოაზროვნე პოლიტიკოსი და დიდი სახელმწიფო მოღვაწე – ზუსტად ისეთი, როგორიც იმ დროს წყალწაღებულ საქართველოს სჭირდებოდა“.

---

* მიხეილ მჭედლიშვილი იმ მცირერიცხოვან ადამიანთა უპირველეს რიგშია, ვინც დისიდენტის უმძიმესი გზა უმწიკვლოდ, უანგაროდ, დაუღალავად, უპრეტენზიოდ განვლო სიცოცხლის ბოლო წუთამდე. ბატონი მიხეილი სრულიად საქართველოს წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი იყო მისი დაარსების დღიდან. იგი არცერთ მნიშვნელოვან საკითხს არ ტოვებდა უყურადღებოდ. მისი გამოსვლები იყო ლაკონური, საქმიანი, ანგარიშგასაწევი. სწორედ ამიტომ, მის მოსაზრებებს კონკრეტულ საკითხებზე ყოველთვის ითვალისწინებდა წმ. ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. (ეთერ მგალობლიშვილი, წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი).

წმ. ილია მართლის სამრეკლო

* * *

სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსვემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ესა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.

* * *

ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწაწყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც, მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავეს მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან: გაქართველდაო. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორც-შეთვისებული, უძლეველი ხმალია და შეულეწელი ფარია მტრისა წინაშე. სიტყვას ქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას იგი სულ იმაზედ მოაქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნება რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმინდას და უდიდეს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ამსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს.

აი, სად და რაში ჰპოულობდა ჩვენი უწინდელი სამღვდელოება თავის სულიერს და ხორციელს ღონეს, თავის ძლიერებას, პატივისცემას! აი, როგორ გაიმაგრა სამღვდელოებამ სარწმუნოება ქრისტეში ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც გარშემო ვეშაპი მტრები ეხვევნენ და ჰლამობდნენ, ქრისტიანობა ძირიანად ამოეგდოთ. აი, რამ მოაგერიენებინა ამ პატარა ქვეყანას აუარებელი მტერი! მამული და ეროვნება მოაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული - მამულსა და ეროვნებას, და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაინძღვარა წინ, ათასხუთასი წელიწადი ომითა და სისხლისღვრითა გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა.

* * *

ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პილიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილის გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა. დრო იყო ამისთანა და სხვა არა-რა ელემენტი მაშინ შემძლებელ არ იყო ეს ჩვენის ისტორიის დასაბამიდამ სასურველი ერთობა დაედგინა. სხვათა შორის, ქართველი ამისთვის უფრთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც, თავის შინაგან ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობასა. ამ სიკეთეს დიდი ხანია მიაგნეს ჩვენთა ბედის-გამგებელთა და არ არის ჩვენში არც ერთი სახელგანთქმული კაცი, ან მეფე, რომ, სხვათა შორის, ამ თვალით არ ეყურებინა ქრისტეს სარწმუნოებისათვის. ამიტომაც, მოაცალებდათ თუ არა პოლიტიკური ტრიალი ბედისა, ყოველი მათგანი სცდილობდა, არაფერს ზოგავდა, ქრისტეს რჯული, შინაგანის ღირსებით განდიდებული და მიმზიდველი, გარეთა ღირსებითაც განედიდებინათ, გაემშვენიერებინათ და მისი მონასტრები და ტაძრები ყველგან მოეფინათ ქრისტეს რჯულის სახსოვრად და საიდიებლად.

* * *

საქართველოს ერმა გადაიხსნა გული, შიგ განიბნივა იგი ჯვარი პატიოსანი და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის კი არ შეარყევინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი. მას აქეთ თხუთმეტი საუკუნე გულში ჯვრით და ხელში ხმლით იბრძოდა, ღვწოდა, სისხლსა ჰღვრიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზედ ვერავინ შეაცვლევინა.

* * *

ჩვენი ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულმოქმედი მხნეობა, თავგანწირვა, თავდადება, ვაჟკაცობა სულ იმ ნათლით არის გასხივოსნებული, იმ შარავანდედით არის მოსილი, რომელიც „ძელმა ჭეშმარიტებისამ“, წმინდა ნინოს მადლით და ღვაწლით აღმართულმა, მოჰფინა მთელს ჩვენს ქვეყანასა. ამ ძელზე სხივოსანის ასოებით, ქრისტეს წმინდა სისხლით დაწერილი იყო და

არის იგი მცნება, რომელიც უდიდესია ყოველს მცნებაზედ: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“.

ამ მცნების მოძღვარს ეთაყვანებოდა ჩვენი ქვეყანა, იგი აღიარა ღმერთად და იმას აუნთო თავისი გული წმინდა სანთლად, რომელიც დღეს აქამომდე არ გამქრალა და არც გაჰქრება, მინამ არ გაჰქრება თვითონ ქართველიცა. ამ კაცთ-მოყვარე ღმერთისათვის იწამა ჩვენი ქვეყანა, ამას ანაცვალა, მას შესწირა ყოველივე, რაც კი ადამიანს საბედნიეროდ აქვს მონიჭებული, ეკლის გვირგვინი დაიდგა თავზედ, თხუთმეტი საუკუნე გულგაუდრეკლად ატარა თავ-პირდასისხლიანებულმა ჩვენს დრომდე შეუმწიკვლელად მოიტანა

* * *

დიდი წამება დიდბუნოვნების ნიშანია, როგორც დიდი ძლევამოსილება. დიდი წამება იგივ დიდი გამარჯვებაა, რომელიც წილად ხვდება ხოლმე დიდბუნოვანს კაცსა, ხოლო გამარჯვებული ბედნიერია იმიტომ, რომ თვითონაც სტკბება მით, რაც გამარჯვებას მოაქვს, და წამებული კი თვით იწვის სანთელსავით და სხვას კი გზას უნათებს. ამიტომაც ეკლიანი გვირგვინი წამებულისა უფრო უანგაროა, უფრო მიმზიდველია, უფრო საგულმტკივნეულოა და, მაშასადამე, უფრო მშვენიერი, სასახელო და სადიდებელი. მარტო ამ წამებულთა ჰლოცულობს კაცობრიობა, მარტო ამ წამებულთა აღიარებს იგი წმინდანებად და თაყვანს სცემს ლოცვითა და კურთხევითა.

ეკლიანი გვირგვინი, ჩვენს დღემდე მოტანილი ჩვენთა წინაპართაგან, ამ მშვენიერებითა ჰშვენის, ამ სახელითა სახელოვნობს, ამ დიდებით ჰდიდებულობს. თუ ვისმე სამართლიანად ეთქმის, რომ თვით დაიწვნენ და სხვას კი გზა გაუნათესო, ეს ჩვენს მამა-პაპას ეთქმის და მადლობელნი შვილნი ლმობიერებით პირქვე უნდა დავემხოთ მათ საფლავთა წინაშე და ვუგალობოთ დიდება დიდებულთა და ქება ქებულთა.

* * *

მოგვევლინა წმინდა ნინო, გვამცნო და გვასწავლა ქრისტეს რჯული და ახალმა მშვენიერმა აღთქმამ განაახლა ჩვენი ქვეყანა ახალის ცხოვრებისათვის. ქართველმა არ რჯულს, ამ ახალს აღთქმას, შეუერთა ძველისაგან ყოველივე ის, რაც-კი რამ ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავის-დღეში არ დაძველდება, მინამ ადამიანი არსებობს: შეუერთა მამული და ეროვნება. ეს სამი ერთმანეთის ღირსი საგანი ისე ჩაიწნენ, ისე ჩაქსოვდნენ ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა - რჯულის დაცვად. რჯული ჩვენი მამულის, ჩვენი ეროვნების ხმლად იქცა ზედმისევისათვის და ფარად ზედმოსეულთათვის.

* * *

წმინდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამცთუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. იმა უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე ღმერთმა მოუვლინა ქვეყანას ხსნად და ცხონებად, თავისი ძლევამოსილი კალთა გადააფარა ჩვენში ჩვენს მამულს, ჩვენს ეროვნებას, ვითა ობოლნი შეიკედლა, თავისის ღვთაებურის ძალ-ღონით გამოჰზარდა, შეჰმოსა, შთაუდგა გული რკინისა, გაუმძღვარა ჯვარი პატიოსანი და ძელი ჭეშმარიტებისა. და, აი, ათასხუთასი წელიწადია, ამ ძალ-ღონით ქრისტიანობამ შემოგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნობა.

* * *

ქრისტიანობის მოფენა და დამკვიდრება თითონ ცალკედ, თავსითავად დიდი ღვაწლია, და რომ ქრისტიანობამ ქვითკირსავით შეგვკრა და გაგვამაგრა, რომ ქრისტიანობა გაგვიძღვა მამულისა და ეროვნების შერჩენისა და ხსნისათვის, ღვაწლი იგი გვიორკეცდება, გვიდიდდება, გვიძლიერდება. ეგ გაორკეცებული, ეგ განდიდებული ღვაწლი დაგვდო ჩვენ ჩვენმა განმანათლებელმა წმინდა ნინომ. აი რით არის მართლა სადიდებელი, მართლა სადიდ-დღესასაწაულო იგი დღე, როდესაც ჩვენი ეკლესია დიდებით იხსენიებს ამ მოციქულთა-სწორს ქალწულსა. ამა ღვთაებურის მადლით მოსილმა მოციქულმა დაგვაწაფა დაუშრობელს წყაროს ღვთაებურის ჭეშმარიტებისას და მოგვივლინა იგი მოძღვრება, რომელმაც იშვილა ჩვენი მამული, ჩვენი ეროვნება, და ერთსაც და მეორესაც უპატრონა დღემდე.

* * *

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენს ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავწირეთ, ცოლ-შვილი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისთვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს - სამართლიანის თავმომწონებით ვეძახით.

* * *

სარწმუნოებსი სხვა-და-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი - აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებასა.

* * *

საქართველო, როცა-კი მოიცლიდა ხოლმე გარეშე მტერთა ზედმოსევისა და მოგერიებისაგან, მაშინვე შეუდგებოდა ხოლმე ქრისტეს აღსარების განმტკიცების და გაძლიერების საქმესა. როცა-კი ქვეყნის მდგომარეობა ნებას აძლევდა, ქართველნი, ცნობილნი სულიერის მოღვაწეობითა და აღრტყინებულნი ღვთის მოსაობით და სარწმუნოების გრძნობითა, გამოდიოდნენ გამავრცელებლად და მოსარჩლედ მართლმადიდებელის სარწმუნოებისა აღმოსავლეთში: მცირე აზია, სირია და თვითონ ბალკანეთის ნახევარკუნძული თვისდა ახლო მახლო კუნძულებითა დღესაც ჰმოწმობენ ქართველთა მოღვაწეობას სარწმუნოებისათვის. აქ ყველგან მრავალგვარი ნაშთია დღესაც უტყვ, მაგრამ უტყუარ მოწამედ იმისა, რომ გულმოდგინებას ქართველებისას სარწმუნოებისათვის შორსაც გაუდგამს ფეხი და ხელი გაუწვდენია. მონასტრები, ქართველთა ხარჯით და ფულით აშენებულნი, არა ერთი და ორი დღესაც ჰღაღადებს ათონის მთაზედ, სინაზდ, სირიაში, იერუსალიმის ახლო-მახლო, რომ ქართველთა თაგვამომეტებით და დიდის მხნეობით უღვაწნიათ თავის ქვეყნის გარეთაც სადიდებლად თვისის სარწმუნოებისა.

* * *

„ვით მამა ზეცისა იყავნ შენც სრული“ - აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია, ცალკე ადამიანია თუ მთელი ერი, - ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა-სწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, - აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელის ერისა.

* * *

ადამიანი და ნამეტნავად ერი არა მარტო „პურითა ერთითა ცოცხალ არს“. მართალია, მშიერი დიდს მანძილს ვერ გაივლის ამ მადლისა და ბოროტების ჭიდილის გზაზე, მაგრამ უმადლოდაც, როგორც ხორცი უსულოდ, არაფრის მაქნისია. ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, - გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, სააქაოსათვის მაინცა. ამიტომაც, ვინცა ჰჩივის და ჰღაღადებს სახოციელო პურისათვის, ის იმდენადვე, თუ არ მეტად, უნდა იღვწოდეს სასულიერო პურისათვისაც. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმისათვის, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი.

* * *

ღმერთს შენთვის გონება, გული მოუცია, ავარჯიშე, მინამ სიცოცხლე შეგწევს. გონება გზას გაგინათლებს, გული - გაგითბობს, ღმერთი ძლიერია... ყველას გულში, - ბატონია თუ ყმა, მე ვარ თუ შენა, - ღვთისგან ანთებული ცეცხლი ანთია; ის ცეცხლი არ უნდა გავაქროთ, თუ რომ გვინდა პირნათლად შევეყაროთ ჩვენ გამჩენსა, ის ცეცხლი მეც, შენც და სხვასაცა ხანდახან იმისთანა საქმეს გვაქმნევინებს, რომ ქვეყანას აკვირვებს... რა ვუყოთ, რომ მე და შენ დღეს პატარები ვართ? ვინ იცის... ხვალ ბედი რომ გადატრიალდება, ვინ წინ მოექცევა და ვინ უკან?.. რაც შეგვეძლოს, ჩვენ ისა ვქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს და კაციცა.

* * *

ღმერთა ყველას გონება და გული, სიკეთის შეძლება დაგვირიგა, ზოგს, მართალია, ცოტა, ზოგს ბევრი, მაგრამ ბევრს ბევრი მოეკითხება და ცოტას - ცოტა. იმისათვის კი არ დაგვირიგა, რომ იმ ზარმაც მონასავით კიდობანში, ან მიწაში დავმალოთ, - იმისათვის, რომ ბევრი გაჭირვებულია ქვეყანაზედ, უნდა გავცეთ, რომ მოვიგოთ რამე, თორემ ხელცარიელები დავრჩებით, როცა ღმერთი მოგვკითხავს. ამიტომაც არიან ეგრე გულმართალნი ეს სიტყვები: „რასაცა გასცემ - შენია, რაც არა - დაკარგულია“. ის ღვთის მადლი, რომელიც ყოველ კაცს თავდაპირველვე ჩაგვსახებია, ჩვენთვის დაკარგულია, თუ სიკეთე არ მოვაგებინეთ.

* * *

იქნება გეგონოს, ვინც კაი საქმეს ჰშვება, სახელისათვის ჰშვება? არა, სახელი თავისთავად მოდის ხოლმე და კეთილ საქმეს ზედ გამოებმება. მართალია, არიან იმისთანა კაცები, რომელნ-

იც სიკეთეს იქმოდნენ მარტო იმისთვის, რომ სახელი დაგვრჩებაო. მაშინ ისინი იმ კაი საქმეს სახელზედ ჰყიდიან. ეს ცუდია, მაგრამ მე და შენ რა დავა გვაქვს? დაე, თუნც გაჰყიდონ, ოღონდ ნივთი კარგი რამ იყოს, დაე, საქმე საქებური იყოს და გულის წადილის გაჩხრეკა ღვთის ნებაზედ მივაგდოთ.

* * *

როცა... ადამიანს პირს არიდებ, მითამ ქრისტე-ღმერთისთვის მოგირიდებია პირი. იესომ ბრძანა: განკითხვის დღეს გეტყვითო მწყურვალი ვიყავ და არ მასვითო; მშიერი ვიყავ, არ მაჭამეთო; შიშველი ვიყავ, არ ჩამაცვითო; სნეული ვიყავ, არ მომიარეთო. როცა მეტყვიანო უფალო! სადა გნახეთ, რომ არ გიშველეთო მე ვეტყვიო: ყოველი გაჭირვებული კაცი, თქვენგან არ გაკითხული, მე ვიყავიო... სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა, აი ხიდი ცხონებისა, აი გასაღები სამოთხისა!..

* * *

ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი. ზოგი ცოდოს იკიდებს ზურგზედ და ტყვიასავით მძიმეა, ზოგი მადლს და ბუმბულსავით სუბუქია.

* * *

სადაც სურვილია დატკბობისა, იქ სიყვარული არ არი; სიყვარული ტანჯვაა; „ტანჯვაა ვალი და სხვერპლი უზომო სიყვარულისა“ - ამბობს ერთი ჩვენი ქართველი პოეტი. მართალიც არი!.. სიყვარულში თვითონ სიყვარული უნდა ეძებოს კაცმა, სიყვარულში თვით სიყვარული უნდა უყვარდეს სიყვარულისთვის კაცსა და არა რაიმე სურვილისთვის. სადაც გამოერევა ადამიანის „მე“, იქ უთუოდ უნებლიედ წარმოსდგება მონებაცა ერთისა მეორეზედ. უფრო უძლურმა უნდა დაუთმოს უფრო ძლიერს, იქ იქნება დესპოტობა, მონება და არა სრული ერთხმოვანი გარმონია ორთა თანასწორთა სულთა, რომელთა შეერთება შეიქმს ხოლმე ერთ დაკარგულს ერთარსებასა; უნდა დაივიწყო შენი „მე“ და შეერთდე იმის „მესთან“; მაშინ აღსრულდება მნიშვნელობაც სიყვარულისა, მაშინ გადაიშლება მთელი ზღვა ტანჯვისა...

* * *

არაფერი ქვეყანაზე არც იმით დაიწუნება, რომ ძველია, არც იმით მოიწონება, რომ ახალია. ამ სადა ჭეშმარიტებას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა, არც მეტისმეტი გონების გახსნილობა, რომ კაცმა ახალი ტალახი ძველს ვარდს არ ამჯობინოს მარტო იმის გამო, რომ ტალახი ახალია და ვარდი კი ძველი.

* * *

საქმისა თუ აზრის ავკარგიანობის გარჩევა მარტო ძველახლობითა, ღირსების აწონ-დაწონვა მარტო იმით, რომ ეს გუშინდელია და ეს დღევანდელი, ჭეშმარიტების უარყოფა მარტო იმით, რომ ძველია და ტყუილის ჭეშმარიტებად გადაყვანა მარტო იმით, რომ ახალია, რაც გნებავთ ბრძანეთ და, სასაცილოზედ მეტია. აგეთი სასწორი, აგეთი არჩევა კარგისა და ავისა, მართლისა და ტყუილისა მარტო იმის მომავლინებელია, რომ კაცს არც კარგი ესმის, არც ავი, არც მართალი უცვნია, არც ტყუილი და ამაოდა ჰფქვავს მინდმოკიდებულ წისქვილსავით.

* * *

შეწყნარება დაჯერებას არ ჰნიშნავს, გინდა თუ არა, არამედ პატივსა, რომლითაც უნდა მოექცეთ სხვის აზრს, თუნდაც თქვენს უსიამოვნოს, თქვენს წინააღმდეგს. პატივით მოქცევა კიდევ იმას ჰქვიან, რომ მთქმელს, თუ გამკითხველს საბუთი გაუჩხრიკოთ, საბუთი აუწონოთ თქვენს საკუთარ სასწორზე, ასე თუ ისე საკუთარი ფასი დასდოთ და მისაწყავი ისე მიუწყათ. ყოვლად საკადრისი საქციელი გონებაგახსნილისა და მართლა განათლებულის კაცისა სწორედ ეს გზაა და სხვა არარა. ვისაც ეს არა სჭირს, ტყუილად თავსა სდებს განათლებაზე, ტყუილად აბრიყვებს თავისთავსაც და სხვასაც, განათლებული ვარო. იგი ყოველ გონებადახშულზედ უარესია.

* * *

ერთის ბრძენისა არ იყოს, ქვეყანაზე ზოგი იმისთანა საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმენ და ზოგიც იმისთანაა, რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. ცასა, თუ ცას იქით, სწორედ იმისთანა ადგილებია მაძებარ გონებისათვის, რომ თუ არ ირწმუნე, ვერას დაინახავ.

* * *

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, - ამბობს ჩვენი ერი: - ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდ-ბუნებოვანმა კაცმა - წაიყოლია სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი.

* * *

ეს ანდერძად გქონდეს ჩემგან: არა საქმეში უზნეობა, უპატიოსნობა არ გაურიო. გახსოვდეს ყოველთვის, რომ ქვეყანაზედ ქაღალდის გარდა არის კიდევ სინდისი, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმკვიდრით და სიმტკიცით, რომ არა-

ვითარი ძალა არ ამოშლის და არ გააუქმებს. ადამიანთა ურთიერთობა შეუძლებელია დააფუძნო უზნეობის საწყისებზე და საქმე, რომელიც ზნეობრივი პრინციპების დარღვევიდან გამომდინარეობს, არავის გამოადგება. სამუდამოდ დაიმახსოვრე, რომ მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდეც სხვისი უფლება და არ დაარღვიო იგი.

* * *

რა არის სიმდიდრე? სიმდიდრე კარგი რამეა... მე მის საწინააღმდეგოდ რა მეთქმის, მაგრამ ის მაინც არ არის საჭირო პირობა ბედნიერებისა. უიმისოდ ბედნიერება კარგადა გრძნობს თავს და იგრძნობს კიდევ, თუკი ჩვენ ვიქნებით ისეთი ადამიანები, რომლებიც უპირველესად ზნეობრივი მხარის დაკმაყოფილებას ესწრაფვიან.

* * *

თუ ადამიანს თავისი ვინაობა არარად მიაჩნია, მაშინ იმ ადამიანში ადამიანური რაღაა? დრო გამოიცვლება, დრო მოვა, როცა თავისის ვინაობიდან გადამდგარი კაცი ყველასაგან შერისხული იქნება, როგორც უღირსი, თითონ იმათგანაც კი, ვინც ახლა სიხარულით ამისთანა კაცს შეიკედლებს ხოლმე და ულოლოებს. დრო მოვა, როცა ყველასათვის ცხადი იქნება, როგორც ორჯერორი, რომ თუ კაცი თავისას გაუდგა, სხვისას ვერ უერთგულებს. ეს ჭეშმარიტება დღეს ცოტამ იცის და ხვალე ბევრს ეცოდინება, და მაშინ ვაი თავის ვინაობაზედ გულაცრუებულს, გულგრილს და ხელაღებულს!

* * *

რაც კაცს უფრო საკეთილოდ მიაჩნია, უფრო საუმჯობესოდ, უფრო სამართლიანად, მას უნდა მთელის თვისის მხნეობით და ღონით შეეწიოს იმისდა მიუხედავად, ეწყინება ვისმე, თუ არა. იქ წყენა რას მიქვიან, საცა ჩემი რწმენა, ჩემი ადამიანობა მიწვევს სამოქმედოდ და ქვეყნის საკეთილდღეოდ. იქ მამულის-შვილობის ვალი ითხოვს, რომ არაფერს მოვერიდო და ცხარედ ჩავკიდო ხელი მას, რაც ჩემმა კაცობამ, ჩემმა რწმენამ, ჩემმა სინდისმა წინ დამისვა ნიშნად. ამას ითხოვს მოქალაქეობრივი გულადობა, ვაჟკაცობა და ქველობა.

* * *

დადგა მარხვა სინანულისა, მოვიდა დღე განკითხვისა. იმ განკითხვისა კი არა, რომელსაც საშინელი განკითხვა ჰქვიან და რომელსაც ჯოჯოხეთი და „ღრჭენა კბილთა“ მოსდევს... ეს იმისთანა განკითხვაა, საცა თვითონ ბრალეული თავის-თავის გამკითხველია და მსაჯული. მაშასადამე, აქ „კბილთა ღრჭენას“ და ჯოჯოხეთს ადგილი არ ექნება. აქ მხოლოდ ის არის საჭირო, რომ კაცმა თავისი ცოდვები ჩამოთვალოს და სთქვას: ვინანიო. რაკი ეგრეა, ყველა კაცი უნდა დაუფიქრდეს თავის წარსულს ცხოვრებას თავისის ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ სურს ქრისტიანული წესი აღასრულოს და დრო სინანულისა ტყუილუბრალოდ არ გააქარწყლოს.

* * *

რა საკვირველია, რომ მე ჩემი უფრო მიყვარდეს, ჩემსას უფრო შევხაროდე, ჩემი უფრო მიამებოდეს და ჩემსას უფრო ხელს ვუწყობდე. გული ადამიანისა ფიცარი ხომ არ არის, რომ ერთი წაშალო და მის მაგიერ სხვა რამ დასწერო. გრძნობა თავისიანის სიყვარულისა ისეთივე ძლიერია, ისეთივე მკვიდრია, ისეთივე ბუნებრივია, მაშასადამე, ისეთივე სამართლიანი და პატივსაცემი, როგორც სიყვარული მამა-შვილური, დედა-შვილური. ვერა ძალი მაგ სიყვარულს ვერ ამოჰკვეთს ადამიანის გულიდამ! ყოველივე იარაღი მის წინაშე უქმია!

* * *

იქ, საცა ერთი მხრით სამშობლო და მეორე მხრით სხვაა, სხვას მარტო ნამეტანობისაგან უნდა მიეცეს. ნამეტანობაზე, ჩვენდა საუბედუროდ, ჯერ შორსა ვართ, და რაც ჩვენთვის საკმაო არ არის და თვით ჩვენ გვჭირია, იგი მარტი ჩვენს სამშობლოს უნდა გამოვუზოგოთ და შევწიროთ.

* * *

სარწმუნოება ჭეშმარიტებაა გულისა და ორსახედ არ ჩაესახება ერთსა და იმავე გულს. როგორც ორსახე ჭეშმარიტებაა შეუძლებელი, ისეც ორსახე სარწმუნოებაც. იგი ან ერთადერთია ერთს გულში, ან სულ არ არის. სარწმუნოება, რომლის დიდი ნასკვი ადამიანის სულიერი წიაღშია, ორთვალა და ორგულა ვერ იქნება, რომ ჩვენიც იყოს და თქვენიც ერთსა და იმავე დროს. იგი ერთთვალა და ერთგულაა, - თუ ასე ითქმის, ვერც თვალს და ვერც გულს ორად ვერ გაჰყოფს, რომ ერთსაც ჰხედავდეს მართლმადიდებელად და მეორესაც, ერთსაც განუზიაროს სასოება გულისა და მეორესაც. ამიტომაც შეურყეველი ერთგულება სხვის სარწმუნოებისა საკუთარის სარწმუნოების შერყევაა, უარყოფაა. თავდადებულნი ერთის სარწმუნოებისათვის, მეორისათვის თავდადებულნი ვერ იქნებიან და ნამეტნავად შეურყეველ ერთგულებისანი. კაცი შეურყეველად მოსავია მარტო იმ სარწმუნოებისა, რომელსაც აღიარებს და გულში ატარებს. უამისოდ სარწმუნოება სარწმუნოება კი არ არის, სამოსელია, რომელსაც კაცი როცა უნდა იხდის და როცა უნდა იცვამს.

* * *

უეჭველია, ძლიერ გონივრად იქცევა ისა, ვინც მუდამ ჟამს კითხულობს საღმრთო წერილსა. იმის წამკითხავი ორნაირად არის სარგებლობაში, პირველად: შეისწავებს ღვთის ვედრებასა და რამდენსაც მომატებულად კითხულობს, იმდენად მკვიდრად დაინერგება იმის გულში სარწმუნოება ქრისტესი; და მეორედ: იქ შეხვდება მრავალ ნამდვილ ქართულ სიტყვასა, რომელნიც ამჟამად ბევრნი მათგანნი აღარ იხმარებიან საერო ლაპარაკში, და მაშინ, როდესაც საღმრთო წერილი გადმოუთარგმნიათ ქართულად ბერძნულიდგან, ხმარებაში ყოფილა. მხოლოდ იქიდგან გამოტანილი სიტყვა უნდა მოიხმარონ ისე, იმ კილოზე, როგორც ამჟამად ლაპარაკობს ხალხი.

* * *

სიმღერა, გალობა სხვა არა არის რა, გარდა ბედნიერად შექსოვილის პოეზიისა და მუსიკისა. აქ, სიმღერაში, გალობაში, მწყობრი ხმა ჰშველის წყობილსიტყვაობას და წყობილსიტყვაობა მწყობრს ხმასა, რათა მთლად და სავსებით ადამიანმა გამოსთქვას თვისის სულის მოძრაობა და თვისის გულის ძარღვის ცემა. ხმა და სიტყვა ცალ-ცალკე ბევრს შემთხვევაში უღონონი არიან ადამიანის გულის სიღრმიდამ ამოზიდონ იგი სხვილი და წვრილი მარგალიტები, რომლითაც სავსეა ადამიანის გული და რომელნიც აიშლებიან ყოველთვის, როცა ან სევდა-მწუხარება, ან სიხარული შესძრავს ხოლმე ღვთაებურს სიმებს ადამიანის სულიერებისას. სიმღერა ამ მხრით იგივე ცრემლია, რომელიც მაშინაც მოდის, როცა გულს მწუხარება ჰკუმშავს, და მაშინაც, როცა დიდი სიხარული ეწვევა.

* * *

რადგანაც ქვეყანაზე გულსა ადამიანისას სძრავს ხოლმე არა მარტო სიხარული და მწუხარება, არამედ სხვა ათასგვარი მიზეზიცა, ამიტომაც სამწუხარო და სასიხარულო სიმღერას შუა კიდევ მრავალგვარი სიმღერა და გალობაა. ამ მხრით ადამიანის გული იგივე ზღვაა, რომელიც კოვზით არ დაილევა თავის დღეში. მინამ გული სძგერს, გულივე ათასნაირს სიმთ ააჟღერებს ხოლმე ათასნაირის მიზეზითა, და რადგანაც მიზეზი გულისთქმისა ულეველი და დაუსრულებელია, თვით სიმღერას, რომელიც მარტო გულისთქმაა და სხვა არაფერი, ბოლო და დასასრული არ ექნება თავის დღეში, ვიდრე ეს დედამიწის ზურგი ატარებს და იშვნევს ადამიანსა. კაცთ გარე, ქვეყნიერებაში სიმღერა არ არის. ეგ მხოლოდ კაცის კუთვნილებაა, ვითა ღვთის კერძოისა. ეგ ღვთიური ნიჭი ბუნებამ მარტო ადამიანს მოჰმადლა და იგი ნიჭი იმოდენად ძვირფასად მიაჩნია კაცობრიობას, რომ არ არის ცისქვეშეთში იმისთანა კაცი, იმისთანა ერი, რომ ეგ ნიჭი არ ემოქმედებინოს და ეგ მშვენიერი ნერგი, ადამიანის სულში ბუნებისაგან ჩარგული, არ ეხეირებინოს და ცოტა თუ ბევრი ყვავილები არ გამოესხმევინებინოს.

* * *

როგორც ცაკლე კაცის გული, ისე გული ერისა ბევრში სხვა ცალკე ერის გულს არა ჰგავს... ამის გამო გულისთქმაც, გულის გამომეტყველებაც სულ სხვა არის ხოლმე და ყოველს ერს თავისი კილო, თავისი ჰანგი აქვს ამ სხვადასხვაობისათვის. იგი უტყვი პოეზიაა... იგივე ენაა, მხოლოდ ხორცშეუსხმული, სიტყვით არგანსაზღვრული, სიტყვით არგამორკვეული - იგი მარტო ხმაა, კვნესაა, ხარებაა, იგი ძახილია აღფრთოვანებულის სულისა. ეს კვნესა, ეს ძახილი ქართველისა სულ სხვაა, სხვა ერისა - სულ სხვა, როგორც სხვადასხვა ენამეტყველობა.

* * *

მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, - საერო, თუ სამღვდელო, - რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობის-ყოფით, მომეტებულის და-ძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული (წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე)) ღრმად-მიწევნილი მეცნიერი იყო და ამოდენადვე ღრმად-მორწმუნეცა. აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულება, მისი მნიშნველობა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა.

* * *

ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არ ბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკ-ნაღაროდ სთესს, უბუკ-ნაღაროდ მკის. კოკისებურ, შხაპუნა ნიაღვარს-კი არა ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგრაგნოს, „მდუმარე წვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელია“. არც ბრევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არა სწერია, თუ თითონ ადამიანმა გესლი ულმობელის სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა - პატიოსანია, ნამუსიანია, და ისეთივე თავ-მოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით

წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზედ. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამი გაფრენით მეტიაო, - იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ. რა გლეხკაცი! თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰღაღადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღაღადი?

* * *

ამოვიკითხავთ წიგნებიდამ რაღაცას და გვგონია, ეს-ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩავკიდეთო. ქვეყანაზე ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ კი აღარც იქით ვიხედებით, აღარც აქეთ. რაკი წიგნი ხელთ გვიპყრია, თითქო ჭკუა, თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოს.

* * *

არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის. უკადრისობად მიგვაჩნია ჭკუა უწიგნო ტყაპუჭქვეშაც ვიგულვოთ. ჩვენ ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი, თუნდ უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისათვისაც კი ოსტატია.

* * *

ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივ ადამიანია და მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელ წასაკითხ ქარაგმით დაწერილია, თუ ესე ითქმის, და არა სხვილ და სრულ ასოებით, როგორც დამთავრებული კაცი. არ უნდა გვიკვირდეს, რომ რასაც დიდ მდინარეში ვპოულობთ, იმას მის სათავეშიაც ვხედავთ. ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდი ადამიანისა.

* * *

აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას“

* * *

განა ყოველი საგანი თვის კვალობაზედ არ არის მაღალი, მაღალ ღვთაებრიობის სიბრძნის გამომთქმელი? პოლიპი, რომელიც ძლივს აჩენს თავის სულიერობას, ისე ცხადად მოგვითხრობს ღვთის ძლიერებასა, როგორც მზე, ეს ქვეყნის მაცხოვრებელი მნათობი. ინფუზორია, რომელნიც მილიონობით არიან ერთ მუჭა წყალში, ისევე საკვირველნი არიან, როგორც მოძრაობა მედიდურ ცაში მილიონთა პლანეტთა, ერთი მუჭა ლაფის ნაწილთა დაკავშირება ისეთი საკვირველია, როგორც ვარდის მშვენიერების გამოცხადება. არა, ბუნებაში ღმერთს არ შეუქმნია მაღალი და მდაბალი საგანი, ყოველი საგანი მაღალია თვის კვალობაზეც და ერთნაირად მოგვითხრობს იმ დიდ სულზედ, რომელიც აცხოვრებს მთელს ქვეყანასა.

* * *

ხშირია ხოლმე, რომ, როცა სული ჭლექდება, ხორცის დღეობა მაშინ არის; როცა სული ჰყვავის, ხორცი დნება.

* * *

იმისთანა ხალხი, რომლის გამოხატულობაც ჟამთა ვითარებით უმაღლესს საგნებიდან მარტო ჭამა-სმაზედ დამდგარა, ანუ რომელსაც მცირე საგნებიდამ გონება მაღლა ვერ აუცილებია, ის ხალხი უფრო შებრალების ღირსია, ვიდრე გაკიცხვისა.

* * *

დამუნათებული, წაყვედრებული კეთილი, ... ბოროტზე უარესია და უმძიმესი ასატანად.

* * *

იგი გრძნობაა მართალი, რომელიც კატასავით დღე მუდამ არა სჩხავის და მზეთუნახავად დაბინავებულა გულში.

* * *

კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, -
აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?

* * *

სიკეთით სძლიე შენს მტერსა,
ერიდე სისხლით ზღვევასა,
სულგრძელობითა ძლევა სჯობს
ვაჟკაცობითა ძლევასა

* * *

გებრალებოდეს, ნუ ჰრისხავ
კაცს შენზედ შურით მწდომსაო!..
კეთილი ფარად უფარე
შენთვის ბოროტის მდომსაო,
მადლისა წყაროს ასმევდე
ცოდვის გუბეში მდგომსაო.

რედაქტორის გვერდი

მღვდელი ილია (ნუგზარ) ჩიკვაიძე

ახლა, როგორც არასდროს უნდა მოუხმოთ ილიას

ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორია სავსეა გამარჯვება-დამარცხებათა მრავალფეროვანი სურათებით.

„თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები“ – უთხრა დიდმა აკაკიმ საქართველოს უგვირგვინო მეფეს და ამით სამარადჟამოდ დაადასტურა წმინდა ილია მართლის ჭაბუკობისდროინდელი წინასწარმეტყველება „მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა...“

ჩვენს ყველაზე უაზნო ეპოქაში, როდესაც თითქმის თავდალმა ჰკიდია ზნეობაცა და ეროვნული ღირებულებებიც, როდესაც პრესაც და ტელევიზიაც უმეტეს წილად უზნეობის აპოლოგეტებად გვევლინებიან, ყველაზე უფრო საჭიროა ვუსმინოთ ილიას, ვუსმინოთ და გავიწინამძღვროთ ჩვენთვის ღვთის მოწყალებად მოვლენილი ცხებული წინამძღვარი.

„ილია ჭავჭავაძის დრო წავიდა“ – ამ ავისმომასწავებელი სისინით გასცა თავი საქართველოში მოფუთფუთე კოსმოპოლიტიკურმა აზროვნებამ.

ამ საზარელ შხამ-სიტყვაში საქართველოს ეროვნული, სახელმწიფური ერთობის დაშლა-განადგურების საფრთხე სიკვდილივით ჩასაფრებულა.

ახლა, როგორც არასდროს უნდა მოვუხმოთ ილიას!..

ვინ ვინ და ყველაზე უკეთ ილიამ უწყის ასეთი სიბრიყვისგან განკურნების წამალი.

ილიამ უწყის როგორ გაშოლტოს უმწიფარი აზრები, ქართველებს მეცხრამეტე საუკუნემდე გვარ-სახელთა უქონლობას რომ გვაბრალებდნენ ანდა ვით გააუვნებელყოს „საქართველოს მოქალაქის“ ქართველის სინონიმად წარმოჩენის ვერაგული მცდელობა.

როგორც არასდროს, ახლა უნდა მოვუხმოთ ილიას, რადგან აპოკალიფსური ეპოქის მსოფლიო უსამართლობის ოკეანე ჩაძირავს უქადის საქართველოს!..

ილია მესაჭეა!

საქართველო ამ ოკეანიდან ილიას წინამძღოლობით უთუოდ გააღწევს სამშვიდობოს.

არიან დიდნი მწერალნი და მოღვაწენი, რომელნიც მათთვის განსაზღვრულ ეპოქაში ცხოვრობენ, თავიანთი ბეჭდით აღბეჭდავენ ეპოქის თავფურცელს და ისტორიას სახელოვნად გადაეცემიან.

ილიამ არათუ იცხოვრა მისთვის ისტორიულად დადგენილ ეპოქაში, თვითონ შექმნა ეპოქა და ამ ეპოქაში აცხოვრა სრულიად საქართველო.

ილია მზეა, რომლის გარშემოც ბრუნავდნენ დიდნი მნათობნი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოისა.

ამ თაკარა, სულის დამათბობელ მზის სხივებში მწიფდებოდა ქართული ეროვნული აზროვნების ოქროყანა.

სალიტერატურო ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ თავისი დაარსების მთავარ მისიად ქვეყნისა და ხალხის სიყვარულის სახელით ერთმანეთის ძმურ მხარდაჭერას გულისხმობდა.

ჩვენი მიზანიც, „საქართველოს მოამბის“ განახლებაზე რომ ვფიქრობდით, საქვეყნო ტკივილების გათავისებისათვის ზრუნვა და ქვეყნის ეროვნული, კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერატურული ცხოვრების აღორძინებისათვის შეძლებისდაგვარად ხელის გამართვა იყო.

ჩვენი ქვეყნისთვის, მორალური თვალსაზრისით, შეჭირვების ჟამს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სასურველი იქნება დაარსდეს წმინდა ილია მართლის დღეები, რომელიც ხელს შეუწყობს მწერალთა და კულტურის მოღვაწეთა დაახლოებას. ეს უნდა იყოს საქართველოსთვის სამაგალითო დღეები, რომლის მონაწილენიც გაერთიანდებიან წმინდა ილია მართლის წმინდა იდეებით. და ეს დღეები უნდა დამკვიდრდეს ტრადიციულად, ყოველ წელს.

წმინდა ილია მართლის სახელობის სალიტერატურო ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ რედაქცია შეძლებისდაგვარად ხელს შეუწყობს ამ დღეების გამართვას.

თუ მხარდაჭერა იქნება, ჩვენ წარმოვადგენთ ამ იდეის განხორციელებისთვის საჭირო პროექტსაც, ვიმედოვნებთ რომ ჩვენი განზრახვა ყურადღების ღირსია.



მერაბ კოსტავა (1939-1989)

ილია ჭავჭავაძე

საქართველოს ისტორიაში დაუვიწყარ დღედ დარჩება 1987 წლის 20 ივლისი, დღე ქართული ეკლესიის მიერ დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვისა. მისი დაბადებიდან 150 წლისთავზე. ილიას წმინდანად შერაცხვა მისი მკვლელობის დღიდანვე მზადდებოდა ქართველი ერის წიაღში, რისი საბოლოო, საჯარო აღიარება და კანონიზება მხოლოდ ახლახანს მოხდა წმინდა სინოდის სხდომაზე, მისი თანამოსახელის კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ინიციატივით. სხდომას, პატრიარქის გარდა, თორმეტი ეპისკოპოსი ესწრებოდა.

შესავალ სიტყვაში ილია მეორემ მკაფიოდ განმარტა, თუ რატომ შეირაცხა წმინდანად ილია ჭავჭავაძე. **იმ დროს, როცა საქართველოს უჭირდა სთქვა მან, — როცა საქართველოს წაართვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, როცა საქართველოს ეკლესიას აღარ ჰყავდა კათალიკოს-პატრიარქი, მამამთავარი, როცა ქართველი თავადაზნაურობა ჩინ-მედლებს დაეხარბა, ხოლო ქართველ ერს სულიერად ჩაეძინა, როცა შეურაცხოფილ იქნა ქართველი კაცი, მისი წეს-ადათი, ქართული ენა, ღვთის განგებამ გამოგვიჩინა დიდი მოძღვარი, პატრონი ჩვენი ერისა და ეკლესიისა, ილია ჭავჭავაძე.** პატრიარქმა ახსენა ის სასწაული. 1907 წლის 24 დეკემბერს რომ მოხდა, ილიას მკვლელობიდან სამი თვის შემდეგ. 1909 წლის 2 თებერვლის მე-5 ნომერი „ივერია“ წერდა თუ სამმა მამკოდელმა მონადირემ: ნიკოლა ბერიძემ, ზაქარია აფციაურმა და ალექსი შერემეტოვმა როგორ დასჭრეს თეთრი ხარ-ირემი საგურამოდან ზედაზნის მონასტრისაკენ მიმავალ გზაზე. თუ როგორ დაესიზმრა ზედაზენზე ნიკოლა ბერიძეს, უშუალოდ დამჭრელს ნადირისას, ორი ანგელოზი, რომელთაც უკითხავთ: „ირემი დავკარგეთ და ხომ არ გინახავთო?“, როგორ გაჰღვიძნია მას შეშინებულს და სიზმარი გაუნდვია იოანე ბერისათვის ხვეწნით: იოანე ზედაზნელს შემავედრე და ჩემთვის პატიება გამოსთხოვეო. წიწამურის ველზე, სადაც ილია მოჰკლეს იმჟამად ქვის ჯვარი აღემართათ. მეორე დღეს მონადირეები კვლავ გადაეყარნენ დაჭრილ ირემს, სისხლიან კვალს რომ ტოვებდა. იგი სამგზის ავიდა მთაზე ზედაზნის მონასტერთან და სამჯერვე იმ ჯვართან დაბრუნდა, სადაც ილია მოჰკლეს ბოლოს სისხლდაწრეტილი და დამაშვრალი, ჯვრის წინ დამხობილა, რქები მიწაში ჩაურჭვია და სული დაულევია.“ განა აღნიშნული სასწაული არ არის ფარდი ნების მიერი ბიბლიური, მითოლოგიური, თუ ძველ ისტორიულ ლიტერატურაში ამოკითხული სასწაულისა? ან რა შეედრება იმ საკვირველ მოვლენებსა და მინიშნებებს, რითაც განგება მუდამ ცდილობდა და ცდილობს გაგვიცხადოს დაფარული, ფარდა ახადოს მრავალ საიდუმლოს, ჭეშმარიტების ნათელი დაგვანახოს რიგი უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა და ამით ღვთის სულეთის რწმენა და მართებული ქმედების სურვილი გაგვიცხოველოს?

„მკვლელობისთანავე — დასძინა პატრიარქმა წმინდანად მიიჩნია ქართველმა ერმა ილია ჭავჭავაძე, მაგრ ამ რუსი ეგზარხოსის დროს წარმოუდგენელი იყო ილიას კანონიზება, რადგან ქართულ ეკლესიას დაკარგული ჰქონდა დამოუკიდებლობა. ავტოკეფალიის დაბრუნების შემდეგაც, დროის სირთულისა გამო, ფრიად ძნელი საქმე გახლდათ კანონიზება. ახლა ღვთის განგებით მოგვეცა ამის საშუალება“ ილია მეორის შემდეგ ილაპარაკეს ეპისკოპოსებმა.

ბოლოს კათალიკოს-პატრიარქმა წაიკიხა პერგამენტზე რუდუნებით დაწერილი წმინდა სინოდის განჩინება: „ერისა და ეკლესიისადმი გაწეული ღვაწლისათვის და ეწოდოს ილია მართალი. მისი ხსენების დღედ გამოცხადდეს 20 ივლისი ძველით, ხოლო 2 აგვისტო ახალი სტილით: დაიწეროს წმინდანისათვის საჭირო ლოცვბი, შეიქმნას შარავანდედით მოსილი წმინდა ილიას ხატი.“

შემდეგ კათალიკოსმა დაანთო წმინდა ილია მართლისათვის საგანგებოდ დამზადებული სამი სანთელი წმინდა სამების სახელზე, წაიკითხა თავის მიერ ამ დღისათვის საგანგებოდ დაწერილი პირველი ლოცვა-ტროპარი.

წმინდა ილია მართლისადმი აღვლენილი პირველი წირვა ჩატარდა 1987 წლის 2 აგვისტოს სვეტიცხოველში ილია წინასწარმეტყველის დღეს, შემდეგ გაიმართა საზეიმო სადილი სამთავროში, ხოლო საღამოს ჩატარდა პარაკლისი მთაწმინდაზე, ილია მართლის საფლავთან.

პარაკლისის დროს იქ დამსწრე მრავალმა ადამიანმა იხილა თუ როგორ მოირკალა თბილისის

ცაზე ორი უზარაზარი ცისარტყელა, კაცობრიობის მიერ ღვთაებრივ ნიშნად მიჩნეული მას შემდეგ რაც პირველად გამოუბრწყინდა იგი წარღვნის დასასრულს ბიბლიურ ნოეს. თითქო გამართლდა ლოცვა-ვედრება „აჩრდილის“ ბრძენი მოხუცისა: „ჰოი სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა, რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა.“...

ქართული ეკლესიის მიერ დიდი ილიას წმინდანად შერაცხვა უპრეცედენტო მოვლენაა არა მარტოოდენ ქართული, არამედ მსოფლიო ქრისტიანობის მასშტაბით თუნდაც იმიტომ, რომ საბჭოთა პერიოდში ეს გახლავთ წმინდანად შერაცხვის პირველი შემთხვევა. ყველასაგან განსხვავებული მნიშვნელობა ილია ჭავჭავაძის წმინდანად კურთხევისა შემდგომში მდგომარეობს: თუ კი წარსულში წმინდანად შერაცხული მწერლები (გიორგი და ეფთვიმე მთაწმინდელები, ალბერტ დიდი, თომა აქვინელი და ა.შ.) ერთდროულად სასულიერო პირებიც იყვნენ, **ილია წმინდანად აღიარებული პირველი მწერალი ერისკაცია მთელს მსოფლიოში.**

სინოდის სხდომის დღეს, როდესაც ილიას წმინდანად კურთხევის განჩინება იქნა გამოტანილი, თბილისში სტუმრად იმყოფებოდნენ სამი უძველესი ეკლესიის: კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიისა და ელადის წარმომადფგენლები. მათ ერთხმად მიიღეს ქართული ეკლესიის ისტორიული განჩინება. პატრის მიტროპოლიტმა ნიკოდემოსმა სთქვა: ამიერიდან წმინდა ილია მართალი მთელს ქრისტიანულ სამყაროს ეკუთვნის და იგი ყველა ქრისტიანის მფარველიაო. ახლო მომავალში ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქს ვაცნობებთ ჩვენს გადაწყვეტილებას, გავუგზავნით წმინდა ილიას ხატს, და ამგვარად ყოველი წლის 2 აგვისტოს მთელს მსოფლიოში აღინიშნება წმინდა ილია მართლის ხსენება- ბრძანა ილია მეორემ

რატომ ხვდა ილია ჭავჭავაძეს ესოდენ დიდი პატივი ქართველი ერისაგან? რატომ დაამშვენა მისმა სახელმა ქართველ წმინდანთა პანთეონი, რომელსაც თითქმის ორი-სამი საუკუნე არავინ შეჰმატებია? იმიტომ, რომ ილიამ თავისი დაუცხრომელი სულიერი ენერგიით შეაჩერა დაღმასვლა ქართველი ერისა, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს სამეფოს გაუქმებით რომ დაიწყო. დიახ, რუსეთის იმპერიამ ზედიზედ დაარღვია საქართველოსთან დადებული ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლი, რამაც ქართული სახელმწიფოებრიობის აღსასრული გამოიწვია. ამას მოჰყვა რუსული ენის სრული გაბატონება სახელმწიფო დაწესებულებებში. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ხელყოფა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ნაცვლად რუსი ეგზარხოსის დასმა; ქართული სკოლების დახურვა და დევნა ქართული ენისა ახალგახსნილი რუსული ტიპის სკოლებში; ძველთუძველესი ქართული ფრესკების გადაღებვა ტაძრებში რუს მღვდელთმსახურთა ბრძანებით, ტაძრების გაძარცვა, რუს ჩინოვნიკთა და სამხედრო პირთა მზაკვრული თვითნებობა და აღვირახსნილობა, დამაჯერებლად რომ აღწერა თავის ქმნილებებში დიდმა ქართველმა მწერალმა ალექსანდრე ყაზბეგმა.

ძველთაგნვე, ქართველთა წარმოდგენით, საქართველოდ მიიჩნეოდა ტერიტორია, სადაც მღვდელთმსახურება ქართულად სრულდებოდა, შესაძლოა ქვეყანა დროებით დაეპყრო დუშმანს და სახელმწიფო აპარატიც მოერღვია, მაგრამ სანამ ქართველს ქრისტიანი ერქვა და ეკლესიებში ქართული წირვა იდგა, საქართველო კვლავ საქართველოდ რჩებოდა. ახლა კი მათ წარმოდგენაში ეჭვის ქვეშ დგებოდა რეალობა თავად საქართველოს არსებობისა, რადგან რუსი სამღვდელოება ეკლესიებშიც წაეპოტინა ქართულ ენას. „ამრიგად, - წერდა დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი თავისი „ქართველი ერის ისტორიის“ მეხუთე ტომში, საქართველოს რუსეთთან შეერთების 11 წლის თავზე ქართველებს წაერთვათ შესაძლებლობა თავიანთი სატახტო ქალაქის კათედრალურ ტაძარში წირვა-ლოცვის მშობლიურ ენაზე მოსმენისა, იქ, სადაც 1400 წლის განმავლობაში მხურვალე ლოცვა აღევლინებოდა. არც სპარსელ ცეცხლთაყვანისმცემლებს, არც მუსულმან არაბებს, არცწარმართ მონღოლებს, არც თურქებს არ ჩაუდენიათ ის, რაც ჩაიდინა რუსეთის მთავრობამ და მისმა ეგზარხოსმა საქართ-

ველოს მართმლადიდებლური ეკლესიის მიმართ.“

აი, რის ფასად მოიპოვა საქართველომ მშვიდობა და ახალ ევროპულ კულტურასთან ზიარების შესაძლებლობა, მაგრამ განა მოახდენდა ეს კომპენსაციას იმისას, რაც საქართველოს რუსეთის იმპერიამ წაართვა, როცა გეორგიევსკის ხელშეკრულება დაარღვია – გამოსტაცა ენა და სახელმწიფო, ურომლისოდაც გარდუვალია ნებისმიერი ერის დეგრადაცია და გადაშენება? როგორ შეურიგდებოდა ქართველი ხალხი იმგვარ დეგრადაციას, რომლის მსგავსი სისხლის წვიმების დროსაც არ განიცდია? ევროპის პროგრესულ იდებთან ზიარების შემდეგ იგი ამას მით უფრო არ დაუშვებდა.

პასუხმაც არ დააყოვნა და ამას მოჰყვა რამდენიმე სახალხო აჯანყება და შემდეგ კი 1832 წლის შეთქმულება. რომელთა მარცხმა გარკვეული პერიოდის მანძილზე უიმედო განწყობილება დაამკვიდრა ქართველთა შორის. სწორედ ამგვარი დაქანების უკიდურეს წერტილზე მოავლინა ისტორიამ ილია ჭავჭავაძე მხსნელად და მეოხად ქართველი ერისა, ერში გაბნეული ძალების შემკრებად და მაღალი მიზნისაკენ წარმმართველად, უსახელმწიფო, უმეფო ქვეყანაში ეროვნული საქმეებისათვის თავგამოდებულ მზრუნველად. იგი, დიდი კულტურტრეგერი და სახელმწიფო გონების მპყრობელი, შეუმუსრავი სულისკვეთებით ანთებული-აღედგინა, ან დაებრუნებნა ის, რაც საქართველომ რუსეთის იმპერიის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის უგულებელყოფით დაჰკარგა – ერის მამად იქცა, ხოლო მოხევის სიტყვები მისი „მგზავრის წერილებიდან“ - ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო“, -ქართველი ერის უმთავრესი სამოქმედო პროგრამად ბოლო ორი საუკუნის მანძილზე.

დაუცხრომელი ძალისხმევით შეუდგა ილია ჭავჭავაძეს თანამემამულეთა შორის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შეგნების ამაღლებას, რუსეთის გუბერნიის ადმინისტრაციულ პირობებში სუვერენულ სახელმწიფოთა შესატყვისი ატმოსფეროს დამკვიდრებას. უმთავრეს საზრუნავად მან მართებულად მიიჩნია ქართული ენისათვის ჩამორთმეული უფლებების დაბრუნება და არც შემცდარა, რადგან ენა იყო და მუდამ იქნება ეროვნულობისა და სახელმწიფოებრიობის ცოცხალი სიმბოლო, ერის სულიერი ცხოვრებისა და პრაქტიკული საქმიანობის მასულდგმულებელი. ამ უტყუარი საშუალებით თვითრწმენის ამაღლება მოწინააღმდეგის თვალში ავტორიტეტის ამაღლებას ნიშნავდა, რაც შეუძლებელი იყო ახალი, მძლავრი ლიტერატურის შექმნის გარეშე, ლიტერატურისა, როგორც მხატვრულის, ასევე პუბლიცისტურის, როგორც ორიგინალურის, ასევე მთარგმნელობითის. ამის გარეშე ქართული ენა კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ვერც ერთ სფეროში ვერ შეაღწევდა. ეს გახლდათ იმჟამად ერთ-ერთი ძირეული საშუალება საკუთარი მყობადის შობისა, რადგან ლოტერატურა ენისა და თავად ერის, ვითარცა ცოცხალი ორგანიზმის, პულსაციისა და განვითარების უმთავრესი გამომხატველია; მკვდარ ენაზე, ერის სიკვდილის ამ უდავო საბუთზე არ იქმნება ახალი ლიტერატურა. საქართველოს გმირული ფურცლების გაცოცხლებით, ახალი ეროვნული და ზნეობრივ საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემათა დაყენებით. ქართულმა მხატვრულმა და პუბლიცისტურმა ლიტერატურამ დამუხტა მორალური ატმოსფერო და საზოგადოება ძირეულ საჭირბოროტო საკითხების გადასაჭრელად მოამზადა. სწორედ ლიტერატურის მაღალი პოზიციებიდან შესძლო ილია ჭავჭავაძემ თავის მიმდევართა თანადგომით დაელაშქრა თვითმპყრობელობის ერთი შეხედვით, მიუდგომელი სიმაგრეები, გამოეძალა იმპერიის მთავრობისათვის ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემის, ქართული თეატრისა და სკოლების, ეროვნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საზოგადოებებისა და დაწესებულებების დაარსების უფლება. ყოველივე ეს არ მომხდარა უცებ, ცენზურასა და შოვინისტ რუს მოხელეებთან შეხლა-შემოხლის გარეშე, მაგრამ მამულიშვილურმა შემართებამ შეუძლებელი შესაძლებლად აქცია და გეორგიევსკის ტრაქტატის დაახლოებით ასი წლის თავზე ილიას და მის თანამდგომთა მეოხებით საქართველომ თუ პოლიტიკურს არა, ნაწილობრივ კულტურულ ავტონომიას მაინც მიაღწია, მაგრამ ერის დიდი მოჭირნახულე ამაზე როდი გაჩერდა. იმავე პერიოდში მას პირველს დაებადა იდეა საქართველოს „ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომიისა“, რომელიც გულისხმობდა ადგილობრივი პირობებისათვის შესაფერის კონსტიტუციას, ანუ საკუთარი კანონებით მართვა-გამგეპობის, რომელსაც დაადგენდა ქათრთველი ხალხის მიერ არჩეული ადგილობრივი წარმომადგენლობითი კრება. ამ იდეამ მოღვაწეთა შორის ფართო გამოხმაურება ჰპოვა და ცხრაასიანი წლების დასაწყისში კიდევაც გადაიდგა პირველი ნაბიჯები, მის განსახორციელებლად მთავრობისადმი მიმართვების, პრესისა თუ პეტიციების მეოხებით. მაგრამ ამ ეროვნული იდეას საქართველოში სოციალ-დემოკრატები დაუპირისპირდნენ; ისინი რუსეთის იმპერიაში შემავალ ეროვნებათა პოლიტიკურ ავტონომიაში პროლეტარული ძალების დაქუცმაცებას ხედავდნენ. ამის და კიდევ

სხვა მიზეზების გამო, ზოგიერთმა მათგანმა (მთ. ფ. მახარაძემ) იმდენად მტრული პოზიცია დაიკავა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, ილია ჭავჭავაძის მიმართ, რომ გესლიან ცილისწამებასაც არ ერიდებოდა. თავიანთ სტატიებში ისინი სასტიკ მებატონეობას და გლეხებისადმი არაადამიანურ დამოკიდებულებას აბრალებდნენ უტიფრად ჰუმანიზმის ამ ჭეშმარიტ მნათობს საქართველოში, - შრომის სუფევის მგზნებარე მომღერალს, სიტყვითა და საქმით გლეხთა უფლებებისთვის თავგამოდებულ მებრძოლს, ხოლო ილიას, ხალხის სიყვარული, პოპულარობა და უდიდესი ავტორიტეტი რომ უმაგრებდა მხარს, არაერთგზის უმხელია ისინი ფაქტების გაყალბებაში, არაერთგზის აუჭრელებია ისინი პუბლიცისტური მათრახით. სწორედ ამ ავტორიტეტისა და მძლავრი პუბლიცისტური შემართებების გამო ხედავდნენ ისინი მასში მთავარ მოწინააღმდეგეს. მათ ვერ აპატიეს მწერალს, პირვალმა, რომ შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში სოციალური უთანასწორობისა და პროტესტის თემა, ის ამბავი, რომ იგი არ მივიდა მათგან და არ დადგა მათ პოზიციაზე. და არც მივიდოდა, რადგან ვერ დადგებოდა იგი ვერც ერთი, მით უმეტეს სხვა მიმართულებისადმი თითქმის შეუგუებადი პოლიტიკური პარტიის პოზიციაზე. ილიას საქმით მეტყველი სული ნებაყოფლობას და არა ვალდებულებითობას ეფუძნებოდა. და მიუხედავად ცხოვრების ბოლო პერიოდში მის მიერ შედგენილი პარტიის პროექტისა, რაიც მხოლოდ სახელის დარქმევას ნიშნავდა ყოველივე იმისათვის, რაც მას ეროვნული აღორძინებისათვის გაუკეთებია, **მისთვის, როგორც მწერლისათვის უცხო იყო პარტიულობის პრინციპი, პარტიულობა წმინდა პოლიტიკური მოვლენაა, იგი იზღუდება იმისათვის, მისაღები იდების წრედით და ძალაუფლებისათვის ბრძოლის გარდა ჰგულისხმობს ამ იდეების ცხოვრებაში გატარებას მიღწეული ძალაუფლების მეოხებით. იდეათა სამყაროს უსაზღვრობას ნაზიარები ილია ჭავჭავაძე ვერ შეიზღუდებოდა რომელიმე პოლიტიკური პარტიის იდეოლოგიით, რადგან იგი მსოფლიო მოქალაქე გახლდათ, თვით ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას მსოფლიო სამართლიანობასა და მსოფლიო მოქალაქეობის პოზიციდან ეწეოდა. ილია ჭავჭავაძე პოლიტიკური კონკურენციისა და საკუთარი სურვილის გარეშეც გახლდათ უსიტყვოდ აღიარებული ქართველი ერისა და მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ლიდერი და ავტონომიისა თუ სახელმწიფოებრიობის მოპოვების შემთხვევაში, მის გარდა არავის ხვდებოდა წილად ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს წინამძღოლობა; თუმცა პრაქტიკულად, ამგვარი უპირატესობის მოსაპოვებლად მას ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს და არც იმპერიის ტახტისათვის წარმოადგენდა იგი იმგვარ საშიშროებას, რომ მის წინააღმდეგ ტერორი გამოეყენებინათ.** ამ თვალსაზრისით მეფის ხელისფლებას უფრო სოციალ-დემოკრატებისა ეშინოდა, თუმცა არც მათი ლიდერების მიმართ იყენებდა აშკარა ტერორს. ილია ჭავჭავაძის სიკვდილით საქართველოში მხოლოდ ის უნდა ყოფილიყო დაინტერესებული, ვისაც იმჟამად მისი ავტორიტეტი უშლიდა ხელს პოლიტიკური ლიდერობის და პირველკაცობის მოპოვებაში. იმ ფაქტს კი ვერსად წაუვალთ, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ მწერალი ირონიონ ევდოშვილი დემონსტრაციულად, რომ გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, რადგან ილიას მკვლელობაში სოციალ-დემოკრატებს სდებდა ბრალს. იმჟამად, შემდგომშიც და დღესაც მრავალთა უწყოდენ და უწყიან, რომ ილიას მკვლელობის უმთავრესი ორგანიზატორი გახლდათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი საქართველოში, გასაბჭოების შემდეგ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე არ შეუნელებია გესლიანი გამოხდომები დიდი მწერლის წინააღმდეგ. ამ წერილის ავტორს ცხადად ახსოვს ერთადერთი, რეპრესიების გადარჩენელი ქართველი უკოლონისტი კომუნისტის, აწ. გარდაცვლილი დავით ლომაძის მონაყოლი დიდიქართველი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში, თურმე ერთ დროს დავით ლომაძე საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილედ მუშაობდა. მასთან იმჟამად მისულა ვინმე გიგლა ბერბიჭაშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელად გააცნო თავი და ამ ,,ხალხის მტერის“ მოშორებისათვის პენსიის მომატება მოითხოვა. ლომაძე დაუკითხავს იგი და ბერბიჭაშვილმა ამ მკვლელობის ინსპირატორად მთავრობის თავმჯდომარე, ფილიპე მახარაძე დაასახელა. იმხანად ილია ჭავჭავაძის რეაბილიტაცია დაწყებული იყო და დავით ლომაძემ დაუყოვნებლივ აცნობა ეს ამბავი საქართველოს კპ. ცენტრალური კომიტეტის იმჟამინდელ მდივანს ლ. ბერიას, ამ უკანასკნელმა კი – სტალინს. სტალინს უბრძანებია საქმის გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა, მაგრამ საქმის აღძვრა მაინც იგვიანებდა. როგორც ჩანს, საბოლოო მხილებისა მაინც ყველას ეშინოდა, ვინაიდან ზოგიერთი სხვაც არ იყო უცოდველი ამ უდიდეს ბოროტმოქმედებაში. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ,

განკითხვის დღის მოახლოვების შიშით აღძრეს საქმე ილიას მკვლელის წინააღმდეგ, რომელმაც ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე პირდაპირ დაასახელა სასამართლოზე მოწმედ გამოძახებული ფილიპე მახარაძე, როგორც ორგანიზატორი ამ მკვლელობისა, სასამართლო პროცესის დამთავრებისთანავე ფ. მახარაძე მოულოდნელად გარდაიცვალა. ოფიციალობამ საქართველოში მუდამ უწყოდა ვინაობა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორისა. როდესაც კონსტანტინე გამსახურდიას მეუღლე მირანდა ფალავანდიშვილი გარდაიცვალა. საქართველოს ცკ-ს იმჟამინდელმა პირველმა მდივანმა ვ. მჟავანაძემ შესთავაზა მწერალს მისი დასაფლავება. მთაწმინიდის პანთეონზე. რათა მომავალში მათი საფლავები არ დაცალკევებულიყო. კ. გამსახურდიამ უარი მოახსენა: მე არ მსურს დასაფლავება იქ, სადაც ილია ჭავჭავაძის მკვლელი ფილიპე მახარაძე მარხიაო, რაზედაც მჟავანაძემ ვერაფერი უპასუხა. ბოლო ხანებამდე ოფოციოზის გარკვეულ წრეებში ფიქრობდნენ: ილია ჭავჭავაძის მკვლელების ინიციატორთა მხილება საქართველოს მთელი კომპარტიისათვის მსჯავრის გამოტანას ხომ არ ნიშნავსო!? პირიქით: მსჯავრდებას ამგვარ შემთხვევაში დუმილი და განუკითხაობა უფრო იმსახურებს. მხილება და აღიარება კი შენანების ტოლფასია. ხოლო მემკვიდრეობითობა, რისთვისაც ამჟამად საუბრობენ, როდი უნდა გულისხმობდეს წინაპართაგან, კონკრეტულ შემთხვევაში წინამორბედი ხელმძღვანელობისაგან უარყოფითი იმპულსების გადმოღებას ან მათივე მცდარი მოქმედების მიჩუმათებას. და არც მარტოოდენ სტალინი ყოფილა მიზეზი ყოველივე ნეგატიურისა ჩვენში. სულაც ყველას რომ არ მიეზღოს ბოლომდე თავისი და ზოგი რამ კიდეც ეპატიოს, მავანთა და მავანთადმი ისტორიის შურისგება მინიმუმამდეც რომ იქნას დაყვანილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელები არამც და არამც არ უნდა ასცდნენ საფუძვლიან, მოუკერძოებელ მხილებას და საყოველთაო ეროვნულ რისხვას. ამ თვალსაზრისით ბოლო ხანებში გარკვეულ ცვლილებებს ვამჩნევთ. მაგალითად, ვახტანგ გურგენიძე, საქართველოს სახელმწიფო არქივის დირექტორი, ამას წინათ რომ აუკრძალეს უკვე დანიშნული ლექციის საჯაროდ წაკითხვა და მოხსნეს კიდევაც სამსახურიდან იმ არარეალიზებული მოხსენებისათვის, საარქივო მასალებზე დაყრდნობით რომ ააშკარავებს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორებს, ფილიპე მახარაძეს და ვინმე „იმერელ ბიჭს“, კვლავ აღადგინეს ძველ თანამდებობაზე და შეიყვანეს საქართველოს ცკ-სთან ახლად დაარსებულ სამთავრობო კომისიაში, რომელიც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეს იძიებს. ხსენებულ კომისიას მხოლოდ ერთს ვუსურვებდით: გაბედულად აეღოს თავზე მისია, ოდესმე მაინც, რომ განახორციელებს ქართველი ერი: ბოლომდე ამხილოს და საკადრისი პასუხი მიუზღას ქართველი ხალხის დაუძინებელ მტრებს, დიდი ილიას მკვლელებს; ნუ გადასწევთ ვადას, ნუ დაუტოვებთ სასაყვედუროს და მომავალში ზემოხსენებული დამსახურების მოპოვების შესაძლებლობას სხვებს.

ყველაფერს შესაბამისი სახელი უნდა დაერქვას და წმინდა ილია მართალმა თავისი ურყევი რწმენით, მსოფლმხედველობითა და საქმით უთუოდ დაიმსახურა ეს წოდება, რადგან ჭეშმარიტ ქრისტიან მოღვაწედ წარმოგვიჩნდა. მისი ცხოვრებისეული კრედო შემდეგმა სიტყვებმა გამოხატეს: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“ შესაძლოა აქ შემოგვედაონ: „განა არ გააჩნიათო ენა და მამული სხვა ეროვნებებს? სად არისო აქ ქრისტიანობა?“ დიახაც გააჩნიათ, მაგრამ ილია ჭავაჭავაძისათვის მაინც ეს სამი საუნჯეა ქრისტიანობისათვის განუყოფელი. საქართველოს იგი ოდითგანვე ჯვარცმული ღვთისათვის ჯვარცმულად მიიჩნევდა. ხოლო, მოყვასთა ქართველობის ქრისტეს სჯულთან აიგივებდა. საქართველო იმდენად იყო მისთვის დიდი, რამდენადაც შესძლო მუსულმანურ გარემოცვაში რუსების მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევამდე ქრისტიანობისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება, რითაც ევროპული კულტურის დამკვიდრებისათვის მოამზადა კავკასიაში საფუძველი. გოლგოთაზე დაღვრილი სისხლივით წმინდაა მისთვის საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე დაღვრილი გმირთა და მოწამეთა სისხლი, რადგან მარტოოდენ გმირის თავგანწირვას და სიკვდილს ძალუძს, ილიას გაგებით, მამულის სიკვდილის დათრგუნვა და მისი მკვდრეთით აღდგენა. ამგვარი სიკვდილი ერის ზნეობრივ გადარჩენას განაპირობებს, რაც თავის მხრივ მისი ფიზიკური სიცოცხლისა და უკვდავების საწინდარია. პოეტი ერს განიხილავს, როგორც ერთიან ადამიანს, ინდივიდუალობას და მისი უფლებებისათვის ბრძოლას ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლასთან აიგივებს.

ქრისტეს იმპულსითაა განმსჭვალული ილია ჭავჭავაძისათვის ქართული სალიტერატურო ენაც. სამონასტრო ცხოვრებაში აისახა და სულიერი სიმტკიცით აღჭურვილი ადამიანები თარგმნიდნენ ოდითგანვე ოთხთავს, მოციქულთა საქმეს,

ეპისტოლებსა და ფსალმუნებს და საღმრთო პოეზიის და სიყვარულის მადლით ანთებულნი ქართული ენის სფეროში იმგვარ სრულქმნილებას აღწევდნენ, ორიგინალურ ლიტერატურასაც რომ იშვიათად ღირსებია. ამავე დონეზე ქმნიდნენ ისინი შესანიშნავ აგიოგრაფიულ, ისტორიულ და თეორიულ თხზულებებსაც. მათ მიერ მაქსიმუმის მაქსიმალურმა განცდამ, მაქსიმალურად დახვეწა ფორმა, გამოსახვის საშუალებანი და რუსთაველის ბრწყინვალე ლიტერატურული ეპოქა მოამზადა. ვერა და ვერ უპატიებია ილია ჭავჭავაძეს უშუალო წინამორბედთათვის, ეს მაღალი და მდიდარი ენა ბრძანებით, რომ დასთმეს აღსაკვეთათ და ეს იმიტომ, რომ **ენა მისთვს ეროვნების, კულტურისა და სახელმწიფოებრიობის უმთავრესი ბალავარი გახლდათ ნიადაგ ცვლადი და განვითარებადი. მთელი ერის გამუდმებული კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი და ამადაც ადამიანურ ქმნილებათა შორის უმშვენიერესი და უმნიშვნელოვანესი, რომელშიაც ირეკლებოდა ნებისმიერი ზეციური, თუ მიწიერი, ზნეობრივი, თუ ესთეტიკური განცდა, სიმწყობრე აზრებისა თუ კეთილშობილება გრძნობებისა, ვაჟკაცობასთან და სიმართლესთან ნაზიარები თავისუფლების მოყვარეობა, ღვთისა, მოყვასისა, თუ მამულსადმი სიყვარული.** დიახ., ენაში ერთდებიან მისთვის ზეციური და მიწიური ხმები. მისი მსოფლგაგება გასაოცარ მთლიანობაში წარმოგვიდგენს ღმერთს, ენასა და მამულს, პოეტისა და მწერლის მისიასაც მისთვის ამ განუყოფლობით ისაზღვრება. პოეტი, როგორც ზეციური არსება, ანუ უკვდავი სული, ერის წინამძღოლობაში ღვთის ნების აღსრულებას ხედავს და ამ მამულიშვილურ საქმეში ენა და ბასრი კალამი ხდება მისთვის სიმართლის უმთავრესი იარაღი, როგორც ქრისტე ფარისევლებსა და სადუკეველებს, იმგვარი სიმძაფრით ამხელს და განაქიქებს მწერალი ნებისმიერ უსამართლობას და უმსგავსობას: ველიკორუსული შოვინიზმის გამოვლინებებს, თუ ზადსა და სიავეს ქართველთა შორის და გვარწმუნებს, სიყვარულიაო და არა სიძულვილი ამგვარი მოქმედების მიზეზი. ილია მართალი სული ვერ ეგუება სხვაობას გულისნადებსა, სიტყვასა და საქმეს შორუს.სიტყვა მისი უმაგალითო პირდაპირობისა და გამბედაობის გამომხატველია. მისთვის ლიტერატურა არ არსებობს ნააზრევის უშიშრად გაცხადების გარეშე და თუ დევნილნი სიმართლისათვის ნეტარად შეურაცხია მაცხოვარს, ვინ უნდა იმსახურებდეს ნეტარისა და მართალის სახელს, თუ არა ილია ჭავჭავაძე. სიმართლისათვის ამგვარი შემართება სხვა არაფერია, თუ არა მწერლის ძლიერი ბედთან მებრძოლი მუდამ ქმედითი და აქტიური „მე“-ს თვითგამოვლინება. **ილიას შეუძლია აიტანოს ყველაფერი: სასტიკი ტანჯვა, იმედთა დანთქმა, სიყვარულის ფიცის გატეხვა, თვით ჯალათი ბედიც, თავისი არარაობის, ანუ „მე“-ს უქონლობის გარდა.** ოდესღაც ბიბლიურ მოსეს „მე“-დ გამოუცხადა თავი უფალმა და „მე ვარ“-ის სახელით გაისტუმრა თანამოძმეთა გადასარჩენად. მრავალგზის გაისმა „მე ვარ“, ჩვენი კაცობის ეს საყრდენი სიტყვა ქრისტეს მოძღვრებაში შემთხვევით როდი აიგივებს ჰეგელი, ეს უაღრესად ქრისტიანი ფილოსოფოსი ობიექტური სამყაროს შემეცნების საშუელებას, აზროვნების სუბიექტურ პროცესს ადამიანის „მე“-სთან. აზროვნება, როგორც ჭეშმარიტების გათავისების პროცესი და ადამიანის თავისუფლების საწინდარი, მისივე „მე“-ს გამოხატული ხდება. „მე“-ს გაგებასა თუ თვითგამოხატვაში უდავოდ თავისი ეპოქის სიმაღლეზე, ევროპული განვითარების დონეზე დგას ილია ჭავჭავაძე. მისთვის მაღალი ადამიანური ღირსების აზრის, გრძნობისა და ნებელობის ჰარმონიაში, მათ სინთეზში მიიღწევა, და თუ ჭკუა მისი წარმოდგენით უღონოს აძლიერებს და აღმართს ახვნევინებს წუთისოფელს, გული მშრალ ბელტებს ცრემლითა რწყავს და ცდილობს აზრთა მდინარება მადლის გზით წარმართოს. „მე“-ს უმაღლესი გამოხატულება კი ილიასათვის საქმით მეტყველი სულია ამ ნაფიქრ-ნაგრძნობის ნებელობაში, აქტიურ ქმედებაში მომყვანი და სასუფევლის მიწაზე ჩამომტანი. მაგრამ **სარწმუნოების ძალით განმტკიცებული და მაცხოვრის კვალობაზე დამდგარი დიდი მწერალი ნიადაგ მზადაა საკუთარი ნება ღვთის ნებას დაუმორჩილოს, სურვილი და განზრახვა ღვთისა, საკუთარ სურვილად აქციოს, განსაცდელს არ განერიდოს, თუკი უფალი გამოცდის მიზნით მძიმე ხვედრსა და დემონურ საცდურს მოუვლენს. ოდითგანვე ესაა ხალხების დიდ წინამძღვართა, პატრიარქთა, წინასწარმეტყველთა და მოციქულთა სულისკვეთება. დაბალი ეგოისტური მე უმაღლეს „მე“-ს ანაცვალონ. პავლე მოციქულის თქმისა არ იყოს „მე“-ს ნაცვლად ქრისტე დაამკვიდრონ ჩვენში. ილია ჭავჭავაძისათვის როგორც პირადი ცხოვრების ასევე გარე სამყაროს ყოველი სფერო ქრისტეს იმპულსითაა განმსჭვალული.** ქრისტეს მცნება მიაჩნია მას უმთავრეს საზრდოდ შვილების აღზრდის საქმეში, რამეთუ იგი შთაგონებს ადამიანებს კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას. მან კარგად უწყის, ეს სიტყვები, სოციალ-დემოკრატებმა ღმერთს, რომ მოაცილეს და ათეისტურად გარდაქმნილი აიტაცეს ფარზე. ქრისტეს მცნებიდან აღმოცენდნენ. იცის: ტვირთმძიმეთა შემწყნარებელი მაცხოვარი

სწორედ დამაშვრალთა ხსნისათვის ეცვა ჯვარს და ამადაც, მოძღვრება მისი მარტოოდენ მათი მყოობადობისათვის ღაღადებს. ილიას სწადია ადამიანები სისხლისღვრას აარიდოს და მიაჩნია, რომ დაძლევა ნებისმიერი უსამართლობისა ნებისმიერი მტრობისა მხოლოდ სიკეთით, სულგრძელობითა და სიყვარულით შეიძლება. ჩვენდამი შურით აღძრულთა სიბრალულ;ისათვის, ბოროტებაზე სიკეთით გადახდისათვის, ცოდვილთათვის მადლის მიგებისათვის მოგვიწოდებს იგი, მაცხოვრის სიტყვებით გვმოძღვრავს, ვიყოთ სრული, ვითარცა მამა ჩვენი, რომელ არს ცათა შინა, რაც შეუძლებელია ჭეშმარიტებისადმი გამუდმებული სწრაფვისა და კათარზისის გარეშე. ილიას გალექსილი ლოცვები ნათლად მეტყველებენ ამგვარი გაწმენდის ძალაზე და იმ უზენაეს გაგებაზე,. მისთვის რითაც იგი ლოცვის საიდუმლოს წვდება. მისთვის ლოცვა არსისეული სიღრმიდან გამოდინარეობს და არა პიროვნული საწყისიდან. ლოცვა, ისე ვით სიყვარული, მიზანია მისთვის და არა საშუალება უფრო მეტიც: ლოცვა მისთვის სიყვარულია. არც მატერიალურ მონაგარს, არც დიდებას შესთხოვს ილია უფალს (‚ლოცვა“) არც აქაური წამებით იქაური წამების შემცირებას („დემეტრე თავდადებული“) მისი თხოვნა ნებისმიერ თხოვნაზე საკრალულია, რამეთუ იგი ეძებს არა დიდებას კაცთასა, არამედ ღვთისასა. იგი წინასწარმეტყველურად სჭვრეტს თავის მოწამებრივ აღსასრულს და ევედრება ღმერთს, შეუნდოს მის მკვლელებს, რამეთუ არა უწყიან რას იქმან...

ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს ოდესღაც უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული ტილო ამშვენებდა, რომელშიც ასახული იყო ტამპლირების უკანასკნელი გროსმაისტერეის, ჟალ დე მოლეს რაინდად კურთხევის სცენა. როგორც ჩანს, ილია იცნობდა ტაძრელთა რაინდული ორდენის ისტორიას, მათი ცხოვრების პრინციპებს. ალბათ აღელვებდა კიდეც ჟაკ დე მოლეს უცნაური ბედი. საფრანგეთის მეფემ, ხარბმა და გაიძვერა ფილიპე ლამაზმა, სამეფო საბჭოს თავმჯდომარის, გიიომ ნოგარეს და პაპის, კლიმენტ მეხუთის თანადგომით ბოლო მოუღო ტამპლიერთა ორდენს საფრანგეთში და კოცონზე დააწვევინა მისი გრომაისტერი ჟაკ დე მოლე. სიკვდილის წინ მან საჯაროდ დასწყევლა ამ ულმობელი განაჩენის ინიციატორები და უფალს შესთხოვა თავის წინაშე სამსჯავროზე მოეხმო მათი სულები. წყევლა სასწაულებრივად აღსრულდა და უმოკლეს დროში სამივე ბოროტმოქმედი გარდაიცვალა.

ილია ჭავჭავაძეს კი მარტოოდენ ლოცვა ემეტება მტრისათვის. მისი ნატვრაა ბოლომდე შეყვარება მოყვასისა. რათა ჯვარცმული მაცხოვარივით შეძლოს თქმა:

„რომ მტერთათვისაც, რომელთ
თუნდა გულს ლახვარი მკრან
გთხოვდე: შეუნდე – არ იციან
ღმერთო რას იქმან“.

ყოველივე ეს შეეხება მის პირად და არა მამულის მტრებს. დიახ, განუყოფელ მთლიანობაში მოიცვა დიდი მწერალი ღვთისა და მოყვასის სიყვარულმა და მართებულადაც, რამეთუ ღმერთი თავისი განკაცებით მოყვასად იქცა, სოლო აღდგომითა და კაცური საწყისის უკვდავყოფით მან ღმერთად აქცია მოყვასი.

წმინდაო ილია მართალო, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის!



ექვთიმე თაყაიშვილი(1863-1953)

ილია ჭავჭავაძე

მოგონება

(ამონარიდები)

ილია ჭავჭავაძე პირველად ვნახე ჩემი სტუდენტობის დროს, ვგონებ, როდესაც III კურსზე ვიყავი გადასული. კარგად კი არ მახსოვს, ასე 1885 წელს უნდა ყოფილიყო. ილია „ქართული სათავადაზნაურო ბანკის“ საქმეზე ჩამოვიდა პეტერბურგში და ბინად ჩამოხტა ვასო მაჩაბელთან... ილია და ის ვასო მაშინ დიდი მეგობრები იყვნენ, ილია შვილებს უნათლავდა... ვასო ქართველ სტუდენტებს ეხმარებოდა ხოლმე ხელმოკლეთათვის ფულის შესაკრებად საღამოების მოწყობაში. ერთი ასეთი საღაოს შემოსავალი, **სამი ათასი მანეთი** სტუდენტებს ვასილის თანხმობით გადაედოთ, როგორც ხელუხლებელი თანხა და ხუმრობით „დარდუბლის კიდობანი“ დაერქმიათ მისთვის.

ის ფული თვით ვასილ მაჩაბელს ჰქონდა მიბარებული. იმ წელიწადს ვასილმა გადაწყვიტა საქართველოში დაბრუნება, თავისი სახლის ლიკვიდაციას აპირებდა (მგონი, ნევის პროსპექტზე ცხოვრობდა) და წინადადება მოგვცა სტუდენტებს, იმ თანხასაც თან წავიღებ და შესანახად გადავცემო ქართელთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოაგდოებას, რომლის თავმჯდომარეც ილია ჭავჭავაძე არისო. სტუდენტებმა არ მიიღეს ეს წინადადება და მოითხოვეს, ფული პეტერბურგში დაეტოვებინა. მაშინ მაჩაბელმა

წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი

ექვთიმე თაყაიშვილი

კანონიზირებულია წმინდანად
2002 წლის 17 ოქტომბერს
საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის
კრების მიერ სვეტიცხოველში

ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946), პროფესორი (1918), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, 1921-45 წლებში საფრანგეთში გატანილი საქართველოს საგანძურის დამცველი, რის გამოც კონსტანტინე გამსახურდიამ „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ უწოდა.

ექვთიმე თაყაიშვილი აქტიურად მონაწილეობდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში. ყველა საორგანიზაციო საკითხი, უნივერსიტეტის წესდების შედგენიდან დაწყებული უმნიშვნელო წვრილმანებამდე, ექვთიმეს გარეშე არ წყდებოდა. იგი უნივერსიტეტის პირველი პროფესორი იყო. 1918 წ. 21 მაისს უნივერსიტეტის საბჭომ დოქტორის ხარისხი მიანიჭა.

1921 წ. საბჭოთა ხელისუფლების მოსვლის უმალ მენშევიკური მთავრობა ემიგრაციაში - საფრანგეთში წავიდა. მთავრობამ გადაწყვიტა, არავისთვის დაენებებინა საქართველოს სამუზეუმო ნივთები, ძვირფასეულობა, ქართველი ხალხის ეს დიდი შემოქმედების ნაყოფი.

განძეულობის მეთვალყურედ ექვთიმე თაყაიშვილი დაინიშნა. განძეულობა გატანილი იქნა საფრანგეთში. 1921 წლიდან 1945 წლამდე ექვთიმე თაყაიშვილი საფრანგეთში იმყოფებოდა და ღირსებით ასრულებდა განძის მეთვალყურის

მოვალეობას. მისი უდიდესი ნებისყოფისა და თავდაუზოგავი მცდელობის შედეგი იყო საქართველო საგანძურის დაცვა მეტად რთულ პირობებში. გაუძლო ინგლისისა და აშშ მუზეუმების შემოტევებს (მათ უნდოდათ განძის გარკვეული ნაწილი ეყიდათ. ინგლისის მუზეუმი სანაცვლოდ პირობას დებდა, დანარჩენი განძი უფასოდ შეენახა), გაუძლო მეორე მსოფლიო ომის საშინელ წლებს, როცა შეიძლებოდა გერმანელებს განძი ოკუპირებული საფრანგეთიდან წაეღოთ. ვერ გატეხა შიმშილმა, დამცირებამ, მეტად მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ და 1945 წ. მთელი განძი უკლებლივ ჩამოიტანა საქართველოში.

1945 წელს სამშობლოში დაბრუნებული მხცოვანი მეცნიერი წერდა: „ორიოდე წლის სიცოცხლე დამრჩენია და, საბედნიეროდ, ისევ სამშობლოში მიწევს... მოვახმარ ჩემზე დარჩენილი ვალის ბოლომდე მოხდას: ვეცდები, აღარც ერთი

ჩემი ხელთ ნამყოფი თუ ჩემ მიერ დათვალიერებული ძეგლი აღარ დარჩეს გამოუცემელი, მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი უკვე იმსხვერპლა დრომ“.

დრო მიდიოდა... წლები თავისას აკეთებდა... ღრმად მოხუცებული ექვთიმე სულიერ განსაცდელშიც იყო. ხელისუფლებას ყოველი ემიგრანტის მიმართ, როგორც ჩანს, გარკვეული ეჭვები ჰქონდა. მოხუცი ერთგვარ იზოლაციაში მოექცა, მაგრამ მაინც გულგაუტეხლად აგრძელებდა თავის საქმიანობას — იხდიდა ვალს ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

ექვთიმე თაყაიშვილი 1953 წლის თებერვალში გარდაიცვალა, განისვენებს მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

2003 წლის მაისში თბილისში წმიდა ექვთიმეს სახლ-მუზეუმი და სამლოცველო გაიხსნა. ექვთიმე ღვთისკაცის ხსენების დღედ დაწესდა 3 აინვარი.

უთხრა — წარმომადგენელი გამოგზავნეთ და ილია ჭავჭავაძის თანდასწრებით გადავწყვიტოთ ეგ საქმეო. სტუტენტობამ აგვირჩია და გაგვაგზავნა სამი კაცი: მიხაკო ღვდლიევი (მღვდლიაშვილი) (შემდეგ ჩვენი სენატორი რომ იყო), ალექსანდრე ლორთქიფანიძე (მერაბის ძე, იასონის და (მწრალ) ნიკოს უფროსი ძმა, იურისტი, მერე ქუთაისში ბანკირად იყო) და მე.

მივედით ვასო მაჩაბელთან და ილიაც გამოვიდა და გაგვეცნო. ილიას პირველად მაშინ შევხვდი და მისი დანახვისთნავე გამახსენდა, ძალაუნებურად, ჩემი ნათესავის კოწია თაყაიშვილის ნათქვამი ილიას გარეგნობის შესახებ. ეს თაყაიშვილი მეფის „კონვოი“-ში მსახურობდა უწინ, ალექსანდრე მეორის დროს; ახლო კავშირი ჰქონდა ქართველ სტუდენტობასთან, დიდი ლიბერალი და თან პატრიოტი კაცი იყო; კარგად იცნობდა ახალ ქართულ ლიტერატურას და თაყვანს სცემდა ილიას, როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს; ძალიან კარგად გვიკითხავდა ხოლმე მის „კაცია ადამიანს“, „გლახის ნაამბობსა“ და სხვა ნაწარმოებებს. ილია დიდხანს არ ენახა პირადად, მხოლოდ ერთხელ მოეკრა თვალი ქუთაისის ბულვარში, სხვებთან ერთად, და დასდევნებოდა, რომ კარგად დაეთალიერებინა. მერე გვითხრა: „მრგვალი ტანითა და სისრულით მის მიერ აღწერილ თათქარიძეს ჩამოგავს, მაგრამ თვალები კი შესანიშნავი აქვსო“...

შეგვექმნა მსჯლეობა „დარდუბალის კიდობნის“ გამო. ილია დიდხანს გვესაუბრა წერა-კითხვის საზოგადოების მიზნებისა და მათი განხორციელების გზების შესახებ და ბოლოს გვირჩია, თანხა იმ საზოგადოებისთვის გადაგვეცა — თუ შეწირულობად არა, შესანახავად მაინც. „აქ ეგ ფული უსათუოდ შემოგეხარჯებათ, ან არა და ქართველები ჩვეულებისამებრ, აიშლებით, დაიშლებით და დაგეკარგებათო!“

აზრთა ხანგრძლივი გაცვლა-გამოცვლის შემდეგ შევთანხმდით, რომ ფული შესანახავად გადაეცემოდა წერა-კითხვის საზოგადოებას. ვასილ მაჩაბელმა პირადად წამოიღო თანხა, თბილისში რომ წამოვიდა, და დანიშნულებისამებრ ჩააბარა კიდეც...

ექვთიმე თაყაიშვილი

* * *

ილია ჭავჭავაძე დიდი მოყვარული იყო საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიისა. საუკეთესო შეხედულეგბა ჰქონდა ჩვენს არქეოლოგსა და ისტორიკოსზე, დიმიტრი ბაქრაძეზე; ძალიან პატივსა სცემდა და აფასებდა მას. პირველ ხანებში მე დიმიტრი ბაქრაძესთან დავიწყე მუშაობა და დავიწყე იმით, რომ მან გაცნობისთანავე გადმომცა ახალდაარსებული საეკლესიო მუზეუმის წესდება, თავის მიერ რუსულად შედგენილი და სათნადო მთავრობის მიერ დამტკიცებული, ქართულ ენაზე სათარგმნად. მეც ვთარგმნე, დავბეჭდე და შევადგინე საეკლესიო მუზეუმის კომიტეტი (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). ილიამ აქტიური თაოსნობა გამოიჩინა მცხეთაში, ბაგინეთზე მცირე საცდელი თხრის ჩატარებაში, რაც დ. ბაქრაძეს დაავალა (ამის შესახებაც იხ. ქვემოთ.). ილია სულ ამბობდა, "ერთი კაცი უნდა გავიჩინოთ ისეთი, რომ ჩვენს ისტორიაზე და არქეოლოგიაზე მუშაობდეს და სხვა არაფერი საქმე არ ჰქონდეს, ჩვენი სირცხვილია, ამისთანა რომ არავინ გვყავსო.

ჩემი მუშაობის დაწყებისას ერთი მასწავლებლისაგან შევიძინე ორი ხელნაწერი. ერთ მათგანზე, ტყავის სვინაქსარზე, ბოლო-ბასილისა და მისი შვილების მინაწერები იყო. მერე წარვუდგინე ის ხელნაწერები წერა-კითხვის საზოგადოებას, რომლის თავმჯდომარეც მაშინ ილია ჭავჭავაძე იყო, ავუხსენი, თუ რატომ მიმაჩნდა სასურველად იმ ხელნაწერთა ყიდვა საზოგადოებისათვის. როგორც კი გავათავე ახსნა-განმარტება, ილიამ მაშინვე გაუსვა კალამი, „მიეცესო", და ამინაზღაურეს გაწეული ხარჯი.

მერე გოგებაშვილმა შენიშნა:

„კაცო, ჩვენ აღარ გვკითხე, იქნებ არა ვყიდულობდითო?"

ილიამ უთხრა:

„მაგას რაღა კითხვა უნდოდა, კაცი გვეუნება, ათაბაგის რამდენიმე ხელმოწერაა შიგაო. ერთისაც რომ ყოფილიყო, ისიც კმაროდაო!"

* * *

ილიას ერთი საუკეთესო თვისება ის იყო, რომ მას თავისი მოვალეობის ძალიან დიდი შეგნება ჰქონდა. ამიტომ იგი დიდი სიფრთხილით, დაკვირვებითა და საზრიანობით ეკიდებოდა თავის ყოველგვარ ნაწერსა თუ ნასაქმს. არ არის არც ერთი მისი თხზულება, რომელიც რამდენჯერმე არ გადაეკეთებინოს და არ შეესწორებინოს. იგი ასე ექცეოდა არა მარტო თვალსაჩინო ნაწარმოებს, არამედ სულ უბრალო ბარათებსაც კი. მახსოვს გიორგი ჟურულის ნაამბობი (ახალგაზდა იყო, ილიამ დაიახლოვა და ძალიან მფარველობდა, თან წაიყვანა პეტერბურგში, სახელმწიფო საბჭოს წევრად რომ აირჩიეს, მერე ბანკის დირექტორად უნდოდა, მაგრამ ვერ გაიყვანა; მერე ბათუმში იყო, ქალაქის გამგეობაში მუშაობდა, ხოლო რევოლუციის დროს თბილისში გადმოიყვანეს): „ერთხელ ილიასთან ვიყავი, იაკობ გოგებაშვილის წერილის მოუვიდა და მაშინვე უნდა გაეცა პასუხი, რაღაცას ეკითხებოდაო. დაჯდა ილია, დაწერა ერთი პატარა წერილი და დახია, დაწერა მეორე და ისიც დახია. მე ვუთხარი, რა ამბავია მაგ ერთი ბეწო წერილისათვის ამდენი წვალება-მეთქი? მიპასუხა, „კაცო, პატარაა თუ დიდია, მაინც დოკუმენტია და ზერელედ არ შეიძლებაო..." დამახასიათებელია და აშკარაა, რომ ილია გრძნობდა თავის ავტორიტეტს და იცოდა, თუ რა დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოჰკიდებოდა ყოველ საქმეს, თავის სახელს.

* * *

...ილია იმითაც სჯობდა თავის ირგვლივ მყოფთ, რომ ფხიზლად ადევნებდა თვალს მეცნიერულ ლიტერატურას, მუდამ საქმის კურსში იყო, კითხულობდა, უკვირდებოდა და მარჯვედ იყენებდა თავის პუბლიცისტიკაში. ილიას დასახასიათებლად აქ მოკლედ უნდა გავიხსენოთ მისი დამოკიდებულება იმ ხანგრძლივი და მწვავე კონფლიქტისადმი, რომელიც თედო ჟორდანიასა და ჩემს შორის ატყდა, როგოც კი გამოვედი სამეცნიერო ასპარეზზე, ე.ი. ჩემი „სამი ისტორიული ხრონიკა" რომ დავბეჭდე. თ. ჟორდანიამ „ივერიაში" განაცხადა, რომ „მოქცევაი ქართლისაი" მან გადმოწერა პირველად, რომ ათხოვა გადმონაწერი ილია ჭავჭავაძეს, როდესაც იგი „ქვათა ღაღადსა"წერდა,

და რომ მერე ის რვეული მე წავიღე. ამ წერილმა სასტიკი შეურაცხყოფა მომაყენა, ჯერ სამედიატორო სამართალში გამოვიწვიეთ თ. ჟორდანია და რომ არ გამომყვა, მერე — დუელში, მაგრამ მან ამასაც თავი აარიდა.

ილიამ რომ ეს ამბავი გაიგო, ძალინ შეწუხდა, „ასეთი რამ არ უნდა დაბეჭდილიყო ჩვენ გაზეთშიო". გაზეთის რედაქციის გამგის გ. ყიფშიძის პირით დამიბარა, მნახეო. მეც მივედი მასთან, ბინაზე. 4 საათი იყო, დააგვიანდა ბანკიდან დაბრუნება. ბოლოს ისა და ივანე პოლტრაცკი მოვიდნენ ერთად და დასხდნენ სადილად. მე უკვე ნასადილევი ვიყავი და ისე, ტყუილად მივუჯექი სუფრას. სადილი რომ გაათავეს, ილიამ შემიხმო კაბინეტში და ძალიან გულისხმიერად მომიბოდიშა, დიდად ვწუხვარ, რომ ჩემ გაზეთში ასეთი წერილი გამოქვეყნდა, მაგრამ ხომ იცი, დრო არა მაქვს, მე თვითონ ვერ ვკითხულობ გაზეთს, თორემ როგორ გავუშვებდი, ეს სულ რედაქციის ბრალიაო! ახლა ძალიან გთხოვთ, როგორმე მშვიდობით გაათავეთ საქმე, სულ ორიოდე კაცი მუშაობთ ჩვენს ისტორიაზე და ახლა თქვენი დუელი როგორ შეიძლებაო? (სხვათა შორის, თავი დროზე თითონ ილიასაც ჰქონდა სადუელო საქმე ნ. ნიკოლაძესთან). მე ვუთხარი, მუშაობა ახლა დავიწყე და უკვე ასეთი ლაფი გადამასხეს თავს, როგორ შემიძლია ეს შეურაცხყოფა გადავიტანო, მშვიდობით კი საქმე არ ეწყობა-მეთქი?! ილიამ ამაზე მითხრა, სამედიატორო სასამართლოში გამოიწვიეთო. მე ვუთხარი, არც მაგ სასამართლოში გამოდის და არც დულეში-მეთქი. ეგ ყოვლად შეუძლებელიაო! — მიპასუხა ილიამ — როგორ არ გამოგყვებათ, ეგ ხომ იმის ნიშანი იქნება, რომ ცილისმწამებელიაო?! მე ვუთხარი, კარგი, სასამართლოს დავჯერდები-მეთქი. შევთანხმდით. ილიასავე რჩევით დავასახელე მედიატორები და კიდევაც გაირჩა ჩვენი დავა. თ. ჟორდანიას ილიას მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. ჩემს ერთ-ერთ მედიატორს ივ. პოლიტარცკის გავუზიარე ჩემი ეჭვი: „ივერიის" რედაქციის წევრები ყველანი ჩემი წინააღმდეგი არიან და ხომ არაა მოსალოდნელი, ილიაც მათ მხარეზე დადგეს-მეთქი? ივანემ მითხრა, „ეგ არასგზით არ მოხდებაო; ილიას აქვს ცოტაოდენი ნაკლი, ერთხელ კიდევაც წავეჩხუბე და მთელ წელიწადს ხმას არა ვცემდი, მაგრამ ის კი ყოვლად შეუძლებელი და წარმოუდგენელია, რომ მან საზოგადო საქმეში ჭეშმარიტებას უღალატოს, ან ოდნავ მაინც გადაიხაროს იმისაკენ, ვინც მართალი არ არისო; ამაში დარწმუნებული იყავითო!" და მართლაც, ილიამ მედიატორეებს ვერაფერი უთხრა ჟორდანიას სასარგებლოდ. თქვა, თაყაიშვილი „სამი ისტორიული ხრონიკის" გამოცემამდე ჩემთან არ დადიოდა და, მაშასადამე, ვერც ამ რვეულს წაიღებდა ჩემგანო (თან ის რვეული ეჭირა ხელში და ათვალიერებდა); როგორც ვრწმუნდები, მე ეს რვეული არა მქონია, ის სხვა იყო, უფრო მცირე ტანისა და დაშლილიო; თუნდაც ეს ყოფილიყო, შეუძლებელია, თაყაიშვილს წაეღოს, რაკი არ უვლია ჩემთანო! ილიას ჩვენების შემდეგ კიდევ ერთი სხდომა ჰქონდა მედიატორებს, მაგრამ იმ სასამართლოს ამბავს შემდეგ გავიხსენებ უფრო დაწვრილებით, რადგან ძალიან არსებით და, სამწუხაროდ, დამახასიათებელ მოვლენად მიმაჩნია როგორც ჩემი მეცნიერული მუშაობის ისტორიის, ისე ჩვენი საზოგადოების ისტორიისათვის.

* * *

...საერთოდ დიდი ოსტატი კაცი იყო ილია! ტყუილად კი არ ამბობდნენ ხოლმე მისი თანამშრომლები, ილია მეტწილად ღამ-ღამობით წერს და დილისათვის მისი ნაწერების ნახევით რამდენიმე კალათი არის ყოველთვის გავსებულიო. ამით აიხსნება, რომ ილია საჩქაროდ წერილზე არავის პასუხს არ აძლევდა, მანამ კარგად არ მოიფიქრებდა და კმაყოფილი არ იქნებოდა თავისი წერილით. აგრეთვე მისი საჯარო სიტყვები ყოველთვის წინასწარ მოფიქრებული და ზოგჯერ დაწერილიც იყო. როგორც მახსოვს ერთხელ ვლადიმერ მიქელაძემ გამოაქვეყნა ერთი წერილი, სადაც ამბობდა: დღეს არ შემიძლია მოსვლა, რადგან ევგენი მარკოვის პატივსაცემ საღამოს უნდა დავესწრო და სიტყვა ვთქვა, მე ჩვეულებად არ მაქვს მოუმზადებლად წავეჩხიროო. ერთხელ გ. ჟურულის შეკითხვაზე — „ილია, სიტყვებს წერთ, თუ ზეპირად გაქვთ მოფიქრებულიო?" — ილიამ უპასუხა: „ზოგჯერ ვწერ, ზოგჯერ ზეპირად მაქვს მოფიქრებული, მაგრმ როგორ უნდა დავიწყო და მოვათავო სიტყვა, ეს ყოველთვის კარგად ვიციო". თავის რომელიმე თხზულებას რომ მოათავებდა, ილია შეყრიდა ლიტერატორებს, მწიგნობრებსა და მეგობრებს, წაუკითხავდა და აზრს შეეკითხებოდა ხოლმე. ერთ ასეთ სხდომაზე მეც მიმიწვია.

ეს მაშინ იყო, როდესაც დაწერა „ქვათა ღაღადი" — შესანიშნავი, ოსტატური პოლემიკური ნაწარმოები, მწვავე სატირითა და იუმორით აღსავსე. როგორც ცნობილია, ეს თხზულება მიმართულია, უმთავრესად პატკანოვისა სა აგრეთვე ზოგი სხვა ავტორების წინააღმდეგ, რომელნიც უწესური ხერხებით ლამობდნენ ჩვენი ისტორიისა

და კულტურის დამცირებას. მოსასმენად, ჩემს გარდა, მიწვეულნი იყვნენ: ნიკო ცხვედაძე, ნიკო ხიზანიშვილი-ურბნელი, ვლადიმერ (პროკოფი) მიქელაძე, ბანკის დირექტორი გრუზინსკი (სახელად, მგონი, მიშა) და სხვები. ილიამ რომ კითხვა დაასრულა, ყველამ ერთხმად მოუწონა, ერთი უბრალო შენიშვნაც კი არავის განუცხადებია. ამან მე დიდად გამაკვირვა. სხვებს თუ არა, ნიკო ხიზანიშვილსა და ვლადიმერ მიქელაძეს, როგორც უფრო ნიჭიერთა და საქმეში ჩახედულთ, მაინც უნდა შეემჩნიათ, რომ ილია ზოგ რამეში ცდებოდა. მეტი გზა აღარ იყო და შევეკითხე, თავადო ილია, თუ გაქვთ-მეთქი, წაკითხული პატკანოვის წერილი? მიპასუხა, არ წამიკითხავს, მაგრამ ხელთ მაქვს დიმიტრი ბაქრაძის პასუხი იმ წერილზე და იქიდან ამოვკრიბე ყველაფერიო. მერე ვუთხარი: „რასაკვირველია, თქვენი თხზულება ნამდვილად შესანიშნავია იმ მრავალი ფაქტის გაშუქებით, რომლებიც მოწმობენ გარკვეულ პიროვნებათა უწესურობას, ჩვენ წინააღმდეგ მომართულს, კულტურის მოგზაურობიდან დღემდე: ასეთი მჭევრმეტყველებით მათი არაკეთილსინდისიერი მოქმედება სხვას არავის გამოუმჟღავნებია; შესანიშნავია თქვენი სტილიცა და იუმორიც, მაგრამ ფაქტების აღნისხვაში უთუოდ უნდა შეიტანოთ ცვლილება, თორემ ადვილად გამოგედავებიან მოწინააღმდეგენი, რადგან ზოგან მათ იმას მიაწერთ, რაც ნამდვილად არ უთქვამთ-მეთქი“. ილიამ მომიგო: „Ведь я же ссылаюсь и ползуюсь ответом Бакрадзе, а я его знаю и уверено, что он никогда неправды не скажет!“ მე ვუთხარი: „Бакрадзе, конечно, неправды не говорит, но то, что он говорит вообще то несправедливой критики „Картлис Цховреба“, Вы приписиваите Патканову. И эти мелочи необходимо исправить. У меня есть оттиски статьи Паткапнова, я Вам предоставлю его и когда Вы с ним ознакомитесь, сам и убедитесь, чтог есть кое-какие недаразумения фактического характера в Вашем, в других отношениях замечательном произведении“. ...მივეცი პატკანოვის წერილი! რასაკვირველია, მადლობა გადამიხადა და გამოიყენა, გაასწორა... როდესაც „ქვათა ღაღადი“ დაიბეჭდა, აღარავითარი ლაფსუსი აღარ დაჰყოლია თან. პატკანოვი ხომ ნამდვილად ძალიან მჩატედ და არაკეთილსინდისიერად ექცეოდა „ქართლის ცხოვრებას“, უცხოელის შედგენილიაო. თუ არა და რატომ სწერია შიგ, ქართველები თავდაპირველად სხვა ენაზე ლაპარაკობდნენო?! გაგონილა ასეთი ამბავი?...

ილიას გარეგნობა

შეიძლება ითქვას, რომ ილია საშუალოზე უფრო დაბალი ტანის კაცი იყო, ჩასკვნილი და ჩასუქებული, მაგრამ უშნოდ კი არა, ზომაზე. პირველად რომ დავინახე, მაშინვე გამახსენდა გრიგოლ ორბელიანის სიტყვები მის შესახებ: „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალიაო!“ ზედგამოჭრილი ნათქვამი იყო! თვალები ილიას ძალიან ეშხიანი ჰქონდა და სახე – სანდომიანი. მე რომ გავიცანი, მაშინ თმაში ჭაღარა არ უჩანდა, გვიან გამოერია. თმა-წვერის ფერი კარგად არ მახსოვს, მაგრამ, მგონი, უფრო შავი ეთქმოდა. საზოგადოდ ილია მძლავრი აგებულების, ბუნებით ერთობ ჯანმრთელი ადამიანი იყო. ზემოთაც გავიხსენე ერთი მისი ნათქვამი, ცხვირის ცემინება და გაცივება არ ვიცი, რა არისო. ავადმყოფობა მხოლოდ მაშინ დაიწყო, ხანში რომ შევიდა. გული აწუხებდა და, როგორც ცნობილია, გერმანიაში წავიდა სამკურნალოდ, პროფესორ ლეიდენის საავადმყოფოში. ლეიდენმა, პირველ ყოვლისა, თურმე საზრდოობის რეჟიმი დაუწესა და ყოველდღე ლობიო გაუჩინა საჭმელად. ამაზე ილია ამბობდა, ჩვენ არა გვცოდნია და თურმე რამ სასარგებლო საჭმელი ყოფილა ლობიოო!.. მერე ლეიდენისათვის უთქვამს, მე ლობიოთი ვარ გაზრდილი, ყოველთვის ვჭამდი, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერ მიშველაო...

ილიასთან საუბარი

ილიამ შესანიშნავი, სასიამოვნო საუბარი იცოდა და მის მოსმენას არაფერი სჯობდა, მეტადრე, თუ კარგ გუნებაზე იყო. ხმაც ძალიან საამური ტემბრისა ჰქონდა, არც ძალიან მაღალი და არც ძალიან დაბალი, ბოხი. არც ყვირილი იცოდა და არც აჩქარებული ლაპარაკი. ოღონდ ისიც უნდა შევნიშნო, რომ გულმოსული თითქმის არასოდეს მინახავს და ეგებ მაშინ კი უწევდა ხმას. და უფრო ჩქარაც ლაპარაკობდა? თუმცა ერთხელ კი შევესწარი მის განრისხებას, როდესაც დავით სარაჯიშვილთან ვიყავით სტუმრად. დავითი, მართალია, კარგი ქართველი იყო და დიდი პატრიოტიც, მაგრამ ჩვეულებად ჰქონდა ქართველების საზოგადოდ დაწუნება, მათი ნაკლის გაზვიადება და, პირიქით, სამაგალითოდ ჩვენს მეზობლებს ასხამდა ხოლმე ქებას. ქართველების მიმართ ძალიან გულგატეხილად მოჰქონდა თავი და თვითონ იტყოდა ხოლმე, ბატონო, პესიმისტი ვარო! ნიკო ღოღობერიძე მას დაცინვით „великий пессимист“-ს ეძახდა. რა საგანზედაც არ უნდა ყოფილიყო საუბარი, დავითი მაშინვე მეზობლებს დააყენებდა მაღლა, იტყოდა, რომ ჭკვიანი ცხოვრება იციან, ბედოვლათები და მათხოვრები არ არიან, მუშა და გამრჯელი ხალხია, ყველა საქმეში გვჯობიან და მომავალიც მათია. ერთხელ, ნამეტანი რომ გადააჭრაბა ასეთ ლაპარაკში, ილიას გული მოუვიდა და წამოიძახა: „ამისთანა გაგონილა?! ამ ოჯახში ქართველების ძაგების მეტს ვერაფერს გაიგონებ! თუ ერთი-ორი ვიღაც აწუხებს და ფულს სთხოვს, ეს მთელ ხალხზე გადააქვსო!“ – აი, მაშინ კი აუწია ხმას ილიამ, მაგრამ – მაინც ცოტა!



* * *

ჩვეულებრივ, როდესაც ქართველებს და მათ შორის საზოადო მოღვაწეებს რაიმე საქმე ჰქონდათ რუსეთის მთავრობასთან და მოხელეებთან, ილია უნდა წაემძღვარებინათ ხოლმე: უმისოდ მთავრობის წარმომადგენელნი ქართველებს ან არ მიიღებდნენ, ან, თუ მიიღებდენენ, მათ სათხოვარს ყურადღებას არ მიაქცევდნენ. ილიას, ბუნებრივია, დიდად ეზარებოდა ამ როლის შესრულება და ხშირადაც ყოყმანობდა წაყოლაზე, მით უმეტეს, რომ ზოგჯერ აგზავნიდნენ ისეთი საკითხის გამო, რომელსაც იგი ნაკლებ იცნობდა. მაგრამ, რაკი სხვა შესაფერისი ადამიანი არა გვყავდა, მაინც ყოველთვის მას აკისრებდნენ ყველა საქმეს... რადგანაც ...საზოგადოდ, მთავრობის უმაღლესი წრეები გარკვეულ ანგარიშს უწევდნენ ილიას, ყურს უგდებდნენ მის აზრსა და შუამდგომლობას. მაგრამ ილია მაინც წინდახედული იყო და თუ რომელიმე უმაღლესი ხელისუფალი უხეშად იქცეოდა, მასთან არავითარ ურთიერთობას არ იქონიებდა, არც ეჩვენებოდა და არც საქმისათვის მივიდოდა...

არტურ ლაისტი*(1852-1927)

მოგონებები ილია ჭავჭავაძეზე

(წიგნიდან „საქართველოს გული“)

ილია ჭავჭავაძე პრველად ვნახე და გავიცანი 1885 წელს, მაშინ პოეტი მხოლოდ 48 წლის იყო. კვლავ ძლიერი ჰქონდა გონება, ნიჭი, ლიტერატურისა და პოეზიის სიყვარული, მშვენიერების შეცნობისა და მისით აღტაცების უნარი, როცა ილიას დავუახლოვდი შევიგენი – რაოდენ დიდი სულისა და ნათელი ჭკუის კაცი იყო. ხალხში ჩვეულებრივად, სრულ სიმშვიდეს იჩენდა. არასოდეს ცდილობდა უცნობ საზოგადოებაში ვინმე თავისი ცოდნით და გონებით მოეხიბლა. ერთი სიტყვით არ სურდა თავი ვინმესთვის მთლიანად გაეცნო.

სულ მოკლე ხანში ჩემთვის ნათელი გახდა მისი მდიდარი ბუნება. ჩვენი ერთგული, შეუბღალავი მეგობრობა ილიას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გვაერთებდა.

მასთან ყოველდღე დავდიოდი, ამიტომაც შემთხვევა მეძლეოდა გავცნობოდი ყველა მაშინდელ ლიტერატორს და ბევრ სხვასაც. ილია იმ ხანებში გულგრილად ეკიდებოდა თავისი ყოველდღიური ჟურნალის „ივერიის“ გამოცემას, მაგრამ როდესაც „დროების“ დახურვის შემდეგ, „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა, ილიას ახალგაზრდობამ კვლავ გაიღვიძა, პოეტი სრულიად გამოიცვალა და დიდი მხნეობით შეუდგა ახალი გაზეთის რედაქტორობას.

ქართველთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში „ივერიამ“ სიცოცხლის ახალი ნაკადი შეიტანა. გაზეთში თანამშრომლობა დაიწყო ბევრმა ახალმა პოეტმა და ლიტერატორმა. „ივერიამ“ შესამჩნევად გააფართოვა გაზეთის მკითხველთა წრე. აქ იბეჭდებოდა არა მარტო კარგი მეთაური წერილები, არამედ საინტერესო ფელეტონები და ხშირად საინტერესო ლექსებიც. მათ ილია აღტაცებით მკითხავდა ხოლმე. უხაროდა, რომ ქართულ ლირიკას ასე მკვეთრად გაედგა სასიცოცხლო ფესვები. დიდი სურვილი მქონდა, ჩემი თანამემამულე ევროპელებისათვის სრულიად უცნობი ქართული ლიტერატურა გამეცნო. ილია ფიქრობდა, რომ მე უნდა შემედგინა ქართულ ლექსთა კრებული გერმანულ ენაზე. ჩვენ ორთავენი გულმოდგინედ შევუდექით ამ საქმეს. იმხანად ქართულ ენაში მაინცდამაინც გაწაფული არ გახლდით, ამიტომ ილია სიტყვა-სიტყვით მითარგმნიდა ქართულ ტექსტს, რაც სრულიად არ ამახინჯებდა არც აზრსა და არც ლექსის პოეტურ სილამაზეს. ჩემი პირველი კრებულის დიდი ნაწილი საგურამოში ვთარგმნე. აქ პოეტის ძველი სახლის აივანზე ვისხედით ხოლმე. აქედან ერთის მხრით არაგვის მშვენიერი ხეობა და კავკასიონის ქედი მოჩანს, მეორე მხრით საგურამოს მთებია აღმართული.

ნეტარხსენებულნი არიან ეს დღენი!... ილია სადეკლამაციო ტონით ლექსებს ლექსებზე მიკითხავდა, დროდადრო თავისი სამშობლოს პოეზიის სილამაზეზე მითითებდა, წყნარად, დარბაისლურად და ჭეშმარიტი გზით შევყავდი მას ახალ ქვეყანაში. აღმოსავლეთის იმ ჭიშკარში, რომელიც ყმაწვილობიდან მიზიდავდა. ილია ხშირად შეწყვეტდა ხოლმე თარგმნას და ქართული ენის სხვადასხვა თავის ბურებებზე შეუდგებოდა საუბარს, ან რომელიმე ხალხურ ჩვეულებას ახსნიდა. ბაასი და საუბარი შუაღამემდე მოატანდა, ვიდრე ირგვლივ საიდუმლო მყუდროება დაისადგურებდა.

შორიდან არაგვის ხმაური ისმოდა. ილიას ხმა და ღირსშესანიშნავი აზრები ჩემს გულს განـ

---

* არტურ ადოლფის ძე ლაისტი (გერმ. Arthur Leist) (დ. 8 ივლისი, 1852, ბრესლაუ — გ. 22 მარტი, 1927, თბილისი) — გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი.

1884 წელს ლაისტი ილია ჭავჭავაძის მოწვევით ერთი თვე იყო საქართველოში. გერმანიაში დაბრუნებულმა გამოსცა წიგნი „საქართველო, ბუნება, ადათ-წესები და მოსახლეობა“ (1885), რომელიც პოლონურ ენაზე გამოსცა. 1885 წელს ლაისტი კვლავ ესტუმრა საქართველოს და ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის დახმარებით შეუდგა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას (გამოქვეყნდა დრეზდენსა და ლაიფციგში, 1890). 1887 გამოსცა ქართული პოეზიის ანთოლოგია გერმანულ ენაზე.

საკუთრებულ სიაამეს გვრიდა. ძლიერ უყვარდა მწერლობა, მთელი საათობით დაუსვენებლივ შეეძლო ყური ეგდო ლიტერატურული საუბრისატვის. დიდი გულისყურით მისმენდა, როცა სიტყვას პოეტებზე ჩამოვაგდებდი. მთხოვდა განმეგრძო მასთან საუბარი, გამეზიარებინა ნაფიქრი და ნაგრძნობი.

ამ შთაბეჭდილების გამო, მე მალე შემიყვარდა ეს ლამაზი კუთხე საქართველოსი; საგურამო ჩემთვის უსაყვარლესი ადგილი გახდა ამ ქვეყანაზე. ეს ტყით მოსილი მთები, რომლებიც მიდამოს განსაკუთრებულ იერს აძლევენ და მთელი წლის განმავლობაში ნაირგვარი სილამაზით ხიბლავედბნენ ადამიანის თვალს. განსაკუთრებული იყო საგურამოს ზაფხული. ამ დროს აქ ბულბულების სტვენა გახშირდებოდა და შორიდანაც მთის წყაროთა საიდუმლო ლიკლიკი მოისმოდა. სიცხეში, როცა ფრთოსანთა ხმა მიწყდებოდა, ჭრიჭინა თავის სტვირს მომართავდა და გაბამდა თავისებურად. არა მარტო პაპანაქება დღისით, არამედ ღამითაც არ ისვენებდა. მისი ხმა პოეტურად აცხოველებდა გარემოს. ვინ იცის, რამდენჯერ დავმტკბარვართ მე და ილია საგურამოში მზის ჩასვლით. ნასადილევს, როდესაც მუხრანის მხრიდან ილია ღრუბლებს შენიშნავდა, აივანს აღარ შორდებოდა: მზის ჩასვლის სანახაობას ელოდა ხოლმე. იმ დროს ბუნების სურათი თავისი განსაკუთრებული სიმშვენიერით, მართლაც იტაცებდა ადამიანს. სწორედ ასეთი სურათი აქვს ილიას აღწერილი განდეგილში.

ილიას ბუნება უყვარდა, როგორც ნამდვილ პოეტს, მე სულ სხვანაირად მიყვარდა ბუნება. ილიას მოსწონდა ბუნების მთლიანი სურათები; ტყეში სერნობა. იქ ცალკეუილი ხედების ძებნა ილიას არ იზიდავდა. ძლიერ იშვიათად თუ დავითანხმებდი, ცოტა მაინც გაგვესეირნა. ბუნაბაში ილიას უფრო მეტად მთლიანი ხედები ხიბლავდა. ამ დროს ტკბებოდა და უდრტვინველ ოცნებას ეძლეოდა პოეტი.

თავისი ბაღის გაშენებისათვის ილია ჯერ ვერ იცლიდა. თავდაპირველად აქ რამდენიმე ცაცხვი, წაბლი და იასამნის ბუჩქიც დარგო. მერე კი ბაღზე აღარ უზრუნია.

გაზაფხულზე ხეები და ბუჩქები საამური ყვავილებით მოირთვებოდა. თუმცა ილიას მათზე ნაკლებად უხდებოდა ფიქრი, მაგრამ ზოგიერთ ხეს განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა. სახლის უკანა ეზოში მაღლობზე დარგული კაკლის დიდი ხეები, რომლებიც პოეტის სამყოფლის უმთავრეს სამკაულს შეადგენდა, ყველაზე ძვირფასი იყო მისთვის. აქ ჩრდილში ხშირად სიამოვნებდა ჩამოჯდომა. აქვე მიირთმევდა სადილს, მეტადრე, როცა სტუმრები ეწვეოდნენ, განსაკუთრებით კი თავის დღეობაზე – 20 ივლისს.

რამდენი საამო სიტყვა წარმოთქმულა აქ, ბებერი კაკლის ქვეშ! რამდენჯერ უმღერიათ მგრძნობიარედ.

ილიას უყვარდა სტუმრები, უხაროდა როცა საგურამოში დიდი საზოგადოება და მეზობელი გლეხობა შეიკრიბებოდა დღეობაზე. მასპინძელი დიდის ამბით უხვდებოდა მათ...

1892 წლიდან ლაისტი საქართველოში დამკვიდრდა, აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1904 გამოაქვეყნა ნაშრომი „ქართველი ხალხი“, რომელიც მრავალ ევროპულ ენაზე ითარგმნა. 1906 თბილისში დააარსა გერმანული გაზეთი „Kaukasische Post“, რომელსაც წლინახევრის განმავლობაში რედაქტორობდა. ლაისტს ეკუთვნის მოთხრობები „ქეთევან“, „ვარო“, „ვარიპანიძიაანთ ნინო“, ავტობიოგრაფიული თხზულება „რუდოლფ ბოლტის სამოგზაურო ცხოვრება“ (1897), „მოგზაურობის დღიური“ (1909) და სხვა. 1918 წლიდან ლაისტი თბილისის უნივერსიტეტის გერმანული ენის ლექტორია. 1922 ქართულმა საზოგადოებამ მას საქართველოში მოღვაწეობის 40 წლის იუბილე გადაუხადა. 1923 და 1927 წლებში გამოიცა ლაისტის თხზულებათა კრებული **„საქართველოს გული“** ორ წიგნად.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ილია საგურამოში

ადამიანის დასახასიათებლად, მისი გემოვნების, ჩვეულებების და გასათობ საშუალებათა გასაცნობად მნიშვნელობა აქვს მის საცხოვრებელ ბინას, მით უფრო, თუ ეს ბინა ამ ადამიანის მიერ არის შექმნილი და რამდენიმე წელსაც აქ უცხოვრია; ციცერონს აგარაკი ტუსკულუმში ჰქონდა, რომის ახლო და იქვე დაწერა „სიბერე“, აქ მას სოფლის ცხოვრების სიმშვენიერე აქვს აღწერილი. გოეთეს სახლი და ბაღი ვაიმარაში ჰქონდა, რომელსაც უამრავი მნახველი ჰყავს და ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის მწერლის გემოვნების, საყვარელი საქმიანობის და გართობათა შესახებ, ციცერონის სახლიდან, გარდა კედლებისა, არა დარჩენილა რა. ჩვენ იქ ვედავთ მხოლოდ ერთს: არც თუ ისე ლამაზ მთას, რომელიც რომის გარშემო მინდორ-ველსა და თვით რომს დაჰყურებს. ძველი რომაელისათვის, ვინც ცხოვრებას პირდაპირ, რეალისტურად უყურებდა, ვისაც პოეზია ნაკლებად აღფრთოვანებდა და თავისებურად ესმოდა, ეს გადასახედიც საკმაო იყო. მას თვალწინ ეშლებოდა ქალაქი, საითკენაც მიისწრაფოდა მთელი მისი გონება და სურვილები, გოეთეს სახლი ვაიმარში წარმოდგენას გვაძლევს გოეთეზე, როგორც ადამიანზე; ის იყო მშვიდი პოეტი, ბრძენი და დიდებული მოაზროვნე, რომელიც ბევრ სასიამოვნოს პოულობდა ვაიმარის მშვენიერ შემოგარენში.

რომ მოვინდომოთ, კიდევ ვიპოვით სხვა პოეტებისა და მწერლების სახლებს, მაგრამ დავბრუნდეთ ისევ ილიას.

ილიას მშობლიური სოფელი ყვარელი, სადაც მან ყრმობა და თითქმის სიჭაბუკე გაატარა, განსაკუთრებული სილამაზით არ არის შემკული. ეს დიდი სოფელი ვიწრო ხეობაშია მოქცეული. მემამულეთა და გლეხების სახლ-კარი ერთიმეორეზე მჭიდროდ არის მიკრული; ეზოსა და ბაღებისათვის

კოშკი, სადაც დაიბადა ილია.

ჭავჭავაძეების საგვარეულო ეკლესია ყვარელში.

ვრცელი ადგილის უქონლობის გამო აქ მხოლოდ თითოოროლა მემამულესა და გლეხს თუ აქვს სახლთან პატარ-პატარა ბაღები.

სახლ-კარს, სადაც ილია დაიბადა და ბავშვობა გაატარა, სილამაზე აკლია; ეზო ფართოა და შიგ არც ერთი ხე არ დგას, სადგომი სახლიც დაბალია და სივრცეს მოკლებული, შუა ეზოში ახლაც ვამჩნევთ სქელკედლებიან ძველებურ კოშკს, სადაც ლეკვების შემოსევის დროს მთელი ოჯახობა აფარებდა ხოლმე თავს.

აქ გაატარა ილიამ თავისი სიცოცხლის პირველი ხანა. აქ, ორი ქვეყნის, საქართველოსა და დაღესტნის საზღვარზე მიიღო ილიამ ქვეყნის და სიცოცხლის პირველი შთაბეჭდილებანი. აქვე ბავშვობისას ისმენდა ილია სხვადასხვა ამბებს ლეკებთან თავისი ნათესავებისა და გლეხობის ბრძოლოს შესახებ. რასაკვირველია, ამ ამბებს დიდი გავლენა ჰქონდა ბავშვების ფანტაზიაზე.

კიდევ უფრო ძალიან მოქმედებდა ილიაზე საუცხოო ბუნება, რომელიც გარს ერტყა ყვარელს. ჩრდილოეთით ბურჯის უკან ახლაც აღმართულია ხშირი ტყით შემოსილი მაღალი მთები. ხეობაში ვიწრო ბილიკი ჩანს, რომელსაც მგზავრი უცხო მხარეში დაღესტანში მიჰყავს. ამ ტყეში რაღაც საიდუმლოება მეფობს; არე-მარე ღრმა სიჩუმით არის მოცული, მყუდროებას მხოლოდ ფრინველთა ჭიკჭიკი და ნაკადულთა ჩხრიალი თუ არღვევს. სამხრეთით, ყვარლის ვრცელ ზღვრებს იქით, ათასფრად აჭრელებული მზიანი მხარე იშლება; ეს არის საუცხოო ალაზნის ველი, რომელიც ილიას ძლიერ უყვარდა და რომლის სიმშვენიერით ყოველთვის აღტაცებული უნდა იყოს ყველა, ვისაც ეს ველი უნახავს. აქ ყვლაფერი

ილიას სახლი ყვარელში.

თვალწინ გეშლებათ, ნათელი ადგას აფერადებულ ველს, მაშინ, როდესაც სოფლის ჩრდილოეთით მხარე საიდუმლოებით არის შემოზღუდული, თუ რომელიმე მახლობელი მთის მწვერვალზე ახვალთ, რომელიც უზარმაზარ კედლად არის აქ აღმართული და იქიდან გადაიხედავთ ქვევით, თვალწინ გადაგეშლებათ ალაზნის ველი, თელავიან სიღნაღამდე – ქიზიყამდე გადაჭიმული ეს ფერწერულ ხეთა ტევრებით მდიდარი მწვანე ველი. ისე მშვენიერია იქაურობა, რომ მისი აღწერა არავითარ კალამს არ შეუძლია. ამ ველებისა და მახლობელი მთების მშვენების გარდა თვალს რაღა ჯადოსნური სინათლე იტაცებს, რომელიც ყოველდღე სხვადასხვანაირად იცვლება.

კახეთი საუცხოოა ბინდისას მზის ამოსვლისა და ჩასვლისას, მთვარიან ღამეშიც, როცა მთელი ალაზნის ველს ვერცხლისფერი სხივები დაკაშკაშებს!

ილია გრძნობდა კახეთის ბუნების ამ სიმშვენიერეს და მის მოგონებასაც კი აღტაცებაში მოჰყავდა. კახეთმა მისცა ილიას მასალა თავისი მოთხრობებისათვის – „კაცია-ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“. ამ მოთხრობების გმირები კახეთის სინამდვილიდან არის აღებული, რადგან საქართველოს სხვა პროვინციების ცხოვრებას მაშინ ილია ისე კარგად ჯერ არ იცნობდა... შემდგომ იგი უკვირდება საქართველოს სხვადასხვა კუთხესაც და მისი მხატვრული ხედვაც ფართოვდება. ილია კახეთს გაშორდა, მაგრამ, მისი აზრი და გონება ხშირად კვლავ მისკენ მიისწრაფოდა და ნაზი გრძნობით იგონებდა თავის სამშობლო მხარეს, მან კიდეც დაწერა უმშვენიერესი ლექსი „ალაზანს“, რომლის მსგავსი კახეთის შესახებ არც მანამდე და არც შემდეგ არ დაწერილა. საკვირველია, რომ ასეთი საუცხოო მხარე, როგორც კახეთია, იშვიათად იზიდავს ქართველ პოეტებსა და მხავრებს; ქართულ პოეზიაში კახეთს მხოლოდ მეორეხარისხოვანი ადგილი უჭირავს, მხატვრობაში კი სრულიად არ ჩანს.

მას შემდეგ, რაც ილიამ საზოგადო მოღვაწეობა დაიწყო მშობლიური კერა კარგა ხანს აღარ იზიდავდა. აქ ილია სტუმრად თუ მოვიდოდა, მამაპაპეული სახლი მოკლებული იყო სიმშვენიერესა და მორთულობს.

პოეტი ილია საზაფხულოდ დასასვენებელ ადგილს ეძებდა და იპოვა კიდეც საგურამოში, თავისი მეუღლის ოლღას მამულში; აქ ილიამ ერთ მაღლობზე, ზედაზნის მთის ტყიან კალთაზე ააშენა სახლკარი და თავისი საზაფხულო რეზიდენცია მოაწყო, მაგრამ მისი კეთილმოწყობა კარგა ხნით დაგვიანდა. 1885 წელს, როცა საგურამოში პირველიად ჩავედი, ილიას ოთხოთახიანი პატარა სახლი ძველთაძველ ბინას მოგაგონებდათ ამ დროს ბაღში ბუჩქებიც ტანმორჩილი იყო; ცაცხვის ხეივანიც რომელიც შემდეგ ბაღის მშვენებად იქცა, ჯერ კიდევ არ იძლეოდა ჩრდილს, თვითონ ილიას მცენარეთა მოვლა არ ეხერხებოდა, შემდეგ მათი მოვლა-პატრონობა მე ვიკისრე სახლის გვერდზე, კაკლის წინ მაინც დაქანებული ადგილი იყო, ხოლო მერე გავასწორეთ ეს ადგილი და მილით წყალი რომ გამოვიყვანეთ, აღმოსავლური ყაიდის შადრევანიც მოვაწყვეთ.

მართალია, ამის შემდეგაც ილიას სახლს ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ აქ ყოფნა მაინც სასიამოვნო იყო. ყოველ ზაფხულ, კვირა – უქმე დღეს და სამსახურიდან თავისუფალ დროს ილია საგურამოში ატარებდა. აქვე იყრიდნენ თავს სხვადასხვა ადგილებიდან მოსული სტუმრები. ძველი ქართული სტუმართმოყვარეობა მტკიცედ იყო დაცული; სტუმარს აქ გულუხვი მასპინძელი უხვდებოდა და საგურამოდან უკმაყოფილო არასოდეს ბრუნდებოდა. ეს პურადობა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ილიას და მის მეუღლეს უმთავრეს მოვალეობად მიაჩნდათ, თუმცა იგი ხშირად ძვირად უჯდებოდათ, მაგრამ მისი უარყოფა და ხარჯების შემცირება მაინც არ სურდათ.

ილიას სახლი საგურამოში.

ამ მშვენიერ კუთხეში, სადაც ქალაქის დაუსრულებელი ხმაური ვერ აღწევდა, ილიას სასურველი სტუმარი ძლიერ აამებდა ხოლმე. მით უფრო როცა სტუმარი მასთან სიამოვნებას ვერ გრძნობდა. შაბათობით, როცა ილია ჩვეულებრივ, საგურამოში მიდოდა, რომ კვირა და ხშირად ორშაბათიც იქ გაეტარებინა, ხშირად რამდენიმე კაციც მიჰყავდა თან. ოთხმოციან წლებში აქ იყო ხოლმე მთლად ჭაღარა რაფიელ ერისთავი, გიგო ყიფშიძე – ილიას მარჯვენა ხელი „ივერიის“ გამოცემაში, როცა ეს გამოცემა ერთთვიანი ჟურნალი და შემდეგ ყოველდღიური გაზეთი იყო; აქ მოდიოდნენ განსვენებული ალექსანდრე ყიფშიძეც, გიგო ყიფშიძის ძმა, იონა მეუნარგია, ილია ბახტაძე, ვლადიმერ მიქელაძე, ვალიკო გუნია, ვანო მაჩაბელი, აკაკი წერეთელი, ავქსენტი ცაგარელი, საბავშო ჟურნალ „ნობათის“ რედაქტორი ანდრია ღულაძე, ნიკო ხიზანიშვილი, პეტრე უმიკაშვილი. ილიას აქ თითქმის ყოველ კვირას მოინახულებდა ხოლმე თავის საყვარელ სოფელში გზად მიმავალი საუკეთესო და სარწმუნო მეგობარი ილია წინამძღვრიშვილი, რომელიც ილიას გარდაცვალების შემდეგ განუწყვეტლივ უწევდა მზრუნველობას მის საცოდავ ქვრივს.

ყველა სტუმარი, ვინც კი ილიასთან იკრიბებოდა საგურამოში, მონაწილეობას იღებდა ლიტერატურისა და საგამომცემლო საქმეში. სტუმარმასპინძლის სასაუბრო საგანს, რასაკვირველია, უფრო ხშირად მწერლობა წარმოადგენდა...

სტუმრების უმრავლესობა დასასვენებლად მოდიოდა, ხან ახალ ლექსებს კითხულობდნენ, ხან გაზეთის სტატიებს, მსჯელობა მეტწილად საადგილმამულო ბანკის გარშემო ტრიალებდა, რომელშიც მონაწილეობას უმთავრესად თავდაზნაურობა ღებულობდა. საუბრის საგანი იყო აგრეთვე ყოველდღიური გაზეთი „დროება“ და მისი დახურვის შემდეგ – „ივერია“. „ივერიაცა“ და „დროებაც“ საკუთარი, განსაკუთრებული თვალსაზრისით ეხებოდა ქართველების ცხოვრებას; ასევე დაინტერესებულები იყვნენ თეტრითაც, რომელსაც იმ დროს ცოტა მაყურებელი ჰყავდა. ქართველი ინტელიგენციის რიცხვი პირველ ხანებში მცირე იყო, მაგრამ ილია ამბობდა, ქართველთა გონებრივი და კულტურული ძალა იზრდება, საზოგადოებრივ სარბიელზე განათლებულ მუშაკთა რიცხვი ძლიერ მრავლდებაო...

ილიაობა საგურამოში.
ოლღა გურამიშვილი, ილიას მოძღვარი ალექსანდრე ოქროპირიძე, ილია ჭავჭავაძე.



ილია მართლის მოძღვარი
წმინდა მღვდელმთავარი
ალექსანდრე ოქროპირიძე
კანონიზირებულია წმინდანად
1995 წლის 19 სექტემბერს
საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის
კრების მიერ სვეტიცხოველში

მღვდელმთავარი მთელი ცხოვრების მანძილზე თავგამოდებული დამცველი იყო ქართული ენისა. მან ერთ-ერთმა პირველმა გაილაშქრა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების დასაცავად. ამის შემდეგ დიდი ხანი აღარ დარჩენილა მხცოვანი ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოს ეპარქიაში. ეგზარქოსისა და უწმიდესი სინოდის განკარგულებით, „საკუთარი თხოვნის“ საფუძველზე განთავისუფლებულ იქნა ეპარქიის ხელმძღვანელობიდან და „მოსასვენებლად“ თავისსავე აღდგენილ შიომღვიმის მონასტერში გაიგზავნა. მონასტრიდან მხოლოდ ერთხელ, 1907 წელს, წმიდა ილია მართლის (ხს. 20 ივლისს) დასაფლავებისას გამოვიდა და დაიტირა თავისი სულიერი შვილი.

ოთხმოცდასამი წლის მხცოვანმა მღვდელმთავარმა, ყოვლადსამღვდელო ალექსანდრემ თვითონაც იმავე წელს, 9 ნოემბერს მიიძინა საუკუნო ძილით მის მიერვე აღდგენილ შიო-მღვიმის სავანეში. იგი 16 ნოემბერს დაკრძალეს იმავე მონასტერში.

მთელი ეს ახალი თაობა, ყმაწვილები, რომლებიც ყოველთვის გამოდიან ცხოვრების ასპარეზზე, მოდიან ქვევიდან, გლეხთა წრეებიდან, ეს ძლიერ სასიამოვნოა, - ხშირად მეუბნებოდა ილია ოთხმოციან წლებში. მაგრამ, ბოლოს, როცა დაინახა, რომ ეს ახალი ყმაწვილკაცობა ბევრ რამეში აღარ ეთანხმებოდა, ილიაც იშვიათად ლაპარაკობდა მასზე, თუმცა ეს პროცესი მაინც ახარებდა.

ოთხმოციან წლებში საზოგადო მოღვაწეთა წრე პატარა გახლდათ, მაგრამ მასში ზოგი თავდადებული მშრომელი და დაუღალავი მუშაკი იყო, როგორც, მაგალითად, ნიკო ცხვედაძე და იაკობ გოგებაშვილი. ამათგან საგურამოში ყოფილა ხოლმე ნიკო ცხვედაძე, გოგებაშვილი კი არასოდეს.

საგურამოში ყოველ 20 ივლისს, ილიას დღეობაზე, დიდი სტუმრობა იმართებოდა. ამ დღეს თავს იყრიდნენ ნაცნობები და მეგობრები თბილისიდან, გლეხები და მემამულეები ახლომახლო სოფლებიდან, ჩამოდიოდნენ ილიას პატივისმცემლები კახეთიდან და იმერეთიდანაც. იმართებოდა დიდი დღესასწაული, ძველებური და უნაკლო, სასმელ-საჭმელი ტრადიციული და ქართული იყო: მრავალფეროვანი, უხვი, ნაირ-ნაირი, საგურამოს ღვინო ჭავლივით მოჩქეფდა. რასაკვირველია, სუფრა გაშლილი იყო გარეთ, უზარმაზარი კაკლის ხის ქვეშ, იქვე მახლობლად ბალახზე ისხდნენ მწკრივად ჩამომსხდარი გლეხები. ილიას სადღეგრძელოს გარდა ძლიერ ხშირად ვრცელ სიტყვებსაც წარმოთქვამდნენ ხოლმე; ამბობენ მის საქებარ ლექსებსაც; ამას სიმღერაც მოჰყვებოდა. აქ თავის საყვარელ სიმღერებს მღეროდა ნატო გაბუნია, სახუმარო სიტყვებს ამბობდა კოტე მესხი, განდეგილი (დომინიკა ერისთავისა) ლექსებს კითხულობდა, სხვები ლეკურს უვლიდნენ. მხიარული შექცევა ბინდამდე გრძელდებოდა. ამ დღეს ილია ჩვეულებრივზე უფრო მხიარული იყო ხოლმე, ამდენი სტუმარი და მათი მხიაულება ილიას ახარებდა. თბილისიდან მოსული სტუმრები ღამის გასათევად რჩებოდნენ და კვლავ გაშლილ სუფრას სავახშმოდ მოუსხდებოდნენ. მათი სიმღერა ღამის მყუდროებას არღვევდა, მხიარული გამოძახილი იჭრებოდა ზედაზნის დაბურულ ტყეში.

როცა ილიაობა დასრულდებოდა და სტუმრები წავიდ წამოვიდოდნენ, საგურამოში კვლავ სიჩუმე და მყუდროება დაისადგურებდა. ილია მთელი თვე რჩებოდა საგურამოში. მეც ხშირად რამდენიმე ხნით ვრჩებოდი მასთან. ილია ივიწყებდა ქალაქის საქმეებს, ისვენებდა და მეურნეობასაც ეწეოდა, თუმცა ეს საქმეები მას ნაკლებად ესმოდა. ილიას ხუმრობით მეურნეობის მოყვარულ დილეტანტს ვეძახდი და, მართლაც, ის დილეტანტი იყო ამ საქმეში. მეურნეობას ვერ აწარმოებდა: სამეურნეო შენობები ცუდ მდგომარეობაში ჰქონდა, ილია არ ზრუნავდა თავის მეურნეობაზე. მხოლოდ ერთი რამისათვის ზრუნავდა – ეს იყო მანქანები, რომელთა მუშაობა სიამოვნებასა ჰგვრიდა. ბევრი მათგანი შემდეგ უძრავად ეყარა საბძელში. მხოლოდ ერთი ცხენით სამკელი და სალეწი მანქანა

მუშაობდა კარგა ხანს და დიდი სარგებლობაც მოჰქონდა. ილია მთელ დღეს კალოზე ატარებდა, მას შორიდან დაინახავდით კალოზე ძნებსა და ბზეს შორის თეთრ საზაფხულო ტანისამოსში, პაპიროსით ხელში. ხანდახან ძლიერ მაკვირვებდა მისი მოთმინება, როცა პაპანაქება სიცხეში რამდენიმე საათის განმავლობაში კალოზე მუშაობას დაჰყურებდა ხოლმე. კალოობის შემდეგ ილიას მეურნეობის ხალისი ეკარგებოდა, ხანდახან მხოლოდ ბაღში თუ შეივლიდა. საღამო ხანს, როცა ნახირი სოფელში ბრუნდებოდა, ილია მუდამ აივანზე გამოდიოდა და სოფელში დაბრუნებულ ნახირს შეჰყურებდა. დიახ, ილიას უყვარდა სოფლის ცხოვრება.

დროთა განმავლობაში ილიას კარ-მიდამო საგურამოში უფრო და უფრო მშვენდებოდა, ხეები და ჩირგვები წამოიზარდა და მხოლოდ ერთადერთი, — სახლი არ შეესაბამებოდა გარემო ბუნების სიმშვენიერეს. 1892 წლიდან ილიამ გადაწყვიტა აეშენებინა ქვითკირის სახლი. ამ საქმეს მოჰკიდა ხელი და ბოლოს 1894 წელს დაასრულა კიდეც. სახლი მართალა ლამაზი, ფართო და მოწყობილი გამოვიდა. ილია, როგორც ყმაწვილი ისე შეჰხაროდა ამ სახლს. ახლა მთელ სახლ-კარს, არემარეს სხვა სახე მიეცა. უბრალო საზაფხულო სახლი კი არ იყო, არამედ ფართო სასახლე სხვადასხვა მოწყობილობებით. მოზრდილ ხეებიანი ბაღი შორიდან პარკად მოგეჩვენებოდათ. ილიას ძლიერ უყვარდა ეს ხეები, რომლებიც მის თვალწინ გაიზარდა. ამ ხეებში ილიას რჩეულებიც ერია — ერთი მაღალი ჭადარი, ორი ლამაზი წაბლის ხე და მთელი ხეივანი უხვჩრდილიანი ცაცხვებისა. ილია კიდევ ამაყობდა ამ ცხელებით და საუბრისას იგონებდა გოეთეს სიტყვებს: „მან ქმნა კეთილი საქმე, ვინც დარგო და აღზარდა რამდენიმე ლამაზი ხეო.“ ყველაზე უფრო ილიას მაღალი ვერცხლისფერი

ილიაობა საგურამოში.
სტუმრები ილიას ეზოში შადრევანთან.

ილიაობა. საგურამოელები ილიას ულოცავენ ილიაობას

ჭადარი მოსწონდა, რომელიც წინა აივნის ერთ-ერთ ბოლოში იდგა. ეს ხე ძლივს გადაარჩინეს მოჭრას სახლის აგების დრო. ბაღში აუზი უფრო გააფართოვეს და სახლის წინ კაკლის ქვეშ შადრევანიო მოაწყვეს, რომლის ჩუხჩუხი ღამის სიჩუმეში ადამიანს სმენას უტკბობდა, ვენახიც და ხეხილის ბაღიც გააფართოვდა, გალამაზდა; ატმის ვაშლისა და მსხლის ყვავილებით მორთული ქვემოთა ხეხილის ბაღი საუცხოო სურათს წარმოადგენდა გაზაფხლზე.

მთებმა ყველაზე მეტი აღტაცება პროფესორ ბოსკოს მოჰგვარა. იგი დაბრუნებისას მცხეთაში ავიდა მაღლა მთაზე, რომ ერთხელ კიდევ დამტკბარიყო მყინვარის დიდებული სურათით.

დიახ, ილიას სოფლის სასახლე თანდათან დამშვენდა. აკაკის სახლი საჩხერეში, რომელიც ვინახულე 1887 წელს და რომლის სილამაზე ბევრჯერ მიქია ილიასთან, ახლა ვერ შეედრება ილიას საგურამოსეულ სახლს.

აკაკის სახლი ტყიანი ხეობის თავთან ჩრდილოვან თითქმის საიდუმლოებით მოცულ ბაღში დგას და ხეების მწვანე, მდიდარი სამოსელიდან ნათლად და სასიამოვნოდ გამოიყურება, მაგრამ მისი მდებარეობა ისეთია, რომ არემარე თვალს ეფარება, მაშინ, როცა საგურამოს სახლის აივნიდან სამი მხრით თვალუწვდენელი მშვენიერი სურათი გადაგეშლებათ წინ. მე ვამბობ ზემო აივნიდან, სადაც

არტურ ლაისტი

ილიას კაბინეტია მოთავსებული. დასავლეთით მუხრანის ველიდან შორს მდინარე ქსანი მოჩანს. ხოლო ახლო-არაგვი. შემდეგ გადაგეშლებათ მყინვარწვერით დამშვენებული კავკასიონის ქედი და საქართველოს სამხედრო გზა. აღმოსავლეთით კი წინამძღვრიანთკარი და ერწოს არემარე, ქვემოთა აივნიდან სანახაობა უფრო შეზღუდულია, მოჩანს ხშირი ბაღი, სადაც გაზაფხულობით იასამნის ბუჩქები ჰყვავიან, ზაფხულობით კი ვარდები და ათასნაირი ყვავილები. სახლი და სხვა შენობებიც მწვანეში იყო ჩაფლული. ვინც ქვემოდან სოფლის გზით ამოდიოდა, კარ-მიდამოს თითქმის ვერ ხედავდა; მისთვალწინ გადაიშლებოდა ბაღ-ვენახებით შემკული ნამდვილი სამოთხე, რომელსაც თავს ადგა მაღალ ტყიანი ზედაზნის მთები.

რამდენჯერ ავსულვართ ორივენი ამ გზით, ხან ეტლით, ხანაც – ფეხით. და ამ მწვანე სამოთხის სიმშვენიერეს აღტაცებაში მოვუყვანივართ. რამდენჯერ შევჩერებულვართ გზადაგზა და ამოოხვრით გადაგვიხედავს ამ დიდებული სანახაობისათვის. რამდენადაც ხანში შედიოდა ილია, იმდენად უფრო სწუხდა, რომ ბოლოს და ბოლოს უნდა გამოსთხოვებოდა ამ საუცხოო მხარეს, სადაც მან მთელი თავისი სიცოცხლე ბედნიერად, მშვიდად და მდიდარი პოეტური აღმაფრენით გაატარა... აქ, ამ გზაზე, გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე ილიამ აღტაცებითა და თან ფარული ნაღველით მითხრა, ასეთ ადგილას კაცს ორასი წლის სიცოცხლე მოგინდებაო. ილიამ ამ ახალ სახლში მთელი თორმეტი წელი გაატარა ზაფხუკლის თვეები სტუმართა შორის სიამოვნებითა და ბედნიერებით. მისი პატივისმცემლები ხშირად მიდიოდნენ საგურამოში, ხანდახან უცხოელებიც ესტუმრებოდნენ ხოლმე.

1897 წლის ივლისში საგურამოში ილიასთან სტუმრად იყვნენ ცნობილი ექიმი-პროფესორი ბერტელიონი პარიზიდან, პროფესორი ბოსკო რომიდან და რუსი მწერალი ვასილ ველიჩკო სტუმრებისათვის, რომ ესიამოვნებინა, ილიამ მოაწყო ურმით მოგზაურობა ზედაზნის მონასტერში, სადაც ხის ქვეშ მწვანეზე ვისადილეთ. ჩვენ თვალწინ გადაშლილი იყო მცხეთა, არაგვისა და მტკვრის შესართავი და თბილისი, კავკასიონის მთებმა ყველაზე მეტი აღტაცება პროფესორ ბოსკოს მოჰგვარა. იგი დაბრუნებისას მცხეთაში ავიდა მაღლა მთაზე, რომ ერთხელ კიდევ დამტკბარიყო მყინვარის დიდებული სურათით.

1898 წელს საგურამოში ილიას ეწვია ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი კარლ ლემან-ჰაუპტი, ავტორი სერიოზული გამოკვლევების წინა აზიის წარსულიდან. ქართველი პოეტთან ყოფნა მან დაწვრილებით და საინტერესოდ გადმოგვცა ჯერ გერმანულ ჟურნალ „იე ილფე“-ში და შემდეგ კავკასიიდან სპარსეთ-მესოპოტამიაში მისი მოგზაურობის ვრცელ აღწერაში, როცა ილია 1900 წელს ბერლინში იყო, მან ინახულა პროფესორი ლემან-ჰაუპტი, რომელიც ილიასადმი წრფელი გრძნობით იყო განსჭვალული. ილიას ტრაგიკული სიკვდილის გამო მან ბერლინის ერთ დიდ გაზეთშოი ნეკროლოგი მოათავსა ილიას პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის შესახებ. მანვე დაბეჭდა ცნობები ერთ თავის წიგნში.

1900 წლის ივნისში, საგურამოში ილიას გულის ხუთვა (ასთმა) მოსდიოდა, ამიტომაც დავით სარაჯიშვილი და მისი მეუღლე ეკატერინე დაჟინებით ურჩევდნენ ბერლინში წასვლას პროფესორ ლეიდენთან, რომელიც ევროპული მეცნიერების ერთ ვარსკვლავად ითვლებოდა. ბერლინიდან ილია გამოჯანმრთელებული დაბრუნდა, მაგრამ არ ასრულებდა იმ რეჟიმს, რომელიც პროფესორმა ლეიდენმა დაუნიშნა. ორი-სამი წლის შემდეგ მისი ჯანმრთელობა გაუარესდა; სიბერისაგან განკურნება ილიას შეუძლებლად მიაჩნდა. ხშირად იმეორებდა შოთა რუსთაველის სიტყვებს: „სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელიაო.“ საზოგადოდ, ილია ზომიერად ცხოვრობდა, მაგრამ დიეტას არ იცავდა, ეს კი გავლენას ახდენდა მის ორგანიზმზე, საგურამოში ყოფნა ილიას ყოველთვის ძალას

მატებდა. უკანასკნელ ხანებში, უფრო მას შემდეგ, რაც ბანკის საქმეებს თავი დაანება, ცდილობდა უფრო მომეტებულად თავის საყვარელ სოფელში ეცხოვრა.

საგურამოში ილიას სახლის გარშემო ბუნება თანდათან ლამაზდებოდა, ხეებმა ტანი აიყარეს. ილიას კი სიბერე ერეოდა და სიცოცხლის სიამეც უნელდებოდა. ბოლოს მისი ტრაგიკული დასასრულიც მოვიდა. და ზღაპრული, საუცხოო „მწვანე სამოთხე“ ყველამ მიივიწყა, იქითკენ აღარავინ იხედება, მაგრამ ქართული ლიტერატურის ისტორიაში საგურამო მაინც დაიჭერს ღირსსახსოვარ ადგილს.

ილიას პირადი ცხოვრება

ილია ჭავჭავაძე მშვენიერი მოსაუბრე იყო, მაგრამ საზოგადოებაში ლაპარაკი არ უყვარდა და უპირატესობას მხოლოდ მახლობელ წრეს აძლევდა. უფრო სასიამოვნო საუბრები მახსოვს, როცა ორი ან სამი შევიყრებოდით ერთად, ანდა მარტო მე ვიყავი მასთან, რაც საკმაოდ ხშირად ხდებოდა. პირველი გაცნობიდანვე მე და ილია ისე დავუახლოვდით ერთმანეთს, რომ რაც უნდა საჭირო საქმით უნდა ყოფილიყო გართული, მაინც მიმიღებდა. მეც მუდამ სიამოვნებით ვსარგებლობდი ამით. მრავალი წლის განმავლობაში თითქმის ყოველდღე რამდენიმე საათი ვისხედით ერთად და ვსაუბრობდით.

როგორც ყოველი ქართველი ილია საუბრის მოყვარული გახლდათ, მაგრამ თავდაჭერილი და ჭკვიანი კაცი იყო და სხვების ყურის გდებაც უყვარდა.

თითქმის ყოველთვის როცა კი ვეწვეოდი ილია თავის სამუშაო ოთახში ან კითხულობდა, ანდა რამეს აკეთებდა, მაგრამ როცა დამინახავდა, მაშინვე თავს მაღლა აიღებდა, სათვალეს მოიხსნიდა და მზად იყო საუბრისათვის.

ჩვენი საუბარი, რასაკვირველია, უფრო ხშირად ლიტერატურას ეხებოდა, რადგან ილიას ისე არა უყვარდა რა, როგორც პოეზია და საერთოდ მწერლობა.

ქართველი პოეტების შესახებ ილია თუმცა კრიტიკულად, მაგრამ სამართლიანად მსჯელობდა. გულწრფელად უყვარდა რაფიელ ერისთავი და აფასებდა მის „სოფლის სურათებს“, რომლის თემა ახალი იყო ქართულ ლიტერატურაში.

— პოეზია შიგ ცოტაა, მაგრამ ცხოვრების როგორი სინამდვილეა და რამდენი სიმართლეა, — გულთბილი გრძნობით იტყოდა ხოლმე ილია რაფიელის ნაწერებზე.

ილია ვაჟა-ფშაველას ძლიერ მაღლა აყენებდა, მასში ხედავდა ბუნებრიობის ორიგინალურ სიდიადეს, ყოვლისშემძლე ბუნების მიერ გრძნობით დაჯილოდოებულს. ოთხმოციანი წლების დასასრულს ილია ხშირად ბეჭდავდა „ივერიაში“ ვაჟა-ფშაველას ლექსებს და ყოველთვის აღტაცებაში მოდიოდა, როცა ხმამაღლა წაიკითხავდა ან მესაუბრებოდა ვაჟა-ფშაველას ნაწერებზე.

ხშირად, როცა მის სამუშაო ოთახში შევსულვარ, ილია შემდეგი სიტყვებით მომეგებებოდა: კარგი საჩუქარი მაქვს თქვენთვისო და წამიკითხავდა ვაჟა-ფშაველას რომელიმე ახალ ლექსს.

დიდად აფასებდა ბაჩანას ზოგიერთ ლექსს. არ დამავიწყდება ის წუთი, როცა აღტაცებული ილია პირველად კითხულობდა ბაჩანას ლექსებს „მუხას“ და „ბინდი მთაში“. ეს იყო, როგორც მახსოვს 1887 წელს, როცა ილია ბებუთოვის ქუჩაზე ცხოვრობდა და მთელ დროს გაზეთ „ივერიის“ რედაქტორობას ანდომებდა. ამ დროს ილია ძლიერ გატაცებული იყო პოეზიითა და ლიტერატურით და ხარბად ეტანებოდა ევროპის საუკეთესო მწერლების თხზულებებს. მათში გენიალობის, პოეტობის და ჭეშმარიტად მოაზროვნის გამომხარტველად ილიას გოეთე მიაჩნდა, რომელსაც ზოგიერთი მხრით ბაირონსაც კი ამჯობინებდა.

— თქვე ოლომპიელ!.. ოჰ, რამდენი აზრთა და გრძნობათა ძალა ჩანს მასში, — ხშირად უთქვამს ილიას გოეთეს შესახებ.

დიახ, გოეთე ოლიმპიელია, მაგრამ მიკვირს, რომ თქვენ ქართველი, იმას შილერზე უფრო მაღლა აყენებთ! — ვუთხარი ერთხელ ილიას, როცა საუზმის შემდეგ ორივენი აივანზე ვისხედით და არაგვის საუცხოო ნაპირების სილამაზით ვტკბებოდით.

— განა ვერ ატყობ, რომ ჩემს აზრებში ბევრი რამ ინდოევროპულიაო, — მითხრა მან და ხანგრძლივი საუბარი დაიწყო აღმოსავლეთზე.

— აღმოსავლელს არ შესწევს იმგვარი ფილოსოფოსობა, როგორც ის ევროპელს ესმის; — განაგრძლო ილიამ — ადამიანის ცხოვრებას და საგნებზე ცივი, ფხიზელი მსჯელობა, გრძნობათა დაუხმარებლად, მგონია, შეუძლებელია აღმოსავლეთში.

ამ საუბრის შემდეგ მცირე ხანი გავიდა და თბილისში გერმანულად ნათარგმნი ფირდოუსის „შაჰნამე“ წავიკითხე. წაკითხულის ძლიერი შთაბეჭდილებებით შეპყრობილმა ილიას ვუთხარი: ამ პოემაში ბევრი ისეთი ადგილია, რომელიც თავისი ტრაგიზმით შექსპირს მოგვაგონებს-მეთქი.

არა მგონია, მას შეეძლოს შექსპირის ტრაგიზმის სიმაღლის მიწვდომა, — მომიგო ილიამ.

ამაში ნაწილობრივ სიმართლეც იყო, თუმცა ფირდოუსის ღირსება სწორედ ტრაგიკულ ძალაშია, მაგრამ იგი ეპიკური პოეტი იყო და არა დრამატურგი.

საზოგადოდ, ილიას სპარსული პოეზია არ მოსწონდა, ამბობდა, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მან ცუდი გავლენა მოახდინა ქართულ მწერლობაზე, რაღაცნაირი ქალური გულჩვილობა და აზრთა გარყვნილება შემოიტანაო.

ამიტომ ილიას არ უნდოდა, რომ ქართველი მწერლები სპარსულ მწერლობას დაწაფებოდნენ. პირიქით, მას სურდა ქართული ლიტერატურა აღმოსავლეთის გავლენისაგან გაეთავისუფლებინა. ამას თვითონაც უწყობდა ხელს. იგი არა მარტო ლიტერატურის, არამედ საზოგადოდ, ცხოვრების ევროპიზაციის მომხრე იყო... თავად კი, მიუხედავად ევროპული განათლებისა სულით და გულით მუდამ ქართველი დარჩა.

1900 წელს, როცა ილიამ, გერმანია და ავსტრია მოიარა, დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა და უკვირდებოდა გერმანელების ცხოვრებას და კულტურას. ყურადღებას აქცევდა ყველა წვრილმანს, მაგრამ ღვიძლი სამშობლო, საქართველო ყოველთვის ძლიერ იზიდავდა თავისკენ. უცხოეთიდან დაბრუნებული ილია, თბილისს რომ უახლოვდებოდა, ისე მოიხიბლა საყვარელი ქალაქის ხილვით, რომ თვალზე ცრემლი მოადგა. ამას ილია სრულიად მოურიდებლად მიამბობდა ხოლმე და თან დასძენდა: ყმაწვილობაშიაც გამომიცდია სამშობლოს მოშორებით გამოწვეული ნაღველი, მაგრამ ისე ძლერ არა, როგორც ეხლა, მოხუცებულობის ჟამსო.

როგორ უყვარდა ილიას თავისი მშობლიური კუთხე, — ყვარელი, ეს სხვათა შორის იმ მოთხრობიდან და ლექსებიდანაც ჩანს, რომლებშიაც დიდი აღტაცებით და მომხიბლაობითაა აღწერილი ალაზნის მშვენიერი ველი.

არა ნაკლებ უყვარდა ილიას საგურამო, სადაც სამოცდაათიან წლებში მან ერთი მშვენიერი ადგილი აირჩია სამოსახლოდ, ეს საუცხოო კუთხე ილიას საყვარელი საზაფხულო ადგილი იყო, სადაც იწვევდა არა მარტო ურიცხვ ქართველებს, არამედ უცხოელებსაც. ისინი ისევე, როგორც თვითონ ილია, აღტაცებულნი იყვნენ ტყეში ჩაფლული არემარეთი და მისი საუცხოო სანახაობით. არაერთ უცხოელს აუწერია საგურამო და სტუმართმოყვარე ქართველი პოეტის სახლში გატარებული დრო.

საგურამოს ვრცელი აღწერილობა მიუძღვნა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა კარლ ლემან-ჰაუპტმა თავის კაპიტალურ შრომაში; „რმენიენ ეინსტ უნდ იესტ“. აქ სხვათა შორის, აღწერილია მისი მოგზაურობა კავკასიაში. მეც ჩემს ორ წიგნში საკმაოდ მაქვს დასურათებული ეს უმშვენიერესი კუთხე, სადაც მრავალი ზაფხული გაუტარებია განსვენებულ ილიას.

ილიას გარეგნობა და ხასიათი

დრო მიდის და ამასთან ერთად ილიას ცხოვრების სურათებიც თანდათან ქრება, ისინი ჯერ კიდევ არ არიან შესაფერისად აღწერილნი, რადგან ასეთი რამ მხოლოდ მხატვრებსა და პოეტებს ძალუძს. ვიდრე ისინი გამოჩნდებოდნენ, საჭიროა მასალების მოგროვება. ოც წელზე მეტ ხანს თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი ილიას, მრავალი საინტერესო რამ მაქვს დაგროვილი და ყოველივე ეს მინდა გავუზიარო მკითხველს. მაგრამ უნდა ვაღიარო, ჩემი მოგონებანი მოკლებულია კავშირსა და ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას.

პირველი შეხვედრის დროს ილია ვერ ახდენდა მნახველზე ისეთ შთაბეჭდილებას, როგორსაც, ჩვეულებრივ, პოეტისაგან მოველით. მის კეთილშობილურ სახეზე არ იხატებოდა თვალთა პოეტური ბრწყინვალება, სხვა პოეტებსა და მხატვრებს რომ აქვთ ხოლმე, მაგრამ ილიას თვალთაგან გამოკრთოდა ნათელი არაჩვეულებრივი ჭკუისა. დიახ, ილია მნახველზე მტკიცე ჭკუა-გონების პატრონის შთაბეჭდილებას სტოვებდა, თუმცა

პოეტობისას ვერას შეამჩნევდა კაცი პირველ შეხვედრაზე. ილიას აკლდა სიმკვირცხლე და კისკასი ტემპერამენტი, როგორც ეს, ჩვეულებრივ, სხვა პოეტებს აქვთ. გატაცება მასში მხოლოდ ნელ-ნელა იჩენდა თავს. ილია ჩვეულებრივ, მშვიდი იყო, გარეგნულად მაინც, რადგან იშვიათი უნარი ჰქონდა თავშეკავებისა. ძლიერ გულამღვრეულიც რომ ყოფილიყო, მაინც დამშვიდებული გეჩვენებოდათ; ხოლო ვინც დაახლოებით იცნობდა, ილიას თვალებში შეეძლო ამოეკითხა, რა ხდებოდა მისი სულის სიღრმეში.

ილია მშვიდი და თითქმის აუღელვებელი იყო, იგი სხვების მიმართ არ ამჟღავნებდა თავის ძლიერ გრძნობებს, თავდაჭერილი იყო როგორც სიამოვნებაში, ისე მწუხარებაშიც, ხასიათის ამ თვისებებით ილია გოეთეს მოგვაგონებს, რომლის პოეზიაც მას ძლიერ მოსწონდა და უყვარდა.

ილია მისალმების დროსაც ზედმეტს არაფერს იტყოდა, მანილოსნებთანაც კი ზომიერი იყო, მათდამი განსაკუთრებულ ლტოლვას არ უკარნახებდა მისი ზრდილი და ფაქიზი გრძნობა. ილია არც ყმაწვილობაში იქნებოდა ქალების თავდაუჭერელი მოტრფიალე. იგი ყოველთვის ჭკვიანი იყო და საკუთარ ღირსებასაც მაღლა აყენებდა. ილია არ ცდილობდა იაფი საშუალებით გავლენა მოეხდინა გარშემო მყოფებზე.

მისი ჭკუა და ძლიერი ნება გრძნობას მუდამ იმორჩილებდა და ამ მხრივ არასოდეს უღალატია თავის თავისთვის, ამიტომ, შეიძლება ვთქვათ, რომ ილიამ თავისი როლი, რაც ყმაწვილობაში წილად ხვდა, ძლიერ კარგად შეასრულა. მეგობრული საუბრის დროს ხშირად მეუბნებოდა, ვგრძნობ ჩემს ნაკლსა და ვწუხვარ, რომ გამოსწორება არ შემიძლიანო. მისი აზრით, საკუთარი ნაკლი ზოგადქართული იყო; მის დაოკებას შეძლებისდაგვარად ცდილობდა. მოხუცებულობაში, როდესაც ნებისყოფა მოუდუნდა, ხასიათისა სისუსტეც აშკარად შეეტყო...

ილიასათვის უცხო იყო წოდებრივი სიამაყე: ყველას უბრალოდ და მეგობრულად ეპყრობოდა, და თუკი დასჭირდებოდა ვინმესთვის თავისი უპირატესობა ეჩვენებინა, ამას თავისი მახვილი აზრითა და სწორი მსჯელობით ახერხებდა.

ამ მხრივ ილია საკმაოდ მგრძნობიარე იყო. თუ თავისი აზრი საფუძვლიანად მიაჩნდა, ენერგიულად იცავდა და ადვილად არავის დაუთმობდა, მაგრამ სხვის აზრსაც ხალისით მოისმენდა, თუკი საქმე მისთვის უცნობ საგანს შეეხებოდა.

უკანასკნელი დღეები ილია ჭავჭავაძისა

21 აგვისტოს საგურამოში რომ მივედი, არ მიფიქრია, რომ უკანასკნელად ვნახავდი ჩემს ძვირფას მოხუცებულ მეგობარს და ამით გათავდებოდა ჩვენი ხანგრძლივი, ნათელი და შეურყეველი მეგობრობა... იმ დღეს მზე მხიარულად ანათებდა საგურამოს მთებს, ტყესა და ბაღებს, მყუდრო სახლი ალერსით გამოიყურებოდა მწვანე ხეებში.

მეგობრული ღიმილით მომეგება ილია და ჩვეულებრივად მკითხა, რამდენი ხნით მეწვიეო, ხანმოკლე სტუმრობა არ უყვარდა და ხშირად უფრო მეტი ხნით დარჩენა მომიხდებოდა ხოლმე, ვიდრე ვფიქრობდი.

ილია დაღონებული იყო, ჯანის სისუსტესა უჩიოდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დატრიალებულ ამბებზე ფიქრობდა.

საზოგადოდ, ენერგიის სისუსტე და ის სიფიცხე შევამჩნიე, რაც მოხუცებულობას სჩვევია, შევნიშნე აგრეთვე, სხვასთან ყოფნის და ლაპარაკის წინანდებური ხალისი აღარ ჰქონდა. ხანდახან საღამოობით აივანზე დიდხანს იჯდა გაჩუმებული. უწინ ჩემი ერთი მხიარული სიტყვა გაართობდა ხოლმე, ახლა კი ამაო იყო ყოველი ცდა. ჩემი უკანასკნელად ყოფნისას მთელი ექვსი დღის განმავლობაში ვეღარ ვნახე ღიმილი მის სახეზე. ცოტა გავისეირნოთ, - ვუთხარი ერთ საღამოს, –მოციონი ძალიან სასარგებლოა – მეთქი.

– რაღა უნდა იყოს სასრგებლო, როცა ორიოდე წლის სიცოცხლეღა დამრჩენია, მიპასუხა ილიამ ჩაფიქრებით.

დიახ, ვერ ვიცანი ილია, აღარ იტაცებდა ბუნება, აღარ ართობდა საუბარი და ერთხელაც აღარ აღარ ამოუღია ხმა მწერლობის შესახებ, მისი სულიერი განწყობილების ზეგავლენით მეც დავკარგე მხნეობა. მაგონდებოდა გარდასული დრო და მასთან ერთად ჩემი მეგობრული ურთიერთობის სიცოცხლე. რა ნათელი იყო ეს დრო! ვრცელი საუბრები პოეზიისა და მშვენიერებათა შესახებ, საქართველოსა და მის წარსულზე, აწყმოსა და მომავალზე! საუბრები, რომელშიაც ბრწყინავდა ილიას მდიდარი სული, – როგორ ავღწერო ეს ყველაფერი!.. ჩემთვის დღესასწაული იყო, როცა ვესაუბრებოდი მას და ერთმანეთს აზრებს ვუზიარებდით. მაგრამ არა მარტო მისი მდიდარი აზრების პოეტური თვისება მხიბლავდა, მხიბლავდა ასევე მისი ჰუმანური შეხედულება კაცობრიობის შესახებ, განა ილია ჭავჭავაძემ არ დატოვა „კაცია-ადამიანი?!“ და „გლახის ნაამბობი“.

ის აზრი და გრძნობა, რომელმაც ეს მოთხრობები დააწერინა, მისი ორმოცდაათი წლის

საზოგადოებრივი მოღვაწეობის საფუძველი და დევიზი იყო უკანასკნელ დღემდის. მას ამისათვის არ უღალატნია, მაგრამ ბოლო დროს ხშირად ხმარობდა სიტყვა „უმადურობას“. მეტად მძიმეა ყველა ამის შესახებ ლაპარაკი...

27 აგვისტოს, დილით, ილია, მისი მეუღლე და მე ეტლით თბილისში წავედით. ღრუბლიანი დილა იყო, ჩვენი წამოსვლის შემდეგ დიდი წვიმაც მოვიდა. ეტლს ჩარდახი არა ჰქონდა, ყველანი დავსველდით და წვიმამ ძალიან შეგვაწუხა.

იმ ადგილას, სადაც სამი დღის შემდეგ საშინელ მკვლელობა მოხდა, გზის ორივე მხარეს თხელი ტყეა. იქ რომ გამოვიარეთ, ტანში ჟრუანტელმა დამიარა, თუმცა მაშინ ფიქრადაც არ მქონია რაიმე უბედურება: ილია ხომ ჩვენთან იყო, როგორ წარმოვიდგენდი, რომ მოხუც პოეტს, ქართველი ხალხის სიამაყეს, ხელს შეახებდა ვინმე? ილია ჩემ პირდაპირ იჯდა ჩაფიქრებული. ერთხელ თუ ორჯერ თქვა, გაციების მეშიანიაო. ოლღას ფერი არ ედო, დაღონებული იყო. საზოგადოდ, უკანასკნელად მოწყენილად ვიმოგზაურეთ. როცა რკინიგზის გვიზიდავდა. მაგრამ ხშირად ისტორია და სხვა და სხვა ერთა ცხოვრებაც იყო ჩვენი საუბრის თემა.

მე და ილიას ძლიერ გვიყვარდა მოგზაურობის აღწერილობანი, მეტადრე თუ ამ აღწერილობათა ავტორი ნამდვილად დაკვირვებული კაცი იყო. გარდა ამისა, რომ მოგზაურობათა აღწერილობის კითხვა მიყვარდა, მომივლია კიდეც მრავალი საინტერესო ქვეყანა, ამ დარგში ყოველთვის მოულეველი სასაუბრო მასალა გვქონდა. ილია ძლიერ სწუხდა, რომ თავის სიცოცხლეში ცოტა იმოგზაურა. მართლაც ილიას ყმაწვილობის დროს ქართველები, საზოგადოდ, იშვიათად თუ მიისწრაფოდნენ უცხოეთში. ამას, ერთი მხრივ, ენის უცოდინრობაც უწყობდა ხელს. ამ ნაკლს ილია თავის თავსაც ამჩნევდა და სინანულით უყურებდა იმათ, ვინც უცხო ენები იცოდა. ენა, — იტყოდა ილია, — ხალხის გონებრივი და ზნეობრივი საუნჯის გასაღებია. რომელიმე ენის შესწავლა მხოლოდ იმას შეუძლიან, ვინც მისი ენა იცისო.

ილიას ძლიერ იზიდავდა აგრეთვე ენების ფსიქოლოგია და ხშირად ამბობდა ქართულ ანდაზებს, რომლებშიც ისახებოდა ქართული ხასიათი და ქართველი ხალხის სული. გლეხების უბრალო საუბარში ხედავდა ხალხის ფსიქოლოგიას და მსოფლმხედველობას. იმიტომაც უყვარდა ილიას გლეხებთან საუბარი. საგურამოში მთელი საათობით ესაუბრებოდა გლეხებს და აღტაცებული რჩებოდა მათი ხატოვანი ენით. საერთოდ, ილიას გლეხთა ცხოვრება პოეტურ წარმოდგენათა და აზრთა სალაროდ მიაჩნდა და დიდი ხალისითაც კითხულობდა ყველაფერს, რაც კი ამ წყაროდან გამომდინარეობდა. მაგალითად, რაფ. ერისთავის, ვაჟა-ფშაველას, ბაჩანას და თედო რაზიკაშვილის ლექსებს, ნიკო ხიზანიშვილის მიერ შეკრებილ ხალხურ ლექსებს, პეტრე უმიკაშვილის გამოცემულ ხალხურ ანდაზა-გამოცანებს და სხვა. ვაჟა-ფშაველას ლექსებს ილია აღტაცებაში მოჰყავდა. როცა კი ვაჟა დასაბეჭდად გამოგზავნიდა რაიმე ახალ ლექსს, ილია მაშინვე მიზიარებდა თავის აღტაცებასა და მაცნობდა ფშაველი მგოსნის ახალ მარგალიტს.

ილია და ვაჟა-ფშაველა „ივერიის“ რედაქციაში

ვაჟა-ფშაველაში ილია ხედავდა ძველი დროის მთელი ქართველობის პანთეისტურ რწმენათა და შეხებულებათა განხორციელებას. ილიას აკვირვებდა ვაჟას ბუნებისადმი ძლიერი გრძნობა. თვითონ ილიამ ვერ შეძლო ვაჟასებრ ჩაწვდომოდა ბუნებას, თუმცა ბუნება ილიასაც ძლიერ უყვარდა და ცდილობდა მისი არსით განსჭვალულიყო.

ერთხელ, როცა საგურამოში ვაპირებდი წასვლას, ილიამ მითხრა, თან მომყავს მესამე მეგობარი, რომელიც ძლიერ გაგვართობსო. ეს მესამე მეგობარი აღმოჩნდა გერმანელი ბიზეს „ბუნების შეგრძნების განვითარების ისტორიის“ თარგმანი, რომელშიც ავტორი გვიმტკიცებს, როგორი ნელი ნაბიჯით უვითარდებოდა ადამიანს ბუნების შეგრძნება, როგორ ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ძველი თაობები ბუნების სიმშვენიერეს და ამ გრძნობას მოკლებულნი რამდენ სიამოვნებას ჰკარგავდნენ. ამ მშვენიერსა და საუცხოო წიგნს მე და ილია ვკითხულობდით საგურამოში, სადაც ბუნება მდიდარია და სადაც ტყე და მთა ალერსიანად ხიბლავს თვალს. ეს იყო გაზაფხულზე, საღამოობით, როცა ბაღებიდან და ტყიდან ბულბულთა მშვენიერი სტვენა საამოდ ეფინებოდა არემარეს.

— არა, ძველ ხალხს არ განუცდია ნამდვილი ბედნიერება,-რამდენად სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს ბუნების ცხოვრება და მისი სურათების მშვენიერება ყველა ეს ჩვენი წინაპრებისათვის არაფერი იყო: მათ არ შეეძლოთ ბუნებასთან საუბარი.

— დიახ, ილიას უყვარდა ბუნებასთან საუბარი, უყვარდა ოცნება, როცა ბუნების სიმშვენიერეს შეჰყურებდა და ამაში იმდენ ბედნიერებას პოულობდა, რომ ძლიოერ უხალისოდ შორდებოდა ამ პასიურ ჭვრეტას.

ილია ღრმა მოხუცებულობაში ბევრს კითხულობდა არა მარტო ლიტერატურულ თხზულებებს, აგრეთვე სამეცნიერო შრომებსაც. მისი ცოდნის სალარო ძლიერ მდიდარი და მრავალფეროვანი იყო. ყველაფერი აინტერესებდა რაც კი კაცობრიობას ეხებოდა. ქებას უძღვნიდა გოეთეს უნივერსალურ ცოდნას.

თანამედროვეებს ილია კარგათ იცნობდა და ხშირათ ახასიათებდა: ილიამ იციდა მათი მისწრაფებანი და სუსტი მხარეებიც. ეს მის საკუთარ თვისებასაც შეადგენდა. ცოდნით კი მათგან ილიას ვერავინ შეედრებოდა.

ოთხმოციან წლებში პეტრე უმიკაშვილი თბილისის უძველეს ნაწილში, ანჩისხატის ტაძარის მახლობლად ცხოვრობდა. სიძველეთა ძეგლების სიყვარულის გამო ილია ხშირად აქებდა პეტრე უმიკაშვილს. ილია პატივს სცემდა აგრეთვე ნიკო ხიზანიშვილს იმ შრომისათვის, რომელიც მან საქართველოს სიძველეთა გამოკვლევას უძღვნა. ნიკო ხიზანიშვილი ილიას თავისი ხუმრობით ხშირად ართობდა, თუმცა ზოგჯერ ილიასაც გაკენწლავდა ხოლმე. ნიკო ხიზანიშვილი მღვდლის შვილი იყო და ამით თავი მოჰქონდა. ის ხშირად აღიზიანებდა ილიას თავადური წარმოშობის გამო. ამ ენამოსწრებულობას ილიაც ღიმილითა და ხუმრობითვე უპასუხებდა. არც ერთი შემთხვევა არ მახსოვს, რომ ილიას გული მოსვლოდეს ნიკო ხიზანიშვილის მწარე ოხუნჯობაზეც კი.

ილიას მაინც და მაინც არ უყვარდა ზოგიერთი ახლად შემოღებული რამ, უპირატესობას ძველს, თუნდაც უხერხულს აძლევდა, თუკი მას რაიმე სილამაზე ჰქონდა და წინაპართა ცხოვრებას მოაგონებდა. მაგალითად, ეტლით სიარული უფრო მოსწონდა, ვიდრე რკინიგზით: როცა თავისუფალი დრო ჰქონდა, თბილისიდან საგურამოში მუდამ ეტლით დადიოდა. — ახდილ ეტლში, ზომიერი სიარულის დროს მთელი არემარე და ბუნების სურათები სხვადასხვაგვარად გეშლება თვალწინ, ვიდრე რკინიგზის ვაგონიდანო, - ბევრჯერ უთქვამს ილიას საგურამოში ჩვენი ხშირი მოგზაურობის დროს.

ილიას გზის მრავალფეროვანი სანახაობები და სურათები მოსწონდა. მუდამ კმაყოფილი იყო, როცა მისი ოთხი თეთრი ცხენი წყნარი ნაბიჯით მიდიოდა მზიან გზაზე. სიამოვნებასა ჰგვრიდა მცხეთის არემარე, ვერცხლისფრად მოელვარე არაგვი და საგურამოსა და ზედაზნის მთები. მას ძლიერ უყვარდა ეს ისტორიული ადგილი, აკვანი საქართველოს ქრისტიანობისა. მოგზაურობის დროს ყოველთვის მიამბობდა ხოლმე ამ ამბებთან დაკავშირებულ ისტორიულ ამბებსა და ლეგენდებს.

პოეზიისა და სიტყვაკაზმული მწერლობის სიყვარულმა იმდენად შეიპყრო ილია, რომ დრამატული ხელოვნების, მუსიკისა და ხელოვნების. სხვა დარგებისათვის დრო არ რჩებობდა, თუმცა ხელოვნების ამ დარგების შესახებაც კითხულობდა თხზულებებს, თუკი ისინი ნიჭიერად იყო დაწერილი.

დიდებული დრამატურგების-შექსპირისა და შილერის წაკითხვას მეტ უპირატესობას აძლევდა, ვიდრე მათ წარმოდგენათა ხილვას სცენაზე. სიამოვნებით ისმენდა ქართული თეატრის ირგვლივ გამართულ სჯა-ბაასს, განსაკუთრებით თუ პიესა ქართველი ყოფის გამომხატველი იყო. ილიას უფრო სასცენო ტიპები აინტერესებდა. შეძლება ითქვას, ამ შემთხვევაში მის ყურადღებას უფრო ყოფა-ცხოვრების გამომხატველი ტიპიური მხარე იზიდავდა, ვიდრე თვითონ დრამატული ხელოვნება.

ილია მხატვრობას უფრო ნაკლებად იცნობდა, თუმცა ხალისიანად კითხულობდა დიდი მხატვრების ბიოგრაფიებს და მათ ქმნილებებს. უყვარდა ლამაზი, ისტორიული სურათები, რომლითაც დამშვენბული იყო ილიას სამუშაო კაბინეტი თავისი დის ელისაბედის სახლში. ეს ქართული ისტორიული სურათები ილიამ საგანგებოდ დაახატვინა მხატვარ გოგი გაბაშვილს. ილია ხშირად სტკბებოდა ამ სურათების ცქერით და ქებით იხსენებდა გოგი გაბაშვილს, ამ თავისებურ, ნაყოფიერ მხატვარს. რა იცოდა მაშინ ილიამ, რომ გარდაცვალების შემდეგ გიგო გაბაშვილი მის სურათს დახატავდა, რაიც გიგომ ილიას სიცოცხლეში ვერ მოახერხა.

ილიას უყვარდა ქართული სიმღერები და როცა საგურამოში თავისი სახლის აივანზე ჩამოჯდებოდა, სიამოვნებით უგდებდა ყურს ბაღში მომუშავე გლეხების სიმღერას. ილია რომ მართლა ძლიერ გრძნობდა ხალხური სიმღერების სიმშვენიერეს, იმ მომხიბვლელ ლექსებში ჩანს, რომელშიც აღწერილია ალაზნის ველი, სადაც ურემი —

მოჭრიალებდა, გზას აღვიძებდა
და ნაღვლიანად მასზედ მეურმე
მწუხარ სიმღერას დაჰღუღუნებდა.
ღუღუნი იგი ჩამრჩენია გულს,

მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს,
უკუ ჰყრის კიდეც ვით ღრუბელს ქარი.

თვითონ ილია არსოდეს არ მღეროდა. ძლიერ იშვიათად თუ მინახავს, როგორც სხვებს სჩვევიათ ხოლმე, რომელიმე საყვარელი ჰანგი თუნდაც დაბალი ხმით ემღეროს. მაგრამ მას განსაკუთრებით უყვარდა ზოგიერთი ჰანგი.

80-იან წლებში პროფესორმა ილია ოქრომჭედლიშვილმა ილიას აჩუქა ლამაზი, ავტომატურად მოსამართავი საკრავი. ეს საკრავი ილიას ყოველ ზაფხულს საგურამოში მიჰქონდა და მთელი საათობით ისმენდა მის ხმას. ბოლოს, თავისი სიცოცხლის მიწურულში, ერთი ქართული სიმღერა შეუყვარდა, ხშირად მოიწადინებდა ხოლმე მის დაკვრას გრამაფონზე. ეს სიმღერა ასე იწყება:

სული მიწუხს,
გულიც მასთან ღონდება;
თვალს ავახელ –
ცრემლები არ მშორდება... და სხვა.

ამ სიმღერის ნაღვლიანი კილო, რაც თავადაც ძლიერ მომწონდა, ისე გაუჯდებოდა გულში ილიას, რომ რამდენჯერმე უნდა გაემეორებინა ზედიზედ. როცა ილია ამ სიმღერას ისმენდა ან იჯდა ან ჩაფიქრებული იდგა, ამ დროს სახეზე რაღაც იდუმალი მწუხარება ეხატებოდა, მიხვდებოდით, ილია მოხუცებულობას გულისტკივილით გრძნობდა. ენანებოდა, რომ მისი საამქვეყო სიცოცხლე მთელი თავისი მშვენიერებით დასასრულს უახლოვდებოდა.

ერთ შემოდგომის კვირას, ნასადილევს, ჩვენ ორივე ბინდით მოცულ ოთახში ვისხედით. ჩემმა მოწაფემ დავითმა გრამაფონი მომართა, რომ საყვარელი სიმღერა ,,სული მიწუხს" დაეკრა. ილიამ უცბათ მითხრა: ჩვენ ორივეს გვიყვარს ეს მშვენიერი ჰანგი, ორივეს ძვალ-რბილში გაგვიჯდა და ამიტომ შეიძლება ეს ჰანგი გახდეს შენთვის საუკეთესო საშუალება ჩემს მოსაგონებლად. ჩემი სიკვდილის შემდეგ ხშირად იმღერეთ ეს ჰანგი და მაშინ, უეჭველად მოიგონებთ თქვენს მეგობარს და იმ მშვენიერ დღეებს, რომლებიც ერთად გაგვიტარებიაო. ილიას მოსაგონებლად, რასაკვირველია, ეს ჰანგი ჩემთვის არ არის საჭირო, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ თითქმის ყოველდღე რამდენჯერმე დაბალი ხმით ვმღერი და ამასთან ერთად ვიგონებ ილიას მწუხარე სიტყვებსაც.

მახსოვს კიდევ სხვა სიტყვებიც, რომლებიც თითქმის სიკვდილის მოახლოვების წინათგრძნობას მოასწავებდა. ილიას სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე საგურამოში ვიყავი, სადაც ილიას მაშინდელი მეფუტკრე მებაღეობასაც მისდევდა. სწორედ იმ დღეებში დაემყნო მრავალნაირი ხეხილი. ერთ დილას ილიამ მეფუტკრეს სთხოვა, დამყნილი ხეები ენახა. ჩვენც წავედით ბაღში. მეფუტკრემ სათითაოდ გვიჩვენა ნამყენი და აგვიხსნა, რა ჯიშის მსხალი და ვაშლი დაემყნო. აქებდა ხილის კარგ თვისებას. ბოლოს როცა გაათავა, ილიამ გაიღიმა და უთხრა: ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ნუთუ გგონიათ, ამ ნამყენების ნაყოფს მოვესწრებიო? ცოტა რომ მოვშორდით, ილიამ ჩუმად მითხრა: „საკვირველი კაცია, არც კი დაფიქრებულა, რა ცოტა ხნის სიცოცხლე დამრჩენია".

ეს სიტყვები ილიამ ნელი და ნაღვლიანი ხმით წარმოსთქვა. შევხედე, მწუხარე სახე ჰქონდა! მოხუცებულობის დაღი ისე არასოდეს დასტყობია, როგორც ამ დილას, როცა შემოდგომის დღე აშუქებდა მის სახეს, ხოლო სევდიანი თვალები მოწყენილად გაჰყურებდნენ საშემოდგომოდ გაყვითლებულ ზედაზნის ტყეს.

ამის შემდეგ რაღაც მძიმე წინათგრძნობა მაწუხებდა, ოთხი დღე კიდევ დავრჩი საგურამოში, ღამე ძილი არ მეკარებოდა. ილია ძლიერ დაღვრემილი იყო, ამას უბრალო ოჯახურ უსიამოვნებას ვაწერდი. მაგრამ ფაქტი, რომელიც ილიას მოკვლის შემდეგ რამდენიმე თვის მერე გადმომცა მისმა საცოდავმა მეუღლე ოლღამ, იმის დამამტკიცებელია, რომ ილიას სიკვდილის წინ წინათგრძნობა არ ასვენებდა. იმ საბედისწერო ხუთშაბათს, როცა ილია თბილისიდან საგურამოში ბრუნდებოდა, მეეტლესათვის ჩვეულებრივ ებრძანებინა წიწამურში გაჩერება და ცხენებისათვის წყლის დალევინება. ამას მოუნდა თურმე სულ ათი წუთი. მეეტლე შემჯდარა კოფოზე და უცდიდა ბრძანებას წასულიყო, მაგრამ ილია ჩუმად დადიოდა აქეთ-იქით ჩაფიქრებული და თითქოს წასვლას არ აპირებდა. ოლღა მარწმუნებდა, ილია მთელი საათი ასე დადიოდა, შემდეგ ეტლში ჩუმად ჩაჯდა, ეტლიც გაექანა საგურამოსკენ და თხუთმეტი წუთის შემდეგ ილიაც მოკლესო. რა გრძნობა აკავებდა მას ასე დიდხანს წიწამურში?

დიახ, ბევრი რამ არის ასეთი ცასა და ქვეყანაზე, რაც სიზმრადაც არ მოლანდებიათ ჩვენს ფილოსოფოსებსო, – თქვა შექსპირმა. ილიას თვითონ არ სჯეროდა წინათგრძნობისა, არც ცრუმორწმუნოებისა სწამდა რა, მაგრამ არც ეს ფაქტი და არც მისი სამწუხარო ნაღვლიანობა საგურამოში უკანასკნელად არ შეიძლება სხვა რამეთი აიხსნას, თუ არა წინათგრძნობით.

1922

ილიასთან საუბარი

ილია სასიამოვნო მოსაუბრე იყო, მაგრამ მოუღალავი მოლაპარაკე კი არა, მისი საუბრის სიმშვენიერე ლამაზ ფრაზებში არ გამოიხატებოდა, არამედ ლამაზსა და მახვილ აზრებში. როცა ილია ვინმესთან საუბრობდა, დამშვიდებით ისმენდა მის აზრს, ხოლო როცა მოსაუბრე გაათავებდა თავისას, ილიასაც მზად ჰქონდა მოკლედ მოჭრილი პასუხი. თავის საუბარს ილია ხშირად იუმორით აზავებდა და ზოგჯერ ნაკვესებსაც ჩაურთავდა ხოლმე. იუმორი დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა მას და ხალისიანადაც ისმენდა სახუმარო ლაპარაკს. თვითონაც უყვარდა ხუმრობა არა მარტო გასართობად, არამედ სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ხშირად, როცა ბანკის საქმიანობაში იყო გართული ან „ივერიისათვის“ რაიმე სტატიას წერდა, შევიდოდი მის სამუშაო ოთახში, ავიღებდი გაზეთს ან წიგნს, მოვჯდებოდი კუთხეში და ჩუმად ვკითხულობდი, რომ მუშაობაში ხელი არ შემეშალა. ილია კალამს მაშინვე დადებდა და ღიმილით მოჰყვებოდა ლაპარაკს, სახე გაუბრწყინდებოდა. ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ ჩვენ ხშირად ვერთობოდით საუბარში, სახეზე დაღლილობა და ნაღველი უმალ უქრებოდა. ამ დროს ისვენებდა და რამდენადაც უფრო ვებმებოდით რომელიმე სასიამოვნო საკითხისა და საგნის გამო საუბარში, იმდენად მეტ სულიერ სიამოვნებას ვგრძნობდით ორივე. ილიას ძლიერ უყვარდა ეს საუბრები და რაღას არ შევხებივართ მრავალი წლის განმავლობაში!

ჩვენი უკანასკნელი საუბარი

...ხიდთან მივედით, ამინდი გამოკეთდა და ჩვენც უკეთეს გუნებაზე დავდექით.

დიღმის დუქანში შევისვენეთ, რომ რამე გვეჭამა. ილია აქ ცოტათი გამხიარულდა და ლაპარაკის ხალისიც მიეცა. გამოჩნდა მზე და გაანათა არემარე, სადაც ხშირად ერთად გვივლია. სახელდახელო სუფრას გახალისებულები მივუსხედით და წარსულიც მოვიგონეთ.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი საუბარი, გულითადი საუბარი. იმ დროს, როცა ილია იღიმებოდა, მეგონა, მისი გულიც მისცემოდა ლხენას, თუმცა ძველებური გამბედაობით აღარ.

ერთი საათის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს დავშორდით ოლღას ქუჩაზე.

— ვნახავთ ერთმანეთს! — მითხრა ილიამ.

ადგილს ვერ მოვშორდი, რატომღაც დიდ ხანს გავყურებდი მიმავალს, ვიდრე ეტლი მთლად არ მიიმალა ვერის დაღმართზე... განა წინასწარ გრძნობდა ჩემი გული, რომ ამის შემდეგ ვეღარ ვნახავდი მას, ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა!

მშვიდობით, მშვიდობით, ძვირფასო, დაუვიწყარო მეგობარო!..

მღვდელი ილია
(ნუგზარ) ჩიკვაიძე

გოდება ილიაზე

რა ძნელია, დაფნით მოგდევს,
როცა ერი სანათელოდ,
„მიდიოდე და ფიქრობდე
ეს არ არი საქართველო!“

ლოდებს ანთებს მისტერია
აატირებს ძაძით ვნებებს,
ღრუბლები ცას მისტირიან
და სულს მთისკენ აცილებენ.

მსურდა გზები
მევლო გზნებით
ეს დიდი ხმა არის ქედთა,
ხარ პოეტი მეოცნებე
და ქართველი ხარისქედა.

წყურვილს მთები მომიკლავენ,
ცოტა მომეც, ბევრი მთხოვე,
ჰა, ეს სული, ჩემი მკლავი
მიაჭედე სვეტიცხოველს.

ეს სოფელიც გადამწვარა,
თავს ძირს არ ხრის მაინც ციხე,
თუმც ამჩეხეს და მაწამეს,
ხრმალზე ხელი ვერ ავიღე,

მე ქართული მიწა მსურდა,
მე ვიწვოდი მეტი ცოდვით,
მე ვიდექი წიწამურთან,
შენი მოკვლაც მე ვიცოდი,

გული დარდით დაღალულა,
ცხარე ცრემლში ნაბავს ტყვიებს,
მამავ, ტყვიადახალულო,
ეს მკვლელობა, მაპატიე!..

1986 წელი

წ ი წ ა მ ე შ რ ი

წინაპაპეშრიდან... მოთანმინდამდე

ვაი დაგკარგეთ!.. უღმერთო იყო შენი სიკვდილი!

გოდება ქართველი დედაკაცისა

ილია მოჰკლეს, მოჰკლეს ილია! გესმით ქართველნო!

ილია მოჰკლეს მხეცთ, დაგვინგრიეს ტაძარი. დიდი სისხლით შესვარეს, ნამების გვირგვინი არგეს ჩვენს საფიდელელ მოძღვარ-მგოსანსა! ილია მოჰკლეს, გული გაუპეს, ნაგვართვეს, მოსპეს ჩვენი სიმდიდრე, ამპარტავნება.

ილია მოჰკლეს, გული გაუპეს; გაუპეს ის წყლული გული, ის დიდ-გული და ქართველობის ვაებით ბაღსავსე, რომელიც ორმოცდაათი წელინადი მხოლოდ და მხოლოდ ქართველთათვის იდაგებოდა! ილია მოჰკლეს, მოჰკვეთეს წყარო ნმინდა, შესნყვიტეს მიდრეკანი ცხოველ მყოფელი მისის ბრნყინვალე მჯეკრმეტყველობისა! აღარ გყავს ილია ქართველებო! გჯერათ ეს თქვენ, შეგიძლიათ ამ საშინელ, უღმობელ ამბრს შეეურიგდეთ! შეგიძლიანთ ილია გულიდან მოისხლიტოთ, უიმისოდ ჩვენი არსება ნარმოვიდგინოთ?!

აღარ გვყავს ილია? დიდი ილია! ჩვენი დამამშვენებელი, აღარ გყავს ილია, ჩვენი მქადაგებელი, აღარ გვყავს ილია ჩვენი ბედშავობის ჩამგონებელი, აღარ გვყავს ილია ჩვენი აღმაფრენელი, შარავანდედით მოსილი მგოსანი!?

აღარ გვყავს ილია ლომი, მედგარი, მტრის პირში მდგომი, მოყვრის შემძენი, ქართულის ამბრის და სიტყვიერების მეფე, მეფე-მნერალი, ავტორი იმ შედევრებისა, რომელთა მონყალებით ენა ამოვიდგით, ცხოვრების მიზანი ჩავისახეთ, ჩვენს სულს და გულს ნათელი, გარკვეული იდეალი ავუყვანეთ!

აღარ გვყავს ილია, ის დიდი ილია, რომელზედაც ამპარტავნებით უთითებდით ყველა იმათ, ვინც გაბედავდა და ეჯავს შეიტანდა ქართველთა სულიერს და გონებრივს ძლიერებაში!

აღარ გვყავს ილია, მშვენიერი, მამაცი, გამბედავი, მართლის მთქმელი, სიცრუის და ბინიერების დამორგუნველი!

აღარ გავიგონებთ იმის ტკბილს სიტყვას ქართველთა ლხინში და ელვა-გვირგვინით სავსეს ხმას ქართველის გასაჭირში!

აღარ დავინახავთ მის ცეცხლებით სავსე ბრნყინვალე თვალებს, კაცთა სიდუხჭირით განრისხებულ მშვენიერ ბაგეს?!

ვიტიროთ ილია, ქართველებო, ვიტიროთ, ვივაგლახოთ, თავში ხელი ვიცემთ, ვიჭირისუფლოთ და მის საფლავზედ კავშირი შევკრათ ძმობის, ერთობის, ხალხში მოვფინოთ მისი მცენებანი და მით დავუტკბოთ, დავარნმუნოთ, რომ ერი მისი მომნიფებული არის, რომ ერმა მისმა შეისმინა, მიუხვდა ნათქვამს, ნაფიქრალს, თვით დუმილსაც და როგორც შვილი ერთგული გულში ჩაიკრა და თავის მდუღარენ გულის ნაკვესი ზედ დაანფრქვია.

რომ თაყვანსა სცემს მის ციურ ნიჭსა,
მის ყოველ ნუთსა სიფრთხილით ხარჯავს
და მის აქ ყოფნას ამაოებათ აღარა სახავს!

აკაკი წერეთელი

სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე

„ილიას დამარხვის დღეს, როდესაც ზღვა-ხალხმა ილიას წმიდა გვამი გამოატარა იმ სახლთან, სადაც მაშინ ავადმყოფი აკაკი იწვა, გულდათუთქული აკაკი ლოგინიდამ წამოიწია: ცხედარი დამანახეთო.

ორმა მხლებელმა ხელი მოსჭიდეს ავადმყოფს და ბალკონზე გაიყვანეს თავშიშველი თმაგაწეწილი აკაკი.

ეს ზღვა ხალხი შედგა, სმენად იქცა.

აკაკიმ თავზე ხელები შემოიკრა და შესჩივლა ცხედარს:

ეს რას ვხედავ? რათ მიღალატე, ძმაო: ერთ უღელში ვებით, ჭაპანს ერთად ვეწეოდით, ახლა უღლიდან თავი გამოგიშვია, მარტო დაგიგდივარ გრცხვენოდეს! ახლა ცალიღა რის მაქნისი ვარ; რატო თან არ წამიყვანე? რად გამეყარე?...“

აკი დღეს ისევ შეყრილან ეს ორი უკვდავი გმირი უკვდავ ქვეყანაში, გაბრწყინებულნი, გამარჯვებულნი, დაგვირგვინებულნი, ერის საუკუნო ხსოვნითა.“

თედო ჟორდანია,
თხზულებათა კრებული.

ახალ მოძრაობის წინამორბედი, მაგრამ საწაღმართოსი და არა საუკუღმართოსი, დღეს უკუღმართად მოკლული, ძევს კუბოში ჩვენ წინ და, თითქოს გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთო“? გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს თავის გასამართელებელი საპასუხოდ ვერა მოგვიხერხებია რა!.. და მეც, როგორც ქართველს, მწუხარების გარდა, სირცხვილიც ენას მიბამს, ვეღარას ვამბობ და გადავდივარ საპირადოზე: მშვიდობით ძმაო! – გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარ საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით; ერთი გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტოდ დარჩენა, დაობლება საძნელოა, მაგრამ ეჰ, არ ღირს პირადობაზე რაიმეს თქმა და ისიც ჩვენში დღეს!..

შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ, ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავის-თავად იღაღადებენ. იმათ ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა ვეღარც – არას დააკლებს და ვეღარც რაიმეს მიუმატებს!! თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარ ნახავ! როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილიც შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა და აჰას საქართველოს ყოველ კუთხიდან თავმოყრილნი გეხვევიან გარს!..

და ვინ იცი, ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე... ერთობას, თანასწორობას, ძმობას და სიყვარულს!

მშვიდობით ძმაო!

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!..

1907

იაკობ გოგებაშვილი

„თვით იაკობ გოგებაშვილი, ეს ერთგული მოამაგე ქართული სკოლისა, ეს დაუღალავი გუშაგი ქართული ენის ხელშეუხებლობისა, ი. გოგებაშვილი, რომელსაც ჭკუაც მოსდევდა და კალამიც კარგად ემორჩილებოდა, ესეც კი ილიას მიაშურებდა და ეტყოდა: გაგვიძეხ, ბერო მინდიავ! კარს საფრთხე მოგვდგომიაო, გასრესას, გათელვას გვიპირებენ, ენას პირიდგან გვგლეჯამენ, შენ უნდა გვიხსნა ამ განსაცდელისაგან, შენ უნდა ამოიღო შენი ძალუმი ხმაო. ილია დინჯად მოუსმენდა ყველას, მასალას შეაგროვებდა, შეისწავლიდა, თავის გამჭრიახ გონების ცხრილში გაატარებდა საგანს ისე გააშუქებდა ყოველ მხრივ, პედაგოგიკის ისეთს ღრმა ცოდნას გამოიჩენდა, რომ თვით სპეციალისტებს უკვირდათ, ესე ზედმიწევნით როგორ შეუთვისებია ჩვენი მეცნიერებაო. ასეთი საგზლით შეუდგებოდა გზას და ბრძოლის ველიდან ძლეული არ დაბრუნდებოდა“.

ი. მანსვეტაშვილი.

საარაკო სინამდვილე და საიუბილეო ოცნება

გათავდა საქართველოს დედა-ქალაქში — ცხოვანს თბილისში — დიდებული ნახევარსაუკუნის იუბილე სახელოვანის მგოსნის და მხურვალე მამულიშვილის აკაკისა. დასრულდა სამაგალითო კულტურული დღესასწაული მთელის ქართველისა ერისა. დაზავდა აბობოქრებული ზღვა ძლიერ ეროვნულთა და კულტურულთა გრძნობათა, და ამ ღამის პირველ საათზე თეატრიდან გავემართე ჩემი სადგურისაკენ.

„კარგია, რომ ჩემი წინადადება-მაისისათვის იქნას გადადებული აკაკის იუბულე მეთქი, არ იქნა შეწყნარებული, თორემ თუ ასეთ ყინვაში ამ იუბილემ დააყენა გრძნობათა ტროპიკული ატმოსფერო, ცხელს მაისში ცეცხლს წაუკიდებდა თვით ცასა მეთქი“, ვუთხარი ერთს ჩემს თანამოგზაურსა.

აღსავსე მრავალი საინტერესო შთაბეჭდილებით, მე ნელი ნაბიჯით მივდიოდი წინ, თითქოს მეზარებოდა განშორება იმ ადგილისა, სადაც მოხდა სასიქადულო აქტი მთელის ჩემის სამშობლოსათვის.

მე ღრმა სიამოვნებას ვგრძნობდი იმის გამო, რომ ჩვენმა ერმა, უკიდურესად შევიწროვებულმა ყოველი მხრით, შესძლო ღირსეულად დაეჯილდოვებინა ზნეობრივად მაინც თავისი ღირსეული შვილი. მე აღტაცებაში ვიყავი იმის გამოც, რომ ჩვენი სათაყვანებლის მამულიშვილის გარშემო შემოიკრიბა თავის წარმომადგენელთა სახით მთელი ქართველობა სრულიად და სავსებით, - ქართველობა საქართველოსი, რუსეთისა, ევროპისა, ოსმალეთისა, სპარსეთისა, ციმირისა და ყველა სხვა მხრისა, სადაც მოიპოვება მცირედი რიცხვი ქართველთა... დიახ, შემოიკრიბა მთელი ქართველობა ერთი ღრმა გრძნობით და ერთი მაღალი მისწრაფებით განმსჭვალული და აღვსილი. ამითი მან, ქართველობამ, ყველასათვის, მთელი დუნიისათვის ცხადჰყო, რომ იგი შეადგენს ორგანიულს ერთეულს, ნამდვილ ერსა, ნაციასა, და სავსებით გააცურა იმათი აზრი, რომელიც ამბობენ, ვითომც ქართველობა მარტოოდენ უკულტურო თემთა მექანიკური კრებაა და სხვა არაფერი.

ქართველობის ამ კულტურის ერთიანობას, ნაციობას კვერი დაჰკრეს, თავისი ბეჭედი დაასვეს სხვა — და — სხვა ერის წარმომადგენლებმაც: რუსებმა, სომხებმა, თათრებმა, პოლონელებმა, ნემეცებმა, ურიებმა, ოსებმა და სხვებმა, რომელნიც კეთილშობილურად ეჯიბრებოდნენ ქართველებს სიყვარულისა და პატივისცემის გამოცხადებაში სახელოვან იუბილრისა და თვით ქართველი ერისადმი.

მაგრამ ჩემს უღრმეს კმაყოფილებას ერთი რაღაც გამოურკვეველი ნაკლი ამცირებდა, ასუსტებდა. ეს ნაკლი შავი ყორანივით ჩამჩხაოდა გულში და ნეტარებაში ნაღველს ურევდა. მივედი ჩემს სადგურში და სავარძელში მოთავსებულმა თავი მივეცი ტკბილ-მწარე ბურანსა.

უცებ ხელახლად გავჩნდი თეატრში, და ვიხილე უნეტარესი სურათი. აკაკის დიდებული რაინდული სახე მიეღო და აშლილს საზოგადოებას ეუბნებოდა: ერთ წამს,ხოლოდ ერთ წამს კიდევ მოითმინეთ. ცოდოა, დიდი ცოდო, რომ ამისთანა სასახელო, საარაკო იუბილე დაუგვირგვინებელი დაგვრჩეს... საზოგადოება დაწყნარდა, დასხდნენ ყველანი და სმენად გადაიქცნენ.

ბედნიერი ვარ, უზომოდ ბედნიერი ამჟამად, მაგრამ ერთი რამ სწამლავს ამ ბედნიერებას, თქვა აკაკიმ.

— რა? რა? — სიმწუხარით შეეკითხა მას სამი ათასი პირი ერთად, ერთ მხრივ.

— ის, რომ ჩვენ ვერ ვეღირსენით იმის იუბილეს, რომელიც იყო დიდი პოეტიც, დიდი მამულიშვილიც და დიდი ადამიანიც და რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა თავისი დაჩაგრული სამშობლო.

ურიცხვს მსმენელთა შორის არც ერთს არ მოსვლია აზრად ეკითხა აკაკისათვის, ვისზე ლაპარაკობდა იგი, რადგანაც ელვის სისწრაფით, ყველას გონებაში გამოისახა ერთი და იგივე დიდებული სახელი.

აკაკიმ გააგრძელა: დიახ, ჩვენ ვერ ვეღირსენით ილია ჭავჭავაძის იუბილეს. მეტი უბედურებაც დაგვატყდა თავზე; ჩვენ არამც თუ ვერ შევამკეთ მისი გენიოსური თავი დაფნის გვირგვინებითა, არამედ ხელი ვერ შევუშალეთ ჩვენის ერის მტრებსა, რომელთაც ილიას ეკლის გვირგვინი დაადგეს, მსგავსად მაცხოვრისა... მთელი ნახევარი საუკუნე ილია და მე ტოლათ ვეწეოდით მეტად მძიმე უღელს სამშობლოს სამსახურისას, - მომიკლეს, ჯვარს მიცვეს ტოლი და დამარჩინეს ცალად, უტოლოდ., ობლად... დიდება და თაყვანისცემა მოწამე ილიას უკუნითი უკუნისამდე, გაათავა აკაკიმ და მწუხარე თვალებიდან მდუღარე ცრემლის ნაკადული წასკდა.

„ამინ!“ შესძახა სამგლოვიარო ხმით სამიათასმა მსმენელმა და ფეხზე წამომდგარმა, თავი მოიხარა, საერთოდ.

ამ რაინდულ სიტყვებს და საქციელს მოჰყვა აუწერელი მოვლენა, იმისთანა მოვლენა, რომელსაც ეღირსნენ მოციქულნი სული წმინდის მოფენის ჟამსა. აკაკის თავზე გაჩდა ვეებერთელა აპრიალებული კელაპტარი, ყველა მსმენელის თავი შეიმკო პატარ-პატარა კელაპტრებით და თეატრმა საარაკო კაშკაში დაიწყო. მერე დაიძრა აკაკის კელაპტართა და შუა თეატრში მაღლა, ჰაერში გაჩერდა. მისკენ გამოქანდნენ ყველა სხვა კელაპტრები. გარს შემოეხვივნენ და შექმნეს მომხიბლავი სურათი. ბოლოს ამ ურიცხვის ჩირაღდნის კრებულს აკაკის კელაპტარი გაუძღვა ზეით, თეატრის ბანი გაირღვა და კელაოტართა გუნდი წავიდა მაღლა, მაღლა ზეცაში.

„კელაპტართა გუნდს მიაქვს ილიასთან საიქიოს მთელის ქართველის ერის უმხურვალესი საუკუნო თაყვანისცემა,“ შევძახე ისეთი მაღალი ხმით, თითქო ილიასათვის მინდოდა გამეგონებინა ზეცაში, და... გამომეღვიძა.

„დარჩა, დარჩა რაინდულს გვირგვინს მოკლებული ჩვენი დიდებული ეროვნული დღესასწაული,“ ამოვიკვნესე და ცრემლი ვეღარ შევიკავე. ვერ შევიკავე იმის გამოც, რომ მთავარი ბრალი ამ დიდი ნაკლისა მედებოდა თვითონ მე. აკაკისთან რომ კრინტი დამეძრა ილიას მოგონების შესახებ, იგი სახელოვანს იუბილეს დაადგამდა ისეთს რაინდულს გვირგვინს, რომ სამაგალითო შეიქმნებოდა თვით კაცობრიობისათვის. მაგრამ თვალი დაუდგეს სამოცდა მეცხრე წელს, იმ ჭირს, რომელსაც რუსთველი ყველა ჭირზე ძნელს ეძახის...

* * *

იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მსოფლიო მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის. ეს უმაგალითო მნიშვნელობა დამოკიდებულია, ერთი მხრივ, ილიას განსაკუთრებულს ნიჭზე, მეორე მხრივ, ჩვენი ქვეყნის დაცემაზე...

თუ ქართველი მწერალი მგოსანია, საკმარისია არა არის იგი გენიალური პოეტი იყოს, - უკიდურესად საჭიროა, რომ ის გენიალური პოეტი იყოს აგრეთვე გენიალური მოძღვარი, გენიალური პედაგოგი თავისი ერისათვის. სწორედ ასეთია ილია. ყველა მის უკვდავ ქმნილებაში გაისმის მაღალნიჭიერი ქადაგება უმაღლესი ეთიკისა, საქვეყნო ღვაწლისა, თავდადებულობისა, მადლისა, სიყვარულისა და ყველა ეს განხორციელებულია საოცარი სიტყვა კაზმულობით. ილიას ქმნილებანი რომ რუსულად გადაუთარგმნონ ლევ ტოლსტოისა, იგი მას საუკეთესო მსოფლიო გენიოსობის რიგში საპატიო ადგილს დაუთმობს...

* * *

... იქნება არც ერთს მსოფლიო გენოისს არ ქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამდენიც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის...

„ვაჟა-ფშაველა განსაკუთრებით მას შემდეგ შეიქმნა ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილი, როდესაც დაბეჭდა პოემა, რომელშიც ერეკლე მეფეს არწივს ადარებს.

ილიამ ძალიან გაუთქვა და გაუკეთა სახელი. ამბობდა, რუსთაველის შემდეგ მაგისთანა პოეტი არ გვყოლიაო. პირდაპირ გაგიჟებული იყო ვაჟაზე, მაგრამ სხვები არ ეთანხმებოდნენ. ილიასთან გამართულ ხუთშაბათ-საღამოებზე ძალიან ხშირად კითხულობდა ვაჟას ლექსებს ივერიის რედაქციის გამგე გიგა ყიფშიძე, რომელმაც კარგი კითხვა იცოდა სერთოდ.“

ექვთიმე თაყაიშვილი.

ვაჟა ფშაველა

ილია ჭავჭავაძის სახსოვრად

საძირკვლად აზრი ჩააგდე,
ზედ დასდგი გრძნობის ტაძარი,
მან გააბრწყინა სხივებით
ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი.
გვყარაულობდი თვალ-ფხიზლად,
შენ იყავ ჩვენი საფარი –
მოგკალით ჩვენისვე ხელით,
მოძმეთგან ნაჭირმაგარი,
და შენი სისიხლიც იქ ბრწყინავს,
სად წინაპართა ნთხეულა,
რომელთა ხსოვნა შენს გულში
აროდეს გამოლეულა;
იმათ სისხლს არაგვის პირად
შენიც დაერთო წლეულა.
მოჰკვდი თვის სატრფოს კალთაზე,
დადუნდა ჩანგის სიმები;
აყვავებული მამული
გაგვიხდა დასატირები!
დაგიკოცნიან სახესა
ნათელს არაგვის გმირები;
შვილის დაკარგვას გლოვობენ
ტურფა ალაზნის პირები!
კაკო ყაჩაღთან ერთადა
მოსთქვამენ გლეხის შვილები,
უსამართლობის მსხვერპლები,
ყაჩაღად გაცვივნილები.

ჩვენის არსობის მოზარევ,
მანდ დაისვენო ეგები?!
ჩვენ რა ვქნათ, ჩვენა, ცოცხლებმა?
გარს შემოვივლეთ ბექები,
ვხდებით ყვავ-ყორნის სადილად,
ტურა-მგელთ გასაყვლეფები!

ვაი რომ რჩება აკვანი
ბაზალეთის ტბის ძირას,
და დიდხან კითხვადვე გვრჩება:
„ვინ ამოიღებს იმასა?
ან იმ ბალღს ვინ უპატრონებს,
უსუსურს, მტირალს ბედისა,
აკვანში რომ წევს საწყალი
და ძუძუ წყურის დედისა?
ან იმ ცრემლის ტბას დიადსა,
ერისაგან დანადინარსა,
ვინ დაშრეტს, ვინ ამოიყვანს
იმ უსუსურსა, მტირალსა?!“
ვერაფერს ვიტყვი, ენა სდუმს.
თავზე დაგვჩხავის ყორანი;
გაღმა გასვლისა მსურველთა
უკუღმა მიგვყავს ბორანი;
გაგვიბატონდა, მგოსანი,
სარეგვნე შეუწონარი.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
(1918-1921 წ.წ.)
ლეონიდე ოქროპირიძე

„ვცხოვრობ მხოლოდ იმისათვის, რომ შევძინო და რამე შევმატო სათაყვანებელ სამშობლოს“ ...

არიან ადამიანები, რომლებსაც განგება სწორედ მაშინ მოუვლენს ერს, როცა მათი უცილობელი საჭიროებაა და თუმცა ისინი თვალთათვის დაფარულ მოღვაწეებად რჩებიან, მაინც ღრმა კვალს ტოვებენ ქვეყნის ისტორიაში. ამ რჩეულთა რიცხვს ეკუთვნის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე.

1919 წლის 23 თებერვალს მიტროპოლიტი ლეონიდე მოწამეობრივად აღსრულებული კირიონ II-ის (1917-1918) ნაცვლად გამორჩეული იქნა საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქად და იმ დღიდან მოყოლებული აქტიურად შეუდგა ეკლესიის მართვას.

„საყვარელნო! გაფრთხილდით, რომ ბრმა იარაღად არ გიხმაროთ ბოროტმა სულმა, არამც და არამც არ შესცდეთ და ყური არ ათხოვოთ უღვთო კაცების ქადაგებას, არ გაჰყვეთ ურწმუნო პირების სიტყვებს და არ დაჰღუპოთ სათაყვანებელი სამშობლო, განთავისუფლების მაგიერ ჯოჯოხეთის ჯურღმულად არ აქციოთ იგი. შეიგენით და გულის ფიცარზე დაიწერეთ: ესრეთ იტყვის უფალი: წყეულ იყავნ კაცი, რომელსა სასოება აქვს კაცისა მიმართ და განიმტკიცოს ხორცი მკლავისა თვისისა და უფლისაგან განსდგეს გული მისი — მოძღვრავდა იგი ახალ დამოუკიდებლობამოპოვებულ ერს. თავისუფლება ყველაფერია თვითეული პიროვნებისთვისაც და მთელი ერისთვისაც, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ თავისუფლება მეტად ნაზი და აზიზი ბუნებისაა. იგი მარტო იქა ხეირობს და ფესვებს იდგამს, სადაც ტრიალებს სული უფლისა . ე.ი. სადაც ადამიანი ადამიანს სცნობს, ერთი მეორეს აფასებს, თვითეულის პიროვნება ხელშეუხებელ საუნჯედაა ცნობილი, სხვისადმი სამსახური, სხვისთვის თავის დადება, სხვის ამაღლება და გახარება საკუთარ ბედნიერებადაა აღიარებული, სადაც ყველამ იცის საკუთარი თავის ალაგმვა, შეზღუდვა, დაჭერა და შევიწროება, რომ მეზობელს, თავის მსგავს ადამიანს არავითარი ზიანი, არავითარი უსიამოვნება, არავითარი მწუხარება და სიმწარე არ მიაყენოს არც სიტყვით და არც საქმით“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ლეონიდე (ოქროპირიძე).

ეპისკოპოსი ლეონიდე

სიტყვა თქმული ილია ჭავჭავაძის კუბოს შესვენებაზე სიონის ტაძარში

ზღვასავით ღრმა ილიას გულმა ორმოცდაათი წელიწადი განუწყვეტლად აფრქვია თავის სამშობლოს ნიადაგზე ცხოველი სიყვარულის საღრმთო ცეცხლი, ორმოცდაათი წლის განმავლობაში ილიას მირონცხებულ ენას არ მოუსვენია ქართველი ერისადმი მხურვალე სიყვარულის ფერად-ფერადი ძვირფასი გვირგვინების თხზვა-ქარგვისაგან, ორმოცდაათი წელიწადი ამისი დალოცვილი მარჯვენა უხვადა ჰსთესდა ყოველი ქართველის გულში კაცთა გატანისა, სიბრალულისა და სიყვარულისა საკუთარი თითით გარჩეულს, საღს და მაძღარ თესლს!

დღეს მოულოდნელად წაგვართვეს ეს საუნჯე! დაუძინებელმა მტერმა დაგვიშრო ზღვა ეროვნული თვითცნობისა! ვერაგმა არსებამ ჩაგვიქრო მამულიშვილობის გაჩაღებული საღმრთო კერა! ბოროტმა სულმა დაგვინგრია მტკიცე ბეღელი ჩვენი სულიერი სიმშვიდისა! მოგვიკლეს ილია და მწარე მწუხარების ალში გახვეულებმა აღარ ვიცით საით გადავვარდეთ, რა მთას ვეცეთ, რა გზით მივაგნოთ ამ ჩვენი გულის გამპობელს, როგორ გავუსწოროთ მას ანგარიშები!

ამბობენ, ქვეყანაზე მოიპოვება მეტად იშვიათი და ძვირფასი ლითონი, სახელად რადი, რომელსაც ისეთი თვისებების სინათლე აქვს, რომ მისი სხივები თავისუფლად ატანენ ყოველგვარ ფარადს, კედელს და სახურავს გარეთო. ამ კეთილშობილი ლითონის თვისებებისაა სწორედ ჩვენი ილიაც. ამ შავი და ბნე-

ლი კუბოდანაც ნათლად გამოსჭვივის ილიას მაღალი სული, ამ კუბოდანაც ყველას გვარწმუნებს: რომ გავცოცხლდებოდე, ჩემი სათხოვარი და საკვედრებელი ღმერთთან ეს იქნებოდა:

„მწყურს მე გამინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისცა, რომელთ თუნდა გულს
ლახვარი მკრან, გთხოვდე:
„შეუნდე არ – იციან ღმერთო, რას იქმან!“

მაშ, ამაოა ეს ზომა, გარეშე ჩვენი შეზრზინება, უსარგებლოა ეს აწინდელი ჩვენი გულმოსულობა, ილიას დიდებული სულის შეურაცხება იქნება მისი მკვლელებისაგან ჩვენის მხრით რაიმე ანგარიშების მოთხოვნა.

უცხო ყოველი მტრობისა და შურისძიებისაგან, ილია გვთხოვს გონება მოკრებით ჩავიხედოთ ყველამ თავთავის გულში და ყურადრებით გამოვიკვლიოთ, ჩვენც ხომ არ გვიდევს წილი მის მკველობაში? ჩვენ ხომ არ შეგვიქმნია მისი სიცოცხლის მოსპობთა დაბადების ხელშესაწყობი პირობები ვინაიდგან ცნობილია, რომ მკბენარის მომრავლება პირდაპირი შედეგია ჭუჭყისა და უფაქიზობისა?

ჩვენ რომ ილია თავის დროზე გვეცნო, ჩვენ რომ ილიას ნამცნები მოძღვრება ერთ-ურთის სიბრალულსიყვარულისა, სამშობლოსათვის თავდადებისა და ქართველი ერის განვითარებისა მშობელი დედის რძესთან ერთად გვექცია ჩვენი არსებობის სისხლად და ხორცად, მაშინ არც დღევანდელი მარცხი შეგვემთხვეოდა. მაგრამ დამნაშავე ვართ ყველანი დიდიდან პატარამდე შენ წინაშე, სულო მაღალო! არც კაცი და არც ქალი, არც სწავლული და არც უმეცარი, არც დიდი და არც პატარა არ გაფასებდით ღირსეულად, არ გესარჩლებოდით თავდადებულად და სწორედ ამან გახადა შესაძლოთ შენი ძვირფასი სიციცხლის მოსპობა ვერაგი სულისაგან.

შენთვის ისიც დიდი გასახარებელი და სანუგეშო იქნება, რომ ეხლა მაინც შევიგნოთ ჩვენი მძიმე დანაშაული, ეხლა მაინც მივხვდეთ შენი მაღალი მოძღვრების მნიშვნელობას, ეხლა მაინც გავიხადით იგი ჩვენი მოქალაქეობრივი არსებობის მტკიცე კანონად.

გლოვით შეპყრობილნო, საყვარელო თანამემამულენო! კავკასიონის ქედის მწვერვალზე მცხოვრებ ჩვენ ძმებს სვანებს ჩვეულებად აქვთ: თუ ვისმეს მათგანს უცაბედათ კაცი შემოაკვდა, ნიშნად გულითადი სინანულისა გვერდზე იკიდებს მძიმე ლოდს. ჩამოვიკიდოთ ჩვენც დღეიდან მკერდზე ლოდი სინანულისა ამ ბრწყინვალე ცხედრის წინაშე, ჩვენი პირადი ნებითი თუ უნებლიეთი დანაშაულისა და მივცეთ ჩვენს დიდებულ მიცვალებულს უტყუარი აღთქმა, რომ არ ჩამოვიხსნით ამ ტვირთს, ვიდრე ჩვენც და ჩვენი შვილებიც არ შევითვისებთ სავსებით მისგან ანდერძად დატოვებულ მაღალ მოძღვრებას.

მშვიდობით, დაუღალავო დარაჯო, უბადლო მოძღვარო, თითით საჩვენებელო ჩვენო მაღალო ჭირისუფალო, დაუვიწყარო ილიავ! უკანასკნელად ვეამბორებით შენს გაციებულ გვამს და გაძლევთ სიტყვას, რომ ხატად გვესვენება გულში კაცთა სიყვარულის შარავანდედით მოსილი შენი მაღალი გონების ცხადად გამომეტყველი პირის სახე. ამინ!

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს–პატრიარქი
(1932–1952 წ.წ.)
კალისტრატე ცინცაძე
კანონიზირებულია წმინდანად
2016 წლის 22 დეკემბერს
საქართველოს სამოციქულო
მართმადიდებელი ეკლესიის
წმიდა სინოდის მიერ.

„ყველა ქართველს ილია მიგვჩნია არა მარტო დიდებულ მწერლად, ანუ ფასდაუდებელ მგოსნად, გინა თუ გამოჩენილ და სასიქადულო საზოგადო მოღვაწედ, არამედ უმთავრესად გზის მაჩვენებლად, ჭკუის მასწავლებლად. „ჭმუნვასა და სიხარულში“ იგი იყო ნუგეშის შთამაგონებელი და შვების მომცემი, ხოლო ფიქრის, საქმის, შრომის დროსა ხომ იმას ბადალიც არა ჰყავდა. მისი რჩევა და დარიგება „უსასოდ ქმნილს“ იმედს ჩაუნერგავდა გულში და ბედისაგან განლაღებულს განსაცდელისა და საფრთხისაგან დაიხსნიდა... მუდამ დაუვიწყარი იქნება ის, ვინც მოზარდი თაობის აღმზრდელს დაჟინებით უქადაგებდა: „შთააგონებდე კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას“.

კალისტრატე (ცინცაძე),
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი.



ნიკო ნიკოლაძე:

* * *

1863 წელს ილია ჭავჭავაძემ დაიწყო „საქართველოს მოამბის“ გამოცემა. ვის არ ახსოვს ეს წელიწადი, როცა, ერთის მხრით, ჩვენი ცხოვრება თავის უწინდელ კალაპოტს იცვლიდა და ახალში შესვლას აპირებდა. ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, არ აპირებდა მაგრამ მაინც უნდა შესულიყო და როცა მეორეს მხრივ, ატყდა სასტიკი ბრძოლა ახალგაზრდობისა, ე.ი. ახალი ცხოვრების, და ძველი კაცობის, ე.ი. ძველს წესსა და სჯულს შუა. რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს...“

* * *

„ილია ჭავჭავაძე, რომელსაც უპირველესად წილად ხვდა პატივი სამოციანი წლების დასაწყისში საქმის ასეთი გონივრული წარმართვისა, სწორედ ასეთი ადამიანი იყო, როგორიც სჭირდებოდა მაშინდელ ქართულ ლიტერატურას. მისი ნიჭი, მისი განწყობილება და მსოფლმხედველობა მაშინ სრულიად შეესაბამებოდა დროის მოთხოვნილებებს. ილია ჭავჭავაძემ მოახერხა და შესძლო ჩასდგომოდა სათავეშო მოძრაობას, შესძლო მოეტანა მეტად ხელ შესახები სარგებლობა, როგორც ქართული ლიტერატურისათვის, ასევე ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარებისათვის.

ილია ჭავჭავაძემ პირველად დაამტკიცა ის საფუძვლიანი აზრი, რომ მწერლობა იმ ენას უნდა ხმარობდეს, რომლითაც ხალხი ლაპარაკობს.“

იროდიონ ევდოშვილის სიტყვა

„ქართველებო! აი, ამ ადგილს დახუჭა ქართველების დიდებულმა მწერალმა თვალები; აქ ამოიკვნესა უკანასკნელად მისმა გულმა; ამ ადგილიდან უკანასკნელად შეჰხედა ილიამ თავის სამშობლოს ცას; როგორი მადლიერიც იქნებოდა ის ამ დროს თავის ერისა – ამაზე მეტია ლაპარაკი თქვენ ამ, არე-მარის მცხოვრებნო, აქაურო ქართველებო, დღეს ამ კუბოსთან და ამ გზაზე შემხმარ სისხლთან მარტო თქვენ არ შეკრებილხართ, აქა ვართ ქართველები, წარმომადგენლები ყველა კუთხიდან, მაშასადამე, მიუხედავად ამისა, რომ ილია სცხოვრობდა თქვენში, ის მხოლოდ თქვენ არ გეკუთნოდათ. ის ეკუთნოდა მთელ საქართველოს, მთელს ერს, ყველა ქართველს. იმან დაგვდო ამაგი ყველას, მთელ საქართველოს! მაშ რა ნება ჰქონდა იმ ხელს, რომელმაც მოჰკლა თქვენში ილია, რომ იგი თვითონ დაისაკუთრა, რომ იგი ანცვალა თავის ქვებუდან გრძნობას? არავითარი! ვერაგმა ხელმა იგი წაგვართვა ყველას, მთელს ქართველობას! მან განგმირა მთელი საქართველოს მამა-მოძღვარი!

წეღან ერთმა მოლაპარაკემ სთქვა: იმ სდგილს, სადაც ილია მოჰკლეს, უნდა ავაგოთ ძეგლი იმის სადიდებლად, მის სამახსოვროდაც. ეს ძალიან კარგი იდეაა. იყოს აქ ძეგლი ილიას სადიდებლად, მაგრამ აქავე, იმის გვერდზე ავმართოთ ჩვენ სხვა ბოძიც, ბოძი სამარცხვინო, და ზედ დავაწეროთ: „აქ მოჰკლეს ილია, დიდი მოძღვარი და საქართველოს მგოსანი“!

ძმებო, ყველა თქვენგანს ჰყოლია მამა, რომელიც გაცმევდათ, როცა გციოდათ, გაჭმევდათ, როცა გშიოდათ. ეხლა დაბერდა ის. მაშ მიუშვირეთ თოფი და გაუგმირეთ გული! რომელია თქვენში ამ საქმის ჩამდენი, რომელი აიღებდა თქვენს მამაზე ხელს? არავინ? მაშ რა ვუწოდოთ იმ კაცს, რომელიც ასე მოიქცევა, რომელიც ჩვენ წაგვართმევს ჩვენს სულიერს აღმზრდელს, ჩვენს სულიერს მასაზრდოებელს? დაუძახებთ თქვენ მას იუდას თუ არა? (ხალხის ხმა: იყოს წყეული, იყოს წყეული!).

გაზეთი „ისარი“, 11 სექტემბერი.



ნიკო ლორთქიფანიძე

წიწამურიდან მთაწმინდამდე
(1907-1917)

წიწამური...

ათი წელია მას მერე...

საუკუნეები გაივლის... წიწამურს ვერ დავივიწყებთ. იქ მიაღწია უმაღლეს წერტილს ქართველთა დაქსაქსვამ, ეროვნული სულის გათახსირებამ, უბედურებამ, ისტორიის უარყოფამ...

ქრისტეს სარწმუნოება გოლგოთამ დააგვირგვინა. წიწამურმა ბრმებსაც თვალი აუხილა. გოლგოთაზე „სიკვდილითა სიკვდილი დაითრგუნა". წიწამურში ეროვნულმა დაცემამ ეროვნული სული აამოძრავა, ჩააფიქრა, აღდგენის გზაზე დააყენა.

შეშინდა ყველა...

დავრწმუნდით, რომ პირისაგან ქვეყნისა აღმოფხვრა გველოდა...

ვიგრძენით განსაცდელი, მოვიკრიფეთ ძალა და ერთხმად სამშობლოს სულის მებაირახტრეთ, ტფილისის დარაჯათ მაღლა, მთაწმინდის ფერდზე დავასვენეთ დიდი ილია.

ეკლიანი გვირგვინი ჰბოჭავდა გრძნობას და მოძღვრება ქრისტესი იკრებდა მართლმორწმუნეთ.

წიწამურის მსხვერპლის, მთაწმინდის გუშაგის მოძღვრება „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო" - ნელ-ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ ერთმანეთში ღობავს ყოველ ქართველს და თვლის, და სწნის, სანთლავს კიდობანს – ერის ბედნიერებისას.

რიგში უკვე ჩაბმულა საქართველო; მართალი, ზოგი მწყობრით ვერ ადგამს ფეხს, მაგრამ მიდიან კრებულათ, შეერთებულად და შორს არ არის დღე მთაწმინდის მწვერვალიდან გავიგონებთ:

გიხაროდესთ, ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდვნის...

და მართ-მორწმუნეთათვის წმინდა მთა მთელი ერის სათაყვანოდ გადაიქცევა, როგორც სავანე ილიასი.

გალაკტიონ ტაბიძე

წიწამურში რომ მოჰკლეს ილია

წიწამურში რომ მოჰკლეს ილია,
მაშინ ეპოქა გათავდა დიდი,
ძველი სიმღერა და იდილია,
ფანტასტიური გამოჩნდა ხიდი,
მოჰქონდათ წინათ პასტორალები,
ბაღთა მნათობით გადამთოვრება,
როგორ ოხრავდნენ მათზე ქალები,
რა მშვიდი იყო მათი ცხოვრება,
დრო იყო: ომის აუსახველი,
დღეებს იმედი ესაკიდება,
რა მძლავდად ქუხდა მათი სახელი,
რა დიდი იყო მათი დიდება.
დადგა ცხრაას რვა, ახალი ლანდი,
ჩემთვის სიზმრებში უცნობია ჯერ.
ახალი წვიმა, ქარი, „დალანდი"
და მთელი ხანა წიგნის:

„Crane aux fleurs"

1920 წლის 1 თებერვალი.



სიტყვა თქმული თელავის საბოროში ილია ჭავჭავაძის პირველ პანაშვიდზე ენკენისთვის 2-ს, 1907 წ.

ვასილ ბარნოვი

მოკლეს ილია ჭავჭავაძე... აწამეს, მოკლეს, გაძარცვეს, შეურაცხჰყვეს! გული მოუკლეს ისეც გულდალახვრულ და დაჩაგრულ საქართველოს“!

აქამდის რომ ქართველების სასიქადულო შვილ გალაღებული მტერი საქართველოს გარეთ მოჰკვეთდა ხოლმე თავს ეხლა გაგვიკადნიერდა იგი მტერი, შემოგვბედა, შემოგვლახა:

ერის სიამაყე ვაჟკაცი მოგვისპეს თვითონ ჩვენის სამშობლოს უბეში! ჩვენი დედაქალაქის გვერდით. დიდად შეურაცხყვეს მთელი საქართველო, მთელი ქართველთა ტომი!

ვინ მოუსპო სიცოცხლე ჩვენს საუკეთესო მამულიშვილს?

ვინ ამართა მახვილი ჩვენი ამაგდარი ილიას წინააღმდეგ?

ნუთუ ქართველმა?

ვერ დავიჯერებ!

ეს ხომ ის იქნება, რომ შვილმა მოჰკლას მამა მოსიყვარულე, მოჭირნახულე, განთქმული, — მოჰკლას და შეაგინოს. და თუ ეს ბოროტი მოიმოქმედა ქართველმა, მაშინ საქართველომ ილია კი არ უნდა იგლოვის, თავისი თავი უნდა იტიროს, რომ წარმოშვა ესეთი კაცთუგვანი ძე!

თითონ ილია აწ ჩვენ წმიდათა შორის არის ჩარიცხული, იგი ეკუთვნის იმ თავდადებულთა გუნდს, რომლებიც მოღვაწეობდნენ მამულის კეთილდღეობისათვის, რომლებმაც შესწირეს სიცოცხლე მამულის სიკეთეს, რომლებიც უნათებენ ქართველებს წყვდიადს და ეკლიან გზას და რომელნიც ქართველთა მანათობელნი იქნებიან, მანამ არსებობს ქართველთა ტომი, ე.ი. საუკუნოდ.

მაგრამ რა უნდა ვქნათ ჩვენ, გაწბილებულმა ქართველებმა?

როგორ უნდა მიუზღოთ ჩვენს შეურაცხმყოფელს?

ნუთუ იქამდის დავკნინდით,

დავმდაბლდით,

დავბეჩავდით,

ნუთუ ისე ღრმად დაგვესვა ბეჭედი მონობისა, რომ ვერ შევძლოთ სამარადისო წყევის საქოლავი ავუგოთ ამ ისტორიულ ბოროტმოქმედებას?!

კონსტანტინე გამსახურდია

PATER PATRIALE

I

ჩემს სიჭაბუკეში დიდ სიამოვნებას მგვრიდა ილია ჭავჭავაძის მაღალი და ნათელი შუბლის, მისი დიდრონი, სევდიანი თვალების ხატვა.

მუდამ ვოცნებობდი როგორმე ახლოს მენახა იგი.

ჩვენი სოფლის ხუცესი ხშირად დადიოდა თფილისში და მამცნო:

მე მინახავსო ილია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანტორაში მრავალგზის.

თოთხმეტი წლის ბიჭუნას ფრიადების შინ მიტანისათვის ხუთი ოქრო მაჩუქა განსვენებულმა მამაჩემმა. ეს ფული შემოვინახე და ტფილისს წავედი დედაქალაქისა და ილიას სანახავად.

ცხადია, ჩემი მოკრძალებული წადილი იყო: შორიდან მაინც დამენახა იგი. საშინელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე ჩვენმა ტფილისმა. რკინიგზის სადგურზე გრძელ ულვაშიანი ჟანდარმები დაძრწოდნენ დეზების ჩხარუნით. რიყის ქვით მოკირწყლულ ქუჩებში წითელ ჩაბალახიანი კაზაკები დააჯირითებდნენ თავიანთ ნასუქალ ცხენებს.

ქართული ასოები მხოლოდ თონეებისა და სახაშეების აბრებზე იყო წაჯღაბნილი. არც ჩაქ-ჩაქაცხენიან ტრამვაიში, არც ქუჩაში ქართული არ ისმოდა.

ხანგრძლივი კითხვა გამოკითხვის შემდეგ მივაგენი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კონტორას, რომლის ვიტრინაშიც გამოფენილი იყო აკაკის და იაკობ გოგებაშვილის ბროშურებული წიგნები. მათი ტირაჟი ათას ცალს არ აღემატებოდა.

ღიად დარჩენილი კარიდან შევიჭვრიტე.

კონტორაში იჯდა სათვალიანი, მოღუშული მოხუცი და რაღაცას წერდა. როცა მან თავისი საქმიანობა მოათავა, სათვალე შუბლზე აიკეცა და მკითხა:

„შენ რა გინდა ბიჭიკო?“

როცა ვუთხარი ილია ჭავჭავაძის ნახვა მინდა-მეთქი, გაოცებამ გაიელვა მის სახეზე და გვარი მკითხა, უკეთ რომა ვთქვა:

ვისი ბიჭი ხარო?

როცა მე მამაჩემის სახელი და გვარი ვახსენე, თავი გააქნია.

ასეთი გვარი ჯერ არ გამიგონიაო.

მე ისეთ ჰასაკში ვიყავი იმჟამად, როცა ვაჟებს განსაკუთრებით უყვართ თავიანთი მამები. მანამდის ასე მეგონა ქვეყანა იცნობს-მეთქი მამაჩემს, რადგან იგი იყო ვაჟკაცობის სიდარბაისლისა და სიმამაცის განსახიერება.

ახლა ასეთი რამ მკითხა ამ მოღუშულმა კაცმა:

„ჰო, მაგრამ რისთვის გინდოდა, ბიჭიკო, ილიკო ჭავჭავაძის ნახვა? შენ რა საქმე უნდა გქონდეს მასთან?“

ესა სთქვა და ირონიულმა ღიმილმა გადაირბინა მის მოკუმულ ტუჩებზე.

მე პირდაპირ არ ვუპასუხე, რადგან ვიგრძენი რა უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი ანაზდად, პირიქით შევეკითხე:

„მაინც სად შეიძლება, ბატონო, ილია ჭავჭავაძის ნახვა?“

„ილია პეტერბურგს წაბრძანდა წუხელ...“

მე გავეცალე ამ მოღუშულ კაცს, გულდაწყვეტილად გამოვიხურე კარი. ახლა ჩემი ერთადერთი წადილი იყო: სიონი, შურის ციხე და მეტეხი მენახა... (სხვა რამეების ნახვა არც მომინდომებია).

II

ერთი წლის შემდეგ ისევ ვაპირებდი ილიას სანახავად ტფილისს გამგზავრებას. აგვისტოს მოღუშულ საღამოს ჩემი საყვარელი კვიცი მდინარეში საბანაოდ მიმყავდა.

რკინიგზის სადგურიდან მომავალმა ცხენოსანმა ასეთი საშინელი ამბავი მამცნო ტყის პირად:

ილია ჭავჭავაძე მოუკლავთო გუშინ.

იმ საღამოს ფიცი დავდევი: მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე მებრძოლა ილიას მკვლელების წინააღმდეგ. მეორე დღეს, გაზეთებში ვნახე ილიას განგმირული შუბლი და ეს იარა

მოუშუშებელ დამღად დააჩნდა მას შემდეგ ქართველი ხალხის გულს.

III

გველის სისინივით გაისმა დამწუხრებულ საქართველოში ზოგ-ზოგთა ცინიკური განცხადება: როცა ტყეს ჭრიან, ნაფოტები ცვივიანო.

უარესად სისინებდნენ დანარჩენი ისპირატორები იმ საზიზღარი კომპანიისა, რომლის მსხვერპლი გახდა დიდი ილია.

ილია ჭავჭავაძე მარტოოდენ დიდი მწერალი როდი იყო, ამგვარი ადამიანები შორეულ ეპოქებში ეროვნებებს აფუძნებდნენ, ალფაბეტებს გამოიგონებდნენ ხოლმე, ზოგს ერის ბელადი ერქვა, ზოგს წინასწარმეტყველი.

ახალ ეპოქამდის მწერალი ვერ იყო დამოუკიდებელი მოაზროვნე. ხშირად მას მლიქვნელის, კარის მეხოტბის, ტირანების პირისფარეშის არც თუ მთლად სახარბიელო როლი ჰქონდა მინიჭებული.

გასულ საუკუნეში, ვიქტორ ჰიუგო, ჰენდრიკ ინბსენი, ლევ ტოლსტოი და საქართველოში ილია ჭავჭავაძე იყვნენ ნამდვილი გულმამაცი ტრიბუნები თავისუფლებისა.

ყველა მათ სიცოცხლეშივე მოიხვეჭეს უდიდესი რეზონანსი.

ზოგო მწერალი სიცოცხლეშივე კვდება, ზოგო მისი სიკვდილით უკანასკნელ ბეჭედს ასვამს ხოლმე თავის ქმნილებებს.

* * *

ძველი ბერძნები ამბობდნენ: სიკვდილამდის კაცს ნურც აქებ, ნურც აძაგებო. სიკვდილი უკანასკნელი წრთობაა სულისა, მისი სიმაღლისა და სიმდაბლის, სიმამაცისა თუ სიმხდალის ბარომეტრი.

ილიას სიკვდილს მოჰყვა დიდი აღტკინება ქართული სულისა. მან ამ გმირული სიკვდილით გამოისყიდა ჩვენი სიძაბუნე და სივაგლახე, იგი იყო ჭეშმარიტად „სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი“.

IV

ყოველ საუკუნეში მოდიან ან მიდიან მწერლები, ზოგი ეტაჟერებზე სტოვებს მოოქროვილ ტომებს, ზოგს წაიკითხავენ და დაივიწყებენ, ხანაც ძილის წამლად ხმარობენ, ზოგსაც — ბიბლიოთეკების დასამშვენებლად იყენებენ.

ილიას დარნი რჩებიან, როგორც მაღალი შტანდარტები საუკუნეთა მიჯნაზე აღმართულნი...

მწერლობის პროფესიად გახდომას თან მოჰყვა ამ კორპორაციის მორალური დაქვეითება, კორუპციამ აქაც მოიდგა ფეხი, რადგან ხელოვნება, რომლის პროდუქცია ხშირად ზნეობრივ სიფაქიზეში წვრთნის მისი მომხმარებელი ადამიანის სულს, ზოგჯერ რყვნის კიდევაც თავათ სუბიექტს.

ამიტომაც ანათემა უყო ბალზაკმა „ჟურნალისტიკის საროსკიპოდან გამოსულ“ ბულვარულ მწერლობას, ხოლო მეორე, ასეთივე დიდი ეთოსით აღტყინებული მწერალი, ლევ ტოლსტოი, ხელოვნების აბსოლუტურ უარყოფამდის მივიდა. თუმცა მის ესთეტიკურ თეორიებს დიდი პარადოქსულობის იერი გადაჰკრავდა, მიუხედავად ამისა, ბევრ რამეში ცამდე მართალი იყო ლევ ტოლსტოი.

ილიამ სიჭაბუკეში განსაზღვრა თავისი ამქვეყნიური მისსია: „დიდის ღმერთის საკურთხევლის. მისთვის ღვივის ცეცხლი გულში, რომ ერისა მოძმედ ვიყო ჭმუნვასა და სიხარულში“.

ამ მისიის ვაჟკაცურად შესრულებას მოჰყვა წიწამურის ტრაგედიაცა.

* * *

ილია ჭავჭავაძე იყო დიდი მნათე იმ მარალი სამრეკლოისა, რომელსაც ქართული მწერლობა ეწოდება.

ამ დიდი მეზარის, უკეთ რომა ვთქვათ: მოზარის დაღუპვამ ლეტარგიული ძილიდან გამოაფხიზლა ქართველი ერი.

ქართველი ხალხის ტრაგიკული ისტორიის მანძილზე კულტურის არც ერთ ფაქტორს არა ჰქონია და არც დღეს გააჩნია ისეთი რეზონანსი, როგორც მწერლობას.

ჩვენი მოუსვენარი მეზობლები თავზე დაგვამხობდნენ თუ არა ეროვნულ სახელმწიფოს, ილიას დარი მწერლები იტვირთავდნენ ხოლმე ერის თავკაცის მძიმე ჯვარს.

* * *

სხვადასხვა დროს საქართველოს სახელმწიფურ საზღვრებზე აღმართულნი იყვნენ უზარმაზარი ქვის ბლოკები, რომელთა ცალ კიდეზე ადამიანის ზეაპყრობილი მარჯვენა იყო ამოკვეთილი.

ასეთი მარჯვენა ესხა ორ კაცს ჩვენს მწერლობაში: საბა ორბელიანსა და ილია ჭავჭავაძეს.

ორივენი იყვნენ არა მარტო მწერლები, არამედ ერისმთავრები, ენის რეფორმატორები და მათი ქმნილებები უფრო მეტია, ვიდრე წიგნები, უკეთ რომა ვთქვათ, ესენია ერთგვარი „სააქიმოი სულისა“.

V

მსოფლიო პროზაში გოეტეს „იტალიური მოგზაურობის“ შემდეგ, მე არ მეგულება ისეთი მარალხარისხოვანი მხატვრული ნარკვევები, როგორიცაა ილიას „მგზავრის წერილები“.

ბუნების პეიზაჟების უბადლო ოსტატობა, აფორიზმების ელვა, სარკაზმის გესლიანი ისრები, ყოველივე იქაა. რაც მთავარია, ჯერაც ჭაბუკი ილია ჭავჭავაძე წარმოგვიდგენს მთელს პროგრამას მისი მომავალი მოღვაწეობისას.

დიდი მწერლების გარშემო მუდამ დიდი გაუგებრობანი დაბადებულან.

ეროვნული ნიჰილიზმის უგუნური ბაიყუშები ილიას „რეაქციონერსა“ და „რეტროგრადს“ უძახდნენ.

„ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე“. გაჰკიოდნენ ისინი.

არც ერთ მწერალს საქართველოში ამდენი არ უბრძოლია თავადაზნაურული რეტროგრადული აზროვნებისა და სირეგვენის წინააღმდეგ, რამდენიც დიდმა ილიამ იბრძოლა.

ილია იყო ჩვენი კულტურის, ჩვენი ერისა და ჩვენი ენის განახლებისა და განათლების დიდი მესაყვირე:

რომანოვების ობსკურანტული რეჟიმი იყო ადრესატი ქვემოდ მოყვანილი სტრიქონებისა, რომელნიც წარმოადგენდნენ ადამიანური მეტყველების შესანიშნავ ნიმუშს:

„ბნელო ღამევ, შენა ხარ ხელშემწყობი იმ ხელობისა, რომელსაც თვალთმაქცობას ეძახიან და რომელნიც ადამიანის დამფრთხალ გონებასა უბედურებას ბედნიერებად აჩვენებს ხოლმე. შენა ხარ ჟამი და დრო კუდიანების სერობისა, საცა ისმის სადრეგრძელო სიბნელისა და უმეცრებისა.

ჰოი. ბოროტო, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ!“

* * *

ცხადია, ილია ჭავჭავაძე ჩვენი გაგების სოციალისტი არა ყოფილა, ასე რომ ისინიც აჭარბებენ, ვინც თუნდაც კეთილი განზრახვის კარნახით ნამეტნავად რადიკალურად მოაზროვნედ სახავენ მას.

* * *

იმ ბნელ დროში, როცა ილია ჭავჭავაძის დაცვისათვის ხელტუკებს გვიშენდნენ, ხშირად მომიშველებია ლენინის ბრძნული აზრი ლევ ტოლსტოის გამო თქმული, ილიას დასაცავად.

ლენინის თვალში ტოლსტოი დიდი მხატვარი ჩრდილავდა ტოლსტოის რეტროგრადს, ნეოქრისტიანიზმის საკმაოდ დაგვიანებულ მედაფეს.

დიდი მწერლების ქმნილებები ხშირად წინააღმდეგობათა შემცველნი არიან. ენგელსი აღტაცებული იყო იმ უსასტიკესი კრიტიკით, რომელიც გამოიჩინა ბალზაკმა ამორალური ბურჟუაზიული საზოგადოების მიმართ, თუმცა ენგელსმა კარგად იცოდა, რომ შაგრენის ტყავის ავტორი მისტიკოსი იყო პირველი რანგისა.

ლიტერატურათმცოდნეობის ავგიასულ თავლებში მრავალი უაზრობაა დაგროვილი. ერთი ამგვარია ის კორიანტელი, რომელსაც აყენებენ ხოლმე ლიტერატურის ზოგიერთი მეისტორიენი იმ „ზეგავლენათა“ გამო, რაც ილიას არ ჰქონია.. ზოგს დიდ ბედნიერებად მიაჩნია ზეგავლენათა ხელოვნურად გამოჩხრეკა, რადგან არც კი უწყიან, ნაციონალური ლიტერატურა იქვე იწყება, სადაც უცხო მწერლობათა ზეგავლენას მზღვარი დაედება.

ჯერ თეორიებს შეამზადებენ კრიტიკოსები და მერმე მწერალს გადააცვამენ თავზე, როგორც მექამანდენი ურა ცხენებს ლასსოს.

ამგვარი ტენდენციებით რომ აღვიჭურვოთ, გოეთესა და შილერს ბაირონის ყმადნაფიცებად გამოვიყვანთ.

ჟუკოვსკის, პუშკინსა და ლევ ტოლსტოის სტენდალის, ტეკერეის და ბაირონს ინტელექტუალურ ვასალებად ვაქცევდით.

„მგზავრის წერილების“ ავტორი გარკვევით ამბობს, რომ მას ის თერგი უყვარს, რომელიც ქუხილით მოჰქრის ჩვენს ნიადაგზე და არა ის თერგი, რომელიც დამდორებულა და მომკვდარა ჩვენი ქვეყნის საზღვარს გადაღმა მიმდინარე.

მე დღესაც ვერ გამიგია: მაინც რა გახდა ეს მღვრიე წყალი თერგისა, ან რამდენი უნდა დაელიათ ჩვენს მოღვაწეებს, ამდენი კორიანტელი რომ დააყენეს კრიტიკოსებმა ჩვენს ეპოქაშიც? აკი ამბობს ავტორი:

„ეს დასაღუპავი თერგი! რა ორპირი ყოფილა! დახე, როგორ მომკვდარა, რაკი ზურგი ჩვენსკენ უქნია!“

VI

როგორი განსაცვიფრებელი სიფაქიზით გამოჰკვეთა ოსტატის ხელმა ბედშავი მოხევე ლელთ ღუნიაი!

მისი უბირი გულიდან დაძრული სიტყვები გახდა ლაიტმოტივი იმ დიდი ბრძოლისა, რომლის თავკაცი იყო ჩვენი ილია ჭავჭავაძე.

„...ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟობდის, ქალაი ქალობდის“.

ნახევარ საუკუნეს ებრძოდა დიდი ილია ეროვნული ნიჰილიზმის საშინელ ურჩხულს.

* * *

გასულ საუკუნეებში თითქმის ყოველი ერის ინტელიგენცია თავადაზნაურობის წრიდან გამოდიოდა, ეს წოდება იყო თავისი დროის ერის მეთაური.

საქართველოს სახელმწიფური ინსტიტუტის დაშლამ ბუნებრივად გამოიწვია დეგრადირება არისტოკრატიისა.

თუნდაც მატერიალურად ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა მოსკოვის არისტოკრატიის შემდეგ უმდიდრესი იყო რუსეთის იმპერიაში.

საქართველოს უკანასკნელმა სუვერენმა ერეკლე მეორემ იმდენივე ჭრილობა ომებში მიღებული თან ჩაიტანა სამარეში, რამდენი წელიც იცხოვრა ამ ქვეყნად.

ამ უდიდესი მებრძოლის საფლავს ვიღაც რუსმა მოხელემ პაულიჩმა დაადგა რაღაც უგემური ლუსკუმა, ხოლო ბაგრატიონები, ორბელიანები და ძმანი მათნი ვერარ ძღებოდნენ ქეიფით, ბედოვლათობით, მამულების გაყიდვით.

* * *

ამ წოდების გადაგვარება უსასტიკესი სარკაზმით გაჰქირდა ილიამ, ამ მხრით ილიას „კაცია ადამიანი?!“ მამხილებელი ლიტერატურის შედევრია. განა მარტო მწერლობით, მთელი თავისი მოღვაწეობით ებრძოდა ამ წოდების უზნეობასა და ბედოვლათობას ილია.

* * *

ლიტერატურის წინ წაყვანას ერთი კაცი არასოდეს ყოფნის, ილია თავათ უჩიოდა თავის მარტოობას.

„მაგრამ, მამულო,
ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზე ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო“.

პირდაპირ გულისმომკვლელი ამბავი იყო ეს გამწარებული დიდი კაცი, ლომივით რომ ბრდღვინავდა და გააფთრებული ებრძოდა თავის ერში დამკვიდრებულ გაუგონარ დაბნელებას გონებისას.

* * *

შეიძლება ითქვას, რომ ილია მაინც მარტოხელა დარჩა ამ უსწორმასწორო ბრძოლაში.

აკაკი წერეთელი თავისი დიდი ტალანტისა და ასეთივე პოპულარობის მიუხედავად, ვერ იყო მაინცდამაინც გულმამაცი მებრძოლი, რაც ასე ესაჭიროება ლიტერატურის სარდალს.

ილიასთვის მხარის დამშვენება ამ სამეში შეეძლო ერთ კაცს იმ საუკუნეში, სახელდობრ ნიკო ნიკოლაძეს.

მე ვფიქრობ, როგორც სხვა ჩვენი მოღვაწენი, არც ნ. ნიკოლაზეა ჯეროვნად შეფასებული.

შორიდან ნ. ნიკოლაძე მე მეგონა ისეთივე გონება შეზღუდული ინტელიგენტი, როგორიც არა ერთი იყო იმჟამინდელ ჩვენს მწერლობაში.

ნ. ნიკოლაძეს მე ორჯერ შევხვდი: ერთხელ ბერლინში და მეორედ პარიზში 1923 წელს. უნდა ითქვას, აღტაცებაში მომიყვანა მისმა დიდმა ერუდიციამ, განსწავლულობამ და გონებამახვილობამ.

რა და რა დარგის გამო არ გაესაუბრებოდი მას. ბერგსონის „ელან ვიტალის“ მოძღვრება იქნებოდა ეს, თუ ინგლისისა და ამერიკის კოლონიური პოლიტიკა, ჩინური ფილოსოფია და ჰინდური რაჰმანიზმი, ისლამური მისტიციზმი, თუ მასსონების მოძრაობა ევროპაში, იტალიური რენესანსის, თუ ძველბერძნული პლასტიკის საკითხები, ეს ხანდაზმული კაცი ყოველ საკითხში ერკვეოდა, ყველგან შინ იყო.

პირველ ხარისხოვანი ევროპული დიდი მწერლის, ამ მეცნიერის სიმაღლეზე იდგა მისი გამბრძმედილი ინტელექტი, რომელსაც სიბერე ჯერაც არ გაჰკარებოდა.

როცა ქართული კულტურისა და ქართველი ხალხის მომავალი ბედის გამო ჩამოუგდებდი სიტყვას, დარბაისლურად, თავდაჭერილად, მაგრამ მაინც არ ჰმალავდა თავის გულგატეხილებულობასა და სკეპტიციზმს.

„ილიკო ჭავჭავაძის“ (როგორც თავად მეტყოდა ხოლმე), მაინც და მაინც დიდი აღტაცებით არ ახსენებდა. ან რა გასაკვირალია? ეს ორი მოღვაწე დიამეტრულად მოპირდაპირე პოზიციებზე იდგა.

ან როგორ შეეძლო ილისთან ერთად გაეწია უღელი იმ კაცს, რომელმაც ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის კვირაძალში საქვეყნოდ განაცხადა:

სანამ დასავლეთით შავი ზღვა ახლავს საქართველოს, ხოლო აღმოსავლეთით კასპიისა, ჩვენს ქვეყანას თავისუფლება არ ეღირსებაო.

ასეთი რამ გულშიაც რომ ედოს, არ უნდა გაამხილოს ამ რაინგის მოღვაწემ.

სხვა ვინ იყო ილიას ჟამინდელ საქართველოში, ვინც თანამებრძოლად გამოსდგომოდა მას?

დიდი ვაჟა, ჯერაც ჭაბუკი იყო, გარდა ამისა, იგი ისე დატყვევებული იყო ქართული ისტორიული მითოლოგიის ჯადოსაგან, ისე დატვირთული თავისი გრანდიოზული პოემების წერით, ვერც იგი გამოადგებოდა თანამოლაშქრედ მარტოხელა ილიას.

დღეს უკვე სამწუხარო ამბად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, ილიამ და ი. მაჩაბელმა საერთო ენა რომ ვერ გამოსძებნეს და საბანკო საქმეების გამო კინკლაობას შეალიეს თავიანთი ენერგიის მოზრდილი ნაწილი.

ამიტომაც წამოსცდა ბრძოლებისა და ტანჯვისაგან გამწარებულ პოეტს:

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?
ყველა ყრუვი, ყველა ცრუი
ამაყი და მანკიერი“.

ილიას დარ დიდ კაცს უფლებაცა აქვს შერისხოს საკუთარი ერი, როცა დენაციონალიზებისა და ზნეობრივი დეგრადაციის დაღმართებისაკენ დაექანება იგი.

გონების დაბნელების შემზარავი მაგალითები უხვად იყო იმჟამინდელ საქართველოში.

ბაზალეთის ტბად დადგებოდა ის მელანი, რომელიც დახარჯეს ნ. ჟორდანიამ და კომპანიამ ქარტული ისტორიის ლაფში ამოსათხვრელად, ქართული მწერლობის, ქართული კულტურის გასაქირდავად.

ზოგ-ზოგი ვინმე იქამდის მივიდა, რომ ერთადერთი მოთხრობის „სურამის ციხის“ ავტორი თავზე დაასვა არა მარტო ილიას, თვით რუსთაველსაც, ხოლო ილიას უდიდესი ღვაწლი ბატონყმური ფსიქოლოგიისა და თავადაზნაურობის წინააღმდეგ ბრძოლაში სავსებით გააბიაბურა.

განა მარტო ამ პეეტრებს ებრძოდა ილია? მეცნიერული კოსმოპოლიტიზმის დიდმა ქურუმმა, მართლაც დიდმა მეცნიერმა, მაგრამ ფრიად უპრინციპო და უსამშობლო კაცმა ნიკო მარრმა ეს იკადრა:

„ვეფხისტყაოსანი“ ნათარგმნია, მისი დედანი ბრიტიშ მუზეუმში იმყოფებაო. ასეთი გალიმათია იშვიათად თუ წამოსცდენია რომელიმე მეცნიერს.

ცხადია, ჭკუანაღრძობი „მოაზროვნენი“ და უკულმართები ყოველ ერსა ჰყავს, მაგრამ მე არა მგონია ზემოთ ჩამოთვლილი თეორიების მინაგვარი რამ რომელიმე სხვა ერის ცხოვრებაში გაეხმიანებინოს ვინმეს ოდესმე. სავსებით მართებულად ნ. მარრსაც არაერთხელ უთავაზა მაგარ-მაგარი ქიმუნჯები თავის კოსმოპოლიტურ აბდაუბდათა დიდმა ილიამ.

* * *

უსასტიკესად ებრძოდა ილია ჭავჭავაძე ქართველი ხალხის გმირული წარსულის აუგად მახსენებელთ, ჩვენი კულტურის მოღვაწეთა დიფამაციის თავკაცებს, შინ და გარეთ, კატკოვებსა და პატკანოვებს, რომელთაც ქვათა ღაღადი შეასმენინა.

გააფრთებული ებრძოდა, როგორც საკუთარი ერის წიაღიდან გამოსულ რეგვენებს და მატარბაზებს, ისე გაზულუქებულ გადამთიელებს, რომელნიც უდიერად მისწვდებოდნენ ხოლმე ჩვენი ერის წარსულსა და მის კულტურაც.

* * *

მეცხრამეტე საუკუნეში არ მოთავსებულა დიდი ილიას წინაარმდეგ გამართული ლაშქრობა. ჩვენ მომსწრენი ვართ იმ სამარცხვინო ამბისა, საბჭოური სკოლების პროგრამებში ილია ჭავჭავაძეს ფეოდალს და რეტროგრადს რომ უწოდებდნენ.

ყოველი დროის ცილისმწამებლებმა კარგად იცოდნენ: თუ გინდა ადამიანი უზომოდ დასაჯო, მას ისეთი რამ უნდა დააბრალო. რის წინააღმდეგაც იგი თავად იბრძოდა.

ქრისტეს მთელი მოძღვრება მიწიერი მეუფების წინააღმდეგ იყო მიმართული. ებრაელებმა პირიქით მას ეგ დააბრალეს:

ურიათა მეფობას აპირებდაო.

VII

ილიას გარშემო გამართული ბრძოლების კორიანტელში ჩვენს ლიტმცოდნეობას მიავიწყდა ილიას დიდი მემკრეობის შესწავლა, მისი როლის, მისი ადგილის გამორკვევა ქართული ენისა და მწერლობის განვითარების ისტორიაში.

საერთოდ ცნობილია, ცუდი შვილები ხშირად შებრძოლებიან კარგ მამებს, მაგრამ მთელს მსოფლიო პოეზიაში უბრწყინვალესი შედევრებია მიძღვნილი კარგი მამებისადმი, კარგი შვილების თავგამოდებული სიყვარულისადმი.

მარტო ერთი შექსპირის დანიელი პრინცი ჰამლეტი რათა ღირს! ან არა და ჰომეროსის პრწყინვალე სტროფი, რომელიც მთელ პოემას უდრის:

„ზევსს როდი გეფიცები აგელაი, არამედ მამაჩემის ტკივილებს“ (ტელემაქესა და ოდისეის დამოკიდებულება).

გალიმათიად შერაცხილი მაქვს ყბადარებული თეორიები იმ უნიჭო ღვთისმეტყველის ანტონ კათალიკოსის „სკოლის“ გამო. ასეთივე უნიჭოები იყვნენ ბარბარა ჯორჯაძე და მისი ამქარი სარდიონ მესხიევი, ბარათოვი და სხვანი, გრიგოლ ორბელიანის გარდა. აკი სჩიოდა ილია ჭავჭავაძე თავად: ვისაც ვებრძოდი ბრძოლად არ ჰღირდაო.

ერთადერთი კაცი, რომელიც ბრძოლად ჰღირდა ეს იყო შესანიშნავი პოეტი გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც, ჩემის აზრით, ლიტერატურისა და ენის საკითხებში იდეური ბრძოლის ნამდვილი საბაბი არც კი ჰქონდა ილიას მიმართ.

გრიგოლ ორბელიანსა და ილიას შორის არსებული უთანხმოების საფანელი იყო მდგომარეობისა და ტემპერამენტის სხვაობიდან წარმომდგარი ფაქტორები. აქ არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი მომენტიც;

გრიგოლ ორბელიანს, რომელიც სიჭაბუკეშივე ოცნებობდა ორთავიანი არწივის ჭანგებისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის, იმდენი ორდენები და პატივი მიანიჭა ნიკოლოზ პირველმა, მას, უკვე სიბერეში გადამდგარს, ილუზია წარმოესახა, თითქოს ქართველი თავადაზნაურობისა და ქართველი ხალხის ისტორიული მისსიის გაგრძელება იქნებოდა ცარისტული იმპერიალიზმისათვის ხმლით მიშველიება. გრ. ორბელიანი საკმაოდ ბუნდოვნად ერკვეოდა იმჟამინდელ პოლიტიკაში, პირსისხლიან მონარქს, ნიკოლოზ პირველს ისეთივე გულმოდგინებით უმღეროდა თავის პოეზიაში როგორც ერეკლე მეფეს, დავით აღმაშენებელს და ვახტანგ გორგასალს, რომელნიც არსებითად იყვნენ არარაგრესიული პოლიტიკის გამტარებელნი, არამედ თავკაცები ქართველი ხალხის ნაციონალურ – განმათავისუფლებელი ბრძოლისა.

გრ. ორბელიანი ძლიერ უხეშად მოექცა ამ ახალ თაობას, მაგრამ მას, როგორც პოეტს, არამც და არამც არ ეკადრებოდა აკაკი წერეთლისაგან ასეთი ეპითეტი: „ხარაბუზა ღენერალი“.

რამდენად უფრო დარბაისლური დელიკატური იყო ამ „ბურთივით მრგვალი ლიბერალის“ პასუხი:

„ჩვენ ვვლეთ რუსეთი,
მაგრამ არც ერთი
ხელობა თქვენი არ გვისწავლია,
ჩვენი ქვეყანა,
მკვდარი თქვენგანა,
თქვენებრ ჩინებზე არ გაგვიცვლია.
ვინა ყრიხართო,
ვირები ხართო,
მაგ თქვენ ზრდილობას ვით ეკადრება?
მაგრამ შოთამ სთქვა:
რაც კოკაში დგას,
იგივე თურმე წარმოსდინდება“.

ამ კენწლაობის მიუხედავად, დარბაისელი ილია ობიექტური დარჩა მაინც, გრიგოლ ორბელიანს ძველისა და ახალის „შემაერთებელი ხიდი“ უწოდა.

* * *

ქართული ენის წყაროსთავნი იყვნენ იაკობ ცურტაველი და შოთა რუსთაველი, გიორგი მერჩულე და საბა ორბელიანი, ეს გენერალური ხაზი ქართული მწერლობისა განაგრძეს ნიკო ბარათაშვილმა, გრიგოლ ორბელიანმა, ილია ჭავჭავაძემ, და აკაკი წერეთელმა.

უთუოდ გრიგოლ ორბელიანისაგან გადმოეცა ილიას პათეთიური შემართება ქართული ისტორიის დიდი გმირების აპოლოგიაში.

ქართული ისტორიის პოეტიზირების შესანიშნავი ნიმუშია ილიას „დიმიტრი თავდადებული“, რომელშიაც პოეტმა უმღერა კიდევაც ქვეშეცნეულად საკუთარ თავდადებას და პარაბოლური ენით გვამცნო, რომ ნამდვილი თავდადება მამულისათვის საკუთარი სიცოცხლისა და სისხლის გაღების საფასით ხდება... ამიტომაც სასწორზე შეაგდო მან თავისი პირადული ცხოვრება.

VIII

ენის საკითხებშიაც ილია ჭავჭავაძე თანმიმდევრულად აგრძელებს იმ გენერალურ ხაზს, რომლის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში იყო გრიგოლ ორბელიანის ბრწყინვალე პოეზია.

ამაოდ ცდილობდა ზოგი დიდკაცი დაემტკიცებინა, თითქოს ილია ჭავჭავაძე ქართული ენის ხელოვნურად განმარტივებისა და გაღარიბებისა მედაფე ყოფილიყო.

ყოველი განვითარება როგორც კულტურის, ისე ტექნიკის საქმეში მარტივიდან რთულისკენ სვლას გულისხმობს.

მარტივია „რწყილი და ჭიანჭველა“, ხოლო რთული — „ვეფხისტყაოსანი“, მარტივია ურემი და ისარი, ხოლო ურთულესი რეაქტიული თვითმფრინავი და თანადროული მაშინერია. შედარებით არახანდაზმულ და ახალგაზრდა ენებისა და ლიტერატურათა ფონზე ქართულ ენას გააჩნია ის ბედნიერება, რომ იგი ერთ-ერთი უხუცესი ენათაგანია მთელს მსოფლიოში, მის ეტიმოლოგიაში დღესაც ჟღერენ ჯერ კიდევ მეხუთე და მეექვსე საუკუნეში ნახმარი სიტყვები.

ორმა წიგნმა განუსაზღვრელად დიდი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაზე.

ეს იყო ბიბლია და არაბული ეპოსი „ათას ერთი ღამისა“, „ღვთაებრივი კომედიისა“ და გოეტეს „ფაუსტის“ სათავეები ბიბლიიდან მოდიან, ხოლო „ათას ერთი ღამიდან“ ბოკაჩიოს ნოველებისა.

ევროპელმა ხალხმა და მათმა მწერლებმა მხოლოდ მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში იგემეს ბიბლიის, ამ უბრწყინვალესი წიგნის თარგმანი თავიანთ ნაციონალურ ენაზე, ჩვენ ეს ბედნიერება გაგვაჩნდა, ჩვენი დიდი მთარგმნელებისა და თეოლოგების მეოხებით, ჯერ კიდევ VII-VIII საუკუნეებში.

ამიტომაც ქართულ ენას უკლებლად შემორჩა ეს უძველესი ოქროს ფონდი და თან გამოჰყვა იგი იმ ეპოქამდის, როცა ენები ნებსით თუ უნებლიეთ ითვისებენ მოდერნული საერთაშორისო მეტყველების ლექსიკას, თანამედროვე ფილოსოფიის და ტექნიკის ასათვისებლს.

მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის მეტყველება ეთნოგრაფიულ-დიალექტურ ნირს არ იყო მოკლებული, ეს ტენდენცია მხარს უქცევდა იმ ძველქართულ ინტონაციას მეტყველებისას, რომელიც ახასიათებდა გენერალურ ხაზს ქარტული ენისას. ამ გეზის პირდაპირი გამგრძელებელნი იყვნენ ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე.

გრიგოლ ორბელიანმა, როგორც ამ გენერალური ხაზის ორტოდოქსულმა წარმომადგენელმა, შენიშნა, რომ ეს „რიონელები, გოგიტელები, მესხი, მეველე, მელიქაღები“ კლასიკურ, დარბაისლურ ქართულ ენას მიაქანებდნენ პროვინციული ჟარგონებისაკენ და მან არ დამალა თავისი მართებული აღშფოთება.

ილია ჭავჭავაძე არ აჰყვა გრიგოლ ორბელიანთან წაკენწლავების მომენტებს და ამ უკანასკნელის დასაფლავების დღეს წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა კიდევაც ამ დიდი პოეტის ღვაწლი.

ისევე როგორც გრიგოლ ორბელიანის ლექსებსა და პოემებს, ძველ ქართული, დარბაისლური ინტონაცია გასდევს ილიას ლირიკულ ლექსებს, მის „განდეგილს“, დიმიტრი თავდადებულს“, „აჩრდილსა“ და „ოთარაანთ ქვრივს“.

IX

განუზომლად დიდია ილიას დამსახურება ქართული მხატვრული პროზის წინაშე. მისი „ოთარაანთ ქვრივი“ შედევრთაგანია ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობისა.

ქართველი ქალების მხატვრულ გალერიაში ოთარანთ ქვრივის სახე განსაკუთრებული ბრწინვალებითაა შემოსილი. ქართველი ქალი, როგორც ბალავარი ქართული ოჯახისა და ჩვენი ნაციისა, ეს არის ამ მოთხრობის თავკიდური.

საზოგადო მოღვაწეობამ, ხანგრძლივმა ბრძოლებმა, რედაქტორობამ, პოლიტიკამ, ბანკმა, არ დაანება ილიას დიდი რომანები შეექმნა.

ვერც ერთი ნაციონალური მწერლობა ვერ ჩაითვლება თანადროული გაგების ნამდვილ ლიტერატურად, თუ მას კრიტიკა არ გააჩნია. ეს ჟანრი აზიის ხალხთა ლიტერატურას არ გააჩნდა. ქართული კრიტიკის სათავეებიც ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში პოულობენ საწყისს.

კრიტიკოსს, გარდა დიდი განათლებისა და გემოვნებისა, ესაჭიროება დიდსულოვანი კაიკაცობა და თავისი თანამედროვე ადამიანებისადმი დიდი სიყვარული. ასეთი იყო ილია ჭავჭავაძე: ზრუნველი მამა ახალი თაობისა, თავის თანამედროვეთა მიმართ ობიექტური.

ილიამ შეიცნო პირველმა ნ. ბარათაშვილის ტალანტი, ვაჟა-ფშაველას გენია და ალექსანდრე ყაზბეგის ნიჭი.

ილიამ ობიექტურად შეაფასა თვით გრიგოლ ორბელიანის პოეზია, ამ უკანასკნელის შხამიანი ეპიგრამების მიუხედავად. ხომ დიდად განსწავლული კაცი იყო ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე, შესანიშნავი მწერალი და ორატორი, მაგრამ მისი კონცეპციები და შეფასებანი მომეტებულ შემთხვევაში ილიას ზეგავლენით არიან შექმნილნი. ვერც თანამედროვე კრიტიკოსებმა და ლიტერატურის მცოდნეებმა გადაუხვიეს ზოგ შემთხვევაში ილიას მიერ დასახულ სამანებს.

ქართული ენის, ქართული ისტორიის, ქართველი ხალხის ზნეთა და ჩვევათა დიდი მცნობი, ჩვენი კულტურის თავდადებული მოჭირნახულე, ილია ჭავჭავაძე იყო ნამდვილი პატერ პატრიას, რომელმაც თავისი დიდი ენერგია და გაწამებული სიცოცხლე მსხვერპლად შესწირა მამულისადმი სიყვარულს. ამიტომაც იგი შერაცხილი ჰყავს ქართველ ერს, როგორც თავდადებული მამა სამშობლოისა.

1957 წ.

გიორგი ლონიძე

ილიას სურათზე

შენი ქართლი – გაზაფხულით –
ისე წახველ – ვერ ამწვანდა;
გული ჰქონდა დაგაზული,
თოფმოხვედრილ არწივს ჰგავდა!

შენ გწყუროდა მისთვის ბრძოლა,
განახლების ქართა ქროლა,
მეხის ფრქვევა მთვლემარ მთებში...
გარს კი ჰმზერდი ხალხის საფლავს
დიდ ნანგრევთა ნაფშხვენებში!..

გაშრა ცრემლი მწუხარების,
აწყმოდ იქცა მომავალი,
დავინახეთ შენი მხრები,
ლევკაცური შენი კვალი...

ახმიანებს საუკუნეს,
ძველ ნახმევმა მოგვცა ბანი,
და ვემთხვევით ხალხის პოეტს,
შუბლგახვრეტილს, ცრემლგაბანილს...

შენ გიყვარდა ხმა მტვრევისა
და მომსკდარი კლდიდან თერგი;
შენ ძირს დაგცეს ფოთოლივით
და მთასავით წამოდექი!

კოლაუ ნადირაძე

წიწამურიდან საგურამომდე

პავლე ინგოროყვას

წიწამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა,
წიწამურიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა?
წიწამურიდან საგურამომდე აშრიალებულ ფოთლების ზღვაა.
ისევ დუდუნი ისმის არაგვის,ისევ ბიბინებს არაგვის ველი.
ღამით ამოსულ და აყვავებულ ვარსკვლავებს დილა მოთიბავს ცელით,
ღამით ამოსულს და აყვავებულს ნიავს არაგვი დილამდე ელის.
ჰეი, არაგვო, არაგვიანო, გულში ეგ სევდა რად ჩაგწოლია?!
შენს სამას შვილზე ხომ არა დარდობ? – გყავდა და თითქოს არა გყოლია!
შენი ჩქერების თეთრი შხეფები, - ეგ ხომ ცრემლების წმინდა ბროლია!
ჰეი, არაგვო, მიამბე მაინც შენს სამას რაინდს თუ რას უმღერდი,
როგორ აღზარდე ქართულ ქოხებში და ქართულ აკვანს როგორ ურწევდი!
ჰოი, არაგვო, მაშინაც, ალბათ, ამავე სევდას მოაქუხებდი!
არავინ იყო ამბის მომტანი, არ გინათებდა გულს ალიონი,
აღარ გესმოდა „ვისაც მოუკლავს“, არ გუგუნებდა ზარი სიონის,
შენ დაგტიროდა მხოლოდ მოხუცი: - დამარცხებული ბაგრატიონი!..
გზა ეკლიანი და უდაბური გმირებს და მგოსნებს გაუკაფიათ!
საით ისწრაფი, მაინც არაგვო, და მიშფოთებ ტალღებს ქაფიანს?
მცხეთის კარამდე დიდი ჩრდილებით მთებს შენი ტანი დაუდაფნიათ!
მცხეთის კარამდე გაისმის ძვლების და მუზარადის მსხვრევის ხმაური!
მცხეთის კარამდე წარსულ ბრძოლების ისევ ამტყდარა აურზაური,
მცხეთის კარამდე რეკავს ჯავშანზე დაჯახებული ხმალი ფშაური!
წიწამურიდან გულის კარამდე ერთი გზა მიდის – გზა სისხლიანი!
ისევ ჰყივიან ცაში არწივნი და შრიალებენ მთანი ტყიანი;
მთებში ირმების ისმის ყვირილი გულის მზარავი და სევდიანი.
ეგების მკერდში დასჭრეს ირემი და არ ურჩება ბეჩავს იარა?
განგმირულ შუბლით ეკლიან გზაზე ისევ მგოსანმა თუ გაიარა?
ეგების ამცნო მთებს საიდუმლო და დიდი ფიქრი გაუზიარა?
ჰოი, არაგვო, არაგვიანო, გულში ეგ სევდა რად ჩაგწოლია?!
მოკლულ პოეტზე ხომ არა დარდობ? – გყავდა და თითქოს არა გყოლია!
შენი ჩქერების თეთრი შხეფები, - ეგ ხომ ცრემლების წმინდა ბროლია!
ჰოი, არაგვო, მიამბე მაინც, როგორ დაეცა ეგ გოლიათი?
ეგების შეწყდა ვარსკვლავთ კაშკაში, გადაეფარა მიწას წყვდიადი,
და დამწუხრებულს, კაეშნით მოცულს, მზესაც ამოსვლა დაუგვიანდა?
შთაგონებული სიმღერა მისი აღარ მოესმის მიდამოს შენსას.
ალბათ, მისთვის ხარ გულ ჩათხრობილი და აღარ ცხრება ტალღების კვნესა!
ნატყვიარ შუბლის სისხლის წვეთები ახლაც აცხია მიწას და ქვებსაც!..
წიწამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა.
წიწამურიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა?
წიწამურიდან საგურამომდე დიდი მთები და უძირო ცაა.

1936

ლადო ასათიანი

ილიასადმი

საგურამოში ხე არის ერთი,
ხე-რხეული და რტოებხნიერი,
აქ ისვენებდა მუზების ღმერთი
და შუბლმაღალი ოლიმპიელი.

მოსტაცა დიდი სინათლე დღეს და
პრომეთეს ცეცხლი მისცა უკუნეთს,
აქ იჯდა იგი, ამ კაკლის ხესთან,
მხრებგანიერი, ვით საუკუნე.

როგორც ქართველი პოეტის შუბლი,
ამზირდებოდა რტოებში მთვარე,
ზეცას არ აჩნდა იოტიც ღრუბლის
და ვარსკვლავები იფშვნეტდნენ თვალებს.

შარიშურობდა კაკლის ხის ტოტი,
ნანას უმღერდა წალკოტს ჩრდილიანს:
-ეჰ, აყვავდები, სამშობლოვ როდის?
მთვარესთან ღამით უთქვამს ილიას.

უყვარდა სიბრძნე და სილამაზე,
ეხურა ქუდი წითელი ფუნჯით,
აქ იჯდა იგი ნალისფერ ქვაზე,
დიდი მეტყველი და დიდი მუნჯი.

დაიხრებოდა კაკლის ტოტებიც
ჩუმი შრიალით დაიხრებოდნენ,
წამოდგებოდა, თავგამოდებით
კაკლის ტოტებიც აშრიალდებოდნენ.

აქ უწერია ოქროსხელიანს
თავის მამულის სასახელოდა,
კაკლის ტოტებიც ახლა მღერიან,
რასაც პოეტის ყელი მღეროდა.

მთვარემ დახია მწუხრის ზეწარი,
უკან დასტოვა შავი ღრუბელი,
მე ცოცხალ პოეტს ვერ მოვესწარი
და კაკლის რტოებს ვესაუბრები.

მეტყვიან ალბათ დაჩემებულად,
მწვანე ფოთლები ნელი ჩურჩულით,
თუ რაოდენჯერ აცრემლებულა
სამშობლოს ბედით გულდათუთქული.

მეტყვიან ალბათ, თუ ცეცხლი ღვივის,
როგორ დალეწეს სირცხვილის ზღურბლი,
როგორ გააპეს ბერდანის ტყვიით
ოლიმპიელის მაღალი შუბლი.

მეტყვიან, მკაცრი წყევლა და კრულივით
რომ მოითხოვდნენ მართლის მხილებას,
რომ იგი ქართველის მტრების მოკლული,
დღეს გააცოცხლეს ქართვლის შვილებმა,

დილისკენ თეთრი ნისლი იხრება,
სამოგზაუროდ მიდის მთაბარად,
და იფანტება ველზე გიშრებად
ლექსი, ქცეული ხალხის ანბანად.
მეც ხომ ამ ლექსის ეშხმა მიშველა
და პოეზიის ცეცხლში გამბანა.

აიშლებიან კაკლის რტოები,
მზის და ცვარ-ნამის ნიშნიანები.
მამაპაპეულ სევდას სტოვებენ
და ვაჟკაცურად მიშრიალებენ.

ყვარლის მთებიდან ქარს ღრუბლის მური
ნიავს ნისლი და ცრემლი მოჰქონდა,
ვინ იფიქრებდა, რომ წიწამური
შეიქმნებოდა მისი გოლგოთა!

შრიალებს რტო და მიწიდან მესმის
მკერდგანიერი პოეტის სუნთქვა,
ასწიე თასი და უცებ შესვი,
თუ ეს სიმღერა გულს გწვავს და გთუთქავს.

მისი სიმღერა თერგივით რბოდა,
ეტყვის ახლა ქვეყნად გმირს-გმირი:
წარსულმა დადგა მისი გოლგოთა,
აწყომ დაუწნა დაფნის გვირგვინი.

1933

საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე





ILIAS MKVLELOBIS ADGILAS ALMARTULI JVARI.

წიწამურთან...

30 აგვისტოს, ხუთშაბათს დილის 10 საათზე ილია და მისი მეუღლე იმავე ეტლით, რომლითაც ლაისტთან ერთად სამი თვის წინ თბილისში ჩამოვიდნენ, საგურამოსკენ გაემგზავრნენ. დაახლოებით დღის პირველ საათზე ილია და მისი მეუღლე მიუსლან წიწამურის წყაროსთან, სადაც მოურავი ჯაში უნდა შეხვედროდათ. ჯაში კი განზრახ არ მისულა წყაროსთან, რომ მკვლელობაში უშუალოდ არ ჩარეულიყო. ილიას რამდენიმე წუთს მოუცდია, შემდეგ კი განაწყენებულს უბრძანებია თედო ლაბაურისთვის ეტლი დაეძრა. ლაბაური მოსყიდული იყო. იცოდა, რომ 15-20 წუთის შემდეგ ილიას მოჰკლავდნენ...

ეტლი, რომლითაც ილიამ და ოლღამ ერთად უკანასკნელად იმგზავრეს.

ილია ჭავჭავაძის ქვრივის თხოვნა ტფილისის გენერალ-გუბერნატორისადმი

სამხედრო სასამართლომ სიკვდლით დასჯა გადუწყვიტა ჩემთვის და მთელ საქართველოსთვის ძვირფას ილია ჭავჭავაძის სამ მკვლელს. სიცოცხლეში ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სულიერი ძალ-ღონე, ღვთის მიერ მასზე მოვლენილი მაღალი ნიჭი შესწირა ადამიანის სულში ადამიანურ გრძნობის, კაცთა შორის სიყვარულის განმტკიცებას. მე ღრმად მწამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდათ იმათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი და თავის გზააბნეულ ძმებად მიიჩნევდა. დღეს კი ჩემი ქმრის ხსოვნა საქართველოს ერის სულიერ ცხოვრებაში იმის მკვლელთა სიკვდილით დასჯით დაიჩრდილება. ეს საზარელი სასჯელი დაარღვევს იმ ღვაწლს სიყვარულისას, ცხოვრების მასწავლებელ ქრისტეს იმ საუკუნო მცნებას, რომლითაც ცოცხლობდა ჩემი განსვენებული ქმარი.

მოგმართავთ თქვენ გულწრფელისა და მხურვლე თხოვნით: ნუ დაამტკიცებთ სასამართლოს განაჩენს ამ უბედურთა სიკვდილით დასჯის შესახებ: თვით მე მხოლოდ შემთხვევით გადავრჩი ამ სოფლად, რათა დავაბოლოო ის ღვაწლი კაცთა მიმართ მხურვალე სიყვარულისა, რომელსაც ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა – შევუნდო იმ უბედურ, გზადაბნეულ მოყვასთ, რომელთაც თვით ის შეუნდობდა. ჩემი დღეები დათვლილია. ამჟამად თქვენგანაა დამოკიდებული მოიქცეთ ისე, რომ სიცოცხლის აღსასრულის ჟამს ვიგრძნო უმაღლესი ნეტარება, რომელსაც ადამიანის სულს ძალუძს მიაღწიოს ამ წუთისოფელში. შეერთება ღმერთთან რომელიც განიცადა ქრისტემ, როცა ჯვარზე განრთხმული, სიკვდილის ჟამს, ღვთიურ სიყვარულის შუქით განათებული, ევედრებოდა შემოქმედს შენდობას იმის მტრობისას, რამეთუ „არ იციან რასა იქმან!“

გაზეთი „დროება“, 1908 წლის 13 დეკემბერი

ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა

ოლღას ბარათმა მთელი იმდროინდელი რუსეთის იმპერია აალაპარაკა და აღაფრთოვანა იმდროინდელი რუსული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, თვით ლევ ტოლსტოიც...

„რუსკიე ვედემოსტი“ წერდა:

„მაშინ, როდესაც მთელ რუსეთში გამეფებულია ზნეობრივი სიბნელე და უკუნეთი და ყოველ ნაბიჯზე გაისმის მოჰკალ, ჩამოახრჩე და ლამის სასოწარკვეთილების მორევში ჩავიხრჩოთ, ამ დროს საქართველოს საუკეთესო შვილის ქვრივი, რომელსაც უსაყვარლესი მეუღლე ბარბაროსულად მოუკლეს და თვითონაც იგი მხეცურად დაჭრეს, ევედრება მთავრობას, სიკვდილით ნუ დასჯით მკვლელებსო. აქამდე ვიცოდით, რომ ფიზიკური მზე აღმოსავლეთიდან ამოდის, ახლა უნდა ვთქვათ, ზნეობრივმა მზემ საქართველოდან ამოაშუქა“.

ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა

საქართველოში დაბრუნებულმა ილია ჭავჭავაძემ 1863 წელს საგურამოელი უმდიდრესი მემამულის ქალიშვილი ოლღა გურამიშვილი გაიცნო და თავდავიწყებით შეუყვარდა...

ილიას მეგობარი, უკრაინული წარმოშობის ქართველი საზოგადო მოღვაწე ივანე პოლტორაცკი თავის მოგონებებში წერდა:

„უკიდურესად გადარეული იყო ჩვენი ილია უმცროსი დის ოლღას მშვენებით, მაგრამ მაშინ ძლიერ ხელმოკლე თავადი, მასთან მწერალი და ლიბერალი სასურველ სასიძოდ ვერ ჩაითვლებოდა. თავის ტრფიალს მალავდა. ამის გამო ახალგაზრდა მიჯნურთა შუა ჩუმი მიწერ-მოწერა იყო შუამავალი. ილია მთლად გადარეული იყო თვალჭრელა ოლღასათვის. მთელი დღე და ღამე იმის გზას და კვალს ეძებდა, მე მოწამე ვარ იმათი იდეალური სიყვარულის და რომანტიულის გატაცებისა. თაყვანება და ერთგულება თავისი საყვარელი მეუღლისადმი ოლღას სიკვდილამდე არ შეუცვლია“.

ასე დაიწყო ის დიდი ლეგენდა, რასაც ილია ჭავჭავაძისა და ოლღა გურამიშვილის სიყვარული ჰქვია.

ოლღას 26 წლის ილია იმ პერიოდში შეხვდა, როცა დიდი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემისთვის ემზადებოდა. თავის ნაშრომში გურამ შარაძე წერს, რომ სრულიად ყმაწვილ ქალში ილიამ ნათლად შეიგრძნო თავისი მომავალი მეუღლისა და მძიმე ჭაპანის ერთგულად გამწევის ღირსებები და 1863 წლის 8 თებერვლით დათარიღებულ ერთერთ პირველსავე წერილში იმ დროისთვის ჯერ კიდევ გამოუსვლელ „საქართველოს მოამბის“ კრიტიკოსობა შესთავაზა. მამულიშვილური საქმეების კეთებისთვის შემართული ილიასთვის სიყვარული ერთგვარი სტიმული იყო. მით უმეტეს, რომ ეს უკვე აღარ იყო ცალმხრივი გრძნობა. თითქოს, განგებამ ეს ორი ადამიანი ერთმანეთს იმიტომ შეახვედრა, რომ არა მარტო პიროვნულად, არამედ, სამშობლოს სიყვარულითა და მის მიმართ გაწეული ღვაწლითაც დაეკავშირებინა.

თავის ერთ-ერთ წერილში ოლღა საქმროს სწერს:

„ჩემდა სანუგეშოდ, ჩემდა სიცოცხლედ, ეს შენი წიგნებიდანაა [წერილებიდან] და მინამ პირში სული მიდგას, ამით ვისიამოვნებ, რომ მეც ვიყავი ბედნიერი. ამას ვიტყვი, რომ ჩემისთანა ბედნიერი არა მგონია, რომ ვინმე ყოფილიყოს. ეს წიგნები ჩემთან დაიმარხებიან, მე რომ მოვკვდები“.

ამბობენ, ოლღა მეუღლის წერილებს ყველგან თან დაატარებდა და 1907 წელს, საბედისწერო თავდასხმის დროსაც, ხელჩანთაში, ილიას ნაჩუქარ მინდვრის ყვავილებთან ერთად ეწყო.

მიუხედავად იმისა, რომ ოლღას მამა, დიდი თავადი თადეოზ გურამიშვილი ამ ქორწინებას ეწინააღმდეგებოდა, **ილიასა და ოლღას ურთიერთობა 1863 წლის 10 აპრილს ჯვრისწერით დაგვირგვინდა. წყვილმა ჯვარი სამების ეკლესიაში დაიწერა.**

სამების ეკლესია, რომელშიც ილიამ და ოლღამ ჯვარი დაიწერეს.
(დღევანდელი ანტონ ფურცელაძის ქუჩა. ეროვნულ ბიბლიოთეკასთან).

ამ დღიდან გურამიშვილის ასულში, უდიდეს სიყვარულთან ერთად, გაჩნდა საოცარი მოვალეობის გრძნობა, რომელიც სიკვდილამდე არ მოშორებია.

ივანე პოლტორაცკი:

„...შეუყვარდათ ერთმანეთი გატაცებით და არავითარ მატერიალურ ანგარიშს ადგილი არ ჰქონია იმათ შორის და არც შეიძლებოდა, რომ ჰქონოდა. მე მოწამე ვარ იმათი იდეალური სიყვარულის და რომანტიული გატაცების, რისი შედეგიც იყო ოლღას სახლიდან გაპარვა და ჩვენი ამხანაგების დახმარებით, იმათი საიდუმლო დაქორწინება“.

გრიგოლ ყიფშიძე:

„ოლღა აღმოჩნდა ყოვლად კეთილი, სათნო ხასიათის ადამიანი, ქველმოქმედი. ყოვლის კეთილის თანამგრძნობელი, დიდად მოსიყვარულე თავისი სახელოვანი ქმრის და მაღმერთებელი მისი ნიჭისა“.

სულიერი სამყარო ნაკლებად საინტერესო აღმოჩნდეს. ოლღა კი, ფაქტობრივად, მეუღლის ერთგვარ ფარად იქცა მის შემოქმედებით მოღვაწეობაში. მათი ახლობელი **ბარბარე მაყაშვილი** თავის მოგონებებში წერდა:

„ერთხელ, ოლღამ შემიყვანა ილიას საწოლ ოთახში. საწოლთან იდგა მაგიდა, ზედ დიდი ბლოკნოტი, გათლილი ფანქარი და ორი შანდალი კარტოფილის სანთლებით. ოლღამ მითხრა, ყოველ ღამე ასე ვუმზადებ აქაც, ყვარელშიც და თბილისშიც. ცოტას ჩაიძინებს, მალე გაიღვიძებს, აანთებს სანთლებს და მანამ სანთლები დაიწვება, წერსო“.

მიუხედავად იმისა, რომ შინამოსამსახურე ყოველთვის ჰყავდათ, ილიას ოთახს ოლღა ალაგებდა, თითქოს უცხო თვალისგან იცავდა. ოლღა მთელ დღეს მასზე ზრუნვაში ატარებდა. თვალებში შესცქეროდა და უთქმელად იცოდა ქმრის სურვილები. სანამ ილია მუშაობდა, ოლღა ვერ ისვენებდა, შფოთავდა, ვერ იძინებდა.

იმის დასტურად, რომ ოლღა გურამიშვილი მზრუნველი, მოსიყვარულე და თავდადებული მეუღლე იყო, მკვლევარს ილია ჭავჭავაძის ოჯახ-

ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა და ილია ჭავჭავაძე

1873 წლის 23 მარტს დუშეთში მყოფი ილია წერილს უგზავნის იმხანად ბაქოში დასთან, ეკატერინე სტაროსელსკაიასთან სტუმრად მყოფ ოლღას (სტაროსელსკი, ანუ ილიას ქვისლი, შემდგომში ბაქოს გურბერნატორი გახდა):

„გული არაფერზედ მიმდის. კალამი ხელში ვერ ამიღია, რომ დავწერო რამე. ერთი ხეირიანი და რიგიანი აზრი არ მომდის. ნეტავი ან შენ იყო აქ და ან მე ვიყო მანდ, თქვენთან“.

ოლღა ყველანაირად ეხმარებოდა მეუღლეს მუშაობაში. შეიძლება ადამიანი იყოს კარგი მეუღლე, მაგრამ ცხოვრების მეგზურის შემოქმედება და თან დაახლოებული არაერთი პიროვნების მოგონება მოჰყავს.

ოჯახის ახლობელი არტემ ახნაზაროვი:

„ილიას ხასიათს მისი მეუღლე ოლღა თადეოზის ასული ისე იყო მიჩვეული, რომ კაბინეტს, როცა ილია მუშაობდა, არ მიეკარებოდა და თუ შევიდოდა, ძალიან ფრთხილად, ფეხაკრეფით და ხმაამოუღებლად გამობრუნდებოდა“.

ჟურნალისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე იაკობ მანსვეტაშვილი:

„ოლღა ბედნიერად თვლიდა თავის თავს, რომ ბედმა არგუნა მეუღლედ ასეთი შესანიშნავი, დიდბ-

უნებოვანი ადამიანი და ამით სრულიად კმაყოფილი იყო, მეტს არაფერს ნატრულობდა. ილია მისთვის სათაყვანო კერპი იყო, რომლის წინ მუხლს იდრეკდა. ილიას აღმერთებდა და ამიტომ თვალწარბში შეჰყურებდა, თავს დასტრიალებდა, რომ არც თვითონ და არც სხვას არ ეწყენინებინა რა და არ განერისხებინა. ილიას მუშაობას უყურებდა როგორც მღვდელთმოქმედებას და ამიტომ მის სამუშაო კაბინეტს ფეხაკრებით დასტრიალებდა, ახლოს არავის მიაკარებდა. ყველას ნელის ხმით უნდა ელაპარაკა, რომ ილია არ შეეწუხებინა, მის მუშაობისთვის ხელი არ შეეშალა".

ილია და ოლღა თბილისში დამკვიდრდნენ, მაგრამ ამავე დროს საგურამოში ჰქონდათ ოლღას მამულები, სადაც მოგვიანებით სასახლე აიშენეს. ამ სახლს რომ ვუყურებ, ასე მგონია, ამის მეტი ცხოვრებაში არაფერი შემიქმნიაო, - ამბობდა საგურამოს სახლზე ილია.

ქმრისადმი პატივისცემისა და დიდი სიყვარულის ნიშნად, ოლღამ საგურამოში სახალხო დღესასწაული ილიაობა დააწესა, სადაც უამრავ სტუმარს იწვევდნენ.

შეიძლება, ვინმეს ქმარზე ასე მზრუნველი ქალი ჩაკეტილ პიროვნებად მოეჩვენოს, მაგრამ ეს არ ითქმის ოლღაზე.

არტურ ლაისტი:

„ილიას მეუღლე ოლღა დიდ ინტერესს იჩენდა საზოგადო საქმეში. ყოველ წელიწადს სახლში ამზადებდა ნივთებს ალეგრისათვის,რომელიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ იმართებოდა ხოლმე. ოლღა იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი, ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის მზრუნველთა საბჭოს წევრი და ყოველივე ამას შესანიშნავად უთავსებდა ერთმანეთს".

რასაკვირველია, არც ილია ტოვებდა ოლღას უყურადღებოდ. როგორი მოუცლელიც არ უნდა ყოფილიყო, მისი დაბადების დღისთვის საგანგებოდ ემზადებოდა და უდიდესი სიყვარულით აღნიშნავდა.

გიორგი ლასხიშვილის მოგონებებიდან ვიგებთ, რომ ილიას ჩვეულებად ჰქონია წელიწადში რამდენჯერმე თავისი მეგობრების მოწვევა. ახალი წელს, ოლღას დაბადების დღესა და აღდგომის კვირის ერთ-ერთ დღეს წვეულებას აუცილებლად გამართავდა და ახლობლებს იწვევდა.

მიუხედავად იმისა, რომ ილიასა და ოლღას შვილი არ ჰყოლიათ, ამას ოდნავი ჩრდილიც კი არ მიუყენებია მათი ურთიერთობისთვის.

1906 წლის აპრილში ილიამ სრულიად რუსეთის თავადაზნაურობის საარჩევნო ყრილობაში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა. ის სახელმწიფო საბჭოში აირჩიეს.

რა თქმა უნდა, ამბავი ელვის სისწრაფით მოედო საქართველოს. ბედნიერმა ოლღამ პეტერბურგში მისალოცი დეპეშა აფრინა „ილოცავ გამარჯვებას. იცოცხლე ჩემდა გასახარად".

თუმცა, სამწუხაროდ, ილიას დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა.

1907 წლის 12 სექტემბერს წიწამურთან გასროლილმა ტყვიამ სამუდამოდ შეაჩერა სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული გულის ფეთქვა.

საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი მარიამ ორბელიანი ილიას მკვლელობის წინა დღეებს ასე იგონებს:

„გამგზავრების წინა დღეს თითქოს რაღაცა წინათგრძნობის ძალით მივედი მათთან გამოსათხოვებლად. სასტუმრო ოთახში ოლღა თადეოზის ასული დამხვდა. ზეზე ადგა აჩქარებული, აკანკალებული ქაღალდსა შლიდა. შევედი, მომესალმა და განაგრძო თავისი საქმე. თან თვალცრემლიანმა მითხრა, რომ იცოდეთ, რა ცუდი ქაღალდი ამოდის. საშინელ ამბებს მიწინასწარმეტყველებს. ვეხვეწები ილიას, გადადოს წასვლა, რადგან ვიცი, უბედურება მოხდება, მაგრამ ის ყურსაც არ მიგდებსო".

ილიას გარდაცვალებიდან სამი წლის მერე ოლღა ასე იხსენებს ამ ამბავს:

„მცხეთის თავზე ერთი ადგილია, წიწამურს ეტყვიან. იქ რომ მივუახლოვდით, ყაჩაღები დაგვესხნენ თავს. მე მაშინვე ილიას მკერდით გადავეფარე და ვკიოდი, ამ კაცს ნუ მომიკლავთ, მე მომკალით, მე, თქვე ურჯულოებო. ეს ქვეყანას სჭირდება. თუ სიკვდილი გინდათ, მე ჩამქოლეთ-მეთქი, მაგრამ თოფის კონდახი ჩამარტყეს თავში და იქვე ღელეში გადამაგდეს".

2 სექტემბერს გაზეთი „ისარი" წერდა:

„ნადირებს ეს მსხვერპლი არ უკმარიათ და თავიანთი საზიზღარი საქმის დასაგვირგვინებლად, უმწეო დედაკაცი უცემიათ. ილიას მეუღლეს გატეხილი აქვს მარცხენა ყბის ძვალი და თავზედაც მძიმე ჭრილობა აქვს. იგი იქვე უგრძნობლად დაცემულა".

ტრაგედიის დროს, ილია 70 წლის იყო, ხოლო ოლღა 65 წლისა გახლდათ.

ჯანმრთელობაშერყეულმა ოლღამ ილიას სიკვდილის შემდეგ დარჩენილი სიცოცხლე მამადავითზე მდებარე მეუღლის საფლავთან გაატარა.

საყვარელი მეუღლის საფლავთან რომ ახლოს ყოფილიყო, 1909 წლის აგვისტოში ოლღამ დატოვა თბილისის ბინა, სადაც ილიასთან ერთად ბედნიერად ცხოვრობდა და მთაწმინდის ოც ნომერში გადავიდა. „დღეს ჩემს სადგომში გადავალ მთაწმინდის ქუჩა ნომერ ოცში. სამი ოთახია და მეოთხე მოსამსახურისათვის ყველაფრით მოწყობილი. ძალიან მოხარული ვარ, რომ ახლო ვარ მთაწმინდის ეკლესიასთან. როდესაც მინდა, ავალ. ისე ახლოა, რომ შემიძლია მარტოც ავიდე... იქ გული დამშვიდებული მაქვს, თითქოს იმასთან ვიმყოფები და ეს მალამოსავით მომეცხება ხოლმე. აი, ჩემი ყოფა და ცხოვრება“, — წერდა ოლღა.

მალე ილიას ღირსეულმა მეუღლემ თავისი საგურამოს მამულები ილიას მიერ დაარსებულ წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა და საგურამოს სასახლეში სკოლა გახსნა.

ოლღა გურამიშვილი 1927 წლის 25 აპრილს გარდაიცვალა და ქართველმა ხალხმა ის მთაწმინდის პანთეონში, მეუღლის გვერდით დაკრძალა. ოლღა გურამიშვილის ღვაწლის აღიარების თვალსაზრისით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი და სწორი გადაწყვეტილება იყო.

ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ იოსებ იმედაშვილმა ოლღას დაკრძალვაზე ასეთი სიტყვა წარმოთქვა:

„ახლა მიწას ვაბარებთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს დიდი ჭირისუფლის, ქართველი ხალხის წინამძღოლის და საიმედო პატრონის ილია ჭავჭავაძის ცხოვრების თანამგზავრს, მის ღირსეულ მეუღლესა და თანამზრახველს ოლღა თადეოზ გურამიშვილის ასულს, ვინაც მასთან ერთად სწია ქართველი ერის მძიმე ჭაპანი, და თავისი მეუღლის ნარ-ეკლით მოფენილ ცხოვრებასა და სისხლიან სიკვდილს უმწიკვლო ზვარაკად შეეწირა...“



სახლი მთაწმინდის უბანში,
რომელშიც ილიას გარდაცვალების შემდეგ ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა ცხოვრობდა.

მთაწმინდაზე...

ილიას და ოლღას საფლავი მთაწმინდაზე.

ილია და იოსებ სტალინი

დაუვიწყარი ამბავი

„ილიას საფლავს კაცი ხელს ვერ ახლებს!“

იოსებ სტალინი

1933 წელი იდგა. ხშირად ავდიოდი მთაწმინდაზე და ვათვალიერებდი ჩვენი ცნობილი მწერლების საფლავებს. ყოველთვის პირველად დიდი ილია ჭავჭავაძის საფლავთან მივდიოდი ხოლმე, იმიტომ, რომ გულზე მაწვა მისი მკვლელობის ამბავი.

აპრილის თვე იყო, კვლავ ავედი მთაწმინდაზე და ილიას საფლავთან მივედი. იქ 5 მუშა კაცი იჯდა, წერაქვებით და ბარ-ნიჩბებით შეიარაღებულნი. ძალზე არ მესიამოვნა ეს ამბავი და ვკითხე მათ ბრიგადირს: „რატომ სხედხართ ამ საფლავთან?“ მან ხმამაღლა მიპასუხა: „დავალებული გვაქვს ილიას საფლავის კუკიის სასაფლაოზე გადატანა, მე ქართველი კაცი ვარ და ვერ ვინელებ ამ ამბავს!“

ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ამ კაცის სიტყვებმა მომცა საშუალება მომეგონებინა და მეთქვა ტყუილი: „ბიძია, ეს ამბავი გაუგია პეტა კაპანაძეს, იმ პეტას, რომელიც ინახავდა და იფარავდა სტალინს არალეგარული მუშაობის დროს და წასულია მოსკოვში, რომ თხოვოს სტალინს, ხელი არ ახლოს ილია ჭავჭავაძის საფლავს, ამიტომ დავუცადოთ, რას იტყვის სტალინი“.

„შენი ოჯახი კი აშენდეს“! — მითხრა ბრიგადირმა, — მე ხელს არ ვახლებ საფლავს და მუშებს უკან წავიყვან, მხოლოდ შენ ეს ამბავი უნდა მოახსენო ქალაქის საბჭოს აღმასკომის სამშენებლო განყოფილებას, რომელმაც მე აქ გამომგზავნა“.

იმ წუთშივე გავიქეცი აღმასკომში და ყველაფერი დაწვრილებით მოვახსენე სამშენებლო განყოფილების უფროსს (გვარი არ ჩამიწერია მისი). უფროსმა მითხრა, ალალი იყოს შენზე დედის ძუძუ, მხოლოდ ამ ხმებს ნუ გაავრცელებ ქალაქში... მე რა დამაძინებს იმ ღამეს, როცა ილიას საფლავი არ გვექნება მთაწმინდაზეო. — ასე მითხრა იმ კეთილშობილმა ქართველმა კაცმა.

მეორე დილას ჩავედი ხაშურში, ვნახე პეტა კაპანაძე, მოვუყევი ყველაფერი ილია ჭავჭავაძის ცხედრის გადატანის თაობაზე, ისიც ვუთხარი, რომ ხმა გავავრცელე, თითქოს წასული ხართ მოსკოვში სტალინთან ამ საკითხის მოსაგვარებლად-მეთქი!

„რა კეთილი ოჯახის შვილი და დიდი ილიას მოყვარული ბიჭი ყოფილხარ, — მითხრა პეტა კაპანაძემ, — მე, შვილო, მაინც მივდივარ მოსკოვში, სტალინის დეპეშა და წერილი ხელთა მაქვს, მაგრამ რაკი საქმე ასეა, ხვალვე გავემგზავრები მატარებლით და სტალინს ყველაფერს ვეტყვი — ილიას საფლავის ხელუხლებლობის შესახებ და იმასაც მოვახსენებ, რომ ეს ამბავი მომიტანა სრულიად საიდუმლოდ ერთმა ახალგაზრდა ბიჭმა შოთა ლეკვეიშვილმა, რომელიც დარაჯობს ილიას საფლავს, იმასაც ვეტყვი, რომ ეს უთუოდ ფილიპე მახარაძის საიდუმლო განკარგულება იქნება, რომელმაც ხელიდან გამოგვაცალა ილია ჭავჭავაძე. მე, შვილო, — გააგრძელა პ. კაპანაძემ, — სასულიერო წოდების კაცი ვარ, ყოფილი მღვდელი, სპეციალობით პედაგოგი, მასწავლებელი და მიყვარს ის ახალგაზრდები, რომლებიც ასე იცავენ თავის მწერლებს, თავის მოღვაწეებს და თავის ერს, თუმცა დღევანდელ პირობებში ერის დაცვაზე ვერაფერს იტყვი... ხომ ხედავ, შვილო, ერის მამას — ილია ჭავჭავაძეს საფლავშიც აღარ აყენებენ...

მაშ ასე, შვილო, „მე წავალ მოსკოვში და ვფიქრობ, კარგ ამბავს ჩამოვიტან“.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გამოვემშვიდობე პეტა კაპანაძეს და წამოვედი თბილისში.

ორიოდე კვირის შემდეგ ქალაქის საბჭოს აღმასკომის სამშენებლო განყოფილებაში შევიარე. კარები რომ შევაღე, ხმამაღალი ლაპარაკი მომესმა ილია ჭავჭავაძის საფლავის ირგვლივ. ვიღაც სიხარულით ამბობდა, პეტა კაპანაძის ჩასვლას მოსკოვში უქმად არ ჩაუვლიაო, სასწრაფო განკარგულებაა, ხელი არ ახლოთ ილიას საფლავსო.

მეორე დღესვე ვეწვიე პეტა კაპანაძეს ხაშურში. დარბაზში სამი ადამიანი იჯდა — ორი კაცი და ერთი ქალი. პეტამ მათ ხელებგაშლილი უთხრა, მოვიდა ილია ჭავჭავაძის საფლავის დარაჯიო. ისინი ფეხზე წამოდგნენ, ხელი ჩამომართვეს და ასე მითხრეს, იმრავლოს შენისთანა ქართველებმაო...

გაიმართა საუბარი, პეტამ გვიამბო მოსკოვში მოგზაურობის ამბავი და თქვა: სტალინთან რომ შევედი, ორი კაცი ჰყავდა კაბინეტში. სტალინი ფეხზე წამოდგა, ხელი ჩამომართვა და მითხრა, დაბრძანდიოთო, იმ ორ კაცს კი უთხრა, ეხლა ჩვენ ამ ახალ სტუმართან ქართულად გვექნება საუბარი და თქვენ შეგიძლიათ დაგვტოვოთო... ისინი ადგნენ და წავიდნენ.

მე, ჩვეულებისამებრ, მოვუყევი ჩემი ცხოვრების ამბავი, მერე საქართველოს ამბები და ძალზე გულნატკენად ვუთხარი ილიას საფლავის ხელყოფის შესახებ. რა მოხდაო, საფლავს რაღას ერჩიანო, — მითხრა სტალინმა, აიღო ტელეფონი და დარეკა თბილისში. იმ დროს სხვა ტელეფონები აწკრიალდნენ და ვის დაურეკა არ ვიცი. მე კი ასე მითხრა, ჩემო პეტა, თქვენ შეგიძლიათ დამშვიდდეთ, ილიას საფლავს კაცი ხელს ვერ ახლებსო. მას ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, ამით დამთავრდა ყველაფერი.

მე დიდი მადლობა მოვახსენე და სამი დღის შემდეგ წამოვედი მოსკოვიდან. აი, ჩვენო ბიჭო, შენს დარაჯობას უქმად არ ჩაუვლიაო... ამიტომ მე შენ გიჩვენებ სტალინის ხელით დაწერილ წერილს და მის გამოგზავნილ დეპეშას, რომელიც უკვდავი საბუთი იქნება იმისა, რომ შენ ჩემთან დადიოდი.

მე მადლობა მოვახსენე და წამოვედი.

ზოთა ლეკვეიშვილი

(ჟურნალი „კრიტიკა“, №1, 1989 წ.)

ი ლ ი ა და „სოსელო“

საზოგადოებაში დამკვიდრებულია აზრი იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძეს მისი თანამედროვენი ხელისგულზე ატარებდნენ და მის ნებისმიერ გადაწყვეტილებას ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე აზორციელებდნენ. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ეს ასე არ ყოფილა. ყოველი წამოწყების ბოლომდე მიყვანა ილიას უდიდეს ძალისხმევად უჯდებოდა. განსაკუთრებული წინააღმდეგობა შეხვდა მას ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრების საქმეში.

იოსებ ჯუღაშვილი (სოსელო)

ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ადამიანთა შორის, რომელმაც უსიტყვოდ შეიყვარა და შეითვისა ილიას ენა, გორელი ყმაწვილი, მომავალში საბჭოთა კავშირის ერთპიროვნული მმართველი, იოსებ ჯუღაშვილი გახლდათ. ჩანს, იგი ჯერ კიდევ გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლის პერიოდიდან

ილიასადმი მიძღვნილი სოსელოს ლექსი

კურთხეულ იყოს შენი სამშობლო
დედის-ძუძუი დიდ-ჭირნახული,
რომელიც არის შენი ტაძარი,
რასაც შესწირე სამსხვერპლოდ გული.

კურთხეულ იყოს ის დედა ენა,
რომელიც გიყვარს ერთგულსა შვილსა,
რომლითაც ნანა აკვანს გსმენია —
ალერსს გაგონებს დედისას ტკბილსა.

სანამ დასავლით მზე არ ამოვა
და მისი სხივი არ გაშავდება,
მანამდი ქართველ კაცის გულშია
შენი სახელი უკვდავ იქნება!

მამა-შვილობით ნება გვიბოძეთ,
ლოცვა შევევედროთ
ჩვენს ღვთისმშობელსა,
რომ შენისთანა ბევრი გვაღირსოს
და შენ გაცოცხლოს მრავალსა წელსა!

კითხულობდა ილია ჭავჭავაძის ლექსებსა თუ მოთხრობებს. არ იქნებოდა უადგილო იმის ვარაუდიც, რომ გორელ ყმაწვილს ილიას გაზეთ „ივერიაზეც“ მიუწვდებოდა ხელი. ასეა თუ ისე, 1894 წელს თბილისში ჩამოსული იოსებ ჯუღაშვილი უკვე კარგი მექართულე იყო. მისი, თბილისის სასულიერო სემინარიის პირველკლასელის თხზულება ილიას ქართულითაა დაწერილი.

მომავალში ჯუღაშვილმა სხვა მხრივაც გამოიჩინა თავი. სემინარიის პირველკლასელმა პოეზიაში მოსინჯა ძალები. უფრო დიდი გამბედაობის შედეგი იყო ის, რომ მან ეს ლექსი საქართველოში ყველაზე პოპულარულ გაზეთ „ივერიაში“ მიიტანა გამოსაქვეყნებლად ილია ჭავჭავაძესთან. ასე შეხვდნენ თავდაპირველად ერთმანეთს ილია და სტალინი.

დილა*

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადაჰხვეოდა იასა,
ზამბახსაც გაჰღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა.

ტოროლა მაღლა ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით ჰგალობდა,
ბულბულიც, გრძნობით აღვსილი,
ნაზის ხმით ამას ამბობდა:

„აჰყვავდი ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

*** „ივერიაში“ გამოქვეყნებული სოსელოს („ი. ჯ-შვილი“) (სტალინის) ლექსი ამ სათაურით შევიდა 1916 წელს გამოცემულ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაში“.**

1895 წლის 14 ივნისს „ივერიის“ პირველ გვერდზე, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას დაიბეჭდა სამსტროფიანი უსათაურო ლექსი, რომელიც იწყებოდა სიტყვებით: „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი...“ ლექსის ავტორი ვინაობას არ ამხელდა, ის ხელს აწერდა ფსევდონიმით: „ი. ჯ-შვილი“. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ილია ჭავჭავაძე საეჭვო ღირებულების ლექსებს არ ბეჭდავდა – ამ მხრივ იგი უკომპრომისო და შეუვალი იყო ცნობილი პოეტების მიმართაც კი. ისმის კითხვა: მაინც, რატომ დაბეჭდა მან ამ სრულიად უცნობი სემინარიელის ლექსი? პასუხი ერთადერთია: ის დაწერილი იყო ილიასეული ქართულით. ამას ადასტურებს ისიც, რომ, აღნიშნული ლექსი, ორი ათეული წლის შემდეგ, კერძოდ, 1916 წელს გამოცემულ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაში“ იქნა შეტანილი.

ილია ჭავჭავაძე მაშინ ჯერ კიდევ საზოგადოებისთვის უცნობ სემინარიელს დიდად სწყალობდა. 1895 წელს სტალინმა კიდევ ოთხი ლექსი გამოაქვეყნა „ივერიაში“, კვლავ პირველ გვერდზე და ისევ თვალსაჩინო ადგილას, ოღონდ, ამჟამად „სოსელოს“ ფსევდონიმით.

1895 წელს საყოველთაო სახალხო ზეიმით აღინიშნა რაფიელ ერისთავის იუბილე. იუბილეზე ერისთავს სიტყვით მრავალმა გამოჩენილმა ქართველმა მიმართა, მათ შორის იყო ერთადერთი უცნობი – ახლგაზრდა სემინარიელი იოსებ ჯუღაშვილი. მან იუბილარს საკუთარი ლექსი წაუკითხა. ეს ლექსი: „თ. (იგულისხმება თავად) რ. ერისთავს“ მაშინვე „ივერიაში“ გამოაქვეყნა ილიამ, ხოლო ცნობილმა მოღვაწემ, მელიტონ კელენჯერიძემ, შეიტანა თავის წიგნში (1899): „თეორია სიტყვიერებისა, როგორც ქართული სალიტერატურო ენის ქრესტომათიული ნიმუში“. დამწყები პოეტისთვის ეს ტრიუმფი იყო. მაგრამ, ყველასთვის მოულოდნელად, მეხუთე ლექსის გამოქვეყნების შემდეგ, სტალინმა ილიასთან და „ივერიასთან“ ურთიერთობა გაწყვიტა და შემდეგი, მეექვსე ლექსი, უკვე „ივერიასთან“ მკვეთრად დაპირისპირებულ გიორგი წერეთლის გაზეთ „კვალში“ გამოაქვეყნა.

თუ რა მოხდა საქართველოს უგვირგვინო მეფესა და მომავალი საბჭოთა იმპერიის ასევე უგვირგვინო მეფეს შორის, ძნელი სათქმელია. შესაძლოა, მათ შორის კამათსაც ჰქონოდა

„ივერიაში“
გამოქვეყნებული
რაფიელ ერისთავისადმი
მიძღვნილი
სოსელოს(სტალინის) ლექსი

თავად რაფიელ ერისთავს

როს მშრომელ გლეხთა ვაებით
საბრალოდ აცრემლებული,
ზეცას შეჰკვნესდი, მგოსანო,
ერისთვის თავდადებული;
როს ერის კეთილდღეობით
საამოდ აღტაცებული,
სიმთ აჟღერებდი ტკბილ-ხმაზედ,
ვით ზეცით მოვლინებული;
როს დაჰგალობდი სამშობლოს,
ის იყო შენი ტრფიალი,
მისთვის გაჰქონდა შენს ჩანგსა
გულის წარმტაცი წკრიალი...
მაშინ, მგოსანო, ქართველი
თურმე ციურ ძეგლს გიგებდა
და წარსულ შრომას, ვაებას
აწყმოთი აგვირგვინებდა.
შენმა სიტყვებმა მის გულში
უკვე გაიდგა ფესვია,
მოიმკე, წმინდა მხცოვანო,
რაც სიყრმით დაგითესია;
ნამგლად იხმარე ერისგან
გრძნობით ჰაერში ძახილი:
„ვაშა, რაფიელ, გამრავლდეს
მამულში შენებრი შვილი!“

ადგილი. ასეა თუ ისე, ერთი რამ ნათელია: **სტალინმა ილიასადმი ღრმა პატივისცემა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა. ბელადი იმჟამადაც და შემდგომაც, ბოლშევიკ (კომუნისტ) ლიდერთა შორის ერთადერთი იყო, რომელიც ბოლომდე აცნობიერებდა ილიას ღვაწლს ქართველი ერის ისტორიაში.**

ბელადმა 1934 წელს ერთი ხელის დაკვრით აღადგინა ილია ჭავჭავაძე მის უფლებებში, ერთბაშად გააცამტვერა ყოველივე ის ცილიმწამებლური, რასაც ფილიპე მახარაძე და მისი თანამოაზრეები თხზავდნენ წლების განმავლობაში. ამასთან, ტოროშელიძის მოხსენება სტალინმა მოსკოვში, რუსულ ენაზე, ცალკე წიგნად გამოაცემინა დიდი ტირაჟით.

სტალინის ასეთმა დამოკიდებულებამ ილიას მიმართ საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია საქართველოში. პატრიოტ მწერლებს, ლიტერატურათმცოდნეებსა და ისტორიკოსებს საშუალება მიეცათ, ობიექტურად ეწერათ ილიას შემოქმედების შესახებ.

ილია ჭავჭავაძე იყო ერთ-ერთი იშვიათი ქართველი, რომელსაც სტალინმა ლექსი მიუძღვნა.



მეუფე თადეოზი

ლელთ ღუნიას სიმღერა

ჩადიან დაბლა ნისლები
და მთები დარბაისლები,
ცას შეჰხარიან მზიანსა...
რა სიხარულით ვივსები!..
სხვას თუნდაც ვერ ვეღირსები
თუ მტერს მივცემდე ზიანსა...
დრო-ჟამი არ დაიღლება
ცით კვლავ სილურჯე იღვრება
და ექოდ მომქროლ ნიავში
გულს სწვდება ერთი სიმღერა
ილიას ლელთ ღუნიასი...
რა ატირებდა წვიმაში
ობოლ ლურჯთვალა იასა?
შორით ჩნდა შორი მირაჟი,
სხივებში ვჭვრეტდი იმასა
გამოჩნდა თერგის ნაპირი
ამინდმა აქ აურია,
ღრუბელი ხევებს ჩასტირის
მიწას კი დარი სწყურია.
გამოიდაროს, იქნება,
სულ ასე სადაურია?..
აქედან წავა ღრუბელი,
გადავა ცხრა მთას იქითა...
თავისუფლება მობრძანდეს
თავისი ტკბილი რიხითა.

ამინ!

მუხრან მაჭავარიანი

მარად და ყველგან ჩვენი ილია

ამოიქროლა მთაწმინდაზე ქარმა მსახვრალმა.
ქარის ღლაბუცი საფლავის ხეს ტოტებს უღლიდა...
მატარებელმა მოაკივლა თბილისს საყვარლად:
— იქნებ ილია ჩამობრძანდა პეტერბურღიდან!
— ილია მოკვდა! — ამერიკა აღმოაჩინა —
ასე ეგონა ქარს — ეს რადგან შემომღაღადა.
ძილს დარაჯობდნენ საფლავების თაღ-მოაჯირნი,
არ დაეზოგა პოეტთათვის ძილი საღათას.
ილია მოკვდა, მაგრამ ჰგავდა მისი დამარხვა
წყალში ჩავარდნილ
მოელვარე მთვარის დამარხვას...
— ილია გინდათ?! მოითმინეთ! —
ვიტყვი ხმამაღლა, —
ამ მატარებელს ჩამოჰყვება იგი ამაღამ.
ამოიქროლა მთაწმინდაზე ქარმა მსახვრალმა.
ქარის ღლაბუცი საფლავის ხეს ტოტებს უღლიდა...
მატარებელმა მოაკივლა თბილისს საყვარლად:
— იქნებ ილია ჩამობრძანდა პეტერბურგიდან!

ობოლა (კოსტა) გაღმელი

საინგილო და ილია ჭავჭავაძე

დიდი ილია ამბობდა: „ქართველი ვარ, ტიტინი მიყვარს, შემინდეთ მეტი სიტყვა“. თუმცა ეს ჩვენზე არი ნათქვამი, რადგან ვტიტინებთ. როდემდე? ეს მოგვდევს ქართველებს სისხლსა და ჯიშში. მითუმეტეს, როცა რაღაცის თქმის სურვილი გვიჩნდება, შორიდან მივუხვევთ და მოუხვევთ, რაღაცას მივანიშნებთ, ცხრა მთას იქით გადავალთ მაღალფარდოვანი სიტყვებით, ცოტა ქარაგმასაც მოვიშველიებთ და ბოლოს გამოვთქვამთჩვენს აზრს. აი, თურმე რაში ყოფილა საქმე, იტყვის მკითხველი, მაგრამ მაინც სათქმელს ბოლომდე ვერ ვამბობთ.

რას იზამ, როცა ჩვენნაირი ქართველების ბედი ასე წარიმართა. ისტორიული ჰერეთის ნაწილი – გაღმა მხარე – საინგილო დიდი ილიას სულის ტკივილი იყო და ჩვენი ტიტინი კი იმის მინიშნებაა, რომ გაღმა მხარის ქართველთა სულში დიდი ილია არსებობს და იარსებებს...

ღმერთმა დაგვიფაროს, დღევანდელი აფხაზეთის ბედი, ილიას დროინდელი გაღმა მხარის ბედს დაემსგავსოს. ამიტომ საქართველოს ხსნა ილიას სიბრძნეში უნდა ვეძიოთ. გაღმა მხარეში, ილია ჭავჭავაძეს, პირველ საქმედ ქართული სკოლების შექმნა მიაჩნდა, რომ ქართველმა იქართველოს, ეს მაშინდელი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფუნქციას წარმოადგენდა. ასევე აფხაზეთის ბედიც პოლიტიკანობის თამაშით არასოდეს მოგვარდება. სამწუხარო ის იქნება, თუ ამ პოლიტიკანობის თამაშ შევეჩვიეთ და შევეგუეთ.

თუ საქართველოს ისტორიას გადავხედავთ, ნათლად დავინახავთ, როგორი გზა გაიარა ქართველმა ერმა თავისუფლებისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში.

დიდი ილია ამის შესახებ ასე ამბობდა... „მაშინდელი ქართველობისათვის ორი გზა იყო, ან ქრისტიანობა, ან ვაჟკაცური სიკვდილი იმავე ქრისტიანობისათვის, ან ქართველობა, ან არა ხმლის პირზე გულის შეთლა“.

საქართველოსათვის ეს წესი დღესაც წესად რჩება. მაგრამ დღეს ის ხმალი აღარ გასჭრის. ეს ყველამ კარგად ვიცით. მაშ რა დაემართა ჩვენში რწმენას, ან როგორ გაგვიწყრა ღმერთი ქართველებს – ამდენი ეკლესია-მონასტრების პატრონებს.

„ჩვენ მამა-პაპათაგან სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა: მამული, ენა, სარწმუნოება, თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით?“ როგორც ვხედავთ, დიდი ილიას ამ ნათქვამში არსებობს საქართველოს ხსნის გზა. დღეს ამ სამიდან საყოველთაო მნიშვნელობა აქვს რწმენას, საუკუნის მიწურულს, წარღვნის პირას მისული კაცობრიობა ადამიანისაგან სულიერ სიწმინდეს მოითხოვს. ასევე ქართველ ერს სჭირდება სულიერი სიწმინდე. ეს დიდი ილიას გზაა. თუ ქართველ ხალხში არსებობს რწმენის იმედი, მაშინ ეშველება მამულსაც, ენასაც.

ორიოდე სიტყვით საინგილოსა და აფხაზეთის თაობაზე. ისტორიულად ცნობილია, 1864 წელს დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ (მეფის ნაცვალმა კავკასიაში) აღძრა საკითხი აფხაზეთის სამთავროს გაუმების შესახებ. განზრახული ჰქონდათ ყაზახთა სტანიცების მოწყობა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ყუბანის შესართავამდე, მდინარე ბზიფამდე. ამრიგად, ამ პატარა ისტორიული მონაცემებითაც კი ვრწმუნდებით, რომ ინტერესი აფხაზეთის მიმართ ცარიზმის დროსაც და დღესაც რუსეთის მმართველ წრეებში არ განელებულა, იგივე შეიძლება ითქვას გაღმა მხარის წარსულზე.

მეფის რუსეთის პერიოდში გაღმა მხარე სტრატეგიული მნიშვნელობის წერტილად ითვლებოდა. მიზანი ორგვარი იყო; ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური. ეს მხარე ხომ მდიდარი იყო თავისი ბუნებით. „არს ადგილი ესე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახ-ხილითა, რამეთუ ტყენიცა სავსე არიან ხილითა, ნადირნი, პირუტყვნი, ფრინველნი მრავალნი. აბრეშუმი, ბრინჯი, ბამბა მრავლად. გარნა ჰავითა ცხელი, ხაშმიანი ზაფხულს. არამედ მთის კერძნი კეთილ-აგარაკოვანნი და მშვენნი, ხოლო ზამთარს კეთილ-ჰაოვანი, თბილი, უთოვლო, უყინულო“...(ვახუშტი).

სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით კი გაღმა მხარე თურქეთ-ირანისათვის კარიბჭეს წარმოადგენდა საქართველოში. ამიტომ მისი დაპყრობა სჭირდებოდა.

ირან-თურქეთი ყველა ღონეს ხმარობდა გაემწვავებინა მდგომარეობა გაღმა მხარეში და ლეკები რუსების წინააღმდეგ აემხედრებინა, ამას ემატე-

ბოდა ისიც, რომ საფრანგეთ-ინგლისის დიპლომატია ააქტიურებდა ირან-თურქეთის მტრულ (1803, 1830წწ.) საქმიანობას რუსეთთან. რადგან საფრანგეთსა და ინგლისს საკუთარი მიზნები ამოძრავებდათ, საბოლოო ჟამში ამ სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკური პოზიციების ერთ-ერთი მიზეზი რუსეთთან ურთიერთობაში გაღმა მხარე იყო. ამის პარალელურად საქართველო ცდილობდა ქართველობა გაღმა მხარეში ჩამოესახლებინა, ქართველი მოსახლეობა, ხოლო ლეკები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გადაესახლებინა, რაც რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. რუსები პირიქით ცდილობდნენ, ჩამოესახლებინათ რუსები და მდიდარი კუთხე აეთვისებინათ. გაღმა მხარის ქართველობა რთულ პოლიტიკურ გარემოებაში ჩავარდნილიყო. იგი უკიდურესად დაჩაგრულიყო. ეს პროცესი გრძელდებოდა მანამდე, სანამ გარმა მხარეში ქრისტიანობის აღდგენა (1850წ.) არ მოხდა. ეს იყო გაღმა მხარის პირველი ხმამაღალი სიტყვა. ამ დროიდან იგი საქართველოს ინტელიგენციის ყურადღების ცენტრშია. თვით რუსებიც დაინტერესდნენ ამ მოვლენით. არც ისე ბევრი დრო გავა და დიდი ილია გამოდის ასპარეზზე. მან კარგად იცის გაღმა მხარის ისტორიული წარსული, მისთვის ნათელია, რა უნდა იყოს იქ პირველი საქმე, ამაზე მეტყველებს ილიას დროინდელი ჟურნალ-გაზეთები, სადაც ფართოდაა გაშუქებული გაღმა მხარის წარსული და დღევანდელობა. იმ დროისათვის ილიას მხარეში უდგანან გაღმა მხარის წარმომადგენლები. ერთ-ერთი მათგანი ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე მოსე ჯანაშვილი ბრძანდებოდა, ამ პიროვნებამ ხომ უდიდესი ისტორიული მემკვიდრეობა დაუტოვა ქართველ ხალხს გაღმა მხარის შესახებ.

ის, რაც ილიას დროინდელმა პერიოდიკამ გააკეთა ამ მხარის ისტორიისა და ყოველდღიურობის წარმოჩინებისათვის, დღემდე არც ერთი ხელისუფლების დროს არ გაკეთებულა. ამის პარალელურად იწყება საგანმანათლებლო საქმიანობა გაღმა მხარეში. იხსნება სკოლები. მნიშვნელოვანია კახში ქალთა დაწყებითი სკოლის გახსნა. მისი პირველი მასწავლებელი იყო ნინო უთიაშვილი, შემდეგ დები ერისთავები, 1896 წელს ამ სკოლის მასწავლებლად სოფიო ყულოშვილი დაინიშნა. კარგად იცნობდნენ საქართველოს გამოჩენილი მოღვაწეები – ილია ჭავჭავაძე, ეკატერინე გაბაშვილი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. აი, რას წერს ალ. ჩხენკელი თავის წიგნში ოქროს საბლით მოზომილი.“ „ერთხელ თბილისში ჩავედი რაღაც საქმეებზე, – გვიამბო სოფიომ, მასთან სტუმრად მისულ მასწავლებლებს, -უეცრად ეკატერინე გაბაშვილი შემომხვდა ქუჩაში. მას შორიდანვე დავენახე და ჩემსკენ წამოსულიყო, რად ჩამოსულხარ, დროებით თუ... მომაძახა მან სალამზე ადრე – დროებით, რა თქმა უნდა, – ვუპასუხე მე – ჰო, თუ დროებით, მაშ გამარჯობა, – მითხრა მან ღიმილით და გადამკოცნა. შენ რომ იქ გვეგულები, დამშვიდებული ვართ, რომ ქართულ ენას ერთგული დარაჯი ჰყავს გაღმა მხარეში. ილია, მეც და სხვებიც ამას გთხოვთ: არ უღალატო იქაურ ქართველობას. არ მიატოვო. ჩვენ თუ არა მომავალი თაობა მაინც დაგიფასებს ამაგს. მე ვუთხარი ჩემი ჩამოსვლლის მიზანი. მან მომკიდა ხელი და დიდ ილიასთან მოსალაპარაკებლად წამიყვანა.“

ამრიგად, ეს მცირედი მასალაც კი წარმოგვიდგენს, რომ გაღმა მხარე დიდი ილიას საზრუნავი და საფიქრალი იყო.

ნამდვილად ფასდაუდებელია ღვაწლი დიდი ილიასი და მისი თანამდგომი ინტელიგენციისა, გაღმა მხარეში რომ დაუცხრომელი მამულიშვილური ძალისხმევით მოღვაწეობდნენ.

ამის შესახებ ძალზე ცოტა მასალა თუ მოგვეპოვება, თუმცა ამ საქმეთა ნათელი კვალი საინგილოში დღესაც შემორჩენილია.

თამაზ ჭილაძე

წინასწარმეტყველი

ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება, ლექსი, მოთხრობა თუ პუბლიცისტური წერილი, ლოგიკური გაგრძელებაა, უფრო სწორად, დასასრულია, ფინალური აკორდია – ფიქრისა, რომელიც პოეტის არსების წიაღში ბრუნავს, ცოცხლობს, მოქმედებს, ანდა ფიქრის ის ნაწილია, რომელიც სხვისთვის გასამხელად გაუმეტებია პოეტს, გაუმეტებია თუ უგრძვნია მისი ხმამაღლა თქმის აუცილებლობა.

სიტყვა – აუცილებლობა ძალიან უხდება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, რამდენადაც თითოეული მისი შედევრი, ჩვენს მიერ ბავშვობიდან დედის რძესტან ერთად შეთვისებული („ძუძუმძლეველი დედა“), ისეთივე აუცილებლობად მიგვაჩნია, როგორც სიცოცხლის ყოველნაირი გამოვლენა ჩვენს გარშემო, ჩვენს ცნობიერებაში ათასნაირად არეკლილი, გადასხვაფერებული თუ პირდაპირ, უცვლელი სახით გამეორებული სინამდვილე და ეს განცდა ისეთი ბუნებრივია, მე ვიტყოდი, ისეთი ჩვეულებრივია, როგორც განცდა საკუთარი არსებობისა, ყოველდღიური ყოფისა, ურთიერთობებისა, მოკლედ, ყველაფრისა, რასაც ადამიანი ცხოვრებას ეძახის.

ილია ჭავჭავაძის ყველა სტრიქონი იმდენად ძვირფასია ჩვენთვის, რომ ხშირად არც კი ვუფიქრდებით ღვთაებრივი უბრალოებისა თუ ასევე ღვთაებრივი ზემოქმედების იდუმალ კანონებს, არამარტო იმიტომ, რომ ამ კანონების ამოხსნას, ინტუიციის წყალობით სამართლიანად შეუძლებლად ვთვლით, არამედ იმიტომაც, რომ თითქოს არც იყოს საჭირო, ასე გვეჩვენება, ანდა ჩვენს უმწეობას ასე ვნიღბავთ, ასე ვამართლებთ – გარკვევა იმისა, რასაც ხალხი „ღვთაებრივს“ ეძახის, მართლაც მისი გასაოცარი, თუ შეიძლება ასე ითქვას – მშობლიური უბრალოების, მშობლიური სინათლის, მშობლიური ინტიმურობის გამო, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ვთქვათ, რომ პოეტმა გვაჩუქა სულიერი სამშობლო, ყველაზე დიდებული რამ, რაც კი პოეტს შეუძლია მოგვცეს და რომლის რაობის გარკვევისთვისაც შეიძლებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები გაგვეხსენებინა: „სად სულსა სული თვისად მიაჩნია და გულსა გულის პასუხის ესმის“...

ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან ასორმოცდათი წელი გავიდა. ეს საკმარისი დროა, პოეტს უკვდავი რომ უწოდო, ანდა მისი წიგნი დავიწყების აბლაბუდაში გახვეულ თაროზე სამუდამოდ შემოდო, სხვა უამრავ და უამრავ წიგნს შორის, რომელთა ავტორების სახელებიც ერთ დროს საქვეყნოდ ქუხდნენ და ბრწყინავდნენ.

მწერლის გარდაცვალების შემდეგ იწყება მისი სახელის სიცოცხლე (კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, ამბობდა ილია ჭავჭავაძე - „ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლი“!), სახელის აქტიური ქმედება, აქტიური ბრძოლა, როგორც თვითდამკვიდრებისათვის, ასევე სხვათა თვალის ასახელად, უფრო სწორად – ჭეშმარიტების დასადგენად.

ადამიანი რასაც კი აშენებს, მათ შორის ყველაფერზე არამყარი მისი საკუთარი ცხოვრებაა. ეს ბევრმა არ იცის, ძნელია ამის დაჯერება. სამყაროს, გარემოს, სინამდვილის რეალური აღქმა და ასევე რეალური შეფასება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ამიტომაცაა, რომ მათი ფიქრი და სულისკვეთება გამუდმებით მომავალს ეტრფის, თავიანთი სასიცოცხლო დრო მომავლითა აქვთ გაპირობებული.

ილია ჭავჭავაძე, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ არჩეული გეზის ერთგული მიმდევარი იყო – სხვათაშორის, ამ ერთგულებითაც კი უკვე წარმოადგენდა მაგალითს მრავალი და მრავალი სხვა საზოგადო მოღვაწისათვის, რომლებიც არც თუ ისე იშვიათად იცვლიდნენ მრწამსს და პოზიციას, უკიდურესი დემოკრატობიდან უკიდურესი რეაქციონერობის ჭაობში ეფლობოდნენ – თავის სავალ გზას გონების თვალით თავიდან ბოლომდე სწვდებოდა. დღემდე მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთ საკვირველებად რჩება ოცდაერთი წლის ჭაბუკის მიერ დანახული და შეგრძნობილი საკუთარი სიცოცხლის აღსასრული...

თითქოს შემზარავი სიცხადით დაინახა საკუთარი სიკვდილი, დაინახა მკვლელთა სახეები და აი ასეთი განაჩენი გამოუტანა მათ: „გთხოვდე: „შეუნდე, - არ იციან, ღმერთო, რას იქმნან!“

ნიჭი, ალბათ სამყაროს, ბუნების, ყოფის გამძაფრებული აღქმის გამო, ადამიანს ნათელმხილველის უნარითაც აჯილდოვებს...

1907 წლის 30 აგვისტოს (ძველი სტილით) მართლაც აცხადდა ეს საშინელი წინასწარი ხილვა პოეტისა – საგურამოს გზაზე, წიწამურთან ჯოჯოხეთის სიბნელიდან გამოწვდილმა ხელმა მოკლა ილია ჭავჭავაძე – წინასწარმეტყველი ქართველი ერისა...

და იმ წამსვე, როგორც კი ტყვიამ პოეტის მკერდი შეანგრია, ადამიანთა თვალწინ კიდევ ერთხელ გათამაშდა ყველაზე ფანტასტიკური, მაგრამ ამავე დროს, ყველაზე ადამიანური აქტი, რაც სიცოცხლის უკვდავებად გარდაქმნას გულისხმობს. თუკი დღეს, რასაკვირველია, გადარჩენილია იმ ტრაგედიის მომსწრე, პოეტის რომელიმე მოწინააღმდეგე (არ მინდა

ვთქვა, მტერი – მეთქი, რომელიც უამრავი ჰყავდა!), თანაც ადვილი დასაჯერებელია, ასეთი მოწმე დღეს ცოცხალი რომ იყოს, რადგან ბოროტება, როგორც ცნობილია, მეტად დღეგრძელი რომ გახლავთ, მას უსათუოდ შეაძრწუნებს ამ მეტამორფოზის ღვთაებრივი აზრი და იმის გაფიქრებაც, რომ მოისპო მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი სიცოცხლისა, ამქვეყნიური ბიოლოგიური არსებობა, მაგრამ გადარჩა ცხოვრება, რომელიც დატენილი და დამუხტული ყოფილა მომავლით, მომავლის ხელყოფა კი ამქვეყნად არავითარ ძალას არ შეუძლია. გადარჩა სიცოცხლის შემოქმედებითი აზრი, სიცოცხლის დიალექტიკური გზნება...

რადგან სიცოცხლესა და უკვდავებას შორის სიკვდილის შემზარავი აჩრდილი დგას, რადგან უკვდავება მაინც სიკვდილის ერთერთი სახეობაა და არა სიცოცხლისა, რამდენადაც მწვერვალი უსათუოდ რაღაცის დასასრულიცაა, ამიტომ ბევრს, მათ შორის უმეტესად ისეთს, ვისგანაც ამას არ ელოდები, არ შეუძლია სიცოცხლე, დღევანდელი კეთილდღეობა, ფიზიკური არსებობა უკვდავებაზე გაცვალოს გაურკვეველი ბუნდოვანი მომავლის იმედით, რომლის კონტურებიც მხოლოდ და მხოლოდ ოცნებაში შეიძლება დალანდოს ადამიანმა და რომელიც არავითარ გარანტიას არ იძლევა, რომ შენი სახელი უსათუოდ ერის რჩეულთა პანთეონში მოხვდება, სხვა სახელთა გვერდით მარადისობის ფილაზე ამოკვეთილი. ასეთი მნიშვნელოვანი, მაგრამ სახიფათო ნაბიჯის გადადგმა არ შეიძლება ყველას მოეთხოვოს. შევეცადოთ ვიყოთ გამგებნი და მიმტევებელნი. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ზეადამიანური ნაბიჯის გადასადგმელად არც სიმტკიცე და სიმამაცეა საკმარისი, არც სხვებისათვის თავგანწირვის კეთილშობილური განზრახვა. ამისათვის საჭიროა აბსოლუტური რწმენა მომავლისა, ფიქრითა და სწავლით გაკერპებული ნიჭის საერთო საკაცობრიო სამსახურში ჩაყენება და წინასწარმეტყველის ტანჯვის ატანის უნარი.

ოცდაერთი წლის ილია ჭავჭავაძე თარგმნის პუშკინის (რომელსაც გოგოლთან და ლერმონტოვთან ერთად „რუსის ლიტერატურის უპირველეს ვარსკვლავს“ უწოდებს!) „წინასწარმეტყველს“ და ამ ფაქტიდანაც აშკარა ხდება, რომ ჭაბუკ პოეტს თავისი სამოქმედო პროგრამა უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა. საერთოდ ის თავიდანვე ჩამოყალიბებულ შემოქმედად მოევლინა ქართულ სინამდვილეს და ეს ცოტა საოცარიც კია, რადგან ოცი წლისამ უკვე იცოდა ის, რასაც ორმოცდაათი თუ სამოცი წლისა ახორციელებდა.

არსებობს ერთი საინტერესო შტრიხი ამ ბუმბერაზი შემოქმედის ხასიათისა – მას, სხვებისაგან განსხვავებით, სიჭაბუკის პერიოდი არ გაუვლია, რასაკვირველია, ადამიანის ცხოვრების ამ პერიოდის ტრადიციული გაგებით. აკი გულისტკივილით წამოსცდა კიდეც: ვაი მას, ვინცა ჭაბუკობას ჭაბუკ არ არი!“-ო და ესეც მისი ნათქვამია: „ოჰ, სად არიან, სიჭაბუკევ, სიტკბონი შენი?“ მან არ იცოდა გემოტკბილი სიჭაბუკისა, არც „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“ დამსხვრევია ბარათაშვილივით, რადგან ყმაწვილს უკვე ფართოდ ჰქონდა გახელილი „ყოვლისმხედველი თვალი“. ის ტკივილი, რომელმაც ბარათაშვილს სული დაუფლითა, სამწუხაროდ, არ განუცდია. სამწუხაროდ-მეთქი იმიტომ, რომ არ შეიძლება ამ შემთხვევაში არ დაეთანხმო ზოგიერთ კრიტიკოსს, რომ მის ლირიკას აკლია, ის გულისშემძვრელი სევდა, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ პირადი კატასტროფები იწვევს, თუმცა, განა ესეც ილია ჭავჭავაძის ნათქვამი არ არის: „სად მიგყავარ, მდინარევ, მოწყენილ სიცოცხლისავ?“ აი, ასე, მისსივე ნებით ჰერმეტულად ჩაკეტილი საკუთარი ინტელექტის სამყაროდან ზოგჯერ ამოიწვერებოდა, ამოიკვნესებდა და მოულოდნელად ყველას გულს ერთბაშად შესძრავდა პოეტის ენაადგმული ფიქრი, უფრო ზუსტად – ცრემლი სულისა...

ილია ჭავჭავაძის მთელი ცხოვრება კიდევ ერთხელ გვიჩვენებს და კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს იმ აზრს, რომ სიჭაბუკე ასაკობრივი ცნება არ არის. ეს ცხოვრებისეული იდეა, მდგომარეობაა მარადჟამს სასწაულის მომლოდინე სულისა, რომელიც წარმართავს კიდეც ჩვენს ნებისყოფას ჭეშმარიტად ადამიანური ცხოვრების დასამკვიდრებლად.

შეიძლება აქვე ისიც ითქვას, რომ არც სიბრძნეა მხოლოდ და მხოლოდ სიჭარმაგისა თუ სიბერისათვის დამახასიათებელი, ისიც სრული ძალით ნიშანდობლივია სიჭაბუკისათვის. ამ შემთხვევაში, ალბათ ყველაზე კარგი მაგალითი იქნებოდა სიბრძნე ჭაბუკი ილია ჭავჭავაძისა და სიჭაბუკე მოხუცი აკაკი წერეთელისა. „თითქოს ჭაბუკი ვიყო მე ახლა და ვყოფილიყო მოხუცი წინათ“ არც ეს – ილიას უღლის ცალი პოეტი – ჰყოლია ბედს განებივრებული, ისიც ბედმა, ილია ჭავჭავაძესავით, მხოლოდ წინასწარმეტყველის სიკერპითა და სიღატაკით დაასაჩუქრა.

მე-18 საუკუნის პოეტმა არჩილმა თქვა: „სჯობს სიგლახაკე სიმართლით, ცრუს დიდსა გამდიდრებასა“-ო. „სიმართლით სიგლახაკე“ კი წინასწარმეტყველთა ხვედრია სწორედ, იმ მოხეტიალე ტანჯულთა ხვედრი, რომელთაგან ერთს, მოყაყანე და ქვისმსროლელ ბრბოში წვალებით მიმავალს ვხედავთ ლერმონტოვის ამავე სახელწოდების და ასევე ილია ჭავჭავაძის მიერ ნათარგმნ ლექსში.

1958 წელი მეტად ნიშანდობლივი და საინტერესოა ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიაში. ეს არის სამოქმედო პროგრამის ჩამოყალიბებისა და საკუთარი მოვალეობის – „ვალის“ გარკვევის წელი. იწერება მისი ცნობილი ლოცვა: „მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა! მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავარ

შენ წინა: არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა, არ მინდა, ამით შეურაცხ-ვჰყო მე ლოცვა წმინდა...

არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული, შენგან ნამცნევის სიყვარულით აღმენთოს გული, რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან, გთხოვდე: „შეუნდე, - არ იციან, ღმერთო, რას იქმან“!

დავიმახსოვროთ ეს ფრაზა: „არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული“! – ის მალე მთელი ძალით გაიშლება და გადაიგუგუნებს გენიალური „განდეგილის“ ფურცლებზე.

იმავე წელს იწერება მეორე ლოცვა: „ოდეს დემონი ურწმუნოების, უკუთქმისა და მაცდუროების საწამლავით თვის სავსეს თასს მაცდურს წინ დაუდგამდეს ჩემს სულსა უძლურს, - ნუ მანდობ ღმერთო ბედისა ტრიალს – ნუ დამაწაფებ დემონის ფიალს, და უკეთუ არს შესაძლებელი, მე განმარიდენ იგი სასმელი. მაგრამ თუ, ღმერთო, შენს ღვთაებას სურს, რათა გამოცდა მით ჰქონდეს ჩემს სულს, განჰქრენ შენ ხმასთან სურვილნი ჩემნი და იყავნ ნება, უფალო, შენი!“

გამოცდა!

„განდეგილის“ სამყაროში დატრიალებული დრამის, ჭექა-ქუხილის ექოთია სავსეა ეს სიტყვა...

ხოლო ამ სტრიქიდან: „...და უკეთუ არს შესაძლებელი, მე განმარიდენ იგი სასმელი...“ გეთსიმანიის ბაღში მარტოდ დარჩენილი, ძილგამფრთხალი და, რაც მთავარია, თავისი მომავალი ტანჯვის მცოდნე კაცის გულის ფეთქვა ისმის...

„მამაო ჩემო, უკეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმხვედინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“.

იმავე 1858 წელს დაიწერება ლექსი, რომელიც ილია ჭავჭავაძის სიკვდილის შემდეგ, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს ჩააგონებს პოეტის საფლავის ძეგლის იდეას: „დაე თუნდ მოვკვდე არ მეშინიან, მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან, თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი; რომ ჩემს საფლავზედ დაყუდებულმან ქართველმა, ჩემგან შეყვარებულმან, გულწრფელობითა და სიმართლითა, მე ჩამომძახოს თუნდ ჩუმი ხმითა: იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში! შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა; თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან – ჩრდილში ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა“. მოქანდაკემ „საფლავზე დაყუდებული ქართველის სახე უფრო დააკონკრეტა და ილია ჭავჭავაძის საფლავზე პოეტის სხვა ლექსიდან გამოხმობილი ქართვლის დედა წარმოაჩინა, როგორც მგლოვიარე საქართველოს სიმბოლო.

და ეს ლექსიც – „ქართვლის დედას“ 1858 წელსაა დაწერილი...

წარმომიდგენია ის უცნაური წელიწადი პეტერბურგში („პეტერბურღი... ცივი, ქვით მოსიპული და უზარმაზარი“ - წერს პოეტი ერთ-ერთ იმდროინდელ ბარათში) თავისი „ვალის“ გრანდიოზულობით აღფრთოვანებული თუ მომავლის მოულოდნელი ხილვით გაოგნებული (ალბათ, ასე უფრო ლოგიკური იქნება!). პოეტი თავის ცხოვრებაზე ფიქრობს და ეს ფიქრი სრულიად მოულოდნელია და ძალიან განსხვავდება იმ ახალგაზრდა „საუკუნის შვილთა ფიქრებისაგან, რომელიც ასე მომხიბვლელად, მე ვიტყოდი თეატრალურად ამაღელვებლად გამოიყურება მე-19 საუკუნის რომანტიკოსების პროზაში.

ეს ფიქრი ეკლიანია, ძლივსძლივობით, წვალებით გადადის გულის უფსკრულიდან გონების უსასრულობაში, გზადაგზა სისხლის ალისფერ კვალსა ტოვებს. ეს სისხლის პირველი წვეთებია პოეტის მიერ დაღვრილი თავის სავალ გზაზე. სისხლის ტბა, რომელშიაც ჩვენი სინდისი დიდხანს, ალბათ სამუდამოდ იფართხალებს, მერე გაჩნდება, დიდი ხნის მერე, წიწამურთან, საგურამოს გზაზე... ჯერ ის მომხიბვლელიც კია ხელოვნების ღვთაების საკურთხეველზე მიტანილი ვარდებით, ჯერ მხოლოდ მცირედი საწევროა ყველა დროის წინასწარმეტყველთა რიგებში შესასვლელად. („ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“, - ეს ხომ ბიბლიური წინასწარმეტყველისაგან ესტაფეტის მიღებაა!).

იმავე 1958 წელს აია კიდევ რას იტყვის: „ბევრი ვიტანჯე, ვიცი, რომ მელის /ბევრი სხვა ტანჯვა მომავალშია.../ ყველას გავუძლებ: სასტიკ ტანჯვასაც, /ჩემს საყვარელთა იმედთ დანთქმასაც, /თვით სიყვარულის ფიცისა ღალატს /და თვით ჩემს ბედსაც, ამ უგრძნო ჯალათს. /ყველას გავუძლებ, როგორც კლდე ქვისა,/ ბედთანა ბრძოლა ვით მეშინების?! / არაფრობისა არ ძალმიძს, ძმანო, ვერ რით გაძლება!“

რას გულისხმობს, რას წარმოადგენს მისთვის ეს ცნება: „თავის არაფრობა“? ნუთუ სტუდენტის ჩვეულებრივი ოცნებაა მომავალ უზრუნველ ცხოვრებაზე?

არა!

იქ, სადაც „ბედი ჯალათია“, პოეტის შესაფერისი, ღირსეული ხვედრი ბედის წინააღმდეგ ამბოხებაა, ბედის წინააღმდეგ ბრძოლაა („და მომავლისათვის ბედთანა ბრძოდეს“).

ცხოვრება ტანჯვაა, მაგრამ ტანჯვა „სრული სიცოცხლეა“.

იტყვის: „მისთვის მიყვარხარ, რომ მაძლევ ტანჯვას და ამ ტანჯვაში სრულ სიცოცხლესა“!

ესეც 1858 წელსა დაწერილი, ესეც იმ საპროგრამო ლექსთა რიცხვს ეკუთვნის.

და აი, სწორედ ამ წელს განათდება მის შემოქმედებაში პირველად სიტყვა „მყოობადი“: „მას ნუღა ვსტირით, რაიც დანთქმულა, მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“! განათდება და მალე მისი შემოქმედების მამოძრავებელ, შეიძლება ითქვას, მთავარ შემოქმედებით იდეად იქცევა.

მაგრამ ესეც ხომ მისი ნათქვამია: „ერის დაცემა იწყება იქიდამ, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა“-ო!

ნუთუ „რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალების“ დავიწყება შესაძლებელია?!

საქმე ის გახლავთ, რომ ილია ჭავჭავაძის აზრით, ისტორია არ ასახავს მხოლოდ წარსულ დროს, ისტორია აწმყოა და, თუ გნებავთ, მომავალიც!

ილია ჭავჭვაძე ცხოვრების პოეტი იყო, ცხოვრება კი გაცილებით მნიშვნელოვანია, მდიდარია, ვიდრე ობიექტურად არსებული სინამდვილე. ცხოვრება არის ადამიანის რეაქცია სინამდვილეზე, სიცოცხლეზე, ანუ ადამიანის დამოკიდებულება სინამდვილისადმი.

სინამდვილეს ერთი დრო აქვს – აწმყო, ცხოვრება კი განფენილია სამ დროში წარსულსა, აწმყოსა და მომავალში.

დროის ცნებას, დროის კატეგორიას, დროით ურთიერთკავშირს, ურთიერთმიმართებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. პოეტი გამუდმებით ცდილობს დაარღვიოს დროთა კლასიკური ჰარმონიული თანამიმდევრობა, თუმცა ზერელე დაკვირვებით ეს არც კი შეიმჩნევა, უფრო მეტიც – თავის ერთ-ერთ შესანიშნავ ლექსს ეპიგრაფად ლაიბნიცის ცნობილ სიტყვებსაც კი დაურთავს „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“...

გარეგნულად ნამდვილად ასეა, მაგრამ პოეტს თავისი საკუთარი დრო აქვს, რომლის მიხედვითაც, თუნდაც ისტორიული პოემა „დიმიტრი თავდადებული“ მომავლის ამსახველი ნაწარმოებია, შიგ მომავალი ამბავია მოთხრობილი, მომავალი ბრძოლის, მომავალი თავდადების ამბავი. ეს რომ უფრო ნათელი გახდეს, გავიხსენოთ ისიც, რომ ილია ჭავჭავაძე მომავლის ცნებას უწყვილებდა სამშობლოსათვის, თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეას, რომ მომავალი მას ესახებოდა არა როგორც შვება, არამედ როგორც ბრძოლა, რადგან ადამიანის ყველაზე დიდ შვებას, ადამიანის ყველაზე ნამდვილ თავისუფლებას პოეტი სწორედ ბრძოლაში ხედავდა. ეს აზრი აშკარადაა გამოკვეთილი, თუნდაც, მის დრამატიულ პოემაში „ქართვლის დედა“, რომელიც თვით პოეტის მიერ წარმოდგენილია, როგორც „სცენა მომავლის ცხოვრებიდან“. „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედებს!“ – აი, მომავლის სურათი, დიადი ხილვა პოეტისა, აი, ის, რასაც ელტვოდა ასეთი გზნებითა და თავგანწირვით. პოეტის აზრით, ეს არის მომავლის ყველაზე საუკეთესო ვარიანტი ყველა შესაძლებელ ვარიანტს შორის – ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის!

„კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, - და ეს ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება!.. დიდია ხალხი, როს ეგ გრძნობა წინ წარუძღვება!“

ილია ჭავჭავაძე მომავლის მშენებელი პოეტია „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“! – ეს ხომ იგივეა, რაც „მომავლისათვის ბედთანა ბრძოლა!“ ბედისგან განსაზღვრული, გარდაუვალი მომავალია კი არა, რომელიც აწმყოს ადგილს ბუნებრივად, მემკვიდრეობით დაიჭერს, არამედ საკუთარი ხელით, საკუთარი ნებისყოფით შექმნილი მყოობადი!..

მომავლის თემამ თითქოს თავისთავად წამოჭრა თავისუფლების პრობლემა, რომელსაც მალე მამულის ცნებაც უფრო გააღრმავებს და ახალი შინაარსითა და მნიშვნელობით აავსებს, შეიკვრება ადამიანის საოცნებო სამი დიდებული რამ: მომავალი, თავისუფლება და მამული შეიკვრება ერთ აზრად, გამთლიანდება, გაძლიერდება, დაიწყებს ნათებას იქ, სადაც მისი ადგილი თითქოს აღარ იყო, სადაც თითქოს აღარც კი ელოდნენ ასეთ სასწაულს. ეს ხომ იგივეა, რომ საკნის გამოკეტილ სიბნელეში უეცრად ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი აბდღვრიალდეს. მაგრამ ილია ჭავჭავაძის „ვარსკვლავი“ ციდან მოწყვეტილი კი არა – მამულის თიხიდან გამოძერწილიყო, შთაბერილი ჰქონდა თავისუფლების სული და მომავლისაკენ იყო მიმართული.

თუ რას ნიშნავს, რა ძლიერია მამულის სიყვარული, ეს არა ერთხელ უჩვენებიათ და დაუმტკიცებიათ ადამიანებს თავიანთი სიცოცხლითა და სიკვდილით. პატრიოტიზმი მეტად რთული სათუთი გრძნობაა, რომელიც ზოგჯერ უცნაურ, თითქოსდა წარმოუდგენელ სახეს იღებს ხოლმე...

ილია ჭავჭავაძე ჩვენი დიდი წინაპრების მიერ დამკვიდრებული და ჩვენთვის სავალდებულოდ ქცეული ტრადიციების გამგრძელებელია. ყოველი მწერალი ფასდება არა მარტო იმით, თუ რას უარყოფს, ან რას ამკვიდრებს ახალს, არამედ იმითაც, თუ რას აგრძელებს.

ჩვენი წინაპრები ქადაგებდნენ სათნოებას, სიყვარულს და მეგობრობას, თავდავიწყებით უყვარდათ რა თავიანთი სამშობლო, დიდ პატივს სცემდნენ სხვა ხალხთა ასევე კეთილშობილურ გრძნობას.

არ შეიძლება ღირსეული იყოს ხალხი, რომელიც თავის კეთილდღეობას თუ თავისუფლებას სხვა ხალხის უბედურებაზე აშენებს...

საგულისხმოა ილია ჭავჭავაძის გამონათქვამი მე-12 საუკუნის დიდი პოლიტიკური მოღვაწისა და პოეტის მეფე დავით აღმაშენებლის შესახებ: „ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნების, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!“

ეს ხომ იმას ნისნავს, რომ მე-19 საუკუნის ცივილიზებულ სამყაროში მაგალითად და ჭკუის სასწავლებლად მოჩანს შუა საუკუნეების წყვდი-

ადში მცხოვრები ბრძენი ადამიანის ქმედება თუმცა, ორთქმავლის კივილზე ჯერ კიდევ პირჯვარს იწერენ ,,კრეიცერის სონატასა" თუ ,,ანა კარენინაში", მეცხრამეტე საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში ჭეშმარიტად დიდი საუკუნეა, რომელიც გასაოცარი კულტურული ელვარებითა და ცივილიზაციის ფანტასტიკური მიღწევებით აღინიშნება. ეს არის ადამიანის ინტელექტის დიდი აღზევების საუკუნე, ვერდის, გლინკასი თუ ვაგნერის მუსიკის აკომპანიმენტით ხელოვნების არაჩვეულებრივ ნიმუშებს რომ ჰქმნიდა, როგორც ლიტერატურასა, ასევე ფერწერასა თუ არქიტექტურაში, ეს არის ხანა, როცა პოეტებს და მუსიკოსებს, მეცნიერებსა და მხატვრებს ერთმანეთისა ესმით, თითქოს ერთ, იდუმალ, საერთო ენაზე ლაპარაკობენ. პარიზის სცენაზე ჩავარდნილ ვაგნერის ოპერას ბოდლერი გამოექომაგება სტატიით. ემილ ზოლა იმპრესსიონისტ მხატვრებს დაუჭერს მხარს. იტალიიდან ისმის დიდებული ,,ხალხთა ბორკილის ხმა მტვრევისა", რომელსაც ქართველი ჭაბუკი პოეტის ნატვრა საოცრად მახლობელს ხდის სხვა ხალხებისათვისაც: ,,ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში!"

და მაინც ,,საკვირველ მაგალითად" რჩება დავით აღმაშენებლის შემწყნარებლობა სხვა ხალხთა მიმართ...

პატრიოტიზმის ერთ-ერთი ,,უცნაური" სახეა ისიც, რომ მამულის უსაზღვროდ მოტრფიალე პოეტები, ქება-დიდებისა და აღტაცების ნაცვლად, ,,წყევლა-კრულვით" ავსებენ მას. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის: ,,ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველოვ" და გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის სისხლიან ცრემლში არეული ირონია, სარკაზმი, ბრაზი, ჯავრი: ,,ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?! ყველა უნჯი, ყველა მუნჯი, გულჩვილი და ლმობიერი, თვალაბმული, თავაკრული, პირს ლაგამი ზომიერი; ყველა ყრუი, ყველა ცრუი; ჭკვადამჯდარი, გულხმიერი; მცირე, დიდი, ყველა ფლიდი, ცუღლუტი და მანკიერი... მტრის არმცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი, შინ ძლიერი, არ რის მქონე, არ რის მცოდნე, უზრუნველი და მშიერი".

აი, ასეთი მწარე სიმართლის თქმა, პირში ძრახვა, ქართული ლიტერატურის უძველესი ტრადიციაა, რომლის სათავესთანაც სხვა მწერლებთან ერთად დგას დიდი დავით გურამიშვილი – მე-18 საუკუნის ფრთოსანი მემატიანე. მართლაც, დავით გურამიშვილს ბედმა დააკისრა ყოფილიყო თავისი დროის მემატიანეცა და პოეტიც ერთსა და იმავე დროს. ეს უნიკალური შემოქმედი თავის გენიალურ პოეტურ ხილვებსა თუ მელოდიებს არაჩვეულებრივი თავისუფლებით, თუ შეიძლება ითქვას – ღვთაებრივი სილაღით – უწყვილებდა, უნათესავებდა, აახლოვებდა ცხოვრებისეულ მოვლენებთან. ფაქტი და პოეზია – თითქოსდა ურთიერთდაპირისპირებული ორი ფენომენი - ,,დავითიანის" ფურცლებზე თავისუფლად გრძნობს თავს და მათი შერწყმა გულისშემძვრელი დრამატიზმით აღბეჭდილ ეპიკურსა თუ ლირიკულ შედევრებს წარმოქმნის. ვხედავთ ფაქტის პოეტურობას და პოეზიის სიზუსტეს...

ილია ჭავჭავაძის სიტყვით, დავით გურამიშვილის ,,დიდაქტიკური პოეზია პირს არ შეირცხვენს თუ ლუკრეცის, ვირგილის და ჰორაციოს დიდაქტიკურ პოეზიას დაუყენეთ პირისპირ და რომლის სარწმუნოებრივი ღაღადება დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნების სიმაღლემდეა ასული"...

თუ ჩვენს მეთვრამეტე საუკუნის დიდი პოეტის დიადი მეტაფორების გავლენით, მხატვრულ შედარებას მივმართავთ – დავით გურამიშვილის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ მარადისობის ტრიალ მინდორში აღმართული მაღალი ძაბვის ბოძი, რომელიც წარსულის თვალჩაუწვდომი წიაღიდან მომავალში გადაისვრის, მომავალს გადასცემს დიდი ქართული პოეტური სიტყვის ელექტროენერგიას. არსებითად, მართლაც, იშვიათია პოეტი, რომელსაც ამოდენა მისია დაჰკისრებოდეს ისევ თავისივე სიდიადისა და სიძლიერის გამო – ყოფილიყო წარსულის დიდ ტრადიციათა მცველი დ აიმ დროისათვის სრულიად მოულოდნელი, მაგრამ აუცილებელი, ახალი პოეტური პოზიციის დამამკვიდრებელი.

დავით გურამიშვილი ის დიდი მოძღვარია, რომელმაც ქართველთა სულიერი ცხოვრების ცენტრში აღმართა მარადიული სტელა, ადამიანური არსებობისათვის აუცილებელი სამახსოვრო წარწერით: ,,...ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების!" რაც შემდგომში ჩვენი ,,თერგდალეულების" სამოქმედო პროგრამის საფუძველი გახდა.

,,მართალს ვიტყვი, შევიქნები
ტყუილისა მოამბე რად?
ვერსა ვუქებ საძაგელთა,
უფერულთა პირსაფერად.
მე, თუ გინდა თავიც მომჭრან,
ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა,
მე ვერ ვიტყვი კახაბერად".

– წერდა დავით გურამიშვილი და დიდი ხნის მერე, თითქოს ამ სიტყვების პირდაპირი ზეგავლენით, ილია ჭავჭავაძე იტყვის:

,,ჩემზედ ამბობენ:
,,ის სიავეს ქართვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს,
ეს ხომ ცხადი სიძულვილია!"
ბრიყვნი ამბობენ,
კარგი გული კი მაშინვე სცნობს –
ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!"

ასე იქცა ცხოვრებისეული სიმართლე ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მიმდინარეობის - ,,სიმართლისმთქმელთა" პოეტურ

იარაღად. პოეზიად გარდაქმნილი, გადადუღებული სიმართლე აღმოჩნდა ყველაზე ქმედითი ძალა, რომელიც, მიაღწია რა სრულყოფას ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებაში, გადაიქცა თითქოს მატერიალურ ფენომენად.

სიმართლე დაუნდობელია, მაგრამ სიმართლე ჭეშმარიტი სიყვარულია! – აი, ამ ზუსტ ფორმულამდე მიიყვანა მეთვრამეტე საუკუნის განმანათლებელთა მიერ დაწყებული ძალისხმევა ილია ჭავჭავაძემ.

დიდ პოეტთან ერთად ჩვენს წინაშეა მრისხანე მსაჯულიც; რომელმაც ძალიან კარგად იცის საერთოდ ადამიანის ერთი ძველისძველი და დამღუპველი თვისება: საკუთარი ჭირის მალვა; ამიტომაა, ასეთი დაუნდობლობით რომ აშიშვლებს ჩვენს ნაკლს და მალვა-მალვაში დაჩირქებულ ჭრილობებს მალამოთი კი არა – ცეცხლით კურნავს. თითქოს დაშნით უჩიჩხინებს, ჩხვლეტს აღვიძებს ჩვენს გულგრილობას, ბედოვლათობას, ინერტულობას, სულიერ სიზარმაცეს. სოროდან, ბუნაგიდან, ბუდიდან (რა შეიძლება ერქვას გულგრილობის თავშესაფარს?) გამოჰყავს გარეთ, როგორც მონადირეს – დათვი, რათა მერე თავისი ჯადოსნური, მართლაც, დაშნასავით მახვილი სიტყვით გარდაქმნას მოთენთილობა სიფხიზლედ, სიყრუე – მზადყოფნად სიცოცხლის დიადი ხმების მოსასმენად...

ზემოთ მეცხრამეტე საუკუნის ზოგიერთი შეიძლება, ძალიან ზერელე, ნიშანი აღვნიშნე, რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი უაღრესად საგულისხმო მოვლენით იყო საინტერესო ეს საუკუნე, თუნდაც იმით, რომ იმ დროს ხდებოდა საკაცობრიო იდეალებისა და ეროვნული პრობლემების დაკავშირება, სოციალური და ეროვნული პრობლემების შერწყმა და გაერთიანება.

ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ არ შეიძლებოდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა იქამდე, სანამ სოციალურ თავისუფლებაზეც არ ვიფიქრებდით. „შრომის სუფევა“ – აი; რაზე ოცნებობდა ის:

„ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალ ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების“.

და როცა ეს მოხდება, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ის, რაც არის ნამდვილი გამოვლენა, შეიძლება ითქვას, იდეური მდგომარეობა ადამიანის სულისა, როცა „არც ვის ემონვი და არც იმონებ!“

მოთხრობა „გლახის ნაამბობი“, რომელიც არაჩვეულებრივი ძალით გამოხატავს ბატონყმური ურთიერთობის შემზარავ სურათს, იწყება ირმის მოკვლის სცენით, რომელიც არის სიმბოლური სახე იმ ძალადობისა, მწერალს ბუნების ჰარმონიის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად რომ მიუჩნევია: „ბევრჯერ მინახავს ირემი დამფრთხალი ძაღლისაგან, ბევრჯერ მინახავს და ბევრჯერ გაუტაცნია ჩემი გონება მის თავისუფალ სილამაზესა. გადუწყვია რა ზურგზედ თავისი შტოიანი რქები, მორბის ნაგეში ძაღლი. ძაღლს მიურბის საწყალი და ზედ კი შეეხლება ხოლმე კაცსა, რომელიც ამ შემთხვევაში ძაღლზედ უფრო შეუბრალებელია და დაუნდობელი. შორიდანვე ესმის ირმის ფეხის ცემა ყურმახვილ მონადირესა; ესმის და მისი მოსისხლე გული ღელდება მეტის მოუთმენლობისა გამო. აი, მოვიდა თოფის მანძილზედ, ფოთლებ და ბუჩქებ შუა გამოჩნდა მისი დაღონებული, ნაღვლიანი თოფი. ძაღლი დაუახლოვდა, იშვირა ფეხი ირემმა და ისარივით გადმოეშო ბუჩქნარზედ. გგონია, აგიქცევს გზას და მიეცემა საყვარლის ტყის განსაცდელით სავსე თავისუფლებასა...

...მაგრამ თოფმა იგრიალა, და ირემი, აქამდინ ცოცხალი, თავისუფალი და ლაღი, გაირთხო იმ ბალახებზედ, რომლის კალთაშიაც პირველად აახილა თვალი...

ისინი იყვნენ ამის აკვნად და ბოლოს საფლავადაც გადაიქცნენ. უნდა ჰნახოთ ის ამაყი, თავისუფალი ნადირი, რარიგად უდრტვინველად და მშვიდად კვდება, მაგრამ მე ყოველთვის მის ცრემლმორეულ თვალებში ეს აღმომიკითხავს: ჩემო მკვლელო! ქვეყანა ღვთისა დიდია და ფართო.

...რად შეგშურდა, რომ მეც, უბოროტოს და მშვიდსა, ამ ღვთის მიუწვდომელ ქვეყანაში ერთი მტკაველი ადგილი მეჭიროს?“

აქ, ამ პატარა „პოეტურ ეტიუდში“, რომელიც მხატვრულობის თვალსაზრისით, სხვათაშორის, იმავე ფუნქციას ასრულებს ამ მოთხრობისათვის, რასაც ბორბლით გასრესილი მინდვრის ბალახის – ბირკავას ამბავი „ჯაჰი-მურატისათვის“, უკვე ყველაფერია ნათქვამი, ანუ ამ, ეპიკური მდინარების დინჯი რიტმიდან ამოსროლილ და მერე ლექსად გარდაქმნილსა და კრისტალიზებულ ნაწყვეტში გადმოცემულია ნაწარმოების მთავარი მელოდია – განწყობილება, და თუ გნებავთ, ავტორის პოზიციაც, ოღონდ, სრულიად განსხვავებული – პოეზიის ენით და შეიძლება ამიტომაც, ერთგვარად უფრო განზოგადებული სახით წარმოადგენს „განსაცდელით სავსეს თავისუფლებისა“ და ბუნების მიერ ბოძებული სიცოცხლის ხელყოფის პრობლემას, ვიდრე სიუჟეტის კალაპოტში მოქცეული, ძირითადი, ამ „პოეტური ეტიუდის“ წარმომშობი პროზაული ამბავი...

უფრო მეტიც შეიძლება ითქვას – აქ, მართალია ძალიან ყრუდ, მაგრამ მაინც აშკარად ისმის ერთგვარი გადაძახილი ილიას სხვა მოთხრობასთან „სარჩობელაზედ“, რომელშიაც, თავის მხრივ, პირველად აჟღერდება, ფეხს აიდგამს, თუ შეიძლება ასე

ითქვას – ძალას მოსინჯავს 1907 წლის აპრილში სახელმწიფო საბჭოს სესიაზე წარმოთქმულ სიტყვაში უკვე მტკიცედ ჩამოყალიბებული აზრი, - უზნეობაა, როდესაც იმას გართმევენ, რაც თვითონ არ მოუციათ...

ეს არის ხმა უამრავ და უამრავ დამონებულთა, პატივაყრილთა,დაჩაგრუთა,მიწასთან გასწორებულთა, ეს არის კვნესა,რომელიც თითქოს მხოლოდ აი,ახლა შემოესმა ადამიანის ყურს, შეზარა უნაპირო მწუხარებითა და,რაც მთავარია,სიმართლით. თითქოს აი ახლა აეხილა ადამიანს თვალი,რომ ასე ცხოვრება, როცა ერთი დაჩაგრულია,ხოლო მეორე – მჩაგრავი, აღარ შეიძლება...

ეროვნულ-დემოკრატიული ბრძოლის მეთაურმა საკუთარ თავზე მიიღო ყველა დარტყმა, რაც კი გააფთრებულმა „ძველმა ქვეყანამ“ თავს დაატეხა ცხოვრების განახლებისათვის მებრძოლთ. ის გაჩენილი იყო, რომ პირველი ტყვიისათვის მკერდი შეეშვირა და აჩენილი იყო იმისათვის, რომ ერთი ნაბიჯითაც კი არ დაეხია უკან, რადგან იცოდა, დათმობაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა იქ, სადაც ეროვნულ-სოციალური თავისუფლების საკითხ წყდებოდა. ყოველგვარი დათმობა ამ შემთხვევაში დაღუპვას ნიშნავდა. აკი თქვა კიდეც: „...თუ წუთისსოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“-ო.

ეს ფრაზა მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივიდანაა“, რომელიც თავისი ქრესტომათიული სრულყოფილებით მეცხრამეტე საუკუნის ქართული პროზის მარგალიტს წარმოადგენს და აი, ამ ტკივილით სავსეს მოთხრობიდანაც ჩანს, რომ მწერალს უყვარდა ადამიანი ისეთი, როგორიც ბუნებამ შექმნა და ცხოვრებამ გამოაწრთო: ჩვეულებრივი, რიგითი, ჯანსაღი, თავისუფალი, გონიერი, მიმტევებელი, გამგები... და ამ თვისებებში (უპირველეს ყოვლისა – ჩვეულებრივობაში!) ეძებდა და პოულობდა კიდეც სიდიადეს სულისას, ვნებათა განუმეორებლობასა და ქცევათა ლოგიკურობას.

მხოლოდ თავისუფალ პიროვნებათა ერთობას – ხალხს – ძალუძს იბრძოლოს და მოიპოვოს ეროვნული თავისუფლება! – აი, რას გვასწავლიდა ილია ჭავჭავაძე. ადამიანის პიროვნების პრობლემის წინ წამოწევამ გაზარდა თითოეული ადამიანის შესაძლებლობათა, ინტერესთა, სურვილთა, მოთხოვნილებათა არე. უფრო მეტიც,თითოეული ადამიანის არსებობის ბიოლოგირი რიტმი აქცია საერთო-საკაცობრიო ცხოვრების რიტმად. თითოეული ადამიანი,განურჩევლად წოდებისა თუ მდგომარეობისა, ჩააყენა კაცობრიობის სამსახურში.

ცნებები: „ხალხი“ და „პიროვნება“ განუყოფელია. ხალხი შედგება პიროვნებებისაგან და რაც უფრო მეტი პიროვნებებისაგან შედგება იგი,ანუ,რაც უფრო მეტია,მაღალია პიროვნული ხარისხი ხალხისა,მით უფრო ნაკლებად ემსგავსება იგი ბრბოს...

* * *

ილია ჭავჭავაძე გვასწავლიდა, რომ ერის ყველა საუკეთესო თვისებების (თუნდაც, სხვა ერებისაგან გამორჩეული თვისებების) შემნახველი და დამცველი ხალხია. ეს თვისებები – რაინდობა იქნება თუ მეგობრობა – ხალხის ცხოველმყოფელ წიაღში ბრუნავს, ყოველდღიურად ახალ და ახალ ძალას იკრებს და, როგორც კი ამას ამოვშანთავთ ხალხის წიაღიდან, ხალხის სულიდან (თუნდაც სოციალური უსამართლობის გამო), ხალხიც, ერიც დაიღუპება. ასე რომ, იბრძოდა რა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, ილია ჭავჭავაძე იბრძოდა ერის გადარჩენისათვისაც და, საკვირველია, სჯეროდა კიდეც, ეს ბრძოლა ამაო არ იყო:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?..
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია“.

საკვირველი კი იმიტომ იყო, რომ მართლაც წინასწარმეტყველის უნარი უნდა გქონოდა და აგიოგრაფიული წმინდანის სიკერპე, ცარიზმის იმ ბნელ საპყრობილეში მომავლის შუქი დაგენახა...

ერის წინამძღოლი პოეტები ოპტიმისტები არიან!..

ილია ჭავჭავაძე მომავლის შენების დროს თავისუფლებას მოითხოვდა ჩვენი დიდი და უძველესი კულტურის სახელით.

კულტურა ერისა ეს განუმეორებელი,ერთადერთი რამ გახლავთ, ურომლისოდაც წარმოუდგენელია საერთოდ კაცობრიობის კულტურა და, ამდენად, მომავალიც. ქრება რა ერთი რომელიმე, ნებისმიერი ხალხის კულტურა, ქრება და ირღვევა ის უხილავი ერთობაც, უხილავი დუღაბი, რომლითაც სხვადასხვა ხალხის კულტურები ერთმანეთს უკავშირდებიან, ანუ ქრება იდუმალი „საბრძოლო“ კავშირი ბუნების განურჩევლობისა და ადამიანური სიბნელის წინააღმდეგ.

იმ მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარში, რომელიც ყველას ეკუთვნის რომლის კარი მუდამ ღიაა ყველასათვის ერთნაირად და თანასწორად, მიუხედავად რჯულისა, გვარტომობისა და დიდპატარობისა“ ილია ჭავჭავაძემ „ვეფხი-სტყაოსანი“ შეიტანა, როგორც ყველაზე აშკარა საბუთი იმისა, რომ ამ პოემის შემქმნელ ერს ნამდვილად ჰქონდა უფლება და, რაც მთავარია, ძალაც შესწევდა – თავისუფალი ყოფილიყო.

ეს წიგნი რომლის წყალობითაც მწერლობა საქართველოში რელიგიური რწმენის სიმაღლეზეა აყვანილი, ჩვენს ლიტერატურას ყველაზე მძიმე, შავბნელ პერიოდებში უნარჩუნებდა საკუთარ სახეს, თავისთავადობასა და ბუნებრივობას.

ეს ის პერიოდებია, როცა ზოგიერთმა მწერალმა რუსთაველის სკოლის კანონების დავიწყება საკვირველი ამჩატებითა და უდარდელობით შეძლო, მთელი არსებით მიეცა რა აღმოსავლურად დატკბილულსა და დაბანგულ ეგზალტირებულ ხილვებს.

მათ შორის ყველაზე უფრო ნიჭიერნი და გონიერნი შეიძლება გრძნობდნენ, როგორ იჭრიდნენ ყელს, მაგრამ ვის რაღად სჭირდება ყელი, საიდანაც საკუთარი სიმღერა არ ამოდის?

ილია ჭავჭავაძე, როგორც ლიტერატურის ღრმა, დაკვირვებული მკვლევარი, მათგან ყურადღებას აქცევდა ჩვენი მწერლობის გენეზისის პრობლემას, მისი ძირითადი საყრდენი ძეგლების შესწავლასა და გამომზეურებას. ამ მხრივ, მეტად, საინტერესოა ილია ჭავჭავაძე, როგორც პირველად ჭეშმარიტად დიდი მეცნიერი – რუსთაველოლოგი. „ვისაც რუსთაველზე უნდა წერა, იმან უპირველეს ყოვლისა, უნდა შეითვისოს იგი არა ჭკუით მხოლოდ, არამედ გულითაც, უნდა იგრძნოს მისი გმირების სულისკვეთება, ჩასწვდეს ქართველის გულის სიღრმეს, იგრძნოს მისი მაჯისცემა" – ეს სიტყვები ბრძენი პოეტისა და მეცნიერისა არა მარტო რუსთაველის, არამედ, საერთოდ პოეზიის მკვლევართა ერთგვარ გაფრთხილებად ისმის – გაფრთხილებად და შეგონებადაც! ილია ჭავჭავაძეს უყვარდა ერთი მეტად საგულისხმო სენტენციის გამეორება: ბევრი რამ ისეთი საგანია ამ ქვეყნად, თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, ბევრი კი, თუ არ ირწმინე, ვერ დაინახავო. როგორც ლიტერატურის მკვლევარი, იგი უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებდა ინტუიციას, – ხასიათთა ფსიქოლოგიის გაშიფვრას, გმირთა ქცევის ალოგიკურობის ადამიანური სიმართლის ანუ ურთიერთობათა ფარული ლოგიკის ამოცნობას. მის მიერ წაკითხული „ვეფხისტყაოსანი" მისი დაკვირვებანი – გამოთქმული სალიტერატურო წერილებში – ეს არის მთელი სკოლა თუნდაც დღევანდელი რუსთაველოლოგებისათვის. ილია ჭავჭავაძის წყალობით, რუსთაველოლოგია საქართველოში, შეიძლება ითქვას, სახალხო მეცნიერებად გადაიქცა.

„მშვიდობა ძლიერსა სულსა შენსა, უკვდავო რუსთაველო!"... ეს ქართველთა საამაყო პოეტის ღირსეული მემკვიდრის ნათქვამია, ის სიტყვებია, რომელთაც მადლიერი და გონიერი შთამომავალნი აკადემიის კარიბჭეზე აწერენ...

ილია ჭავჭავაძე გვასწავლიდა, რომ სამშობლო მარტო გუშინდელი კი არა, დღევანდელი დღეა და, რაც მთავარია, მომავალია, რაზედაც ყველამ ერთნაერად უნდა ვიფიქროთ.

* * *

ილია ჭავჭავაძე გვასწავლიდა, რომ მომავალის შენების დროს („ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი"!) გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა გონიერებასა და ცოდნას. ეს აზრი დიდებულ პოემა „აჩრდილში" ასეა გამოთქმული: „ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას, და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ ამაღლებული, ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას, იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული, უქმისა დრტვინვით, გულისწვითა მწარე ცრემლს დაღვრის, მაგრამ არ ირწმენს, წამებულო, შენს აღდგენასა, და იგი ცრემლი ურწმუნობის, ეჭვის და ტანჯვის, ჰღაღადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა".

– ასე მიმართავს პოეტი მამულს და დასძენს: უცოდინარნი „თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიანო".

ბევრს არავის მოუტანია მამულისათვის იმდენი ვნება, რამდენიც თავისივე შვილთ, „უმეცარ სიყვარულისა გამო"!...

რის ცოდნა იყო მაინც, ილია ჭავჭავაძის აზრით, აუცილებელი მისი თანამემამულეებისათვის?

უპირველეს ყოვლისა, მტრისა და მოყვრის გარჩევისა, რომელიც, რატომღაც, გაჩენის დღიდან უჭირს ადამიანს (გავიხსენოთ, აკაკი წერეთელიც სულ ამას ქადაგებდა: „გაუფრთხილდი! ნუ გჯერა მაგის ტკბილი ნანინა, შენზე წინათ სხვაც ბევრი მოხიბლა, შეაცდინა!").

ეს იმის ცოდნაა, რომ მხოლოდ თავისუფლებაა „აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა".

ეს იმის ცოდნაა, რომ ადამიანმა თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, თავის ხელში უნდა აღმოაჩინოს, ანუ, უფრო ზუსტად, იგრძნოს აუცილებლობა თავისუფლებისა, თავის სულში უნდა გაზარდოს, თავის სულში უნდა მოამწიფოს, თავის სულში უნდა ატაროს არა მხოლოდ თავისი, არამედ ყველას თავისუფლების იდეა და თუ კი მისი სული შეძლებს აიტანოს ასეთი ღვთაებრივი სიმძიმე მოვალეობისა, აი, მაშინ დადგება დრო თავისუფლებისათვის ბრძოლისა! მართალია, ის ამბობდა „თავისუფლების მომტანი მხოლოდ და მხოლოდ თოფია"-ო, მაგრამ ისიც იცოდა, სულით მონების თავისუფლება საშინელ ხიფათს რომ წარმოადგენს კაცობრიობისათვის.

ამიტომაც, ადამიანი ყველაზე მეტად თავის სულს უნდა გაუფრთხილდეს, იზრუნოს მისი სიწმინდისათვის, რადგან ეს ფრთოსანი არსება – თავისუფლება ისეთივე ქათქათა და წმინდაა, როგორც ფრთები ანგელოზისა, რომელსაც მტვრის პაწაწინა ნამცეციც რომ მიეკროს – ვეღარ აფრინდება...

მომავლის შენება საკუთარი სულის შენებითა და განწმენდით უნდა დაიწყო. ამისათვის არანაკლებ მძიმე გარჯაა საჭირო, ვიდრე რომელიმე სხვა, თუნდაც ნამგლით შრომა, ანდა ხმლით ომი. სულის სიწმინდისათვის ზრუნვა ამ ქვეყნიდან განდგომა კი არ არის, არამედ გაგანია ცხოვრების მაღაროში შრომაა, უაღრესად საჭირო ამქვეყნიური საქმის კეთებაა. ეს არის სულ სხვა გზა, გზა რჩეულთა, ამ დიდებული აქტისთვის მთელი არსებით შეწირულთა, ეს არის „გზა ხსნისა", რომელსაც „უბედურნი" ანუ წინასწარმეტყველნი ირჩევენ.

აი, ასე ესახებოდა ილია ჭავჭავაძეს განდეგილის მისია თავის ამავე სახელწოდების პოემაში და ეს არ იყო დაპირისპირება ბართაშვილის ბრძნულ შეგონებასთან: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან

— შვილნი სოფლისა, უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა". ეს სწორედ რომ „სოფლის მოდევნა" იყო, ანუ ცხოვრების შუაგულში ტრიალი, ოღონდ, რა თქმა უნდა, გარეგნულად სულ სხვა — სულის ცხოვრების შუაგულში ბრძოლა!

ილია ჭავჭავაძე განდეგილს კიცხავს და სჯის არა მიწიერის, არა ამქვეყნიური ცხოვრების, არამედ სულის, რწმენის ღალატისათვის!...

„სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი არწივნი ვერ შეხებიან,
სად წვიმა — თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან ароდეს არა დნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ჟრიამული ვერ შესწვდენია,
კაცთ მეუფება ჭექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია, —
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა
გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.
ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს
იმ წმინდათ სადგურს ყინულის ზღუდე,
და ზედ კარია გამოკვეთილი
ვით კლდის ნაპრალზედ არწივის ბუდე.
ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი
ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა, —
და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით
ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა".

ასე იწყება ქართული პოეზიის მშვენება „განდეგილი", და, ვაჟა-ფშაველას, გარდა, ალბათ სხვა პოეტს ვერ გავიხსენებთ, რომელსაც შეეძლოს სიტყვით ბუნების ასეთი ზვიადი და ცხადი სურათის გადმოცემა.

აი, აქ — ქვეყნიერებისაგან შორს, ყინულის საუფლოში ცხოვრობს განდეგილი, რომელსაც

„საიქიოსთვის ეს სააქაო
დაუთმია და განშორებია.
განშორებია, ვით ცოდვის სადგურს,
ვით სამეუფოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისას;
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე-და-ღამ,
ვითა მპარავი და მტაცებელი;
სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი;
სად, რყვნა, წაწყმედა და ღალატია,
სადაც ძმა ხარობს სისხლსა ძმისასა,
სად ცილი, ზაკვა ძულებათა ჰხდის
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა...
განყენებული წუთისოფლისგან
აქ სული მისი აღყვავებულა,
და ხორციელი გულისთქმა ყველა
დამარხულა და განსვენებულა".

„ცრემლით ალტობდა ღვთის — მშობლის ხატსა
და ხელაპყრობით ევედრებოდა წაწყმედისაგან
ქვეყნისა ხსნასა!" — აი, ეს არის განდეგილის მისია, ყოველდღიური საქმე, მოვალეობა! დიდი, აქტიური, დაძაბული ქმედება, საკუთარი ცხოვრების შეწირვა „ქვეყნის ხსნისათვის"...

განდეგილს დიდი რწმენისათვის, ანუ ქვეყნის გადარჩენის იმედისათვის საფუძველი აქვს: „ოდეს უდაბნოს გასწვრივ მთის წვერზედ მზე სხივგაფენით ამოვიდოდა, იმ სარკმლით სხივი იმის სენაკში სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა. რომ ჰლოცულობდა, იმ სხივსა თურმე თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა, და ხორცთუსხმელი მზის სხივი იგი უფლის ბრძანებით ზედ შეირჩენდა"

დიახ, მხოლოდ უფალს შეეძლო ასეთი სასწაულის მოხდენა!

განა განდეგილს არ უნდა გასჩენოდა იმედი, როცა ყოველდღე ასეთ სასწაულს ხედავდა, რომ კიდევ უფრო მეტი ტანჯვის, ლოცვისა თუ თვითგვემის შემდეგ, ღმერთი მის მთავარ სათხოვარსაც მოუსმენდა? ანუ ახალ, უფრო დიდ, უკეთესი იქნება, თუ ვიტყვით — დიად სასწაულს მოუვლენდა, რაზედაც დღე და ღამე ემუდარებოდა ღმერთს!

და ეს სასწაული ქვეყნის გადარჩენა იქნებოდა!

რა იყო ამასთან შედარებით სხვა ნებისმიერი საქმიანობა, სხვა რომელი გარჯა თუ გაბრძოლებაა ამქვეყნიურად უფრო აქტიური?!

„განდეგილი" დაიწერა 1883 წელს. იმავე წელს ილია ჭავჭავაძე აი, ასეთ საგულისხმო მოსაზრებას გამოაქვეყნებს: „მაშინ რომ ქართველისათვის გეკითხათ, რას ფიქრობთ, სიცოცხლე გვინდაო, გეტყოდნენ — რას ეძახი სიცოცხლეს, როგორ თუ სიცოცხლეო? — ისეო, გეტყოდნენ, რომ გავლა-გამოვლა შეგვეძლოს, სუნთქვაო, ცით და მთვარით დატკბობა, მზის ცქერაო და ჩვენი ჭიის გახარებაო...

ერთი სიტყვით, ხალხს და ერს მხოლოდ ხორციელის ცხოვრების ნატვრა ჰქონდა, მხოლოდ ამაზე ფიქრობდა, რომ უნდა გავფრთხილდე, თორემ, სულს ხომ აღარა ვჩივი, ხორციათაც არ დავიღუპოვო..."

აქ მწერალი მეცხრამეტე საუკუნის 40-50-იან წლებს გულისხმობს. რასაკვირველია, 1883 წლისათვის, მიუხედავად საზოგადოებრივი აზრის ერთგვარი გამოცოცხლებისა, საქმის ვითარება სრულებითაც არ იყო შეცვლილი, აი, სწორედ ამ განწყობილებით იქმნება „განდეგილი" — „ხორციელის ცხოვრების" საწინააღმდეგოდ, ადამიანთა დაკარგულის სულის დასაბრუნებლად, რადგან თუ კი კაცს სული აღარ ექნებოდა, რაღად უნდოდა ის, რასაც სიცოცხლეს ეძახდა!

„რას ეძახით სიცოცხლეს?" — ო, კითხულობდა პოეტი, რადგან ის, რასაც თავის გარშემო ხედავდა, ნამდვილად არ იყო ამ დიადი სიტყვის აღნიშვნის ღირსი. სიცოცხლე, ცხოვრება, სულიერი არსების

წილხვედრია, ამიტომ მას, ვინც ცდილობდა ადამიანთა გადასარჩენად ემოქმედა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სულზე უნდა ეფიქრა და ეზრუნა ისე, რომ საკუთარი თავიც უნდა დაევიწყებინა. ეს არ იყო განდეგილობა ტრადიციული თუ რელიგიური გაგებით, ეს იყო დიდი ბრძოლა, აქტიური ცხოვრებისეული ქმედება მარტოხელა ადამიანისა („..ამდენ ხალხში კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო!"...), ბრძოლა სხვებისათვის, ბრძოლა, რომლის შედეგსაც ვერ ნახავ, მხოლოდ რწმენა, რომ ეს ბრძოლა აუცილებელია, გაძლევს ძალას, არ გაყრევინებს ფარხმალს, არ გიწურავს იმედს...

და აი, „ხორციელი ცხოვრების" ტალღამ მაინც წალეკა სულისთვის მებრძოლი სპეტაკი სამყარო... განდეგილი სულიერი სიმაღლიდან ელემენტარული ზნეობრივი დანაშაულის ტალახში ეცემა, უერთდება იმ ცხოვრებას, რომლის გარდაქმნაც ასეთი ტანჯვით, ასეთი თავგანწირვით, ასეთი მონდომებით ეწადა...

„განდეგილში" პოეტმა გვიჩვენა რწმენის დამარცხების შემზარავი ფაქტი. პოემა დამარცხების დრამაა, გლოვაა, სულისთვის სულიერი სიწმინდისათვის მებრძოლი, სასწაულის მომლოდინე კაცის ტრაგედიაა.

ეს არის დიადი, წინასწარმეტყველური გზნების კრახი ჩეულებრივ, რიგით, არაფრით გამორჩეულ ყოველდღიურობასთან მიმართებით, ანუ მარადისობის კრახი დღევანდელობის წინაშე...

როგორც ზემოთ ვთქვი, მტვრის პაწაწინა ნამცეციც კი თუ შეეხება ქათქათა ფრთებს — იგი ვეღარ აფრინდება.

აი, ჭეშმარიტად ანტიკური ტრაგედიის ტოლფასი პოემა ილია ჭავჭავაძისა!

ჩვენი აზრით, „განდეგილის" სწორად წაკითხვისათვის ალბათ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საპროგრამო ნაწარმოებად მიჩნეული ლექსის „პოეტის" ერთ სტრიქონს: „არა მარტო" ამ ლექსში კი არა, საერთოდ ქართულ ენაში ერთგვარად კრებითი ცნებაა, რამდენიმე მოვლენას ერთმანეთთან რომ აკავშირებს, ოღონდ, მათ შორით დასახლებულს, ამ შემთხვევაში — „ტკბილ ხმებს" მაინც უპირატესობას ანიჭებს, თუ შეიძლება ითქვას — ძირითად მახვილს მასზე სვამს.

ილია ჭავჭავაძეს „ტკბილი ხმები" ესმოდა, როგორც პოეზია! მისი ლექსის ამხსნელებს რატომღაც ავიწყდებოდათ ხოლმე, რომ ეს გამოთქმა ლექსიდან იყო და არა კრიტიკული თუ ფილოსოფიური ხასიათის ტრაქტატიდან, სადაც ერთგვარად კიდევ შეიძლებოდა, ისიც სოციალურ-ვულგარული მეთოდის მოშველიებით, ეს ცნება ესთეტიკურ ზედმეტობად, გასართობად ან, თუ გნებავთ — „ბულბულის გალობად" მიგვეჩნია.

ილია ჭავჭავაძეს კი არასოდეს უარყვია „ტკბილი ხმები", თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პოეტი იყო, თანაც ბრწყინვალე პოეტი, ხოლო „ტკბილი ხმების" გარეშე პოეზია არ არსებობს, როგორც ზემოთ ვთქვით, „ტკბილი ხმები" იგივე პოეზიაა.

ილია ჭავჭავაძე „ტკბილ ხმებს" უწოდებდა ნეტარ, ჰარმონიულ მდგომარეობას სულისას, სიმად ქცეული, სიმივით დაჭიმული სულის ხმას, როცა ყოველი სიტყვა, ფიქრის ნაფლეთი, ფარული ნატვრა თუ ოცნება ლოცვად გადაიქცევა ხოლმე, ანუ როცა ადამიანის არსების წიაღში გულგრილობის ციცაბოებზე თანდათანობით იკიდებს ფეხს ყველაზე უფრო ადამიანური რამ, რაც კი ბუნებას შეუქმნია — იმედი!

პოეტი ტყუილად როდი არქმევს თავის რამდენიმე ლექსს „ლოცვას". ვინ იტყვის, რომ ლექსები ნაკლებად ცხოვრებისეულია, რომ მათში არ იგრძნობა აქტიური ცხოვრება სულისა ისეთივე ძალით, როგორც თუნდაც, „გუთნისდედასა" თუ „კაკო ყაჩაღში"?!

პუშკინს ეკუთვნის ეს სიტყვები: ჩვენ გაჩენილები ვართ შთაგონებისათვის, ტკბილი ხმებისა და ლოცვებისათვისო... ვის მოუბრუნდება ენა, თქვას, რომ „ტკბილი ხმები" ამ დიდ პოეტს ხელს უშლიდა ყოფილიყო თავისი ხალხის სულიერი წინამძღოლი...

ილია ჭავჭავაძეს იზიდავდა მეოცნებათა თუ იდეათა სათვის წამებულ პიროვნებათა წინააღმდეგობებით სავსე ხასიათები, ისინი, ვისაც არ ასვენებს, აფორიაქებს, ძილს უფრთხობს „თავისუფლების მშვენიერის სხივთ მხურვალება".

„შენ დაიძინე, ძილისთვის გაჩენილი შენა ხარ"! — ეუბნება დონ კიხოტი სანჩო პანსას. თვითონ უძილობისთვის იყო გაჩენილი! ილია ჭავჭავაძეც ასევე მარადი უძილობისთვის გაეჩინა ღმერთს: „ო, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?! — ეს ხომ გამუდმებით ფხიზელი კაცის ნათქვამია!

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ხშირად შევხვდებით ბაირონის, გოეთეს, ჰაინეს, შილერის, ვალტერ სკოტის, ანდრე შენიესა და სხვა დიდებულ შემოქმედთა სახელებს. და მაინც ყველაზე ხშირად შექსპირს ახსენებს, ხშირად მოჰყავს მისი სიტყვები, იმოწმებს თავისი აზრის გასამართლებლად, ზოგჯერ კი არაჩვეულებრივად ზუსტად ახასიათებს გენიოსი ინგლისელის ნაწარმოების ამა თუ იმ პასაჟს. აი, მაგალითად: ჰამლეტის „ყოფნა-არყოფნას" „სულის უბინაობისაგან ამოკვნესილად" მიიჩნევს.

„უბინაობა სულისა"! თითქოს ფორმულირებულია ტკივილით სავსე წანწალი ადამიანის ფიქრისა გაუგებრობის და სიძულვილის უდაბნოში!..

უნდა ისიც ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძემ, ღრმად ერუდირებულმა შემოქმედმა, შექსპირის სკოლაშიც შეითვისა ზოგიერთი რამ, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი, რომ მან შექსპირის სკოლაშიც შეამოწმა

საკუთარი იარაღის ვარგისიანობა. მას შეეძლო ყველასა და ყველაფრისაგან ესწავლა, რადგან თვითონაც მასწავლებლად იყო გაჩენილი.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით მრწამსის ფონზე სრულიად ბუნებრივად მოჩანს მის მიერ „მეფე ლირის" თარგმნა, ქართული მთარგმნელობითი სკოლის სიამაყესთან, ივანე მაჩაბელთან ერთად.

ილია ჭავჭავაძისთვის მეფე ლირიც „სულით უბინაო" იყო...

მეფე ლირი ისეთი პერსონაჟია შექსპირისა, რომელმაც გაიარა საპირისპირო გზა სხვა გვირგვინოსებთან შედარებით — ტახტიდან ადამიანობისაკენ! ესეც, რა თქმა უნდა, გარკვეული თვალსაზრისით, კარიერაა, არანაკლებ ძნელი, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანი. მეფე ლირმა ტახტიდან ჩამოდგა ფეხი და მისი ტერფები ჯოჯოხეთის ფსკერის სიმხურვალემ დათუთქა.

ლირის ცხოვრება, რომელიც ტახტზე უარის თქმის მერე იწყება, ტანჯვაა, რომელსაც შეგნებულად ირჩევს.

ლირი ის რეჟისორია, რომელიც თავის დადგმულ სპექტაკლს ეწირება, როგორც მსახიობი...

„მეფე ლირში" ადამიანის სულისათვის ბრძოლის ამბავია მოთხრობილი. შეიძლება ჩემი ნათქვამი ძალიან თამამად გაისმას, მაგრამ თუ კი რაიმე ოდნავ მაინც გვაგონებს მას ქართულ ლიტერატურაში, ეს, უპირველეს ყოვლისა, დიდებული „განდეგილია".

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შესანიშნავი თარგმანის წყალობით, ჩვენი ხალხის ცნობიერებაში სამუდამოდ დამკვიდრდა და სულიერი კონსტიტუციის ერთ-ერთ პარაგრაფად იქცა ასეთი ბრწყინვალე, ჰუმანისტური შეგონება: „რაც საჭიროა, მასზე მეტი რომ კაცს არ მივსცეთ,— ადამიანი ხომ პირუტყვად გარდიქცეოდა!"

ილია ჭავჭავაძის პოეტური გალაქტიკის ცენტრში მოქცეულია პოემა „აჩრდილი", ფილოსოფიურ-ლირიკული პოემა, რომელიც მწერლის მთელი შემოქმედების ტემპერამენტს და შუქს ერთგვარად განსაზღვრავს და განაპირობებს კიდეც.

„აჩრდილი" კონტრაპუნქტული და ამავე დროს, ფორმის მხრივ, ქართული ლიტერატურისათვის ძალიან ტრადიციული პოემაა, სწორედ ისეთი, როგორიც იწერებოდა ვთქვათ, მეთორმეტე საუკუნის საქართველოში, თუნდაც იოანე შავთელის „აბდულმესიანის" სახით.

შავთელი დიდი წინაპარია მეცხრამეტე საუკუნის შესანიშნავი პოეტებისა. მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ პლატონ იოსელიანმა მისი პოემა 1838 წელს გამოაქვეყნა. სამწუხაროა რომ შავთელის ლირიკულმა პოემამ (რომელსაც ნამდვილი სათაური აშკარად შემდეგ, დიდი ხნის მერე, დაცემის ხანაში შეუცვალეს აღმოსავლური მწერლობის გავლენით!), მონღოლთა თუ სხვა დამპყრობთა ბარბაროსული თარეშის გამო, როგორც ხელოვნების უაღრესად ნატიფმა ფორმამ, სათანადო განვითარება ვერ ჰპოვა და მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის დიდი პოეტების ქმნილებებში იჩინა თავი მისმა თითქოსდა დაგვიანებულმა, მაგრამ მაინც ცხოველმყოფელმა გავლენამ, რამაც კიიდევ ერთხელ დაამტკიცა ჭეშმარიტი პოეზიის უკვდავება...

„აჩრდილი" ორ ხმაზეა დამყარებული, ორი ხმა ენაცვლება ერთიმეორეს. ერთი ხმა დღევანდელ პოეტს ეკუთვნის, მეორე კი — მყინვარზე მდგარ მოხუცებულს. შეიძლება ითქვას, ეს არის ნაწარმოები ორი ხმისათვის: პოეტისა და მისი მომავალი იპოსტასის — საქართველოს „თანამდევი" სულისთვის. ასე რომ, მყინვარზე მდგომი მოხუცებული საკუთარი ბედის წინასწარმეტყველური ხილვის შედეგად მოვლენია პოეტს, ეს თვითონაა, ოღონდ, უკვე საქართველოს ხნისა, მასში ცოცხლობს სამშობლოს წარსულიც, აწმყოც და მომავალიც, რამდენადაც იგი მარადიულია, „უკვდავი სულია" ეს რაღაც იდუმალი, ამოუხსნელი გრძნობითა და სულისკვეთებით წარმოშობილი ტრანსცენდენტური ხილვაა პოეტისა, საკუთარი არსებობის მარადიულობის განცდა, საკუთარი მარადიული ხვედრის, მისიის დანახვა, რაც ამ პოემიდან ზუსტად ამოიკითხა ვაჟა-ფშაველამ. გავიხსენოთ ამ დიდი პოეტის სიტყვები ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის დღეს: „ვუწყი, რომ შენი აჩრდილი არ დაივიწყებს საქართველოს"...

პოეტის მეორე სახე — მყინვარზე მდგომი მოხუცებული — მარადიულია და, ამდენად, მარადიულ სამშობლოსაც გულისხმობს, რადგან უკვდავება ერთისა დაკავშირებულია მეორის უკვდავებასთან.

ამ პოემაშიც, ისევე როგორც „მგზავრის წერილებში", გამოჩნდება დიდებული მთა — მყინვარი, ოღონდ, მოთხრობისაგან განსხვავებით, სადაც მყინვარს სიმბოლური დატვირთვა აქვს მინიჭებული, აქ იგი მხოლოდ სიმაღლეა, საიდანაც მთელი საქართველო მოჩანს. ეს „დიდებული და შეუბღალავი" სიმაღლეა, რომლისკენაც ყოველთვის ილტვოდა პოეტის გული და გონება. ამიტომაა სწორედ ის „მზის სხივით გაბრწყინებული". შეიძლება უნებურად სახარების მთაც კი გაგვახსენდეს („და ვითარცა იხილა იესო ერი იგი, აღვიდა მთასა და დაჯდა იგი მუნ..."), მაგრამ ეს ძალიან შორეული, უფრო ზუსტად — ხელოვნური ასოციაცია იქნებოდა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მაცხოვრის სახება მის შემოქმედებაში ხშირად გამოჩნდება ხოლმე.

ამ შემთხვევაში, მთას კი არა აქვს რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა, მთა კი არ წარმოადგენს რაიმე სიმბოლოს, არამედ „მთაზე დგომაა" ფილოსოფიურ — სიმბოლური ხასიათის მეტაფორა, რაც მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში პოეზიის უმაღლეს ზღვართან მიახლოებას ნიშნავს, „ღმერთთან ლაპარაკს" ანუ უმაღლეს პოეზიასთან ზიარებას. „მაგრამ გავიგებთ ერთხელაც, ვინც ახ-

ლოს ვდგავართ ღმერთთან",– იტყვის ვაჟა ფშაველა, როდესაც აკაკი წერეთელთან პოეზიის რაობაზე კამათის დროს ილია ჭავჭავაძის ამ სახეს (ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ...") მოიშველიებს და ამით ახსნის კიდეც მას.

შეიძლება ითქვას, „აჩრდილი" მეცხრამეტე საუკუნის ქართული სულის მოძრაობის მიუკერძოებელი მატიანეა. სწორედ ამ პოემაში უკავშირდება ეროვნული და სოციალური პრობლემები თავისუფალ ცნებას...

* * *

სამყაროს აღქმის სიახლე – აი, პირველი, რაც თვალში გვეცემა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების კითხვისას, ლექსი იქნება თუ მოთხრობა, პუბლიცისტური წერილი თუ ლიტერატურული ესე. მისი მხატვრული სამყარო ახალი ადამიანებითაა დასახლებული, ახალი ადამიანებითაა სავსე. მეცხრამეტე საუკუნეში იშვიათია ქართველი მწერალი, რომელსაც ამდენი ახალი, ცხოვრებისეული ტიპი და ხასიათი შეექმნას – ცოცხალი, კოლორიტული, შთამბეჭდავი: ოთარაანთ ქვრივი, გიორგი, კესო, არჩილი, პეტრე, დათიკო, გაბრიელი, ლამაზისეული, დარეჯანი, ლუარსაბ თათქარიძე – ეს რაბლეს გმირების გვერდით მოხსენიების ღირსი ღორმუცელა, ბედოვლათი, ყეყეჩი და მაინც, თქვენ წარმოიდგინეთ, სიმპათიური გმირი.

„ამ ყოფაში და ჭკუის გონიერ ვარჯიშობაში გადიოდა დილა. როცა სადილს უკან ლაზათიანად გამოიძინებდნენ ცოლ-ქმარნი, როცა საღამოზედ ნიავი ფრთას გაშლიდა და ბაღჩის ღობის გრძლად გამოწოლილი ჩრდილი ეზოს მოადგებოდა, მაშინ კნეინა დარეჯანი ერთ ბალან-გაცვინულ ხალიჩას ჩრდილში გააშლევინებდა და დაბრძანდებოდა ხოლმე თავმომწონე პატარძალივით თავდახურული; წარბებ – აჭიმული და გამოპრანჭული ლუარსაბიც, თავის განუშორებელ ჩიბუხით ხელში ჩამოვიდოდა – და ქოშებით შიშველ ფეხებზედ, ხშირად წითელ პერანგის ანაბარას და უფრო ხშირად ლურჯ კალმუხის დარბაისლურად ჩატეხილ ქუდით, ბოლთასა სცემდა გრილოშია", – აი, არაჩვეულებრივად მეტყველი სურათი, ფერადი, მოძრავი, სულჩადგმული სცენა ცხოვრებიდან, მხატვრობად გარდაქმნილი სინამდვილე, საოცრად ზუსტი დეტალებით, იქნება ეს „ბაღჩის ღობის გრძლად გაწოლილი ჩრდილი" თუ „ლურჯ კალმუხის დარბაისლურად ჩატეხილი ქუდი".

იმ უამრავ და უამრავ მეორეხარისხოვან პერსონაჟს შორის („დიკენსმა მსოფლიო მეორე ხარისხოვანი პერსონაჟებით დაიპყრო" – წერს ჩესტერტონი), რომლებითაც სავსეა მისი შემოქმედება, შეიძლება გამოგვეყო სოსია მეწისქვილე („ოთარაანთ ქვრივი"), რომლის უკანასკნელი სიტყვებიც: „ცოდო ვარ, შვილო, ცოდო!" – რაღაც უცნაური ძალის წყალობით რატომღაც გვახსენებს ერთი დიდი ფრანგი მოაზროვნის სიტყვებს, შრომისაგან ქანცგაწყვეტილი გლეხების მისამართით გამოთქმულს: „ისინი საწოლში მხოლოდ იმიტომ წვებიან, რომ დაიხოცნენ..."

პოეტის გუმანი, ალღო – როგორც მაგნიტი საგნების გროვიდან – ლითონს ისე იტაცებს, იზიდავს მაინცდამაინც იმ შტრიხს, იმ დეტალს სინამდვილისას, რომელიც შემდეგ გაგვაცვიფრებს თავისი ერთადერთობით, შეუცვლელობით, ემოციური თუ აზრობრივი ზემოქმედების ძალით, როგორც ყველაფერი, რაც თავის ადგილას, თავის დროსა და თავისი სრული შესაძლებლობით მოქმედებს.

აი, მუშის პორტრეტი:

„აჰა, მიხვედი, მიუტანე ტვირთი პატრონსა, რუსულ ფარაჯის კალთით შუბლზე იწმენდავ ოფლსა".

სხვა, მეტი რომ არაფერი დაეწერა, მხოლოდ ეს ორი სტრიქონი ყოფილიყო მთელი ლექსი, მაინც შეიქმნებოდა მუშის პლასტიკურად სრულყოფილი სახე...

* * *

ილია ჭავჭავაძე დიდი ოსტატია ჟესტისა და მოძრაობის გადმოცემისა, რაც მის პოეტურ სურათებს ცხოვრებისეულ დამაჯერებლობასა და რიტმულობას ანიჭებს. პოეტს შეუძლია ბუნების გრანდიოზულ, უკიდეგანო წიაღში უცებ დაინახოს, გამოარჩიოს და ამით ჩვენი შემეცნების კედელზე სამუდამოდ მოიხატოს „...წეროთა ქარავანი, ცას დაღუპული..." ასევე სამუდამოდ დაუკავშიროს ჩვენს არსებას და ჩვენთვისაც მახლობელი და ძვირფასი გახადოს ნისლში შემალული ყვარლის მთები: „აგერ თქვენც ჰქრებით თან-და-თანა... თქვენსა მწვერვალსა ძლივს ვარჩევ... წუთიც!.. მხოლოდღა ვსჭვრეტ ციაგსა ცისა..." სიტყვით მიღწეული ვიზუალური საოცრება! – ასე შეიძლება ვუწოდოთ ამ პასაჟს, ამოღებულს შესანიშნავი ლექსიდან „ყვარლის მთებს".

იმავე ლექსში არის ასეთი ფრაზა:

„კვლავ გაგიღიმებთ შორ ქვეყნიდამ თქვენ ჩემი სული"...

„სულის ღიმილი"!

იშვიათად თუ შეგხვდებათ მეცხრამეტე საუკუნის დიდ პოეტთა ლექსებში ასეთი თამამი, ასეთი დღევანდელი მეტაფორა, რომელიც იმითაც არის საინტერესო, რომ ფარულ, საიდუმლო და მაინც აშკარა ნათესაობას ამჟღავნებს ქართული რომანტიზმის ზვიად ვირტუოზებთან, განსაკუთრებით კი იმ გენიოს ჭაბუკთან, რომლის შემოქმედებითაც ილია ჭავჭავაძე არა მარტო აღფრთოვანებული იყო, არამედ ამაყობდა კიდეც, რადგანაც არ შეიძლება არ იამაყო იმით, ვინც თავისი არსებობით შენს თავისთავადობასა და განუმეორებლობასაც ამტკიცებს; აკი თქვა: „...ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და თავმოსაწონებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი"-ო!. რომანტიკოს

პოეტთა შორის უმრწემესმა, მაგრამ, ამავე დროს, ყველაზე დიდმა, ჭეშმარიტად გენიალურმა პოეტმა ქართულ პოეზიას ისეთი ჰაეროვნება, ისეთი საიდუმლო თრთოლვა შესძინა, რომ მომავალშიც და არა მარტო სამშობლოს „მხურვალე ცის ქვეშ" ხშირად აღტაცებით წამოიძახებენ ხოლმე მისსავე სიტყვებს: „ვისი ხმა არის ეს საკვირველი?"-ო.

ილია ჭავჭავაძე სწორედ ბარათაშვილთან დაკავშირებით იტყვის დღესდღეისად უკვე ყველასათვის ძვირფას ფრაზას: „პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა ღვთივ რჩეულთა. მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, — რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდამ სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს"!

ეს პოეტური ჭეშმარიტება — პოეტური იმდენადაც, რამდენადაც მისი დედააზრის სიდიადეს, თუ არ ირწმუნე, ვერ შეიგრძნობ — კიდევ ერთხელ საცნაურს ხდის „ტკბილი ხმების" თითქოს ირეალურ, მაგრამ ამავე დროს აუცილებელ, გამკურნავ მნიშვნელობას ადამიანის სულისათვის...

ისიც უნდა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი — ეს არის შვილის მოწიწება მამის წინაშე. ამ ჭაბუკი პოეტის აჩრდილი დიდხანს გაჰყვება მის ცხოვრებას, როგორც „ღვთივ რჩეული" ტიტანი, რომელმაც ადამიანებს მოუტანა „გაუქრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობად".

ვინ, თუ არა მან — ილია ჭავჭავაძემ — თავად დიდმა პოეტმა, იცოდა, რომ ყველაფერზე ძნელი ამქვეყნად ადამიანის გულის გათბობა იყო...

მისთვის ყოველთვის სამაგალითოდ დარჩება პოეტი, რომელიც „სულის მშვენიერებას ჰხდიდა ტრფიალების საგნად".

ტრფიალების საგნად ქცეული სულის მშვენიერება!

აი, საითკენ მიილტვოდა თვითონაც, რა ეწადა, რა სურდა, რარიგ იზიდავდა მშვენიერების ღვთაებრივი ძლევამოსილება!

როგორ უნდოდა მისი კვნესაც, ბარათაშვილის მსგავსად, კაცობრიობის კვნესად გადაქცეულიყო!.

თუმცა ამბობდა ბარათაშვილისთანა პოეტები უმემკვიდრეოდ მიდიანო, მაგრამ სულის სიღრმეში თავის თავს აშკარად მის მემკვიდრედ თვლიდა.

შემთხვევით კი არ არის ამოთქმული: „მე ცა მნიშნავს!".. გაიხსენეთ, რა თქვა მან ბარათაშვილზე: „... ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშადაო".

ოღონდ, ასეთი დიდი მისია მისთვის ელიტარულ განსაკუთრებულობას კი არა, ყოველდღიურ მძიმე შრომას ნიშნავდა.

ბარათაშვილი მისთვის გაცილებით დიდი იყო, ვიდრე პოეტი. ბარათაშვილის ფენომენი მისთვის ახალ ერას ნიშნავდა, მომავლისაკენ გადადგმულ ნაბიჯს ადამიანის სულში მომხდარ ფარულ მიწისძვრას, ახალი აზროვნების ცისკარს...

ილია ჭავჭავაძე, როგორც უძველესი ქართული მწიგნობრული კულტურის ტრადიციების ერთგული დამცველი, მწერლობაში მაღალი პროფესიონალიზმის პრინციპული მქადაგებელია. მისი შემოქმედების ეპიგრაფად ყველაზე მეტად ალბათ რუსთაველის შემდეგი სტრიქონი გამოდგებოდა: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი".

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, შეიძლება ითქვას, ინტელექტუალური ბუნებისაა, რაც, რასაკვირველია, ოდნავადაც კი არ ამცირებს მის საზოგადოებრივ მნიშვნელობასა და მოქალაქეობრივ ჟღერას.

ლიტერატურის ხალხურობის ცნება ილია ჭავჭავაძემ ლაკონურად ასე განსაზღვრა:

„ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წავუძღვე წინა ერსა!"

— ეს არის ჭეშმარიტი ხელოვნებისა და მისი დანიშნულების ერთ ასპექტში მოქცევა, კიდევ ერთი შეხსენება იმ სიბრძნისა, რომ ნამდვილად ხალხური ნაწარმოების ენა არის მაღალი ხელოვნების ენა.

საინტერესოა, რომ ილია ჭავჭავაძის არც ერთი ნაწარმოების ენობრივ ქსოვილში სრულიად არ ჩანს ფოლკლორული გავლენის რაიმე კვალი, თუ არ ჩავთვლით ანდაზებს, რომლებსაც მეტად თავშეკავებულად იყენებდა დიდი მწერალი. ამას განსაკუთრებით იმიტომ ავღნიშნავ, რომ ჩვენი ლიტერატორების ზოგიერთ წრეში გავრცელებული მცდარი შეხედულების მიხედვით, ფოლკლორი, ლიტერატურული ნაწარმოების ხალხურობა თითქმის ძირითად ფაქტორად ითვლება.

ქართული პოეზია მეტად აქტიურად სარგებლობდა და სარგებლობს კიდეც ჩვენი ფოლკლორის თვალისმომჭრელ, უმდიდრეს საგანძურიდან, იმ წყაროზე ითქვამს სულს, რომელსაც ჩვენს წარმოდგენებსა და პოეტურ ხილვებში სამუდამოდ დამკვიდრებული გმირები — ამირანი, მინდია, ასფურცელა თუ ვეფხვებთან მეომარი მოყმე ეწაფებოდნენ.

და მაინც, ქართული ფოლკლორი სრულიად ცალკე და დამოუკიდებლად არსებული ზვიადი სამყაროა, ჩონგურის, ფანდურის, სალამურისა თუ გუდასტვირის ღვთიური ჰანგით შემოზღუდული.

ქართულ მწერლობას კი, შეიარაღებულს მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ანბანის 33 მახვილით, როგორც ჭეშმარიტად პროფესიულ ხელოვნებას, თავისი გზა და კანონები აქვს. იგი ამოზრდილია რა ჩვენი ხალხის ყოფიდან, მისი ბუდე მოწნულია რა ჩვენი ხალხის სულისკვეთებითა და ოცნებათა ცისარტყელებით, სისხლხორცეულად უკავშირდება ქართულ მხატვრობასა თუ მუსიკას (გავიხსენოთ გალაქტიონ ტაბიძის: „ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს, ის პოეზიას ჩემსას გაიგებს!"), იგი გამდიდრებულია მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების, რელიგიათა თუ ფილოსოფიურ მიმდი-

ნარეობათა თითქმის ყველა თვალსაჩინო მიღწევითა და გაკვეთილით. როგორც ნამდვილად თვითმყოფადი, ეროვნული, ძლიერი ხელოვნება, ყოველწამს მზად არის და უნარიც შესწევს ყველაზე თანამედროვე მეტაფორათა თუ აზრთა ფორმების წარმოსაქმნელად. ამას ამტკიცებს მთელი ისტორია, დაწყებული ქართული აგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის უბრწყინვალესი ნიმუშებით...

ილია ჭავჭავაძე მართლაც იშვიათად მიმართავდა ანდაზებს, ამავე დროს, ასხვავებდა კიდეც მათ ერთმანეთისაგან, ზოგიერთ მათგანს ერის დაცემის აშკარა მაგალითებად მიიჩნევდა.

ქართულ ზეპირსიტყვაობაში არსებობს მთელი წყება ანდაზებისა, რომლებშიც გადატეხილხერხემლიანი, მხოხავი სული ილანდება და ნებაყოფლობითი მონობის, ხალხისთვის შეურაცხმყოფელი მაგალითებივით ისმის: „სადაც მიხვალ, იქაური ქუდი დაიხურე", „სულ არარაობას ცალუღელა ხარი ჯობია", „დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამს" – ეს რენეგატთა, გამყიდველთა დამღუპველი სენტენციებია. „ციხე შიგნიდან გატყდებაო" – ნათქვამია ისევ ჩვენი ხალხის მიერ და შიგნიდან გამტყდარ ციხეთა ნანგრევებით სავსეა ჩვენი ისტორია...

„შეჩვეული ჭირი მირჩევნია შეუჩვეველ ლხინს" – აი, ის საშინელი, კობოს მეტასტაზებიანი, ობივატელური შეხედულება, რომელსაც ცეცხლითა და მახვილით უპირებდა ამოშანთვას ილია ჭავჭავაძე და რომლის მქადაგებლებმაც „შეჩვეული ლხინის" შიშით, საკუთარი წინასწარმეტყველი სასიკვდილოდ გაიმეტეს.

მაგრამ არის ანდაზა, რომლის მთქმელსაც მწერალმა „ხალხის გენია" უწოდა და რომელიც ასე ზუსტად ესიტყვება მწერლის მოქალაქეობრივ მრწამსს: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო"!

* * *

ილია ჭავჭავაძის ყოველ ნაწარმოებს გამოარჩევს ცენტრალური, შემოქმედებითი იდეა, ამიტომაცაა ალბათ, რომ მისი პოეტური ნაწარმოების გარეგნული ფორმა ჰგავს წყალზე გაფენილ ჭავლს, ოღონდ, წრეების საპირისპირო მოძრაობით – არა ცენტრიდან, არამედ ცენტრისკენ – ფოკუსისაკენ, მთავარი სათქმელისაკენ.

ეს არის წრიულად შეკრული, თავისთავად სრულყოფილი ფრაზების ლტოლვა ძირითადი იდეისკენ, რაც მთელ ნაწარმოებს ანიჭებს ერთიან, მთლიან, გაუბრაზავ სახეს, ოღონდ, არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ფრაზათა თავისთავადი მნიშვნელობა. თვითეული მათგანი თითქოს პოეზიის პატარა, დამოუკიდებელი ნიმუშია.

პოეტს უყვარს ეფექტური, ენერგიული, პლასტიკურად მოქნილი ფრაზა, ამჟღავნებს აშკარა მიდრეკილებას აფორისტიკისაკენ: „რად მინდა ხმალი თუნდ იყოს მჭრელი, თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება!"

პოეტის თვალი, სხვა მრავალ შესაძლებელ სიტყვას შორის, ირჩევს ერთადერთ საჭირო სიტყვას, თავისი უმდიდრესი პოეტური არსენალიდან იღებს ერთადერთ, ამ შემთხვევაში, ყველაზე ქმედით იარაღს.

საერთოდ, რაც უფრო მდიდარია პოეტის შემოქმედებითი ვნება, მით უფრო ნაკლებ გამომსახველობით საშუალებებს მიმართავს და იყენებს ხასიათის გახსნის დროს. უმთავრესად ერთსა და ამასთნავე ნაღდ ხერხს ჯერდება, რომელიც ყველაზე უფრო ეფარდება გმირის ხასიათის განვითარების ლოგიკას, თავისებურებას. ვგულისხმობ ოსტატის „სიძუნწეს", რომელიც სიღატაკისაგან კი არა – სიმდიდრისგან წარმოქმნილა, წარმოშობილა.

გავიხსენოთ ერთი ადგილი მოთხრობიდან „სარჩობელაზედ", რომელიც, ჩემი აზრით, ქართული პროზის სიამაყეს წარმოადგენს.

ჯარისკაცებს ფარაჯიანი ბიჭი ჩამოსახრჩობად მოჰყავთ. ამ ამბავს უყურებს სოფლიდან თბილისში ჩამოსული გლეხი კაცი, რომელსაც ყველაფერი ეს „თვალთმაქცობა" ჰგონია, რადგან ადამიანის ჩამოხრჩობა წარმოუდგენლად მიაჩნია – „კატა ხომ არ არის, აიღო და ჩამოჰკიდო"!

და აი, აქედან იწყება დიდი პროზაიკოსის მიერ შექმნილი – გარეგნულად კომიკური, შინაარსით კი შემაძრწუნებული – სურათი და კომიკურისა და ტრაგიკულის ასეთი დაწყვილება მოულოდნელად და თითქმის საოცრებად მოჩანს იმდროინდელი პროზის ფონზე, რამდენადაც თავისი თვისებით მეოცე საუკუნის ეგზისტანციალისტთა ნაწერს მოგვაგონებს, თუნდაც, კაფკას დახლართული და ჩაბნელებული ლაბირინთების დაძლევის შედეგად მიღწეულ აბსურდულ სიტუაციას, რომელსაც, ამავე დროს, ადამიანისადმი თანაგრძნობა უდევს საფუძვლად და ეს მეტად საინტერესო აღმოჩენაა ილია ჭავჭავაძისა, როგორც ჭეშმარიტად ახლის მაძიებელი მხატვრისა.

„ამასობაში ის ფარაჯაში გახვეული ბიჭი მიიყვანეს და სარჩობელას ქვეშ დააყენეს. ცალმხრივ მღვდელი მოუდგა, მეორე მხრივ ვიღაცა ჩინოვნიკი. წითელპერანგა ჯალათი უკან ედგა...

...ფარაჯაში გახვეულს გახადეს ფარაჯა, გადააცვეს თეთრი პერანგი თავიდან ფეხებამდე, ასე რომ პირისსახე აღარ უჩანდა, წითელპერანგა ჯალათმა გაასწორა სარჩობელამდე ყულფი მერე კიბე მიადგა სარჩობელის ბოძს, მოუბრუნდა უბედურს, ხელის კვრით წინ წაიგდო, აიყვანა კიბეზედ, მოსწია ყულფი, რომ თავი გააყოფინოს. ხალხს ხმა ჩაუწყდა, თითქოს სული შეეხუთაო, თითქო ამოდენა ხალხის გულის ძგერა შედგაო.

ჯალათმა თავი გააყოფინა ყულფში, გამოაცალა კიბე და ჰკრა ხელი. ხალხმა ერთი ღრმად და ყრუდ ამოიქშინა, ისე, როგორც ამოიქშენს ხოლმე უეცრად ცხელ-წყალ თავგადასხმული.

უბედური სარჩობელაზედ ჩამოეკიდა. ქანაობა დაიწყო და ფართხალი. დიდხანს იქნია საწყალმა ფეხები.

— დილამდე რომ სულ ეგრე იქნივო ფეხები, მაინც არ დაგიჯერებ, ამბობდა თავისთავად პეტრე".

შეიძლება მხოლოდ კინომატოგრაფმა გადმოსცეს ასეთი ზედმიწევნითი სიზუსტით ყველაფერი, რაც კი ამ სურათშია მოცემული, მაგრამ ისიც კი უმწეო იქნება იმ დრამატული დინამიზმის გადმოსაცემად, რასაც მწერლის სიტყვა ასეთ, მართლაც და საკვირველ, სიცხადეს ანიჭებს.

სცენას, რომელიც „სუნთქვაშეხუთული" ხალხის გულის ძგერის ფონზე მიმდინარეობს, საფუძვლად არაჩვეულებრივი ფსიქოლოგიური სიმართლე უდევს და მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ეგზისტენციალისტური ფორმისა, რომელიც ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ მის თანამედროვეობას უსვამს ხაზს, რეალისტურად წერის უმნიშვნელოვანესი გაკვეთილია, თუნდაც დღევანდელი მწერლობისათვის, რამდენადაც მასში ირეკლება მთელი სისტემა არა მარტო მწერლური მეთოდისა, არამედ, თუ გნებავთ, მწერლის პიროვნების სულიერი წყობისა, პოზიციისა.

კონტრასტი, რომელსაც მკაცრი, თითქმის მექანიკური გულგრილობითა და განურჩევლობით ამოძრავებული სინამდვილე და გულუბრყვილო, გაოცებული და გაოგნებული კაცთმოყვარეობა ქმნის, წარმომქმნელია, ბიძგია იმ ფარული აზრისა, იმ იდეის ძალისხმევისა, რომ ადამიანის დასჯა და მისი სიცოცხლის ხელყოფა სხვა და სხვა ცნებებია; რომ ადამიანის სიცოცხლის ჩატევა სასამართლო კოდექსის რომელიმე მუხლში იგივეა, ჩაამწყვდიო ნიაგარის ჩანჩქერი კასრში...

კანონი ადამიანისათვის და არა, ადამიანი კანონისათვის! ამას უზარმაზარი, თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყნად დიადი კანონიერების დასამკვიდრებლად, რომლისკენაც ყველა ერთნაირად უნდა ილტვოდეს...

ამ მოთხრობაში აღძრულია დანაშაულისა და სასჯელის პრობლემა, რომელიც ასე აღელვედბათ, მე ვიტყოდი-აწვალებდა მეცხრამეტე საუკუნის დიდ მწერლებს და მოაზროვნეებს, რამდენადაც ადამიანის პიროვნული თავისუფლება მჭიდროდ უკავშირდება ზემოთ ნახსენებ პრობლემას.

კანონი და მის საფუძველზე გამოტანილი განაჩენი სასჯელი უსათუოდ ბოროტებას უნდა ებრძოდეს, ყოველგვარი ანტი საზოგდოებრივი მოვლენის აღმოსაფხვრელად უნდა იყოს მოწოდებული, მაგრამ, ამასთანავე, არ შეიძლება ანტიადამიანურ მოვლენას წარმოადგენდა.

ერთმა მწერალმა თქვა, განაჩენი რაც უნდა მკაცრი იყოს, მაინც პატიებაა. შეიძლება ამ ნათქვამის ფარულ მაქსიმალისტურ აზრს, ილია ჭავჭავაძესავით, არ ვიზიარებდეთ, მაგრამ ერთი რამ კი აშკარაა, რომ სასჯელი თავისი არსით გაცილებით ჰუმანური ფენომენია, ვიდრე ზოგჯერ უკიდურესი განცხადებისა თუ აღშფოთების წუთებში გვინდა იყოს, როცა ერთი ნაბიჯიღაა დარჩენილი ვენდეტამდე ანდა ლინჩის კანონამდე, რაც თავისთავად, ყველაზე მკაცრად და აშკარად შეგვახსენებს, რომ ადამიანში ცხოველურ ინსტიქტებს მხოლოდ და მხოლოდ კულტურის დიადი ძალის წყალობით აკავებს და თრგუნავს გონიერება, სათნოება და ცოდნა...

ილია ჭავჭავაძე კიდევ უფრო შორს წავიდა, მას არ შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო, რადგან ყველაფერზე მეტად ნახევარ სიმართლეს ვერ იტანდა და 1907 წელს სახელმწიფო საბჭოს სესიაზე თქვა: „საბუთად მოყვანა იმისა, რომ სიკვდილით დასჯა ამრავლებს თუ აკლებს დანაშაულებას, - არაფერს არ მოასწავებს, რადგანაც დანაშაულების სიმრავლე სხვა ათასნაირ მიზეზებზეა დამოკიდებული-ო,

ხედავთ, რას ამბობს დიდი მწერალი და ჰუმანისტი — ყველა დანაშაულის მიზეზი უნდა გამოვიკვლიო! ე.ი. ზოგჯერ მიზეზი უფრო შემზარავია, ვიდრე დანაშაულიო, ეს კი იმას მიშნავს რომ ზოგ შემთხვევაში, სახრჩობელაზე მსხვერპლმა და ჯალათმა ადგილები უნდა გაცვალონ!

განა სამაგალითო და სამაყო საქციელი არ არის მწერილისათვის ის ამბავი, რომ 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ მთელ ქვეყანაში გამეფებული საშინელი რეაქციის პირობებში როცა, სახრჩობელას საშინელი აჩრდილი ყოველდღიური ცხოვრების აუცულებელ თანამგზავრად იქცა, სახელმწიფო საბჭოში, იქვე, მეფის სასახლესთან ახლოს-ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოდის!

გასაკვირი არ არის, რომ მისი სიტყვა, ფაქტიურად, სესიის ოქმებიდანაც კი იქნა ამოღებული და აიკრძალა მთავრობის მიერ. ზემოთ მოყვანილი ციტატი ამ სიტყვის გადარჩენილი კონსპექტიდანაა მოყვანილი...

რა შეიძლება ითქვას კიდევ ამ მოთხრობაზე, ძუნწი შტრიხებითა და თითქმის უმარტივესი კონტაქტებით (გაოცებილი გლეხი — წითელპერანგა ჯალათი, სუნთქვაშეკრული ხალხი — სახრჩობელას მოქანავე ყულფი!) შექმნილ შედეგზე?

ჩემი აზრით, ალბათ დროული იქნებოდა გაგვეხსენებინა ერთი თანამედროვე ფილოსოფოსის სიტყვები, პავლე მოციქულის „ეპისტოლესთან" დაკავშირებით რომ თქვა: ის, რა თქმა უნდა, ყველაფერს არ შეიცავს, რაც საჭიროა ადამიანის ხსნისათვის, მაგრამ რაც მასშია გადმოცემული-ადამიანისთვის აუცილებელიაო...

ილია ჭავჭავაძე უკიდურესად გამძაფრებული, თითქმის ემოციად გარდაქმნილი აზრის პოეტია.

მისი შემოქმედების არქიტექტურა ნათელი, თითქოს ანტიკური სიმეტრიითა და ზვიადი იერით

რომ არის აღბეჭდილი, შეიძლება ითქვას, ამოზრდილია ადმიანურ ვნებათა კოცონიდან. ამდენად, მისი პოეზიის შინაგანი ფოლადის კარკასი უკიდურესადაა გავარვარებული და ეს მხურვალება პირველსავე სტრიქონიდან გამოდის ჩვენს არსებაში, რათა იქ, თვით ჩვენთვისაც კი საიდუმლოებით მოცული უფსკრულების სიჩუმეში აქამდე უიმედოდ ჩანთქმული ჩვენივე საუკეთესო თვისებები გამოღვიძოს და ჩვენვე დაგვიბრუნოს, გვაჩუქოს, დაგვაჯილდოვოს, რათა გაგვამდიდროს უკეთესი მერმისისა და საერთოდ, იმისი რწმენით, რასაც საკუთარი პიროვნების მნიშვნელობის შეგრძნება წარმოქმნის.

ის ზოგჯერ აშკარა ნათესაობას ამჟღვნებს საბა ორბელიანთან, იმდენად მწერალთან კი არა რამდენადაც ბრძენ, სასულიერო პირთან, მქადაგებელთან, ოღონდ, მასზე გაცილებით მკაცრია, მრისხანეა, დაუნდობელია სხვისა თუ საკუთარი თავის მიმართ . სიმკაცრით მას ქართულ ლიტერატურაში ვერც ერთი მწერალი ვერ შეედრება, თვით აკაკი წერეთელიც კი, რომელიც, მართლა რომ თავისი პირდაპირობითა და საიმართლის თქმით გამოირჩეოდა.

„მდინარენიცა განხეთქე ხორგთა და განაბნევენ თოვთა და მისცემენ გზათა მებადურთა და განუსვენებენ მესათხეველთა და ანადირებენ თევზთა. შენცა განხეთქე შეშინებული გულისხმა შენი და მიეც მეთევზურთა ქრისტესთა მოციქულთა გზა შენი, რათა ქადაგებანი მათნი შევიდნენ გულად შენდა და ნადირობითა განისვენონ შენთა თანა.

გიხილავსა, ჭადარნი უგრძნობელნი ვითარ განჰყრიან მქერქთა ქისეთა და არა მარადის გვამსა ზედა თვისთა? არცაღა ნერგთა ოდენი ძალი გაქვს, რათა ცოდვისა შებღალული ქერქი მოიძარცო და ახალი შეიმოსო-ქრისტეს მიერი ძალი!

ირემთა უგულისხმოთა რქანი დაეზარდნენ და დაუდიდნენ და დაუმძიმდნენ, წლითი წლად განაგდებენ და არღარა იქონიებენ და ჩვილთა ამოიხეთქენ. მეცნიერო, შენცა განაგდე დამძიმებული ცოდვა, რომელი განხმელ არს კეთილთაგან, და ამოიხეთქე, ახალი რქა თავსა შენსა, ძლევა ქრისტესი, მაოტებელი მტერთა უკეთურთა“. –ქადაგებს საბა ორბელიანი, მეთვრამეტე საუკუნის დიდი ქართველი მწერალი, ენციკლოპედისტი, ქართული სიტყვის მწყემსი. ის იყო პირველი მოღვაწე, რომელმაც, როგორც თივის ზვინში – ნემსი, იმ დროინდელ არეულ ყოფაში ისე იპოვა გასაღები ჩვენი დახშული სმენისა, დავსილი თვალისა და გაგვაგონა დაგვანახა სიმშვენიერე სიმდიდრე და სიძლიერე საკუთარი სულისა, ანუ სიმშვენიერე, სიმდიდრე და სიძლიერე დედაენისა – გვაჩუქა წიგნი „სიტყვის კონა“, უძვირფასესი, როგორც ფირფიტაზე ჩაწერილი დედის ხმა...

* * *

თუ კი ვინმეს შეიძლება შევადაროთ ილია ჭავჭავაძე, როგორც მოღვაწე რა საკვირველია, იგი უპირველეს ყოვლისა, სულხან-საბა ორბელიანს მოგვაგონებს, ოღონდ, მეთვრამეტე საუკუნეში მცხოვრები, ბერად შემდგარი პოეტი უთუოდ უბედური იყო, ვიდრე ილია ჭავჭავაძე, რადგან თავისი სათაყვანებელი სამშობლოს მიწა მკერდზე არ დაჰყრია...

ბევრი რამ ისწავლა ილია ჭავჭავაძემ ამ დიდი სამშობლოსთვის წამებული და თავდადებული მოღვაწისაგან, როგორც უკვე ვთქვით, განსაკუთრებით ბევრი რამ, როგორც პუბლიცისტმა, სწორდ საბა-ორბელიანის ქადაგებიდან აითვისა, მაგრამ თუკი ერთი წუთით ილიას მოვუსმენთ ადვილად დავინახავცთ იმ განსხვავებასაც, რომელიც ამ ორი „მქადაგებლის“ შემოქმედებას თავისთავადობას ანიჭებს.

ილია ჭავჭავაძის სიტყვა ამ შემთხვევაში, დაცლილია ყოველგვარი რიტორიკისაგან, ორნამენტისაგან, იგი სადაა და მკაცრი:

„სადღა არის ეხლა ქართული ენა? ან გვინდაღა ქართული, როცა ჩვენ თითონ ჩვენდა დასაღუპავად ქართველობაზე ხელი ავიღეთ? გონებით რომ აღარ ვცხოვრობთ, ქართულს ენას აზრს როგორღა გამოათქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარ ვართ, ერთნაირ სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოვსთხოვთ ჩვენს ენასა? თუნდ რომ ჩვენს ენასა და სიტყვას აზრიც გამოათქმევინოთ, ვის რად გინდათ, ენას აზრს ვინღა სთხოვს? ჩვენ თვითონ დავცარიელდით გუდაფშუტასავით, ცარიელი სიტყვებიღა გვინდა, ცარიელი ხმები, რომ ენამ პირში ისტვინოს და ყურმა ძარღვი იფხანოს. სხვა რისთვის გვინდა ენა, საერთო სახელი ქართველი კერძოობითად გავხადეთ, მამული და ნეხვი ნაფუძვრად გადავაქციეთ, პატივი – ნეხვად, თავი – გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დავიმატეთ, და მის შემდეგ კიდევ გინდათ რომ ენა გვქონდეს?“

ან: „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის თითოში-ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია, და „ჩვენ“- იშვიათი!“

მისი ფრაზა შეკრულია, შენივთული, ორგანიზებული, მე ვიტყოდი გაწვრთნილი, როგორც მეომართა მწკრივი, ასეთი ფრაზა აქვთ რომაელ ორატორებს! ყველაფერი მთავარი.-აზრი, ცეცხლი, შემართება, თუნდაც ენერგია-შიგნითაა შეტანილი, შემალული, ფარისა და აბჯრის მიღმა, ამოტომაა, რომ მაგნიტური ტალღები (არ ვიცი, რა დავარქვა იმ იდუმალ ძალას, რომელიც ასე შემოქმედებს მკითხველსა თუ მსმენელზე!) მაწარმოებიდან შენსკენ კი არ მოედინებიან

(ზემოთ უკვე ავღნიშნე ფრაზების რკალისებური მოძრაობა ცენტრისკენ, ფოკუსისაკენ!) არამედ, პირიქით, ნაწარმოების შიგნით, სიღრმეში იტაცებენ შენს გულსა და გონებას, რათა იქ შენმა განაწამებმა ცნობისწადილმა შეძლოს ბოლომდე აღიქვას აზრი პოეტისა, გულისთქმა თუ ზრახვა, რადგან მხოლოდ წამების, ტანჯვის შემდეგ მიიღწევა ის, რაც ყველაზე დიდი შვების მომტანია ამ ქვეყნად – როდესაც შენი სულის მოძრაობა და ფეთქვა სინქრონულად ემთხვევა დიდი, ძლიერი სულის მოძრაობასა და ფეთქვას...

და ასე მოდის, მოედინება თითქოს ფრაზათა მწკრივები, ერთს მეორე ემატება, მეორეს მესამე და ასე შემდეგ და ყველაფერი ეს იერიშზე გადასულ ჯარს მოგვაგონებს, ჯიუტ, განუწყვეტელ, უაღრესად მიზანდასახულ იერიშს და უეცრად, ამ მოჩვენებით „სამხედრო ერთფეროვნებაში“ გაიელვებს მისი მთავარი ძალა – აზრი, მე ვიტყოდი – წინასწარმეტყველება, მრისხანე და თვალისმომჭრელი, როგორც ღრუბელში – ელვა...

ისევე როგორც სამრეკლოს ვეება ზარი თანდათანობით, ნელ-ნელა მაგრამ აშკარა წარმატებით, იმაღლებს ხმას, იჟღინთება საკუთარი ხმის თავბრუდამხვევი, დიდებული, მზარდი ძალით, ასევეა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაც. იქაც ერთბაშად კი არა, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდები იმ ზღვარს, საიდანაც უკვე იწყება პოეტის სრული ბატონობა შენს გულსა და ფიქრებზე.

და შენ გრძნობ, რომ არსებობს ენის ენა, უფრო სწორად – მუსიკა ენისა, საიდუმლო წიაღი ენისა, მუსიკალური კოსმოსი, საიდანაც იბადებიან სიტყვები! რომელთა ჭეშმარიტი მნიშვნელობის გასაგებადაც აუცილებელია გვესმოდეს, ვგრძნობდეთ, განვიცდიდეთ ამ მუსიკასაც, არსებითად, ეს მუსიკა ქმნის და აყალიბებს ადამიანის სულს, რამდენადაც იგი მშობლიური ენის ხმაა

* * *

ყველა ჭეშმარიტ პოეტს თავისი მუსიკალური ქვეყანა აქვს, ამ დიადი, საერთო კოსმოსის – მშობლიური ენის ნაწილი. ყველა ნამდვილი პოეტის ნაწარმოებში (ამ შემთხვევაში, სულ ერთია მოთხრობას წერს თუ ლექსს!) ჩარჩენილია ავტორის ცოცხალი ხმა, ჩარჩენილი კი არა, უამხმოდ წარმოუდგენელია მისი შემოქმედება.

როდესაც ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებს კითხულობ, ლექსი იქნება, მოთხრობა თუ პუბლიცისტური წერილი, გგონია, გესმის კიდეც მისი ხმა და ე სარის სრულყოფილი ჟღერა, სრულყოფილი გარეგნული მელოდია ენისა. თითქოს საკუთარ სულს უსმენსო, აქამდე სადღაც, ბნელ კუნჭულში მორიდებულად მიყუჟულს, ახლა კი ძალასმიცემულსა და გათამამებულს დიად, ღვთაებრივ ენერგიასთან დაწყვილების გამო. ეს ან, მართლაც, ზებუნებრივი უნარია, ანდა დედაენის მუსიკალურ პარტიტურაში მოქცეული და პოეტის მიერ ამოკითხული მელოდია ჩვენივე სულისა. მიქელანჯელო, რომელიც სავონაროლას თითქმის არც ერთ ქადაგებას არ აცდენდა, მერეც ხშირად აღნიშნავდა ხოლმე მქადაგებლის ხმის უცნაურ ძალას...

ილია ჭავჭავაძის სიტყვები თითქოს უხილავ კედლებს ეხლებიან და ექოსავით უკან უბრუნდებიან მსმენელს. ხმა თითქოს ეკლესიის თაღებში ისმის...

მისი სიტყვა თითქოს რეალურად არსებული საგანია, თითქოს შეგიძლია ფიზიკურად შეეხო, ხელშიც კი აიღო, თუკი, რასაკვირველია, მისი სიმძიმე ხელს არ მოგწყვეტს. განა ყველა ჭეშმარიტი პოეტის დანიშნულებაც ის არ არის, რომ სინამდვილიდან შექმნას სიტყვა?!

შეიძლება ამიტომაცაა, რომ დღმდე ზოგს (მოდი, ნუ დავხუჭავთ ამაზე თვალს) პოეტის შრომა საზოგადოდ და, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ილია ჭავჭავაძისა, აბსურდულადაც კი ეჩვენება, რადგან პოეტი სამყაროს სიტყვებად აქუცმაცებს, რათა იმავე სიტყვებით ისევ სამყარო ააშენოს. მაგრამ იმ ზოგიერთს, ვისაც ამ შემთხვევაში ვგულისხმობ და ვინც, სამწუხაროდ, ნებისმიერი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, მხედველობიდან რჩება ის ძირითადი ამბავი, რომ სიტყვებით პოეტი ახალ, აქამდე არარსებულ სამყაროს აშენებს, დიახ, რაც უნდა ძლიერი იყოს რეალობის იმიტაციის ილუზია, სამყარო, პოეტის მიერ აგებული ქვეყანა, სრულიად ახალია, ცინცხალია, ნამიანია და... სრულიად უცნობია...

არც სამყაროს სიტყვებად დაქუცმაცებაა ადვილი საქმე, მას ანტიკური მითოლოგიის ფანტაზიის მიერ მოგონილი ტანჯვები თუ შეედრება, ეს ხომ ფაქტიურად სამყაროს ამოხსნაა, ყველა საგნის, ყველა მოვლენის, ყველა სულიერი არსებისათვის სახელის დარქმევაა, ეს არის დიად აღმოჩენათა კომპლექსი ადამიანის ცნობიერების სფეროში...

სინამდვილის ნამსხვრევებითაა შექმნილი ლუარსაბ თათქარიძის სახე, რომელიც ყველა ქართველ მკითხველს, გულის სიღრმეში, რეალურად არსებული პიროვნება ჰგონია. ილია ჭავჭავაძე შეუდარებელი ოსტატია პერსონაჟის პორტრეტის შექმნისა, ეს უძნელეს საქმედ ითვლება სიტყვით მხატვართა შორის და ქართულ ლიტერატურაში თუმცა, ამ თვალსაზრისით, ბევრი საინტერესო ცდა და მიღწევა არსებობს, ჩემი აზრით, დღემდე მაინც მიუღწეველ სიმაღლედ ითვლება ილია ჭავჭავაძის მიერ დახატული ლუარსაბის სახე, რომელიც, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთგვარ სტერეოტიპადაც კი იქცა ქართველ მწერალთა შორის უქნარა, მუცელს აყოლილი ადამიანის ხატვის დროს. რასაკვირველია, ეს გაუთვითცნობიერებელი აქტი იყო, მაგრამ ასეა თუ ისე, მაინც ილია ჭავჭავაძის დიდ მწერლურ გავლენაზე მეტყველებს.

* * *

ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი, რომელთა რიცხვსაც ილია ჭავჭავაძე ეკუთვნოდა. ქმნიდა და ქმნის ლიტერატურული ხასიათის ერთგვარ სტერეოტიპს, რომელიც რაღაც მანქანებით, მისი ეპოქის მწერლებისათვის,მისაბაძად თუ არა,ამოსავალ წერტილად, საყრდენ ქვად იქცევა ხოლმე...

მის შემოქმედებაში წამოჭრილი უკიდურესად აქტუალური პრობლემების პასუხს ილია ჭავჭავაძე თითქოს ჩვენგან მოელის,ცხოვრებისეულ კითხვებზე პასუხის გაცემას თითქოს ჩვენ გვავალდებულებს: „შენ რაღას იტყვი, მკითხველო?“ - ეს შეკითხვა ბრძენი პოეტისა მუდამ თან დაგვყვება, და, რასაკვირველია, ცოტათი გვაფრთხობს კიდეც, რადგანაც ჩვენგან სრულ პასუხისმგებლობას მოითხოვს ყველაფერზე,რაც კი ჩვენს ცხოვრებაში ხდება. მაგრამ ამასთანავე გვწვრთნის კიდეც,რადგან არაფერი ისე არ ზრდის,ის ეარ ამაღლებს ადამიანს,როგორც მოვალეობის გრძნობა.

* * *

ილია ჭავჭავაძე იმ მცირერიცხოვან პოეტებს ეკუთვნის, ვისაც ერის წინამძღოლობა უკისრია და ამ მძიმე მისიას განუსაზღვრავს კიდეც მისი პოეზიის წინასწარმეტყველური ხასიათი.

სწორედ დიდმა მწერლურმა ნიჭმა აქცია დამაჯერებლად ყველა ბრძნული შეგონება ილია ჭავჭავაძისა. ჩვენ გვჯერა პოეტისა, გვჯერა და უსაზღვროდ მადლიერნი ვართ მისი, რადგან ასე ძალუმად გვაგრძნობინა ჩვენი ნაკლი თუ სიმშვენიერე. ჩვენი არსების წიაღში მინავებულ ღველფში სულის შებერვით გამოაღვიძა „ნაპერწკალი“ ანუ რწმენა საკუთარი შესაძლებლობისა, რწმენა კი იმდენად არის დიადი, რამდენადაც წარმოშობს ფიქრს მომავალზე, წარმოშობს ოცნებას.

ხვდები, რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რაზე ოცნებობ!..

„მგონი,დიდი გამძლეობა და მსხვერპლია იმისათვის საჭირო,რათა უარი თქვა შენი შრომის ნადრეევ და მიმზიდველ აღიარებაზე და დაუცადო მომავალს, თუმცა გვიან, მაგრამ საფუძვლიან შეფასებას“, - ეს იმანუელ კანტის სიტყვებია, ასე რომ უხდება და ესადაგება ილია ჭავჭავაძის პიროვნულ ხატს. „დიდი გამძლეობა და მსხვერპლი“-წინასწარმეტყველთა ამქვეყნიური ხვედრია, ხორცის დათრგუნვაა სულის სადიდებლად, სულისა, რომელსაც მომავალში მოუწევს ცხოვრება. სული ეს თავად მომავალია ჩვენს არსებაში შემოხიზნული და როგორ მოვეპყრობით მას-გალიაში ჩავსვამთ თუ საკუთარი ოცნების ფრთებს გამოვაბამთ-ამაზეა დამოკიდებული,როგორი ვიქნებით ჩვენ, როგორი იქნება ჩვენი ამქვეყნიური არსებობა.

* * *

ილია ჭავჭავაძეს ახასიათებდა რელიგიური რეფორმატორიეს,ანბანის შემქნელისა და გუთნისდედის უბრალოება. მხოლოდ ასეთმა მაღალმა უბრალოებამ შეიძლება წარმოშვას ასეთი შედევრი:

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც სჭყივი,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.
აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?

ჩვენი ლიტერატურის ისტორია ერის ცხოვრების ისტორიაა, სადაც აქ მჩქეფარედ, მხურვალედ და შეუჩერებლად მოედინება ხალხის უკვდავი სისხლი, რომლის მძლავრი გუგუნი გვახსენებს და გვაფრთხილებს-თვალის ჩინივით მოვუაროთ ჩვენს ენას,ჩვენს სულსა და ჩვენს ოცნებას...

და ეს დიდებული ცხოვრება ხალხისა, წამებული წინასწარმეტყვლის ძალისხმევის წყალობით, წინასწარმეტყველისა, რომელმაც ხალხს ოცნება აჩუქა, მიმართულია მომავლისაკენ, ანუ უკვდავებისაკენ.

სიმონ ჯაფარიძე

„განდეგილი“ და ბეთლემის ლეგენდა

ამონარიდი ამავე სახელწოდების წიგნიდან

1948 წლის შობის დღესასწაულზე ხევში მყინვარწვერის კალთებზე, ზღვის დონიდან 4100 მეტრ სიმაღლეზე მიაკვლიეს ბეთლემის გამოქვაბულს და მასში ლეგენდარული მთამსვლელი ქალი ალექსანდრა ჯაფარიძე შევიდა თავის ჯგუფთან ერთად. მომხდარ ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა. საზოგადოება ამ აღმოჩენით დიდად დაინტერესდა ამ დროს გადასახლებაში მყოფი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლევან გოთუა, თავის დას – მზიას წერდა: „ალექსანდრა ჯაფარიძეს ჩემს მაგივრად მიულოცე **„განდეგილის“ ქვაბულის აღმოჩენა.** მეტად მაინტერესებს და ამ აღმოჩენის შესახებ მოუთმენლად ველი გაზეთებს ან შენს დაწვრილებით წერილს. რა შესანიშნავი თემაა გარდა სხვა ყველაფრისა: ქალმა დაამხო ძველი განდეგილი ბერი და ისევ ქალმავე აღმოაჩინა იგი – ალბათ თავისი ძლიერების ხელმეორედ დასადასტურებლად! ეჰ, იქნებ ოდესმე დავწერო, ჯერ კი ხელები შემოკლებული და სული შეხუთული მაქვს“.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძემ „განდეგილი“ 1883 წელს დაწერა და გამოაქვეყნა „ივერიაში“. იგი თავის საყვარელ მეუღლეს – ოლღა გურამიშვილს უძღვნა. პოემამ მაშინვე მიიპყრო ქართველი საზოგადოების ყურადღება.

ავტორს პოემისთვის სათაური რამდენჯერმე შეუცვლია: პირველად მას ერქვა „ბეთლემი“, შემდეგ – „მეუდაბნოე (ხალხში გაგონილი ლეგენდა), ავტორს გადაუშლია ორივე და საბოლოოდ მიუღია „განდეგილი“. ვარიანტებად გამოყენებული სიტყვები: „მეუდაბნოე, ხალხში გაგონილი ლეგენდა“, „ლეგენდა“, „ბეთლემი“, „განდეგილი“, ნიშანდობლივია იმით, რომ ყველა მათგანის შინაარსი უკავშირდება ერთ ობიექტს – ბეთლემის გამოქვაბულს.

პოემის სიუჟეტმა და პერსონაჟთა მოქმედების გარემომ იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ პრესამ იმთავითვე – პოემის დასრულებამდე მიაწოდა ცნობა საზოგადოებას: **„ჩვენი ნიჭიერი პოეტი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე ამზადებს ახალს პოემას მთიელთა ლეგენდიდან, რომელის წარმოებაც ხდება ყინვან წვერზედ, ყინულებით შემოზღუდულს გამოქვაბულს კლდეში,** სადაც მოქმედ პირად არის გამოყვანილი წმინდა მამა და მეცხვარე ქალი“. („დროება“, 1883 9/1, გვ. 2)

„განდეგილის“ გარშემო, მისი გამოქვეყნებიდან დღემდე, მრავალი განსხვავებული აზრი გამოითქვა. „არსებობს შეხედულება, რომლის თანახმად ეს პოემა თავისებური გადახვევაა ილიას მწერლური ბიოგრაფიის, მისი შემოქმედებითი ევოლუციის მთავარი ხაზისაგან“, – აღნიშნავს კრიტიკოსი გურამ ასათიანი.

მიუხედავად ზოგიერთი მცდარი და ტენდენციური დამოკიდებულებისა პოემა „განდეგილის“ შეფასებისას, მოწინავე ქართველი საზოგადოება ღირსეულად აფასებდა ილიას ამოუწურავ შემოქმედებით ნიჭს და მოუწოდებდა მას, თავისი დიდი ტალანტი ზოგადი პრობლემებისაგან დაეზოგა და იგი მთლიანად შემოქმედებითი საქმიანობისათვის მიეძღვნა.

„განდეგილის“ შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის გრიგოლ ყიფშიძე, რომელიც წერს: „განდეგილის“ თითქმის შობასაც ვუცქირე და ნათლობასაც დავესწარი. დილა იყო, როცა მივედი ივანე მაჩაბელთან ერთად ილიასთან სახლში საქმეების გამო. „დავიწყე ერთი პოემა და არ ვიცი, როგორ გამოვა“, – გვითხრა ილიამ საქმეების გათავების შემდეგ და წაგვიკითხა პირველი ხანა. მეტი არა ჰქონდა ჯერ დაწერილი. დიდებული სურათი თოვლ-ყინულიანის მთებისა და მუნ გამოკვეთილის ბეთლემის მონასტრისა თვალწინ წარმომიდგა. თითქო თავბრუ დამესხა... და თითქმის ვეღარა გავიგე რა იმისი, რაც გვიამბო იმ თემისა და შინაარსისა, რომელიც უნდა განვითარებულიყო და დაწერილიყო შემდეგ პოემის დასათავებლად“. „განდეგილის“ შექმნის შემდეგ, – აღნიშნავს გრ. ყიფშიძე – სახელი ილიასი, როგორც პირველხარისხოვანისა და ღრმად მოაზროვნე მგოსნისა, უფრო გაითქვა და გადიდდა. სამარადისო თემა, ჩაქსოვილი ამ პოემაში, თემა სულისა და ხორცისა, კეთილისა და ბოროტისა, რწმენისა და ურწმუნოებისა ოლიმპის მწვერვალამდე ამაღლებს ილიას და ჰქმნის მის ირგვლივ თაყვანისცემის ატმოსფეროს“.

ოპერატიულ ინფორმაციას „განდეგილთან“ დაკავშირებით გვაწვდის **1883 წლის გაზეთი „დროება“,** სადაც ვკითხულობთ: **„ერთ კერძო სახლში, ამ სახლის პატრონის მოწვევით შეიყარნენ გუშინ, 8 თებერვალს, ოცდაათამდინ თანამგრძნობნი და მოყვარულნი ქართული მწერლობისა და იქ ილია ჭავჭავაძემ წაიკითხა თავისი ახალი პოემა „განდეგილი“. ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა ყველა მყოფზე ჩვენი პოეტის**

მარჯორი ურდროპი,ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელი.

ახალმა ნაწარმოებმა. სიამოვნებით დავრწმუნდით, რომ „ყაჩაღის ცხოვრებისა“ და „აჩრდილის“ ავტორს, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში ერთობ იშვიათად ემუსაიფება მუზას, არც ძველი ნიჭი დაჰკლებია, არც ძველი ხელოვნება და საზოგადოდ ლექსთა თხზვის მოხერხება; დავრწმუნდით, რომ ილია ჭავჭავაძე ჩვენს პოეზიას ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია და შემდგომშიც უნდა მოველოდეთ ამგვარ იმის კალმის ნაწარმოებსა. პოემა „განდეგილი“ ისეთი ნაწარმოებია, რომელიც ჩვენს პოეტურ ლიტერატურაში, უეჭველია, საპატიო ადგილს დაიჭერს და რომელიც ავტორის სახელს რამდენიმე ახალ სხივს მოუმატებს“. (გაზ. „დროება“, 1883 წ. № 29.)

ამ შეკრებაზე რამდენიმე შენიშვნაც გამოთქმულა პოემასთან დაკავშირებით:

„...წამოდგა ი. მ-ა (იონა მეუნარგია) ცნობილი მოყვარული ქართული მწერლობისა, და თქვა აღტაცებით: „მშვენიერია, ილია, მშვენიერი, მხოლოდ პოემაში სურათს ვერ ვხედავთ, თვით განდეგილის სურათს, მისი გარეგნობის აღწერას, მის პორტრეტსო“. ილიამ გაითვალისწინა შენიშვნა და თავის პოემას დაუმატა ოცი სტრიქონი, სადაც ბრწყინვალე ოსტატობით წარმოგვიდგინა მწირის პორტრეტი, რითაც პოემას კიდევ მეტი სრულყოფილება შესძინა.

„განდეგილმა“ იმთავითვე მიიპყრო უცხოელ მკითხველთა ყურადღებაც: „ესე ქვეყანა ერთი უტურფესი კუთხეა დედამიწაზე... მცხოვრებნი ახოვანნი არიან; ერი ღირსია თავისის ქვეყნისა... ყველაზე უშესანიშნავესი აწინდელის დროის პოეტთაგან თავადი ილია ჭავჭავაძეა... ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ თარგმნილია რუსულად და აგრეთვე ინგლისურადაც, რომელიც გადმოიღო მაჯორი ურდროპმა*“. — წერდა 1900 წელს ჟურნალი — „ინგლისის სამეფო საზოგადოება“.

„განდეგილი“ ლონდონში ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1895 წელს; ამასთან დაკავშირებით ჟურნალი „აკადემია“ წერდა: „ეს პოემა ნათარგმნია ქართული ენიდან. დიდად საყურადღებოა, ვითარცა ნიმუში უცხო მწერლისა. თავადი ილია ჭავჭავაძე, უეჭველია, საუკეთესო პოეტი უნდა იყოს თავის ქვეყანაში. ამ პოემის დამწერს აშკარად ეტყობა დიადი ნიჭი და ძლიერება პოეტური ფანტაზიისა“.

ჟურნალის ამავე ნომერში მთარგმნელი მარჯორი ურდოპი წერდა: „ინგლისელ მკითხველთა დიდი რაოდენობა იცნობდა სპარსულ ლიტერატურას მაშინ, როცა სულ ორი-სამი ინგლისელი მკითხველისათვის თუ იყო საქართველოს ლიტერატურის არსებობაც კი ცნობილი. ქართული ლიტერატურა ჭეშმარიტად ღირსია ყურადღებისა. მე-12 საუკუნის დიდ პოეტ შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ არაფერს დაკარგავს ფირდოუსის „შაჰნამესთან“ შედარებით, მაგრამ აბა რომელი თანამედროვე სპარსელი პოეტი შეედრება ნ. ბარათაშვილს და ილია ჭავჭავაძეს“.

მომდევნო თაობის კრიტიკოსებიც ხაზგასმით აღნიშნავენ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში „განდეგილი“-ს განსაკუთრებული ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ და უწოდებან მას „კლასიკური ფორმის გენიალურ ნაწარმოებს“:

ბუნებრივია, პირველთაგანნი, **ვისაც ამ აღმოჩენის შემდეგ ინტერესი გაუჩნდა ილიას ლიტერატურულ გმირთა საასპარეზო ადგილების მონახულებისა, იყო ქართველ მწერალთა და შემოქმედთა დიდი ჯგუფი, რომელსაც 1957 წელს, ილიას დაბადების 120 და მკვლელობის 50 წლისთავთან დაკავშირებით, სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი ქართველი მწერალი, მთამსვლელი, ისტორიულ ძეგლთა მოამაგე და ბუნების მესაიდუმლე ლევან გოთუა, მიიწვია ბეთლემის გამოქვაბულის აღმომჩენი, ლეგენდარული მთამსვლელი ქალი ალექსანდრა ჯაფარიძე და „ილიას გზით“ წაიყვანა ახალგაზრდები.**

ილიას „განდეგილის“ გმირთა სამყაროში — ბეთლემის გამოქვაბულში შესვლა და მყინვარწვერის დალაშქვრა, ლაშქრობის მონაწილე მწერლებისათვის შთაგონების წყაროდ იქცა და მათ ხსოვნაში წარუშლელ მოგონებად დარჩა, **გურამ თიკანაძემ კი ფოტოსურათებით შემოუნახა შთამომავლობას დაუვიწყარი მოგზაურობის შეჩერებული წამები.**

ამ ლაშქრობას მშვენიერი ნარკვევი უძღვნა, უდროოდ გარდაცვლილმა მწერალმა **ედიშერ ყიფიანმა,** რომელმაც გულწრფელად და უშუალოდ აღწერა ლაშქრობის მონაწილეთა გზა „მთაწმინდიდან მყინვარწვერამდე“: „...პირველად მუხადგვერდის ხიდთან ვჩერდებით, — განაგრძობს ედიშერ ყიფიანი, — 50-ოდე წლის წინათ, 1907 წლის 30 აგვისტოს, ამ ხიდზე უკანასკნელად გაიარა ილია ჭავჭავაძემ. ლევან გოთუა კითხულობს თავის

ახალ მოთხრობას, რომელშიც აღწერილია დიდი მგოსნისა და საზოგადო მოღვაწის უკანასკნელი დღე, უკანასკნელი საათები...

ჩვენი ლაშქრობის ხელმძღვანელი ამით მაგალითს გავძლევს და გვანიშნებს ახალგაზრდა მწერლებს, როგორი ხასიათის იქნება ჩვენი ლაშქრობა, როგორ დავუკავშიროთ ჩვენი ლექსები, ნარკვევები თუ მოთხრობები ილიასეულ ადგილებს, რომლებიც ელიან ჩვენს სტუმრობას. **აი, სოფელი წიწამურიც, ილიას წყარო. აქ შეაჩერებინა ეტლი, შესვა წყალი, უყვარდა ეს წყარო. გვიამბობს ლევან გოთუა. ...გული აგვიძგერდა, თითქოს მალე უნდა მოხდეს რაღაც უბედურება, თითქოს ჩვენი მანქანა ეტლად გადაიქცა, ამ ეტლში დაღონებული, ჩაფიქრებული ილია ზის, თანდათან უახლოვდება იმ საბედისწერო ადგილს. აჰა, რაღაც ათიოდე წუთიღა დარჩენილა კიდევ, ათიოდე წუთი სიცოცხლე...**

ამ შთაბეჭდილების შექმნას ხელს უწყობდა ლევან გოთუას მოთხრობა, რომლის კითხვა ავტორმა ილიას წყაროსთან განაგრძო. მოთხრობის მსვლელობაც თანდათან გვაახლოვებდა იმ წუთს..

ჩვენი ხელმძღვანელი ლევან გოთუა მთასავით კაცია, მთებშიც არ იჩქმალება მისი გოლიათობა. მთაზე მცოცავი მთაა. მივაღწიეთ საბერწეს. ყაზბეგიდან წამოსული ალპინისტები აქ, ჩვეულებრივ ღამეს ათევენ, ჩვენ კი ვაპირებთ ამაღამვე ავაღწიოთ მეტეო-სადგურს. **უსახელო წყაროს შევურიეთ საგურამოდან წამოღებული წყალი და ვუწოდეთ „ილიას წყარო“. ლევან გოთუამ და ალექსანდრა ჯაფარიძემ პირველი ქვა მიიტანეს და საფუძველი ჩაუყარეს ილიას ნიშს. ნიშთან წარწერა გაჩნდა ქართულ-რუსულ ენაზე: „მგზავრო, ერთი ქვა შენც შეამატე ილია ჭავჭავაძის ნიშს!“ ამ მოწოდებას სახელდახელოდ გამოეხმაურნენ გერგეთის მყინვარზე მყოფი სხვადასხვა ქვეყნის ტურისტები.**

ექსპედიციაში ლევან გოთუასა და ალექსანდრა ჯაფარიძის გარდა შედიოდნენ: **აკაკი გეწაძე, ზაქარია შერაზადიშვილი, ოთარ კუპრავა, ედიშერ ყიფიანი, ზურაბ ლორთქიფანიძე, გიორგი ქავთარაძე, რევაზ ინანიშვილი, ემელიან ქურდიანი, ვადიმ მიხაილოვი, ჯემალ ლოლუა, ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ თიკანაძე, გივი ყალაბეგიშვილი, ნოდარ შამანაძე, ლევან სუჯაშვილი; ორი კინოოპერატორი და რადიოკომიტეტის ორი თანამშრომელი (ერთ-ერთი მოსე ქარჩავა).**

ასვლა, მიუხედავად უამინდობისა, წარმატებით დამთავრდა. სირთულეებისა და უჩვეულო განცდების მიუხედავად, ქართველი მწერლებისა და პოეტებისათვის ეს ლაშქრობა შთაგონების წყაროდ იქცა...

ილია, „ბანდეგილი“ და უორდროპები

1887 წლის გაზაფხულზე 22 წლის ტანმაღალი ინგლისელი ჭაბუკი ოლივერ უორდროპი ტფილისშია თითქმის სრულიად საქართველო მოიარა ფეხდაფეხ. მუდმივ ყურადღების ცენტრში ჰყავს იგი ილია ჭავჭავაძეს და ივანე მაჩაბელს.

ოლივერი დამტვრეული ქართულით ელაპარაკება მოხევეებს, ხევსურებს, აჭარელებს, მეგრელებს, კახელებს, პურ-ღვინოს მიირთმევს და ქართული ჩოხით მოსილი, ცდილობს მანერებითაც ქართველ კაცს მიჰბაძოს.

შემოდგომაზე ინგლისშია და წერს მნიშვნელოვან წიგნს „საქართველოს სამეფო“, სადაც საქართველოს სიყვარულის გარდა, მისი ისტორიის, კულტურის, ლიტერატურის სათანადო ცოდნას ამჟღავნებს.

ოლივერი აღტაცებულია ილია ჭავჭავაძის პიროვნებით, მისი ღრმა ინტელექტით. ილიამ 1889 წელს თავის „ივერიაში“ გაგრძელებებით დაბეჭდა „სანოს“ – სტ. ჭრელაშვილის ვრცელი წერილი „მოგზაურობა უცხოელი კაცისა კავკასიაში“ – სადაც პარალელურად გადმოცემულია ოლივერ უორდროპის წიგნის „საქართველოს სამეფოს“ შინაარსი. ოლივერის ამ წიგნს წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია მის უმცროს დაზე – მარჯორიზე, რომელიც მერმე დაწერს: “ჩემი ძმის მიერ დაწერილმა წიგნმა რამდენიმე წლის წინათ პირველად მიიზიდა ჩემი ცნობისმოყვარეობა და აღმიძრა გულში ინტერესი საქართველოს, იმის მხნე და მშვენიერი ერისა“.

1892 წელს ოლივერი ბრიტანეთის ელჩის პირად მდივნად ინიშნება და პეტერბურგში ჩამოდის, თან ჩამოჰყავს თავის და – მარჯორი. და-ძმა მალე გაიცნობენ სატახტო ქალაქში მოღვაწე პროფესორ ალ. ცაგარელს და მისი დახმარებით იღრმავებენ ქართული ენის ცოდნას. შეისწავლიან ჩვენს ძველ მწერლობას, ფილოსოფიურ წიგნებს. 1894 წელს „ივერია“ წერს: „საქართველოს ცნობილი მცოდნის, ოლივერ უორდროპის დაი, ქ-ნ ვარდროპი, თავის ძმასავით შეუდგა ქართული ენის შესწავლას, რათა ინგლისის საზოგადოებას გააცნოს საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, რომელსაც დასავლეთი ევროპა, მეტადრე ინგლისი, კარგად ვერ იცნობს. ეს ქალი ისე გულმოდგინედ ჰშრომობს და შედარებით მცირე ხნის განმავლობაში იმდენად შეითვისა ქართული ენა, რომელსაც ევროპელები ადვილად ვერ ჰსწავლობენ, – რომ უკვე გადათარგმნა ინგლისურს ენაზედ „ქართული სახალხო არაკები“. ეს არაკები ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება ინგლისურს ენაზედ. ამავე ქალს გადათარგმნილი აქვს თითქმის

ერთი მესამედი XII საუკუნის ქართველი უკვდავი პოეტის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისა“.

ასეც მოხდა. 1894 წელს ერთმანეთის მიყოლებით გამოიცა ლონდონში „ქართული ხალხური ზღაპრების“ და სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“.

ილიამ იცის, რომ მარჯორი უორდროპი დიდად აფასებს მის შემოქმედებას, სურვილი აქვს პირველ რიგში თარგმნოს „განდეგილი“. მალე წერილიც მიიღო ინგლისიდან მარჯორი ქართულად წერს წერილს, რაც ასე ახარებს ილიას. მართალია,



ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“
მარჯორი ურდროპისეული
ინგლისური თარგმნის
ტიტული და კონტრტიტული. ლონდონი, 1895 წ.

წერილი შეცდომებისგან დაზღვეული არაა...

მადლიერი ოლღა გურამიშვილი ქალბატონ უორდროპს ასეთ საპასუხო წერილს უგზავნის:

„ჩემთვის უძვირფასესო ტკბილო მარჯორე!

პირუთვნელად მინდა ვაღიარო თქვენს წინაშე, მას შემდეგ რაც გაგიცანით, თქვენ შეადგენთ ჩემ სათაყვანო და სადიდებელ პირსთ თქვენ, დიდ ბრიტანის შვილმა, არ დაიზარეთ, შეისწავლეთ ჩემი საყვარელი დედა-ენა იმ წერილობამდინ, რომ თქვენის ნათარგმნით გააცანით თქვენ განათლებულ ხალხს ჩემი პატარა, დავიწყებული სამშობლო ამ წერილს ვათავებდი, რომ ილიამ მიიღო თქვენგან ბოძებული ჩინებული და ხელოვნებით ნათარგმნი „განდეგილი“. ილიას სურათმა აღტაცებაში მომიყვანა. ისე ცოცხლად არის გამოყვანილი, თითქოს საცაა დაილაპარაკებსო. ჩინებული განძი აჩუქეთ ჩემს ქმარს. ჩვენთან იყო კარგი მცოდნე ინგლისურის ენისა და განცვიფრებაში მოვიდა ისე ჩინებული ოსტატობით გითარგმნიათ“.

მცირე ხნის შემდეგ ილია ჭავჭავაძეც უგზავნის ინგლისელ ქალბატონს სამადლობელ წერილს:

„მოწყალეო ბატონო!

თქვენი თარგმანი ჩემის „განდეგილისა“ თქვენ მიერ ბოძებული, მივიღე დიდად გმადლობთ ამ ჩემთვის ძვირფასს საჩუქრისათვის. ყველამ ძალიან მოიწონა თქვენი თარგმანი და მე მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს ამისათვის ჩემი გულითადი მადლობა გამეორებით მოგახსენოთ.

თქვენ ქართულიდამ გითარგმნიათ საბა ორბელიანის ნაწერიცა. იმედი მაქვს, რომ მარტო ამაებს არ იკმარებთ და ბევრს სხვას კიდევ გადასთარგმნით და მით დიდს ღვაწლს დაგვდებთ ქართველებს. ეს თქვენი ღვაწლი იმით კი არ მიხარიან, რომ სხვათა შორის ჩემი „განდეგილიც“ ღირს იქმნა ინგლისისათვის წასაკითხად. თუმცა თავმოწონებისათვის ესეც საკმოა ჩემთვის საკუთრად. მე მიხარიან, რომ თქვენის განათლებულის შემწეობით, დიდი ერი ინგლისისა, ცოტად თუ ბევრად შეიტყობს, რომ არის ქვეყანაზე ერთი მივიწყებული პატარა ქართველი ერი და აქვს თავისი ლიტერატურა, რომელშიაც ინახავს თავისის სულის და გულის საუნჯესა“...

ოლივერ და მარჯორი უორდროპების თბილი ურთიერთობა ილიასა და საქართველოსთან წიწამურის გასროლის შემდეგაც გრძელდებოდა

ოლივერ უორდროპი დედ-შამასთან ერთად სტუმრად საგურამოში „ილიაობაზე“.

დედაენის სახლი და ილია ჭავჭავაძე

ილიაობა თელავში

2 აგვისტოს(ახ.სტ.) – ილიაობას-დედაენის სახლის თაოსნობით თელავში ტარდება წმ. ილია მართლისადმი მიძღვნილი საზოგადოებრივი თავყრილობა.

ამ დღეს ღვთაების ფერისცვალების სახელობის დედათა მონასტერში გადაიხდება წმ. ილიას პარაკლისი. წმინდანზე საუბრის შემდეგ შეკრებილნი ყვავილებით ამკობენ დიდი ილიას ძეგლს.

გთავაზობთ დედაენის სახლის დამფუძნებლისა და თელავში ილიაობის ტრადიციის გამგრძელებლის პროფ. ლეილა შალვაშვილის სიტყვას, თქმულს 1997 წლის 2 აგვისტოს, ილიაობაზე.

ილია – სალოცავი ხატი ქართველისა

ქვეყნის ბედუკუღმართობისა და მისი მომავლის წაღმა-უკუღმა დაცარვის მიუხედავად, რომ გათითოკაცებულნი ვსხედვართ: ვინ –მამულის ბედის დაწვნასა და ვერ დაწვნაში, ვინ- ლუკმაპურის ძიებაში, ვინ- ფულის შრიალში გართულნი, ჩვენ მაინც ღვთისაგან კურთხეული, მისგან ხელდებული ერი გვქვია, რადგან ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ, ილიას ერი გახლავართ, ილია გვყავს ქართველობის ჭეშმარიტ საზომად; ილიას, მის ნათელმოსილ პიროვნულ ხატს უნდა მივმართოთ დაცემულობიდან ღირსების ტახტზე ასამაღლებლად, წაწყმედისაგან დასახსნელად, სიბნელიდან სამზეოზე ამოსასვლელად.

დიახ, გაგვმწარებია წუთისოფელი- არსებობისათვის ბრძოლაში ვიხარჯებით უმთავრესად, მაგრამ ჩვენი დიდი ტკივილი მხოლოდ ის კი არ არის, რომ ასე გვიჭირს,- უბედურება ისაა, ჭირთათმენა, მხნეობა და შემართება რომ გვაკლია, პატიოსანი გარჯა გვეთაკილება, მამულს ზურგს ვუქცევთ, ,,ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან", ფეხქვეშ გვიგდია გასათელად! – ზნეობა დაგვმცრობია და ადამიანური ცხოვრების ისეთი გამორჩეული მაგალითი, როგორიც ილიაა, გაუქმებული ხატივითღა ჰკიდია ქართველის შეგნებაში: უგულებელგვიყვია ეს მაღალი ნიშანსვეტი ნათლისა და ვეღარ გვიცნია მისი სასწაულმოქმედი გამწმენდელი ძალა; გულიდან გადაგვიგდია, რომ , იგი არის მამა სამშობლოისა, ყოველდღიური ბრძენი მრჩეველი და მეგზური საქვეყნო სიკეთისა.

ილია, უპირველეს ყოვლისა, მამულის ძლიერი განცდაა საქმეში გაცხადებული და ბუნებრივია,რომ მისი გულისცემის თანაზიარობა მამულის სრულად შეგრძნების, მამულიშვილად კურთხევის ძალისაა.

მამული ღირსეული ქართველისათვის არასოდეს ყოფილა განცხრომის ადგილი; სად ეცალა მას საამისოდ! – ჩვენ მამული-სამშობლო ან მოსაპოვებელი გვქონდა მუდამ, ან- შესანარჩუნებელი(დღეს – მოსაპოვებელიც, შესანარჩუნებელიც); ,,კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!" - ქვეყანას დასცდაო თითქოს ეს ჩივილი...

თავგანწირული ბრძოლით, სისხლითა და ხმლით დახსნილ მიწას დამქანცველი გარჯით, ბრძნული ხედვით ინარჩუნებდა ქართველი. მაღალი დანიშნულებისათვის ერთობასა და სიყვარულს გაჰქონდა საქვეყნო ცხოვრების ლელო. ახლა? – ეგ უკუღმართობაა, ქვეყანას არ გამოადგებაო, რომ შენიშნო, - ნეტავი შენა, მოგცლია, სხვაგან უარესობააო, - მოგიშორებს უპირატესობის ღიმილით უკეთური. . .ვაი, უგუნურებავ! – ასე ხომ უსაქციელობა საბუთდება ზნეობის უზნეო მქადაგებელი მრავლდება!... უზნეობის ნიადაგზე კი სიკეთის ნერგი ვერ იხარებს და დიდხანს ინებივრებს დიდი ღამე. . .

როგორ უნდა გაგვითენდეს და ,,დავდგეთ ერად სხვა ერთა შორის"? - ,,ქვეყნის წვითა დამწვარი" და ქვეყანასავე შეწირული დიდი ილიას ნათელ კვალს უნდა გავყვეთ ზნეობაგაფაქიზებულნი, მამულის სიყვარული უნდა აგვიყვავოს მისმა მხილებამ: დაგვიწყებიათ, ,,რომ ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული".

ილიას წმინდა სახელი ახლა უფრო ბაგეებზე გვკიდია, საუკეთესო შემთხვევაში მას ბეჯითად ვსწავლობთ – ნიჭიერების გამასაფენად, ცხვირის მაღლა ასაწევად, მაღალფარდოვანი სიტყვების კორიანტელის დასაყენებლად. ჩვენი ცხოვრების პრინციპი ,,ყოვლად ძლიერი" ჭეშმარიტება არ არის და არც განცდა და განსჯა შეგვიძლია ილიასებური.

ილია მართალს კათარზისის – დაწმინდავებელი – ძალა აქვს. თუ ამ სახიერ ხატს ჩვენს შეგნებაში გავაცოცხლებთ და დავაბინავებთ როგორც საქვეყნო სიკეთისათვის აღმძრველ სულს, ჩვენ გავუძლებთ ეშმაკის ცდუნებას – გადავრჩებით. რაოდენ საწუხია, რომ სიტყვით, გონებით ვეთანხმებით ამ ბრძენს (სხვა გზა არა გვაქვს, - მომნუსხელია მისი კალმით სრულქმნილი მშვენიერება, რკინისებურია მისი ლოგიკა), გულით, საქმით კი ვღალატობთ მას; ,,საქმე კი საქმეშია", - გვარწმუნებს სულმნათი. –

გავორებულვართ და ამიტომ ასე გვაცოდვილებს წუთისოფელი; უსაშინლესედა ვართ დასქილები; აბა რა არის ეს ურთიერთს შეხლილი, ფრთადაკეცილი, დაფლეთილი საქართველო, თვალებდათხრილი სიმართლე, ფულისა და ქონების მოპოვებას აყოლილი ჭენება!...

ავად აქარიშხლებული დროა, - მე-ს უზნეობისა, დაჩემებისა და მიტაცების დაუნდობლობისა: იყიდება ქვეყანა, იყიდება ერთიანად, ბითუმად, შენიანად... და ვერცა გრძნობ, როგორ გეცლება ფეხქვეშ მიწა – ადგილის დედის სამკვიდრო. გადამთიელი იჭერს წინაპართა სიცოცხლის ფასად შენერჩუნებულ სანახებს, ის კი რას გაუგებს ადგილის დედას! - ეკალ-ბარდი სიკეთეს უტევს და ზოგჯერ შიში გიპყრობს, - არ იცი, რას დაეყრდნო. – მზერა მომავალსა სწვდება...

რა გვიშველის? - „მაღალი და მაღლად მხედი“ ილია მოგვცა ღმერთმა ხატად და მსგავსად თვისა, პირუტყვებად რომ არ დავრჩეთ ჩვენს ჯამებს ჩაჩერებულნი. ეს ღვთიური მადლი უნდა შევიგრძნოთ, ეს რაინდული სული უნდა ჩავისახლოთ ჩვენს არსებაში, უნდა შევიცნოთ იგი და გავყვეთ მამულის სიყვარულით ანთებული მისი გულის შუქს...

– ილია ვარ, ილიაო! ნუთუ ვერ მიცნესო?! – წამოზიდულა სასიკვდილოდ გამეტებული, გაოგნებულ-გაოცებული ილია ეტლზე, მაგრამ სულისა და საქართველოს მტერს უკეთ ამოუღია მიზანში მისი ნათელი შუბლი და ქვეყნისთვის აძგერებული გული. და...კვლავ და კვლავ ვიმეტებთ ილიასაც და ქვეყანასაც, სანამ მის გზას არ შევდგომივართ, სანამ სიტყვით ტყუილვბრძნობთ, ვცუდმედიდობთ, ბუმბერაზობით დავდივართ, „საქმით კი ქვეყანა ფეხებზედ გვკიდია“, როგორც თვითონ სული მაღალი შეგვიძახებდა.

90 წლის წინ იქუხა ილიას შუბლის ტყვიამ და მას აქეთ ვკითხულობთ: – ვინ, როგორაო? – მე, შენ, ჩვენც...თუ მაშინ ჩასასვლელად გადაქანებულ მზესავით მშვენიერ სიცოცხლეს დავუმიზნეთ, ახლა მის სულს ვემუქრებით სულერთიაობით... დაჭკნება აყვავებული სული ესე, გაუქმებული ხატივით ეკიდება სახე მისი, თუ არ შევეცდებით აღვიზარდოთ მისი ზნეობით, თუ არ ვისწავლით მამულის მისებურ მოფერებას, თუ ჩვენთვისაც არ გამოიკვეთება „წუთისოფლის ვალად“ ქვეყნის „მომავლი ბედისთვის“ ზრუნვა.

მოდი, მოგვეახლე, მოგვესალბუნე, დროვ, როცა ილიას სახელი დაიქუხებს არა ვითარცა მარტოოდენ ლიტონი სიტყვა თავმოსაწონებელი, არამედ როგორც ქვეყნის იარების მოსაშუშებლად აღძრული სიკეთე.

მალე მოგვიდი, ქვეყნის გაზაფხულო, მალე მოგვიდი, ნუ დარჩება მარადიულ კითხვად ილიას ტკივილიანი შეძახილი: „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?“

ჩვენც შევეწიოთ ქვეყანას, რომ „მამულის აყვავება მოვიახლოვოთ. ვცადოთ და... „ბედი, ცდა და გამარჯვება ერთმანეთზედა ჰკიდია!“ ბედი ვინ მოგვცა ჩვენ!..მაშ, ცდაზეღა ვართ დამოკიდებული.

ილიას ფიქრთა თანაზიარობა, მისი ღელვით ღელვა ილიაობის ამ დიდ დღეებში მამულის შემწეობისათვის დარაზმვის ცდაც არის. თუ ამ ცდას ჯერ გამარჯვება არ უწერია, თუ მამულიშვილის უღელს ვერ ვტვირთულობთ ჯერ ღირსეულად, – ეს მაღალთა ხვედრია, – ადამიანური ზნეობის პირად მაგალითად მაინც დავსახოთ და ამით გადავარჩინოთ ილია ჩვენში.

თავად ილია „თანამდევი უკვდავი სულია“ ქვეყნისა, „მარად და ყველგან“ ჩვენთანაა. ჩვენც გავმდიდრდეთ ამ მაღალთან მიახლებით, მისი განცდების ლურჯი წყაროსთვალის შეგრძნებით და მოხდება სასწაული: გვიპოვის დაკარგულ შვილებს მამული ჩვენი და ჩვენც მოვიპოვებთ სამშობლოს ჩვენსას; ჩვენ შევძლებთ „ღვიძლი სიტყვა“ ვუთხრათ მამულს და ჩვენთვისაც ნათელი იქნება „მისი ენა, მისი სიტყვა“; „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვად მყოობადი!“ – ამ იმედითა და უჩვეულო ენერგიით სავსე ანდერძის შესასრულებლად აღიძვრება ერთი სახედავისაკენ ასწრაფებული მთელი ქვეყანა და... ბოროტსა სძლევს კეთილი!..

ღმერთმა ინებოს!..

ქართველისა და ქართლის გადარჩენის ღვთიური მადლი, სამომავლო ნათელის მზეებრი სიცხოველე და ბრწყინვა ახლავს ილია წმინდა მართალს, მის ჭეშმარიტ სიტყვას. – საუკუნო ნეტარხსენება და ძალა ძლიერი მის უკვდავ სულს მამულის წყლულთა განკურნებისათვის, მისი ამაღლებისათვის!

ნიკოლოზ გოგოჭური

ქართველი ერის უკვდავი მოძღვარი

ილია ჭავჭავაძის, როგორც მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შესახებ წერა, მისი შემოქმედებითი და ისტორიული მასშტაბების შეფასება დიდად საპასუხისმგებლო საქმეა. ვიდრე დიდ ილიას აზრის გამოთქმას შევბედავდე, ამისთვის, წინასწარ, თვეების განმავლობაში საგანგებოდ ვემზადები ხოლმე.

რედაქტორის შემოთავაზებაზე-ილიას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით-ჟურნალისთვის რაიმე მასალა მოგვიმზადეო- აშკარად შევცბი. დიდი სიამოვნებით, მაგრამ ამისთვის უნდა მაცალო-მეთქი. სამშაბათს ხელნაწერი უნდა მომიტანოო,- სულ ოთხი დღე დამითქვა ვადად!

გასულ ათწლეულებში (ჩემი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლის მანძილზე) მეც მხდომია წილად პატივი და გამომიქვეყნებია ჩემი მოკრძალებული ნააზრევი ილიას შემოქმედების სხვადასხვა საკითხებზე, მის პიროვნებაზე, მის მკვლელობაზე. მგონია, რომ ზოგიერთი რამ საკმაოდ ავხსენი. უფრო მეტი და თანაც მნიშვნელოვანი კვლავ ასახსნელი და დასაზუსტებელია, იგი ინტენსიურ, კომპეტენტურ კვლევას საჭიროებს. საჟურნალო სტატიაში თუ ნარკვევში მისი სრულყოფილად წარმოჩენა, ცხადია, ვერ მოხერხდება. ილიას მცოდნეობა უდიდესი ფილოლგიური თემაა.

ილიას შესახებ არაერთი პუბლიკაცია არსებობს, დაწყებული ცნობილ მეცნიერთა მონოგრაფებით და დამთავრებული დილეტანტ ავტორთა ნაღვაწით. კომუნისტური წყობილების დროს შექმნილი მეცნიერული თუ კრიტიკულ-პუბლიცისტური ლიტერატურა-გულახდილად თუ ვიტყვით-იმდროინდელი იდეურ-პოლიტიკური რეჟიმის გავლენით, ილიას შესახებ ყველაფერს სრულყოფილად ვერ ამბობს, ვერ ხსნის საჭირო დონეზე. (არა-და, ილიასმცოდნეობაში ძირითადად ამ პერიოდში შექმნილი პუბლიკაციები გვაქვს!). ათეული წლების განმავლობაში კომპეტენტური თუ არაკომპეტენტური ავტორების წყალობით, პირდაპირ ქაოსი იყო გამეფებული თვით ილიას მკვლელობის ირგვლივ. ვინ მოკლა და როგორ მოკლეს ილია თვით ესეც არ იყო დადგენილი! ეს უკანასკნელი საკითხები ვგონებ სარწმუნო წყაროებით გამოვიკვლიე. ჩემი რწმენა რამდენად სწორია, ამას ალბათ პროფესიული ლიტერატორები და მკითხველი განსჯიან.

ილიასმცოდნეობაში ერთერთი მთავარი საყურადღებო თემაა ილიას იდეები (იდეოლოგია). ილიას, როგორც შემოქმედის და მოაზროვნის მასშტაბების სიდიდე განიზომება არაიმდენად მისი მხატვრული ქმნილებების პოეტიკურ-ესთეტიკური რაფინირებით, არამედ მისი უდიდესი და მრავალგანზომილებიანი იდეების სიდიადით, სიბრძნით. რომ არა ეს სიბრძნე, ძნელი სათქმელია-საით წარიმართებოდა მაშინ საქართველოს მომავალი და რანი ვიქნებოდით ჩვენ თუნდაც ამჟამად. რაც დრო გადის, ასაკთან ერთად, უფრო ჩაძიებით ვფიქრობ ილიას ფენომენზე, სავსებით სერიოზულად მიმყარებდა რწმენა, რომ ილია უთუოდ იყო განგების მიერ ჩვენი გადარჩენისთვის მოვლინებული „თანამდევი, უკვდავი სული“! (ერთხელ სადღაც უკვე ვთქვი, ახლა მომენტით ვისარგებლებ და განმეორებით დავწერ: უპრიანია მთაწმინდაზე, ილიას წმიდა საფლავზე, სწორედ მისივე ეს სიტყვები (თვითშეფასება) იყოს ამოკვეთილი).

ილიას იდეები ჩემს პუბლიკაციებშიც ვერ არის სრულყოფილად განხილული. ილიას შემოქმედებით საკითხებისა თუ მისი მკვლელობის ჯოჯოხეთურად ჩახლართული ამბების ამოხსნის პარალელურად ილიას იდეების მასშტაბური კვლევა ვეღარ მოხერხდა, ვერ შევძელი. ილიას იდეების თანამედროვე მოთხოვნის დონეზე კვლევა მკვლევარისთვის პირველხარისხოვანი თემაა თუნდაც იმიტომ, რომ, ზემოთხსენებული არაკომპეტენტური ავტორები თუ ავმოსურნენი, ამ სულკურთხეულს ნაირ-ნაირ პროვოკაციულ, მკრეხელურ, ცილისწამებლურ მოსაზრებებს მიაწერდნენ. იყო დრო, როცა ილია ჭავჭავაძე „თავისი კლასის იდეოლოგად,“ „გლეხების მჩაგვრელ მემამულედ“ მიჩნეული და ფაქტობრივად რეპრესირებული იყო, ილია („განდეგილის მიხედვით“) წარმოჩენილი იყო ბერმონაზვნობის, ანუ მართლმადიდებლის განმაქიაქებლად. ზოგიერთი თანამედროვე პოლიტიკოსი თუ პოლიტიკანი კალმოსნები დათვურ სამსახურს უწევენ დიდ ილიას, რადგან შეუსაბამო, აბსურდულ იდეებს მიაწერენ მას. საჟურნალო სტატიაში კვლავ არ ხერხდება არც მათი აზრების ვრცლად ციტირება, არც ილიას იდეების სრულყოფით წარმოჩენა; შევეცდები ისტორიული ფაქტების გათვალისწინებით, შეკუმშული, ესკიზური ფორმით გადმოვცე ჩემი უმთავრესი პოზიტიური მოსაზრებანი.

ილიას მრავალმხრივი მოძღვრება განფენილია მის მხატვრულ შემოქმედებასა და პუბლიცისტიკაში. ილიას იდეები არ გახლავთ ცალსახა, რომელმე ერთი კონკრეტული (მაგალითად სოცი-

ოლოგიური) პრობლემის ამსახველი. იგი სწვდება და შეიცავს ზოგადადამიანურ, ზოგადცხოვრებისეულ პრობლემატიკას: სოციალურს, ფილოსოფიურს (დიალექტიკურს) ზნეობრივს, სამართებლივს, ეკონომიკურს, სულიერებით-რწმენითს, გონისმიერს და განათლების პრობლემებს. ყოველივე ეს (და ა.შ.) მოძღვრების სახით თავს იყრის ერთ მთავარ ფოკუსში: ეროვნულ-პატრიოტულ პრობლემაში, ერის საჭიროებისთვის სამსახურის გაწევაში, ერის ხსნაში და სწორ სამომავლო გზაზე დაყენებაში. მის უმთავრესი ამოსავალი პოსტულატია ქრისტესმიერი სათნოების, სიკეთისქმედების დანერგვა უპირველეს ყოვლისა- საკუთარი ერისა და საერთოდ კაცობრიობის საკეთილდღეოდ. თვით „ერის“ ცნებატერმინი ილიამ დაამკვიდრა ამაღლებული შინაარსით.

ილია მწერალია და მისმა მკვლევარმა უპირველესად მწერლურ, შემოქმედებით ასპექტში უნდა განიხილოს მისი ფენომენი. მისი იდეალები დაფუძნებული იყო მის თანამედროვე (60-იანი წლებიდან) პროგრესულ მოძღვრებებზე: ლიბერალიზმსა და განმანათლებლობაზე: დემოკრატიზმზე, პიროვნებისა და საზოგადოების ღირსებისა და უფლებების აღიარებაზე. ცნობილია ისიც, რომ ილია, როგორც მწერალი, იზიარებდა რუს რევოლუციურ დემოკრატთა- ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, ნეკრასოვის შემოქმედებით („უტილიტარიზმის“) კონცეფციას. ეს ეპოქის მოთხოვნა იყო.

რუსეთისა და ევროპის ლიტერატურაში ფართოდ აღიარებული კრიტიკული რეალიზმის პრინციპებით (ობიექტური სინამდვილის ობიექტურად ასახვა) განსმჭვალულია ილიას მთელი შემოქმედება. მისი ადრეული ნაწარმოებები-ბატონყმობის უარმყოფელი, ფართო ფენების უმეცრებისა და უუფლებობის მამხილებელი, სოციალური ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი პიროვნებების წარმომჩენი იდეების მხატვრული განხორციელება იყო. 60-იან წლებში, ახალგაზრდა, რუსეთში განათლებამიღებული ილია შემწყნარებული თვალით ზომავდა რუსეთისთვის ნიშანდობლივ მოვლენებს,- რუსი რევოლოლუციური დემოკრატებისთვის მისაღებ ბრძოლის მეთოდებს: ინდივიდუალისტურ-ტერორისტულ შურისგებას. კაკო,ზაქრო, გაბრო, ილიას მიერ სინანულითა და სიმპათიით დახატული შურისმაძიებელი ახალგაზრდა ყმაგლეხებია. ასევე, აფანას ივანოვიჩისა და პულხერია ივანოვნას ქართველი „ტყუპისცალებია“ მწერლის მიერ მომაკვდინებელი სატირითა და სარკაზმით დახატული ლუარსაბი და დარეჯანი. ასეთი იდეების თანაზიარობა სავსებით კანონზომიერი, პროგრესული პოზიცია იყო იმ პერიოდში. თუმცა ეს პრინციპები საბჭოურ სალიტერატურო კრიტიკაში, მარქსისტული რევოლუციური თეორის მიხედვით, შეფასებულია მწერლის არასწორ პოზიციად, რადგან იგი დასაშვებად თვლიდა ინდივიდიალისტურ- ტერორისტულ ბრძოლას და ვერ მაღლდებოდა კლასობრივი, რევოლუციური ბრძოლის შეგნებამდე.

ილია განსწავლით იურისტი ბრძანდებოდა და ბუნებრივია, რომ მის მხატვრულ შემოქმედებაშიც და პუბლიცისტიკაშიც არაერთგზის იჩენდა თავს სამართლებრივი შინაარსის თემატიკა. იგი ზნეობრივ-სამართლებრივ პრობლემებს წარმოაჩენდა არამარტო ბატონყმობის ამსახველ თხზულებებში. ასეთი პრობლემების ნიმუშად შეგვიძლია აქ განვიხილოთ საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის პრობლემა, რომელიც თავისი მნიშვნელობით „მარადკაცობრიულ“ რანგს მიეკუთვნება. იგი მეცხრამეტე საუკუნეში ერთობ პოპულარული სააზროვნო თემაიყო. ახლებურად, ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების ფონზე განიხილებოდა როგორც პიროვნების ისე საზოგადოების საზრისი თუ შინაარსი, მათი უფლება და მოვალეობა. ერთმანეთის მიმართ. ამ პრობლემის აქტუალურობა თვით ეპოქის მოთხოვნილებიდან გამომდინარეობდა. ნიმუშებად აქ შეგვიძლია განვიხილოთ ორი ნაწარმოები: პოემა „განდეგილი“ და მოთხრობა „სარჩობელაზედ“. პოემაში, სხვა პრობლემატიკასთან ჩახლართულობის გამო, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის იდეის დანახვა ჭირს არამარტო რიგითი მკითხველისათვის, ზოგიერთი ლიტერატორი მკვლევარისთვისაც. ამ პოემის იდეაში ზოგიერთი ცნობილი ლიტერატორი მხოლოდ თეოლოგიურ შინაარს ხედავს. პოემის სათაური კი მოგვანიშნებს, რომ განდეგილობა, ანუ საზოგადოებიდან (თავისი „კოლექტიური ორგანიზმიდან“) მოწყვეტა პიროვნებას ძვირად უჯდება. პიროვნება, თუნდაც ბერი, მაინც ხორციელი არსებაა და ბიოლოგიური სურვილები (რომელიც მას თვით ღვთისგანვე ბოძებული აქვს) მასში გამუდმებით დომინირებს, მისი ნებასურვილისაგან დამოუკიდებლად. აქ თავს იჩენს სულიერ და ხორციელ ფაქტორთა შეთავსება-ვერშეთავსების მომენტები, ანუ აპრიორულად მასში მოცემული წინააღმდეგობანი. ეს საკმაოდ რთული, მრავალგანზომილებიანი პრობლემაა. მოკვდავი ინდივიდის არსებაში მისადაუნებურად დგება მომენტი, როდესაც ხორციელი თვისება გადასძლევს სულიერს. ამ მომენტის მძლევი ფაქტორი მშვენიერებაა წარმოჩენილი (ქალის სახით). აქ ალბათ ბიბლიური ევას ასოციაციაა ნაგულისხმები (?!)

აქედან, რა თქმა უნდა, ის პრიმიტული დასკვნა არ უნდა გამოვიტანოთ, რომ ილია მართლმადიდებლობას უპირისპირდება, არც ის,

როგორც ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ აქ საქმე გვაქვს განდეგილის სულიერი განწმენდის რაღაცა „დაბალ საფეხურთან“. აქ უთუოდ ისაა მინიშნებული, რომ ადამიანში (მათ შორის ბერის არსებაშიც) მოცემულია სულიერისა და ხორციელის ე.წ. „დიალექტიკური ერთიანობა და ბრძოლა,“ ბრძოლა-გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი ფორმით. (აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ილია არაერთგზის ამჟღავნებს დიალექტიკური მეთოდისადმი იდეურ ერთგულებას). ყოველი პიროვნება ვერ უძლებს ხორციელ ლტოლვათა და ჭირთათმენის სიძნელეს. რადგან ეს ასეა, და კიდევ,- რადგან სულის „ხსნის გზა ყველგან არის“, სულიერებისათვის მებრძოლმა პიროვნებამ თავისი სამოღვაწო ასპარეზი შეიძლება ჰპოვოს პრაქტიკულ ცხოვრებაში სიკეთის ქმედებით, მოყვასის სიყვარულითა და სათნოებით. ესაა ალტერნატიული გზა ილიას იდეით. პოლიტიკურ პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების ზნეობრივ-სამართლებრივი პრობლემაა (ზოგიერთ მკვლევარს ეს სოციოლოგიურ და პოლიტიკურ პრობლემად მიაჩნია) უფრო ღიად, ცალსახადაა მოცემული მოთხრობაში „სარჩობელაზედ“. ამ აზრს თუ უფრო დავაზუსტებთ, აქ წარმოადგენილია, ერთ მხრივ,- საზოგადოების მოვალეობა პიროვნებისადმი, მეორე მხრივ- პიროვნების მიერ თავისი ადამიანური უფლების მოთხოვნა (ჩაგრულთა პრობლემა!). საზოგადოება, რომელიც თავის შემადგენელ ნაწილს (წევრს) სათანადოდ ვერ თუ არ იცავს, ასეთი საზოგადოება უზნეო და უსამართლოა, დეგრადირებულია! ეს ბოლო, დასკვნითი დებულება უდაოდ გამომდინარეობს დემოკრატიის შინაარსიდან, რომელიც თავის უმთავრეს იდეაში გულისხმობს ადამიანთა შორის ზნეობრივ-სამართლებრივ ურთიერთობათა ჰუმანურ პრინციპებზე მოწესრიგებას. დროჟამის სწრაფი ცვალებადობისა და მისი შესაბამისი საზოგადოებრივი ცნობიერების ცვლილების კვალდაკვალ ილიას სოციალურ — პოლიტიკური იდეალებიც იცვლებოდა, იხვეწებოდა. მისთვის მთელი რიგი ღირებულებანი გადაფასდა, ახალი ჩამოყალიბდა და დაიხვეწა. შემდეგ წლებში ილია გულითადად გამოეხმაურა პარიზის კომუნას და გარიბალდის ნაციონალურ რევოლუციას. უფრო მოგვიანებით მის ნაწარმოებებშიაც და პუბლიცისტიკაშიც რევოლუციურ-მებრძოლური პათოსი შესამჩნევად მინელდა. ჭარმაგი, ცხოვრებისეული სიბრძნითა და გამოცდილებით დამძიმებული ილია უკვე ევოლუციური განვითარების გზას, განათლებისა და სამართლიანობის იდეალებს ანიჭებს უპირატესობას. ბატონყმობის მკაცრი უარმყოფელი, („თავადიშვილი კარგი რა არის, ავი რა იყოს“ — თუნდაც ამ სტრიქონების ავტორი) უკვე წოდებათა შერიგებაზე და ამ გზით ერის გამთლიანებაზე ოცნებობს. ეს პრიზიციაც ეპოქისეული სიბრძნის ნაყოფი იყო. არჩილისა და კესოს მსჯელობაში („ოთარაანთ ქვრივში“) , კერძოდ არჩილის მონოლოგში-„ჩატეხილი ხიდის“ გამთლიანების შესახებ, ავტორის იმდროინდელი (1887წ) იდიალებია ჩამოყალიბებული. ეს იდიალები, ეს პოზიცია „მონანიე აზნაურის-“ ცოტა არ იყოს — ქილიკური სახელდებითაა ცნობილი ჩვენს ლიტერატურათ მცოდნეობაში, (რადგან წოდებათა, ანუ კლასთა შერიგება შეუძლებლად ითვლება ე. წ. „კლასთა ბრძოლის“ მარქსისტულ თეორეაში). შესაბამის, პოზიციაზე დგომაც მეცნიერულ წყაროებში მწერლის მცდარ პოზიციად მიჩნეული.

ილიას იდეურ პოსტულატებში, -როგორც ზემოთ ითქვა,- უმთავრესი ადგილი უკავია ერს, ერის სასიცოცხლო პრობლემებს, ერის გაერთიანებას და აღორძინებას. ყოველგვარი ამისი საწინააღმდეგო (ილიას შეფასებით) სიტყვა თუ საქმე მისთვის მიუღებელი იყო. აქ ჩვენ „მივადექით“ ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას, რომელსაც მცოდნენი თუ მცირემცოდნენი, ნაირნაირი, ყურით მოთრეული აზრებით„განმარტავენ:“ ესაა ილიას და ქართველ სოციალ-დემოკრატების დაპირისპირების შინაარსი. ვიდრე ამ პრობლემაზე ჩვენს პოზიტიურ მოსაზრებას გადმოვცემდეთ, საჭირო ჩანს წინასწარ უფრო ვრცლად მიმოვიხილოთ „ჩატეხილი ხიდის“ და „მონანე აზნაურის“ სახე-ხასიათი და თვით ტერმინიც რუსული ისტორიული სინამდვილიდან დასესხებულია. ამ მოვლენაში გაუგებარი და მითუფრო გასაქიაქებელი, ვფიქრობთ არაფერია! რუსეთის იმპერიაში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ (1861) ათწლეულებში რუსეთშიც და ჩვენშიც მოვიდა „მონანიე“ თავადაზნაურთა ახალი თაობა, -საკმაოდ განათლებული, ჰუმანისტური, დემოკრატული იდეების შემწყნარებელი და დამფასებელი; გნებავთ-მომხრე! რევოლუციური, მკაცრი იდეებისაგან განსხვავებით და საპირისპიროდ, ჰუმანურ-დემოკრატიული იდეების განხორციელება მათ სურდათ ისე, რომ არც მწვადი დამწვარიყო და არც შამფური.“ რევოლუციური გზა და თავიანთი განადგურება არისტოკრატიას, ცხადია, არ აძლევდა ხელს, დემოკრატიზაცია უნდა მომხდარი წყნარი, ევოლუციური თანდათანობით. ეს გზა სასურველი იყო. კლასობრივი დაყოფა და რევოლუციური დაპირისპირება მიზანშეწონილი იყო ევროპის დიდი, განვითარებული ქვეყნებისათვის. საქართველოში კი მაშინ (1880-90.) არც სოციალ-ეკონომიკურად და არც ფსიქოლოგიურად არსებობდა ასეთი დაყოფა-დაპირისპირების გარდაუვალი აუცილებლობა. რუსული იმპერიის წინააღმდაგ საქართ-

ველოს ბრძოლა დაფუძნებული იყო ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების იდეაზე. ამ იდეას იზიარებდა ყველა კლასი თუ ფენა. პროლეტარიატი (თეორიული გაგებით) როგორც ასეთი, საქართველოში მხოლოდ ჩანასახის სტადიაში იყო. საქართველოში 1917-18 წლებში რევოლუცია არც მომხდარა!

ამ ისტორიულ მსჯელობას შორს რომ არ გავყვეთ, დავუბრუნდეთ ილიას და ,,ჩატეხილი ხიდის" გამთლიანების იდეას. ილია მთელ სიცოცხლეში ევროპულ (ძირითადად ფრანგული) განმანათლებლობის მაღიარებელი, პლუს მართლმადიდებელი დარჩა: ,,ცოდნიანი ცრემლი თუ ცრემლიანი ცოდნა," ანუ,-მეტაფორის გარეშე რომ ვთქვათ,- განათლებით და მონანიებით სულიერ-გონებრივი განწმენდა მიაჩნდა ილიას იმის დასაყრდენად, რითაც ერის მთლიანობაც და ერთიანი ძალით კეთილდღეობის მოპოვებაც მოხერხდებოდა. სწორედ მსგავსი ევოლუციური განვითარების გზა წარმატებით გაიარა შემდეგში ბევრმა ქვეყანამ. (სულკურთხეული, შორეულ მომავალში ნათელმხილველის თვალით იხედებოდა!).

ილია შესანიშნავად იცნობდა ევროპული რევოლუციების ისტორიას და რევოლუციურ თეორიებს, თვით მარქსიზმსაც (რაც შესანიშნავად გამოავლინა მან ნ.ჟორდანიასთან კამათში 1901 წელს). ის ამ თეორიებს არასოდეს აძაგებდა, მათასე ვთქვათ,-,,დე ფაქტო" აღიარებდა. დარბაისლური აღიარება ერთია, მაგრამ მან რევოლუციის საქართველოში მოხდენის აზრი შორს დაიჭირა. სოციალ-ეკონომიურად, მორალურად, თუნდაც რიცხობრივად დასუსტებული საქართველო სამოქალაქო ომს და სისხლისღვრას ვერ გაუძლებდა. ესეც განჭვრიტა ილია მართალმა. მას ყველაზე უწინ საქართველოს განათლება სურდა.

პოლიტიკურ ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, ილიამ ამ პერიოდში მნიშვნელოვანი იდეური ცვლილებები განიცადა ე.წ. ,,მემარჯვენე ცენტრისაკენ", თავისი ერის დემოსის ინტერესების ერის მთლიანობის სასარგებლოდ! ეს თითქმის პარადოქსია, მაგრამ ისტორიის მაგალითები დღესაც ადასტურებს ამის ჭეშმარიტ შინაარსს. (დღესაც იმავე პრობლემის წინაშე ვართ!). მოწინააღმდეგენი ორთიდოქსალური სიჯიუტით იცავდნენ თავიაანთ რევოლუციურ თეორიას, რომელიც მათ უმაღლეს ჭეშმარიტებად მიაჩნდათ: მათი რწმენით ერთადერთი გზა ხსნისა იდო პროლეტარულ რევოლუციაში, იმპერიის დამხობაში და მათებური დემოკრატიული წყობილების დამყარებაში. მათი აზრით ცალკეული ეროვნული მასშტაბის ანტიიმპერიული მოძრაობა ქსაქსავდა ძალებს, ქართველ მუშათა კლასსაც (რომელიც, ობიექტურად, ან არსებობდა, ან-არა) მხარი უნდა დაეჭირა რუსული პროლეტარიატისთვის, ხოლო მისი დამხობის შემდეგ შეიძლებოდა ნამდვილი ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება. (ქართველი სოციალ-დემოკრატები ეროვნულ დამოუკიდებლობას უარყოფდნენო, ეს პროვოკაციული აზრია, რომელსაც დღესაც წაღმა-უკუღმა გაჰკივიან ისეთი პიროვნებანი, რომელთაც მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმდროინდელ მოვლენებაზე. ეს რომ სიცრუეა, ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ 1918-21 წლებში, სოცალ-დემოკრატიულმა (ნ. ჟორდანიას) ხელისუფლებამ პირველ რიგში საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა).

აქ კიდევ ერთ ისტორიულ პაროდოქსთან, თვითონ ილიას იდეების თითქოს პარადოქსთან გვაქვს საქმე: (ამის შესახებ ერთხელ უკვე გამოვაქვეყნე ჩემი მოსაზრება). ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებაზე არცერთი მხარე (ილია და მისი ოპონენტები) უარს არ ამბობდნენ, მაგრამ საამისო გზები და ფორმები განსხვავებულად წარმოედგინათ. სოციალ-დემოკრატები, უფრო მეტად ბოლ-შევიკი ლიდერები, მაშინაც პოლიტიკურად (უბრალოდ-ლოგიკურად) ცდებოდნენ, როცა ეროვნულ ძალთა (ილიას და მის მიმდევართა) მოღვაწეობას ხელის შემშლელად თვლიდნენ (,,შენი მტრის მტერი შენი მოყვარეაო"-ნათქვამია!). მაშინაც შეცდნენ, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს! დიახ, შეცდნენ! მოპოვებული დამოუკიდებლობა აშკარად უბოლოო იყო!

ბევრმა მცირმცოდნემ, რომელიც დღეს ილიაზე მსჯელობას ბედავს, ჩანს-ისიც არ იცის, რომ, ილიას კონცეფციით, საქართველოს იმ ეტაპზე უნდა მოეპოვებინა მხოლოდ ფედერაციული, ავტონომიური თავისუფლება. ჩანს რომ ამ ბრძენკაცს ნათელხილვით წინასწარ გათვლილი ჰქონდა იმ პოლიტიკური მოვლენების გარდუვალობა, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს გადახდა1921წელს. ბოლშევიკი ნეოიმპერიალისტები დაუცველ საქართველოს (საერთოდ კავკასიას) დამოუკიდებლობას არ შეარჩენდნენ. ამას ვერ დაიფარავდა ვერც სარწმუნოებრივი ვერც იდეური მსგავსება. ეს ფაქტორიც რომ არ ყოფილიყო,საქართველო დემოკრატიულ სახელმწიფოებრიობას თავს ვერ გაართმევდა, რადგან ამისათვის მზად არ იყო, საამისოდ არც ტრადიციები გააჩნდა, არც საზოგადოების ნება. და ბოლოს- არც ხელმძღვანელი კადრი ჰყავდა, გარდა რამდენიმე ათეული, ,, საყველპუროდ" განსწავლი სკამებზე დაგეშილი პიროვნებისა. (დღესაც იმავე დღეში ვართ, სამწუხაროდ!). ილია პოლიტიკაშიც ჭეშმარიტი ბრძენი აღმოჩნდა: მხოლოდ ავტონომიის მოთხოვნით, ჩანს ისიც გათვალა, რომ ასეთ მცირე პრეტენზიაზე რუსეთი

ადვილად დაჰყაბულდებოდა და ხელახალი ნგრევა-ანექსია აგვცდებოდა. მეორე მხრივ, ავტონომიაში თუ ეროვნული ინტერესების თუნდაც მინიმალურ დაცვას მივაღწევდით, წლების განმავლობაში სათანადო კადრი (ინტელიგენცია, სხვადასხვა სპეციალისტები) გაიზრდებოდა, ეროვნული პროგრამა დაიხვეწებოდა. ამ ეტაპის გავლას შემდეგ გახდებოდა რეალურ დამოუკიდებელ საქართველოზე ფიქრი.

აქ, ვიდრე სტატიის დასასრულ საკითხებს გადმოვცემდეთ, საჭირო ჩანს ყურადღების გამახვილება თანამედროვე პოლიტიკოსთა თუ პრილიტიკანთა „მოღვაწეობაზე“.დღესდღეობით იმდენი ვინმე პოლიტიკოსობს და ინტელექტუალობს, რომ დათვლა გაგვიჭირდება. განსაკუთრებით მოდაშია ილიას სახელით სპეკულაცია, ილიას მოყვარეობით კეკლუცობა. „ჩვენ ილიას გზას მივდევთ, ჩვენ ილიას მემკვიდრეები ვართ, ილიას ეს სურდა, ილიას ასეთი იდეა ჰქონდა.“. . (და ა.შ.) ამ პრეტენზიებთ ისეთი უმეცარი, თანაც,- მაპატიეთ-თავხედი ვინმე გამოიდებს თავს, რომელმაც ანბანურადაც კი არ იცის რა არის ილიას გზა. (მკითხველი ადვილად გაიხსენებს მათ ვინაობას). ძმასთან ერთად, ვითომც ილიას გზისა და ილიას იდეების საილუსტრაციოდ, რაღაცა უხამს აბდაუბდას მოჩმახავენ. ეს მკრეხელობაა, აშკარა შეურაცხოფაა ნათელი სულისა! საკვირველია, რედაქციები როგორ ან რატომ უბეჭდავენ ასეთ ტექსტებს?! მთელი ჩემი შეგნებული სიცოცლის განმავლობაში ილიას ვსწავლობ და ვასწავლი (ახალი ქართული ლიტერატურის კურსს), მაგრამ, როგორც სტატიის დასაწყისშივე აღვნიშნე, მაინც მეკრძალება ამ დიდი პიროვნების წინაშე მის შესახებ საჯარო მსჯელობა-შეფასება. ამ შენიშვნას იმათ საყურადღებოდ ვწერ, ვინც მავანთა ლაყბობას უსმენს და სჯერა.

დაბოლოს: ზოგიერთი რამ ილიას მკვლელობის შესახებ! ვინ, რატომ და როგორ მოკლა დიდი ილია?? ამის შესახებ ჩემ ხელთ არსებული ოფიციალური დოკუმენტები (ბერბიჭაშვილის გასამართლების ოქმების ქსეროასლი), ჩემი კომენტარებით, შარშან მთლიანად გამოაქვეყნა გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“. ხსენებული დოკუმენტები, ვფიქრობ, წიგნადაც გამოვა. იმ ტექსტში ზოგიერთ საკითხზე კომენტარი გამომრჩა და მკითხველის ნებართვით, ამ სტატიის დასასრულს უნდა გადმოვცე, ძალიან მოკლე ფორმით.

ზემოთ ილიას ოპონენტები მოვიხსენე, საქმე ისაა, რომ ილიას მთელ სიცოცხლეში სხვადასხვა რანგისა თუ მასშტაბის მქონე არაერთი ოპონენტი თუ ავმოსურნე ჰყავდა, დაწყებული იმდროინდელი პოლიტიკოსებით და დამთავრებული თანამშრომლებით და თანამოკალმეებით. როცა მათ ნაწერებს კითხულობ, მხოლოდ ის აზრი გრჩება, რომ მათი კრიტიკა ან გაუგებრობაზე აგებული, „თითიდან გამოწოვილი“ ბრალდებაა, ანდა დაბოღმილი კაცისაგან შარის მოდება. ევფემიით თუ ვიტყვით,-ეს არის „მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა“ თუ „უჩემოდ ვინ იმღერეთა.“ მათ მსჯელობაზე დროს დაკარგვა ნამდვილად არ ღირს, რადგან ისინი ილიას პიროვნების ირგვლივ ამინდს ვერ ქმნიდნენ. ზოგიერთს აუჩემებია-ილიას მკვლელობისთვის მავანთ საზოგადოება შეამზადესო. აბსურდია ეს! არავითარი „საზოგადოება“ არ „შემზადებულა“ ილიას მოსაკლავად! ილიას მთელი საქართველო გლოვობდა (მკვლელთა გარდა). ზოგი ვინმე (კონკრეტული დასახელება აუცილებელი არ არის) ილიას ვერ იტანდნენ მათზე აღმატებულობის გამო. ამ ტიპიურ მოშურნეთა როლი და ილიას არარსებობა ხელს აძლევდა პეტერბურგელ ხელისუფალთ და მათ წარმომადგენლებს კავკასიაში. მათთვის ილია ის „კირკიტი კაკალი“ გამოდგა, რომლისა ვერც ჭკუით ჯობნა შეძლეს და ვერც სათათბიროში არჩევით გადაბირება. ერთადერთი გზაღა დარჩათ მათ: ილიას ფიზიკური მოსპობა. ხელისუფლებამ „სხვისი ხელით ნარის გლეჯა“ წარმატებით განახორციელა: სულიერ-გონებრივად მახინჯ ქართველ ბოლშევიკთა ლიდერების შეუგზავნეს თავისი პროვოკატორი! მერე ესენი ტყავში გაძვრენ, რომ ის პიროვნება ილიას მოურავად მიეჩინათ, რათა მისი მკვლელობის ორგანიზება მოეწყო. ილიას ვერ იტანდნენ ხსენებული ვაიპოლიტიკოსები არამარტო იდეური შეუთავსებლობის გამო, არამედ კარიერისტული ქვეგამხედვარობითაც: მაშინდელი „ჩაგრული მუშათა კლასის ინტერესების დამცველნი“ წინასწარვე თადარიგს გეგმავდნენ მომავალ ხელიუფლებაში პირველკაცობისათვის (ამის დამამტკიცებელი ფაქტების მოტანა შორს წაგვიყვანს). სკამებისა და პორტფელების განაწილებისათვის. მათ, ცხადია, ესმოდათ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მომავალ პოლიტიკურ სცენაზე ცოცხალი ილიას დატოვება მათთვის საშიში იყო, პირველობისათვის ბრძოლაში მათ ილიას კონკურენტობა არ შეეძლოთ!. მთავრობის თავმჯდომარედ თუ პრეზიდენტად არჩეული ილია მათ ცხადია ხელს არ აძლევდათ, ამიტომ ილია მათ სძულდათ. ზნეობრივ-ფსიქოლოგიურად რადგან მზად იყვნენ, უყოყმანოდ „გადაყლაპეს“ მთავრობის პროვაკატორისგან შეჩეჩებული „ანკესი:“ ილიას მკვლელობის ინიციატორის როლს სიამოვნებით დათანხმდნენ.

ჯანსულ ღვინჯილია

საქართველო არ წავიდა ილია ჭავჭავაძის გზით!

საქართველო არ წავიდა ილიას ჭავჭავაძის გზით. თითქოს მხარი ექცა. დავაკვირდეთ რა ხდება: მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ილია ჭავჭავაძე თავის ხალხს საკუთარი გზის ასარჩევად. ადვილი საქმე არ აღმოჩნდა ეს მზადება. თავდაპირველად საჭირო შეიქნა გადაქანცულობისაგან საუკუნო ძილს მინებებული ხალხის შეღვიძება. პროცესი გლობალურია , რადგან ერის ორგანიზმი ვეებერთელა ფენომენია, მისი სრული გაღვიძება უნიკალურ მეთოდს და მაქსიმალურ ძალისხმევას ითხოვს. ეს მაქსიმალური ძალისხმევა უნდა შეგეძლოს, მარტო მოწადინება არ კმარა. ილიას, საბედნიეროდ, აღმოაჩნდა ეს ძალა. ქვეყანა არ იყო გარკვეული, საბოლოოდ დანებდა ახალ მფლობელს თუ დროებით შეისვენა! გადაქანცულობა უკიდურეს ზღვარს იყო მიღწეული. ამიტომ სხეული და სული ორივ ერთდროულად და ერთბაშად მოეშვა, ერის ცხოვრება ტაატით დაიძრა, მოშვებული ძარღვები, კუნთები, სულის სიმები ერთ მშვენიერ დღეს დადონდლოვებულ მასად მოგვევლინა. საჭირო იყო მკაცრი პატრონი, მწარე ენა, მწარე მათრახი, რათა ის მაინც მიგეღწია, შენს ხალხს მოესმინა შენთვის. ასე მოიქცა თერგდალეულთა დიდი თაობა. როდესაც ილია ჭავჭავაძეზე ვსაუბრობთ, ყოველთვის უნდა ვიგულისხმოთ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს პროგრესული აზრი – შენივთებული ილიას, აკაკის, გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის, ანტონ ფურცელაძის და სხვათა ფიქრებით. ილია სამშობლოცაა და ფაქტობრივი გამომხატველიც ეროვნული გონის, თვითონაც არის და ყველაც ერთდროულად. ამიტომ, როდესაც ილია ჭავჭავაძის მიერ საქმეებზე ვლაპარაკობთ, მისი თანამდგომებიც იგულისხმებიან.

ილია ჭავაჭავაძემ გააღვიძა თავისი ხალხი. უჭირდა ხალხს მწარე სინამდვილის შეხსენება, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, სხვა გზა გადაუკეტა მას დიდმა შვილმა. წაყრუება არ დაანება. უნდა მოესმინა და თანაც ისე, გულისგულამდე დასულიყო ყოველი სიტყვა და საძირკვლებიანად შეძრულიყო. იყო წინააღმდეგობა, მაგრამ ყოველთვის ქვეცნობიერი, გაუაზრებელი იყო იგი, თანაც პირველ ხანს, მერე მაქსიმალურად მიაპყრო ქვეყანამ სიმართლის მთქმელს გულისყური. უკვე სიმართლის მოსმენის მოთხოვნილება გაუჩნდა. ეს უკვე შეგნებულ-გაცნობიერებული დამოკიდებულება გახლდათ.

ილიას მეთოდი უნაკლო აღმოჩნდა. ჯერ დაღუპვის საფრთხე დაანახა ხალხს. საფრთხის დანახვებით გამოაფხიზლა, შეაგნებინა თავისი მდგომარეობა და გაუღვიძა სურვილი ეფიქრა თავის სვეზე. ამის შემდეგ დაიბადა ის შინაგანი მოთხოვნილება სიმართლის ბოლომდე მოსმენისა. ეს გახლდათ დამქანცველი, ნერვიული, წინააღმდეგობებით აღსავსე ბრძოლა. არა სამუშაო, არამედ ბრძოლა.

მხოლოდ ხანგრძლივი ბრძოლის მოგების შემდეგ შეიძლებოდა სამომავლო გზების დასახვა და ჩვენება. ის, რაც ფარულად ღვივოდა ილია ჭავჭავაძის გონებაში, ახლა ერთბაშად გაიშალა დღის სინათლეზე. ეს გახლდათ სულიერი და ფიზიკური აღორძინების გზები, სამომავლო პროგრამა. რა უნდა გაკეთებულიყო ეკონომიკის, პოლიტიკის სფეროში, დიპლომატიის სფეროში! ხალხის ზნეობრივი გაჯანსაღებისათვის მოხმობილი მხატვრული და მეცნიერული მეთოდები და ხერხები. პირდაპირ ამოიფრქვეოდა მისი სულის სიღრმეებიდან.

ხალხს მოსწონდა ყველაფერი ეს. ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ ჰქონდა ასეთი პროგრამა, ჰყავდა ასეთი წინამძღოლი. თუ ყველაფერი უკლებლივ არ მოსწონდა, დიდი უმეტესობა მაინც, მოსწონდა მთავარი და ეჭვისათვის არავითარი საბაბი არ რჩებოდა. ერი თითქოს ყოველმხრივ შეზღუდული ჩანდა საიმისოდ, რომ ილია ჭავჭავაძის გზას გაჰყოლოდა.

ჩვენ დაგვჭირდება შიგადაშიგ დაჟინებული განმეორება აზრისა, რომ ეს გზა ქართველი ხალხის ნამდვილი გზა იყო, მისი ისტორიული პროცესის შინაგანი კანონზომიერებიდან ამოზრდილი გზა, მისთვის ბუნებრივი, ამდენად მახლობელი და ორგანული. ეს გზა პასუხობდა ერის ძირითად თვისებებს, მის მისწრაფებებს, ძალდაუტანებლად აგრძელებდა ისტორიულ პროცესს, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდა.

რას ნიშნავს ილია ჭავჭავაძის გზა, აი, რისი გააზრება აკლდა საქართველოს; იქმნებოდა სრული შთაბეჭდილება, თითქოს ყველამ იცოდა ეს, ყველას ღრმად ჰქონდა გაშინაგანებული არსი ილია ჭავჭავაძის პროგრამისა, მაგრამ მოვლენებმა დაადასტურებს, რომ მთლად ასე არ ყოფილა საქმე.

არავის გაუკვირდეს თუ ვიტყვი, რომ დღესაც გვჭირდება, ამდენი ხნის შემდეგ გვჭირდება ბოლომდე გაცნობიერება იმისა, თუ რა გზა დავაგდეთ ილია ჭავჭავაძის უკუგდებით, და რა უნდა მოვიმოქმედოთ, რათა იქიდან დავიწყოთ, სადაც ილია ჭავჭავაძის სიკვდილით შევწყვიტეთ.

საქართველო არ გაჰყვა ილია ჭავჭავაძის გზას. ერთობ ხმამაღლა და ერთობ არაზუსტად ნათქვამი ხომ არ გამომდის. მითუმეტეს, ზემოთ ვთქვი, ილიამ ერი შეამზადა საკუთარი გზის გასაწალდავად-მეთქი. შემზადების ხარისხი მაღალი იყო, ყოვლისმომცველი სამუშაო ჩატარდა. მაშ რა მოხდა, ასეთი სრულფასოვნებით შემზადებული ერი რატომ გადაიჩეხა. იქნებ ილიამ დააკლო ხელი, იქნებ ვერ გაწვდა მისი ენერგია ყველაფერს. რა თქმა უნდა, საქმეს ხელს უშლიდა ის რომ ილია დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო და არა საქართველოს ხელისუფალი. ხელისუფლება სხვის ხელში იყო და პრაქტიკულად ეს გარემოება იდეების შემზღუდველ მოვლენად გამოგვეცხადა. მაგრამ იდეების სფეროშიც სხვას მიაპყრო ყური ხალხმა. სოციალ-დემოკრატიის ზოგადკაცობრიულ იდეალებს ბევრი ჩააფრინდა და ილია ჭავჭავაძე ჩავლილ ეტაპად ჩათვალა. გზა, რომელიც ილიას შემდეგ საქართველომ აირჩია, არ იყო საქართველოს გზა.

კაპიტალიზმიც და სოციალიზმიც ფორმაციებია და ისინი მთელ მსოფლიოს ეკუთვნის. კაპიტალიზმის დროსაც და სოციალიზმის დროსაც ერს თავისი ეროვნული გზა უნდა ჰქონდეს, მიჰყვებოდეს მას და უვლიდეს თავს, რათა შინაგანად მოწესრიგებულმა ამ ცისქვეშეთში თავისი დანიშნულება აღასრულოს.

ჩვენ ყოველივე ეროვნული სოციალისტურ იდეალებს დავუქვემდებარეთ. გასაგებია, რომ სოციალისტური იდეალები მომხიბვლელიც კი ჩანდა თავდაპირველად. რატომ მოვიქეცით ასე, ეს ცალკე საუბრის საგანია. მაგრამ შემდეგ გაუკუღმართებულ, უკვე ნიღაბჩამოხსნილ სოციალიზმს რომ დავემორჩილეთ მთლიანად, ეს ფაქტია. ნაგვიანებმა წინააღმდეგობამ მასშტაბი ვერ შეიძინა.

იმ დროს, როდესაც საქართველოს გზის არჩევანი წყდებოდა, ეს, თავად ილიას მიერ შემზადებული ერი ისე ვინ გადარია, რომ თავის ორგანულ, ბუნებრივ გზას მოეშვა და რაღაც აბსტრაქტულს, სრულიად არამისეულს გამოეკიდა. არადა დავაკვირდეთ მოვლენებს. ილია უცებ ხომ არ მოუკლავთ. 90-იანი წლებიდან გააფრთებული ბრძოლა მიმდინარეობს ილიასა და ახალი იდეების მქონეთა შორის. ილიას შეგნებული ჰქონდა ახალი სიოს საშინელი შინაარსი და ხმალამოღებული იბრძოდა. მისი კამათი სოციალ-დემოკრატებთან ზოგჯერ დაუნდობელიც იყო. ილიას მეტოქეებს უკვე ჰქონდათ დასაყრდენი ხალხში. მომზრეები უმრავლდებოდათ. სოციალ-დემოკრატების იდეების გავრცელების პარალელურად ილია იბრძოდა თავისი ეროვნული პროგრამის განხორციელებისათვის და სათათბიროში მისი მონაწილეობა ერთ-ერთი ცხადლივი დადასტურება გახლდათ ამ ბრძოლისა. ე. ი. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ქართველი ხალხის თვალწინ აშკარად გამოიკვეთებოდა ორი გზა: ერთი ილია ჭავჭავაძისა – ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის გზა, მეორე სოციალ-დემოკრატებისა – სოციალური ბრძოლების გზა, ახალი სისტემის დამკვიდრების გზა. სოციალ-დემოკრატების ლიდერები არ მალავდნენ, რომ მათს საკაცობრიო იდეალებთან შედარებით ეროვნული პროგრამის ილიასეული შინაარსი ჩამორჩენილი, დახავსებული და კონსერვატორული იყო, ხოლო მათი იდეალები უაღრესად პროგრესული და მასშტაბური. ისინი არც იმას მალავდნენ, რომ ყოველგვარ ეროვნულ მიზნებზე ხელი უნდა აგვეღო და საკაცობრიო სამსახურში ჩავმდგარიყავით. პოზიციები გამოკვეთილი გახლდათ. შემდეგ არ გახსნილა საიდუმლოებანი. საოცარია, მაგრამ, ფაქტია, ამ არჩევანს სერიოზულობით არავინ შეხედა, შინაგანად შემზადებულ სრულფასოვან ერს რომ შეშვენის. ნურავის მოეჩვენება აქ თქმული იმდროინდელი ქართული ინტელიგენციის და მითუმეტეს ქართველი ხალხის შეურაცხმყოფელ აზრად. საბედისწერო შეცდომა დავუშვით და თუ გამონაკლისებს საყვედური არ ეთქმის, ეს იმას არ ნიშნავს, რაიმე ამართლებდეს ჩვენს საერთო თავგზააბნეულობას.

ჩვენი დამაქცევარი მიზეზები სულ გლობალურია. იგივე მონღოლები, თემურ-ლენგები, შაჰაბასები, მუსულმანური სამყაროს გარემოცვა! დიდი მიზეზის გარეშე ჩვენ არ წავქცეულვართ. მაგრამ ხომ უნდა მონახოს ერმა გლობალური მიზეზების გარემოცვაში თავისი მყარი დასაყრდენი, გზის გამკვალავი შინაგანი ხედვა!

სოციალისტური იდეების მომხიბვლელობა სხვა ქვეყნებშიც შენიშნეს (საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, ესპანეთი, ბელგია. . .), სხვა ქვეყნებშიც იპარპაშა სიახლის აზრმა, მაგრამ ამ ქვეყნებს თავიანთი ისტორიული ეროვნული გზა არ დაუგდიათ. სისხლიც დაიღვარა, მაგრამ მტკიცედ ადგნენ საკუთარს და როცა იმ საკუთარს არ შეეთვისა, დათმეს ნაადრევი და აბსტრაქტული იდეალები.

ჩვენ კი ვის ვუღალატეთ? – ილია ჭავჭავაძეს! ე. ი. საკუთარ თავს ვუღალატეთ. რა ამოგვაგდებს ჩვენეული, სიღრმისეული მოვლენებიდან ზედაპირზე, რა გვაქცევს ფეხისხმის ამყოლებად, თავქარიან გუდაფშუტებად, რომ შევუბრუნებთ ზურგს და აღტკინებულნი საით მივექანებით, თვითონაც არ ვიცით.

როგორც ვხედავთ, შემზადება შინაგან მზადყოფნას არ ნიშნავს. ილია ჭავჭავაძემ შეგვამზადა ჩვენს ეროვნულ გზებზე სასიარულოდ, მაგრამ თავად მზადყოფნა არ გაგვაჩნია, ჩვენ მალემრწმენი ხალხი ვართ, დაუდგა ქვეყანას გარდატეხის ჟამი და სწორი კურსი ვერ აირჩია.

მე შინაგან მიზეზებზე ვსაუბრობ, თორემ, რა თქმა უნდა, გარეშე მიზეზები იმ დროისთვისაც ბევრი იყო. რუსეთის იმპერიაში მოქცეულებს რუსეთის ამინდი დაგვეუფლა, რუსეთში კი სოციალისტური იდეების დამკვიდრებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა. რევოლუციები რევოლუციებს მოსდევდა, ქვეყანა დუღდა, ადამიანის შეგნება ახალი ერის დასაწყისით იმუხტებოდა. მართლა კნინდებოდა ეროვნული გრძნობები ხალხის თვალში. მარტო საქართველო არ შემცდარა და არ ამცდარა თავის გზას, მაგრამ რა შეღავათია ეს ჩვენთვის.

ახლა, ოთხმოცმა წელმა რომ გაიარა, ფიქრის უფლება რომ დაგვიბრუნდა, არაფერი არ გვიშველის, თუ არ ჩავუღრმავდით, რა დავთმეთ თავის დროზე ილია ჭავჭავაძის ეროვნული გზის დაგდებით. რას ნიშნავს უმისამართო სიარული, რა მნიშვნელობა აქვს იმ გზასთან კავშირის აღდგენას და 1907 წელსა და მეოცე საუკუნის დასასრულს შორის ჩაწოლილი სივრცის გადალახვას.

მომავალშიც ასე ვაპირებთ? ამისათვის ვცდილობთ გამოფხიზლებას, რომ წამხდარი საქმე გამოვასწოროთ, ღონე მოვიკრიბოთ, საკუთარ თავს დავუბრუნდეთ, წელში გავსწორდეთ, ქართული ცხოვრებით ვიცხოვროთ, თუ ერთ მშვენიერ დღეს, როგორც კი „მსოფლიო ქარიშხალი“ ჩვენს ტერიტორიაზე ჩამოიქროლებს, უმალ ვუშვათ ხელი დედაძარღვებს, მის პლასტმასის ფრთებს ჩავებღაუჭოთ და გავყვეთ სადღაც?

ჩვენზე ზედგამოჭრილია ანდაზა „თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასა“. ილია ჭავჭავაძე გვყავდა, ვესროლეთ და მოვკალით, უნაკლო ეროვნული პროგრამა გვქონდა, ამდენი ხნით მივაგდეთ და რაღაც კაცობრიულს ვსდიეთ

რა კეთილშობილური კაცობრიული იდეა უნდა ყოფილიყო ამქვეყნად, რომ იგი არ მიეღო ილია ჭავჭავაძის ეროვნულ პროგრამას, ასე მასშტაბურს, ჰუმანურს, კონკრეტულს, ქართულს და თუ არ მიიღებდა, ისე როგორ დავბრმავდით, რომ არ ვიძიეთ, რაში იყო საქმე – რატომ არ ჰგუობდა ილიასეული გეგმა ახალ იზმებს, რატომ ვერ ჭვრეტდა საქართველოსთვის სასიკეთოს ამ ახალში. იმთავითვე რად არ უარვყავით ილიას პროგრამა, თუკი იგი იყო ნაკლული. აკი სრულფასოვნად მივიჩნევდით, გვიხაროდა, გვეამაყებოდა!

ვითომ რა გონება დაუბნელდა ილია ჭავჭავაძეს და მის დასს, რომ ქვეყნის ამშენებელი ახალი იდეების სიკეთე ვერ დაინახეს. უმცირეს ნიუანსსაც კი შენიშნავდა მისი ყოვლისგამჭოლავი გონება. ჩვენ, სხვებმა დავინახეთ და მან, ილიამ ვერ დაინახა სიახლის მადლი? ჩვენ უფრო პროგრესულნი ვიყავით და ის ჩამორჩა? ხომ გვიმტკიცებდა, შავით თეთრზე წერდა, რატომ არ მიაჩნდა სოციალ-დემოკრატების მიზნები საქართველოს სასარგებლო საქმედ? როგორ გაგვიბედეს შავბნელმა ძალებმა, თვალწინ ამოდენა კაცი მოეკლათ და მისი გეგმები ამღვრეული წყალისათვის გაეტანებინათ? ვინა ვართ ჩვენ ყოველივე ამის შემდეგ?

ჩვენი ციკლური დაბნეულობანი პირდაპირ თავზარდამცემია და სასოწარმკვეთი, ისევე გამაოგნებელი, როგორც ჩვენი ციკლური ოპტიმიზმი. ყველაფერი შინაგან რაობას არის დაფუძნებული და ამ რაობას მიხედვა უნდა. ცივილიზებულმა ერებმა აღკვეთეს თავიანთი ხალხის მინუსები, რომელთაც არაერთგზის გააუბედურეს მათი ცხოვრება. აღკვეთეს სხვადასხვა ხერხითა და მეთოდით. ჩვენც მოვახერხეთ ეს რამდენიმეგზის, ხოლო ერთ დროს მთელი საუკუნის განმავლობაში ვზეობდით. გამოცდილება გვაქვს, მაგრამ კარგა დიდი დრო გავიდა და არ მოგვიხმია იგი. არ მოგვიხმია, რადგან ჩვენი არსებობის მიზანი არ ითხოვდა მაქსიმალურ მობილიზებას, ხოლო როდესაც ძალიან დაგვჭირდა, არ აღმოგვაჩნდა იგი.

ჩვენ ახლა ვდგავართ ოცდამეერთე საუკუნის კარიბჭესთან, მეოცე საუკუნის დასალიერთან და შეცბუნებულნი ვიყურებით ხანაც აქეთ-იქით, ხანაც საკუთარი სულის ჯურღმულებში, ჩვენ, ისტორიული კატაკლიზმების წნეხში გამოტარებული ქართველი ხალხი, და გვეუფლება სამყაროს ხელახალი დალაგების განცდა. ეს სამყარო ჩვენია – ქართული, აწეწილ-დაწეწილი, აჩეხილ-დაჩეხილი, ნაცემი, ნათრევი, გატიალებული, უთავბოლო, მიუსაფარი და უპატრონო.

ჩვენს სიმღერებში ზოგჯერ უმწეობის განცდა გამოჟონავს, ხანაც მხედრული შემართების ჟინი, აიწონა-დაიწონას დაემგვანა ჩვენი ხასიათი. შევძლებთ? ვერ შევძლებთ? ერთმანეთს ენაცვლება კითხვები, ხან ერთია ჰაერში, ხანაც – მეორე.

მივაკვლევთ ჩვენსავე წიაღში მარადიული სიმყარის გასაღებს, ჩვენი ცხოვრების მმართველ უცთომელ მექანიზმს?

გიორგი გოცირიძე

ილია ჭავჭავაძე და მსოფლიო

ილია ჭავჭავაძე პირველი მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზების შესახებ

ქართული ლიტერატურის დიდი კლასიკოსი და XIX ს-ის მეორე ნახევრის ეროვნული მოძრაობის აღიარებული ბელადი ილია ჭავჭავაძე ცნობილია თავის მრავალმხრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეობით. მის მრავალფეროვან მეცნიერულ მემკვიდრეობაში საპატიო ადგილი უკავია ისტორიული მეცნიერების შესახებ გამოთქმულ ისეთ საინტერესო შეხედულებებს, როგორიცაა გასული საუკუნის ბოლოდროინდელი მსოფლიო ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური პრობლემები. ამ საკითხებისადმია მიძღვნილი მის მიერ საქართველის პერიოდულ პრესაში, ძირითადად „ივერიაში“, სხვადასხვა დროს, 1877 წლიდან 1898 წლამდე, გამოქვეყნებული წერილები: „მილიტარობა ევროპაში“, /გაზ.„ივერია“, 1889წ. №11/, „ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ“/იქვე, №33/, „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“ /...№43/, „ ევროპის დიდი და პატარა ონავრები“ /1...1890წ., №16/, „საპოლიტიკო მიმოხილვა“/1882 წ. №1,2/, „ახლო აღმოსავლეთი და ინგლისის დღევანდელი პოლიტიკა“ /1895წ. №245/, „ ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა ზღვის გზების საკითხი“ /„ივერია“,1897წ. №227, 231, 233/, „ ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები“ /1898წ. №№18,24,245,246,247/ და სხვა.

ახალი მტერ-მოყვრობა ჩამოეგდო ევროპის დიდთა სახელმწიფოთა შორის“/იქვე/.

ი.ჭავჭავაძეს საინტერესო შეხედულება აქვს გამოთქმული გერმანიის საკოლონიო პოლიტიკის შესახებ. მისი აზრით, ეკონომიური მოუწყობლობის, ტერიტორიის სიმცირის საყოველთაო სამხედრო ბეგარისა და მძიმე გადასახადების გამო გერმანიიდან ემიგრირებული მოსახლეობა ოტო ბისმარკმა იმპერიის აგრესიული კოლონიური პოლიტიკის სამსახურში ჩააყენა, ხელი შეუწყო რა მათ „ევროპის გარეთ“, „ადამიანის ცხოვრებისათვის შესაფერ ქვეყნებში“ დასახლებას და ამ სახით გერმანიის მფლობელობის ქვეშ მათ ყოფნას.

ი. ჭავჭავაძემ ნათლად დაინახა ძალთა ის განწყობა, რომელიც შეიქმნა XIX ს-ის 80-90-იანი წლების ევროპაში და მიუთითა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების ჩამოყალიბების აუცილებლობაზე. იგი ამასთან დაკავშირებით წერდა: „ეხლა თვითოეული სახელმწიფო ევროპაში მხოლოდ იმის იდუმალ ცდაშია, რომ მომხრენი და მოზავენი იშოვოს და ომმა ისე არ მოასწროს, რომ განმარტოებული დარჩეს და უამხანაგოდ იძულებული იქნას საომრად გავიდეს“ /ი. ჭავჭავაძე, საპოლიტიკო მიმოხილვა,... გვ. 71/. ი. ჭავჭავაძე გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-ოსმალეთის ერთმანეთთან დაკავშირებას ბისმარკის ვერაგული დიპლომატიის ნაყოფად მიიჩნევს. „თუმცა ავსტრიას ჯერაც არ დავიწყებია პრუსიისაგან მიყენებული მარცხი, მაგრამ რადგან ბისმარკმა შორს შეატოპინა სლავიანების საქმეებში ბალკანეთზე, ამიტომ გერმანიის გარეშე ავსტრიას ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შეუძლიაო“,- წერდა ილია. „ოსმალოც ძალიან შეეტყუპა ბისმარკის პოლიტიკასა და ბისმარკისაგან დიდს ავლა-დიდებას მოელისო“,- ასკვნიდა ის /იქვე, გვ. 72/. იმავე 1882 წელს დაწერილ წერილში ილია აყენებდა თავის მოსაზრებას საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობის მომავლის შესახებ, იგი აღნიშნავდა ამ ორი ქვეყნის დაახლოების შესაძლებლობას და სასურველობას ორივე ქვეყნისათვის, თანაც მიუთითებდა ამ დაახლოების პირველ სიმპტომებსაც /რუსი ემიგრანტების ვ. ზასულიჩის, პ. ლავროვის საფრანგეთიდან გაძევება და სხვა/. ინგლის-საფრანგეთის დაახლოებისათვის კი, მისი აზრით, ხელი უნდა შეეწყო საფრანგეთის მთავრობის მიერ ინგლისის წინააღმდეგ მოქმედი ირლანდიის აგიტატორებისა და რესპუბლიკის მომხრეების საფრანგეთიდან გაძევებას. „იტალია ჯერ როგორღაც ტოკავს“, მაგრამ „მარტო საფრანგეთს და რუსეთს მთელს ევროპაში შეუძლიათ დაახარბონ იტალია და მოიხმარონო“, -წერდა ილია.

ამრიგად, მსოფლიო პოლიტიკაში არსებული საკვანძო საკითხების მეცნიერული ანალიზის ფონზე, ი. ჭავჭავაძემ, ძირითადად, სწორად განსაზღვრა ევროპის ქვეყნების ორ დიდ სამხედრო-პოლიტიკურ ბანაკად, „ერთის მხრივ, გერმანია, ავსტრია-ვენგრია და ოსმალო, მეორეს მხრივ, რუსეთი, საფრანგეთი და იტალია“ /იქვე, გვ.74/ გაყოფა და შორის არსებული ანტაგონიზმი მიიჩნია მომავალი „დიდი ომის“ წარმოშობის გამომწვევ მიზეზად.

აღნიშნულ წერილებში ი. ჭავჭავაძე ავლენს მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების საშინაო პოლიტიკისა და ეკონომიური მდგომარეობის საფუძვლიან ცოდნას. მან კარგად იცის, რომ ევროპის მილიტარიზაციას ერის გაღარიბება, გაღატაკება მოსდევს, რომ „მთელს ევროპას

თოფ-იარაღის ქვეშ ჰყავს ერთი მერვედი მთელის მუშა, მწარმოებლის ხალხისა. ეს ერთი მერვედი წლიდგან წლამდე არაფერს აკეთებს, მხოლოდ სამხედრო ხელობაში ვარჯიშობს და თავის თანამოძმეთა და ნაღვაწით იკვებება“. /ი. ჭავჭავაძე, ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი,... გვ.55/. ევროპაში საომარი ხარჯების განუწყვეტელი ზრდის ნათელსაყოფად ილია კვლავ ციფრობრივ მონაცემებს მიმართავს. მისი მონაცემებით, საფრანგეთს ოთხ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავდა რომლის შესანახადნის ხარჯავდა 900 მილიონ ფრანკზე მეტს. მაშინ, როცა აშშ-ს ყოველ მცხოვრებზე 4 1/2 ფრანკი მოდიოდა არმიისა და ფლოტის შენახვაზე, ევროპაში ეს ხარჯები უდრიდა: საფრანგეთში – 24 1/2 ფრანკს, ინგლისში – 21 ფრანკს და გერმანიაში – 12 1/2 ფრანკს /იქვე, გვ. 55-56/.

ი. ჭავჭავაძე ხაზგასმით დასძენს, რომ გამალებული შეიარაღება ხალხის ფართო მასებისა და ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული: „გაუჭირდა ევროპის ხალხთა ცხოვრება, უკეთესი ნაწილი ერისა და მოზრდილი ლუკმა ერის ქონებისა იღუპება დღეყოველ და ამ ნაწილს ერისას და ერის დიდძალსქონებას ჰყლაპავს იგი გაუმაძღარი ვეშაპი, რომელსაც შეთოფიარაღებულს მშვიდობიანობას ეძახიან“ /ი. ჭავჭავაძე... იქვე, გვ. 49/

ამ მხრივ, სრულიად განსხვავებული მდგომარეობა იყო აშშ-ში. როგორც ციფრობრივი მონაცენი ცხადყოფდა, აშშ-ის შეირაღთებული ძალები ბევრად ჩამორჩებოდა ევროპისას, „სამაგიეროდ, ერის სიმდიდრე და კეთილდღეობა ამერიკის შტატებისა იმდენად სჯობნის ევროპისას, რომ ვაჭრობასა და მრეწველობაში შტატები ყოველისფერით წარმატებულნი არიან ევროპაზე და თანდათან იმორჩილებენ ევროპას“ /იქვე, გვ 56/. გარდა ამისა, მან იცის, რომ „ამერიკის სახელმწიფოთ აზრად აქვს სახელმწიფოთა ძმური კავშირი დაადგინონ... რომ სახელმწიფოებმა ყოველივე შფოთი, უსიამოვნება და ანგარიში და მშვიდობიანად გაათავონ ხოლმე“ /იქვე/. ყოველივე ეს ი. ჭავჭავაძეს საშუალებას აძლევს დაასკვნას, „რომ რაკი ამერიკის სახემწიფონი ძმურად მორიგდებიან, მხედრობით გატაცებულს ევროპას კიდევ უფრო დასცემს ეკონიმიკურად და მსოფლიო მეთაურობასაც დაიმკვიდრებს“ /იქვე/.

გავიდა რამდენიმე ათეული წელი და დიდი ქართველი მოაზროვნის დასკვნები ისტორიულ სინამდვილედ იქცა.

ტარიელ ჯანტურია

ხ ა რ კ ი

რაც ტკივილია,
რაც სირცხვილია,
რაც ძახილია,
რაც ღიმილია,
რაც დუმილია,
რაც ჩივილია-
რამის ყველაფერს
ჰქვია ილია!

რაც კი შუქია,
რაც კი ჩრდილია,
ვინც კი მამაა,
ვინც კი შვილია,
თუ რამ მწარეა?
თუ რამ ტკბილია-
ყველას, ყველაფერს
ჰქვია ილია. . .

რაც კი შებმაა
და წადილია,
მოთქმით შრომაა
თუ იდილია,
რაც ლამაზია,
რაც კეთილია-
ყველას, ყველაფერს
ჰქვია ილია!. . .
სიბრძნე იმისი-
არ დაილი!
ჩვენი ღვიძილი,
ჩვენი ძილია,
ჩვენი განძია,
ჩვენი წილია-
მარად და ყველგან-
ჩვენი ილია!

ეს ლექსი განა
მართლა ლექსია!-
ის არც ცუდია!
ის არც კარგია!-
ის ყვავილია-
სავალდებულო
და გადახდილი
გვიან – ხარკია...

თამაზ ხმალაძე

დ რ ო ი ს მ კ ვ ლ ე ლ ე ბ ი

(ფრაგმენტი რომანიდან)

ჰო, სიტყვა გაგვექცა, მე კი იმას მოგახსენებდით, რომ განსაკუთრებით შაბათ- კვირებმა გააწვალეს დემნა, როცა ბიჭები შინ მიდიოდნენ, თბილისში, ხოლო თვითონ აქ უწევდა დარჩენა-მეთქი. ასეთ დროს იქ იჯდა ოთახში და განიადაგებულად ნაიაზე ფიქრობდა. თუმცა კოლა ძია გვერდით არა ჰყავდა? მშველელად ის ევლინებოდა ხოლმე – ეზოში უხმობდა და ერთი ბოთლი ღვინის საფასურად ათასგვარ ერთმანეთთან დაუკავშირებელ ამბავს ასმენინებდა.

– ...მუხრანსკების მკვდარი კარგი იყო...

– ეე, რას ამბობ, კოლა ძია, მკვდრის სიკარგე ვინ გაიგონა, მტრისას იყოს, – აწყვეტინებდა დემნა.

– დამიგდე ყური, – თავისას არ იშლიდა ბერიკაცი, – ყური კარგად დამიგდე, ჯერ წესიერად მომისმინე და ნათქვამის სიავკარგე მერე აწონ-დაწონე... მცხეთელებს ძაან უხაროდათ მუხრანსკების მკვდარი, მით უფრო, თუ დროული იქნებოდა. ისინი სვეტიცხოველში იმარხებოდნენ და საქელეხოდ დიდი სამზადისი იცოდნენ, ბლომად საქონელს ჩამორეკავდნენ ხოლმე. ღვინოც ურმებით მოჰქონდათ, მცხეთელები სუ კოკებით ეზიდებოდნენ შინა. მერე რა ღვინო იყო, რამდენიმე წლისაც რომ ყოფილიყო, მაინც მაჭარივით ჩინჩხლებს ისროდა სულა!

– მთლად შენს ღვინოს ჰგვანებია!

– მაცალე-მეთქი, ბიჭო, ნუ მაწყვეტინებ,

შე ყურუმსაღო! ამ ბოლო დროს რა გემართება, რა ღმერთი გიწყრება შენა? –ხმას უწევდა კოლა ძია, -რაო, ეჭვი გეპარება, გგონია, რომ უკეთესი ღვინო მაქვს და სხვას ვუნახავ? ...ჰო, კარგი, რას ვამბობდი? მუხრანსკების ღვინო სანაქებო იყო-მეთქი, წუნდაუდებელი. მუხრანსკებს ისიც ესახელებოდათ, რომ მთელი სოფლებით გამოდიოდა ხალხი იმათ სამკალში. იმდენ სარგებელს ვერას ნახულობდნენ, რაც პატივისცემა იცოდნენ მომკელებისა- ჯამებით ღვინოს ასმევდნენ დიდ-პატარასა. ყანის თავში კაი დიდი ძროხის თავი ედოთ და სამი მანეთი ფული. ყველა ეშურებოდა, რომ პირველი მისულიყო მკითა და იმისი იყო.

რაო, სამი მანეთი კომლს აუშენებდა? – ჩაიცინა დემნამ.

– რომ იცოდე, აუშენებდა, მაშინ სამ მანეთად ყევარ ხარ-კამეჩს იყიდიდი. და რაც მთავარია: სახელი? სახელი კიდევ სხვა. სახელზე შენთანაც რამდენი მილაპარაკია.

დემნა აღარ შეპასუხებია, კამეჩები ნაკლებად აინტერესებდა და მკით მოპოვებული სახელისაც ძალიან ცოტა თუ გაეგებოდა რამე.

– ხომ იმდენი მამულები ჰქონდათ, მაინც მიწით ვერ ძღებოდნენ, მიწის შემომატებაზე ფიქრობდნენ ნიადაგ. ივანე მუხრანსკის გაეგო, რომ იქით, თრიალეთში ერთი წყაროა, მუხრანბატონის წყაროს ეძახიანო. ეთქვა: ის ველი თუ ხელში არ ჩავიგდე, მაშ რაღა ბიჭი ვყოფილვარო! თურმე წინდაწინ ქვაზე დააწერინა, რომ ეს მინდვრები მავანისა არისო და სამანად ჩააგდებინა მიწაში. მერე ადგა და საჩივარი შეიტანა სასამართლოში. იქ რომ მიდიოდა, გამგზავრებამდე ჩექმებში მიწა ჩაიყარა და წყალი ჩაისხა თავისი ეზოსი, აეგრე მომზადებული წავიდა. როცა ადგილობრივ დააფიცეს, დაიფიცა: დიდებული ღმერთია მოწამე, ჩემს საკუთარ მიწა-წყალზე ვდგევარო და შერჩა კიდევაცა, გაუვიდა ფიცი.

– შერჩა, თორემ სულ იმისი შვილიშვილები ეპატრონებიან ეხლაც იმ მიწებს,-არ ისვენებდა დემნა.

– მაცალე-მეთქი, ბიჭო, პირი ნუ აიქაფე! თუ რამის თქმა გინდა, ეგე ჭიქა და ეგე შენ, აიღე და სადღეგრძელო დალიე, უცებ მოვითაოთ და დანარჩენი მე მაცალე! – ცერად გადახედა კოლა ძიამ.

– მკარგი, ჰო, თქვი.

– ილიამა, ჭავჭავაძემა რაა, დიდი პატიჟობა იცოდა ხოლმე ილიაობაზე. მუხრანსკისაც იწვევდა ყოველთვის, ძაან ცნობილი კაცი იყო ისიცა. ერთხელ უთხრა თურმე ამ ივანემ ილიას: - ამოდენას რომ იხარჯები, ამ არაგვგამოღმა ერთი ნაბადი რომ გაიშალოს, იმდენი მიწა დამითმეო! – ეტყობა კახეთშიც მოუნდა მამულები ბიჭსაო.

– ეგ რანაირად, რაა, საგურამო კახეთია? – დამცინავად გახედა დემნამ ბერიკაცს.

– საგურამოცა და რაც არაგვს გამოღმაა ყველაფერი. ეგ ეხლაა მცხეთის რაიონი, თორემ წინათ ქართლისა და კახეთის საზღვარი არაგვზე ჩამოდიოდა. მდინარის მარცხნივ რაც არის, სულ კახეთია.

– კაი კაცო!

– რაო, რა ძალიან გაიოცე, მართლა არ იცოდი?

– არა.

– იფ, იფ, შენი ჭირიმე! რა ისტორიკოსებს გვიზრდიან ეს უმაღლესები, ბიჭო! ნახეთ, როგორ ამაყად ამბობს: არ ვიცოდიო. შეიძლება, თავიც მოსწონს არცოდნითა:

დემნა უხერხულად შეიშმუშნა. არა, ღვთის მადლით, ქართლსა და კახეთს შორის საზღვრის დადგენა აღარავის აღარასოდეს დასჭირდებოდა და არც აღარავინ მიჯნის ჩაგდებას მოინდომებდა, მაგრამ მომავალი ისტორიკოსისათვის ამ სამანის არ ცოდნა მაინც როგორღაც შეურაცხმყოფელი იყო

და როცა კოლა ძია უმტკივნეულოდ დაუბრუნდა ძველ სათქმელს, ბიჭმა შვებით ამოისუნთქა.

— ჰოდა, სთხოვა იმ მუხრანსკიმ ილიას მიწა, რადგან არაგვგამოღმა ერთი ფეხი არსად დაედგმებოდა თურმე. — რადგან გინდა, კაცო, ვთქვათ და მოგვეცი, რა უნდა გააკეთო მაგ ერთი ბეწო მიწაზეო? — უკითხავს ილიასა. — ეჰ შენ მიწის ყადრი არ გცოდნიაო, ძმაო,- უპასუხია მუხრანსკის, — ზედ ცოტას გავგორდ-გამოვგორდები და მეტი გახდებაო.

— რა კარგია, თქვენც გენაცვალეთ! ილიამ არ იცოდა მიწის ყადრი, არა?

— დამცინავად შეხედა ბიჭმა.

-მე ხომ არ ვამბობ, კაცო მე რა დამნაშავე ვარ? იმას ეთქვა, იმ ოჯახქორსა...

დაბალ მესერში დატანებულმა სამეზობლო კარმა გაიჭრიალა და ეზოში ნაია შემოვიდა. გაუბედავად, ფეხარეულმა გამოსწია მეინახეებისაკენ.

— მოდი, შვილო, მოდი, — შეაგულიანა კოლა ძიამ, რასა მორცხვობ, განა უშენოდ კი არ ვიცი, რომ მოწყენილობაა ჩვენ სოფელში და ქალაქის მხიარულებას ნაჩვევს მარტოობა გაგიჭირდებოდა.

— არა, კოლა ძია, პირიქით, ძალიან მომწონს აქაურობა, სიწყნარეა და მყუდროება. დამქანცა ზღვამ, სამი კვირაც ვერ გავძელი. დავიღალე, აღარ მინდა ხმაური და აურ-ზაური.

— რათა, გოგო, აბა რას ამბობ, რა დროს შენი სიწყნარისა და მყუდროების სიყვარულია-მეც არ ვიცი, ვერ გაუძელი, ავადაც კი გავხდი. . . აქაც იმიტომ წამომიყვანა მამამ.

კოლა ძია შეჰყურებდა გოგონას დრო-ჟამისაგან გამოხუნებული,ფერდაკარგული თვალებით და ეტყობოდა, ყურს აღარ უგდებდა, სხვა სადინარში მოქცეულიყო, სულ სხვა საფიქრალს დაეპყრო იმისი გონება.

— ნეტავი შენს მშობლებს, შენს პატრონს, შვილო, ეგეთი კარგი რომ ჰყავხართ. და ნეტავი იმასაც, ვინც მომავალში გიპატრონებს... ეჰ, თუმცა ჯერ სულ ბავშვი ხარ, ვინ იცის, რა გელის, რა ბედი გექნება, ვინ გახდება შენი პატრონი...

მოულოდნელად ლექსი დაიწყო: ვაითუ, ქართლში გასთხოვდე, შავად შაგღებოს კვრის ბოლმა. წადი, ილოცე ხატები, ეგებ გიშველოს დიდგორმა, გუნება გადაგიწმინდოს იმისმა მწვანე მინდორმა.

— კვირის ბოლი რა არის, კოლა ძია?

— ხა-ხა-ხა-ხა-ხა, მაშ კვარი რა არის, არ იცი, შე მართლა ქართლში გასათხოვებელო, შენა? — გულიანად ხარხარებდა მოხუცი.

კვარი ჰო, კვარი როგორ არა, ვიცი...

-ჰოდა, კარგია, კარგი, თუ რამე იცი,

უეჭველად გამოგადგება ცხოვრებაში... დაიცათ, დამაცათ! — ჰაერში თითშემართული გაირინდა, თვალების აქეტ-იქით ცეცებით რაღაცას დააყურადა, მერე ახალგაზრდები უბოდიშოთ მიატოვა და გაჩქარებული შევიდა შინ.

<u>იმედა ჯახუა</u>

ბებერი ლომი

მარტოკა დარჩა ქვაბში ბებერი...
თუმც ხომ ბებერიც ლომი ლომია!..
გულშიგან სევდით — უშველებელით
(გული ხომ სევდის ნავსადგომია!..)
ზის ქვაბსა შიდა ქვათა მკრებელი
და ქვაბს ეტრატთა ასდის სურნელი...
გარს უვლის ჟამი — მყეფელი
და იავარქმნად ყოვლის მსურველი...
ლომებს ლომური ყოფა შეჰფერით
და ყოფა ესე ჟამთა ომია...
ეტრატებს ტორავს ლომი ბებერი,
თავს რომ რა აღარ გადახდომია..
დგას ვით გოდოლი აუღებელი,
სულით სიმართლით ცას შესწვდომია,-
ხმელად აღნაგი — როგორც შეჰფერის
კოლხურ — იბერულ ანატომიას...
ფაფრით — ლომურით, მზერით არწივის,
ტანით ავაზის — სანთლად ნაძერწის,
საზრუნავთაგან ფუჭთა დაცლილი
და დამთრგუნველი სულის სიბერწის...
ცეცხლით ულევით, არც დროს დამცხრალით,
წყვდიადს რომ ჰკაფავს ჟამთა უღრანის,
დამაშვრალ მხრებზე მძიმე ქვაჯვარით
და მის ქვეშ კვლავაც ქედგაუხრელი.
ზის ფოლიანტთა კორიანტელში
და ჰგავს ბერმუხას, მეხთა ნაომარს
და ღვთივკურთხეულ სულის ნათელში
ბოღმით იღრჩობა არარაობა!..

<u>ჯანსულ ჩარკვიანი</u>

პოეტი

გესმის?! ყივილი
სისხლისფერი —
დაჭრილ მამლისა,
ჩაჩეხილ ხევში
გელოდება
ხროვა ძაღლების,
მაგრამ, მგოსანო,
მჯდომარე ხარ
მარჯვნივ მამისა,
და ვიცი, ზეცით
რომ ამაღლდები.

ეთერ ანაშვილი

მწუხარე საქართველოს გოდება

ზეცა დაემხო ზედაზნის მთებზე,
მთები ბორგავენ როგორც თულები...
მე წიწამურის ბილიკზე გეძებ...
ვართ ორივენი გაყიდუები.
მე წიწამურის ბილიკზე გეძებ,
მიტიე, ტყეო, შე ფეხშიშველო!
მე ამ ქარიშხალს იმიტომ ვეძმე,
უნდა გიპოვო, უნდა გიშველო.
დედის კურთხევით უნდა დაგლოცო,
უნდა დიდების გვირგვინს გამთხვიო...
შენს ბედისწერას მე ვერ დავუცდი,
რომ ტვინი თოფის დახლით ანთხიო.
მიშველეთ! – ქარში მეჭრება მუხლი
მიშველეთ! – მანძილს ვერ ფარავს ფიქრი.
შენ ამ დროს გამჩენს მადლობას უხდი
და არაგვიან ჭალებში მიჰქრი.
და მოგდევ როგორც შეშლილი ქარი,
მინდა, ქამანდი მოვდო მაგ ბორბლებს,
ზეცამდე ადის ხმა შენი ქნარის
და ტყვია თოფის ტუჩს ააბოლებს.
აღსრულდა! ძაძად მეხვევა თმები...
დედა ვარ!
ვგლოვობ, ვშფოთავ და ვგრგვინავ!
ვაიმე! შენი დაჭრილი მკერდი
იწამეს, მაგრამ ძალიან გვიან.
მანამ არაგვმა არ გადალოკა
ის წმინდა სისხლი და კვნესის ეხო,
მანამ უწმინდურ ხელის კანკალით
დიდების ძეგლი ზედ არ დამემხო,
მანამ არ აღსდგა, მთლად საქართველო:
ერი და ბერი, დიდი და მცირე
და ჩემი მკერდის დიდო კანდელო
მთაწმინდის კალთას არ მიგაცალე...
მოგკალ და ვნანობ,
მოგკალ და ვგლოვობ
ცრემლიც და დარდიც არის გვიანი.
დაჭრილ ძუ ვეფხვის ძალით მოგრგვინავს
ბრაზმორეული არაგვიანი,
შემართული აქვს ტალღები რისხვით,
ბრალდებას მეხად დამახლის მევე
საჭირო იყო სიკვდილი მისთვის,
რომ ღმერთ კაცივით გეწამათ მერე!?

28. 07 1987 წ.

ვენერა ნატროშვილი

კვლავ მამულისთვის ჯვარცმული დადის

ერის მართალ კაცს,
სინდის-ნამუსს და
ერის მგოსანს
მარადისობა უსალბუნებს,
უმშვენებს სახელს,
დღეს უკვდავება
საუკუნო დიდებით მოსავს
წმინდა მოღვაწის წამებულ და
ღვთაებრივ სახეს.
თავდადებული ერის ბურჯი,
ხატი ღმერთის, ღმერთი
მამულიც, ისიც, ორივე
უფლის წილხვედრილია,
ქვეყნად ერთია, ორივე ერთი
და ერთადერთი
საქართველო და
ერის მამა – დიდი ილია.
მწუხრით დახურულ, აქოჩრილ ხეთ
ახლაც კი ახსოვთ
ცხენთა ჭიხვინი და
უხილავ თოფთა ქუხილი,
უღვთოდ დამეხილ გულმხურვალე
ბერმუხის ახლოს
ხალხის ოხვრა და ხალხის წუხილი...
ჯერ ხომ სისხლი არ შეშრობია
დაკოდილ კედლებს,
ჭადრებს, მოედნებს, წამებულთა
გახსნილ იარებს?..
მკვლელთ შეწყალება?! ვაი ერს და
ქვად ქცეულ დედებს...
არსაიდან ხმა, არც ნუგეში
ჩვენს მგლოვიარებს...
მთაწმინდის მიწა ერთგულთათვის
მუდამ თბილია
და აჩრილს უხმობს კვლავ ბრძენკაცი
მზის შარავანდით,
მარად და ყველგან
საქართველოს
ახლავს ილია
და მამულისთვის
ჯვარცმული დადის!

ფარნაოზ რაინაული

ილიას აჩრდილი

იმ დროიდან,
რაც მოდგმაა
ევასი და
ადამისი,
არვინ იცის, —
ბედის ჯარა,
ბოლოს,
ვის სად
გადაგვისვრის.

სიცოცხლედ რომ
ჩაგვითვალოს, —
მეფობთ, ვმწირობთ
ან თუ ვღმერთობთ,
შეწყალება და...
სიკეთე
მკერდში სანთლად
უნდა გვენთოს.
რამდენია —
მზეს ვერ ხედავს,
მაგრამ...
განა
მზეა არ მზეობს?
მიტევება
თვალთა ბრმათა
არის ოდენ
ბრძენთა ზნეო,
მე სხვა ნატვრა
არ მქონია
და ვისურვე
უწინ ერთი
ჯვარზე ასჯერ
რომ გამაკრან,
მოთმინება
მქონდეს ღმერთის.
მჭირს
ამ მიწის
სიყვარული,-
რამინისა
ვითა ვისის,
ჩემი სული,
ჩემი გული,
ჩემი სისხლიც
ალალ მისი!
სიკეთისთვის
მოველ ქვეყნად,
სახვა რამ განძი
არა მქონდა,
თუმცა,
ზოგი
ჩამისაფრდა
ისე,
ვითარც
ანაკონდა,
ერის გულზე
მედო ყური
ვქომაგობდი
განა მდიდარს?
ვიძმე-
რწმენით
ხმლით და
გუთნით
ვინც
მამული განადიდა.
რაც შემეძლო
ვდარაჯობდი-
ამ ცას,
ამ ველს,
ამ მთებს ტყიანს
სანაცვლოთ კი, —
ჯვარცმისათვის,
გაიმეტეს...
შუბლში ტყვია...

სიმონ ბალახაძე

ს ა ნ ა მ...

სანამ ამოხსნი, რისთვის და რატომ,
საგურამოსთან გესვრიან ტყვიას,
შეგიგინებენ ჯილაგს და გვარ ტომს,
გადაგითელენ ზამბახს და იას.
შუბლს ჩაგიმსხვრევენ კონდახით თოფის,
შეგიბღალავენ წარსულს და მერმის,
ღმერთმა ხომ იცის, რა ცოტა გყოფნის,
დაგაბრალებენ მოხვეჭას ბევრის.
დაგიშანთავენ ცეცხლით ჭრილობას,
თავზე დაგხურვენ გვირგვინს ეკლიანს,
შენი ცხოვრება არის გმირობა,
წიწამური კი შენი ძეგლია!

ლალი ბედუკაძე

ილია ჭავჭავაძის საფლავთან

დაიგუგუნებს სიონში ზარი:
„ყველაზე უფრო სული ტკბილია...“
და ქართველთათვის დადგება დარი,
რადგან ილოცებს თავად ილია;
„გამოაფხიზლე, ღმერთო, ქართველი!“
(რა დროს ძილია... რა დროს ძილია...)
— და გააწბილებს?
— არ გააწბილებს,
არ გააწბილებს, ღმერთი ილიას!

პაატა ნაცვლიშვილი

ერისკაცი

გვიანღა მოაგონდა, რომ საწერ მაგიდაზე გაზეთი დარჩა გადაშლილი. მეუღლემ უთხრა, დღეს ნუ წავალთ, გზაში საშიშიაო, მაგრამ თავისი არ დაიშალა, ამაზე გადაიტანა ყურადღება და გაზეთიც ამად დარჩა ალბათ.

რუხი ჟილეტის ჯიბიდან საათი ამოიღო. თერთმეტის ნახევარი იყო უკვე. ეტლი ავჭალისკენ მიჰყვებოდა მოკირწყლულ ქუჩას.

საგურამომდე 30 ვერსია, სამი-ოთხი საათის გზა. გზას ფიქრი უყვარს. ყველას თავისი საფიქრალი ჰქონდა: მეეტლესაც, მოსამსახურესაც, კნეინასაც, ილიასაც.

„მე ფიქრს მივეცი სრული ჩემი გულისყური და ყურადღება. მრავალნაირი ფიქრები ერთად, რეულად, გონების თვალწინ წარმომიდგნენ, მაგრამ ელვის უმალეს ერთი ფიქრი მეორეზედ მეცვლებოდა“.

„დავიბადე 27 ოქტომბერს 1937 წელს სოფელ ყვარელში. მამაჩემი რამდენადმე განათლებული კაცი იყო, აფიცრად მსახურობდა ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკში და რუსული კარგად იცოდა. დედაჩემა მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა. სულ ზეპირად ჰქონდა დასწავლილი თითქმის ყველა ლექსი და ყველა ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც კი იშოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი ან ხელნაწერი“.

დღეს ყვარელში ილიას სახლ-მუზეუმია გახსნილი. ეზოში ილიას ძეგლია. უკან ყვარლის მთები მოჩანს. ამ ეზო-ყურეში იზრდებოდა ილია. ახლა აქ პატარა ილიას თანატოლები მოდიან. მოდიან საქართველოს ყველა კუთხიდან, მოდიან და ილიას ბავშობას ეცნობიან.

„სწავლა რვა წლისამ დავიწყე ჩვენი სოფლისავე მთავართან – ქართული წერა-კითხვითა. მეთერთმეტე წელში რომ გადავედი, მამამ ქალაქში წამიყვანა და მიმცა რაევსკისა და ჰაკკეს პანსიონში. ეს პანსიონი ტფილისის მაშინდელ ყველა კერძო სასწავლებელზედ უკეთესი იყო. თხუთმეტი წლისა ვიყავი, როცა ამ პანსიონიდან ტფილისის გიმნაზიაში შევედი: მეოთხე კლასში მიმიღეს...“

ამ წლებში გიმნაზიის საპატიო მზრუნველად იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი, ხოლო მოწაფეთა ზედამხედველად მსახურობდა ივანე კერესელიძე, შემდგომში რედაქტორი „ცისკრისა“ სადაც ახალგაზრდა ილიამ თავისი პირველი თხზულებები დაბეჭდა.

თბილისის პირველი გიმნაზია – დღეს პირველი საშუალო სკოლა – დიდი ტრადიციების მქონე სასწავლებელია. მქონდა ბედნიერება, ამ სკოლაში მესწავლა და კარგად ვიცი: ყველა პირველ სკოლელი ამაყობს თავისი სკოლით, ყველა მათგანმა ზეპირად იცის გამოჩენილ თანასკოლელთა სახელები. ილია უპირველესია მათ შორის.

„გავათავე მერვე კლასი, მხოლოდ საბოლოო ეგზამენი აღარ დავიჭირე და 1857 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში შევედი იური-დიულ ფაკულტეტზე მაშინდელ კამერალურ განყოფილებაზედ“.

„ჩვენ რომ რუსეთს მივდიოდით და კავკასიონის მთებზე ვიწყეთ ასვლა, მლეთის დაშვებაზე შემოგვეყარა გრიგოლ ორბელიანი, რომელიც რუსეთიდან ბრუნდებოდა ტფილისს. გრიგოლი ფეხით მოდიოდა, ჩვეულებრივად ზურგს უკან ხელშეწყობილი. პირმომღიმარე, დაფიქრებული...“.

ახლა, ნახევარი საუკუნის შემდეგ, სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა ამ შეხვედრამ, მაშინ კი არც ილიამ იცოდა და არც, მით უმეტეს, გრიგოლ ორბელიანმა, რომ ოთხიოდე წლის შემდეგ სწორედ მათი მეთაურობით გაიმართებოდა მამათა და შვილთა ცნობილი ბრძოლა „ცისკრისა“ და „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე. უცებ ილიას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს წინ სამთვიანი გზა ედო სატახტო ქალაქამდე, თითქოს 23 წლის ჭაბუკს ისევ გარიბალდისაკენ მიუწევდა გული ან თითქოს ჯერ არ ჩაბარდებოდა ისტორიას სტუდენტობის ოთხი წელი...

პეტერბურგში ააფრიალა ჭაბუკმა ილია ჭავჭავაძემ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა და სიკვდილამდე ძირს დაუხრელად ატარა იგი.

„1861 წელს უკვე მეოთხე კურსზედ ვიყავ, მაგრამ გავანებე თავი უნივერსიტეტს მაშინ საუნივერსიტეტო არეულობის მიზეზით.

1863 წელს დავაფუძნე ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომელმაც სულ ერთს წელიწადს იცოცხლა. ამავე 1863 წელს შევირთე ცოლად ოლგა, თავად თადეოზ გურამიშვილის ასული.“

„ჩემო კარგო ოლიკო! რა კეთილი ხარ, ასე ხშირად რომ მახარებ შენი მხიარული წერილებით. გეფიცები მთელი დღე შენით ვსულდგმულობ.სტამბაშიც კი, ამ მოსაწყენ სტამბაში, გამუდმებით თვალწინ მიტრიალებ, ჩემთვის ის დღე რა დღეა თუ შენი წერილით არ გამითენდა და შენი წერილითვე არ დამიღამდა“.

„...გრილმა ქარმა დაუბერა მცხეთიდან და კნეინამ შალი მოიხურა. ვერ გაეგო, სციოდა თუ ეშინოდა; კარგა ხანია, აეკვიატა რაღც ავის წინათგრძნობა. რკინიგზით მაინც წამოსულიყვნენ, მაგრამ ილიას „ეტლით სიარული მოსწონდა ვიდრე რკინიგზით; როცა თავისუფალი დრო ჰქონდა, თბილისიდან საგურამოში მუდამ ეტლით დადიოდა –ახდილ ეტლში, ზომიერი სიარულის დროს მთელი

არემარე და ბუნების სურათები სხვადასხვაგვარად გეშლება თვალწინ, ვიდრე რკინიგზის ვაგონიდანო, -ბევრჯელ უთქვამს ილიას საგურამოში ჩვენი ხშირი მოგზაურობის დროს“.

ეს არტურ ლაისტის სიტყვებია. არაერთხელ ყოფილა იგი ილიას სტუმარი საგურამოში. საათობით ისხდნენ ხოლმე ისინი და ბუნების სიმშვენიერით ტკბებოდნენ.

„ზემო აივნიდან, სადაც ილიას კაბინეტია მოთავსებული, დასავლეთით მუხრანის ველი და შორს მდინარე ქსანი მოჩანს, ხოლო ახლოს არაგვი. შემდეგ გადაგეშლებათ მყინვარწვერით დამშვენებული კავკასიონის ქედი და საქართველოს სამხედრო გზა.“

დღეს დავით გურამიშვილის ნამოსახლარზე აგებულ ამ სახლში სახლ-მუზეუმია ილიასი, დიდებულად მოვლილი და მოწყობილი. იგი 1951 წლის 27 მაისს გაიხსნა. . .

„1864 წლის დამდეგს, როცა განიზრახეს გლეხკაცობის განთავისუფლების რეფორმა, გამგზავნეს იმერეთს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ. . . იმავე წლის ნოემბერში ბატონყმობა გადავარდა იმერეთში და დანიშნული ვიქმენ მომრიგებელ შუაკაცად დავყავ იქ 1868 წლამდე; ხოლო ამ წელს შემოიღეს სასამართლოს რეფორმა კავკასიაში და მე მომანდეს ასრულება მომრიგებელ-მოსამართლის თანამდებობისა დუშეთსავე. მომრიგებელ-მოსამართლედ ვიყავ 1874 წლამდე.“

ნიკო ნიკოლაძე: „საზღვარგარეთიდან რომ დავბრუნდი ჩემი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ ყველა მაშინდელი ახალთაობის მომხრენი შევაგროვე და დავაჯერე, დუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დავუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ-მეთქი. 1871-73 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვართ დუშეთს „გროვით“ ქართული მწერლობის აღორძინების მოტრფიალენი. ბევრჯერ დაგვიპატიჟნია: მოდით მეთაურად გაგვიხდით, გვიწინამძღვრეთ, გვიმსახურეთ მეთქი.“

ილიამ მართლაც დაანება თავი სახელმწიფო სამსახურს, მაგრამ ლიტერატურული და ჟურნალისტური საქმიანობისათვის ჯერ მაინც ვერ მოიცალა: დღის წესრიგში სათავადაზნაურო ბანკის დაარსების საკითხი დადგა.

„ტფილისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკი თითქმის ისეთი ერთადერთი დაწესებულებაა საადგილმამულო კრედიტისა რუსეთში, რომლის წესდებითაც სრულიად უარყოფილია კერძო ინტერესი მოგებით სარგებლობისა საზოგადო სიკეთისა და საჭიროებისათვის.“

„საყვარელო დაო ნინო! მე ეს თვენახევარია რაც მოსკოვში ვარ და ის საქმე, რაზედაც მე აქ წამოვეთრიე, როგორღაც ხელთ არ მოდის. თუმცა ჩვენი ბანკი მტკიცდება, შენ იცი, რომ მე სხვათა შორის იმისთვინა ვარ აქ გამოგზავნილი, რომ ბანკის საქმე აქაურ ბანკში დაწვრილებით შევისწავლო, მაგრამ ჭირი ეს არის, რომ ჩვენ არც ერთ ბანკში არ შეგვიშვეს და გზას არ გვაძლევენ, თუმცა ჯერ სრული იმედი არ დამკარგვია. ამას ვწუხვარ, რომ დრო მიდის, ფულის ავალი მისუსტდება და ჯერ იმედი ცხოვლად არსაიდან ამოდის. „მაინც მე ჩემსას ვცდილობ, ვნახოთ რა გამოვა. ერთი, შენი ჭირიმე, შემატყობინე: შეიძლება რაიმე იმედი ვიქონიო ჩემის მამულის შემოსავალზედ, თუ არა. თუ როგორმე ერთს ოციოდე თუმანს მომიხერხებთ, სწორედ შიმშილისაგან დამიხსნით. იქნება როგორმე და რაიმე შემოსავლიდან გამიყიდოთ და ფული მომაშველოთ, თორემ ცუდად არის ჩემი საქმე.“

1875 წელს, როცა ბანკის წესდება დამტკიცდა, ილია ბანკის თავჯდომარედ აირჩიეს.

იონა მეუნარგია: „ამის შემდეგ ილიას გაეხსნა ფართო ასპარეზი მოღვაწეობისა საქართველოს საქმეთა სასარგებლოდ, ამ დღიდან მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში ტფილისში ქართული საზოგადო საქმე ისეთი არა დაწყებულა რა, საცა ილია თავკაცად არ ყოფილიყოს, თავმრჩევლად, საქმის გადამწყვეტად. ვიდრე დიმიტრი ყიფიანი ცოცხალი იყო, ვიდრე გაბრიელ ეპისკოპოსი მეტყველებდა, ვიდრე გრიგოლ ორბელიანი ზემოდან დაჰყურებდა ახალ თაობათა, ილია ჭავჭავაძეზე მაღლა თუ კიდევ იხსნებოდა სხვისი სახელი, მაგრამ მას შემდეგ, რაკი ესენი მიიცვალნენ, ილია დარჩა პირველ კაცად საქართველოში. ამას იქით ილია არის: ილია ბანკირი, ილია რედაქტორი, ილია წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარე, ილია დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე, ილია სათავადაზნაურო სკოლების გამგეობის წევრი, თავმჯდომარის ამხანაგი, ილია მწერალი, ილია მოლექსე, ილია წარმომადგენელი ქართული მწერლობისა, მასპინძელი უცხოელ მწერალთა და სხვა და სხვა.“

„1877 წელს დავაარსე ყოველკვირეული გაზეთი „ივერია“, რომელიც შემდეგ ყოველთვიურ ჟურნალად იქნა. გადაკეთებული“. ხოლო 1886 წელს, მას შემდეგ, რაც მეფის მთავრობამ დახურა ერთადერთი ქართული გაზეთი „დროება“, „ივერია“ ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთად გადაკეთდა. .

სწორედ „ივერიის“ ფურცლებზე გაიშალა მთელი თავისი ძალით ჯერ კიდევ „ცისკარში“ დაწყებულ ბრძოლა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის, „ივერიის“ გარშემო შემოკრება ეროვნულ-გამათავისუფლებელი. მოძრაობის ყველა თვალსაჩინო მოღვაწე: აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, გრიგოლ ყიფშიძე, ნიკო ცხვედაძე, პეტრე უმიკაშვილი და სხვები. 80-90-ან წლებში ეს მიმდინარეობა მრავალ ეროვნულ

საქმეს აკეთებდა: იღვწოდა ქართული გიმნაზიის დაარსებისათვის, ამზადებდა ნიადაგს ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებისათვის, პატრონობდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ქართულ თეატრს, ქართულ მუსიკას, ხალხურ შემოქმედებას, ქართულ ენას... XIX საუკუნეში ქართული ენის ბუნებრივ განვითარებას უდიდესი საფრთხე შეუქმნა ახალმა პოლიტიკურმა რეჟიმმა. ამ დროს ქართული ენა უკვე აღარ არის სახელმწიფო ენა, იგი ყოველმხრივ შევიწროვებას განიცდის და განდევნილია საზოგადოებრივი დაწესებულებიდან, სკოლიდანაც კი.

„რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული – ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეობისა ყველაზე უწინარეს ენას მისწვდა“. ილია მთელი თავისი შემოქმედებით, მთელი თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით იბრძოდა ქართული ენის უფლებების აღდგენისა და მისი აღორძინებისათვის.

დედაენის დაცვაში დიდი როლი შეასრულა 1879 წელს ილიას თაოსნობით დაარსებულმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. მისი თაოსნობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გაიხსნა სკოლები, სადაც პირველ დაწყებით განათლებას მოწაფეები ქართულ ენაზე იღებდნენ. მანვე აიღო ხელში ქართული წიგნის გამოცემის ინიციატივა და დიდად შეუწყო ხელი ქართული წიგნის გავრცელებას. ეს ამაგდარი საზოგადოება მოთავსებული იყო არწრუნისეულ ქარვასლაში, რომელიც დღევანდელი უნივერმაღალ „თბილისის“ ადგილას მდებარეობდა. ამავე შენობაში იყო ქართული თეატრი (შემდგომში გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრი), საადგილმამულო ბანკი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის აღმდგენელი კომისია, ბიბლიოთეკა, წიგნის მაღაზია... ამ ისტორიული შენობის ერთი ფრთა დღევანდელ სულხან-საბას ქუჩაზე გადიოდა და უკანასკნელ ხანებამდე მკვიდრად იდგა, ვიდრე მისი დანგრევა არ გადავწყვიტეთ რატომღაც.

...თბილისი ყველა თავისი შენობით კარგა ხანია თვალს მიეფარა. საგურამომდე ათიოდე ვერსიღა დარჩა. ირგვლივ იყო მცხეთა. ირგვლივ იყო დიდი ბუნება. ირგვლივ იყო საქართველოს წარსული.

არტურ ლაისტი „ილიას გზით მრავალფეროვანი სანახაობები და სურათები მოსწონდა. მუდამ კმაყოფილი იყო, როცა მისი ოთხი თეთრი ცხენი წყნარი ნაბიჯით მიდიოდა მზიან გზაზე. სიამოვნებას ჰგვრიდა მცხეთის არემარე, ვერცხლისფრად მოელვარე არაგვი და საგურამოსა და ზედაზნის მთები. მას ძლიერ უყვარდა ეს ისტორიული ადგილები, აკვანი საქართველოს ქრისტიანობისა. მოგზაურობის დროს ყოველთვის მიამბობდა ხოლმე ამ ადგილებთან დაკავშირებულ ისტორიულ ამბებსა და ლეგენდებს“. . .

1874 წლიდან ილია ჭავჭავაძე ქართული საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ცენტრში დგას. მან უდიდესი დრო და ენერგია შეალია საზოგადო და პრაქტიკულ მოღვაწეობას, რამაც საგრძნობლად დააზარალა ილიას მწერლური მემკვიდრეობა, თუმცა მას მაინც თვალსაჩინო ადგილი უკავია ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

„ჩემი სალიტერატურო მუშაობა დაიწყო1857 წლიდან, როცა „ცისკარში“ მივეცი დასაბეჭდად რამდენიმე წვრილი ლექსი. ხოლო შემდეგ ჩემი თხზულებანი იბეჭდებოდა „დროებაში“ და „კლუბში“, ჩემ მიერ დაარსებულ „საქართველოს მოამბეში“ და „ივერიაში“, აგრეთვე ჟურნალ მოამბეში“. წვრილ ლექსებს გარდა დავწერე რამდენიმე პოემა, სახელდობრ: „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, „აჩრდილი“, „დიმიტრი თავდადებული“, „განდეგილი“, და დრამატული ეპიზოდი „დედა და შვილი“. მოთხრობათა შორის შემიძლია დავასახელო „კაცია ადამიანი?!“ „გლახის ნაამბობი“, „სცენები გლეხთა განთავისუფლების პირველი დროისა“, „მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქვრივი“, „სარჩობელაზედ“ და სხვა...

ამ ნარკვევებზე მუშაობისას ილიას ნაწერებისა თუ მასზე მოგონებებისა და მონოგრაფების კითხვაში ჩამეძინა. ჩანს, წაკითხული ღრმად ჩამყვა ძილში და უცნაური სიზმარი ვნახე. ჯერ იყო და თითქოს „ივერიის“ რედაქციაში მიბარებდა ილია. „ივერიის“ რედაქცია ამ დროს ნიკოლოზის ქუჩაზე იყო მოთავსებული პოეტის დის ელისაბედ საგინაშვილის სახლში (სიზმარშიც კი ვიყავ, მაგრამ ცხადად გამახსენდა, რომ დღეს კალინინის ქუჩაზე მდებარე ამ სახლზე მემორიალური დაფაა წარწერით: „აქ ცხოვრობდა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე. აქვე იყო „ივერიის“ რედაქცია 1889-1901 წლებში). „დაბლა იყო გამართული გაზეთის სტამბა, მაღლა იყო რედაქცია და იდგა თვით რედაქტორი. რომ ახვიდოდით მეორე სართულზე, მარცხენა კარებს შეყავდით გაზეთის რედაქციაში და მარჯვენას ილიას სადგომში. სადგომის ყურეში, შესვლისთანავე, მარცხნივ იყო რედაქტორის კაბინეტი – პატარა ტანის ოთახი. . . მთავარი მაგიდა კაბინეტში სავსეა რა გინდა რათი: აი გადაშლილი წიგნი პაპიროსის ნამწვით შუაგულში, აი გლობუსი, საანგარიშო, სათვალე, გაზეთის ორიგინალები, ვეებერთელა წითელი კარანდაში. . .აქ, ამ ვიწრო ქარხანაში მზადდება დღეს ის აზრი, რომელიც ხვალ შეიძლება სახელმძღვანელოდ გახდეს ყველა ქართველისათვის ბაქოდან დაწყებული სოხუმამდის და კავკასიის გარეთაც“ „შესვლისთანავე ოდნავ გადავალე თვალი ოთახს აღელვებისაგან ხმა გაკმედილი დავდექი. ილია საწერ მაგიდასთან იჯდა, აბრეშუმის ხალათი ეცვა და თავზე წითელი ოსმალური ფესი ეხურა. ხელში ეჭირა რუსული გაზეთი და ათვალიერებდა. მარჯვენა

ხელში პაპიროსი ჰქონდა და განუწყვეტლივ ეწეოდა, რის გამოც ოთახში ბოლი ჭარბად ტრიალებდა. ჩემ შესვლისთანავე ილიამ თავი დაანება გაზეთის კითხვას, ოდნავ თავიდან ფეხებამდის თვალი გადამავლო და ხელგამოუწვდელად მითხრა, დაბრძანდითო. არ დავძრულვარ. ხომ არ მოისურვებთ „ივერია“-ში თანამშრომლობას, ყოველ დღე საღამოს გაზეთის კორექტურას უნდა გადაავლოთ თვალი და დილაობით – კი სარედაქციო მუშაობა იკისროთ. თქვა ილიამ და პასუხს აღარ მოუცადა, თვითვე განაგრძო: ჯამაგირად თვეში ოთხი თუმანი მოგეცემათო“. . . საოცარია სიზმრის ბუნება; არც დრო არსებობს მისთვის და არც სივრცე. უცებ ლონდონში აღმოვჩნდი, პიკადილიზე, მე-15 ნომერ სახლში. ძლივს გამოვთქვი საკუთარი სახელი და გვარი: ბერნარდ კუარიტჩი. მერჯორი უორდროპმა ილიას „განდეგილი“ შემომიტანა თავის მიერ ნათარგმნი ინგლისურად და მე წიგნად გამოვეცი იმავე წელს. მერე როგორღაც ილიას სიყრმის ამხანაგად ვიქეცი და ჩვენი ბავშობა გამახსენდა, ჩვენი სიყმაწვილე, ჩვენი მიჯნურებანი: „პეტერბურგში ილია მეტად აღტაცებული იყო გენერალ ჩაიკოვსკის ქალით (ცნობილი რუსი კომპოზიტორის და). ამ ოჯახში ხშირად დავიარებოდით და კარგადაც გვიღებდნენ და გვექცეოდნენ. მახსოვს, როდესაც პირველად მოვემზადეთ ამათთან სადარბაზოდ წასასვლელად, დიდ გაჭირვებაში ვიყავით. ერთი მუნდირი გვქონდა და მარტოკა არც მე მინდოდა წასვლა , არც ილიას. გადავწყვიტეთ დავიჭიროთ კარეტა, ერთად წავიდეთ და სახლთან რომ მივალთ, ჯერ ერთი შევიდეს მუნდირით, მეორე კი კარეტაში მოუცადოს, როდესაც პირველი დაბრუნდება კარეტაში, გადასცემს მუნდირს ამხანაგს, ახლა ეს ჩაიცვამს და წავა სადარბაზოდ. ამგვარად დავაღწიეთ თავი უხერხულ მდგომარეობას.“ ამის შემდეგ ჩვეულებრივ ტფილისელ მოქალაქედ ვიქეცი და შორიდან თუ მოვკრავდი ხოლმე თვალს ილიას, მაგრამ რა თქმა უნდა, ყველაფერი ვიცოდი მის შესახებ: ჩვეულებრივ მშვიდი იყო, გარეგნულად მაინც, თუმცა მეტად აზარტული ბუნება ჰქონდა: ბანქოს და ნარდის თაგადაებული მოთამაშე იყო, უცნაური საოხუნჯო ოინების ინიციატორი და შეუპოვარი დუელისტი. გენერალი მუხრანსკი ბარიერთან! გენერალი სუმბათაშვილი ბარიერთან! ნიკო ნიკოლაძე ბარიერთან!!! „როდესაც ნიკო ნიკოლაძემ „ნოვოე ობოზრენიერში“ ერთი წერილი დაწერა ილიას პიროვნების შესახებ, მან თავი შეურაცხყოფილად მიიჩნია და ორი თავისი ამხანაგი მიუგზავნა სეკუნდანტებად ნიკოლაძეს –კოლა ერისთავი და სოსიკო შალიკაშვილი. მან პასუხად ჭავჭავაძეს გაუგზავნა ორი თავისი ამხანაგი, დათიკო გურამიშვილი და ნიკოლოზ სიმბოლსკი და მათ შორის გაიმართა დუელი. მოწინააღმდეგენი დადგნენ ბარიერზე, გატენილი ფიშტოებით და ყველაფერი იმ წერტილამდის იყო მიყვანილი, საცა ტყვია უნდა გავარდნილიყო, მაგრამ ამ დროს სიმბორსკიმ შერიგების უკანასკნელი სიტყვებით მიმართა დუელიანტებს და დუელი მორიგებით დამთავრდა. “როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეს, ძლიერ გამიკვირდა, რომ ილიამ ივანე მაჩაბელიც არ გამოიწვია დუელში. ეს ის დრო იყო, როცა თბილისი „ბანკობიას“ მოეცვა, როცა თბილისი ორ ბანკად- „მაჩაბელისტებად“ და „ჭავჭავაძისტებად“ იყო გაყოფილი და მე რასაკვირველია ყოველდღე არწრუნისეული ქარვასლის თიატრში ვიყავი, სადაც თავადაზნაურების კრებები იმართებოდა დღითა და ღამით. ეს ამბები ჩემს ნარკვევში ნაკლებად გამომადგება – მეთქი, გავიფიქრე და თავადაზნაურობის კერძო თათბირზე გავემართე. სიზმარში რომ არ ვყოფილიყავ, მე ამ თათბირს არავინ დამასწრებდა. ილიას სიტყვის ბოლოსღა მივუსწარი: „ბატონებო, ნუთუ არ შეგვიძლიან

თამამად მოვითხოვოთ უბრალო, ბუნებრივი რამე, რომ ქართველის მიწა ქართველისთვის იყოს, ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლიან მოვითხოვოთ, რომ კანონები რომლებიც ახლა პეტერბურგში იწერება, აქვე ადგილობრივ იწერებოდეს ჩვენის ქვეყნის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა კრებულისაგან, რადგანაც რაც რუსისთვის სასარგებლოა, ის შეიძლება ქართველისთვის მავნე იყოს, ამ დროს გიგა ყიფშიძეც დაბრუნდა. ხელში გაზეთის ახალი ნომერი ეჭირა და ძლივს გავიაზრე, რომ სიზმრის ძალით მე ისევ „ივერიის“ რედაქციაში აღმოვჩნდი. ოთახში ერთი გრძელი მაგიდა იდგა, მაგიდას გარშემო თანამშრომლები ვუსხედით და ზედიზედ ვეწეოდით პაპიროსს. ახლაც მახსოვს ჩვენი ფაიფურის საფერფლე „ივერიის“ დამღით: „ივერია“ რედაქცია ნიკოლოზის ქ.№21 ტელეფონი227“. გიგა ცენზორთან ყოფილა თურმე, ლუკა ისაროვლთან, და მის დანახვაზე „უსიტყვოდ მივხვდი, რომ მოხდა ის, რასაც მოველოდით. წუწუნის და ჩივილის დრო აღარ იყო, ლუკას ლანძღვა-გინებასაც აზრი არ ექნებოდა. სხვა გზა არ იყო, საქმეს უნდა შევდგომოდით, შენახული, დაზოგილი მასალა უნდა გამოგვეყენებინა. მოვიწვიეთ სათათბიროდ ჩვენი დიომიდე, სტამბის მეტრანპაჟი, დაუღალავი, წარბშეუხრელი მუშაკი, რომელიც ჩვეული იყო ლუკას ამგვარ ოინებსა. საქმე გაჩარხდა გაზეთი თავის დროზე გამოვა. ხვალ დილით ჩაიზე ან საუზმეზე მიერთმევა მკითხველს.“ ამის განსჯაში ვიყავით, რომ ილიაც შემოვიდა და გვითხრა: „საკვირველი დრო არის ჩვენი დრო. იტყვი რასმე, მაშინვე პირში მოგვარდებიან – რათ ამბობო, და არ იტყვი კიდევ, გიკიჟინებენ – რატომ არ ამბობო.

„სიზმარი გათავდა, გამეღვიძა და კვლავ ჩემს ნარკვევს მივუბრუნდი.

რათ ვიბრმავებთ თვალებს და ჭეშმარიტებს მიზეზს ჩვენი სისუსტის პირდაპირ თვალს არ ვუსწორებთ? რა დროს სიზმრებია, როცა ცხადი ასეთი მწვავია?

...მცხეთაც უკან დარჩა. გადაშუადღევდა.

— კიდევ ცოტაც და დავისვენებთ, — უთხრა ილიამ მეუღლეს.

იაკობა ბითარაშვილი თვლემდა.

თედო ლაბაურმა ცხენები ააჩქარა. მან იცის, რომ წიწამურთან ილიას მკვლელები ჩასაფრებულან: გიგლა ბერბიჭაშვილი, გიგოლა მოძღვრიშვილი, პავლე აფციაური და ვანო ინაშვილი. ჭავჭავაძის ახალმა მოურავმა დიმიტრი ჯაშმა ყველაფერი წინასწარ გაისიგრძეგანა; ყველაფერი, გარდა ერთისა: არავის არც, ერთ ქართველს არა აქვს ილიას მოკვლის უფლება, რომელი პარტის წევრიც უნდა იყოს, რომელი ბატონის მსახურადაც უნდა თვლიდეს თავს, რა ჯილდოებიც უნდა აღუთქვან ილიას ხელყოფისათვის. აკი ამბობდა ილია, „უმადურობა ჩვენი თვისება არ არისო“. თუმცა მას შემდეგ ოც წელიწადზე მეტი გავიდა.

არტურ ლაისტი: „ბოლო დროს ხშირად ხმარობდა სიტყვა „უმადურობას“ დღეს წიწამურთან ობელისკი დგას. ეს ქართველთა უმადურობის ძეგლია, ქართველთაგანვე აგებული...

სიცოცხლის ბოლოს ილიას ასთმა დაემართა. დავით სარაჯიშვილისა და მისი მეუღლის ეკატერინეს დაჟინებული რჩევით 1900 წელს იგი გერმანიას გაემგზავრა სამკურნალოდ პროფესორ ლეიდენთან. ბერლინსა და კარლსბადში მკურნალობის შემდეგ რამდენიმე ხანი დაჰყო ვენაში და სამშობლოში გამოჯანსაღებული დაბრუნდა, მაგრამ მალე გაუუარესდა ჯანმრთელობა; ამის გამო 1901 წელს „ივერია“ ალექსანდრე სარაჯიშვილს ჩაბარა დროებით სარედაქტოროდ, 1902 წლის აპრილიდან კი გაზეთი მთლიანად გადასცა მას.

ილიას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართული კულტურის ბევრ საზღვარგარეთელ მეგობართან. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: არტურ ლაისტი და ჰუგო შუხარდტი, მარჯორი უორდროპი და ოლივერ უორდროპი, ჟაკ ბერტილონი და ბარონ დე ბაი, გილიელმო პასილი და კარლ ლემან-ჰაუპტი...

არტურ ლაისტი: „როცა ილია 1900 წელს ბერლინში იყო, მან ინახულა პროფესორი ლემანჰაუპტი, რომელიც ილიასადმი წრფელი გრძნობით იყო გამსჭვალული. ილიას ტრაგიკული სიკვდილის გამო მან ბერლინის ერთ დიდ გაზეთში ნეკროლოგი მოათავსა ილიას პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის შესახებ:

კარლ ლემან ჰაუპტი: „ილია იყო უგვირგვინო მეფე საქართველოსი. იგი ნახევარ საუკუნეს ედგა სათავეში პროგრესიულს მოძრაობას, როგორც საზოგადო მოღვაწე, სათავეში ედგა ლიტერატურას, როგორც პოეტი და პუბლიცისტი და ყოველთვის გაბედვით, მხნედ იცავდა კაცობრიობის საუკეთესო იდეალებს.“

ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს საიდუმლო მოხსენება პოლიციის დეპარტამენტისადმი (1894წლის 1 მაისი, №565): „...დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იმ მიმართულების მთავარი ხელმძღვანელი, რომლის მიზანიცაა ეროვნული მოძრაობის მთავარი გაღვივება არის თავადი ილია ჭავჭავაძე, ტფილისის სათავადაზნაურო ბანაკის თავმჯდომარე. თავადი ილია ჭავჭავაძე არის შესანიშნავი ჭკუისა და მდგომარეობის პატრონი, დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველებში საერთოდ და თავისუფალ მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებით.“

„1906 წლის აპრილში, ილია სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს. იგი იმთავითვე მემარცხენეთა მცირერიცხოვან ჯგუფს მიემხრო.

„სახელმწიფო საბჭოში მე ამირჩია თავადაზნაურობამ. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო აზნაურ-თავადთა საჭიროებაზე ვილაპარაკებ. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მე მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები“, — განაცხადა ილიამ პეტერბურგში მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში. ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს პირველი ქართველი წევრი იყო და მის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა.

1907 წელს საბჭოს სესიიდან დაბრუნებულმა დასვენება გადაწყვიტა. თითქოს აღარაფერს უნდა დაერღვია მისი მყუდროება.

მ.ად-ლი: „დაქანცულ პოეტს უფლება ჰქონდა მშვიდად დაელია თავისი სიცოცხლე. დაესვენებინა დაიარავებული სხეული და სიბერეში მაინც აენაზღაურებინა ის დანაკლისი სულიერი მშვიდობიანობისა, რომელიც ახალგაზრდობაში მსხვერპლად მიუტანა საზოგადოებრივ მოღვაწეობისა და ქართული ლიტერატურის საკურთხეველს.“

მაგრამ... **არტურ ლაისტი:** „იმ საბედისწერო ხუთშაბათს, როცა ილია თბილისიდან საგურამოში ბრუნდებოდა, მეეტლესთვის ჩვეულებრივად ებრძანებინა წიწამურში გაჩერება და ცხენებისთვის წყლის დალევინება. ამას მოუნდა თურმე სულ ათი წუთი. მეეტლე შემჯდარა კოფოზე და უცდიდა ბრძანებას წასულიყო, მაგრამ ილია ჩუმად დადიოდა აქეთ-იქით ჩაფიქრებული და თითქოს წასვლას არ აპირებდა. ოლღა მარწმუნებდა, ილია მთელი საათი ასე დადიოდა, შემდეგ ეტლში ჩუმად ჩაჯდა, ეტლიც გაექანა საგურამოსაკენ და თხუთმეტი წუთის შემდეგ ილიაც მოკლესო. რა გრძნობა აკავებდა მას ასე დიდხანს წიწამურში? ილიას თვითონ არა სჯეროდა წინათგრძნობისა, არც ცრუმორწმუნოებისა სწამდა რა“.

სოფრომ მგალობლიშვილი: „ხუთშაბათს საღამოს მარიამობისთვის ოცდაათს ყველანი გავრბოიდით „ისრის“ რედაქციაში, სადაც მოსულიყო მოკლე ცნობა: „საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და დაუჭრიათ მისი მეუღლე ოლღა“.

მღვდელი ილია (ერობაში ნუგზარ ჩიკვაიძე)

ციკლიდან „ილია მართალი“

შენ მოინატრებ იმ წარსულ მნათობს
თმა ჩამოვერცხლილ ტყე-მთა-კლდეებში.
შენ სიცოცხლეთი აღავსებ ნათელს
და გამოაწრთობ ქართვლის დღეებში
და შორეთიდან მოფრენილ მერცხალს
დააბინავებ მზის ბუდეებში.

შენა ხარ მტერზე ლაშქრის მისევა,
ეს ბრძოლა შენგან დაისწავლება,
შენგან ვიაზრე წინაპრისეულ
ფარზე და ხმალზე ხელის წავლება,
წამოდექ, თორემ ამ ქარ-გრიგალში
სამშობლოს ცეცხლი ჩაინავლება.

ამ საუკუნის შავ-ბნელ დილეგში
ტანჯვა და ფიქრი სააზროვანო
ჩამწყვდეულია ისე ვით ლეში,
მამავ და ჩვენო სულო მხცოვანო,
მაგ დაღლილ შუბლით ჩვენს ტკივილებში
ათასჯერ უნდა გაიხმოვანო.

ეს გზები შენთვის წიწამურია,
ამ გზაზე ბინდი ამოჭაობდა,
ამ გზაზე შენი ეტლის ნათება
ჩამავალ მზისებრ მიქანაობდა
და ცისარტყელით შემოხატული
აივსო სული და არ დარობდა...

წარსული შენში განათდა მზებრ
და თვალთგან სისხლი წამოუვიდა...
ამ საუკუნით გაცრეცილ დღეებს,
იმ ქართულ დღეებს რა მოუვიდა,
სამოთხის ბაღში ჩამოჭკნა ვარდი
და სული ეკლად ამოუვიდა.

სულმოუთქმელი ტანჯვებით გელი,
ჩანჩქერნი მთიდან ჩამორბიანო,
მუნ წყაროსთავთან სისინებს გველი
ნესტარნი გულზე მოუდვიანო,
მზით შემკობილი მამულის მცველო,
გევედრი, აღარ დაიგვიანო.

გამოხსნავ ჟამთა სანეტაროთა,
ფოლიანტებში ღამის მთეველო,
ქართული ცეცხლის კელაპტარო და
წყალობავ, ცაზე მისაკმეველო,
დაღლილთა ჩვენთა სულის ნათებავ,
თვალებში ცეცხლად დაუტეველო...

ეს საუკუნე იმ შავ-ბნელ ურჩხულს
ებრძვის და თითქოს ქვეშ მოჰყოლია,
ამ ტკივილებით ამღვრეულ სულში
გარდასულ გრიგალს დაუქროლია...
შენ ჩაგრჩენია ტკივილი გულში
და ეს ტკივილი მთების ტოლია...

მამულის მთებზე დამდგარა ღამე
გაუვლელი და უდასაბამო,
ამ უდაბნოში მზის მცხუნვარება
შენ მოგიჩრდილა სულხან-საბამო,
აქ კლდე-ღრეებში გოდებით დადის
და ცრემლიანად მოსთქვამს საღამო,

მზევ, ბინდებთ რომ ვერ იბინდები,
მთებშიც დიდების მაცნედ წახველი,
რად ჩაინავლა ძველი დიდება,
მზე-ოდითგანვე განუზრახველი
როგორ მჭირდები! გამეღვიძა და
აღმომხდა კვალად შენი სახელი...

შენა ხარ მტერზე ლაშქრის მისევა,
ეს ბრძოლა შენგან დაისწავლება
შენგან ვიაზრე წინაპრისეულ
ფარზე და ხმალზე ხელის წავლება,
წამოდექ, თორემ აქ ქარ-გრიგალში
სამშობლოს ცეცხლი ჩაინავლება.

ჩემო კარგო ქვეყანავ!..

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..
აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია...
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?
წვრილ-შვილნი წამოგესწრნენ ნაზარდნი, ულმტკიცები,
მათის ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,
არ გიმტყუნებენ შენა, თუ-კი მათ მიენდები.
მათის ღვაწლით შეგექმნეს სახე ბედით მთენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?
მათი გული შენისა ტრფობის ფართო ბუდეა,
მათი გულთა ფიცარი შენი მტკიცე ზღუდეა...
ვერ წაბილწავს მათს გრძნობას სიმუხთლე, სიმრუდეა!
მათ თვის მკერდით შეჰმუსრონ მტერთა სიმაგრენია,
ჩემო კარგო ქვეყანავ, მაშ, რად მოგიწყენია?

ილია ჭავჭავაძე

„საქართველოს მოამბის“
სპეციალური გამოცემა

ილია მართლიდან

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ილია
მეორე
(ზიოლაშვილი)

ნიგნი მეორე

ილია მეორემდე

ორ ნიგნად

2017

ეძღვნება
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
დაბადების 85
სასულიერო მოღვაწეობის 60
და
აღსაყრდებიდან 40 წლის
იუბილეს

სპეციალური გამოცემა

შ ი ნ ა ა რ ს ი

რედაქტორის გვერდი

ილია (ნუგზარ) ჩიკვაიძე – მხნე აღმსარებლობით ვთქვათ! 6
სიმონ ჯაფარიძე – იმრავალჟამიერე! (აკროსტიხი) 9

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ბიოგრაფია

ბავშვობა და ყრმობა 11
მშობლები 11
ნათლია 12
სტუდენტობის წლები 13

მომავალი პატრიარქი

როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე
რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე!

აღკვეცა 14
მეუფე ილია (15 წელი ცოტა როდი იყო) 16
აღსაყდრება 18

პირველი ეპისტოლე

საახალწლო ეპისტოლე
უწმინდესის და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა 21
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვა 23

ჩვენი პატრიარქი

მრავალჟამიერ, დიდო მეუფეო!... (მიტროპოლიტი იობის სიტყვა) 25
„თქვენს ფრთებთა ქვეშე“... (მიტროპოლიტი ანანიას სიტყვა
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრების 30-ე წლისთავზე
მსოფლიო პატრიარქის სტუმრობისას) 28

გონებები

მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე) 31
მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) 31
მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე) 31
მთავარეპისკოპოსი სერაფიმე (ჯოჯუა) 32
ეპისკოპოსი ილარიონი (ქიტიაშვილი) 33
ეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი) 33
მთავარეპისკოპოსი ანდრია (გვაზავა) 33
მთავარეპისკოპოსი ისაია (ჭანტურია) 34
დეკანოზი ალექსი (ძამუკაშვილი)
ალავერდის ეპარქიაში 35
ძალიან უბრალო და მოწყალე 35
უწმიდესი მოსკოვში 36
მონაზონი მარიამი (ბერულავა)
პატრიარქი – მლოცველი ღვთის წინაშე 36
არქიმანდრიტი გიორგი (ბასილაძე)
უწმიდესის კაცთაგან დაფარული ღვაწლი 37

პატრიარქი და მცხეთის დედათა მონასტერი

იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი) – მოგონებები 39

ვ უ ლ ო ც ა ვ თ
„მოიმუშაკე უწმინდესო, ღვაწლი კეთილი...“

მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი) – ლექსები 58
არქიმანდრიტი სოგრატი (ჭულუხიძე) – ლექსები 61
დედა პელაგია (ქსოვრელი) – „გმადლობთ უწმინდესო ყველაფრისათვის!“(მოგონებები) 62
იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი) – ლექსები 64
მონოზონი დინარა (ქვარაია) – ლექსი 65
მონოზონი ირინე (ლაგვილავა) – ლექსი 66
მონოზონი ნინო (გრიგოლაძე) – ლექსი 66
მღვდელი ილია (ნუგზარ) ჩიკვაიძე – ლექსები 67
ლია რუსიაშვილი – გილოცავთ მოკრძალებით 68
ირმა ჩაკვეტაძე – ლექსი 69
ემზარ კვიტაიშვილი – ლექსი 69
გიორგი გოცირიძე – უწმიდესსა და უნეტარესს... 70
ბერო კოლხიბერული – გვირგვინოსანი. ესსე 70

ღმერთი, სამშობლო, ადამიანი

ღ მ ე რ თ ი
ერი და ეკლესია

ილია II – ეკლესია სხეულია უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი 73

ეკლესია და სახელმწიფო – პატრიარქი და ქართული სახელმწიფოებრიობა

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საკვირაო ქადაგება. 75

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II სიტყვა თქმული სვეტიცხოველში საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების ხელმოწერაზე (2002 წლის 14 ოქტომბერი) 77

მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ-გიორგი შევარდნაძეს 81

ს ა მ შ ო ბ ლ ო
(„როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“)

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ქადაგება ნიკოლოზობის დღესასწაულზე (წმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი, 19 დეკემბერი 2004 წ.) 82

მის უწმინდესობასა და უნეტარესობას ნიკოლოზს, მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსს, ყოველთა ქართველთა დიდსა კათოლიკოს-პატრიარქსა 83

მსოფლიოს დიდსა მოძღვარსა, სასწაულთმოქმედსა და მსწრაფლშემწესა, მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსსა, წმიდასა ნიკოლოზს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მოკრძალებული თხოვნა (წმიდა ნიკოლოზის ნაწილთა აღმოყვანების დღესასწაული) 84

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოკრძალებული თხოვნა ძლევამოსილსა საკვირველთმოქმედსა, ბოროტის დამთრგუნველსა, დიდსა მოწამესა, წმიდასა ნათელ გიორგის 85

პატრიარქი და აფხაზეთი – უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ქადაგება ჯვართამაღლებას (სიონის საპატრიარქო ტაძარი, 27 სექტემბერი, 2003 წელი) 86

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგება მარიამობის დღესასწაულზე (სიონის საპატრიარქო ტაძარი, 28 აგვისტო, 2008 წ.) 89

ა დ ა მ ი ა ნ ი

პატრიარქი და ქართული ინტელიგენცია

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისათვის – მიმართვა პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებათა, მათ შორის ელექტრონული მედიის წარმომადგენლებისადმი 90
პატრიარქი და ქართული მასმედია (შეხვედრა ჟურნალისტებთან) 91
დიალოგი (თინათინ კობალაძე.,ჯვარი ვაზისა“ 1987 წ.) 93

პატრიარქი და ქართული მწერლობა

უწმინდესისა და უნეტარესის სიტყვა ჟურნალ „მნათობის“ პრეზენტაციაზე 95
თამაზ ჭილაძე – ჟურნალ „მნათობის“ პრეზენტაციაზე 96
უწმინდესისა და უნეტარესის საკვირაო ქადაგება (სიონის საკათედრო ტაძარი, 2000 წელი, 25 ივნისი) 98

პატრიარქი და განათლება

უწმინდესის მიერ მეცნიერებათა აკადემიაში წარმოთქმული სიტყვა 6.02.2005 100
უწმინდესის სიტყვა წარმოთქმული მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 15.04.2005 102
უწმინდესის სიტყვა წარმოთქმული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრად არჩევისას 11.03.2005 103

პატრიარქი და ახალგაზრდობა

უწმინდესის საუბრები სასულიერო აკადემიის სტუდენტებთან 105
უწმინდესისა და უნეტარესის სიტყვა ეკონომიკის უნივერსიტეტში 113
სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის **ილია** II-ის სიტყვა წარმოთქმული ნარკომანიის პრობლემებისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე 115
უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II საკვირაო ქადაგება (სიონის საკათედრო ტაძარი, 10 დეკემბერი) 118

პატრიარქი და მსოფლიო

მსოფლიო პატრიარქის, ყოვლადუწმინდესი **ბართლომეოს** I-ის სიტყვა საპატრიარქო რეზიდენციაში(12 ოქტომბერი 2007წ.) 119
უწმინდესის და უნეტარესის **ილია** II-ის ქადაგება სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე (14 ოქტომბერი, 2007 წ.) 121
მსოფლიო პატრიარქის **ბართლომეოსის** სიტყვა (15 ოქტომბერი, 2007წ.) 123
ბუქარესტის მთავარეპისკოპოსის და რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქის, **დანიელის** მილოცვა 126
აშშ-ს პრეზიდენტ ბუშის მილოცვა საქართველოს პატრიარქისადმი 126

პატრიარქი და ფერეიდნელი ქართველები

უწმინდესისა და უნეტარესის ქადაგება **ნინოობის** დღესასწაულზე 127
უწმინდესის და უნეტარესის სიტყვა ირანში. მაისი. 2001 წ. 128
უცხოელები ჩვენს პატრიარქზე 133
ილია II(სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) – **ყველაფერი კარგად იქნება** 135

უწმინდესი და უნეტარესი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ილია მეორე

მთავარ-ეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა

და

მიტროპოლიტი ცხუმ-აფხაზეთისა

რედაქტორისაგან

უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საიუბილეოდ

მხნე აღმსარებლობით ვთქვათ!

არაფერია უფრო დიდი საუნჯე, ვიდრე მართალი სარწმუნოება, არაფერია უფრო მჭრელი მახვილი, ვიდრე სიყვარული, არაფერია უფრო კურთხეული ფარი, ვიდრე თავმდაბლობა და სასოება.

„გარნა არათუ უბიწოებასა ქართველთა სარწმუნოებისასა ბიწი რაიმე შეჰხებოდა, ნუ იყოფინ ესე! არა გეცრუვნეთ შენ სიწმინდით მშობელო ჩვენო კათოლიკე (საყოველთაო) ეკლესიაო, არცა განგცნეთ შენ სიქადულო ჩვენო, მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელნი ვართ, ვინაიდგან შემეცნებასა შენსა ღირს ქმნილ ვართ, - მოწამე არს ჭეშმარიტება“.

ამ ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვას გვავალებს წინაპართა სისხლითა და ტანჯვით ღვთისადმი შევრდომებული ქვეყანა...

მისი საპატრიარქო მეუფებაც ხომ ნათელმყოფელი დასტურია ამ ხელიხელსაგოგმანებელი სიქადულის სიქადულად წარმოჩენისა.

მის კურთხეულ სახელს უკავშირდება ქართული საეკლესიო ცხოვრების არნახული აღორძინება და ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, სახელმწიფოსთან ეკლესიის ურთიერთობის უმძიმესი ტვირთიც მის მხრებზე ძევს.

მისმა ცხოვრებამ არ იცის „მე“.

მისთვის არსებობს „ჩვენ“ „თქვენ“ და „ისინი“.

ის ერთია და მისი თავისთავადობა ჩვენი სულიერი ყოფის უძლეველი ფარი და მახვილია;

მან შესძლო, თავისი მოთმინებითა და სულგრძელობით მაგალითი მიეცა მათთვის, ვინც დღესდღეობით ცდილობენ, აღიზარდონ და იღვაწონ დიდებულ მოღვაწეთა მაგალითებზე.

მისი საპატრიარქო უღლის სიმძიმე სულთა მანათობელი მზეა, რომლის მიუაჩრდილებელ სიგრილეში წუთისოფლის გზებზე დაღლილ-დამაშვრალი მამულიშვილები შორეულ ქვეყნებში მიმავალი მერცხლებივით ისვენებენ, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაისიგრძეგანონ სამარადისო არსებობა სულისა და მისი გადარჩენის აუცილებლობა.

მისი წინამძღოლობით განხორციელდა ქართული ეკლესიის ფაქტობრივი ავტოკეფალია, მან შესძლო, ეჩვენებინა მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის, როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი აღმსარებელი დღევანდელ ცოდვით დაცემულ მსოფლიოში.

ქართული დღეების სევდა-სიხარულის მოზიარე და თანამდევი, სულის საიდუმლოებათა თავისთავადი მცოდნე და ქვეყნის გადარჩენისათვის თავდაუზოგავი მლოცველი, მრავალჭირნახადი ქვეყნის შვილობაში, ზრუნვასა და მოსაგრეობაში ხალიბის რკინასავით გამოწრთობილი.

მისი უდიდესი დამსახურება ხომ ყველაფერთან ერთად ისიცაა, რომ მან შესძლო უმძიმესი ეპოქალური რყევისთვის მოციქულებრივი მოშურნეობით გაეძლო და ერისა და ეკლესიის ჯვრის მტვირთველობა თავდაუზოგავად და უდრტვინველად ეკისრა;

მისი ღვაწლის ღვთივგამოჩინებული მხარე მეათედიც არ არის იმ ამაგთან შედარებით, რაც ამ კურთხეულ კაცს ქვეყნისა და ერის წინაშე მიუძღვის;

მან მოსეს სიბრძნითა და იობის მოთმინებით გამოიარა უმძიმესი გოლგოთის გზა, ისე რომ ამ ტკივილსა და სიმძიმეზე ერთი სიტყვაც არ დასცდენია.

ვინ იცის რამდენი ლოცვით გათენებული ღამის შუქი დასთამაშებს მის მზე-ჭაღარას;

მისი მანათობელი ღიმილიდან ტანჯვა, ცრემლი და მოთმინება ანათებს. მისი უძილო თვალების სიღრმე უფლის უძირო სიყვარულის ტბაა, საიდანაც სასოება, როგორც ნავსაყუდელი და გადარჩენის მაუწყებელი ბაირაღი, რწმენა, როგორც უძლეველი მახვილი, და სიყვარული, როგორც ფარი საფარველი, მთელი თავისი უუბრალოესი ბრწყინვალებით ბრწყინავს.

ამ ბრწყინვალებით შემკულ და შემოსილ ქვეყანაში, მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი რბევისა, მაინც ისმის „უფალო შეგვიწყალენ“. მაინც დგას საყდარი მეუფისა, რომელზეც ბიბლიური მადლი და მირონი ძველდიდებული დიდებით გადმოსჩქეფს და აპოკალიფსური ეპოქის დაღლილ ბინადრებს ზესთა სოფლის მარადიულობაზე მიანიშნებს.

ამ საპატრიარქო საყდრის ბრწყინვალებისა და თვალწარმტაცი მშვენიერების სიღრმეში უდაბნოელი მწირის ღვაწლისა და ცრემლ-ტანჯული ცხოვრების დანახვა ცოტას თუ ძალუძს.

უდაბნოსა შინა მიმავალო ქვეყნისა მწყემსთმთავარო, ღვთივკურთხეულო მოძღვარო და შორსმჭვრეტელო მესაჭეო ერისაო, სამშობლოს დიდებისათვის დამაშვრალო ჭირისუფალო, მამულის იღბლის მძებნელო და მისთვის სისხლის ცრემლებით მოტირალო, დღეს თქვენგან დალოცვილი და ამაგდადევნებული ქვეყანა, თაობები იზრდებიან, რათა დაიხარჯონ სამშობლო-ქვეყნის შვილობაში, იმ ქვეყნისა, რომელიც თქვენი ცრემლით და სისხლით, ფარული ჯვარცმით გასხივოსნებულა.

... და ჩვენ, 21-ე საუკუნის დასაბამის ქართველობას, ისღა დაგვრჩენია, თქვენივე მამობრივი ზრუნვითა და პატიოსნებით გადარჩენილებმა, უფალს მადლისმიერი ლოცვა-სავედრებელი შევღაღადოთ და თქვენი წმინდა მარჯვენით კურთხეულ-დალოცვილი მიწის შვილობის ბედნიერების განცდით, მხნე აღმსარებლობით ვთქვათ; სახელითა უფლისათა, უწმინდესო და უნეტარესო მეუფეო, გვაკურთხენ!..

ილია (ნუბზარ) ჩიკვაიძე

იმრავალჟამიერე

ერის იმედად მოვლინებულს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს დაბადების 80, მღვდელმთავრობის 50 და აღსაყდრების 35 წლის აღსანიშნავად

„ანგელოზნი აღგიარებენ, ადამეანნი ადიდებენ ღუაწლსა შენსა“...

სტეფანე ჭყონდიდელი, X ს.
(საგალობელი სტეფანე პირველმოწამისა)

ერში მრევლი ამრავლე, რწმენით ვისაც უვლია,
რაც წრფელია — სრულია, გვმართებს სამადლობელი.
ის, რაც იწვის — ანათებს! გული ანთებულია,
საუკუნოდ ნაწვეთი წამით, წამწამთ მსწრობელით...
ისევ გვზრდის და გვენდობა — მიწა გვიწევს დედობას,
მიწა-წილი ღვთისმშობლის, მიწა — უფლის დედული;
ერმა უნდა იეროს, აღარ ენდოს უნდობარს, —
დღემდე ნარ-ეკლიანი გზები გამოვლილია...
აცისკროვნე მზის ჭაღი, ცის თაღზე რომ ჰკიდია!
დიდია ცის სამყარო, ცისარტყელა — ხიდია...
მყინვარწვერის მწვერვალზე მზის სხივები ელვარებს:
ოთხმოცი წლის ნეტარის დიდი იუბილეა!
ვერც უგზობამ შეაკრთო, ვერც გზამ ნარ-ეკლიანმა,
ლაბირინთებს სულისა ჩასწვდა უნეტარესი,
იწვის, სანთლად იღვრება უფლის ხატის წინაშე,
ნუმც დაკნინდეს სიკეთე, ნუმც დამცირდეს დიადი, —
ერის ზვარში დარგულმა ვაზმა უნდა იხაროს!..
ბევრჯერ ითენ-იღამა ზეცამ, საგანთიადომ,
შესასრულო სიბნელე სხივმა გადაგვიკარა,
ლალისფერი სივრციდან ალმა ისევ იალა:
სხივმოსილი გაბრწყინდა ღვაწლი ნაამაგარი...

შესაზღვროა სამყარო,
წამი — წამწამთმსწრობელი!
მზე, ცის საკურთხეველზე,
იწვის ჩაუქრობელი,
ნისლით ნაბადმოსხმული
დიდი ღამის ჩრდილია
ერში თუკი აქა-იქ
სანთელს არ უკიდია, —
სულიერი მოძღვარის
დიდზე დიდი წვლილია
ავბედითი გზები რომ
უკვე გამოვლილია!
ნათლის სვეტთან მნათობის
ერს გაუბა ლარები,
ტაძრის ბჭენი ამაღლდნენ,
ახმიანდნენ ზარები!
რადგან გაღებულია
ეკლესიის კარები,
სინათლემ გაგვინათლა
სულიერი ძალები...

სწამს და ერი გენდობა:
აინთება კელაპტრად
ქართველობის ერთობა
ადრინდელი დიდებით!
რომ იქ, – უფლის წყალობით, –
თავისუფალ სივრცეში
ვიდრე დარნი დარობენ,
ერი დააგუგუნებს
ლილეს – მზის საგალობელს!
ოდეს ტაძარს, სიმტკიცედ,
სალი კლდე აქვს რწმენისა,
კათედრალის აღმართვით
აღგვიდგინე რწმენის გზა!
თავს ჯვრიანი გუმბათის
ოქრო უმკობს კათედრალს,
ლოცვით სხივი უმრავლე
ივერიას – ნათელთა!
კანონთშემოქმედი თუ
ორთაშორის სიმართლეს
სჯის სინდისის სახელით –
პირბასრია იმ განსჯის
ალესილი მახვილი!..
ტვირთმძიმეთა მდინარე
რადგან გასავლელია,
ის გადივლის იოლად,
აზრით ვინც გულწრფელია.
რწმენით ვინც ეზიარა, –
ქვეყნის ხსნის გზა ეძია,
სარგებელი კი არა...
ის რაც იწვის ნათდება
ლამაზ ათინათებად,
იმედების ლაჟვარდებს
აელვარებს ციერი,
მზისქვეშეთის საუფლოს
ემრავალჟამიერე,
ორი ათასწლეული
რომ შეჰკრა საუკუნით!
ეკლესია ზარს რეკავს
საქართველო გუგუნებს!...

სიმონ ჯაფარიძე
თბილისი.
2013 წელი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ბიოგრაფია

სკოლის მოსწავლე
ირაკლი ღუდუშაური–შიოლაშვილი. 1949 წ.

„უფალმა ჩვენ დიდი მადლი მოგვცა დედ-მამის ლოცვით“

— „ჩვენი ოჯახი სულიერი იყო, ძალიან მშვიდი, რაც ოჯახში ვიყავი, არ გამიგონია ხმამაღალი სიტყვა არ დედის, არც მამის, ჩვენ არ ვიცოდით, რა იყო დაყვირება, ასე გავიზარდე, გვქონდა მოწესრიგებული ცხოვრება. შაბათ საღამოს და კვირა დილით მივდიოდით ეკლესიაში, წინა დღეებში ვემზადებოდით ამისთვის, დედა გვაცმევდა სუფთა ტანსაცმელს, შაბათს აკეთებდა საჭმელს, რომ კვირას, ეკლესიიდან დაბრუნე-ბულებს, ყველაფერი გამზადებული დაგვხვედროდა, შაბათ საღამოს მამა დაგვაყენებდა ხოლმე ხატების წინ — კარგი კუთხე გვქონდა ხატებისა, ორი იქაური ხატი ახლაც აქა მაქვს — მამა ზეპირად ამბობდა მთელს ლოცვებს, ერთ-ერთ ჩვენგანს კი ავალებდა, 90-ე ფსალმუნის წაკითხვას, საღამოს ლოცვებში ეს არ შედის, მაგრამ ჩვენ დამატებით ვამბობდით ამ ფსალმუნს. ლოცვის შემდეგ იგი ნაკურთხ წყალს გვასხურებდა და ბავშვებს დასაძინებლად გვიშვებდა“.

ბავშვობა და ყრმობა

ილია (ერისკაცობაში ირაკლი) ღუდუშაური–შიოლაშვილი დაიბადა 1933 წლის 4 იანვარს ვლადიკავკაზში, გიორგი სიმონის ძე ღუდუშაური–შიოლაშვილისა და ნატალია იოსების ასულ კობაიძის კეთილმორწმუნე ოჯახში ღუდუშაურთა გვარი ძველი დროიდან მოდის. ვახტანგ გორგასლის დროს ბრძოლაში თავი გამოუჩენია ვინმე სნოს. მეფეს მისი ვაჟი მოუნათლავს და ღუდუშაური დაურქმევია, ბავშვის სახელზე კი ციხე აუშენებია.

ღუდუშაურები ხევში ცხოვრობდნენ და სახელოვანი ვაჟკაცები იყვნენ. სიმამაცით გამორჩეული ყოფილა შიოლა ღუდუშაური. სწორედ მისი შთამომავალია სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

შიოლა ღუდუშაური VII საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა. იგი ყოფილა მფლობელი ღუდუშაურთა ხეობისა, რომელშიც შედიოდა აჩხოტი და რამდენიმე სოფელი: სნო, ახალციხე, კარკუჩა და მთელი ხეობა.

შიოლა ღუდუშაურის სახელი რომ დარჩენილიყო, მისი პირდაპირი შთამომავლობიდან ზოგიერთმა შიოლაშვილების გვარი მიიღო.

არსებობს გადმოცემა, რომ შიოლა ღუდუშაურის დედა ბაგრატიონი იყო — სამეფო სახლიდან და მას „მეფიანთ ქალს“ ეძახდნენ.

არსებობს ავრეთვე ცნობები ღუდუშაურებისა და ვაჟა–ფშაველას ნათესაობის შესახებ.

მშობლები

უწმინდესისა და უნეტარესის ილია მე–ორის მამა, გიორგი ღუდუშაური, დაიბადა და ცხოვრობდა სნოში. დედა — ნატალია კობაიძე კი სოფელ სიონიდან იყო.



მათ დროებით საცხოვრებლად 1927 წელს ქალაქ ვლადივასტოკში შეიძინეს სახლი და იქ გადავიდნენ. გიორგი ღუდუშაურის ოჯახთან ბევრ სასულიერო პირს ჰქონდა ურთიერთობა, მათ შორის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კალისტრატე ცინცაძეს. პატრიარქი სწორედ მათი ოჯახის საშუალებით ამყარებდა ურთიერთობას ვლადიკავკაზში მცხოვრებ ქართველებთან.

ვლადიკავკაზის ქართული ეკლესია მაშინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იურისდიქციაში შედიოდა. ქრისტეშობის დღეს სწორედ ამ ქართულ ეკლესიაში მონათლეს სამი დღის ახალშობილი და ყრმას, მეფე ერეკლეს პატივსაცემად, ირაკლი დაარქვეს. იგი შიოლაშვილთა ოჯახში მეშვიდე შვილი იყო. იმავე წელს გიორგი შიოლაშვილის ძმასაც ეყოლა ვაჟი, სახელად რაფიელი. მშობიაროობისას გიორგი შიოლაშვილის სახლში ერთი უცნაური შემთხვევა მოხდა: ოთახში მტრედი შემოფრინდა და მშობიარე დედის სარეცელთან მთელი დღე დაჰყო. იმავე დღეს გიორგი შიოლაშვილმა თავის მშენებარე სახლის საძირკველში ბარათი ჩაფლა, რომელშიც ეწერა, რომ მომავალში საქართველოს ეკლესიას ირაკლი ან რაფიელი უწინამძღვრებდა.

ნათლია

საქართველოს მომავალი პატრიარქი კათოლიკოს-პატრიარქ კირიონის ყოფილმა მდივანმა, არქიმანდრიტმა ტარასიმ (კანდელაკი) მონათლა. ბავშვის ნათლია იყო მონაზონი ზოილე (დვალიშვილი).

არქიმანდრიტი ტარასი (კანდელაკი), რომელმაც ქრისტეშობის დღესასწაულზე მონათლა სამი დღის ყრმა ირაკლი ღუდუშაური-შიოლაშვილი, მარცხნივ კათოლიკოს-პატრიარქის ნათლია მონაზონი ზოილე (დვალიშვილი). 1933 წ.

არქიმანდრიტი ტარასი შემდეგში ხელდასხმულ იქნა წილკნის ეპისკოპოსად; იგი დაკრძალულია სვეტიცხოვლის ეზოში. მონაზონი ზოილე კი ჯერ ბედიის, ხოლო შემდეგ მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვარი გახლდათ, შესანიშნავი საეკლესიო მოღვაწე, დიდად მორწმუნე და საღვთო მსახურების საუკეთესო მცოდნე. ნათლიას ხშირად დაჰყავდა თავისი ნათლული სამთავროს მონასტერში.

სწორედ აქ, სამთავროს მონასტერში, შეხვდა ღვთის განგებით ერთმანეთს საქართველოს ორი პატრიარქი — ქართველი ერის სათაყვანებელი კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე და ჯერ კიდევ სამი წლის ირაკლი შიოლაშვილი-ღუდუშაური. პატრიარქისგან პატარას ლოცვა კურთხევა მიუღია.

კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის
მშობლები და ძმები. 1932 წ.
მამა — გიორგი ღუდუშაური-შიოლაშვილი.
დედა — ნატალია კობაიძე.
ძმები — თეიმურაზი, შოთა და ვიქტორი.

გიორგი შიოლაშვილის შვილები თავიდანვე ეკლესიურ გარემოში იზრდებოდნენ. ოჯახი წმიდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიაში დადიოდა. გიორგის შინ ყოვლადწმიდა ღვთის-მშობლის სახელზე მეორე ეკლესია მოუწყვია.

პატრიარქი რამდენიმე საინტერესო ამბავს იხსენებს ბავშობიდან: „ყოველ საღამოს ძილის წინ, მამაჩემი და-ძმებს ხატების წინ დაგვაყენებდა და ლოცვებს წაგვიკითხავდა, ზოგ ლოცვას ჩვენც გვაკითხებდა, მაგალითად, 90-ე ფსალმუნს აუცილებლად რომელიმე ჩვენგანს გვათქმევინებდა, შემდეგ ნაკურთხ წყალს გვასხურებდა და დასაძინებლად გაგვიშვებდა, თვითონ კი ლოცვას აგრძელებდა და იმით ამთავრებდა, რომ ყოველთა წმიდათა ქართველთა ხატის წინ მუხლს იმდენჯერ მოიყრიდა, რამდენი წმინდანიცაა გამოხატული ამ ხატზე და ყოვე-

სალოცავი კუთხე მშობლიურ სახლში

ლი მათგანისგან ლოცვა-კურთხევას ითხოვდა". კეთილმორწმუნე ოჯახში გამორჩეულად და განსაკუთრებით აღნიშნავდნენ აღდგომასა და შობას. აი, რას იხსენებს პატრიარქი: „აღდგომა და შობა ჩვენი ოჯახისათვის უმთავრესი დღესასწაული იყო. მთელი ოჯახი სიხარულით ემზადებოდა მათ შესახვედრად, განსაკუთრებით ეს აღდგომას ეხებოდა. მზადდებოდა ნამცხვარი, საჭმელი. ჩვენ ძალიან მკაცრად ვინახავდით მარხვას და ხსნილში ოჯახში დიდი მზადება, რაღაც განსაკუთრებული სიხარული სუფევდა. დედაჩემი ძირითადად სურსათზე ზრუნავდა, აღდგომიდან დაწყებული მთელი ერთი კვირის მანძილზე, დღე და ღამე სულ გაშლილი იყო მაგიდა და ჩვენთან ძალიან ბევრი სტუმარი მოდიოდა.

აღდგომა ღამეს ვესწრებოდით წირვა-ლოცვას. არ მახსოვს ჩვენთვის ხელი შეეშალოს ვინმეს. ჩვენი ოჯახი ძალიან მშვიდი და წყნარი იყო. თავდაპირველად წმიდა ილია წინასწარმეტყველის ტაძარში ვესწრებოდით ღვთისმსახურებას, ეს საკმაოდ შორს იყო ჩვენი სახლიდან. შემდეგ, როცა ჩემმა მშობლებმა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი გახსნეს ჩვენს ქუჩაზე, იქ დავდიოდით.

ეკლესიიდან რომ გამოვდიოდით, მამაჩემი პირველად შევიდოდა თავის უმცროს ძმასთან, იქაც, რა თქმა უნდა, სუფრა იყო გაშლილი და ამბობდა, ჯერ უმცროსთან უნდა აღინიშნოს და მერე უფროსთანო. თავად უფროსი იყო, მიულოცავდა ძმას და ამის შემდეგ ორივე ოჯახი ჩვენთან იკრიბებოდა, სადაც დიდი ზეიმი და გალობა იყო. სტუმართა შორის განსაკუთრებით ბევრი იყო მათხოვარი. მამა-ჩემი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმ საკითხს, ამ დღეს გაჭირვებულები და უპოვრე-ბი აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ ჩვენს ოჯახში და აუცილებლად უნდა დაგვეპურე-ბინა და გვემასპინძლა მათთვის. მათაც ძალიან უხაროდათ ჩვენთან მოსვლა. იყო კიდევ ერთი ასეთი საოცარი რამ: როცა მზეს ვუყურებდით, უფროსები გვეუბნებოდნენ, აი, მზე ბრწყინავს, გამოანათებს თავის სხივებს და ხედავთ, მზეც კი ხარობს და აღნიშნავს ამ დღესასწაულსო"...

სტუდენტობის წლები

1952 წელს ირაკლი შიოლაშვილმა ვლადი-კავკაზის 22-ე საშუალო სკოლა დაამთავრა და სწავლა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში გა-ნაგრძო, რომელიც სერგიევ პოსადში (მაშინდელ ზაგორსკში) მდებარეობს. სასულიერო სემინარია პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა და, როგორც საუკეთესო სტუდენტი, სასულიერო აკადემიის პირველ კურსზე ჩაირიცხა.

სტუდენტი ირაკლი შიოლაშვილი

იმ დროს წმინდა სამების მონასტრის წინამძ-ღვარი იყო მომავალში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი.

მიმავალი პატრიარქი

როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე!

აღკვეცა

24 წლის ასაკში 1957 წლის 16 აპრილს, კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისის ალექსანდრე ნეველის ტაძარში სასულიერო აკადემიის II კურსის სტუდენტი ბერად აღკვეცეს. ბერად აღკვეცის საიდუმლო შეასრულა ეპისკოპოსმა ზინობიმ (მაჟუგა) და ბერს სახელად ილია უწოდა.

თავად პატრიარქი ასე იხსენებს ალექსანდრე ნეველის ეკლესიას: „ეს ტაძარი განსაკუთრებულია პირადად ჩემთვის იმიტომ, რომ აქ, 1957 წელს, ღვთის განგებითა და უწმიდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით, მეუფე ზინობიმ ბერად აღმკვეცა. ამ პერიოდის ახალგაზრდებს შორის მე ვიყავი პირველი ბერი. ჩემი აღკვეცის დროს წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში ქართველი თითქმის არავინ იყო, რუსი მონაზვნები ბრძანდებოდნენ. იქ ერთი მონაზონი გახლდათ, თეოფალია, რომელმაც გადამაფარა თავისი მანტია და ასე მომიყვანეს ამბიონთან. ეს იყო ძალიან მძიმე დრო ეკლესიისთვის. მოგეხსენებათ, რა ვითარება იყო ეკლესიაში საბჭოთა პერიოდში და შინაგანმა ბრძოლამაც არ დააყოვნა.

მე ვიყავი სულ 24 წლის ახალგაზრდა. ქართველთაგან არავინ იყო იმ პერიოდში ბერად აღკვეცილი და რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის ძალიან მძიმე იყო. ჩემი აღკვეცა მოხდა აღდგომის წინ, ვნების შვიდეულის სამშაბათს. სუთშაბათს კი უკვე უნდა მომხდარიყო ჩემი დიაკვნად კურთხევა სიონის საპატრიარქო ტაძარში.



იეროდიაკონი ილია. 1957 წ.

„მახსენდება ის დღე, როცა წმინდა ილია წინასწარმეტყველის სახელი მეწოდა. საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი მაშინ უწმინდესი და უნეტარესი მელქისედეკი ბრძანდებოდა. მან მეუფე ზინობს დაურეკა და უთხრა: „დღეს თქვენთან მოვა სტუდენტი და აღკვეცეთ ბერად.“

მახსოვს, როდესაც აღკვეცის შემდეგ მეუფე ზინობმა უწმიდეს მელქისედეკთან მიმიყვანა, უკვე შემოსილი, პატრიარქი სიხარულს ვერ მალავდა, ასე მითხრა: „შენისთანა ათი რომ მყავდეს, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ იქნებოდაო.“

იმავე 1957 წლის 18 აპრილს სიონის საპატრიარქო ტაძარში ბერი ილია ხელდასხმულ იქნა იეროდიაკვნად, ხოლო 1959 წლის 10 მაისს წმინდა სერგის მონასტრის ლავრაში იეროდიაკონი ილია მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმინდესი ალექსი I-ის მიერ ხელდასხმულ იქნა მღვდელ-მონაზვნად.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
უწმინდესი და უნეტარესი მელქისედეკ III
1952-1960 წ.წ.

მღვდელმონაზონი ილია. 1959 წ.

უწმინდესი და უნეტარესი ილია II ყოველთ-ვის დიდი სიყვარულით იხსენებს სემინარიისა და აკადემიის პედაგოგებს.

ჯერ კიდევ აკადემიაში სწავლის დროს, მეოთხე კურსზე მღვდელ-მონაზონმა ილიამ დაწერა საკანდიდატო შრომა: „ათონის ივ-ერიის მონასტრის ისტორია“, — რისთვისაც ღვთისმეტყველების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. იმავე 1960 წელს დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია პირველი ხარისხის დიპლომით, რის შედეგადაც აკა-დემიის საბჭომ, როგორც საუკეთესოთა შორის საუკეთესოს, საპროფესორო სტიპენდიანტად დარჩენა შესთავაზა. მას საშუალება ეძლეოდა, ლექციები წაეკითხა სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში, მაგრამ უწმინდესისა და უნ-ეტარესის ეფრემ II-ის კურთხევა სხვაგვარი იყო:

მღვდელმონაზონ ილიას სამშობლოში უნდა დაეწყო მოღვაწეობა. მან უარი თქვა საპატიო კარიერაზე, სამშობლოში დაბრუნდა და ბა-თუმის საკათედრო ტაძარში მღვდელმსახურად გამწესდა.

არქიმანდრიტი ილია. 1963 წ.

ამავე 1960 წლის 19 დეკემბერს აღყვანილ იქნა იღუმენის, ხოლო 1961 წლის 16 სექტემბერს — არქიმანდრიტის ხარისხში.

1963 წელს, ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში, როცა რუსეთში ხუთი სემინარია, მრავალი ტაძარი და მონასტერი დაიხურა, უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ საქართველოში სასულიერო სასწავლებლის გახსნა მოახერხა, რომელსაც, მეტი სიფრთხილისათვის, „საღვთისმ-

შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია. 1965 წ.

ეტყველო კურსები“ დაარქვეს. სწორედ ამ „საღვთისმეტყველო კურსების“ პირველ დირექტორად დაინიშნა არქიმანდრიტი ილია.

1963 წლის 26 აგვისტოს, კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის მიერ საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავართა თანამწირველო-

ამდროისათვის საქართველოში მოქმედი ერთადერთი სასულიერო სასწავლებლის — მცხეთის სასულიერო სემინარიის პირველი რექტორი, ეპისკოპოსი ილია. 1965 წ.

მეუფე ილია

15 წელი ცოტა როდი იყო.

თქვენი აზჰით, ჰა ა̆ჰის სამშობლო? მე მახსენდება უწმინდესისა და უნეტაესის _ ეფჰემის ქადაგებიდან სიტყვები: „ქა̆ჰთელი მინა ჰომ ა̆ილო და გამოსნოვო, სისხლი გამოჭყვებაო“. ეს საოცა̆ჰი სიტყვები დამამახსოვჰდა.

მა̆ჰთლაც, ჰა ა̆ჰის სამშობლო, ჰატომ გვიყვა̆ჰს იგი? ჰატომ ძგა̆ჰს ასე ძლიეჰად გულში? ამის ახსნა თითქმის შეუძლებელია... ვფიქჰობ, ეს სიყვა̆ჰული გენებით გადმოდის ჩვენში... მახსოვს ბავშობაში ჰოგორ გვა̆ჰიგებდა დედაჩემი: „ჰაც უნდა გაგიჭიჰდეთ, საქმე-სასმელის საშოვჰად უცხოეთში ა̆ჰ ნახვიდეთ, სამშობლო ა̆ჰ დატოვოთო. თქვენ ის ულელი უნდა ზიდოთ, ჰაც ღმეჰთმა ჩვენ ხა̆ლხს დაა̆ჯისჰაო“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-სთან ერთად. 1965 წ.

ბით, არქიმანდრიტი ილია ხელდასხმულ იქნა ბათუმ-შემოქმედელ ეპისკოპოსად და დაინიშნა პატრიარქის ქორეპისკოპოსად.

აჭარაში შვიდი წლის მოღვაწეობის შემდეგ, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, 1967 წელს იგი ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად გადაიყვანეს. 1969 წელს აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში. მირტოპოლიტმა ილიამ სოხუმში 11 წელი დაჰყო.

ამავდროულად იგი მოღვაწეობდა ქართული ეკლესიის მღვდელმსახურთა ახალი კადრების მომზადების სფეროში, იყო სასულიერო სემინარის პირველი რექტორი — 1963 წლიდან 1972 წლამდე.

1972 წელს ჯილდოდ მიიღო მეორე პანაღიის ტარების უფლება, ხოლო 1977 წელს — უფლება სკუფიაზე ჯვრის ტარებისა.

1977 წელს გარდაიცვალა უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V (დევდარიანი). 1977 წლის 9 ნოემბერს, წმინდა სინოდის განჩინებით, პატრიარქის მოსაყდრე გახდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია.

1977 წლის 23 დეკემბერს თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში გამართულმა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მე-12 საეკლესიო კრებამ განიხილა ახალი კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის საკითხი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ დავით V-სთან ერთად. 1976 წ.

აღსაყდრება

მიტროპოლიტი ილია ერთხმად იქნა არჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად და ეწოდა ილია II. ილია I საქართველოს ეკლესიას მართავდა 390-400 წლებში.

1977 წლის 25 დეკემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქო ტახტზე, რომელიც ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელისაგან იღებს დასაბამს, ახალი პატრიარქი იქნა აღყვანილი: ღვთის განგებით, მცხეთის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა ახალი კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრება.

1977 წლის 25 დეკემბერი. მცხეთა. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი. საქართველოს XII საეკლესიო კრების მიერ ახლადარჩეულ უპირველეს იერარქს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქთა ისტორიულ მიტრას ადგამს ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი (ცერცვაძე), მარჯვნივ მანგლელი ეპისკოპოსი გიორგი (ღონღაძე).

„ვიდრე ვცოცხლობ, მუდამ ჩემს თვალწინ იქნება ის უხილავი და მაინც ხილული ტახტი, რომელზეც მეუფის ძლიერმა მარჯვენამ ამიყვანა. ჩემს გულზე წარუშლელად წერია ის მოვალეობანი, რომელნიც მისმა უსაზღვრო მოწყალებამ დამაკისრა“, — ბრძანა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

* * *

გავიდა 30 წელი და აი, ის არასრული ჩამონათვალი, რაც ჩვენი პატრიარქის მწყემსმთავრულ მოღვაწეობას უკავშირდება:

1990 წელს უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ხანგრძლივი და დაუღალავი შრომით მსოფლიოს საპატრიარქომ მიანიჭა მტკიცების სიგელი, რითაც აღდგა ისტორიული სამართლიანობა და მთელმა მართლმადიდებელმა სამყარომ სცნო საქართველოს უწმიდესი ეკლესიის ავტოკეფალია.

კათოლიკოს-პატრიარქის მოღვაწეობის პერიოდში საქართველოს ეკლესიის წმინდათა დასს მრავალი წმიდანი შეემატა:

წმინდა ილია მართალი (XIX-XX-ს);

წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე (XX-ს.) ალექსი ბერი (შუშანია) (XX-ს);

წმინდა მიტროპოლიტი ნაზარი სამღვდელო დასთან ერთად (XX-ს);

წმინდა ნინოს მშობლები — ზაბულონი და სოსანა (IV-ს);

წმინდა თევდორე კველთელი (XVII-ს);

წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე ოქროპირიძე (XIX-ს);

წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) (XIX-ს);

წმინდა ცოტნე აღმსარებელი (XIII-ს);

აჭარაში თურქთაგან წამებულნი მამანი და დედანი (XVIII-ს);

პერტე I (V-VI) — პეტრე I წამებული;

წმ. მეფის, ვახტანგ გორგასლის თანამოღვაწე კათოლიკოსი, სამუელ I (IX-ს) — სვეტიცხოვლის განმაახლებელი, საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქი;

ზოსიმე II — ეპისკოპოსი კუმურდოელი (XV-ს) დიდი მოღვაწე, ჰიმნოგრაფი და მქადაგებელი;

კლარჯეთის უდაბნოს ღირსნი მამანი და დედანი (XIX-ს);

მღვდელმონაზონი თევდორე აჭარელი (XVIII-XIX-ს) — ათონის მთაზე ოსმალთაგან ქრისტეს სარწმუნოებისათვის წამებული;

მღვდელ-მონაზონი ილარიონ ქართველი (ყანჩაველი) (XVIII-XIX-ს) — იმერეთის მეფის,სოლომონ II-ს მოძღვარი;

აბუსერიძე ტბელი (XVIII-ს) ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, ჰიმნოგრაფი და ჰაგიოგრაფი;

საქართველოს მთლიანობისთვის თავდადებული, ექვთიმე თაყაიშვილი (XIX-XX-ს) დიდი მეცნიერ და მოღვაწე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთვის მოღვაწე, ეროვნული საგანძურისა და სიწმინდეების გადამრჩენი, უღმთოთაგან დევნილი;

კირიონ II (საძაგლიშვილი), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (XIX-XX-ს) — გამოჩენილი საეკლესიო და ეროვნული მოღვაწე, მკვლევარი, საქართველოს ეკლესიის აღდგენისთვის დევნილი, მოწამეობრივად აღსრულებული;

იღუმენი ექვთიმე (კერესელიძე) — ქართული საეკლესიო გალობის მოამაგე; არქიმადრიტი იოანე (მაისურაძე) და არქიმანდრიტი გიორგი (მხეიძე) სქემაში იოანე — ათეისტურ პერიოდში საქართველოს ეკლესიაში მოღვაწე მამები;

მეფე ვახტანგ III, როგორც სამშობლოსათვის თავდადებული;

წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის მოძღვარი, გიორგი ჭყონდიდელი;

ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზი (წერეთელი);

გაენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე (შარვაშიძე);

იმერეთის მეფე სოლომონ II — სამშობლოსათვის თავდადებული;

დიმიტრი ყიფიანი — სამშობლოსათვის წამებული;

„წმინდა მოწამე ქართველნი, სპარსეთში მოწყვეტილნი“ (XVII-XVIII);

„სარწმუნოებისა და საქართველოსთვის დუდიკვათსა და პაპათში მოწყვეტილნი წმინდა ლაზი მოწამენი“ (XVII-XVIII).

1988 წელს მისი უწმინდესობის თაოსნობით მცხეთის სასულიერო სემინარია გადმოიტანეს თბილისში და დაარსდა თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია. საუკუნეთა შემდეგ კვლავ აღდგა გელათის სასულიერო და მეცნიერებათა აკადემიები. საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში გაიხსნა მრავალი სასულიერო სასწავლებლები, გიმნაზიები, სხვა და სხვა საერო უნივერსიტეტებში დაარსდა საღვთისმ-

ეტყველო კათედრები, სადაც ლექციებს კითხულობენ თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულნი.

2001 წლიდან ეთერშია საპატრიარქოს რადიო „ივერია“, რომლის მაუწყებლობა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, აფხაზეთში. საპატრიარქოში ფუნქციონირებს ახალგაზრდული ორგანიზაცია „ლაზარე,“ რომელიც სოციალურად დაუცველ ფენებს უწევს დახმარებას, დაარსდა მოხუცებულთა თავშესაფარი, მოწყალების სახლი. კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, გაიხსნა ობოლ ბავშვთა სახლები ძეგვში, ბედიანში და ზესტაფონში, სადაც მონასტრები მფარველობენ მზრუნველობას მოკლებულ ყმაწვილებს. გაიხსნა ახალგაზრდობის სულიერებისა და კულტურის ცენტრი, სადაც ყოველდღიურად ტარდება სხვა და სხვა ხასიათის ლექციები. დაარსდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფონდი, რომლის ხელშეწყობითაც უამრავი საქველმოქმედო აქცია, კონფერენცია, ფესტივალი თუ სხვა ღონისძიება იმართება, პატრიარქის ფონდის დახმარებით განახლდა ჟურნალ „ცისკრისა“ და „მნათობის“ გამოცემა. გაიხსნა ტელეკომპანია „ივერია“. დაარსდა გალობის უმაღლესი სკოლა, სასულიერო აკადემიის ბაზაზე გაიხსნა სხვადასხვა ინსტიტუტები.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მოინახულა საუკუნეთა მანძილზე სამშობლოს მოწყვეტილი ფერეიდნელი ქართველები. აღსა-ნიშნავია, რომ ისტორიული ძნელბედობის გამო, საქართველოს სხვა პირველიერარქებს მანამდე ამგვარი შესაძლებლობა არ ჰქონიათ. პატრიარქმა ილია II-მ ასევე აქტიური ურთიერთობა დაამყარა თურქეთში, საინგილოსა და მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართველებთან.

კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, საქართველოში გაიხსნა ეკლესიები და მონასტრები, აშენდა ახალი ტაძრები.

ცნობისათვის: 30 წლის წინ საქართველოში მხოლოდ 48 მოქმედი ეკლესია იყო, დღეს მათი რიცხვი 1000-მდეა. 30 წლის წინ 40-მდე სასულიერო პირი გვყავდა, დღეს 1000-ს აღემატება. საქართველოს ეპარქიათა რიცხვი 40-მდე გაიზარდა. აღდგა ტაო-კლარჯეთის ისტორიული ეპარქია და დაარსდა ახალი — დასავლეთ ევროპის მიტროპოლია.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დაჯილდოებულია მსოფლიოს საპატრიარქოს, იერუსალიმის, ალექსანდრიის, რუსეთის, ბულგარეთის, სერბეთის და თითქმის ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი. ნიუიორკის სასულიერო აკადემიამ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს ღვთისმეტყველების დოქტორის წოდება მიანიჭა. ასეთივე ხარისხი მიანიჭა 1997 წელს მას კრეტის მეცნიერებათა აკადემიამ.

ივი არჩეულია მოსკოვის ინფორმატიზაციის აკადემიის წევრად, 2002 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა უნივერსიტეტმა საპატიო დოქტორისა და პროფესორის წოდება მიანიჭეს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, რაც საქართველოს ისტორიაში კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოღვაწეობას უკავშირდება. 2002 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დაიდო საკონსტიტუციო შეთანხმება, რითაც აღდგა ისტორიული სამართლიანობა და განისაზღვრა ეკლესიის ადგილი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და ღვაწლით თბილისში აშენდა და 2004 წლის 23 ნოემბერს იკურთხა წმინდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარში, როგორც ქართველი ერის ღვთისაგან სინანულით მოქცევის სიმბოლო.

სერგო ვარდოსანიძის ფიგნიდან

პირველი ეპისტოლე

საახალწლო ეპისტოლე უწმიდესის და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ყოვლად სამღვდელო მწყემსთმთავრებს, პატიოსან მღვდლებს, ღირსეულ მღვდელ მონაზონებს, ქრისტეს მიერ დიაკვნებს, ყველა პატიოსან მსახურს ეკლესიისას. ჩვენს სამშობლოში და უცხოობაში მცხოვრებ ქართველ ხალხს, კეთილ მორწმუნე მთელ სამწყსოს ჩვენსას:

მშვიდობა თქვენ ყველას და მადლი ღვთიური დიდი სიყვარულისა, ქრისტეს მიერო ჩემო შვილებო!

ძველი წლის წასვლა და ახალის მოსვლა ჩვენგან მოითხოვს ერთგვარ ანგარიშს, თვალთ გადავლებას, ღვთისა და ერის წინაშე. ჩვენც შევასრულოთ ეს მოთხოვნა შეძლებისამებრ: ძველი წლის წასვლით და ახალის მოსვლით ჩვენ გადავდგით კიდევ ერთი კარგი ნაბიჯი ჩვენი დიდი მომავლისაკენ.

მარჯვე იყო ეს ნაბიჯი გასული წლისა, მშვიდობა სუფევდა ჩვენს ხალხში და ჩვენს მიწა წყალზე, საეკლესიო ზარების ხმა ისმოდა ყველგან. ქართველი ხალხი შრომობდა მედგრად სხვა ძმებთან და მოყვასთან ერთად, ოფლი აწვიმდა მიწას და დაზგებს, მაგრამ ეს ოფლი იყო არა ჭირის და იძულების, არამედ ლხენის, სიხარულის და დოვლათის დაგროვებისა, ეს ოფლი იყო ნაბიჯი წინ – არჩეულ გზაზე.

სკოლები და ინსტიტუტები ზრდიდნენ შვილებს ჩვენი ქვეყნისა, საზღვრებს იცავდნენ თავდასხმისგან ჩვენი შვილები... მეცნიერება მიიწევდა სინათლისაკენ, კეთდებოდა ყველაფერი ის, რაც სჭირდება ძმობას, სიყვარულს და აღმავლობას. ასეთი იყო ჩვენი ძველი კეთილი წელი. ახლა ახალი წელი გვარგუნა ღმერთმა ნათლისამ და სასოებისამ. კვლავ გველოდება გაზაფხული შრომისა და აყვავებისა. მე გისურვებთ, ჩემო სულიერო შვილებო, დიდ ძალოვანებას თქვენი სულისა და ხორცისას, რომ კიდევ მედგრად გადადგათ თქვენი მადლიანი და შეუპოვარი ნაბიჯი, კაცობრიობის უკეთესი მომავლისაკენ! მე გისურვებთ, ჩემო ღირსეულო თანამორწმუნენო და თანამემამულენო, ნათელ გონიერებას, რომ თქვენი ფიქრი არ განშორდეს მშვიდობაზე ზრუნვას, ვინაიდან მშვიდობის გარეშე ოფლი კი არ იღვრება სასიცოცხლო დოვლათის დასაგროვებლად, არამედ სისხლი და მწუხარება ყველაფერი იმის წარსაწყმედად, რასაც აგროვებს გარჯისა და მშვიდობის წლები.

1977 წლის 25 დეკემბერი. მცხეთა. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი. საღმრთო ლიტურგია.

უფალი ჩვენი და ღმერთი ჩვენი, იესო ქრისტე, მშვიდობისა და სიყვარულის გზით მოგვიწოდებდა მუდამ სიარულს „რამეთუ ესე არს მცნება ჩემი, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქვენ, უფროჲსი ამისა სიყუარული არავის აქუს, რაჲთა სული თჳსი დასდვას მეგობართა თჳსთათჳის“ (იოანე, 15, 12-13).

მე გისურვებთ, რომ მარად გულში გქონოდეთ ეს „მცნებაჲ“ ჩვენი ღმერთისა და მაცხოვარისა. მე შევთხოვ უფალს, რომ მწუხარება და შეშფოთება კი არ მოფენოდეს ჩვენს მშობლიურ მიწას ამ ახალ წელს, არამედ დიდი სათნოება, სარწმუნოება და სიყვარული. მე ვუსურვებ ჩვენს მხნე, სისხლსავსე ახალგაზრდობას, რომ მთელი

აზრითა და მონდომებით გაჰყოლოდეს სწავლისა და განათლების გზებს და ბილიკებს, ვინაიდან უსწავლელისათვის ძნელი არის აზრის ამოცნობა იმ სისავსისა, რომელიც შექმნა შემოქმედმა თავისი განუზომელი ძლიერებითა და უკვდავი მარჯვენით, და რომელსაც დღეს ჩვენი მატერიალური სამყარო წარმოგვიდგენს ჩვენთვის.

მე ვუსურვებ ცხოვრების სარბიელზე გამოსულ ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, რომ მომავალ წელში შექმნან პატიოსნებითა და სიყვარულით აღსავსე ოჯახები, ნუ დავივიწყებთ, რომ სიყვარული პატიოსნების გარეშე არ არსებობს, და პატიოსნება უსიყვარულოდ ობლის ხვედრს იტანს, ოჯახის შექმნას კი ერთიც სჭირდება და მეორეც, სიყვარულიცა და პატიოსნებაც.

მე ვუსურვებ ყველა მორწმუნესა და არა მორწმუნეს, რომ შრომა და ურთიერთსიყვარული ყოფილიყოს უპირველესი წყარო მათი ბედნიერებისა.

ნუ დაივიწყებთ ჩემო საყვარელო, ქრისტეს მიერო შვილებო, რომ სიამაყეს, სხვის დაჩაგვრასა და სიმდიდრის მოხვეჭას, განდიდება არ მოაქვს ადამიანისათვის „რამეთუ ეგევითარნი უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა არა ჰმონებენ, არამედ თჳსსა მუცელსა, და ტკბილად მეტყუელებითა მით და კურთხევითა აცთუნიან გულნი უმანკოთანი“ (1. რომ. 16, 18). თქვენ თავმდაბლობა განგადიდებთ, სიყვარულისა და ურთიერთპატიების უმანკო გრძნობა აამაღლებს თქვენს სულსა და პატიოსნებას. ესეც გახსოვდეთ, რომ პირველი მაგალითი თავმდაბლობისა და სიყვარულისა ადამიანებს მაცხოვარმა ჩვენმა უჩვენა, როდესაც თავისი

ჯვარცმის წინადღეს, მასთან მყოფ მოწაფეებს მისას, ფეხები დაბანა.

მე ღმერთსა ვთხოვ უცხოობაში მყოფ ჩვენს თანამემამულეთა სიცოცხლესა და ბედნიერებას. ვუსურვებ, რომ მისცემოდეთ მათ სურვილი და ღვთიური მადლი სამშობლოში დაბრუნებისა, ვინაიდან „სამშობლო, დედის ძუძუ არ გაიცვლების სხვაზედა“ (რაფიელ ერისთავი).

მაშ, ამაღლდით რწმენით, სიკეთით და პატიოსნებით ჩვენი ერის ტკბილო შვილებო! შევსთხოვოთ უფალს, რომ მოიტანოს ახალმა წელმა ჩვენი ხალხისა და სამშობლოსათვის ახალი სიბრძნე და ენერგია, ახალი წინსვლა, ახალი დიდი ნაბიჯები უკეთესი მომავლისაკენ, ახალი წყაროები და ნაკადულები აღმავლობისა, ახალი ზვრები და ბაღნარები, ახალი სკოლები და განათლების კერები, ახალი სითბო, ახალი სიტკბო, ახალი სუნთქვა სასოებით და აღტაცებით.

ღმერთი ხომ იცვლის ყველაფერ გარეშემოს როგორც სამოსს და თავად კი წლები არ აკლდება, ასევე თქვენც ახალ წელში ყველაფერი ძველი და უვარგისი, თქვენი შრომის შედეგად ახლით და უკეთესით შეგეცვალოთ, ჩემო საყვარელო სამწყსოვ, თქვენ კი გაზრდილიყოთ, გამრავლებულიყოთ და წლები არასოდეს არ მოგკლებოდეთ, ღვთის წმიდა სულით უკვდავება მონიჭებულებს.

დიდება და მზეგრძელობა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, სარწმუნოებას, შრომის, სიყვარულისა და სიკეთის გზით. წინ - უკვდავებისაკენ, ღვთისმშობლის ხვედრი, ჩვენი კურთხეული მიწის შვილებო!

„მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი თქვენ ყოველთა თანა, ამინ“! (1. რომ. 16, 24).

ილია II.
კათოლიკოს-პატრიარქი
სრულიად საქართველოჲსა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვა

1977 წლის 23 დეკემბერი. თბილისი. სიონის საკათედრო ტაძარი.
საქართველოს ეკლესიის XII კრება.
ახლადარჩეული
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

საოცრებამდე უსაზღვროა განგება ღვთისა. არც მის მოწყალებას აქვს საზღვარი. ჭეშმარიტად, ამ განგებამ და მოწყალებამ დააყენა თქვენს წინაშე ჩემი სიმდაბლე, როგორც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მამამთავრისა.

მე შეგნებული მაქვს ის უმძიმესი და, ამავე დროს, საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს, ღვთის ამ წმიდა ტაძრის თაღებ ქვეშ დამაკისრა მაღალმა ღმერთმა.

მუხლს ვიხრი მისი ძლიერების წინაშე და თაყვანს ვცემ მარადიული ნათლით მოსილ ხსნებას მისას.

თავს ვიხრი საქართველოს ეკლესიისა და მისი მრევლის - ქართველი ერის წინაშე, რომელსაც სასოებით უნდა ემსახუროს ჩემი ძალი და ჩემი გონება: უნდა ემსახროს იმ სარწმუნოებით, რომლის დაცვისა და შენარჩუნებისათვის, დაწყებული მცხეთაში მაცხოვრის კვართის მოტანიდან, ზღვა სისხლი გაიღო რიცხვით მცირე ჩვენმა ერმა. ქართველი ერი და ქართული ეკლესია მუდამ ერთად იყვნენ ჩვენი სამშობლოს ყველა ძნელბედობის ჟამს.

ქართველ ერს დღემდე შერჩა ცხოვრების ორომტრიალისაგან გამობრძმედილი მრავალმხრივი შინაგანი ენერგია. ჩვენი ვალია, გამოვავლინოთ მასზე ღვთით მინიჭებული ეს დიდი მადლი და შევეცადოთ, რომ ხალხმა სასახელოდ გამოიყენოს იგი, ქრისტეს მოძღვრება, რომელიც თავად მოძღვარმა საკუთარი სისხლით დაწერა, და სისხლით დაიცვა ჩვენმა ერმა, ისევე ძვირფასი და ისეთივე გზის მაჩვენებელია დღეს ჩვენთვის, როგორიც იყო წარსულში. ქართველმა ერმა დღესაც სარწმუნოების მადლითა და ღვთისაგან მინიჭებული ენერგიით უნდა იბრძოლოს მშვიდობის, სიკეთისა და დიდი მომავლისათვის. სარწმუნოების სიყვარული ქართველი ერისა, მისი სულიერი ენერგიიდან გამომდინარეობდა

და იმავე ენერგიით უნდა შეიცნოს დღევანდელმა ქართველმაც "ახალი აღთქმის" სიბრძნე. ამ სიბრძნით შეიარაღებულმა ისწავლოს, იშრომოს და იცხოვროს, რომ მის ცოდნას და ცხოვრებას ღვთის ზეგარდმო ნათელი ადგეს და ამავ კურთხეული ქვეყნიდან ემზადებოდეს მომავალი, მარადიული ცხოვრებისათვის.

ჩვენს ერში მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება, როგორც ყოველთვის, ახლაც იქნებს ჩვენი ეკლესიის საქმიანობის პირველი საზრუნავი.

ჩვენი მომავალი საქმიანობა ვრცელი და მრავალმხრივი უნდა იყოს. აქ უმთავრესი აღვნიშნე მხოლოდ. მაგრამ ცოტა რამ სხვა საკითბზეც უნდა ვთქვათ...

ჩვენ ვემსახურებით სიკეთეს... წარმოუდგენელია ქრისტიანი სიკეთის გარეშე... ვერც სიყვარული, ვერც სასოება ვერ იარსებებს სიკეთის გარეგან. ვერც სათნოება და ვერცა მშვიდობა ვერ დამყარდება კაცთა შორის, სიკეთის გარეშე. სიკეთის მადლი უნდა დამკვიდრდეს და განმტკიცდეს ჩვენს ერში. და არა მარტო ჩვენს ერში! უკეთურობა უნდა მოვსპოთ. სიკეთის ნათელი უნდა უძღოდეს მუდამ ჩვენს საქმიანობას.

უნდა შევეხო შრომის საკითხსაც... შრომის გარეშე წარმოუდგენელია ადამიანის ცხოვრება. ვერც მშვიდობას მოვიპოვებთ შრომის გარეშე, ვერც სარწმუნოებას განვიმტკიცებთ, ვერც სასოებას მოვუმზადებთ რაიმე საფუძველს, ვერც სიყვარულს მივწვდებით. დიდი ილია ჭავჭავაძე თავის „აჩრდილში" კავკასიონის თეთრი მთებიდან ადიდებდა შრომის სუფევას და ჩვენი მიზანი უნდა იყოს, ისე ავამაღლოთ მოყვასთა სულიერი სისპეტაკე, რომ შრომა ყველასათვის მომავლისა და სასოების წყაროს წარმოადგენდეს.

ჩვენ, იმისათვის, რომ ღვთიური გზით წარვმართოთ წმიდა ეკლესიის მომავალი საქმიანობა, შინაგანი მთლიანობა გვჭირდება. ასეთი მთლიანობის აუცილებლობა აწუხებდა ალბათ მოციქულ პავლეს, როდესაც კორინთელებს მისწერა: „ხოლო გლოცავ თქვენ, ძმაო, სახელითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რაითა მასვე იტყოდით ყოველნი, და ნუ იყოფინ თქვენ შორის წვალებაი, არამედ იყავით განმტკიცებულნი მითვე გონებითა და მითვე მეცნიერებითა" (I კორინ. 1, 10). იქ, სადაც მთლიანობა ირღვევა, ირღვევა ერთმანეთის სიყვარულიც, ძირი ეთხრება სასოებასაც, სუსტდება სარწმუნოებაც. გამთიშველობა იგივე ცოდვა და ბოროტებაა და ჩვენი წმიდათაწმიდა ვალია, არ დავუშვათ ასეთი ბოროტება. ჩვენ მუდამ ერთად უნდა ვიყოთ, მამამთავარი და მღვდელმთავრები, პატიოსანი მღვდლები და ყველა მსახური ეკლესიისა; ჩვენს გარშემო კი, ჩვენთან ერად უნდა იდგეს ყველა მორწმუნე ქრისტიანი. და როდესაც არამორწმუნე დაინახავს ასეთ მთლიანობასა და სიმტკიცეს, ისიც მოაკითხავს ჩვენს ურღვევლობას, ეზიარება იმ სიბრძნეს, რომელსაც მაცხოვარმა „ახალი აღთქმა" უწოდა.

მაშ ასე, შრომასა და ბრძოლაში გამობრძმედილო, ქრისტეს სჯულის ერთგულო ძვირფასო სამწყსოვ!

შევთხოვოთ ღმერთს, რომ წარგვიძღვეს წინ... რომ ქართული ეკლესიების ზარების რეკვა, წინანდებურად ომისა და უბედურების მაცნე კი არ ყოფილიყოს ჩვენი ერისთვის, არამედ სარწმუნოების, სასოების, სიყვარულის, შრომისა და სიკეთის წეიმისა. „მადლი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღმრთისა და მამისა, და ზიარებაი სულისა წმიდისაი თქუენ ყოველთა თანა, ამინ" (2 კორინ. 13, 13).

ჩვენი პატრიარქი

მრავალჟამიერ, დიდო მეუფეო!..

მიტროპოლიტი იობის სიტყვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრების 25-ე წლისთავზე

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, წმიდა სინოდის მღვდელმთავარნო, თქვენი აღმატებულებავ ბატონო პრეზიდენტო, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის შვილნო.

უძლურ არს ენა ჩემი გამოთქმად იმ ზენა სიხარულისა, რასაც მოუცავს დღეს ივერიის ეკლესია და სრულიად საქართველო.

„სიყუარული სულგრძელ არს და ტკბილ“ (კორ. 13,4) – ბრძანებს წმიდა მოციქული პავლე და ჭეშმარიტად, იმ დიდი სიყვარულის თანმდევი სიტკბოებით ვართ აღვსილნი, რომელიც უფლის მიერ ჰგიებს ჩვენს შორის და რომელსაც ახლა განსაკუთრებულად შევიგრძნობთ. ეს სიყვარული თქვენ შეგვასწავლეთ, უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, და დღეს, როდესაც ერი და ბერი პირველად ვდღესასწაულობთ XXI საუკუნის ღირშესანიშნავ წმიდა სამების საკათედრო ტაძარში თქვენი უწმიდესობის საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრების ოცდამეხუთე წლისთავს, თქვენდამი უღრმესი მადლიერების გამორჩეული განცდა გვეუფლება, რამეთუ თავმდაბლობით და მორჩილებით დაჰყევით მოწოდებას უფლისა ჭეშმარიტების გზაზე წარ-გვძღოლოდით ქართველთა ღვთივკურთხეულ ერს, ვითარცა მიუძღოდა მოსე უდაბნოდან გამომავალ ღვთივრჩეულ ისრაელიანთ, აღიღეთ ჯვარი იგი უმძიმესი და სწორედ თქვენი თავმდაბლობისამებრ მოგაგოთ სახიერმა უფალმა ძალა და მადლი, სიყვარული და სიბრძნე ღვთიური, რათა წლების მანძილზე უღმრთოების ბნელეთში მსხდომნი „მაღალი ხელის“ შემწეობით ბნელეთიდან გამო-გეყვანეთ და მამის წიაღში დაგებრუნებინეთ. და აი, თქვენზედ გაცხადდა თქმული იაკობ მოციქულისა: „მდაბალთა მოსცის მადლი“ უფალმან.

საუკუნის მეოთხედი შეერთვა დროის სრაფმავალ დინებას დღიდან თქვენი აღსაყდრებისა და ამ ხნის მანძილზე დაუღალავი შემართებით აღასრულებთ

ყოვლადწმიდა სამების მშენებარე ტაძარი.
25 დეკემბერი. 2002 წელი

ღვთიურ მისიას, რომელშიც გაერთიანებულია არა მხოლოდ კათოლიკოს-პატრიარქის, არამედ მირონცხებული მეფის უწმიდესი და უდიდესი მოვალეობანი წინაშე ღვთისა და წინაშე ერისა, რამეთუ მოსე წინასწარმეტყველის მიერ უდაბნოდ აღპყრობი-ლი ორი ხელი, წმიდა მამათა განმარტებით, მოიაზრება ერის უფალთან ზეაღმყვანებელ ორ ფრთად – მეფედ და პატრიარქად. დღეს კი საქართველო მირონცხებული მეფის

გარეშეა და ამ უკანასკნელის უხილავ ჯვარსაც საკუთარი მხრებით ეზიდებით გოლგოთის ეკლიან აღმართზე, ეზიდებით თავმდაბლობით, სიყვარულით, მოთმინებით და თქვენს მიერ განვლილი გზის შემყურეთ თქვენივ სიტყვები გვახსენდება: „ჭეშმარიტებასთან წილნაყარ კაცზე დიადი არაფერია“.

და თუმცა, ღვთის ნებით, “გაბრწყინდა ნათელი თქუენი წინაშე კაცთა“, ჩვენს გონებას არ ძალუძს ბოლომდე ჩაწვდეს სიმძიმეს თქვენი სასულიერო და საერთო მამამთავრული მოღვაწეობისა, თქვენი ეპისტოლენი არა მარტო წყაროა სულიერად დამაშვრალთათვის, მათში მრავლადაა ღვთივგონიერი დარიგებანი საერო ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მოწესრიგებისა და კეთილად წარმართვისათვის. თქვენი მოღვაწეობა, გარდა პატრიარქობისა, ზოგად სახელმწიფოებრივ დატვირთვას იძენს და ვითარცა წმიდა დავით მეფემ შეაჩერა განმადიდებელნი მისნი სიტყვებით: „უფალი მეფობს“. თითქოს გსურთ დაფარულ-ჰყოთ თვალთაგან ჩვენთა მეფური ღვაწლი თქვენი, ძალზედ ხშირად აღნიშნავთ, რომ მეფობს უფალი, მაგრამ ამ მნიშვნელოვან დღეს ჭეშმარიტად ეგების ხმამაღლა გიწოდოთ სრულიად საქართველოს მეფე-პატრიარქი.

და რომ მადლობა არ შევწიროთ არსთა განრიგეს ჩვენი ეკლესიის წინამძღვრად თქვენი დადგინებისა გამო, ქართველი ხალხი იმ უმადურ ცხრა კეთროვანს მივემსგავსებით, რომლებიც უფლის მადლით განიწმიდენ კეთრისაგან და არკი ადიდეს უფალი.

ვმადლობთ და ვადიდებთ უფალს, რამეთუ ყოვლაწმიდა სამების შეწევნით, წყალობათა მისთა სასომყოფელმან, შეძელით იმ კეთრისაგან განგეწმიდათ სულიერი ორგანიზმი ჩვენი ერისა, რომელიც მას ღვთისმგმობელთა ათეისტურმა პროპაგანდამ შეჰყარა.

“ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღის“ (მთ. 7, 11) - ბრძანებს მაცხოვარი და თუმცა ჩვენი ბაგენი ვერ შემძლებელ არიან ჯეროვნად და სრულად წარმოაჩინონ ნაყოფნი თქვენი ოცდახუთ-წლოვანი წინააღმდეგობებით სავსე მწყემსმთავრული მოღვაწეობისა, თვით თქვენს მიერ აღსრულებული საქმენი მოწმობენ თქვენს შესახებ. თქვენი ბრძნული მამამთავრობით “ღამე იგი განგვეშორა და დღე შემოგვეახლა“ (რომ. 13, 12) ფეხზე წამოიმართა და სულიერად გაძლიერდა ივერიის ეკლესია, აღზევდა მტერთა ზედა და აწ უკვე გაძლიერებულმა და აღორძინებულმა შეაბიჯა მესამე ათასწლეულში. მეორე ათასწლეულის პირველ საუკუნეში წმიდა მელქისედეკ პირველმა განაახლა სვეტიცხოვლის დიდებული ტაძარი, რომლის დიდებულება თვით მასში დაკრძალული უფლის წმიდა კვართის მადლით ვერ წალეკა ყოვლისმომსვრელმა დრომ, ამავე ათასწლეულის ბოლო საუკუნისა და მესამე ათასწლეულის დასაწყისში ქართველმა ხალხმა თქვენი ლოცვა-კურთხევით დაიწყო მშენებლობა ყოვლაწმიდა სამების ბრწყინვალე საკათედრო ტაძრისა, ტაძარი, რომელიც უხმოდ ღაღადებს წმიდა ილია მართლის სიტყვების ჭეშმარიტებას: “ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და მკერდზე, როგორც კლდეზე, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი. ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ, კირად ჩვენი სისხლი. და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი“.

და როგორც სვეტიცხოველის, ნიკორწმინდის, ბაგრატის ტაძრის, ატენის, ბედიის, წვიმოეთის და სხვათა და სხვათა ეკლესია-მონასტერთა მშენებლობა წინ უძღვოდა საქართველოს გაერთიანებისა და გაძლიერების დიად ეპოქას, ვსასოებთ ქერუბიმთა და სერაბიმთა ზედა აღმატებულ ჩვენს ზეციურ მფარველს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელ დედას, რომ მიუხედავად ერის სულიერი თუ ფიზიკური შეჭირვებისა, თქვენი

საქართველოს პატრიარქი მეუფე იობთან და მეუფე დიმიტრისთან ერთად.

პატრიარქობის პერიოდში ტაძარ-მონასტერთა აღმშენებლობის სასწაულებრივი ზრდა, რომელიც ჯერეთ არ ახსოვს საქართველოს ეკლესიის ისტორიას, მართლმადიდებლური სარწმუ-ნოების სვეტად აღმართული წმიდა სამების უმშვენი-ერესი ტაძარი იქნება დასაწყისი სრულიად საქართველოს გამთლიანებისა და სულიერი გაბრწყინებისა. ჭეშმარიტად ამ ნათელი მომავლისკენ მიგყავთ ჩვენი ერი და ვითარ არ შეისმენს მაცხოვარი ღვთის ნების აღმასრულებელი ერის ჯვარისმტვირთველის გულმხურვალე, სიყვარულითა და თავმდაბლობით სავსე ლოცვით სიტყვებს: „როდესაც წუთისოფლის ბნელ გზაზე დაღლილნი და გზააბნეულნი შევჩერდებით და აღარ გვეცოდინება, საით წავიდეთ, მოგვმადლე ცხოვრებისეულ ქარიშხალში შენი ნათელი სახის ხილვა და შენი გამამხნევებელი ხმის გაგონება: „მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“.

და აი, შეიწირვის წმიდა ლოცვა ესე წინაშე ღვთისა, და კარგად ვგრძნობთ ივერნი, რომ „ჩუენ თანა არს“ უფალი. თქვენი ღვთიური სიბრძნის, გამჭრიახობისა და შორსმჭვრეტელობის შედეგია ღვთის მადლის ჩვენთან მყოფობა. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ თქვენი ლოცვა-კურთხევით, ოდენ ქართველი ერი აღავლენს ღვთისადმი თქვენს მიერვე შედგენილ შვიდგზის ლოცვებს, ვითარცა ბრძანებდა დავით წინასწარმეტყველი: „შვიდგზის დღესა შინა გაქებდე შენ“ (ფს. 118, 164) და ამ ერთობლივი ლოცვის ძალა გვეწევა და გვაძლიერებს განსაც-დელთა ქარიშხალში.

ასევე შედეგად თქვენი ღვთიური სიბრძნით, სიყვარულითა და თავმდაბლობით გაჯერებული მოღვაწეობისა, საქართველოს ეკლესიამ კვლავ აღიდგინა დაკარგული ავტოკეფალია, ხოლო სულ ორიოდე თვის წინ ქართველმა ხალხმა თავისი უდიდესი დღესასწაული – სვეტიცხოვლობა გაორმაგებული სიხარულით აღნიშნა, რამეთუ ამ დღეს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის დაიდო კონსტიტუციური შეთანხმება, რაც ძალზედ მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი და მთელი ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ წინ გადადგმული ნაბიჯია.

მობაძვამან ღვთისამან, მიაპყართ სასმენელნი თქვენნი ღვთის სიტყვებს და ბრძენქმნილი აღასრულებთ მცნებებს უფლისა. არც წმიდა დავით მეფის მოწოდება დაივიწყეთ: „რამეთუ მეუფე არს ყოვლისა ქუეყანისა ღმერთი. უგალობდით მას მეცნიერებით“ (ფს. 46, 8) და ჭეშმარიტად, მეცნიერებითაც განადიდეთ უფალი.

„ღვთაებრივი საიდუმლოს აღქმას ჩვენ შეგვიძლია მივუხლოვდეთ შინაგანი სულიერი გამოცდილების მეშვეობით, სადაც მთავარი მნიშვნელობა ენიჭება რწმენასაც და ცოდნასაც. ცოდნა და რწმენა განუყრელადაა დაკავშირებული და ავსებს ურთიერთს... მთავარია, ჩვენ არ დავკარგოთ კავშირი მასთან, ვინც წარმოადგენს რწმენისა და ცოდნის წყაროს“ – გვმოძღვრავთ ერთ-ერთ ეპისტოლეში და ამ დარიგების ზემოქმედების ძალა ერის სულიერ-ზნეობრივი ამაღლებისა და ინტელექტუალური განვითარების მიზნით თქვენს მიერ განხორციელებულ საქმეებშია, მადლითა ღმრთისათა და მომუშაკებითა თქვენითა, დღეს საქართველოში მოქმედებს სასულიერო აკადემიები, სემინარიები, გიმნაზიები, აღსდგა მემატიანეს მიერ „სხუად ათინად“ და „მეორე

იერუსალიმად“ წოდებული გელათის აკადემია. დიდი ყურადღება ეთმობა საღვთისმეტყველო ლიტერატურის გამოცემას. სარწმუნოებასა და ცოდნას შორის წლების მანძილზე არსებული ზღვარი იშლება. საფუძველი ეყრება მეცნიერების გასულიერებასა და სარწმუნოების ცოდნით განმტკიცებასა და ამაღლებას.

თქვენ, როგორც სამწყსოზედ ერთგულად მზრუნველმა სულიერმა მამამ, კარგად უწყით სისუსტე ქართველთა ზედმეტად მგრძნობიარე ბუნებისა და ხშირად სიყვარულით შეგვახსენებთ ცოდნის შეძენისა და ღრმა ფილოსოფიური აზროვნების უნარის გამომუშავების აუცილებლობის შესახებ, თუკი გვსურს ნაკლები შეცდომებით ვიაროთ წუთისოფლის რთულ გზაზე და თუმცა თქვენი შეგონების ვერ მიმღებელი ქართველი ერი ემოციათა მომძლავრების გამო დიდ განსაცდელთა წინაშე წარვმდგარვართ, აროდეს მიგიტოვებივართ და უდრტვინველად აგიზიდავთ მხართა ზედა სიმძიმე ჩვენი ურჩობისა. რაოდენ დიდი ტკივილი იქნებოდა თქვენთვის 9 აპრილი, ეროვნული დამოუკიდებლობის გრძნობის აღზევებამ ვეღარ შეგვაძლებინა ყურად გვეღო თქვენი სიყვარულით სავსე მოწოდება უფლის წმიდა სახლში შევსულიყავით და ერთობლივი ლოცვა აღგვევლინა მოსალოდნელი სისხლისღვრისაგან თავის დასაღწევად, მაგრამ თქვენ იქ დარჩით იმ სისხლიან წუთებში, ნუგეშად ერთ მუშტად შეკრულნი ჩვენი ერისა. ეს ხომ თავგანწირვის ტოლფასი იყო! გმადლობთ ყველაფრისათვის.

უწმიდესო მეუფეო,

თქვენი სულიერი წინამძღვრობის ოცდახუთი წელი თვეებად და დღეებად აკინძული მრავლისმთქმელი წიგნია, რომლის თითოეული გვერდი უფლის სადიდებლად, საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერის აღმავლობისათვის თქვენს მიერ გაწეულ უდიდეს ღვაწლზე მოგვითხრობს. „წრფელთა შვენია ქება“, მაგრამ ვითარ მოვძებნოთ სიტყვანი საქებრად ჩვენი უწმიდესი მამამთავრისა? ოდენ მოკრძალებითა და მადლიერებით ვიხრით ქედს ხატად ღვთისად ქმნილი თქვენი მხცოვანი წმიდა სახის წინაშე და სიყვარულით გილოცავთ დღეს სულიერ მამად ღვთისმიერ დადგინებისა.

შევთხოვთ ყოვლადწმიდა სამებას კვლავ მრავალი წელი ჰყოს ხელთა თქუენთა დედო ზარი ივერიის უძველესი სამოციქულო ეკლესიისა. ზარი, რომელიც არ ცხრება მოხმობად ყოველთა: „მოვედით და ვიდოდით ნათელსა უფლისასა“.

უფალმან ღმერთმან ცხოვრებისა ჩვენისამან მოიხილოს შეწევნად თქუენდა ამას ჟამსა შინა წუთისოფლისასა და მერმისსა მათ საუკუნეთასა, ამინ!

„თქვენს ფრთებთა ქვეშე“...

მიტროპოლიტ ანანიას სიტყვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ი ლ ი ა II-ის საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრების 30-ე წლისთავზე მსოფლიო პატრიარქის სტუმრობისას

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, 2007 წლის 14 ოქტომბერი

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო,
თქვენო ყოვლადუწმინდესობავ,
თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ,
თქვენო უნეტარესობავ,
თქვენო უნეტარესობავ, მაღალყოვლადუსამღვდელოესნო მეუფენო,
მამანო, ძმანო, ქრისტეს მიერ საყვარელო შვილებო,

მრავალი ჩვენგანი მოწმეა იმისა, რომ მისმა უწმინდესობამ ამ 30 წლის წინ ჩაიბარა უცხო ქვეყნის მპყრობელობის შედეგად დამცრობილი ეკლესია, მატერიალურად უნივთო, ნაკლოვანი და ქანცმილეული, ათეისტ მმართველთა მძლავრობით დაშინებული სულ რამდენიმე ათეული სამღვდელო პირით, და აი, გავიდა 30 წელი და ჩვენ ვხედავთ, თუ რა წარმატებებით შეეგება ჩვენი ეკლესია ახალ

ათასწლეულს, როგორც ფსალმუნშია ნაბრძანები – „ვითარცა ორბისა განახლდა სიჭაბუკე მისი“, ის ფრთებს ისწორებს, რათა ბუდიდან აფრინდეს და მიწიდან ზეცამდე სულიერად აღამაღლოს ქართველი ერი.

ერთ ძველ, საუკუნეთა წინანდელ ხელნაწერში, ჩვენი ეკლესიის დამაარსებელი შედარებულია არწივს და დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, თქვენ,თქვენო უწმინდესობავ, გაგიშლიათ არწივის ფრთები და თქვენს ფრთებთა ქვეშე იკრებთ სრულიად საქართველოს ერს, ყველა მართლმადიდებელს – განურჩევლად მისი ენთიკური წარმომავლობისა, ყველა მოქალაქეს, დიდსა თუ მცირეს, ქვეყნის მმართველებს, პიროფლიან სოფლის მუშაკებს, რომელთა ლოცვა ახლოს არის უფრო უფალთან, თქვენ იკრებთ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს, სამშობლოს მცველ ჯარისკაცებს, ახალ თაობას, იმედსა და მომავალს ერისა.

თქვენ ჭეშმარიტად ბრძანდებით მამა სამშობლოისა.

დღევანდელ დღეს შეუძლებელია არ გავიხსენოთ წარსული, როგორც ფსალმუნშია ნაბრძანები - (ვიგონებდი ადრინდელ დღეებს, გარდასულ წლებს“ (ფსალ. 76-6). ანდა ‘ჩავუკვირდები ყველა შენს ნამოქმედარს და შენს საქმეებზე ვისაუბრებ“ (ფსალ. 76,13).

თქვენი ყოველდღიური საქმით და სიტყვით იყავით და ხართ ჭეშმარიტი მოძღვარი და მასწავლებელი, წმინდა ეტალონი, არა მხოლოდ სულიერ-ეკლესიურისა, არამედ ყოფითისა, ეთიკისა თუ ესთეტიკისა. ყველა ჩვენგანმა, მცირედან დიდამდე, ყველაფერი თქვენგან შეისწავლა, უფრო სწორად თუ ვიტყვით – უნდა შეისწავლოს, რადგან თქვენ უკვდავი საღმრთო მაგალითი ბრძანდებით – წყალობისა და ქველის საქმისა, ლოცვისა და მარხვისა. როგორც იტყვიან, ვინ აღრიცხავს თქვენს სახიერებას ზეცათა მამის გარდა?

რამდენი ახალი ეკლესია, მონასტერი და საეპისკოპოსო შემატეთ უფლის საწყმსოს, რამდენი წინაპართა მიერ წამოწყებული, მაგრამ ამჟამად დავიწყებული საქმე განაახლეთ, რამდენი სიკეთის მიზეზად იქცა თქვენი სიტყვა და ზრახვა.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრ ივერიას, ანუ სრულიად საქართველოს, მრავალი დიდი წინაპარი ჰყავდა, როცა ვათვალიერებთ მათ მატიანეებს და ვადარებთ თქვენს მაგალითს, ჩვენს თვალწინ ამომზეურდება წმინდა კეთილმსახური მეფის – დავით აღმაშენებლის ცხოვრება. მე ვფიქრობ, სწორედ ესაა თქვენი სულიერი წინაპარი, მასზე ბრძანებს მემატიანე - ‘დიდნი საქმენი, ღმრთისაგან ოდენ შესაძლებელი, ადვილად წარმართა“, - ჩვენი ერი ელის, რომ, გაკეთებულის გარდა, თქვენ კიდევ მრავალს შესძლებთ, მაგრამ გაკეთებული საქმეები, რომელიც თქვენ აღასრულეთ, გარედან შეხედვით ადვილად, მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ რაოდენი თქვენი დიდი შრომა დასჭირდა მათ წარმართვას, ჭეშმარიტად, ღვთისგარეშე შეუძლებელთ.

წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის მსგავსად, თქვენ გააქვთ მტკიცე ხელი. 30 წლის წინანდელ ქაოტურ სასულიერო დასში დაინერგა წესიერება და კანონი და თქვენი მორიდებითა და კრძალვით ვერავინ იკადრებს უწესო სვლას. პატიოსნება და ღირსება თავის ადგილს იმკვიდრებს. მონასტრები, საეპისკოპოსოები და ეკლესიები წესითა და რიგით აღასრულებენ საღმრთო მსახურებას.

საქართველოს ეკლესიის მეთაურთაგან ერთ-ერთი რჩეულის, კირიონ I-ის კათოლიკოსობის დროს, 1400 წლის წინ, VIIს. დასაწყისში, ჩვენი ქვეყნის სპარსთა მიერ მფლობელობისას, აშენდა ჯვრის წმინდა მონასტერი. იმ ეპოქაში მონოფიზიტებმა ისიც კი შეძლეს, რომ ჩვენი მრევლის ერთი ნაწილის ეკლესიებში ღვთისმსახურებმა სომხურ ენაზე დანერგეს დამპყრობელთა მხარდაჭერით. ქართული ენის დასაცავად ხმა აიმაღლა კარიონ I-მა. მართალია,

საქართველოს პატრიარქი
ბერად ჰკვეცს ანანია ჯაფარიძეს.
გასული საუკუნის 70-იანი წ.წ.

პირადად მას ძვირად დაუჯდა, მაგრამ მან შეძლო და აღუდგინა ქართველ ერს ქვემო ქართლში ქართულენოვანი წირვა-ლოცვა, კირიონის მსგავსად დღესდღეობით ქართული ენის დაცვა, თქვენო უწმინდესობავ, თქვენი ზრუნვის საგანია. მისი უფლებები მსგავსადვე შეიბღალა XIX-XX სს-ში რუსული იმპერიის წიაღში და თქვენ კვლავ უბრუნებთ ქართულ ენას თავის ნამდვილ სამეცნიერო სახელს, ადგილსა და ღირსებას, თქვენი დიდი წინაპრის მსგავსად იცავთ ენას, რომელსაც თვით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მფარველობდა წმინდა ილარიონ ქართველისა და წმინდა ექვთიმე მთაწმინდელის ცხოვრების მიხედვით. ჩვენ ეს ასევე ვიცით ასურელ მამათა ცხოვრებიდან, როცა მათ, მოციქულთა მსგავსად, სულიწმინდის მიერ ერთ წამში, "წამისყოფით ზეციდან შეისწავლეს" ქართული ენა. კირიონის ჟამის მსგავსად, დღესაც ესაჭიროება ქართულ ენას დაცვა მფარველობა.

საქართველოს ეკლესიის მეთაურთაგან ერთ-ერთი რჩეულის, კათალიკოს კირიონის მიერ აგებული ჯვრის მონასტრის 1400 წლისთავზე, რომლის მშენებლობა IV ს-ში რევ მეფის დროს დაიწყო და VII ს. დასაწყისში დამთავრდა, ჩვენ სიამაყით ვიხსენებთ კირიონის სიტყვებს - "რჯული იერუსალიმიდან გვაქვს" გამოთქმულს მონოფიზიტებთან კამათისას; კათალიკოსი ამით ბრძანებდა, რომ მართლმადიდებლობა თვით მოციქულთაგან გვაქვს მიღებული. იერუსალიმი იმჟამად ქართველთა რელიგიური კერა იყო, რადგანაც იერუსალიმში არსებული ათეულობით ქართული ეკლესიიდან და მონასტრიდან იღებდა საქართველო სულიერ ძალას. სამწუხაროდ, იერუსალიმის სიწმინდეები ბოლო საუკუნეებში დაკარგა ქართულმა ეკლესიამ, მაგრამ კირიონის მსგავსად, ჩვენმა უწმინდესმა პატრიარქმა აქაც გადადგა პირველი ნაბიჯები და ჩასახა იმედი, რომ არა მხოლოდ იერუსალიმისა და ათონის წმინდა მთაზე, არამედ სინას მთაზეც ქართული ეკლესია აღიდგენს წარსულის დიდებას და ლოცვით მომავალს.

მართლაც, თქვენი პატრიარქობის პირველ წლებში, სინას მთაზე თქვენი ლოცვა წინ უძღოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ეს უდიდესი მადლი – ეროვნული, დამოუკიდებელი სახელმწიფო – სწორედ თქვენი პატრიარქობის ჟამს მიმადლა უფალმა ქართველ ერს. ასევე თქვენი ლოცვით და შრომით დაგვირგვინდა თითქმის თანაფარდი – ავტოკეფალური მოძრაობა.

თქვენი ბუნებითი საქმე სიყრმიდანვე იყო ლოცვა და თქვენ ქართველ მორწმუნე ერს აჩუქეთ შვიდგზის ლოცვის ჩვევა, რათა დღეში შვიდჯერ ადიდონ უფალი; ამ საყოველთაო ლოცვამ ააღორძინა სარწმუნოება, ხელახლა მოაქცია აჭარა და სრულიად საქართველო.

ჩვენ ამჟამად ვდგავართ ადგილზე, სადაც მეფე მირიანის ბაღი იყო გაშლილი, აქ წმინდა ნინომ იხილა ბაბილო-მაღლარი ვენახი, რომლის ნაყოფი იყო ფრიადი, ფურცელნი მშვენიერნი, მისი ტოტები ქვეყნის კიდემდე იყო გადაშლილი, ხოლო რტოებში ივანებდნენ ქვეყნიერების სხვადასხვა მხრიდან მოფრენილი ცის ფრინველები, ასევე დღევანდელ დღეს თქვენ გარშემო შემოკრებილა ქვეყნიური ანგელოზები – მსოფლიო პატრიარქი და მართლმადიდებელი მღვდელმთავარები, საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის წევრები, პატიოსანი მამები, ერი და ბერი.

თქვენი ღონიერი წინამძღოლობით მჯერა, თქვენ აფხაზეთშიც – ივერიის პატრიარქების უძველეს ბიჭვინთვის კათედრაზე დადგებით და ილოცებთ ერთიანი საქართველოსათვის, ბიჭვინთიდან, სადაც უფალ ღმერთს 1000 წლის მანძილზე ქართული ენით ადიდებდნენ მწირველი მამები.

საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდი შესთხოვს უფალ ღმერთს თქვენს ხანგრძლივ, მრავალჟამიერ სიცოცხლეს. მადლიერი სამწყსო, სამწყსო იმ ეკლესიისა, რომელიც 30 წლის წინ ჰპოვეთ სიმდაბლედ შთასული და თქვენი მძლავრი მარჯვენით კი აღამაღლეთ უფლის შეწევნით,

ღმერთმა ინებოს თქვენი მრავალჟამიერი სიცოცხლე, ამინ.

მიგონებები

ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის
მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე):

— რაც სასულიერო პირი ვარ, ყოველთვის მაქვს უწმინდესთან ურთიერთობა, მასთან შეხვედრისას მუდამ მეუფლება მოწიწების გრძნობა, უდიდესი იმედი...

მართალი გითხრათ, ეპისკოპოსობის დიდი სურვილი არ მქონია, მაგრამ ქრისტიანობა ხომ მორჩილებაა. როცა ბერობას გადაწყვეტს კაცი, შემდეგ დანარჩენი ყველაფერი მორჩილებაზეა დამოკიდებული; რასაც დაგაკისრებენ, ის უნდა შეასრულო, მეც ვცდილობ, მორჩილებით ვატარო ის ჯვარი, რომელიც უწმინდესმა დამაკისრა, პატრიარქმა ეპისკოპოსად კურთხევის დროს ასე დამმოძღვრა: — იყავი მორჩილი ღვთის მიმართ, მორჩილებით და სიყვარულით დამწყსე მრევლი.

სიყვარული და მორჩილება — პატრიარქის ეს სიტყვები სამუდამოდ დამრჩა გულში...

მანგლისისა და წალკის
მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე):

— უფალმა ჩვენს ერს მართლაც რომ საოცარი მადლი მოუვლინა უწმინდესი პატრიარქის ილია II-ის სახით.

უწმინდესთან სიახლოვისას ადამიანი შინაგანი სიხარულით ივსება იმდენად, რომ ხშირად ავიწყდება თავისი ყოველდღიური საწუხარი და იმსჭვალება ნეტარების, კმაყოფილებისა და სიხარულის გრძნობით. მახსენდება პირველი შეხვედრები პატრიარქთან. უწმინდესი სულ ახალნაკურთხი პატრიარქი იყო. თუ არ ვცდები, 1979 წლის გაზაფხული იდგა. იმჟამად ვმუშაობდი ინჟინრად ერთ-ერთ საკავშირო მნიშვნელობის დაწესებულებაში — კავშირგაბმულობის ცენტრში, რომელიც ქალაქგარეთ მდებარეობდა და აღჭურვილი იყო უამრავი აპარატურით. იმჟამინდელმა ქორეპისკოპოსმა, აწ განსვენებულმა მეუფე შიომ მე, როგორც მორწმუნე და ეკლესიის მოყვარული ახალგაზრდა, უწმინდესთან წარმადგინა. მაშინ სიონის ტაძრის მრევლი ვიყავი და არ ვაცდენდი უწმინდესის წირვებსა და ქადაგებებს. ვფიქრობ, რომ უწმინდესმა მრევლში შემამჩნია. პირველად შეხვედრის დროს უწმინდესმა ასაკი მკითხა. ოცდაათი წლის ვარ-მეთქი. ჩვენმა მაცხოვარმაც ამ ასაკში დაიწყო თავისი ღვაწლი და შენც დროა შეუდგე სასულიერო მოღვაწეობასო, — მომიგო.

უწმინდესის ახლოს ისეთი საოცარი, სანეტარო სიხარულით აღვივსე, რომ ვერც ვგრძნობდი, სად ვიყავი. უწმინდესი მეკითხებოდა, ჩემი ყურადღება კი ამ დროს მიმართული იყო მისი უმშვენიერესი მოხატული დარბაზისკენ, მისი პიროვნებისკენ, მის გარშემო მსხდომი ეპისკოპოსებისკენ. ასე რომ, პასუხის გაცემასაც ვაგვიანებდი. ეპისკოპოსები მიხვდნენ, დაბნეული ვიყავი და მახსენებდნენ, რომ დასმულ კითხვაზე პასუხი გამეცა. ვფიქრობ, იმჟამად ჩემში რაღაც დაინახა უწმიდესმა და მომცა ლოცვა-კურთხევა, დამანებებინა სამსახურისთვის თავი (რაც მე შინაგანად ძალიან მინდოდა) და მოვსულიყავი ეკლესიაში. ამის შემდეგ მალე კვლავ მქონდა ბედნიერება, შევხვედროდი უწმინდესს. მან ისევ მომცა კურთხევა, სასულიერო პირი გავმხდარიყავი.

ამ შეხვედრების მერე თავი სამოთხეში, ნეტარებაში, ნათელ ბურუსში მეგონა.

მას მერე გავიდა 28 წელი და დღესაც, როცა უწმინდესს ვხვდები, იმასვე განვიცდი, ვმშვიდდები და ვუახლოვდები იმ მდგომარეობას, რომელსაც გრძნობენ ნეტარებისას.

მადლობა უფალს, რომ უწმინდესი კვლავ ერის მამაა და ამ ხნის განმავლობაში მას თავისი ძლიერება არ დაუკარგავს.

მაგალითად, ახლახან, როცა უწმინდესს მოახსენეს, რომ, როგორც 100 წლის წინათ, მტრები ცდილობენ ქართველი ერის დაშლა-დაყოფას და ერთიანი ქართული კულტურის, რომელიც ათასწლეულთა განმავლობაში იცავდა ერს, დანაწევრებას, რათა წარმოქმნან ახალი რეგიონული, კუთხური კულტურები, კუთხური სალიტერატურო ენები, დიალექტებზე თარგმნონ წმინდა წერილი, ძველი ქართული საეკლესიო სალიტერატურო ენა უარყონო, მისი რეაქცია იყო მძაფრი. პატრიარქმა საუკეთესო მეცნიერებს სთხოვა, — ნუ იქნებით გულგრილნი და ეკლესიასთან ერთად იფიქრეთ ამ საკითხზეო.

როგორც აღვნიშნეთ, უწმინდესი საოცარი მადლია ღვთისაგან მოვლენილი და მთელი ერი შესთხოვს უფალს მის მრავალჟამიერ სიცოცხლეს.

ამბა ალავერდელი
მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე):

— ერისკაცობაში დავითგარეჯის მონასტერში ვიყავი. ეკლესიურად არ ვცხოვრობდი, მაგრამ ლოცვებს კი ვკითხულობდი. ძალიან მინდოდა პატრიარქის ნახვა, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ მომეხერხებინა ეს და ალბათ ვერც გავბედავდი მისვლას.

ერთ მშვენიერ დღეს, როგორც ლამაზ სიზმრებში ხდება ხოლმე, გარეჯში ჩემი ახლობლები მოვიდნენ. სასწრაფოდ თბილისში უნდა წამოხვიდე და პატრიარქს შეხვდეო, — მითხრეს. აღტაცებული, თანაც გაოგნებული დავრჩი. მაშინ უწმინდესი სიონის ტაძართან, საპატრიარქო სახლში ცხოვრობდა. პატრიარქი პირველად ვნახე. ისეთი სათნო და გაბრწყინებული თვალები ჰქონდა, ისეთი სითბო ვიგრძენი, რომ შეკითხვებზე პასუხისას ფეხზე ვდგებოდი, რაზეც პატრიარქს ეღიმებოდა. მერე ნელი ხმით მითხრა, — დაბრძანდითო... ისე მოხდა, რომ ღმერთმა ნატვრა ამისრულა და ამით ჩემი არაეკლესიური სული გაათბო.

რამდენიმე ხნის შემდეგ პატრიარქმა ხუცურით დაწერილი ფსალმუნი მაჩუქა წარწერით „ღმერთმა დალოცოს ბატონი ირაკლი“. პირველი შეხვედრისას მკითხა, — ხუცური კითხვა თუ იციო. არა, ასომთავრული ვიცი-მეთქი და ხუცურის სწავლა დამავალა. მოკლე დროში ვისწავლე. ეს წიგნი დღესაც მაქვს. ერთხელ უწმინდესი მანგლისის რეზიდენციაში ბრძანდებოდა, მასთან მისვლა მომიწია. პატრიარქი მეუბნება, — ხუცურის კითხვაში უნდა გამოგცადოო და იქ მყოფებს ფსალმუნის მოტანა სთხოვა. ნებისმიერ გვერდზე გადავფურცლე და დავიწყე კითხვა.

ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ გითხრათ, პატრიარქი ყოველთვის აკვირდება ადამიანს, რამდენად ისმენს მის რჩევას, ნათქვამს. ისეთ დროს შეიძლება გამოგცადოს, როცა არ ელოდები. კითხვისას გული ისე მიცემდა, სულ ბაგაბუგი გაჰქონდა. პატრიარქმა კითხვის დროს გამაჩერა — გეყოფაო. არც შევუქივარ, მაგრამ სიტყვას, გამოხედვას, ტონს, ყველაფერს ეტყობოდა პატრიარქის განწყობა.

პატრიარქმა დიაკვნად კურთხევა რომ შემომთავაზა, თან მკითხა, — ხომ არ გეშინიაო? არ ვიცი-მეთქი, ნუ გეშინია, ღმერთი შეგეწევა, ანგელოზი დაგიცავსო. ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში მოხდა ჩემი დიაკვნად ხელდასხმა. პატრიარქმა მითხრა, — შინ არ წახვიდე, ბოროტმა რაიმე განსაცდელი არ შეგამთხვიოსო — და დამტოვა ტაძარში. ის ღამე ქაშვეთში გავათენე.

პატრიარქი აღსაყდრების დღიდან იღვწის ჩვენი ერის ერთობისა და მთლიანობისათვის, ერისა და ბერის სიახლოვისთვის.

ღმერთმა ინებოს და აკურთხოს უწმინდესის დღეგრძელობა.

ბორჯომისა და ბაკურიანის
მთავარეპისკოპოსი სერაფიმე (ჯოჯუა):

— ბედნიერი ვარ, რომ ადრე უწმინდესი ჩემი მშობლიური აფხაზეთის მიტროპოლიტი ბრძანდებოდა, როდესაც 1977 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გახდა, მისი აღსაყდრება ქართულმა და აფხაზურმა საზოგადოებრიობამ დიდი სიხარულით მიიღო.

ჩემი პირველი მოძღვარი გახლდათ მამა ზაქარია (ძინძიბაძე), ვისგანაც მივიღე პირველი ლოცვა-კურთხევა. მერე მოვხვდი წმინდა ნინოს მომლოცველობით გზაზე და მივხვდი, რომ ჩემთვის სანატრელი გზა, მისწრაფება არის მონასტრული ცხოვრება. წავედი ანტონ მარტყოფელის მონასტერში. თითქმის წელიწადი და რვა თვე ვცხოვრობდი იქ, როგორც კაბოსანი მორჩილი აკაკი. 1992 წლის ივლისში ჩვენთან უწმინდესი მობრძანდა. მისი დანახვა ისე გამიხარდა, როგორც ბავშვს — დიდი ხნის უნახავი მშობლისა. მახსოვს, დიდი ჩექმები მეცვა. ბრახაბრუხით გავიქეცი და ჩავეხუტე ჩვენს პატრიარქს, უნებურად მუხლებზე დავემხე მის წინაშე და დალოცვა ვთხოვე. გაუხარდა, დამლოცა და თავზე ხელი დამადო. მაშინ მონასტრის წინამძღვარი ამჟამინდელი მეუფე იოსები იყო. ადრინდელი წინამძღვარი არქიმანდრიტი იობი მაისში ეპისკოპოსად აკურთხეს. ეკონომოსის მოვალეობას ვასრულებდი და მონასტრის ცხოვრებაზე უწმინდესთან მე მიხდებოდა პასუხის გაცემა. მონასტერში ყოფნისას თიხაში გავაკეთე ანჩისხატის ასლი. უწმინდესმა მკითხა, ვისი გაკეთებულიაო. ჩემი-მეთქი. შემომხედა, ყურადღებით დამაკვირდა. რამდენიმე დღის შემდეგ წინამძღვარმა მითხრა — უწმინდესი გიბარებს საპატრიარქოშიო. ალბათ ბერად უნდა აღმკვეცონ-მეთქი. აგვისტოს დასაწყისში საპატრიარქოში გადამიყვანეს. მესამე სართულზე ვცხოვრობდი. შენობა ახალი გადმოცემული იყო, ჯერ გალავანიც არ ჰქონდა. ვატყობდი, უწმინდესი მაკვირდებოდა და ამით უბედნიერესი ვიყავი. დილა-საღამოს პატრიარქის ლოცვას, პარაკლისებს ვესწრებოდი, ერთ დღესაც უწმინდესმა დამიბარა, — მოემზადე ბერობისთვის, ხაშმში უნდა გაგამწესოო. ხაშმში წამიყვანა — ხომ უნდა ნახო, სად გიშვებო და იქაურებთან წარმადგინა, როგორც მომავალი ტაძრის წინამძღვარი.

რამდენიმე ხნის შემდეგ უწმინდესს მეუფე დანიელმა ურჩია, ხომ არ აჯობებდა, რომ მორჩილი აკაკი ფოკაში გაგვეშვა წინამძღვრადო. უწმინდესი დათანხმდა. მანამდე უწმინდესისთვის მეუფე იოსებს ეთქვა, — აკაკის ძალიან უყვარს წმინდა სერაფიმე საროველიო. პატრიარქს უთქვამს, მეც მიყვარსო. უწმინდესმა მეუფე დანიელს უთხრა, — აკაკი აღკვეცეთ სერაფიმე საროველის სახელზეო.

ფოკაში წასვლის წინ უწმინდესს უნდა დაველოცე. მასთან მყოფ მონაზონს სთხოვა, ჩამოიტანე სერაფიმე საროველის ხატიო. მონაზვნებს სენაკში წმინდა სერაფიმეს ორი ხატი

ჰქონდათ, ერთი ძალიან მომწონდა. მონაზონმა მოიტანა ჩვეულებრივი ხატი. პატრიარქმა უთხრა, — ის ხატი ჩამოიტანე, რომელზეც წმინდა ქვა იყო დამაგრებული და სერაფიმე საროველი ათასი დღე-ღამე ლოცულობდაო. ასე დამლოცა უწმინდესმა ბერულ გზაზე. ეს ხატი მას შემდეგ ჩემთანაა...

ვულოცავ პატრიარქს აღსაყდრების დღეს და ვუსურვებ დღეგრძელობას!

მესტიისა და ზემო სვანეთის
ეპისკოპოსი ილარიონი (ქიტიაშვილი):

— მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის მრევლის სახელით მინდა დიდი სიხარულით მოგილოცოთ აღსაყდრების, მღვდელმთავრობისა და დაბადების თარიღები.

თქვენი მამამთავრობა ერისა მდიდარი გახლავთ მრავალი დიდებული საქმით. ათეისტური ცხოვრების უმძიმეს დროში, როდესაც მხოლოდ რამდენიმე ტაძარში აღესრულებოდა წირვა-ლოცვა და ისიც — შეზღუდვებით, თქვენ ღვთის, ხალხის გულწრფელი სიყვარულით შეძელით ეკლესიათა აღორძინება, მის წიაღში მრავალი ადამიანის გაერთიანება. ლხინშიც და გაჭირვებაშიც ყოველთვის გვერდში ედექით და დღესაც უდგახართ ჩვენს ერს. არასდროს წაიშლება ჩემი მეხსიერებიდან 9 აპრილი, თქვენი მშვიდი, მაგრამ სულის სიღრმეში შეშფოთებული მოწოდება ხალხისადმი და მათთან ბოლომდე ყოფნა. ეს ეპიზოდი თითქმის ყველაფერზე მეტყველებს. თქვენი უწმინდესობის ბრძნული სიტყვა დღესაც მოუწოდებს სამწყსოს სინანულის, სულიერი ფერიცვალებისა და სიძულვილის, შუღლის შეწყვეტისაკენ. გვწამს, რომ თქვენი ლოცვა შეეწევა საქართველოს.

გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, მრავალჟამიერ თქვენს მამამთავრულ მოღვაწეობას.

ცაგერისა და ლენტეხის
ეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი):

— პირველად პატრიარქს ერისკაცობაში შევხვდი. ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ვმონაწილეობდი და გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით პატრიარქთან შეხვედრა მომიწია. მაშინ მწეველი ვიყავი. როდესაც პატრიარქთან შესახვედრად ვემზადებოდი, მექანიკურად ამოვიღე სიგარეტი, მაგრამ უხერხულობა ვიგრძენი. შინაგანი ხმა მსაყვედურობდა — პატრიარქთან მიდიხარ და სიგარეტს ეწევიო? დიდი სულიერი ბრძოლა გამოვიარე და ვაჯობე თავს.

პატრიარქს მანგლისის რეზიდენციაში შევხვდი. დიდხანს ვისაუბრეთ სამცხე-ჯავახეთის პრობლემებზე. ერთ-ერთი საკითხი ფოკის დედათა მონასტრის გახსნას ეხებოდა. პატრიარქთან საუბრით საბოლოოდ გახარებულები დავრჩით.

მაშინ წირვა-ლოცვაზე მაინცდამაინც არ დავდიოდი, კომუნისტების ჯიბრზე შევდიოდით ხოლმე ეკლესიაში, სანთლებს ვანთებდით. ტაძარი სიმშვიდეს მანიჭებდა. მაშინაც, იმ შაბათ დღეს, პატრიარქი სიონის ტაძარში ლოცვას ატარებდა და მრევლს ზეთს სცხებდა. ძალიან გამიხარდა მისი დანახვა, მეამაყებოდა, რომ უწმინდესს ვიცნობდი. მივედი ზეთისცხებაზე, რაღაცას ფეხი წამოვკარი და ლამის დავეჯახე უწმინდესს. გამიღიმა და ზეთი მცხო. ჯიბისკენ წავიღე ხელი. სიგარეტი ამოვიღე, მაგრამ მოწევა გადავიფიქრე... სიონის ღვთისმშობლის ხატთან მივედი. ვთხოვე დამხმარებოდა ამ მავნე ჩვევისგან თავის დაღწევაში. თითქოს დასტურიც მივიღე. იმ დღის შემდეგ სიგარეტი აღარ მომიწევია. როცა გამიჭირდა და ძალიან მომინდა მოწევა, მაშინ ღვთისმშობელს კვლავ მივმართე შინაგანად. პასუხად ასეთი რამ მივიღე: როცა ყველაზე მეტად გინდა მოწევა, მაშინ მოითმინე და სხვა დროს აღარ გაგიჭირდება, თუ დავაკვირდებით, ყველა ცოდვა ასეა. როცა ყველაზე მეტად გინდა ცოდვის ჩადენა, მაშინ უნდა შეიკავო თავი. ცოდვა როცა მოგეძალება, მაშინ უნდა დაიცვა თავი, სხვა დროს ვერ ბატონობს ადამიანზე. თუმცა უწმინდესს ჩემთვის არაფერი უთქვამს, მაინც ძლიერ შემეწია ამ მავნე ჩვევის მოშორებაში.

მთელი გულით ვულოცავ უწმინდესს აღსაყდრების დღეს. ჩვენს ერს მის მორჩილებას ვუსურვებ. პატრიარქობა მამობას ნიშნავს. მამას დავუჯეროთ, მას გავყვეთ და ეს ძალიან ბევრ სიკეთეს მოგვიტანს.

გორისა და სამთავისის
მთავარეპისკოპოსი ანდრია (გვაზავა):

— მაშინ მონაზონი ვიყავი. საპატრიარქოს ეზოში დავდიოდი. იქ ბაღს აშენებდნენ და ნერგები მოჰქონდათ. მორჩილი მოვიდა და მითხრა, - პატრიარქმა თქვა, ეზოში ერთი მონაზონი დადის და თავში ცუდი აზრები უტრიალებს. უთხარი, მოვიდეს და მოგეხმაროთო. მაშინ გონებაში მართლაც ცუდი აზრები მქონდა.

მახსოვს, ერთხელ ბრიტანეთის დელეგაცია იყო ჩამოსული. მათ უწმინდესთან ჰქონდათ შეხვედრა. საუბრის ბოლოს ჰკითხეს, რაიმეთი ხომ არ გსურთ დაგეხმაროთო. პატრიარქმა უპასუხა, — კარგი იქნება, თუ შეგიძლიათ გამოსცეთ ან ითარგმნოს ჩვენი ქვეყნისთვის ბროშურები და დამხმარე სახელმძღვანელოები მცირე ბიზნესის შესახებო. ამით მინდა ვთქვა, რომ პატრიარქის ზრუნვა მხოლოდ ეკლესიით არ შემოიფარგლება, ის ზრუნავს მთელ სამშობლოზე.

ნიქოზისა და ცხინვალის
მთავარ-ეპისკოპოსი ისაია (ჭანტურია):

— საპატრიარქოში ჩემს ყურადღებას ყოველთვის იპყრობდა და მომწონდა წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის მონუმენტური ფრესკული ხატი. რატომღაც არასდროს მიკითხავს, ვისი შესრულებულია-მეთქი. ერთხელ გავიგე, რომ იგი უწმინდესს დაუხატავს. მოულოდნელობისაგან გაოცებულმა დაუფიქრებლად ვკითხე: — თქვენო უწმინდესობავ, მართლა თქვენი დახატულია ეს ხატი-მეთქი? მიპასუხა: — ასე ამბობენო!...

* * *

ბერდიაკვნობის შემდეგ მეუფე დანიელმა მღვდელმონაზვნად დამასხა ხელი მცხეთის წმინდა ოლღას სახელობის დედათა მონასტერში და უწმინდესის ლოცვა-კურთხევით დავინიშნე მარტყოფის მამათა მონასტრის წინამძღვრად. გამოუცდელობით დამოუკიდებლად წირვის ჩატარება რომ არ გამჭირვებოდა, მეუფემ უწმინდესს სთხოვა, რამდენიმე ხანი მემსახურა სიონის საკათედრო ტაძარში, რაზეც უწმინდესს უბრძანებია, - მონასტერში ისწავლოსო!

მონასტერში ჩემს მიერ ჩატარებულ პირველ წირვას მარტყოფის დედათა მონასტრის დედებიც დაესწრნენ. რომ არაფერი შემშლოდა, წირვა ძალიან ნელა შევასრულე, მაგრამ ხანგრძლივი პაუზების მიუხედავად, მაინც მიჭირდა გამერკვია, როდის გამეღო ან დამეკეტა აღსავლის კარი, ან საკურთხევლიდან როდის გავსულიყავი. დედებს ამაზე ეღიმებოდათ, მაგრამ წირვით მაინც კმაყოფილნი დარჩნენ. ჩვენი მონასტრის წევრებსაც უხაროდათ, რადგანაც ამიერიდან დამოუკიდებლად შეგვეძლო წირვის აღვლენა. მეც, მიუხედავად ასეთი ვაი-ვაგლახისა, გულში თავისებური სიხარული ვიგრძენი...

რამდენიმე ხანში უწმინდესი ამობრძანდა მონასტერში. გავიხარეთ, დავრეკეთ სამეუფო ზარები. მივირბინე ღვთაების ტაძარში, გულმა ვეღარ მომითმინა, კიბე ჩავირბინე და უწმინდესს მონასტრის კარიბჭესთან შევხვდი. კურთხევა ავიღე, დავე-ლოცვინე და შენდობა ვთხოვე, არ ვიცი, როგორ უნდა დაგხვდეთ და თუ რამე შემეშალა, შემინდეთ-მეთქი. დახვედრის წესში ალბათ რაღაც კიდეც შემეშალა, მაგრამ უწმინდესს, ეტყობოდა, შეხვედრის წესზე უფრო ჩვენი გულწრფელი სიხარული ახარებდა.

ტაძარში, პარაკლისის შემდეგ, უწმინდესმა თავისთან გვიხმო, დაჯდომა გვითხრა. ზოგი სკამების ნაკლებობის გამო ფეხზე დავრჩით. უწმინდესმა მანიშნა, დაჯექიო. მიმოვიხედე, სკამი ხომ არ იყო. იატაკზე დაჯექიო, მანიშნა. მე და სხვებიც ხალიჩაზე მოვკალათდით. უწმინდესი სულიერ საკითხებზე გვესაუბრებოდა. ყურადღებით ვისმენდით მის ყოველ სიტყვას. ისეთი სიჩუმე იყო, რომ კოღო წუილით როგორ დააჯდა ერთ იქ მყოფთგანს, ისიც გავიგეთ. ბიჭმა ხელი მოუქნია კოღოს. კოღომ იმარჯვა და უვნებელი გაფრინდა, მაგრამ ცოტა ხანში ისევ იმავე ადგილზე დაასკუპდა. მან ისევ მოუქნია ხელი, კოღო ისევ უვნებელი გაფრინდა. კოღო მესამედაც ზუსტად იმ ადგილზე დააჯდა. ხელი მოსაკლავად რომ მოუქნიეს, სხარტად გაფრინდა. უწმინდესმა საუბარი შეწყვიტა, ბიჭს მიუბრუნდა და უთხრა: — რა იყო, ერთი წვეთი სისხლი დაგენანაო? ეს ისე წარმოთქვა, რომ ყველას გაგვეცინა...

თითქოს მაშინ აღმოვაჩინეთ, რომ კოღოს, დიდი-დიდი, ერთი წვეთი სისხლი წაერთმია ამ ბიჭისთვის!...

* * *

მარტყოფის მონასტრიდან ჩამოსული, შვიდი ეფესელი ყრმის ხსენებაზე, საპატრიარქოში დავესწარი დილის პარაკლისს. პარაკლისის შემდეგ უწმინდესმა შვიდი ეფესელი ყრმისა და ამ დღის წმინდანების ცხოვრება წაგვიკითხა. გვითხრა: — ვისაც უძილობა სჭირს, შვიდ ეფესელ ყრმას ევედროსო. დიდ კურთხევანში მღვდლის წასაკითხი განსაკუთრებული ლოცვებიცაა, ვისაც სჭირდება, შეუძლია მღვდელს სთხოვოს სნეულებისათვის ამ ლოცვების წაკითხვაო.

ერთ-ერთმა მონაზონმა უწმინდესს შესჩივლა, — ჩემს შვილიშვილს უძილობა აქვს და როგორ მოვიქცეო?

— მღვდელი წაიყვანე სალოცავადო.

— რომელიო?

უწმინდესმა ჩემზე ანიშნა — აი, ეგო.

სახელდახელოდ ვიშოვეთ: დიდი კურთხევანი, ოლარი, სამაჯურები, საცეცხლური და სანთლები. მის შვილიშვილთან როცა მივედით და მოვიკითხეთ, გვითხრეს, სძინავსო. რა გვექნა, აღარ ვიცოდით. ცოტაოდენი მსჯელობის შემდეგ გადავწყვიტეთ, აჯობებდა, მაინც გველოცა და ფეხაკრეფით შევედით ოთახში, სადაც ბავშვს გემრიელად ეძინა. ძალიან ჩუმად, ისე, რომ არ გაღვიძებოდა, ლოცვა დავიწყე... ყმაწვილს მაინც გაეღვიძა, წამოდგა და ბუზღუნით გავიდა ოთახიდან. უცნაურ ვითარებაში აღმოვჩნდით — „დაძინების“ მაგივრად გავაღვიძეთ ადამიანი.

ბიჭს იმ ღამით შედარებით მშვიდად სძინებია... ისე გამოვიდა, რომ დღისით გავაღვიძეთ, რათა ღამე უკეთ დასძინებოდა...

ჟურნალი „კარიბჭე“
2005. №23

დეკანოზი ალექსი ძამუკაშვილი
აწყურის წმიდა თეთრი გიორგის ტაძრის წინამძღვარი

ალავერდის ეპარქიაში



1977 წელს, როცა უწმიდესი მოევლინა ქართულ ეკლესიას როგორც საჭეთმპყრობელი, მე უკვე მორწმუნე ვიყავი. მახსოვს 1978 წელს ალავერდობაზე ჩამობრძანდა, მაშინ სიტყვასთან ბრძოლის სამსახურში ვმუშაობდი, ბენზინგასამართ სადგურზე უწმიდესის მანქანა გაჩერდა, ჩვენ შემთხვევით იქ ვიყავით, ვხედავთ, მანქანაში სამღვდელოება ზის, მაშინ ეს იშვიათობა იყო, უწმიდესი მათ შორის გამოირჩეოდა საოცარი ძველქართული იერით, ხალხი გაოგნებული შეჰყურებდა, ასე ამბობდნენ, რა საოცარი იერი აქვს, სამეფო დიდებულება დასდევს თანაო, მეფე ჩამოვიდა კაცო, მეფეო, მეფესავით კაცი არისო, მერე გავიგეთ რომ ალავერდის ეპარქიის სამღვდელოება დააჯილდოვა თურმე, ყველა მღვდელი დაასაჩუქრა მიტრით, ხალხს ალავერდობისას ფული დაურიგა, საჭმელი იყიდეთო. ერთისთვის ოქროს საათი უჩუქებია, ფულიც მიუცია, ცხვარი იყიდე და ხალხს აჭამეო. ეს კაცი გახარებული იყო, პატრიარქმა საათი მაჩუქაო. ყველაზე ნიშანდობლივი, რაც არის ალავერდისკენ მიმავალ უწმიდესს კომუნისტურმა ხელისუფლებამ გზა გადაუკეტა, პატრიარქმა დალოცა ისინი და ხალხს უთხრა, ფეხით წავიდეთ, ეს უფრო დიდი მადლიაო; ასე, რამდენიმე კილომეტრი ფეხით იარა უწმიდესმა ალავერდამდე.

ძალიან უბრალო და მოწყალე

საერთოდ უწმიდესი ძალიან უბრალო და მოწყალე ადამიანია. ერთხელ მახსოვს თეთრი გიორგის ტაძარში მობრძანდა და ცხვარი შესწირა ტაძარს.

მისი დამახასიათებელი ძვირფასი თვისება, მის დიდ სიწმინდესთან ერთად, ვფიქრობ, მისი ეროვნულობაა.

ავი ენები ამბობენ თორემ უწმიდესსა და ზვიად გამსახურდიას შორის ყოველთვის თბილი ურთიერთობა იყო, მე პირადად, უწმიდესის ძმისშვილმა ჭაბუკამ, ახლა მეუფე დიმიტრიმ გამაცნო ზვიად გამსახურდია, იგი სიონში მგალობლებთან ერთად გალობდა. ზვიადს საოცრად ტკბილი ხმა ჰქონდა.



უწმიდესი მოსკოვში

მამა იოანე ბეწუნაიძე ავად გახდა, საჭირო იყო სასწრაფო ოპერაცია. უწმიდესმა აკურთხა, მოსკოვში არ წახვიდე, აქ იმკურნალეო. ბოლოს ისე მოხდა, რომ მამა იოანე მოსკოვის ერთ-ერთ დიდ კლინიკაში დააწვინეს, ოპერაციის შემდეგ, რეანიმაციაში მისი მდგომარეობა დამძიმდა, თითქმის სულს ებრძოდა, უგონო მდგომარეობაში იყო. უწმიდესი ჩაბრძანებულა მოსკოვს მამა იოანეს სანახავად. მთავარი ექიმი გაჯიქებულა, არავის შემოვუშვებო, როცა უწმიდესის მანქანა საავადმყოფოს მიუახლოვდა, მთავარი ექიმი თვითონ გამოსულა მოკრძალებით და კარიც თავად გაუღია, შებრძანდა პატრიარქი მომაკვდავთან, და იცით რა მოხდა, მამა იოანე მეყსეულად გამო-ცოცხლებულა, წამომჯდარა, უწმიდესის პანაღიას მთხვევია და ისევ უგონო მდგომარეობაში გადასულა. შემდეგ მალევე გარდაცვლილა კიდეც.

მონოზონი მარიამი (ბერულავა)

პატრიარქი - მლოცველი ღვთის წინაშე

ჩვენ კიდევ არ ვიცით ვინ გვყავს, იგი სულიწმინდის მადლითაა შემკობილი, იგი თავისი მადლმოსილი ცხოვრებით გვაახლოვებს უფალთან.

4 წლის წინ მძიმე ოპერაცია გამიკეთეს და კლინიკური სიკვდილი მომეწია. ვხედავ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა ზეცაში ამიყვანა, ვიხილე ჩვენი ერის მფარველი წმინდანები: წმინდა ნიკოლოზი, წმინდა გიორგი, წმინდა ნინო, ვიხილე დიდი ჯვარი და ჩვენი უწმინდესი ილია II, რომელიც დედაღვთისმშობელის უკან იდგა, პირდაპირ მისკენ წავედი, უწმინდესმა თავზე ჯვარი გადამსახა, ამ დროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა გაიღიმა და მითხრა, "მომილოცავს, შენ ჯერ ჭირდები საქართველოს, შენი დამკვიდრების დრო ჯერ არ არის" – და დამსვა ყვავილ-ბაღნარში, სადაც წმინდა გიორგი მიმიძღოდა წინ, მისი ცხენი ნაოპერაციებს ლოკავდა და ამ დროს გამეღვიძა ღვთისმშობლის ლოცვით: ღვთისმშობელო ქალწულო გიხაროდენ.

უწმინდესი არის მლოცველი ღვთის წინაშე ჩვენი გადარჩენისათვის.

ვმადლობთ მას ამ დიდი შრომისა და ღვაწლისათვის და ვთხოვთ უფალს, დღეგრძელობა მიანიჭოს ჩვენს მწყემსს, ჩვენს წინამძღოლს, რათა თავისი მამობრივი ზრუნვით და რუდუნებით საბოლოოდ სამშვიდობოზე გაგვიყვანოს.

არქიმანდრიტი გიორგი (ბასილაძე)

უწმიდესის კაცთაგან დაფარული ღვაწლი



მამა გიორგი (ბასილაძე)
სვეტიცხოვლის
საპატრიარქო
ტაძრის ეზოში.

2009 წლის 14 ოქტომბერი.

სასულიერო სემინარიდან მოყოლე-ბული, ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული ჩემთვის. ბევრჯერ დამხმარებია ხორცი-ელადაც. **ადამიანმა სიკეთის დანახვა და დაფასებაც უნდა ისწავლოს და კეთილისმყოფლის პატივისცემაც!.. ესაა აუცილებელი!..**

ილია II ძალზე რთული პერიოდის პატრიარქია. გარდა რწმენისა, კიდევ ბევრი სხვა თვისებებით უნდა ყოფი-ლიყო გამორჩეული, როგორც პიროვნება, რომელსაც უნდა ემართა ეკლესია უღმრთო ხელისუფლების პერიოდში... მოთმინება, სიბრძნე, განათლება, ხედვა, მოქნილობა, სიფრთხილე, გამჭრიახობა და გნებავთ, პილიტიკური ალღოც, სწორედ ის თვისებებია, რომელთა წყალობითაც და უფლის შეწევნით შესძლო უწმიდესმა ეკლესიის ისე მართვა, რომ განერიდებინა ის მტრების მიერ საგანგებოდ მომზადებულ არა ერთ საფრთხესა თუ ხლართებს.

რამდენიმე ხნის წინ ჩემთან იყო ქალბატონი ენდი, რომელიც თავის დროზე ტყიბულის ქალაქკომის მდივნად მუშაობდა, დღეს ის ეკლესიურია... და აი, რა მიამბო: „1978 წლის დამდეგს, ედუარდ შევარდნაძემ მოიწვია საგანგებო რეს-პუბლიკური თათბირი, რომელზეც რაიკომის ყველა მდივანი ესწრებოდა. მათ შორის მეც გახლდით... და არ დამავიწყდება შევარდნაძის სიტყვები, რომლებმაც მაშინ ყველა ჩვენგანი გააოცა „საპატრიარქოს სათავეში ჩაუდ-გა ისეთი ძლიერი პიროვნება, რომელსაც შეუძლია კომუნისტურ იდეოლოგიას სერიოზული საფრთხე შეუქმნას, ამიტომ საჭიროა გავაძლიეროთ აქტივობა იდე-ოლოგიურ მუშაობაში!“ მაშინ ყოვლად აუხსნელი იყო ჩემთვის შევარდნაძის მიერ გამოთქმული სიტყვები, მით უმეტეს, იმ დროს, ეკლესიისაგან საფრთხე ნაკლებად მესახებოდაო.“

იმ ქალბატონის სიტყვები იმიტომ მოვიყვანე, რომ შევარდნაძე, რომელიც თვითონ ფლობდა დიდ ძალას და გააჩნდა სულიერი ხედვა ბოროტისგან, გრძნობდა უწმიდესის სულიერ ძალასაც და მისი მოსვლის პირად საშიშროებასაც! თორემ პოლიტიკურად, იმ ხანად, დამორჩილებულ მდგომარეობაში მყოფ ეკლესიას რა საფრთხე უნდა შეექმნა კომპარტიისათვის?!

ბევრი რამ გააკეთა უწმიდესმა და უფასდება კიდეც ქართველი ერისაგან...

ისევ ვიმეორებ, რთული დრო იყო. უწმიდესს ურთულესი „ფრონტი" ებარა. ბევრი განკითხვა, შეურაცხყოფა და უნდობლობა იწვნია მან, მაგრამ ყოველი-ვე თავმდაბლობითა და სულგრძელობით დაითმინა: სწამდა, რომ ხალხი ბოლოს მაინც გაუგებდა მას... თუმცა ისიც მინდა ვთქვა, რომ ბევრი უწმიდესს განიკით-ხავდა არა იმიტომ, რომ მის მიმართ პირად სიძულვილს განიცდიდა, არამედ იმიტომ, რომ მათაც ძალიან უყვარდათ საქართველო... მაგრამ, სამწუხაროდ, **დიდი სულიერი ხედვა იყო საჭირო, რომ ჩაეხედათ უწმიდესის დაფარულ პიროვნებაში.**

თუ დააკვირდებით, უწმიდესი საოც-რად მლოცველი პატრიარქია. ის გამუდმებით წირვა-ლოცვაშია, იშვიათია სასულიერი იერარქიის პირი, რომელიც ამდენ ლოცვებზე იდგეს წლების მანძილზე და თანაც ამ ასაკში; და კიდევ, ეს არის პატრიარქი, რომელსაც უიშვიათესი მოსმენის უნარი გააჩნია...

დღეს საქვეყნოდ აღიარებენ უწმიდესის ღვაწლს: რომ, აშენდა და კეთილმოეწყო ამდენი ტაძარი, მომრავლდა სასულიერი პირთა რაოდენობა. გაიხსნა სემინარია-აკადემიები, გამოიცა ამდენი სასულიერო ლიტერატურა და კიდევ ბევრი სხვა რამ!.. მაგრამ ეს არ არის მთავარი... აქ ჩამოთვლილი, ადრე თუ გვიან მაინც აღესრულებოდა სხვა, ნებისმიერი პატრიარქის ხელშიც, რადგან ერი, ღვთის შეწევნით, შემობრუნდა და დაადგა ღვთით განსაზღვრულ გზას!.. ეს ისტორი-ული აუცილებლობა იყო!

მე კი მინდა აღვნიაშნო უწმიდესის კაცთაგან დაფარული ღვაწლი, რომელ-თაგან ერთ-ერთი გახლავთ მისი უდიდესი დამსახურება ეკლესიის ერთიანობის საქმეში. ის, რომ ეკლესია, დღემდე მოვიდა სწორედ ასეთი სახით, არის უწმიდესის დიდი სულიერი ძალისხმევის შედეგი. ბევრჯერ ჰქონია მტერს ქართუ-ლი ეკლესიის განადგურების, გახლეჩის და არევის მცდელობა. დღესაც ძალიან ბევრს არ ასვენებს ქართული ეკლესიის აღორძინება. ვგულისხმობ, როგორც აშკარა მტრებს, ისე „ერთმორწმუნე კეთილმოსურნეებსაც". საფრთხე სულ იყო და არის კიდევ, როგორც გარედან, ასევე შიგნიდანაც — ვგულისხმობ სხვა-დასხვა ძალების ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ და ასევე დიდებისმოყვარე-ობის ჟინით შეპყრობილ პირებს, რომელთაც „შეთქმულების ჭია" ჯერაც უღრნით გულს... რომელთა წინდაუხედავ ზრახვებს შეეძლო ეკლესიაში საშინელი არეულობა, განხეთქილება და მღელ-ვარება შეეტანა, რომელსაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ისეთი უმძიმესი შედეგი, როგორიცაა მორწმუნე მრევლის სასოწარკვეთილება და ეკლესიიდან გაუცხოება!..

ყველა ეს საფრთხე რეალური იყო, თუმცა შეუმჩნეველი ერისთვის და შეუმჩნეველია ის ძალისხმევაც, რომ-ელიც გამოავლინა უწმიდესმა ამ საფ-რთხეების ასაცილებლად. ეს უმძიმესი შრომაა!..

სხვა საკითხია, ვინ როგორ აფასებს და როგორ იყენებს უწმინდესის ნდობასა და ხელდასხმას!..

თუმცა, უწმიდესს, თავისი ხედვის წყალობით, არა მგონია, ვინმეს „სუნთქვა" გამოეპაროს და თუ ითმენს ბევრ რამეს, ალბათ, მისი სულგრძელობითა და კაცთმოყვარეობით ითმენს. მაგრამ როცა საკითხი ეკლესიის სიწმინდესა და ქვეყნის მომავალს შეეხება, არა მგონია, უწმინდესმა, ვინმეს მიმართ ზედმეტი „შემწყნარებლობა" გამოიჩინოს!..

პატრიარქი და მცხეთის დედათა მონასტერი

ამონარიდი სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვრის, იღუმენია ქეთევანის (კოპალიანი) „მოგონებებიდან“.

იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი)

„ნეტარ არს ერისა მის, რომლისა არს უფალი ღმერთი მათი“.

მისი უწმინდესობის ღვაწლსა და დამსახურებაზე, ანუ მის პიროვნულ ღირსებებზე, მხოლოდ პატრიარქის რანგისა და მაღალი სულიერების მქონე ადამიანი თუ ისაუბრებს. ესე მოკრძალებული, კნინი მოგონებანი ოდენ მკრთალი შტრიხებია მისი პორტრეტისათვის. ანუ ძახილია სულისა, რომელიც ბობოქარ წუთისოფელს განშორებია, მონასტერს, წმიდა სავანეს შეჰხზვნია და თავის სულიერ მამას დროით და მანძილით განშორებული, დღენიადაგ მოუხმობს კეთილ მწყემსს და საჭეთმპყრობელს, რომელიც ბიბლიური მოსეს მსგავსად ხსნის გზაზე წინაუძღვის თავის მრავალტანჯულ ქართველ ერს... უწმინდესის დაფარულნი ღვაწლნი კი ოდენ უფალმან უწყის, რომელსაც თავის დროზე ისტორია წარმოაჩენს.

ღვთის განგებით, ჩემი ცხოვრება, ეკლესიური ცხოვრების დაწყებისთანავე, მჭიდროდ დაუკავშირდა მის უწმინდესობასა და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს.

1978 წელს, ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ჩემი ლექტორის, აწ განსვენებული ბ-ნ ზურაბ სარჯველაძის წარდგენით, მუშაობა დავიწყე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პროფესია ძალიან მიყვარდა, მუდამ რაღაცის ძიებაში ვიყავი, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მუდამ თან მსდევდა. და მხოლოდ მაშინ, როცა პირველად დავესწარი წირვას სიონის საკათედრო ტაძარში და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ქადაგება მოვისმინე — მივხვდი, რასაც ვეძიებდი. ფარულად დავუტევე ხელნაწერთა ინსტიტუტი და მთლიანად ეკლესიას დავუკავშირდი. განზრახვის გასანდობად და რჩევის მისაღებად კათოლიკოს-პატრიარქთან (ძველ საპატრიარქო რეზიდენციაში) მივედი. მის უწმინდესობასთან აწ განსვენებულმა ბ-ნმა ზურაბ ჭავჭავაძემ შემიყ-ვანა, რომელიც იმჟამად პატრიარქის რეფერენტის მოვალეობას ასრულებდა. მანვე მასწავლა, თუ როგორ უნდა ამეღო კურთხევა უწმინდესისაგან. დანახვისთანავე მისმა უწმინდესობამ ზურაბს ჩემზე უთხრა — „როგორი სამონოზნოა?“ — ზურაბიც ღიმილით თავს უქნევდა. და მისმა უწმინდესობამ იმ დღესვე მიმიღო და დამტოვა საპატრიარქოში. ამ დღიდან 7 წლის განმავლობაში არ მომკლებია მისი უწმინდესობის მზრუნველობა და მამობრივი სითბო, მანუგეშებდა მისი მადლიანი ღიმილი და უსრულესი, მაღალი ზნეობა.

სამთავროს დედათა მონასტრის ერთ-ერთი ხედი

— მანამდე კი აი, როგორ მოხდა ჩემი ეკლესიის წიაღში მისვლა. ხელნაწერთა ინსტიტუტში, აკადემიკოს ელო მეტრეველის ასპირანტი, ანიკო ღამბაშიძე, კეთილმორწმუნე და ღვთისმოშიში პიროვნება, რომელსაც ეკლესიის მოყვარულს ეძახდნენ, ჩემთან ძალიან დაახლოვდა და დღეყოველ ჩამაგონებდა მასთან ერთად ტაძარში სიარულს. მე ამის გაგონება არ მსურდა. მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, ილია II, უკვე ერთი წლის დადგენილი იყო კათოლიკოს-პატრიარქად, თუმცა, ამის შესახებ მე არაფერი ვიცოდი. წმიდა ნიკოლოზის დღესასწაული ახლოვდებოდა. ანიკო დაჟინებით

მთხოვდა წირვაზე წასვლას, როგორც იქნა დამითანხმა. დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე სიონში პატრიარქის წირვას დავესწარით, (სწორედ მაშინ მოვისმინე მისი უწმინდესობის ქადაგება პირველად) და უსაზღვროდ ბედნიერი და მადლიერი დავბრუნდი შინ.

— იმავე ღამეს ვნახე სიზმრისეული ჩვენება: სიონი, წირვა, ამბიონზე ბრძანდებოდა მისი უწმინდესობა და გულზე წმიდა ნიკოლოზის ძვირფასპერანგიანი, ჩარჩოში ჩასმული ხატი მიესვენებინა. მეორე დღეს ჩემი სიზმარი ანიკოს მოვუყევი. ჩვეულებრივი დღე იყო, ოთახში ერთ-ერთი თანამშრომელი შემოვიდა, რომელიც ტელეფონით ხმამაღლა ესაუბრებოდა თავის მეგობარს, ურჩევდა, შეეძინა ძალზე ძვირფასი, 3 000 მანეთად ღირებული წმიდა ნიკოლოზის ხატი, რომელსაც ვიღაც კაცი ვაკეში ინსტიტუტის წინ საკომისიო მაღაზიაში 1000 მანეთად ყიდდა, უნდა ეჩქარა, რადგან ერთ საათში ის კაცი წასვლას აპირებდა. მეგობარი, როგორც ჩანდა, დათანხმდა. მე ჩემი სიზმარი გამახსენდა და გულში ლოცვა დავიწყე: „წმიდა ნიკოლოზ, გემუდარები, უარი ათქმევინე-მეთქი“. და მართლაც, მეგობარმა ბოლოს უარი განაცხადა — „აგარაკზე მივდივარ და ფული მჭირდებაო“. მე გამოვკითხე, თუ სად იყიდებოდა ხატი და დავიწყე ფიქრი, როგორ ან სად მეშოვა 1 000 მანეთი სესხად ერთ საათში. ინსტიტუტში ასეთი თანხა არავის აღმოაჩნდა, წმიდა ნიკოლოზს ვუხმე საშველად. (ჩემს ცხოვრებაში პირველად ვლოცულობდი). ჩემს ძმასთან, ბუხუსთან, ტელეფონით დაკავშირება ჩამეგონა. სასწრაფოდ დავრეკე ჩემი ძმის სამსახურში. ბუხუმ ყურმილი აიღო. “ბუხუ სასწრაფოდ მჭირდება 1 000 მანეთი“ — სწრაფად და მოკლედ ვუთხარი. — „ჰო, კარგი, წადი სახლში, ფული კარადაში, პიჯაკის ჯიბეშია და აიღე“. არაფერი უკითხავს, რისთვის ან რატომ მჭირდებოდა ეს თანხა. სასწრაფოდ ჩემი ძმის ბინაში გავიქეცი, (პეკინზე ცხოვრობდა). პიჯაკში ზუსტად ათასი მანეთი აღმოჩნდა, არც მეტი, არც ნაკლები — „ხატის ფული“ — გავიფიქრე. სასწრაფოდ გავქანდი ვაკეში, კაცი, რომელიც ხატს ყიდდა მაღაზიის შესასვლელში იდგა, თითქოს მელოდებოდა. ხატი შეფუთული ჰქონდა. სასწრაფოდ მივუთვალე თანხა, ხატი გულში ჩავიკარი და უკვე აღარსად მეჩქარებოდა. უკან ტროლეიბუსით გამოვბრუნდი, მაგრამ მოულოდნელად შუქი გამოირთო და საბურთალომდე გზა ფეხით განვაგრძე წმიდა ნიკოლოზის ხატს ჩახუტებულმა. ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში პირველად ხდებოდა.

საღამოს ანიკოსთან ერთად სიონში წავედი, დავესწარი ლოცვას, ხატიც იქვე დავტოვე მესანთლესთან, რადგან არ ვიცოდი სახლში ხატისათვის პატივი როგორ მიმეგო, თან ვფიქრობდი, უმჯობესი იქნებოდა ხატი ტაძარში, ამ ანთებულ კანდელებთან და სანთლებთან დარჩენილიყო.

მეორე დღეს დავესწარი წირვას, ტაძარში საზეიმო განწყობა სუფევდა; **გაბრწყინებული პატრიარქი ამბიონზე იდგა. ჯვარზე მთხვევისას ყველანი სათითაოდ მიდიოდნენ და უწმინდესს საჩუქარს უძღვნიდნენ. მეც გამიჩნდა სურვილი მისი უწმინდესობისათვის წმინდა ნიკოლოზის ხატი მიმეძღვნა, მაგრამ პირადად გადაცემა ვერ გავბედე, შორიახლოს დავდექი, ხატი კი სხვამ გადასცა. დავინახე, როგორ მიიკრა იგი გულზე უწმინდესმა.**

ასე შემიძღვა წმიდა ნიკოლოზი იმ სამყაროში, რომელსაც მთელი ცხოვრება ხელის ცეცებით დავეძებდი, ასე მაპოვნინა უფალმა ჭეშმარიტი ცხოვრების გზა.

— რწმენაში განმტკიცებისათვის, ეკლესიურ ცხოვრებაში ახლადფეხადგმულს, უფალი ნუგეშს არ მაკლებდა. განსაკუთრებით ვგრძნობდი წმიდა ნიკოლოზის შეწევნას, რომელთანაც ჩვენს პატრიარქს ყოველთვის ცოცხალი ურთიერთობა აკავშირებს.

ჯერ კიდევ სრულიად ახალ მისულს საპატრიარქოში, ძალიან მეწადა, წმიდა ნიკოლოზის იმ ხატის ნახვა, რომელიც პატრიარქს მივუძღვენი. ერთხელ მონაზონს შევეკითხე, ხომ არ იცი, წმიდა ნიკოლოზის ხატი სად აქვს უწმიდესს დაბრძანებული-მეთქი. — „საძინებელ ოთახში, თავთანო“ — მიპასუხა. ძალიან გამიხარდა, რომ ჩემი ნაჩუქარი ხატი ასეთ საპატიო ადგილზე ჰყავდა დაბრძანებული პატრიარქს, მაგრამ ამასთან შეუძლებლად ჩავთვალე, რომ მას ოდესმე ვნახავდი, რადგან უწმიდესის საწოლ ოთახში ჩემი შესვლა, წარმოუდგენელი იყო. და მაინც, იმ დილით ვთხოვე წმიდა ნიკოლოზს — „ძალიან მენატრები, ერთი წამით შენი ხატისთვის თვალი შემავლებინე-მეთქი“.

დაღამდა, საღამოს ლოცვის ზარი დაირეკა, ყველანი ლოცვაზე წავიდნენ. მაშინ, ძველ საპატრიარქოში, პატრიარქის კაბინეტში ლოცულობდნენ. მორჩილებს ლოცვაზე გავყევი. ლოცვა მალე დამთავრდა. მისმა უწმინდესობამ ყველას ხატები ჩამოურიგა, მე კი ანთებული კელაპტარი გადმომცა. შუქი არსად ენთო, იქაურობას მხოლოდ კანდელები ანათებდა. უწმიდესს ემბაზი ეჭირა და აიაზმას ასხურებდა. მე თავის წინ დამაყენა და მითხრა — „ოთახები უნდა შემოვიაროთო“. მღელვარებისა და უხერხულობისაგან ფეხები მებორკებოდა, არ მინდოდა უწმინდესის წინ მევლო, ვცდილობდი როგორღაც ზურგი არ შემექცია, მაგრამ უწმიდესი კვლავ წინ სიარულს მიბრძანებდა. გალობით შემოვიარეთ სალოცავი



წმინდა მღვდელმთავარ ნიკოლოზის

ტროპარი

„კანონად სარწმუნოებისა, და ხატად სიმშვიდისა, და მოძღვრად მარხვისა გყო შენ ქრისტემან, სამწყსოსა შენისათჳს ჭეშმარიტებით, ამისთჳსცა მოიგე სიმდაბლითა სიმაღლე და სიგლახაკითა სიმდიდრე, წმინდაო მღვდელთმთავარო ნიკოლაოს, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათჳს.“

კონდაკი

„მირონით გამო, წმიდაო, მსხვერპლის შემწირველად გამოსჩნდი, რამეთუ შენ ქრისტეს სახიერებაᲘ აღასრულე, და დასდევ სული შენი ერისა მისთვის შენისა, და იხსენ უბრალონი სიკვდილისაგან, ამისთვისცა წმიდა იქმენ შენ, დიდი მესაიდუმლე მადლისა ღმრთისა.“

ოთახი, მისი უწმიდესობა მორჩილებთან ერთად გალობდა იესოს ლოცვას: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“. შემდეგ ანთებული კელაპტრით შევედით საძინებელ ოთახში. უწმიდესის საწოლის თავზე კელაპტრის შუქზე მართლაც წამიერად შევავლე თვალი წმიდა ნიკოლოზის ხატს. უსაზღვროდ გავიხარე. მას შემდეგ ლოცვისას ასეთი მსვლელობა აღარ განმეორებულა და აღარც წმიდა ნიკოლოზის ხატი მინახავს.

— 80-იანი წლების დასაწყისში მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ლოცვა-კურთხევითა და ძალისხმევით, ასევე ბ-ნ ზურაბ ჭავჭავაძისა და სხვა მამულიშვილთა გულმოდგინე მეცადინეობით, ორთაჭალაში მდებარე წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას დაუბრუნდა. მისი უწმინდესობის კურთხევით, პირველ ხანებში ტაძარში ბიბლიოთეკა განთავსდა. ბიბლიოთეკის მოწესრიგება მე და ციცინო ჟვანიას (მამა ლეონტი ჟვანიას ქალიშვილს) დაგვევალა. თავიდან შრომით დაღლილ-დაქანცულნი საღამოობით საპატრიარქოში ვბრუნდებოდით, შემდეგ კი საცხოვრებლადაც წმიდა ნიკოლოზის ბიბლიოთეკაში გადავედით. წირვას კი კვლავ სიონში ვესწრებოდით.

— ერთხელ, როცა მისი უწმიდესობა ამერიკაში ბრძანდებოდა, მე და ციცინო ბიბლიოთეკაში ვმუშაობდით და ვნატრობდით: — „მე — ნეტავ უწმიდესმა ჟაკეტი ჩამომიტანოს-მეთქი“. ფერსაც ვარჩევდი, ყავისფერი, გრძელი და ჯიბეებიანი მინდოდა ყოფილიყო. ციცინო ამერიკულ მზის სათვალეზე ოცნებობდა. მე შევეშველე ნატვრაში — ბარემ ნამდვილი ტყავის ბუდეც ჩამოგიტანოს სათვალისათვის-მეთქი. როცა მისი უწმინდესობა ჩამობრძანდა, საპატრიარქოში ვიყავით, ყველანი შევეგებეთ და ლოცვა-კურთხევა ავიღეთ. უწმიდესმა დედებს დაუძახა — საჩუქრები ამოალაგეთო!. ჩანთა მოატანინა, თავისივე ხელით გახსნა და ყავისფერი ჟაკეტი ამოიღო. სწორედ ისეთი, როგორზეც ვოცნებობდი. გაოგნებული ვიყავი, იქვე ჩავიცვი, ზუსტად მომერგო. მისმა უწმინდესობამ ციცინოს უთხრა: შენთვის მზის სათვალე ჩამოვიტანეო. ციცინომ გაოცებისაგან შეჰყვირა: „— მოიცა, იმ ჩანთაში ტყავის ბუდეებია, ისიც წაიღეო“ — შეაჩერა უწმინდესმა. ასე აგვიხდა ორივეს ნატვრა. გაკვირვებულნი და გახარებულნი დავრჩით.

სხვა დროს, ისევ საპატრიარქოში ყოფნისას დილითვე ამეკვიატა ფიქრი თექის ჩექმებზე. მისი უწმინდესობა მარტყოფში ბრძანდებოდა, ჩემი სურვილის შესრულება სრულიად არა რეალური ჩანდა. საღამოს მობრძანდა პატრიარქი. ზარის ხმის გაგონებისას ისევ გავიფიქრე: „ნეტავ თექის ჩექმები ხომ არ მოიტანა-თქო“. და საოცრება! უწმიდეს ერთი დიდი ყუთი ჩექის ჩექმები მოეტანა. უწმიდესმან ყველანი სასწრაფოდ თავისთან მიგვიხმო. ვხედავ, ყუთიდან ნაირ-ნაირი ფერის თექის ჩექმებს იღებენ და იზომებენ დედები. გაოცებისაგან გავშეშდი, გაშტერებული ვიყურებოდი. უწმიდესმა ზურგზე მიბიძგა, „შენ რატომ არ ისინჯავო“. მაინც ვერ გავინძერი, ცალკე მორიდებისა და ცალკე გაოცებისაგან. ამასობაში უწმიდესმა თვითონ ამოარჩია ზუსტად ჩემი ზომა თექები, მომიტანა და მითხრა: „აბა, ჩაიცვი!“ — საათივით მომერგო.

— მინდა ერთი შემთხვევაც გავიხსენო: პეტრე-პავლობის დღესასწაულზე მისი უწმიდესობა სამღვდელოებასთან და მრევლთან ერთად ქუთაისში

გაემგზავრა. ყველანი დამოუკიდებლად – ზოგი მატარებლით, ზოგი კი – საკუთარი მანქანით წავიდნენ. როგორც ყოველთვის, მე და ციცინოსაც ძალიან გვინდოდა უწმიდესთან ერთად ვყოფილიყავით, მაგრამ მგზავრობის თანხა არ გვქონდა. იმ დროს წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში ჩვენი ახლობლები ნინო და ელისო ბერაიები იყვნენ სტუმრად, როცა ჩვენი სურვილი გაიგეს, თავადაც მოისურვეს ჩვენთან ერთად წამოსვლა. ელისოს აღმოაჩნდა იმდენი თანხა, რამდენიც ქუთაისამდე ჩასასვლელად იყო საჭირო, უკან წამოსასვლელად კი აღარ გვყოფნიდა. მიუხედავად ამისა წასვლა მაინც გადავწყვიტეთ – მთავარია წავიდეთ და მერე ღმერთი საშველს გამოგვიჩენსო. ოთხივენი მუხლმოდრეკილნი შევევედრეთ წმიდა ნიკოლოზს: „წმიდა ნიკოლოზ, ხომ იცი, უკან დასაბრუნებელი თანხა არა გვაქვს, შენ ხომ სასწაულთმოქმედი ხარ, გეხვეწებით, უკან წამოგვიყვანეთქო“. და უფალს და წმიდა ნიკოლოზის მეოხებას მინდობილნი, გულდამშვიდებულნი გავემგზავრეთ მატარებლით ქუთაისისაკენ. გადავიხადეთ მატარებლის ბილეთისა და ტროლეიბუსით მგზავრობის ფული და საოცარია, ზუსტად გვეყო. არც ერთი კაპიკი არც დაგვკლებია და არც მოგვრჩენია.

– წირვაზე ცოტა დაგვიანებით მივედით, ლიტურგიის დამთავრების შემდეგ ვინ სასტუმროს მიაშურა, ვინ ნათესავის სახლს. ჩვენ კი არ ვიცოდით საით წავსულიყავით. დაბნეულები რომ დაგვინახა, უწმიდესის ძმისშვილი გოგი შიოლაშვილი მოვიდა და სასტუმროში წაყვანა შემოგვთავაზა. სიხარულით დავთანხმდით. (წმიდა ნიკოლოზი! – გავიფიქრე). სასტუმროს ოთახებში სიონის მრევლი იყო განაწილებული. უწმიდესიც ამავე სასტუმროს ერთ-ერთ ნომეროში ბრძანდებოდა. ერთ-ერთმა ნაცნობმა თავის ნომერში შეგვიპატიჟა და ტრაპეზიც შემოგვთავაზა. შემდგომ გამოგვკითხა, რითი ვაპირებდით გამგზავრებას. ჩვენ ვთქვით, რომ ოთხივენი ერთად უნდა წავსულიყავით, მაგრამ რომელი ტრანსპორტით, ჯერ არ გვქონდა გადაწყვეტილი. უფულობა არ გაგვიმხელია. ამ დროს გაიღო კარი და შემოვიდა უწმიდესის მძღოლი ნოდარი, მისმა უწმიდესობამ დამავალა, ნახე ოთახებში რამდენი არიან, არავინ დარჩეს, ვისაც მანქანები გყავთ ყველამ ვინმე ჩაისვითო. უსაზღვროდ გავიხარეთ. უთუოდ წმიდა ნიკოლოზმა აუწყა პატრიარქს ჩვენი გასაჭირი! ჩვენ ჯერ არ ვიცოდით, ვისი მანქანით მოგვიწევდა წამოსვლა. ცოტა ხანში ისევ იხსნება კარი და შემოდის გოგი შიოლაშვილი: უწმიდესმა თქვენი წაყვანა მე დამავალა, ჩემი მანქანით მხოლოდ თქვენ ოთხნი წამოხვალთ, სხვა არავინ იქნებაო. „წმიდა ნიკოლოზი!“ – ერთხმად შევძახეთ.

ვიდრე გავემზადეთ და დაბლა ჩავედით, უწმიდესი უკვე გამგზავრებულიყო. გოგიმ სასწრაფოდ ჩაგვსხა მანქანაში და სწრაფად გაგვაქროლა. უწმიდესის მანქანას უნდა დასწეოდა. მართლაც მალე დაეწია და მთელი გზა უკან მიჰყვებოდა. სადაც მისი უწმიდესობა ჩერდებოდა, ჩვენც ვჩერდებოდით. გზადაგზა პატრიარქი ხელით ნაკეთებ დოქებს, ვაზებს, ნაქსოვ-ნაქარგებს ათვალიერებდა და რაც მოეწონებოდა ყიდულობდა. იქნებ იმიტომაც გლეხები სიცივეში დიდხანს რომ არ მდგარიყვნენ.

ჩვენ უსაზღვროდ გახარებულნი და ბედნიერნი, მადლობას ვსწირავდით უფალს და მის სათნომყოფელს, წმიდა ნიკოლოზს. ასე ჩამოვედით სიონამდე, მაგრამ ახლა ორთაჭალაში გვინდა წავსლა, გოგის თხოვნა ვერ შევბედეთ, ჩამოვჯექით სიონის კარის წინ და ვიცდით. უცებ გოგი ისევ მობრუნდა და გვეკითხება, სად გინდათ წასვლა, რომ მიგიყვანოთ? ჩვენ მოჩვენებითად ვიუარეთ, მაგრამ გოგი არ მოგვეშვა – „სწრაფად დასხედით, მერე უწმიდესი უნდა ვნახოო“. ორ წუთში ორთაჭალაში ვიყავით. დიდი მადლობა გადავუხადეთ გოგის, რომელსაც წმიდა ნიკოლოზმა ამდენი სიკეთე მოამოქმედებინა. ტაძარში მისვლისთანავე დავემხეთ ამბიონის წინ და მადლობა შევსწირეთ ღმერთს იმ წყალობისათვის, რომელიც უშურველად მიიღო ჩვენზე.

ერთხელ, გიორგობის დღესასწაულზე მე და ციცინო წმიდა ნიკოლოზის ტაძრიდან თელეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში წავედით, გავიარეთ შავნაბადაზეც. თელეთში, ტაძრის ეზოში უამრავი ხალხი ირეოდა, აქ ვნახე პირველად თეთრ კაბებში გამოწყობილი ე.წ. „მონაქალები“, რომლებიც ფანდურზე „იავნანას“ მღეროდნენ. მამა გაბრიელიც (ურგებაძე) იქ იყო და „მონაქალებს“ ეპაექრებოდა. სადღესასწაულო წირვა მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ აღავლინა. მახსოვს, წირვის დამთავრების შემდეგ, მამა როსტომი (ლორთქიფანიძე) პატრიარქს ცაზე გამოსახულ უზარმაზარ ჯვარს აჩვენებდა, რომელიც თანდათან გაფერმკრთალდა და ბოლოს სულ გაუჩინარდა. ყველანი გაოცებულნი შევსცქეროდით უჩვეულო სანახაობას.

ორთაჭალაში გვიან დავბრუნდით. მოულოდნელად ორივემ ერთბაშად მოვიწყინეთ, უკვალოდ გაქრა წუთის წინანდელი სადღესასწაულო განწყობა, სულ ცოტა ხნის წინ სიხარულით გაბრწყინებულები – მოვიღუშეთ, ერთმანეთს ხმას აღარ ვცემდით. რა ხდებოდა ჩვენს თავს ვერ ვხვდებოდით, ერთმანეთზე დაბოღმილები არაქათგამოცლილნი და გაშეშებულნი ვიდექით. უცებ ციცინოს სახე გაუბრწყინდა – რაღაც მოიფიქრა! ტელეფონთან მივიდა და ნომერი აკრიფა, თურმე საპატრიარქოში რეკავს მისი უწმიდესობის ნო-

მერზე. ყურმილი უწმიდესის მძღოლმა აიღო, ციცინომ მას ხმა არ გასცა, ჩუმად მანიშნა ვიმღეროთო და ორივემ წამოვიწყეთ:

„— ღვთისკურთხეული ქართველი ერი დღეგრძელი იყოს მრავალი, მრავალი წელი...“ — ვმღერით და ვმღერით, ერთსა და იგივეს, აღარ ვჩერდებით. უცებ ყურმილში მისი უწმიდესობის ხავერდოვანი ხმა გაისმა: „ციცინო შენა ხარ?“ — ციცინოს მოულოდნელობისაგან ყურმილი კინაღამ ხელიდან გაუვარდა. — „დიახ, თქვენო უწმიდესობავ!“ — და ხმა ჩაუწყდა. — „რა დაგემართა? რამდენი ხართ, რა კარგად გალობთ!“, — „ორნი ვართ, თქვენო უწმიდესობავ. — ხმის კანკალით გააგრძელა ციცინომ, „მოწყენილები ვიყავით და ვიფიქრეთ...“ — ვეღარ დაამთავრა სათქმელი. — „აბა, ჯვარი გეწეროთ, კარგად ბრძანდებოდეთ!“, — დაგვლოცა პატრიარქმა და ყურმილი გათიშა.

ერთხანს გაოგნებულები ვიდექით. მერე სიცილი აგვიტყდა. მისი უწმიდესობისაგან ისეთი დიდი მადლი და სიხარული შემოვიდა, რომ მოწყენილობისა და გაურკვევლობის კვალიც კი აღარ დარჩა. ამ შემთხვევის შესახებ ციცინო მეორე დღესვე უყვებოდა საპატრიარქოს თანამშრომლებს, თან ხუმრობით იმეორებდა: „თურმე, როცა მოწყენილობა დაგეუფლება, უნდა აკრიფო უწმიდესის ნომერი და იმღერო, რამდენიც გინდა!“

აქვე გავიხსენებ ერთ კურიოზსაც: უწმიდესის კაბინეტში ტელეფონმა დარეკა, მისმა უწმიდესობამ ყურმილი აიღო და ცოტა ხანში გაკვირვებული პასუხობს: „ნინო როგორ ვიქნები, კაცი გელეპარაკებით?!“ — მერე მე მომიბრუნდა და ღიმილით გამიმეორა: „ნინო ხარო? ნინო როგორ ვიქნებოდი?!“.

შემდეგ პატრიარქმა ბიბლიოთეკა და არქივი დაათვალიერა, არქივის კუთხეში მე და ციცინოს პატარა საძინებელი გვქონდა მოწყობილი, უწმიდესმა მოათვალიერა ჩვენი საცხოვრისი და სევდიანად წარმოთქვა: „მეც სიამოვნებით ვიცხოვრებდი ამ ფუღუროშიო“.

* * *

მისი უწმიდესობა უაღრესად ყურადღებიანი იყო და არის უძლურთა და სნეულთა მიმართ: პატრიარქის მამობრივი ზრუნვა უძლურების ჟამს ჩემს თავზეც გამომიცდია. ერთხელ უწმიდესმა მე (მაშინ მორჩილი) და თამრიკო ხატიაშვილი (ამჟამად მონაზონი ანგელინა) ერთი თვით მანგლისში გვიახლა. მე და თამრიკო ორივენი ცუდად ვიყავით. „რა გჭირთ, რას დაემსგავსეთ?“ — გვეკითხებოდა უწმიდესი. ჩვენ მორიდებით ვერ ვეუბნებოდით ავადმყოფობის მიზეზს და სტეშას (მონაზონი ათანასია) ვათქმევინეთ. დაინტერესდა თურმე უწმიდესი და ღამის სამ საათამდე ენციკლოპედიაში ეძებდა ავადმყოფობის განმარტებას და მკურნალობის მეთოდებს. მეორე დღეს შორენას დაავალა ბაზრიდან მოეტანინებინა საქონლის ღვიძლი, ღორის ქონი, რძე და რაღაც ბუნებრივი წამლები. ამ ყველაფრით ჩვენთვის წამალი შეამზადებინა და მანგლისში წამოაღებინა. საქონლის ღვიძლს დედა ევპრაქსია (ბუჩუკური) უგემრიელესად გვიზავებდა, მაგრამ ჩვენ, ვერც ერთმა, ჭამა ვერ შევძელით. წამალიც ძლივს ერთი-ორი კოვზი მივიღეთ და ბოლოს ყველაფერზე უარი ვთქვით. (თქვენ პირში გემო არა გქონიათო, გვითხრა უწმიდესის მძღოლმა, გიორგიმ. ჩვენც სიხარულით დავუთმეთ მას ღვიძლის მწვადები).

წმიდა ნიკოლოზის ტაძრის ბიბლიოთეკაში მუშაობისას ჩვენთვის უბედნიერესი იყო ის დღე, როცა პატრიარქი იქ მობრძანებას ინებებდა. მისი უწმიდესობა პირველ ხანებში მართლაც რომ გვანებივრებდა თავისი ხშირი სტუმრობებით. ერთ-ერთი სტუმრობისას მისმა უწმიდესობამ ტაძარში პარაკლისი გადაიხადა, შემდეგ ამბიონის წინ დადგა და კვერთხზე დაყრდნობილი დიდხანს, დიდხანს სევდიანად ღუღუნებდა: „დავიღალე, დავიღალე, მოდი ჩემთან, უფალო!“ პატრიარქის ტკბილ გალობას თანმხლებ მონაზვნებთან ერთად ჩვენი თუთიყუშებიც ხალისით აჰყვნენ. მე ლმობიერებისაგან ცრემლი მერეოდა და მახსენდებოდა სადღაც ამოკითხული: წმიდა ილია მართალი დაღლილობისას თურმე ასე ღიღინებდა: „სული მიწუხს, გულიც მასთან ღონდება, თვალს ავახელ, ცრემლები არ მშორდება!“, როგორ ჰგავდა ამ ორი თანამოსახელე და მონათესავე სულის განწყობა ერთმანეთს.



მანგლისში ყოფნისას მე და თამრიკოს მისი უწმიდესობის ოთახების დალაგება, თეთრეულის გარეცხვა, ნივთების მოვლა გვევალებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ორივენი მძიმე ავადმყოფები ვიყავით, უწმიდესის მადლითა და სიყვარულით ყველაფერს გულმოდგინედ ვაკეთებდით. უწმიდესთან ძალიან ბევრი სტუმარი იყრიდა თავს. მათი გამასპინძლებით დედა ევპრაქსია და ქ-ნი შორენა იყვნენ დაკავებულნი, რომელიც მცირე ხნით იყო ჩამოსული მანგლისში. სასულიერო პირებიც მრავალად იყვნენ თავიანთი ოჯახის წევრებითა და ნათესავებით. პატრიარქი ყოველ კვირას თავად აღავლენდა საღვთო ლიტურგიას. ერთხელ, წირვის დასრულების შემდეგ, მისმა უწმიდესობამ რეზიდენციის ოთახები შემოიარა, ერთი ოთახი დაკეტილი დახვდა, მოახსენეს რომ იქ ერთ-ერთი სასულიერო პირი ისვენებდა. როდესაც კარი გააღეს, პატრიარქმა დანანებით უთხრა დარცხვენილ მოძღვარს „რა გული გიძლებს, წირვის დროს ოთახში რა გაჩერებსო“ და მსწრაფლ განშორდა. თავად მისი უწმიდესობა დილაადრიან დგებოდა, შემდეგ მთელი დღის განმავლობაში აღარც შედიოდა საწოლ ოთახში, სტუმრების მიღებით ან ხატწერით იყო დაკავებული (მისი უწმიდესობა იმჟამად მუშაობდა ღვთისმშობლის ხატზე „ვედრება“). საღამოობით ტაძრის ეზოში გადაბრძანდებოდა და შეკრებილ ხალხს ესაუბრებოდა. ერთ საღამოს ქ-ნ შორენას რეზიდენციაში ბავშვების მოწვევა დაავალა. მართლაც ბევრი ბავშვი შეგროვდა, მისი უწმიდესობა სიყვარულით მიესალმა და გაესაუბრა ბავშვებს, რომლებიც ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ პატრიარქს. შორენამ უწმიდესის კურთხევით სახარებიდან რამდენიმე თავი წაუკითხა ნორჩ სტუმრებს, შემდეგ კი თბილისიდან წაღებული შოკოლადები დაურიგეს პატრიარქის ნახვით აღფრთოვანებულ და საჩუქრებით გამხიარულებულ ბავშვებს. „ეს შეხვედრა მათ კარგად დაამახსოვრდა, როცა გაიზრდებიან, კეთილად მოიგონებენ. გაიხსენებენ — პატრიარქი ვნახეთო“, — თქვა უწმიდესმა.

მახსოვს ერთ საღამოს მრევლთან საუბრისას მის უწმიდესობას ერთმა ქალბატონმა (როგორც მახსოვს ქ-ნმა ცისანა ახალაძემ) ასეთი კითხვით მიმართა: „თქვენო უწმიდესობავ, სიონში მრევლისაგან და სხვებისგანაც გამიგონია, ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს თავის დაბანა არ შეიძლება და აღარ ვიცი, როდის დავიბანოო“. უწმიდესს გაეღიმა და უპასუხა: „ცისანა, როცა ჭუჭყიანი ხარ, ყოველთვის შეგიძლია იბანაო, კვირის გარდა, კვირა საუფლო დღეაო“. მე და თამრიკო უძლურებისაგან ვიყავით გათანგულნი და ყველაზე მეტად იმის თაობაზე გვაინტერესებდა უწმიდესის აზრი, თუ რატომ გვჭირდა ასეთი მძიმე სენი. „აბა, ეს რომ არ გჭირდეთ, გასთხოვდებითო!“ — მოკლედ მოგვიჭრა პატრიარქმა. ასეთმა პასუხმა იმედი მომცა, მას შემდეგ ავადმყოფობაზე ფიქრს აღარ დავუმწუხრებივარ. თუმცა, როგორც ექიმები ვარაუდობდნენ, ორივეს უნუგეშო მდგომარეობა გვქონდა. „ეს სისხლი კი არა წყალიაო“ — გვეუბნებოდნენ ბალნეოლოგიურ ლაბორატორიაში. ერთი თვე ჟორდანიას სახელობის საავადმყოფოში, ერთი თვე კი აწგანსვენებულ ექიმ გივი ბაქრაძესთან ვიმკურნალეთ. მისი უწმიდესობის სიყვარულითა და პატივისცემით არაფერი დაგვაკლეს. ექიმებთან მკურნალობასთან ერთად, სხვადასხვა ტაძრებში ვგზავნიდით სეფისკვერებსა და მოსახსენიებელს საჯანმრთელო პრაკლისებისათვის. მისი უწმიდესობა ხშირად კითხულობდა ჩვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას. ბატონმა გივიმ იმ დღეს სიხარულით აღარ იცოდა რა ექნა, როცა მისი უწმიდესობა დაურეკავდა და ჩვენს ამბავს მოიკითხავდა. ექიმთა შეკრებაზეც კი აცხადებდა — დღეს პატრიარქმა დამირეკაო. ჩვენც უსაზღვროდ ბედნიერნი ვიყავით როცა ამბავს მოგვიტანდნენ, მისმა უწმიდესობამ ბარძიმში ან კვეთაში მოგიხსენიაათო. მახსოვს, ერთი პერიოდი ჩვნი მდგომარეობა იმდენად დამძიმდა, ექიმებმა ხელი ჩაიქნიეს. ორივეს მომაკვდავ ავადმყოფებად გვთვლიდნენ. „ჩვენ ჩვენი შესაძლებლობები ამოვწურეთ, იქნებ თქვენმა ღმერთმა გიშველოთო“. — აკი, გვიშველა კიდეც, ღვთის შეწევნით, პატრიარქის ლოცვითა და ექიმების დახმარებით სრულიად განვიკურნეთ.

— მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, ავადმყოფობის დროს ხშირად აკითხავდა, აღსარებას იბარებდა და აზიარებდა მწერალ ნოდარ დუმბაძეს. „ბავშვივით ჩამაბარა აღსარებაო“ — ამბობდა მასზე. ერთხელ თავად უწმიდესიც ბავშვივით გახარებული დაბრუნდა საპატრიარქოში: „ნოდარმა თავისი ვერცხლის ბეჭედი მაჩუქაო“ - ხელზე დიდი, მწვანე თვლიანი ბეჭედი ეკეთა და გვიჩვენებდა. როცა მის უწმიდესობას ნოდარის გარდაცვალების ამბავი შეატყობინეს, მაშინვე დედებს დაუძახა, ტაბლა გააწყობინა, მოატანინა საცეცხლური, საკმეველი, შეიმოსა ოლარი და იქვე, თავის კაბინეტში, ხატების წინ გადაუხადა პირველი პანაშვიდი.

* * *

ჩემს თავზე გამომიცდია, რაოდენ ძნელია და მძიმე პატრიარქის კურთხევის შეუსრულებლობა.

მიტროპოლიტ კონსტანტინეს (მელიქიძე) ქორეპისკოპოსობის დროს, მისმა უწმიდესობამ მაკურთხა, მეუფეს საგამომცემლო საქმიანობაში დავხმარებოდი. ალბათ, როგორც ვიფიქრე, შემოსული მასალებისათვის კორექტურა უნდა გამეკეთებინა. იმ დროს წმიდა ნიკოლოზის ბიბლიოთეკაში ვასრულებდი მორჩილებას. წარ-

მოვიდგინე, როგორ გამიჭირდებოდა კვლავ ერის ხალხთან ხშირი ურთიერთობა, ამიტომ მის უწმიიდესობას უარით ვუპასუხე. უწმიდესს არ ესიამოვნა, ჩემგან წინააღმდეგობას არ მოელოდა, მაგრამ დაძალებით არ დაუძალებია — კარგიო — მითხრა და სწრაფად გამშორდა. მაშინვე ვიგრძენი საოცარი სიმძიმე. გადავწყვიტე, ვიდრე მის უწმიდესობას შენდობას არ ვთხოვდი, საპატრიარქოდან ფეხი არ მომეცვალა. ციცინოსთან ერთად ღამის სამ საათამდე მომიწია ლოდინმა. პატრიარქი მეტისმეტად დაკავებული იყო. სამ საათზე გავიგეთ, რომ მისი უწმიდესობა კაბინეტიდან გამოდიოდა. კიბეები სასწრაფოდ ავირბინეთ. ჩვენს დანახვაზე მისი უწმიდესობა გაკვირდა — „ასე გვიანობამდე აქ რატომ ხართო?“ მე ფეხებში ჩავუვარდი და დილანდელი ურჩობის გამო შენდობა ვთხოვე. უწმიდესს აღარც კი ახსოვდა, რისთვის ვთხოვდი პატიებას. მერე გაიღიმა და „ღმერთმა შეგინდოსო“, — მითხრა. შენდობის თხოვნამ შვება მომგვარა, სიმსუბუქე ვიგრძენი, გული სიხარულით ამევსო, რომ მისი უწმიდესობა გულნატკენი არ დავტოვე.

— თუმცა მას შემდეგაც იყო შემთხვევები, როცა პატრიარქის შემოთავაზებებსა თუ კურთხევებზე, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, სხვადასხვა მიზეზის გამო უარი მითქვამს და შემდეგ მწარედაც მინანია, ძალზე ძვირად დამჯდომია ურჩობის ნაყოფი. ამიტომაც ვუთხარი მის უწმიდესობას სამთავროში ერთ-ერთი სტუმრობის დროს — „თქვენო უწმიდესობავ, რაშიც არ დაგიჯერეთ, ყველაფერში კისერი მოვიტეხე-მეთქი“.

და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, ყოველთვის ნუგეშად მქონდა პატრიარქის დიდი სიყვარული და მისი ჩემდამი უსაზღვრო ნდობა. მახსოვს, ერთხელ ძველ საპატრიარქოში, მისი უწმიდესობის ახლო ნათესავებთან ერთად, პატრიარქის სატრაპეზო ოთახში ვიყავით. მისი უწმიდესობა ყველას გვესაუბრებოდა, მერე მე მომიბრუნდა, გულში ჩამიკრა და ხმამაღლა წარმოთქვა: „მე ყველაზე მეტად ვენდობი იზოსო!“ სხვების წინაშე თავი დამნაშავედ ვიგრძენი ამ სიტყვების გამო. ჩემი არყოფნის დროს, სხვათათვისაც ხშირად უთქვამს თურმე პატრიარქს, — „დედა იღუმენია ჩემი გაზრდილიაო“. ხშირად მახსენდებოდა ხოლმე მისი უწმინდესობის სიტყვები და ვცდილობდი, გამემართლებინა მისი ნდობა, რამდენად შევძელი, უფალმა უწყის.

— „შენა, იცოდე, პატრიარქის გარდა, ვერავინ გაგიგებსო“, — მითხრა ერთხელ მამა გაბრიელმა. — „შენ უფალი ქურაში შეგაგდებს, რათა განგწმიდოს და გამოგასურვოს, მაგრამ არ დაეცემი“, — მერე იქვე მდგომ ერთ მონაზონს მიუბრუნდა — „ასეთივე განსაცდელი რომ უფალმა შენზედ დაუშვას, შენ დაეცემი, ვერ შაუძლებ... შენ საცოდავი ხარ და დაეცემი“ — დღემდე ერთგვარი ტკივილით მახსენებს თავს მამა გაბრიელის ეს სიტყვები.

* * *

პატრიარქთან ახლოს ყოფნა და ურთიერთობა, რაღა თქმა უნდა დიდად მეწეოდა და განმამტკიცებდა უფლისაკენ მიმავალ გზაზე და მეხმარებოდა ღვთის პოვნაში, მაგრამ ამავე დროს მის უწმიდესობასაც ფრიად განვადიდებდი ჩემს გულში და წარმოდგენებში. და აი, მაშინ ჯერ კიდევ ახალმისულს საპატრიარქოში, მისი უწმიდესობის გულმხურვალე თაყვანისმცემელს, ამეკვიატა ფიქრი: ნეტავ გადაჭარბებული, უსაფუძვლო ხომ არ არის ჩემგან მისი უწმიდესობის მიმართ ასეთი დიდი პატივისცემა, ნუთუ მართლა იმსახურებს ამხელა სიყვარულსა და მოწიწებას ჩვენი პატრიარქი-მეთქი? ეჭვებს ვერავის ვუმხელდი. ერთხელაც ამ ფიქრებით აფორიაქებულს ჩამეძინა და ვიხილე სიზმრისეული ჩვენება. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ გუშინდელივით მახსოვს, თითქოს ცხადლივ ხდებოდა ყველაფერი. უზარმაზარი, კონუსის ფორმის მთა სიმაღლით ცას წვდებოდა. მთის მწვერვალზე ზურგშექცევით, ხელაღპყრობილი იდგა პატრიარქი. მთის წვერის ძირში ვიდექი მე, მთის გარშემო, ოდნავ მოშორებით უამრავ ხალხს, თითქმის მთელ საქართველოს მოეყარა თავი. ყველანი უწმიდესს შევსცქეროდით. მისმა უწმიდესობამ თავი მოაბრუნა და გადმომხედა. ჩვენს შორის დიდი მანძილის მიუხედავად, სახე ახლოს დავინახე — გაღიმებული თვალებში მიყურებდა და თითქოს მეუბნებოდა: „აი, ხომ ხედავ, სადა ვარ?!“ — გაღვიძებისთანავე მივხვდი მისი უწმიდესობის უსიტყვო პასუხს. დავრწმუნდი მისი უწმიდესობის დიდ სულიერ სიმაღლეში და იმ დიდი ზღვარის არსებობაში, რომელიც ჩვენსა და პატრიარქს შორის არსებობდა. ამგვარად გაეცა პასუხი ჩემს კითხვებს. უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი. ვხარობდი, რომ არ შევმცდარვარ მისი უწმიდესობის სიყვარულში, რომელიც დღემდე უცვლელად მომყვება.

— საქართველოს საპატრიარქო რეზიდენციაში ღვთის შეწევნით 1979 წელს მივედი. 1984 წელს მისმა უწმიდესობამ მორჩილად მაკურთხა, სამორჩილო შესამოსელი თავისი ხელით შემმოსა და სკვნილის გადმოცემისას მითხრა: „ეს სკვნილი იერუსალიმიდან ერთადერთი ჩამოვიტანე და შენ გერგოო“ — მარცხენა ხელზე გამიკეთა და დაამატა: „ეს არის მახვილი ხილულ და უხილავ მტერთან საბრძოლველადო“. უსაზღვროდ ბედნიერი ვმადლობდი უფალს და საყვარელ პატრი-

არქს ჩემი სულიერი ცხოვრების წარმართვისათის.

— მახსენდება ასეთი შემთხვევა ჩემი იმჟამინდელი ცხოვრებიდან. საპატრიარქოში მე და ერთ მორჩილს საწყობი გვებარა. ერთხელ მისი უწმიდესობა შემობრძანდა, და გვითხრა: „სიონის საკურთხეველიდან შანდლებს, წიგნებს, საეკლესიო ჭურჭელს მოიტანენ და თქვენ უნდა გაასუფთაოთო“. წიგნების ყდების გასუფთავებას თავად გვასწავლიდა. სპირტი, კბილის ჰიგიენური ფხვნილი, ბამბა მოგვატანინა და საქმეს შევუდექით. გვერიდებოდა უწმიდესის თვალწინ საქმიანობა, მაგრამ რას ვიზამდით. მისი უწმიდესობა სავარძელში იჯდა და ორივეს გვაკვირდებოდა. მოულოდნელად მზერა ჩემზე შეაჩერა და ხმამაღლა განაცხადა: „აი, შენ, იღუმენიად გამოდგები“ — „შენ კი არა“ — უთხრა მეორეს. სხვა დროს მკითხა: „რამდენი წლისა ხარ?“ - ოცდაცხრამეტის-მეთქი“ — ვუპასუხე. „კარგი საიღუმენიო ასაკია“ — მეტი არაფერი უთქვამს. მე მაშინ პირველად მესმოდა „იღუმენიას“ შესახებ, არც კი ვიცოდი ვინ იყო და რას აკეთებდა იღუმენია მონასტერში.

— 1986 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა, სიონის საკათედრო ტაძარში, სამ მორჩილთან ერთად სამონოზვნედ მაკურთხა. კურთხევა ღამის 12 სთ-ზე დაიწყო და სამ საათამდე გაგრძელდა. სახელად ნინო მიწოდა.

მალე მისმა უწმიდესობამ ჩემი სამთავროს დედათა მონასტერში გადმოყვანა გადაწყვიტა. გადმოსვლის წინადღეს პატრიარქმა თავისთან დამიბარა და მითხრა: „— შენი საბოლოო ადგილი მცხეთაშია, იქ უნდა ჩაეწეროო“. მერე დიდხანს მესაუბრა მონასტრულ ცხოვრებაზე — „მონასტერში რომ მიხვალ, ნურავის შეხედავ, გამოსწორება შენი თავიდან დაიწყეო“ — მამობრივი სიყვარულით დამარიგა. ამ სიტყვების ძალა დღემდე არ განელებულა ჩემში. ვცდილობ ნაკლებად შავამჩნიო სხვათა ნაკლი და სისუსტეები, რაც ჩემი თავის შეცნობაში მეხმარება.

სხვათაშორის მისმა უწმიდესობამ საუბარში სამთავროს ძველი დედების ცხოვრებიდან ცალკეული ეპიზოდები გაიხსენა. აღნიშნა, რომ ისინი ათონური (ექვთიმე ათონელის) ტიპოკონით ცხოვრობდნენ. ადრე დგებოდნენ, ხანგრძლივად ლოცულობდნენ და ბევრს შრომობდნენ. ისე, რომ ერთმანეთთან სალაპარაკოდ ვერ იცლიდნენო. ამ საუბრიდან შევიტყვე, რომ სამთავროს დედებს ასეთი ტრადიცია ჰქონიათ: როდესაც რომელიმე და გალავნის გარეთ გადიოდა, ყველას დაუჩოქებდა და შენდობას ითხოვდა, რადგან არ იცოდა, უკან ცოცხალი დაბრუნდებოდა თუ არა.

მისი უწმიდესობის კურთხევით სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში 1986 წლის 5 მარტს მოვედი. სწორედ ამ დღეს შესრულდა იღუმენია ანას (დარია აჭაიძე) გარდაცვალებიდან ორმოცი დღე. იღუმენია ანას, დედა დაროს, როგორადაც მას სიყვარულით ეძახდნენ მისი უწმიდესობა დიდად აფასებდა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, პატრიარქმა სარეცელს მიჯაჭვული დედა იღუმენია მოინახულა. დედა ანას ფეხები დაწყლულებოდა, ისედაც ხანდაზმულს ყველაფერი ტკიოდა და აწუხებდა. პატრიარქს წილკნელი ეპისკოპოსი, იმჟამად მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი, მეუფე ზოსიმე (შიოშვილი) ახლდა. იმხანად მეც სტუმრად ვიმყოფებოდი მონასტერში. მისი უწმიდესობა დედა ანას საწოლთან მიბრძანდა, იღუმენიას წინ დაიჩოქა და თხოვა: „დედა ანა, მაკურთხე, ჯვარი გადამსახეო“. — „მე როგორ გადაგსახო ჯვარი, პატრიარქი ბრძანდებით“... — თავდადრეკილად და მორიდებით იუარა დედა ანამ, მაგრამ როდესაც მისმა უწმიდესობამ დაჟინებით მიმართა, დედა ანამ მორჩილებით, სამი თითი შუბლზე მიადო და ათრთოლებული ხელით სამჯერ გადასახა ჯვარი პატრიარქს სიტყვებით: „სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა ამინ!“ მისმა უწმიდესობამ დედა ანას უზარმაზარბურთულებიანი, დიდი სკვნილი აჩუქა: — საზღვარგარეთიდან ჩამოვიტანეო, — უთხრა და კედელზე საწოლის თავთან დაუკიდა. სკვნილი იმდენად დიდი იყო, მთელი კედელი შეავსო. (დედა ანას გარდაცვალების შემდეგ, როცა მონასტერში მოვედი, ის სკვნილი აღარ დამხვედრია). პატრიარქმა იმ დღეს დიდხანს სიყვარულით ისაუბრა დედა ანას ღვაწლსა და ღირსებებზე: „დედა ანამ ტიბიკონი ზეპირად იცოდა, გალობდა, ბევრს ლოცულობდა და შრომობდა, საბნებს კერავდა, ძროხებს უვლიდაო...“ დედა იღუმენია საწოლზე წამომჯდარი, თავდადრეკილი უსმენდა, ბოლოს, ისე რომ თავი არ აუწევია, ჩურჩულით, ხმადაბლა აღმოთქვა: „თქვენო უწმიდესობავ, მე მართლა არაფერი გამიკეთებია, მაგრამ ხომ ვეგდე მონასტერში, იქნებ ამით შემიწყალოს ღმერთმაო“.

მისმა ჭეშმარიტმა თავმდაბლობამ შემძრა.

— ამ საუბარს მონასტრის ერთი ხანდაზმული მორჩილიც ესწრებოდა, რომელსაც მეტად უჭირდა მორჩილებაში ყოფნა და კადნიერად განიკითხავდა თავმდაბალ წინამძღვარს. მისმა უწმინდესობამ მას მოკლედ და მარტივად განუმარტა მორჩილების არსი: „იცი რა არის მორჩილება? როცა გეუბნებიან — კერე, უნდა კერო; გეუბნებიან რეცხე, უნდა რეცხო. ეს არის მორჩილებაო“. და ურჩია უსიტყვოდ დამორჩილებოდა დედა იღუმენიას კურთხევებს.

— პატრიარქის სტუმრობიდან სულ ცოტა ხანში, იღუმენია ანა გარდაიცვალა, (მე ისევ სტუმრად ვიმყოფებოდი სამთავროში). მიცვალებული ჯერ ტაძარში არ ჰყავდათ გადასვენებული და მონას-

ტრის პატარა სამლოცველოში ესვენა. მოხუცი მონოზვნები ახლოს იდგნენ და ფსალმუნებს მდუმრიად კითხულობდნენ. მე და დიდსქემოსანი დედა სუსანა (მონოზონი ტატიანა ურუტაძე), შემოსასვლელ კართან ახლოს ვიდექით. მოულოდნელად უწმიდესი შემობრძანდა, თანმხლები პირები მოშორებით მოჰყვებოდნენ. უწმიდესის დანახვაზე დედა სუსანამ ხმამაღლა შეიცხადა: „უწმიდესო, დედა დარო აღარა გვყავსო“. პატრიარქი მსწრაფლ მიიჭრა დედა სუსანასთან, მკლავზე ხელი ჩამოჰკრა და მკაცრად უთხრა: „როგორ იქცევი, შენ ხომ მონოზონი ხარ?!“ დედა სუსანამ თავი დახარა, აღარავისთვის შეუხედავს. გასვენების დღესაც კი აღარ ამოუღია ხმა.

მისმა უწმიდესობამ პანაშვიდი გადაიხადა და მოულოდნელად მიცვალებულს სახეზე გადაფარებული ლეჩაქი ახადა. სახიდან შექმა ამოანათა. დედა დაროს თეთრ სახეზე ნაოჭები მთლიანად გამქრალიყო. სადღა იყო ტკივილიანი, ტანჯული სახე? მაშინ პირველად გავიფიქრე, რა კარგი ყოფილა მონოზვნის გარდაცვალება-მეთქი. მისმა უწმიდესობამ ხმამაღლა წარმოთქვა: „დედა დარო ცხონდა!“.

— სამთავროს დედათა მონასტრის მონოზვნები ოდითგანვე ტკბილი გალობით გამოირჩეოდნენ. მხცოვანი დედები ხშირად იგონებდნენ მონოზონ სიდონიას, რომელსაც სიდონია ტკბილადმგალობელს ეძახდნენ. ჩემს მახსოვრობას კი დედა დაროს უტკბილესი პირველი ხმა შემორჩა, რომლის მსგავსი მას შემდეგ აღარსად მომისმენია. მის უწმიდესობასაც გამორჩეულად ჰყვარებია მონასტრის უხუცეს დედათა გალობა, განსაკუთრებით ერთ-ერთი „უფალო შეგვიწყალენ“, რომელსაც „ერეკლეს უფალოს“ უწოდებდა. დედებისაგან მსმენია, სამთავროში მობრძანებისას, მაშინ ჯერ კიდევ მეუფე ილია, დედებს თხოვნით მიმართავდა: „აბა, მიგალობეთ ერეკლეს უფალოო“ და თან დაურთავდა: „ამ გალობის მოსმენისას თვალწინ წარმომიდგება მეფე ერეკლე, რომელიც ბრძოლის წინ ჯარს ლოცავსო“.

მის უწმიდესობას დიდი სურვილი ჰქონდა საპატრიარქო რეზიდენციის მონოზვნებისა და მორჩილებისგანაც ჩამოყალიბებულიყო მგალობელთა გუნდი, რომელიც სამსახურში მიმავალი ერის ხალხისთვის დილის 7 სთ-ზე ჩატარებულ წირვაზე იგალობებდა სიონის ტაძარში. ამისთვის პატრიარქი ღამით თავის კაბინეტში შეგვკრებდა ხოლმე და თავად გვამეცადინებდა, გალობას გვასწავლიდა, ხმებს კამერტონით ანაწილებდა... ჩვენ უსაზღვროდ ბედნიერნი ვიყავით, თუმცა ეს ბედნიერება პატრიარქის მოუცლელობის გამო დილდხანს არ გაგრძელებულა და გუნდიც ვერ ჩამოყალიბდა.

— სამთავროს დედათა მონასტერში ახალი გადმოსული ვიყავი, როცა მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ლოცვა-კურთხევით, მეუფე ზოსიმეს მონასტრის ხანში შესული დედები მორჩილები: ლიზა ქოქიაშვილი, ალექსანდრა დავითაშვილი, ეკატერინე ხუბაშვილი, ალექსანდრა (საშა) გოცირიძე მონოზვნებად უნდა აღეკვეცა. მათ შორის ვიყავი მეც, იმჟამად სამონოზვნე ნინო. აღკვეცის წინ, მისი უწმიდესობისაგან ლოცვა-კურთხევის მისაღებად საპატრიარქოში ავტობუსით გავემგზავრეთ. მეუფე ზოსიმეს თან მოჰქონადა აღსაკვეცი დედებისა და მათთვის შერჩეული სახელების სია. უწმიდესმა ძველ საპატრიარქოში თავის სამუშაო ოთახში მიგვიღო. პატრიარქი მაგიდასთან იჯდა, ჩვენ მაგიდის ირგვლივ მორიდებით ვისხედით. მისი უწმიდესობა გვესაუბრა მონოზვნობაზე, დაგვმოძღვრა, გაგვამხნევა და შემდეგ მეუფე ზოსიმეს გადაცემული სია ხმამაღლა წაიკითხა. ალექსანდრას (გოცირიძე) ამ სიის მიხედვით პარასკევას არქმევდნენ. მან სთხოვა უწმიდესს მისთვის სალომე დაერქმიათ. უწმიდესმა უყოყმანოდ შეუსრულა სურვილი. სხვებს არაფერი გვითქვამს. წამოსვლისას, როცა მეუფე ზოსიმე დედებთან ერთად კარებისაკენ გაემართა, მე უკან დავრჩი, მის უწმიდესობასთან მივედი, დააუჩოქე და გულითადად ვთხოვე ჩემი აღკვეცა გადაედო! — „თქვენო უწმიდესობავ, აღკვეცისათვის მზად არა ვარ-მეთქი“, — ვუთხარი. თუმცა ჩემი უარის მიზეზი ახალი სახელი უფრო იყო. არ მინდოდა წმიდა ნინოს სახელი შემცვლოდა და ზოილე დამრქმეოდა, მაგრამ ამის შესახებ უწმიდედისათვის არაფერი მითქვამს. მისი უწმიდესობა მაშინვე დამთანხმდა. — „კარგი, გდაეცი მეუფე ზოსიმეს, სიიდან ამოგშალოსო“ — და მაშინვე გამომისტუმრა. დედები უკვე ავტობუსში ისხდნენ, მეუფე ზოსიმე კი გარეთ იდგა. მისვლისთანავე მოვახსენე უწმიდესის დანაბარები. უცებ მეუფე გადამეხვია, გულში ჩამიკრა და მითხრა: „ძალიან კარგი გადაწყვეტილება მიგიღია, მონოზვნობა, მართლაც ძალიან ძნელიაო“. მალე (1987 წ.) წარდგენილი დედები აღკვეცეს, ჩემი აღკვეცა კი მოგვიანებით, 1991 წელს შედგა, მონასტერში ახლად მოსულ დებთან ერთად.

— 1988 წელს, მისმა უწმიდესობამ მონასტრული ცხოვრების უკეთ გესაცნობად და გამოცდილების გასამდიდრებლად, პიუხტიცის (ესტონეთი) დედათა მონასტერში გამგზავნა საპატრიარქოსთან დაახლოებული მრევლის 16 კაციან ჯგუფთან ერთად. მათ შორის იყო აწ განსვენებული რეჟისორი ნანა ხატისკაცი, ვისთან ერთადაც ვცხოვრობდი ოთახში. თავდაპირველად, როცა მისმა უწმიდესობამ პიუხტიცაში გამგზავრება შემომთავაზა, სასტიკად ვიუარე, არსად წასვლა არ მინდოდა,

ჩვენი უწმიდედისაგან ერთი თვით ასე შორს ყოფნა ძალიან გამიჭირდებოდა და დაუჭიქრებლად ვუპასუხე: ვერ შევძლებ თქვენო უწმიდესობავ, იქნებ არ გამიშვათ-მეთქი. — „მე არ გაძალებ, მაგრამ ვფიქრობ, წასვლა ჯობია, შენთვის კარგი იქნებაო“ — მომიგო უწმიდესმა. — „იყოს ნება უფლისა-მეთქი“ და დავმორჩილდი მისი უწ-მიდესობის კურთხევას. თუმცა, გულში წასვლას მაინც დარჩენას ვამჯობინებდი. მისმა უწმიდესო-ბამ რამიდენიმე რჩევა მომცა, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი ჩემთვის უცხო მონასტერში, თან დღიურის წერა დამავალა, რომ ჩამოხვალ ჩამოი-ტანეო, დამლოცა და მონასტერში გამომისტუმრა. მართლაც ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩემთვის პიუხტი-ცის დედათა მონასტერში გატარებული ერთი თვე. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ ვნახე და ვისწავლე. ვნახე 160-წევრიანი, სანიმუშო წესრიგის მქონე მონასტერი, სადაც ყველა თავისი მორჩილებით იყო დაკავებული, სადაც ერთ ხმამაღალ სიტყვა-საც კი ვერ გაიგონებდით, დები შეხვედრისას ერთმანეთს მხოლოდ „შემინდე და დამლოცეთი“ მიმართავდნენ და უმალ შორდებოდნენ. ყოველივე ამან ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. როგორც პატრიარქმა მაკურთხა, ყოველდღიურად ვაკეთებდი ჩანაწერს დღიურში. ჩამოსვლისას მისმა უწმიდესობამ მაშინვე დღიური მოიკითხა. მე იგი ქ-ნ შორენას გადავეცი, რომელიც შემდ-გომ მისი უწმიდესობისათვის წაუკითხავს. მისი უწმიდესობის შეკითხვაზე: „აბა, რა გასწავლეს მონასტერში?“ — მოკლედ ვუპასუხე: „მგონი მორჩილება, თქვენო უწმიდესობავ-მეთქი“. „მორ-ჩილება?“ — ხმამაღლა გაიცინა და მომეფერა პატრიარქი. ამით დაფარა ჩემი გულუბრყვილობა. შინაგანად ვიგრძენი, რომ ვთქვი ის, რაც ჯერ სრულიად არ მესმოდა. ჩემი მაშინდელი პასუხი და პატრიარქის დიდბუნებოვანი მოქმედება ხშირად მახსენებდა და სინდისის ქენჯნა დღემდე მომყვება. ჭეშმარიტი მორჩილების მოსაპოვებლად მოსაგრე მონასტერში მთელი ცხოვრების განმავლობაში მოღვაწეობს, რამეთუ სიმდაბლე და მორჩილება უფლის თვისებებია და მე კი ერთ თვეში ამ უმაღლეს სათნოებებს როგორ შევიძენდი?!

მის უწმიდესობას სამონოზვნეობაში ხშირად შემოუთავაზებია ჩემთვის მონოზვნად აღკვეცა. მე ყოველთვის უარს ვამბობდი, იმ განზრახვით, რომ თავს უღირსად ვთვლიდი. ერთ-ერთი მორიგი შემოთავაზების დროს, როცა კვლავ უარი გან-ვაცხადე, მწყრალად მითხრა: „აბა, რაზე ფიქრობ მონასტერში, მონოზვნობა თუ არ გინდაო?“ ამის შემდეგ მტკიცედ გადავწყვიტე, თუ ერთხელ კიდევ შემომთავაზებდნენ მონოზვნად აღკვეცას, უარი აღარ მეთქვა.

იმ დროს პატრიარქი ხშირად მობრძანდებოდა ხოლმე სამთავროში. ერთხელ, მისი უწმიდესობის

პატრიარქი და მამა გაბრიელი

მორიგი სტუმრობის დროს ჩემს სენაკში შევი-კრიბეთ. ის ოთახი ადრე უწმიდესის კელია იყო. მონასტრის ძველი და ახალი დედები, ყველანი იქ ვიყავით. უწმიდესი გვესაუბრებოდა მონასტრულ ცხოვრებაზე, იხსენებდა ძველი დედების საქმიანო-ბას, თუ რა მორჩილებები ჰქონდათ. გვარიგებდა: „უნდა ილოცოთ, ხელსაქმე აკეთოთ, ქსოვოთ, შეკეროთო...“ ერთ-ერთი მონოზონისაგან უარყოფი-თი პასუხი რომ მიიღო, მისმა უწმიდესობამ შეშ-ფოთებით უთხრა: — „წარწყმდებით მონასტერში თუ არაფერი გააკეთეთო“. ამ საუბრისას ოთახში მოულოდნელად მამა გაბრიელი შემოვიდა. სერი-ოზული სახით, უწმიდესს სიყვარულით მიუახ-ლოვდა, იმ სივიწროვეში დაუჩოქა, მის ფეხებთან თავი მიწამდე დახარა, მერე, ისე რომ თავი არ აუწევია, ხელი ჩემკენ გამოიწოდა და უწმიდესს ხმამაღლა უთხრა: „ეს აკურთხე, უწმიდესო, იღუ-მენიად, ღირსიაო“. უწმიდესმა ყველას მოგვავლო თვალი და განაცხადა: „მე ჯერ-ჯერობით საიღუ-მენიოს აქ ვერავის ვხედავო“. მამა გაბრიელმა ისევ თხოვნით მიმართა, ეხვეწებოდა: „უწმიდესო, ჩემს სიტყვას ნუ დააგდებ, ღირსიაო...“ მერე წამოდგა და უხმაუროდ გავიდა. მე ძალიან გავბრაზდი მამა გაბრიელზე, (შემინდოს მისმა ნათელმა სულმა) — „რატომ უთხრა ეს რას იფიქრებს ახლა ჩემზე უწმიდესი-მეთქი“. პატრიარქის სიტყვა, როგორც ყოველთვის, მაშინაც სრულიად სამართლიანი იყო. თუმცა წინამძღვრობის მძიმე ჯვარს, ღვთის განგებით, მაინც ვერ ავცდი.

— იმ წელს სამთავროში მოაბრძანეს ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ამჟამად სიონის საკათედრო ტაძარში იმყ-ოფება. ხატი ერთი თვის განმავლობაში ტაძრის შუაგულში იყო დაბრძანებული. მასთან ყოველდღე იკითხებოდა პარაკლისი. ერთ დღეს მობრძანდა მისი უწმიდესობა, ტაძარი და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი მოილოცა და ყველას გას-

აგონად გამოაცხადა: „ერთ კვირაში მოვალ და იღუმენიას დავასახელებო.“ შიშის ზარი დამეცა, დავიწყე ფიქრი: ვაი თუ მე დამასახელოს-მეთქი. არ ვიცი, საიდან მოდიოდა ეს ფიქრი — კეთილისა თუ ბოროტისაგან. ჩემი შიში მამა გაბრიელს გავანდე. ბერმა მანუგეშა: „ნუ გეშინია, დაო, მადლი გიახლოვდება, ხელს ნუ ჰკრავ. თუ პატრიარქი გაკურთხებს ღვთის ნება იქნებაო“. მე მაინც ვერ ვწყნარდებოდი, ჩემს გასაჭირს კირ ვერავის ვეუბნებოდი. მონასტრიდან გაქცევას ვაპირებდი. ძალიან მიმძიმდა, თუმცა გარეგნულად არ ვიმჩნევდი. ვცდილობდი წონასწორობის შენარჩუნებას. როგორც იქნა, მობრძანდა მონასტრის სულიერი მოძღვარი — მაშინ მამა დავითი, ამჟამად მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი). მაგრამ მალევე წაბრძანდა, კიბეებზე გავედევნე და განწირულივით ვეეედრებოდი: — „სთხოვე პატრიარქს მე არ დამასახელოს იღუმენიად, მე არ დამასახელოს-მეთქი“. — ვიმეორებდი განუწყვეტლივ. მეუფე თანხმობის ნიშნად თავს მიქნევდა აუცილებლად გადავცემო“.

შინაგანად მაინც მოუსვენრად ვიყავი, ვერ დავმშვიდდი. მაშინ მორჩილებას ტაძარში ვასრულებდი, როცა ტაძრიდან ყველანი გავიდნენ მივედი ივერიის ღვთისმშობლის ხატთან და გულმხურვალედ შევევედრე: „დედა ღვისმშობელო, ხომ იცი, რომ მე არაფერი გამეგება იღუმენიობის, ერთი უგნური ადამიანი ვარ, დამიხსენი უწმიდესის განზრახვისაგან და ნუ დამედება ეს ჯვარი-მეთქი“. სიმძიმე არ მეხსებოდა. წამოვდექი, ხატისთვის ზურგი არ შემიქცევია, თავდახრილი უკან-უკან წამოვედი. უცებ ხატისაკენ გავიხედე, ღვთისმშობელი პირდაპირ თვალებში შემომყურებდა და მე ჩემდაუნებურად აღმოვთქვი! „უფალო, იყოს ნება შენი!“ მეტად აღარაფერზე მიფიქრია. ხატთან ლოცვის შემდეგ ამ თემაზე ფიქრი შევწყვიტე, მივენდე უფალს.

— ერთი კვირის შემდეგ მობრძანდა კათოლიკოს-პატრიარქი. დედები ტაძარში მივეგებეთ. უწმიდესი ჩქარობდა. ბრძანა: „ახლავე უნდა გადავიხადოთ პარაკლისიო“. მკითხველად მე შემარჩია. პარაკლისის დამთავრების შემდეგ მისმა უწმიდესობამ გამოაცხადა: „მონასტერს ჭირდება იღუმენია და მე იღუმენიად ვასახელებ დედა ნინოსო“. ისევ ავფორიაქდი. უწმიდესი უკვე ჯვარზე ამთხვევინებდა ყველას, მიახლოებისას მთელი ძალები მოვიკრიბე, მისი უწმიდესობის წინ დავიჩქოე და ხმადაბლა ვუთხარი: „თქვენო უწმიდესობავ, არაფრით არ შემიძლია ეს ჯვარი ვიტვირთო, სიმდაბლით არ ვამბობ უარს, მართლა არ შემიძლია-მეთქი“. უწმიდესმა ჯვარზე მამთხვევინა და ყურში ჩამჩურჩულა: „წმიდა ნინო შეგაძლებინებსო“ და ხმა აღარ ამომაღებინა.

სამთავროს წმიდა ნინოს სახელობის
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი)

— ამის შემდეგ მალევე, 1991 წლის 13 მარტს, მისმა უწმიდესობამ, მეუფე დანიელთან ერთადნ, სამთავროს ფერისცვალების ტაძარში, მონასტრის სხვა წევრებთან ერთად, აღმკვეცა მონაზვნად, მიწოდა სახელი ქეთევანი, საქართველოს წამებული დედოფლისა.

იმავე წლის 13 ივლისს, სვეტიცხოვლის ტაძარში პატრიარქმა მაკურთხა იღუმენიად და დამადგინა სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვრად. ჯილდოდ გადმომცა კვერთხი და გამშვენებული ჯვარი, ნიშნად სამთავროს დედათა მონასტრის განსაკუთრებული პატივისა, იმ დღიდან მოყოლებული ღვთის შეწევნით, ბედისაებრ ჩემი უღირსებისა, ვატარებ ამ საპატიო ჯვარს.

2006 წლის 24 აპრილს, მისმა უწმიდესობამ მეორე ჯვრით დამაჯილდოვა, ეს დიდი პატივთან ერთად, დიდი პასუხისმგებლობაც იყო ჩემთვის, მივხვდი, პატრიარქი კიდევ უფრო მეტს მოითხოვდა ჩემგან. გულში გავიფიქრე: „ერთ ჯვარს ძლივს ვატარებდი (ან ვატარებ? — ესეც საკითხავია), ახლა მეორე ჯვარი. რა მეშველება-მეთქი?“ ისევ ღვთის მადლი და უწმიდესის ლოცვა თუ შემეწევა და შემაძლებინებს მის ტარებას.

* * *

მისი უწმიდესობა არასოდეს ისმენდა სხვათა განკითხვას, განმკითხველს კი ურჩევდა, საკუთარ ცოდვებს ჩაღრმავებოდა. არასდროს დამავიწყდება მისი უწმიდესობის შეგონებები ჯერ კიდევ ჩემი საპატრიარქოში ყოფნისას, მწუხრის ლოცვის შემდეგ რომ გევუბნებოდა ხოლმე: „მოყვასის ცოდვა დამალეთ“ — გულზე ხელს დაიდებდა — „აი ასეა, და ღმერთი თქვენს ცოდვებს დაფარავსო... ადამი-

ანებს გონებით ჯვარი გადასახეთ, სიკეთე თესეთ და მადლი არ მიგატოვებთო“... თურმე როდესაც მავანი უწმიდესის თანდასწრებით მოყვასს განიკითხავდა უწმიდეს უთქვამს: „შენ რა იცი, შენც იქ იყავ?“ და ასე დაუდუმებია განმკითხველის ბაგე. „ის რაც სხვაში არ მოგწონს, ეცადე, შენ არ გააკეთოო“ — ხშირად ბრძანებს ჩვენი პატრიარქი.

— ერთხელ, აწ განსვენებულ დედა სუსანას (უროტაძე) პატრიარქთან ჩემზე რაღაც დაუჩივლია. „იცოდე, მასზე არაფერი მითხრაო, უთქვამს მის უწმიდესობას“. ამის შემდეგ დედა სუსანას არასოდეს დასცდენია ძვირი ვინმეზე უწმიდესთან. ერთხელ, მეც დამებადა სურვილი დედა სუსანას განკითხვისა პატრიარქთან ყოფნისას. გამომშვიდობებისას ორიოდე სიტყვით ვუთხარი ჩემი ცუდი განწყობის შესახებ უხუცესი დედის მიმართ: „თქვენო უწმიდესობავ, დედა სუსანა, როგორც დედა, ისე არ მექცევა-მეთქი“. (მაშინ სამონოზვნე ვიყავი). უწმიდესს სახე მოეღრუბლა, ირიბად შემომხედა და მითხრა: „შენ, შენ კი იქცევი შვილივით?“ ეს იყო და ეს. ამის შემდეგ აღარც მე დამცდენია დედა სუსანას აუგი უწმიდესთან. ასე გვასწავლა ჭკუა ორთავეს ბრძენმა მოძღვარმა.

— იღუმენიობის პირველი წლები განსაუთრებით მძიმე იყო ჩემთვის. მონასტერი ფაქტიურად ახლად ყალიბდებოდა და ბოროტი ყოველმხრივ ცდილობდა ჩემსა და დებს შორის შფოთისა და უთანხმოების ჩამოგდებას, ხშირად აღწევდა კიდევაც მიზანს ჩვენი გამოუცდელობისა და სისუსტის გამო. პრობლემებს ხშირად მის უწმიდესობასთან ვარკვევდით.

— ერთხელ ერთ-ერთი მონასტრული საკითხის გადასაჭრელად, მონასტრის მოძღვართან, მოწესესთანა და რამდენიმე დასთან ერთად საპატრიარქო რეზიდენციაში, მის უწმიდესობასთან გავეშურეთ. პატრიარქი ბაღში ბრძანდებოდა. კურთხევის აღების შემდეგ ჩვენც იქვე დაგვსხა, მე გვერდით დამისვა. „ხომ მშვიდობაა, აბა, მიამბეთ, მონასტრის ამბებიო“ — თქვა უწმიდესმა და მოძღვარს შეხედა. მოძღვარი ფეხზე მდგომი საუბრობდა. სხვათა შორის მან ასეთი შეკითხვაც დაუსვა მის უწმიდესობას: „დავუშვათ, თქვენო უწმიდესობავ, მონასტერში რაღაც პრობლემაა გადასაწყვეტი, საბოლოო სიტყვა ხომ მოძღვარს ეკუთვნის, ხომ მისი სიტყვა უნდა იყოს მიღებული“. მისი უწმიდესობა ჩაფიქრებული უსმენდა შემდეგ კი ასეთი პასუხი გასცა — „რას ამბობ, როგორ შეიძლება, შენ მონასტერში დედა იღუმენია ხომ არ იქნები? ურთიერთშეთანხმებით უნდა გადაწყვიტოთ ყოველგვარი პრობლემა, სხვაგვარად ორივენი დაკარგავთ უფლის გზას... ამათ თავი დაანებე, შეგიძლია მარტო აღსარებები მიიღო და წირვა აღასრულოო“. მეც რაღაც ვთქვი საკითხის ირგვლივ. უწმიდესმა მკლავზე ხელი ოდნავ ჩამომკრა, ლაპარაკი შემაწყვეტინა და ჩუმად მითხრა: „გაჩუმდი, მე ხომ ვიცი შენ რაცა ხარ!“. შემრცხვა, ხმა აღარ ამომიღია, მხოლოდ სხვებს ვუსმენდი. გამომშვიდობებისას, როგორც ყველაზე მეტად „დაზარალებულს“ გადამეხვია, როგორც ყოველთვის, მამაშვილური სითბოთი მანუგეშა და მონასტერში ისე გამომიშვა.

— ბოროტის მანქანებით, იგივე მოძღვართან, რომელთანაც დღემდე დიდი ქრისტესმიერი სიყვარული მაკავშირებს, მონასტრულ პრობლემასთან დაკავშირებით, უსიამოვნება შემემთხვა. სწორედ ამ დროს მონასტერში სტუმრად მობრძანდა კათოლიკოს-პატრიარქი. თავის ოთახში შებრძანდა და მე და მოძღვარს დებთან ერთად მონასტრის ამბები დაწვრილებით გამოგვკითხა. მე მოძღვარს მივანდე მონასტრის საკითხებზე საუბარი. არსებული დაძაბულობიდან გამომდინარე, მოძღვრის საუბარში, ჩემს მიმართ უკმაყოფილება იგრძნობოდა. მისმა უწმინდესობამ თანაგრძნობით შემომხედა და იგავურად მომმართა: „როცა გზაზე ვირი შეგხვდება, ჩამოეცალე, თორემ შეგდგება და გადაგჩეხავსო“. ნათქვამის აზრს პირველად ვერ ჩავწვდი. „რა ბრძანეთ, თქვენო უწმიდესობავ, ვერ გავიგე-მეთქი?“ „რა და...“ — უწმიდესმა სიტყვასიტყვით ისევ იგივე გამიმეორა. მეორედ უკვე მივხვდი რასაც მეუბნებოდა. „დიახ, თქვენო უწმიდესობავ, მომავალში აუცილებლად გავითვალისწინებ-მეთქი“. იქ მყოფთათვის კი ამოუცნობი დარჩა უწმიდესის ნათქვამი. თუმცა, თავის ბრძნული განსჯით, მის უწმიდესობას ამ იგავით ჩემთვის თავის ამაღლების საშუალება არ მოუცია, გაცილებისას, როდესაც კიბეებზე ჩავდიოდით, ხელი ბაღისკენ გაიწვდინა და ხმამაღლა მითხრა: „აი, ასეთი უნდა იყოო!“ როგორი თქვენო უწმიდესობავ-მეთქი? — ვკითხე. „როგორი და, როგორც ეს ბალახია, ასე უნდა გაითელოო!“.

მონასტერში მორიგი გაუგებრობის დროს, ერთმა მონაზონმა, ეშმაკის მანქანებით „ჯანყი“ მოაწყო და „დამნაშავენი“ უწმიდესთან „წაგვასხა“. პატრიარქმა სიმშვიდით, სიდარბაისლით მოგვისმინა ორივე მხარეს — „პოზიცია — პოზიციას“. ბოლოს კი განგვიცხადა: „თქვენ ახლა ეშმაკმა დაგრიათ ხელი, წადით მონასტერში და გააგრძელეთ მშვიდობიანი ცხოვრებაო“. დაგვასაჩუქრა და უკან გამოგვისტუმრა. გზაში ყველა მიხვდა თავის შეცდომას.

* * *

მისი უწმიდესობა, როგორც მზურნველი მამა და ბრძენი მოძღვარი, ყოველთვის თვალყურს ადევნებდა თავისი სამწყსოს სულიერ მდგომარეო-

ქბას და საჭირო დროს არც მხილებას ერიდებოდა. პატრიარქს არაერთხელ მიუთითებია ჩემთვისაც თითქოს არარსებულ, დაფარულ ცოდვაზე.

— სამთავროს დედათა მონასტერში ჩემი კეთილმოწესეობის დროს, მისმა უწმიდესობამ მაცხოვრის ფერისცვალების ტაძრის მოლოცვისას შეამჩნია, რომ კანველის ხატების წინ ოთახის ნაცვლად სამი კანდელი ენთო. „ერთი რატომ აკლია?“ — იკითხა უწმიდესმა. „კანკელზე მაცხოვრის ორი ხატია და ვიფიქრე ერთი კანდელიც საკმარისი იქნებოდა-მეთქი“, — ვუპასუხე. „ეკონომია შენს თავს გაუკეთეო!“ — მკაცრად მომიგო პატრიარქმა. იმ დღიდან კანკელის ხატებთან მუდამ ოთხი კანდელი ანთია და ღვთის წყალობით, ზეთი დიდი ეკონომიური კრიზისის წლებშიც კი არ გამოგვლევია.

* * *

1996 წელს მისმა უწმიდესობამ დაგვირეკა საპატრიარქოდან. — პოეტი მორის ფოცხიშვილი გარდაიცვალა და სამთავროში უნდა დავკრძალოთ, ადგილი შეარჩიეო. მე ადგილი რუსი არქიტექტორის, ანატოლი კალგინის გვერდით შევარჩიე. მისი უწმიდესობა მობრძანდა, ადგილი დაათვალიერა. მე მორიდებით, თუმაც ერთგვარი გაკვირვებით და უკმაყოფილებით ვკითხე: „თქვენო უწმიდესობავ, ჩვენთან რატომ იკრძალება-მეთქი?“. ჩემი კადნიერებით გაკვირვებულმა უწმიდესმა ცივად მომიგო: „რა იყო, მიწა გენანება?!“ — ჩემი უტაქტო საქციელის შემრცხვა და თავი დავტუქსე.

განვლო დრომ, კვლავ დარეკეს საპატრიარქოდან მისი უწმიდესობის კურთხევით. არქიტექტორი ვახტანგ ცინცაძე უნდა დაიკრძალოს სამთავროში. ადგილი განსვენებულის კოლეგებთან ერთად შევარჩიეთ. ამჯერადაც არქიტექტორ კალგინის საფლავთან სამთავროს ტაძრის ჩრდიოლოეთის სარკმლის პირდაპირ. განვლო ათეულმა წელმა, ორიოდე წლის წინ აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე დაიკრძალა, ხოლო შემდეგ, მწერალ ლევან გოთუას ნეშტი გადმოსვენდა არმაზიდან სამთავროში. სულ ახლახანს კი მწერალი გოდერძი ჩოხელიც სამთავროს მიწამ მიიბარა. ყველანი ერთმანეთის გვერდით არიან. მონასტერში პატარა პანთეონი გვაქვს. ბოლო წლებში, მისი უწმიდესობის კურთხევით, რამდენიმე მონოზონი და მორჩილიც დაიკრძალა ჩვენს მონასტერში. თუ ვინმე დაინტერესდება და იკითხავს, აქ რატომ იკრძალებიანო, მეც პატრიარქის სიტყვებით ვპასუხობ.

* * *

ჯერ კიდევ ჩემი საპატრიარქოში ყოფნისას, მის უწმიდესობას მფარველი წმიდანის დღესასწაულზე, საჩუქრად მარჯნის მძივების ყელსაბამი მივართვი. მისი უწმიდესობა ძვირფას ქვებს ხატების და მიტრების შესამკობად იყენებდა და ვფიქრობდი საჩუქრით მეტად გავახარებდი. პატრიარქს საჩუქარი კი ესიამოვნა, მაგრამ რომ გაიგო საკომისიო მაღაზიაში შევიძინე, საყვედურის კილოთი მითხრა: “საკომისიოში რა გინდოდაო?!“ ‘მეტი ვერაფერი შევარჩიე, ვიფიქრე ხატების შესამკობად გამოდგება-მეთქი“ - თავი ვიმართლე. მაგრამ უწმიდესის საყვედურმა დამაფიქრა. სხვა დროს აღარ მიფიქრია საჩუქრის საკომისიო მაღაზიაში შეძენა. თუმცა, უკვე მონასტერში ყოფნის დროსაც შემემთხვა მსგავსი რამ.

მონასტრის ერთ-ერთმა დამ თბილისის ფეხსაცმელების ქარხნის დირექტორთან წამიყვანა, პატრიარქისათვის საუკეთესო ფეხსაცმლის შესარჩევად, რომელიც საჩუქრად გვინდოდა მიგვერთმია მისი უწმიდესობისთვის. დირექტორმა მარლაც შემოიტანა სწორედ ისეთი ფეხსაცმელი, როგორსაც ვეძებდით. გახარებულებმა ფასი ვკითხეთ, - „როგორ გეკადრებათ, მის უწმიდესობას ჩემგან საჩუქრად მიართვითო“, — გვითხრა და ლოცვებში მოხსენიება გვთხოვა (ღმერთმა დალოცოს და მოიხსენიოს). გახარებულები წავედით საპატრიარქოში. მისი უწმიდესობა მისაღებ ოთახში ბრძანდებოდა. ჩვენ ერთმანეთს არ ვაცდიდით საუბარს. ყველაფერი ერთად გვინდოდა გვეთქვა. მისმა უწმიდესობამ ჩვენს მიტანილ ძღვენს ზედაც არ შეხედა, საუბარი შეგვაწყვეტინა და მკაცრად გვითხრა: „რას დასდიხართ, დაეტიეთ მონასტერშიო!“ თითქოს ცივი წყალი გადაგვასხეს, ორივეს ისეთი განწყობა დაგვეუფლა; ხმას ვეღარ ვიღებდით. მისი უწმიდესობა იქვე მდგარ ონიქსის პატარა მაგიდას უყურებდა; მაგიდის ზედაპირი ლამაზი ფიგურებით და ორნამენტებით საუცხოოდ იყო მოხატული და მოჩუქურთმებული. „ეს სულ ხელითაა ნაკეთები, იმ ქვეყანაში, სადაც ეს მაგიდაა დამზადებული, ამ ხელობას ბავშვობიდანვე ასწავლიან, პატარები 4-5 საათის განმავლობაში გაუნძრელად სხედან და ყრმობიდანვე ეჩვევიან შრომას და მოთმინებას...“ თითქოს სხვათაშორის ამბობდა პატრიარქი, შემდეგ კი დაამატა: „სხვისი ხელის შემყურე, ხელგაწვდილი კი არ უნდა იყოთ, უნდა გასცეთ და მოგეცემათო!“

... სირცხვილეულნი ისე დავემშვიდობეთ მის უწმიდესობას, ფეხსაცმელები აღარც კი გაგვხსენებია.

* * *

მანგლისში ყოფნისას მე და მორჩილ თამარს მისი უწმიდესობის ოთახების დალაგება და პირადი ნივთების მოწესრიგება გვებარა — მახსოვს, ოთახში ორი წყვილი ოთახის „ჩუსტი“ ეწყო,

ერთი-ერთი ავიღე და ძირებიანად საგულდაგულოდ გავაპრიალე, მეორესთვის ხელი არ მიხლია. როცა მისმა უწმიდესობამ ნახა, რომ ერთი წყვილი გაწმენდილი იყო მეორე კი არა, გაწმენდილი ჩაიცვა, გაუწმენდავი ხელში აიღო, იქვე რაღაცას ვსაქმიანობდი, „ჩუსტებიანად“ თავზე დამადგა და მითხრა: „ამან რა დააშავა?“ – მე უმალ ჩამოვართვი და ისინიც გავაპრიალე.

* * *

საპატრიარქოში ერთ-ერთი სადღესასწაულო ტრაპეზის დროს, მისი უწმიდესობის გვერდით ვიჯექი. უწმიდესმა კარტოფილიანი კერძი შემომთავაზა. მე ვიუარე. მეუფე დანიელი თვალით მანიშნებდა, – გადაიღე, უხერხულიაო. ვერც ამან გაჭრა. – „ეს რა ჯიუტი ყოფილხარ!“ – უწმიდესის მკაცრმა და ხმამაღალმა ტონმა გონს მომიყვანა. უსაზღვროდ მეწყინა და მეტკინა ჩემთვის ყველაზე საყვარელმა ადამიანმა რომ გამკიცხა. მის უწმიდესობას არ გამოპარვია ჩემი აფორიაქება. მას ხომ ყოველი ადამიანი უყვარს და ებრალება, როგორც მოწყალე მამას. „თუმცა მამაჩემსაც „ჯიუტას“ ეძახდნენო“, – თქვა, და ამ სიტყვებით იმწამსვე მანუგეშა, მომიხსნა დაძაბულობა და გულგატეხილობა.

თითქმის ანალოგიური ამბავი განმეორდა ყაზბეგში. სუფრასთან, პატრიარქის კურთხევით, კვლავ მისი უწმიდესობის გვერდით აღმოვჩნდი. უწმიდესმა ჩვეული სიდარბაისლითა და ღიმილით მომმართა – „დედა იღუმენია, თქვენ აქეთ დაბრძანდით!“ საოცარი სითბოთი და სიყვარულით ამავსო. მოპირდაპირე მხარეს მეუფე პეტრე და სხვა სასულიერო პირები და სტუმრები ისხდნენ. მაგიდაზე უხვად ეწყო სხვადასხვა სანოვაგე და საღვთო საკლავის ხორცი. მისმა უწმიდესობამ თავისი სუფრიდან შემწვარი კარტოფილი მომაწოდა. მე მორიდებით, უარის ნიშნად თავი გავუქნიე – „რატომ? არ გიყვარს, გეზიზღება?“ – უცებ ათი წლის წინანდელი ამბავი გამახსენდა. ვიგრძენი, რაღაც მსგავსი უნდა მომხდარიყო და თავი უკიდურესად დავიმდაბლე: „თქვენო უწმიდესობავ, ჩემი სისუსტეა-მეთქი“, – ჩურჩულით ვუთხარი. „სისუსტე?“ – და სახიდან ღრუბელი გადაეყარა, გაიღიმა და იქვე მყოფ დედა ალექსანდრას მიმართა: „გადაუღე ხორცი!“ და თითქმის მთელი თეფში გადმომიდგა. მონასტერში ხომ ხორცის ჭამა საზოგადოდ არ არის მიღებული. გულში გავიფიქრე: „ასე მოგიხდება, არ გერჩია გეჭამა კარტოფილი?“

– სხვათა შორის, ხორცის ჭამასთან დაკავშირებით, მახსენდება ერთი ამბავი. მამა ლეონტი ჟვანიას თითქმის 40 წლის განმავლობაში არ უხილავს ხორცის გემო, უეცრად რაღაც ავადმყოფობამ დარია ხელი. მისმა უწმიდესობამ ურჩია, მასთან ერთად წასულიყო ფასანაურში და ორი კვირის მანძილზე ყოველდღე ეჭამა ქათმის ხორცი აწ განსვენებული ფოფოდია ეთერი უმზადებდა მამაოს ტრაპეზს. ქალიშვილი ციცინო ეკითხებოდა მამა ლეონტის „მამაო, გემრიელია ქათმის ხორცი, რისი გემო აქვს?“ – აინტერესებდა, როგორ აღიქვამდა 40 წლის შემდეგ მამამისი ხორციან საკვებს. „ქაღალდის გემო აქვს, ასე მგონია, ქაღალდს ვჭამო“, – უპასუხა მამა ლეონტიმ. მან მორჩილებით აღასრულა მისი უწმიდესობის კურთხევა და განიკურნა.

– მსგავს შემთხვევაში სრულიად საწინააღმდეგო კურთხევა მისცა მისმა უწმიდესობამ სოხუმიდან ჩამოსულ ერთ მღვდელს, იგი ერთი დღით საგანგებოდ პატრიარქის სანახავად იყო ჩამოსული, მეორე დღეს უკანვე უნდა დაბრუნებულიყო. კუჭის მწვავე დაავადების გამო, ექიმებს აუცილებლად მიუჩნევიათ მისთვის ახალი ყველის მიღება. მღვდელი მის უწმიდესობასთან ჩამოვიდა კურთხევისათვის, რადგან მძიმე მარხვა იყო და მარხვის თვითნებურად დარღვევა თავის თავზე ვერ აიღო. იგი ტკივილებისაგან გატანჯული ელოდებოდა პატრიარქის პასუხს. მთელი ღამეც ძლიერი ტკივილების გამო თეთრად გაუთენებია. როგორც მეორე დღეს შევიტყვე, უწმიდესს ყველის მიღებაზე უარი უთქვამს: “შენნაირები თითზე ჩამოსათვლელები მყავხართ, მარხვას ვერ დაგარღვევინებ. წადი, ილოცე და კარგად გახდებიო“.

რამდენიმე ხნის შემდეგ საშუალება მომეცა მეკითხა ამ მოძღვრის ამბავი. ‘კარგად არის და მას შემდეგ კუჭს აღარ შეუწუხებიაო“ - მითხრეს.

* * *

მისი უწმიდესობის სიტყვას ყოველთვის საოცარი ძალა გააჩნდა, როდესაც ჩემი დისშვილი გარდაიცვალა, (მე მაშინ მორჩილი ვიყავი), უზომო მწუხარებით შეპყრობილს ცრემლი არ მაშრებოდა და განუწყვეტლივ ვტიროდი. როცა ეს ამბავი უწმიდესმა შეიტყო თავისთან დამიბარა და ნამტირალევს მითხრა: – „რა დღეში ხარ, შენ სხვები უნდა დაამშვიდო და თვითონ როგორ იქცევიო?“ – ამ თანაგრძნობით გამთბარმა სიტყვებმა ჩემზე ძლიერ იმოქმედა და გონზეც უმალ მომიყვანა. პატრიარქმა, კელაპტრები და საკმეველი მომცა და მაკურთხა ჩემს დასთან წავსულიყავი ოჯახის სანუგეშებლად.

* * *

სოხუმიდან საპატრიარქოში დეპეშა მოვიდა: ამა და ამ მღვდელმა (ეროვნებით რუსმა) თავი ჩამოიხრჩოო. როგორც კი ეს ამბავი გაიგო მისმა უწმიდესობამ მაშინვე დანანებით აღმოთქვა: „ხომ

ვეუბნებოდი, თვითმკვლელზე არ ილოცო-მეთქი“. თურმე მისი უწმიდესობა აფრთხილებდა მას, თვითმკვლელზე არ ილოცო, იგივე არ დაგემართოსო, მიუხედავად გაფრთხილებისა იგი მაინც განაგრძობდა მის მოხსენიებას წირვაზე: „ცოტა ხანში, როგორც იმან ჩამოიხრჩო თავი, ამასაც ასე დაემართაო“, — დასძინა პატრიარქმა.

* * *

ახლახანს, ერთ-ერთ დიდ დღესასწაულზე, სამების საპატრიარქო ტაძარში, წირვაზე დასასწრებად ვაპირებდი წასვლას. ტაძარში ბევრი ხალხის ყოფნა, რაღა თქმა უნდა, გარდაუვალი იყო. დილით, წასვლამდე, წინასწარ დავიწყე ჯერ გულში, და მერე ხმამაღლაც დრტვინვა და ბუზღუნი: „უნდა წახვიდე და დადგე ამდენ ერის ადამიანთან ერთად ფეხზე და ისიც კიბეებზე. ბერ-მონაზვნობისათვის ხომ ადგილი არსად არ არის, ნუთუ არ შეიძლება უფრო მოხერხებულად და ჩვენთვის, მშვიდად დაგვაყენონ სადმე“ და ა.შ. ასეთი განწყობით გავეშურე ტაძარში. წირვის დაწყებისთანავე ვხედავ — სტიქაროსანი სავარძელს მოარბენინებს და ჩემსკენ მოდის, სკამი დადგა და მითხრა: „დედა ქეთევან, უწმიდესმა გამოგიგზავნათ — დედა იღუმენიას სკამი მიართვითო“ — სახტად დავრჩი. მის უწმიდესობას სიტყვა-სიტყვით გადაეცა ჩემი გულის სიტყვები. მას შემდეგ ფიქრადაც აღარ გამივლია უკმაყოფილება უადგილობის გამო. მალე უფალმა თავად გამოგვიჩინა ადგილი, სადაც მშვიდადაც ვდგავართ და წირვის მსვლელობასაც შესანიშნავად ვადევნებთ თვალყურს.

* * *

რამდენიმე წლის წინ, მის უწმიდესობასთან სტუმრობისას, ლოცვა-კურთხევის ასაღებად პატრიარქის წინ დავიჩოქე, მაგრამ წამოდგომა ვეღარ შევძელი, ისე გამიჭირდა რომ ხელი შემომაშველეს. „ეს რა მოგსვლია?!“ — გაიოცა პატრიარქმა. „დიახ, თქვენო უწმიდესობავ, წონაში ძალიან მოვიმატე-მეთქი“. „ყოველდღე ეკლესიას შემოუარე!“ — იყო მოკლე პასუხი, სამწუხაროდ, ამ ლოცვა-კურთხევას ვერ ვასრულებ და წონაშიც ვერ ვიკლებ.

* * *

ძველ საპატრიარქოში ყოფნისას, ლოცვის შემდეგ ხატებით შემოვლაზე წავედით. მისი უწმიდესობა ჯვრით წინ მიგვიძღვოდა. იქვე ეზოში სკამზე ჩახუტებული შეყვარებული წყვილი იჯდა. ამის შემხედვარე გალინამ (სამონაზვნე თეოდორა) შეიცხადა და ახალგაზრდების ლანძღვა დაიწყო.

„— რა იყო გალინა, დაგავიწყდა შენი ახალგაზრდობა?“ — ღიმილით შეაჩერა აბობოქრებული გალინა უწმინდესმა.

* * *

ერთხელ, საპატრიარქო რეზიდენციის კანცელარიაში ერთი მორჩილი შემოვიდა, ყურგახვრეტილი, დიდი ქვა შემოიტანა, უწმიდესს აჩვენა და სთხოვა, კურთხევა მიეცა, რომ ქვა ყელზე ჩამობმული ეტარებინა. „აბა, რას ამბობ, ჯერ ისედაც სულელს გეძახიან და ეს ქვა რომ დაიკიდო, ხომ მთლად გიჟს დაგიძახებენო“ — უპასუხა პატრიარქმა და ბრძნული, იუმორნარევი მხილებით იხსნა მორჩილი ხიბლის ტყვეობისაგან.

* * *

ერთხელ უწმიდესთან, სამუშაო ოთახში შემოვიდა მარიამი (მონოზონი ევპრაქსია ბუჩუკური) და მის უწმიდესობას ქოთქოთით უთხრა: — „თქვენო უწმიდესობავ, თქვენო უწმიდესობავ, რომ იცოდეთ როგორ უყვარხართ ქალებს, ქალები გიჟდებიან თქვენზე, ამბობენ — უწმიდესს მთელ გულს მივსცემდითო“. მისი უწმიდესობა მაგიდასთან ჩაფიქრებული იჯდა და რაღაცას წერდა. მარიამის სიტყვებზე თავი ასწია და ჩვეული ღიმილით უპასუხა: „მერე, როგორ შეიძლება? მე ხომ ბერი ვარ! რად მინდა მათი გული? გული უნდა ღმერთს შესწირონ!“

* * *

მიტროპოლიტმა ათანასემ (ჩახვაშვილი), რომელიც იმჟამად ბოდბელი მღვდელმთავარი იყო, პატრიარქი კახეთში მიიწვია. მის უწმიდესობას საპატრიარქო რეზიდენციის თანამშრომლებიც გავყევით. წირვის შემდეგ მეუფე ათანასემ უზარმაზარი სუფრა გააწყო და მთელი სოფელი მიიწვია, მდიდარი თუ გლახაკი; სუფრა კი არა, ნამდვილი აკადემია იყო, ერთმანეთს ენაცვლებოდა სადღეგრძელო, ლექსი, სიმღერა, სიტყვიერი პაექრობა, მისასალმებელი სიტყვები... ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ ყველანი ერთხმად შესძახებდნენ ხოლმე “ტუშიო!“ და სიმღერას მოაყოლებდნენ, ერთხელაც არ თქვეს “ტუში!“ “დანაკლისის“ შესავსებად მისმა უწმიდესობამ გამოაცხადა “ტუში, ტუშიო!“ რასაც საყოველთაო სიცილი და მხიარულება მოჰყვა. მე ვერც მაშინ მივხვდი და არც ახლა ვიცი, რა იყო ეს “ტუში!“

* * *

ერთ-ერთ ქვეყანაში, თუ არ ვცდები ინგლისში ვიზიტის დროს, მის უწმიდესობას თარჯიმნად თან ახლდა ბ-ნი ბორის გაგუა. ჩამოსვლისას ბორისი გვიყვებოდა უწმიდესის ელჩთან შეხვედრის ამბავს: ინგლისის ელჩი ერთსა და იგივე წინადადებას წაღმა-უკუღმა ატრიალებდა. ხან ბოლოს თავში ამოიტანდა, თავს ბოლოში ჩაიტანდა, მერე ისევ თავიდან იწყებდა, სულ ერთ წინადადებას მათარგმნინებდა და ასე დაასრულა საუბარი. მისმა

უწმიდესობამაც იგივე ხერხს მიმართა და ელჩის შეკითხვაზე საქართველოს შესახებ, ერთი და იგივე წინადადება თავბოლოშექცეულად აბრუნა. თავბრუდახვეულმა, სასტუმროში მისვლისას მის უწმიდესობას ვკითხე — ეს რა იყო-მეთქი?

— აქ ასეთი წესიაო! — მოკლედ განმიმარტა პატრიარქმა.

* * *

საქართველოში სტუმრად ბრძანდებოდა სომხეთის პატრიარქი ვაზგენი. სვეტიცხოველში, წირვის დამთავრების შემდეგ, სომხეთის პატრიარქმა ჩვენს პატრიარქს მისასალმებელი სიტყვა სომხურად უთხრა. მისი უწმიდესობა გაღიმებული უსმენდა და თავს უქნევდა. „ნეტავი ჩვენი პატრიარქი რუსულად ხომ არ უპასუხებს-მეთქი?“ გავიფიქრე. მაგრამ უწმიდესმა მშობლიურ ენაზე - ქართულად წარმოსთქვა მისასალმებელი სიტყვა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე პატრიარქი კარგად ფლობდა რუსულსაც და სხვა უცხო ენებსაც, მათ თავ-თავიანთ ენაზე, თარჯიმნის მეშვეობით არჩიეს საუბარი. ბოლოს პატრიარქებმა ერთმანეთს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. ჩვენმა უწმიდესმა და უნეტარესმა პატრიარქ ვაზგენს ხატი გადასცა, სომხეთის პატრიარქმა კი ოქროს მედალიონი, რომლის ერთ მხარეს ამოტვიფრული იყო ეჩმიაძინის ტაძარი, მეორე მხარეს კი პატრიარქ ვაზგენის გამოსახულება. სომხეთში დაბრუნებულმა ვაზგენმა ინგლისურ ენაზე დაწერილი 16 გვერდიანი წერილი გამოუზავნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, თავის მხრივ, მისმა უწმიდესობამაც ინგლისურად უპასუხა 20 გვერდიანი წერილით.

* * *

80-იან წლებში, საქართველოში ბაპტისტთა სექტის ხელმძღვანელი, აწ განსვენებული გიორგი ბონღაშვილი, ხშირად მოდიოდა საპატრიარქოში ქორეპისკოპოს კონსტანტინესთან (მელიქიძე) და სჯულის საკითხებზე მსჯელობდნენ. ისე მოხდა, რომ საბოლოოდ ყველა საკითხი შეათანხმეს და ბ-ნი გიორგი მართლმადიდებლად მოინათლა, ჯვარიც დაიკიდა გულზე, მაგრამ „იმათ ვერ დავანახებ 30 წელი ჯვრის უარყოფას ვუქადაგებდი და მომკლავენ ჯვრით რომ დამინახონო“ — ამბობდა ბაპტისტთა სექტის წევრებზე. „საით მიგყავდა ამდენი ქართველიო“ — უთქვამს მისთვის ერთხელ მის უწმიდესობას. მართლმადიდებლობაზე მოქცვისა და მონანიების შემდეგ პატრიარქის ნებართვით მან ერთი-ორჯერ იქადაგა სიონის ტაძარში, მაგრამ მალე მძიმე სენი შეეყარა და გარდაიცვალა. მახსოვს, მისმა უწმიდესობამ ნეკროლოგი დააბეჭდვინა საეკლესიო ჟურნალში.

* * *

ღვთისა და მამულის სიყვარული, სამშობლო ქვეყნის ტრადიციების ერთგულება და მისი მომავლისათვის ზრუნვა, ყველა სხვა სათნოების მსგავსად, საოცარი ჰარმონიითაა შერწყმული ჩვენი პატრიარქის ბუნებაში. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა მისი უწმიდესობის საოცრად მოკრძალებული დამოკიდებულება ზოგადად წინაპრების, უფროსი თაობისა და კერძოდ საკუთარი მშობლების მიმართ. მისი უწმიდესობა, მშობლებს სიცოცხლეშიც და გარდაცვალების შემდეგაც დიდ პატივს მიაგებდა და მიაგებს დღესაც. მე ერთ-ერთი მოწმე ვარ ამისა. ყოველწლიურად, აღდგომის მეორე დღეს, მცხეთაში, მამის საფლავზე მობრძანდება ჩვენი პატრიარქი სასულიერო პირებთან და ნათესავ-ახლობლებთან ერთად, სამთავროს დედებიც ყოველთვის ვახლავართ მის უწმიდესობას. პანაშვიდის გადახდის შემდეგ ყველა იქ მყოფს სუფრასთან გვიწვევს და გულუხვად გვიმასპინძლდება მისი უწმიდესობა, წამოსვლისას კი სკვნილს ან რაიმე საჩუქარს ტოვებს მამის საფლავზე, რათა ვინმემ აიღოს პატრიარქის მშობლების სახელზე და მათი სულების მოსახსენებლად; ბევრჯერ ყაზბეგშიც ვყოფილვარ უწმიდესთან ერთად დედის საფლავზე. იქაც იკრიბება დიდი თუ პატარა, გარდაცვლილთა სახელზე ბავშვებს კამფეტებს, ტკბილეულს, ნამცხვარს ურიგებს, ნაკურთხ საზრდელს კი მოწყალებად არიგებენ დედები.

...დედ-მამის სურათი სალოცავ კუთხესთანა აქვს დაბრძანებული კათოლიკოს-პატრიარქს. „გარდაცვლილთა სულებთან ორმხრივი კავშირი არსებობს, როცა თქვენ მათ იხსენიებთ, ისინი თქვენ გიხსენიებენო“, — ხშირად ბრძანებს უწმიდესი და არასოდეს წყვეტს სულიერ კავშირს დიდ წინაპრებთან.

— ხშირად მომისმენია მისი უწმიდესობის საუბარი თავის მოძღვარ, არქიმანდრიტ შიო ძიძავაზე. ერთხელ უწმიდესმა გაიხსენა, როგორ ჩაიბარა უკანასკნელი აღსარება თავისი მოძღვრისაგან და როგორ აზიარა გარდაცვალების წინ.

„სასიკვდილო სარეცელზე მყოფი, მძიმედ სნეული მამა შიო თავის მოძღვარს, მამა კონსტანტინეს (ქვარაია) ელოდებოდა, რომ აღსარება ჩაებარებინა და მისგან ზიარება მიეღო. მაგრამ მოძღვარი მოსვლას იგვიანებდა, მომაკდავი შფოთავდა. გადაწყვეტილება მივიღე, აღსარება მე მიმეღო, რათა მისი ტკივილი შემემსუბუქებინა, ასეც მოვიქეცი. აღსარებისა და ზიარების მიღების შემდეგ მამა შიო დამშვიდდა, ჩემი ხელი გულში ჩაიკრა, მომეფერა და მითხრა: „ჩემო პატრიარქო, ჩემო პატრიარქო“. იმჟამად მისი უწმიდესობა ეპისკოპოსი ბრძანდებოდა. ღვთივგანბრძნობილმა

მოძღვარმა წინასწარ განჭვრიტა მისი მომავალი კათოლიკოს-პატრიარქობა.

* * *

ღრმად დამრჩა მეხსიერებაში მისი უწმიდესობისა და საქართველოს პრეზიდენტის, ბ-ნ ზვიად გამსახურდიას ურთიერთობიდან ერთი ეპიზოდი. წმიდა შიო მღვიმელის ხსენების დღეს, შიომღვიმის მამათა მონასტერში სადღესასწაულო წირვა პატრიარქმა აღავლინა. უამრავ ხალხთან ერთად, წირვას საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტი, ბ-ნი ზვიად გამსახურდიაც ესწრებოდა. პრეზიდენტი იმ დღეს ეზიარა.

წირვის შემდეგ მისმა უწმიდესობამ წმიდა შიოს მღვიმეში პარაკლისი გადაიხადა, კათოლიკოს-პატრიარქი და ქვეყნის პრეზიდენტი წმიდანის საფლავთან ანთებული კელაპტრებით იდგნენ. ღვთისმსახურების აღსრულების შემდეგ, მონასტრის ბერებმა სტუმრები ტრაპეზზე მიიწვიეს. წარმოითქვა არაჩვეულებრივი სიტყვები და სადღეგრძელოები მახსოვს. ბ-ნმა ზვიადმა მისი უწმიდესობა, ჩვენი პატრიარქი, წმიდა მეფე დავით აღმაშენებელს შეადარა. მისმა უწმიდესობამ — „შენ ერის ჯვარი მიგაქვს უფალთანო", — უთხრა და ამ ჯვარის ღირსეული მტირთველი უწოდა ბ-ნ პრეზიდენტს.

* * *

მახსენდება სამოქალაქო ომის დღეები თბილისში. იმ უმძაფრეს დღეებში მე და მონოზონმა ეკატერინემ (ებრალიძე), გადავწყვიტეთ ვიდრე ომის ქარიშხალი არ გადაივლიდა, საპატრიარქოში, მისი უწმიდესობის გვერდით ვყოფილიყავით. ორი კვირის მანძილზე ღამით მისი უწმიდესობის სასტუმრო-სასადილოში ვიძინებდით, დილით ფსალმუნებს მონაცვლეობით ვკითხულობდით. მე ფანჯარასთან ვიდექი ხოლმე. ერთ დღეს ტყვიის ჯერის ცქერამ გამიტაცა, თავი კინოში მეგონა, მე მხოლოდ ფილმებში მქონდა ნანახი ომი და ახლაც ამ ყველაფერს, ომობანას თამაშად აღვიქვამდი. გონებაშიც კი არ გამივლია, რომ შეიძლებოდა ტყვია ფანჯარაში შემოჭრილიყო. თითქმის 30 წუთის განმავლობაში თვალმოუშორებლად ვუცქეროდი ამ უცნაურ, „მიმზიდველ" სანახაობას, მერე ცოტა ხნით, 10-15 წუთით, ორივენი გარეთ გავედით. დაბრუნებისთანავე დედა ეკატერინემ იატაკზე, იქ სადაც მე ვიდექი, ტყვია შენიშნა. ფანჯარას მრგვალად ეტყობოდა ამომსხვრეული ნატყვიარი. გაკვირვებულნი და დამფრთხალნი ვათვალიერებდით ტყვიის ვაზნას, შემდეგ მის უწმიდესობას ვაჩვენეთ — „ეს ისტორიული ტყვიაააო", თქვა უწმიდესმა და ვაზნა შეანახინა. მას შემდეგ ფანჯარას ახლოს აღარ გავკარებივარ.

ლოცვებს მის უწმიდესობასთან ვესწრებოდით. პატრიარქი ლოცვის დროს ფანჯარასთან იდგა. ტყვიების კაკანი არ წყდებოდა. ყველას შიში გვიპყრობდა მისი უწმიდესობის გამო. მაგრამ ნაბიჯს ვერ ვდგამდით, ვერც იმის თქმას ვუბედავდით პატრიარქს, რომ გვერდზე დამდგარიყო. ჩვენთან ერთად ლოცვაზე მისი უწმიდესობის ძმისშვილი, გოგი შიოლაშვილიც იდგა. იგი მსწრაფლ მიიჭრა უწმიდესთან და ფანჯრის მხრიდან გვერდით დაუდგა, გულში მეტირებოდა. ახლა უკვე ვხვდებოდი, რომ ნამდვილი ომი იყო. გოგის გმირობა გულს სიყვა-რულით აღანთებდა, ის ხომ უშიშრად სწირავდა თავს უწმიდესისთვის. საფრთხე მეტისმეტად რეალური იყო.

ორ კვირაში ტყვიების კაკანი შეწყდა, მე და დედა ეკატერინე მონასტერში დავბრუნდით, დარწმუნებულები, რომ პატრიარქს საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

იმ უმძიმეს დღეებში საპატრიარქოდან თითქმის ყველა გაკრეფილი იყო. 30-მდე ადამიანი თუ ვიქნებოდით მის უწმიდესობასთან საპატრიარქო რეზიდენცია ღია, აბსოლუტურად დაუცველი იყო, მაგრამ უფალი ეწეოდა და იფარავდა იქაურობას.

* * *

გიამბობთ ერთ შედარებით უფრო ძველ ამბავსაც. წმიდა ნიკოლოზის ტაძრის ბიბლიოთეკაში გადასვლამდე, ძველ საპატრიარქოში ადგილების სივიწროვის გამო, საპატრიარქოს საწყობში მეძინა, სადაც ძვირფასი ისტორიული ნივთები და რელიქვიები ინახებოდა (ძვირფასი ხალიჩები, სიწმინდეები, მეფე ერეკლე II სავარძელი, შაჰ-აბას I ნაქონი თარი და სხვ.) შემდეგ კი მისი უწმიდესობის სამუშაო კაბინეტში ვიძინებდი სტეშასთან ერთად. დედა ათანასია ყოველთვის ძალიან ადრე დგებოდა და როცა მე ვიღვიძებდი ის უკვე ამთავრებდა დილის საქმიანობას. მე მისი მტვერსასრუტის ზუზუნი მაღვიძებდა, მაგრამ დილის ძილი ძალიან მიყვარდა და მაშინვე არ ვდგებოდი. (სხვა დროს, როცა მისმა უწმიდესობამ მე და თამრიკო დილის 8 სთ-ზე ისევ მძინარენი გვნახა, შეშფოთებულმა გვითხრა: „დალპებით ამდენი ძილითო!") ისეთი მძინარა ვიყავი, გვიან ღამით, როცა დედა ათანასია შემოდიოდა, მის შემოსვლასაც კი ვერ ვგებულობდი. (საპატრიარქოში შუაღამისას ვიძინებდით, ადრე ადგომა მონასტერში ვისწავლე, რადგან აქ სხვაგვარად არ შეიძლებოდა). მაგრამ ერთ ღამეს, ჩემდა გასაკვირად, რაღაც ხმამ გამაღვიძა, ძაღლების ყეფას ჰგავდა. სასწრაფოდ ავდექი და ფანჯარასთან მივირბინე. მეორე სართულიდან ვათვალიერებდი სიონის ეზოს, მაგრამ ვერაფერი შევნიშნე. უეცრად ჩემს წინ ფანჯრის გისოსს დავაცქერდი და მამაკაცის ხელი დავინახე, ის ერთი ხელით გისოსს ჩასჭიდებოდა, მეორეთი აივნის კიდეს და

ის-ის იყო აივანზე გადასვლას აპირებდა. იქვე, ჩემი ფანჯრის გვერდით უწმიდესის საძინებელი ოთახის კარი იყო. მხოლოდ უფალმა უწყის, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. შიშისაგან კინაღამ ენა ჩამივარდა, ჩემდა უნებურად ფანჯარაზე ბრახუნი ავტეხე. წვეროსანმა ახალგაზრდა კაცმა ხმაურზე მოიხედა და ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა. მე ტანზე ფარდა მქონდა აფარებული, ფანჯარაში კი მხოლოდ ჩემი თმაგაშლილი თავი ჩანდა. ჩემს დანახვაზე უცნობი შიშისაგან ელდანაცემივით გაშეშდა, მერე უეცრად დაბლა გადახტა და ჟოლოფებიც თან ჩაიყოლა. ქუჩაში სწრაფად გარბოდა. მე განწირული ხმით მივძახოდი, „ქურდი, ქურდი-მეთქი!“ იქვე მილიციის ჯიხური იყო, მაგრამ მათ არაფერი გაუგიათ. ჩემს ყვირილზე საპატრიარქოს დედები შემოცვივდნენ. სასწრაფოდ ჩავიცვი, მალე მისი უწმიდესობაც შემობრძანდა. უწმიდესმა რამდენჯერმე დაწვრილებით მომაყოლა მომხდარის შესახებ, მერე ჯვარი გადამსახა და წაბრძანდა. დედები დაბლა ჩავიდნენ და იქაურობა დაათვალიერეს. შენიშნეს მისი ყოფნის კვალი და მის უწმიდესობას დაუდასტურეს — ვიღაც მართლა ყოფილაო.

მეორე დღეს ჟურნალის „ჯვარი ვაზისა“ რედაქტორმა ქ-ნმა თინა კობალაძემ სიცილით მითხრა: „გოგო, ქურდი ფანჯარაში როგორ დაიჭირეო?“ „საიდან იცი-მეთქი?“ — ვკითხე. „პატრიარქმა მითხრაო“. ეს ამბავი ანეკდოტად იქცა საპატრიარქოში. მადლობა უფალს, რომ ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა. ვინ იცის, რა მიზანი ამოძრავებდა იმ საბრალოს?

* * *

1996 წელს სვეტიცხოვლის ტაძარში ჩატარდა სამღვდელოების გაერთიანებული კრება. კრებას მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II თავმჯდომარეობდა; ესწრებოდნენ სინოდის წევრები, სამღვდელოება, ბერ-მონაზვნები, ერის წარმომადგენლები. როგორც წინამძღვარი, ჩვენი მონასტრიდან მხოლოდ მე ვიყავი მიწვეული. კრებაზე წასვლისას თან თორმეტი ვნების სახარების დიდი კელეპტარი წავიღე მაცხოვრის კვართთან დასანთებად. ტაძარში შესულმა უცნაური სანახაობა ვიხილე: ბაგრატოვანთა საფლავებზე სკამები იყო განლაგებული, ამბიონის წინ, დაბლა მაგიდები ეწყო, სადაც საკუთრევლისაკენ ზურგშექცევით ისხდნენ მისი უწმიდესობა და სინოდის წევრები იერარქიის მიხედვით.

ტაძარი მოვათვალიერე, არსად არც კანდელი და არც სანთელი არ ენთო. გული ჩამწყდა. პირველად ვნახე სვეტიცხოველი სანთლების გარეშე. ჩემი სანთელი ამოვიღე, ჯერ კანდელი ავანთე მაცხოვრის კვართთან და კელაპტარიც იბვე დავანთე. ყურადღება არავის მოუქცევია, და არც არავის შევუნიშნივარ, რამეთუ კრება ჯერ არ დაწყებულიყო და ყველა ერთმანეთთან საუბარში იყო გართული. კვართთან ახლოს მდგარ სკამზე ჩამოვჯექი. კრების მსვლელობისას დროდადრო ავხედავდი ხოლმე სანთელს და გული სიხარულით მევსებოდა. ადრე უწმიდესს ნათქვამი ჰქონდა: თორმეტი ვნების სახარების სანთელი მთელი წელი უნდა გეყოთ, მწუხარებისა თუ სიხარულის ჟამს ცოტა-ცოტა დაანთეთო. მე კი იმ დღეს, რადგან ტაძარში მის გარდა სხვა სანთელი არ ენთო, მსურდა მთლიანად დამწვარიყო. გულში კი ვლოცულობდი: უფალო ეს სანთელი მისი უწმიდესობისათვის შეიწირე-მეთქი.

კრების მსვლელობისას მიკროფონთან გამოსული სასულიერო თუ საერო პირები სიტყვებით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ზოგი ხმამაღლობდა, ეკლესიისა და მისი სამღვდელოების მიმართ თავის აზრებს გამოთქვამდა, ზოგი უპირის პირდებოდა. მისი უწმიდესობა ყველას მშვიდად, აუღელვებლად უსმენდა. მახსოვს, საოცრად გულთბილი და წრფელი სიტყვით მიმართა მის უწმიდესობას. აკად. მარიკა ლორთქიფანიძემ უნივერსიტეტის სტუდენტების სახელით.

კრების დამთავრების შემდეგ მონაწილეთათვის რესტორანში სუფრა იყო გაშლილი. სხვებთან ერთად მეც იქ წავედი. მისვლისას მის უწმიდესობას დავუწყე ძებნა, მაგრამ თვალი ვერსად მოვკარი. ვიკითხე: „მისი უწმიდესობა სად ბრძანდება-მეთქი.“ ვერავინ მიპასუხა. „მაშ, მე აქ რა მინდა-მეთქი?“ — გავიფიქრე, ავდექი სუფრიდან და გამოვედი. ვიღაც შაოსნები მეძახდნენ - ნუ მიდიხარ დარჩიო... მარტო გავუყევი ფეხით გზას. მონასტერში მისული ვხედავ, რაღა ჩოჩქოლია, ზარებს რეკავენ... თურმე მისი უწმიდესობა ჩვენთან მობრძანებულა. სასწრაფოდ ავირბინე კიბეები. მისი უწმიდესობა უკვე თავის ოთახში ისვენებდა. აივანზე მცხეთის მაშინდელი გამგებელი შალვა ობგაიძე და აწ განსვენებული გოგი შიოლაშვილი დედებთან ერთად სუფრას შლიდნენ. უსაზღვროდ გავიხარე. მალე მისი უწმიდესობა გამობრძანდა და სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან მიგვიწვია. მაგიდას ხუთიექვსი ვუსხედით. მისმა უწმიდესობამ მაკურთხა, მის გვერდით ახლოს დავმჯდარიყავი. მოულოდნელად უწმიდესი მთელი ტანით ჩემსკენ გადმოიხარა და ჩურჩულით მითხრა: „მე ვიგრძენი თქვენი ლოცვა, აქ თქვენმა ლოცვამ მომიყვანა“. ამ სიტყვებმა გამახარა და თან გამაკვირვა — ნეტავ როდის ვილოცე-მეთქი, გავიფიქრე და გამახსენდა: მე ხომ სანთელი დავანთე მაცხოვრის კვართთან უწმიდესის სახელზე. მართლაც დიდი ძალა ჰქონია ვნების სახარების სანთელს.

* * *

პატრიარქი სამთავროს სტუმრობდა. მაყვლოვანში. დედა ანას (შიოლაშვილი) საფლავთან ტაბლა გვქონდა გაშლილი. რატომღაც ყველა თავისთვის საუბრობდა, რაც მონასტრისათვის შეუფერებელ ხმაურს ქმნიდა. მოულოდნელად პატრიარქმა ხმამაღლა წარმოსთქვა: „გაჩუმდით, ყური მიუგდეთ, რა დიადია სიჩუმე!.. „უფალი მეფობს!" ყველანი გარინდებულნი შევსცქეროდით მის უწმიდესობას, მხოლოდ მაყვლოვანისა და აკაციის ხის ფოთლების ნელი რხევა და შრიალი ისმოდა.

* * *

ერთხელ პატრიარქს ვკითხე:

— „თქვენო უწმიდესობავ, მონასტერში ყველაზე დიდი საქმე რა არის-მეთქი?"

— „ლოცვა" — მიპასუხა მოკლედ მისმა უწმიდესობამ.

* * *

სამების პატარა ტაძრის (ძველი სამება) მედავითნემ, ქეთინომ ჰკითხა მის უწმიდესობას: „თქვენო უწმიდესობავ, ძალიან მინდა თქვენზე ლოცვა და როგორ ვილოცო არ ვიცი. „რომელი დამკვიდრებელ არს..." სამჯერ წაიკითხეო", — უპასუხა უწმიდესმა. „სამი რა არის თქვენო უწმიდესობავ, მაკურთხე და ორმოცჯერ წავიკითხავ დღეშიო", — ეცოტავა ქეთევანს. „არა, სამჯერ საკმარისიაო", — აკურთხა პატრიარქმა.

ჩემს გულში გადავწყვიტე მეც წამეკითხა მისი უწმიდესობისათვის დღეში სამჯერ 90-ე ფსალმუნი. (თუმცა არავის დაუვალებია) თავიდან ვასრულებდი, მერე ხან ერთს დავაკლებდი, ხან სულ მავიწყდებოდა, ბოლოს აღარც ვასრულებდი. განვლო დრომ. ერთხელ საპატრიარქოში ამ მედავითნეს შევხვდი, მოვიკითხეთ ერთმანეთი და სხვათა შორის ზემოთქმული ამბავიც გავიხსენე და ვკითხე ასრულებდა თუ არა უწმიდესის კურთხევას. „ოჰ, რა ძნელი ყოფილა პატრიარქზე ლოცვა, 40-ჯერ კი არა, დღეში სამჯერ ძლივს ვლოცულობო", — მიპასუხა შეწუხებულმა.

სამთავროს მონასტერში გადმოვსლიდან კარგა ხნის შემდეგ, ეს ამბავი მონასტრის მოძღვარს, მამა მიქაელს (გაბრეჭიძე) მოვუყევი. მოძღვარმა მაკურთხა, დღეში სამჯერ წამეკითხა უწმიდესისათვის 90-ე ფსალმუნი და დამემატებინა წმიდა ნინოს ტროპარი. მოძღვრის კურთხევის მიღების დღიდან, რადგან უკვე კანონად მომეცა, ლოცვა აღარასოდეს გამომიტოვებია.

* * *

კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სთან გატარებული ყოველი წუთი, მისი უწმიდესობის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა, მისი ღიმილი თუ უბრალო შემოხედვაც კი, ღვთის დიდი წყალობა და ძღვენი იყო და არის ჩემთვის. მაგრამ ამასთან, არსებობენ პატრიარქის მიერ საჩუქრად მოძღვნილი ნივთებიც, რომლებიც ცხადად, ხელშესახებად მაგრძნობინებენ და მახსენებენ მისი უწმიდესობის მამობრივ ზრუნვას და დიდ სიყვარულს და ამის გამო, გამორჩეულად ძვირფასნი არიან ჩემთვის.

პატრიარქის პირველი საჩუქარი — „დავითნი" წარწერით: „ღმერთმა დალოცოს მხევალი ღვთისა იზო კოპალიანი" — წმიდა ნინოს პირველ გზაზე ყოფნისას დავკარგე. ჯავახეთში, ფარავნის ტბასთან, სხვა ნივთებთან ერთად კარვიდან ზურგჩანთით გაიტაცეს. გულდაწყვეტილი მხოლოდ „დავითნს" მივსტიროდი, აღარაფერი მახარებდა. მეუფე დანიელი მამშვიდებდა: „არა უშავს, წმიდა ნინოსაც არაფერი ებადა, საქართველოში ფეხშიშველა შემოვიდა და შენც ღმერთმა ტვირთი მოგხსნა, ასე უფრო მსუბუქად იქნებიო". სხვა რა გზა მქონდა, ბედს შევურიგდი, თუმცა დაკარგულნი „დავითნი" დღესაც მაწუხებს.

მორჩილად კურთხევისას მისმა უწმიდესობამ იერუსალიმიდან ჩამოტანილი ლამაზი, მძივებიანი სკვნილი გადმომცა, სათუთად ვინახავ, საკუბოვე სამოსში მიდევს. სხვა დროს ერთ-ერთი სტუმრობისას საკაბე და პარმანი მაჩუქა სიტყვებით: „მე და თქვენ ერთნაირი კაბა და პარმანი გვექნებაო."

დაბადების 50 წლისთავზე მისმა უწმიდესობამ წმიდა ნექტარიოსის ვერცხლის პერანგში ჩასმული ძვირფასი ხატი გადმომცა: „ეს ხატი ორმოცდაათი წლისათვის აღსანიშნავად. უბრალო არ გეგონოს, ძალიან ძვირფასი ხატიაო!"

წმიდა ნექტარიოსის ხატი სამლოცველოს შესასვლელში მიკიდია და ყოველ შესვლაზე ვეამბორები წმიდა ნინოს ხატთან ერთად.

ახლახანს მისმა უწმიდესობამ სამთავროში სტუმრობის დროს თავისი ხელიდან სკვნილი მოიხსნა და მისახსოვრა. ეს იყო ჩემთვის ყველაზე უძვირფასესი სახსოვარი, რომელიც საძინებელში თავთან მიკიდია და ჩემი საპატრიარქოში მისვლის პირველ წლებს, მისი უწმიდესობის უნაზეს, მამობრივ სითბოს და სიტყვებს მახსენებს: „მე ყოველთვის თქვენთან ვარ, მხოლოდ თქვენ ვერ მხედავთო".

დიდება ღმერთს და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს დიდი წყალობისათვის, რამეთუ ბრძენ წინაპართ მსგავსად, სრულიად საქართველოს ძნელბედობის ჟამს ხსნის გზაზე მოუვლინა კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

2007 წ.

ჩაიწერა მონოზონმა თეკლე გველესიანმა

ვულოცავთ!

მოიმუშაკე უწმინდესო, ღვაწლი კეთილი...

მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი)

შენი სიცოცხლე ერს უხარია

უწმინდესს

მაცხოვრის კვერთხის მპყრობელი ხელთა,
შეჭიდებული უხილავ მტერთა,
სიმხნით და ღვაწლით აღურიცხველთა,
ცად მიმართ უძღვი ცხოვართა შენთა.
აყვავებული სანთლები ხატთან
სიკეთის დღეთა იყვნენ მაცნენი, -
სიწმიდის მადლად და სასწაულად
მშობელთა ლოცვით აღმონაცენნი.
იმედმოსხმულან შენი დღეები,
სიხარულს ყოველს რომ უწილადებ,
შენი ფიქრია შენი მამული
სამარადისო ნათლით ბრწყინავდეს.
თუ საქართველო წმიდა ჯვარია, — ნატრობ, — სამოთხის კართან იყოსო...
შენი სიცოცხლე ერს უხარია,
მრავალჟამიერ, კათალიკოსო!...

ლექსი დაწერილია ექსპრომტად უწმინდესის აღსაყდრების წლისთავზე გამართულ საღამოზე.
1978 წ. 25.XII.

სად ყვავილი სამოთხის

სად ყვავილი სამოთხის
ლამაზ თვალებს ახელს,
ზეცის წიგნი სიცოცხლის
ჩაწერს უკვდავ სახელს.
იგი მარადისია,
ზეცის წიგნი ტკბილია,
სხვა ვინ თქვენებრ ღირსია,
უწმიდესო ილია.
უწმიდესო ილია,
ცით ნაკურთხო მეუფევ!..
ლოცვა აღვლენილია,
მამულს მადლი შეუქე...
ქართვლის შვილად მოსულხარ,
იმის სინდის-ნამუსად,
ხატებრ ეალერსებით,
ენასაც და მამულსაც...
შუქი ოქროფენილი, -
მამულის მთებს აანთებს,
თქვენი სიბრძნით წერილი
მომავლის გზებს ანათებს.
წუთისოფლის სიმძიმე
თქვენი ღვაწლით ძლეულა,
დაგიბრუნებთ უფალი
ნაღვაწს ათასეულად...
... ხამდა ქება ციერთა
არა ცოდვილ ენითა,
ჟამი განათლიერდა,
თქვენი დიდი რწმენითა.

* * *

ჟამსა ურთულესს ბრძენთა-ბრძენი არის საჭირო,
რომ ერი ღვთისა, სამწყსო თვისი, გადაარჩინოს,
ალბათ იქნება ცით რჩეული, მადლი საჩინო,
რომ წარმავალზე ამო ფიქრმა არ მიგაძინოს...
წუთისოფელი უნდობი და მიწყივ ფლიდია,
ხშირად ცხოვართა არ უწყიან საით მიდიან,
იქ მზე ჰგონიათ, წყვდიადი და სადაც ბინდია,
უამინდობაც ეჩვენებათ, თუ ამინდია...
აქეთ წამოდით, სად ღვთის მადლი მზედ აგვინთია...
ვერ მიხვდებიან, თუ რას ურჩევს ვაჟას მინდია,
ვინც ღვთით გმორჩილობთ,
ღვთით მოგენდოთ და დაგიჯეროთ,
საიდუმლონი სასუფევლის ცხადად გვიჩვენონ...

უწმინდესსა და დიდებულსა...

მეუფევ დიდო, მღვდელთმთავარო
ჯვარისმტვირთველო,
ვედრება შენი შეწირულ არს მაღლისა მიერ...
შემოგღაღადებს იმედებით მთლად საქართველო —
მრავალჟამიერ მეუფეო... მრავალჟამიერ...
სიყვარულისთვის მოვლენილხარ ამ ქვეყანაზე...
ღმერთი დიდია — უბედობა შეცვლის წამიერ...
გაგვიმარჯვდება, ავმაღლდებით მძიმე ხანაზე,
მრავალჟამიერ მეუფეო... მრავალჟამიერ...
დე, ყოფილიყოს ქართველთ პირი გაღიმებული
და ვეღარავინ შეგვიცვლიდეს ტანჯვით ამ იერს...
მთლად საქართველო ერთ სულ, ერთგულ
გზით დიდებულით...
მრავალჟამიერ მეუფეო... მრავალჟამიერ...

2002 წ. 4.II.

უწმიდესისადმი

„აღვამაღლო რჩეულო ერისაგან ჩემისა“...
88-ე ფსალმუნიდან

ამ უნდობელ საწუთროში
მძიმე ჯვარი გერგოთ წილად,
არ შეგშლიათ მაინც დროში
და რჩეულთა მადლით ბრწყინავთ.
დიდებული მოციქული
პავლე ბრძანებს: “მე მომბაძეთ“...
გზა წმინდაა, მაგრამ რთული,
რადგან ერის ტვირთი გაწევთ.
თქვენი ნატვრა სულთა ხსნაა,
და იმედი გადარჩენის...
სულ გამოხსნა, სულ დახსნაა,
და ღვთიური განაჩენი;
არ მოაკლებ ნუგეშს შვილებს,
ლოცვით ღამე ვით გეთიათ,
სიყვარული იყვავილებს,
სიყვარული თვით ღმერთია.
ღვთით იხარეთ... ერს ახარებთ...
საზრუნავი თქვენი დიდ არს...
ლოცვით გახსნით ზეცის კარებს
შეგვაწყნარებთ წმიდათ წმიდას.
მთავარია სული ვიხსნათ, -
წარუვალზე ფიქრი გვმართებს
წმიდა ფიქრით და ცხოვრებით
მივემსგავსოთ არწივთ მართვეს...
ძალა მოგცეთ არსთ გამრიგემ,
შემატოდეთ რჩეულთ რიგებს...
ცით მოგვფინეთ მადლი ღვთისა
ახლისა და ძველ აღქმისა.

2002 წ. 1 იანვარი

დიდქართველნი როგორც მდგარან

იყავ მარად, ერის ფარად,
ქართველთ გულის გასახარად,
მზეზე ნათლად,
კლდეზე მყარად,
უწმიდესად,
საფიცარად...
ილოცვიდეთ
საოცარად,
გადიხსნება
სხვაფრივ
ცა რად,
ცით ჩამოვა,
მარგალიტი
ოქროს წვიმად, ოქროს ცვარად.
ხარობთ სხვათა გახარებით,
ვერ იქნებით თქვენ სხვაგვარად, -
ღრუბლიანი ამინდები
შეგიცვლიათ მზიან დარად...
მოწამებრივ მლოცველი ხართ,
მადლი დაძლევს დარდს და ვარამს,
მარადისი მზე გადაყრის
წარმავლობის ბნელს და წკვარამს...
უთვლელ ნახმლევს, ნაჭრილობევს,
მოუშუშებთ ერს იარას,
თქვენი მადლით ბევრზე ბევრი
ცის სიხარულს ეზიარა...
ვერ ეკარვის მგელი კარავს,
თქვენ იფარავთ,
ცხოვართ ფარას,
მწყემსო, დიდად კეთილოო,
ზეციური მწყემსის დარად,
წარმავლობა ვერ გაშინებთ, -
უგუნურთა ბედი გზარავთ...
მწყემსო, გულით მოწყალეო,
ზეციური მწყემსის დარად.

სად უწმიდესი ილოცავს

სად უწმიდესი ილოცავს -
იქ დიდი მადლი ტრიალებს...
სამშობლოს ერთგულს ახარებს -
ორგულებს გაატიალებს...
უკუღმა მბრუნავ ჩარხ-ბორბალს
მზისაკენ შეატრიალებს...
საფიცარ ხატად შერჩება
მომავლის დიდ მატიანეს...

მოიმუშაკე უწმიდესო, ღვაწლი კეთილი

„სრბა ღვაწლისა წმიდისა აღმისრულებიეს... ღვაწლი კეთილი მომიღვაწებიეს... ამიერიდან მიმელის მე სიმართლისა იგი გვირგვინი, რომელი მომცეს მე ქრისტემან ღმერთმან ჩემმან, ძემან ღვთისამან“.

ბრძანებს წმიდა და დიდებული და ყოვლად ქებული მოციქული პავლე.

მოიმუშაკე, უწმიდესო, ღვაწლი კეთილი, –
ვით, დიდმა პავლემ, შეგიძლია,
ბრძანო იმედით:
– დაცხრა ზღვის ღელვა, ბობოქარი,
თავაწყვეტილი...
და ღვთის წყალობით სამშვიდობო ნაპირს მივედით.
იმ საუფლოში უჭკნობელი ყვავილებია,
თვალშეუდგამი ნათელი და ტკბილი გალობა...
სად ყოველ მისულს ნეტარებით გაღიმებია,
გაჰკვირვებიათ ნათლის შვილებს მაღლის წყალობა...
დიდება უფალს, ყოვლად კეთილს...
ყოვლად სახიერს...
მრავალმოწყალეს – იმედით, რომ გვავსებს მარადის...
გონების თვალით, სულის თვალით,
ტკბილად სახილველს...
აწ და მარადის... სულ... მარადის...
აწ და მარადის...

2003 წ. 18.V.
„ჩვენი დიდებული უწმიდესის მიერ საქართველოს უძველესი კუთხის – კაბადუკიის მოლოცვის ჟამი“.

არქიმანდრიტი სოგრატი (ჭულუხიძე)

წმინდა ანდრია-პირველწოდებულის სახელობის ტაძრის წინამძღვარი

საქართველოს მშვენება ხარ
(კათოლიკოს პატრიარქს ილია II-ს)

საქართველოს მშვენება ხარ
შენ, ჩვენო მამამთავარო,
თავზე გადგია გვირგვინი,
მაღალ კვარცხლბეკზე დგახარო.
მარჯვენა ღმერთმა გიკურთხა.
გაქებენ ყველა ენანი,
მაცხოვრის კვერთხი გიჭირავს
და მით ვიმწყემსვით ყველანი.
ანგელოზი გყავთ ბრწყინვალე,
მან ხომ სიკვდილი დალახვრა,
ცეცხლის ეტლით ცას ავიდა
და უფალს მუდამ თან ახლავს.
ღმერთმა ინებოს ეგ თქვენი
სიცოცხლე მრავალჟამიერ,
ხალხის მსახურად დამდგარხართ,
ამჟამად, ქრისტეს მაგიერ.
ამიტომ თქვენი სახელი
გაბრწყინებული მზესავით,
მამამთავარი ბრძანდებით
ყველა თაყვანს გცემთ ჩემსავით.
ენამ ვერ წარსთქვა შესხმანი
რაც თქვენი საკადრისია,
ღვთის დიდებაში ჩვენც ყველას
გვამყოფებ, თავად იცია.
ამით ერთ სამწყსოდ ვიქნებით
თქვენთან ჩვენცა და ყველანი,
უფლის სურვილიც ეს არის,
აღსრულდეს ქრისტეს მცნებანი.
კარგი იქნება,
ეს ყველა სურვილი გამოაქვეყნოთ,
თქვენი საქმენი ბრწყინავდეს
მარტო არ ჩვენთან, საქვეყნოდ.
სიტყვა ბევრ მქონდა სათქმელი,
ენა ვერ მისწვდა ყველასა,
ამიტომ გემუდარები,
რომ მაპატიებ ყველასა.
შესხმანი მეტი გეკუთვნის
მემოწმებიან ყველაცა,
თქვენი ლოცვა და კურთხევა
გვახარებს მუდამ ყველასა.
გილოცავ ანგელოზის დღეს
და ჯანმრთელობას ამიერ,
„ისპოლა ეტი დესპოტა!“
იცოცხლე მრავალჟამიერ!

01. 08. 79.

კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს

სიცოცხლე თქვენი სწადიან ყველას,
დიდხანს იცოცხლე! – ყველას გვწადია
ღვთისმშობლისაგან გამორჩეულსა
ნუგეშის თვალით გიცქერთ მადლიანს!
მოვლენილი ხართ საქადაგებლად
სიტყვისა ღვთისა, – ეს ყველამ ვცანით,
მშვიდობისათვის დიდი მებრძოლი
და სათნოების ხართ ჩირაღდანი.
წინაპართ ჩვენთა, მამა-პაპათა,
მტკიცედ დაიცვეს სჯული-ქრისტესი,
დღეს კი თქვენს ხელთა გადმოცემულის
ამ წმიდა სჯულის გვწამს, ხართ იმედი.
ღმერთმა ინებოს. თქვენი სიცოცხლე,
ჯანის სიმრთელით მრავალი წლები,
როდესაც გვლოცავ მამათ-მთავარო,
ყველა უსაზღვრო მადლით ვივსებით.
ნება მიბოძე, რომ მოგილოცოთ,
დღესასწაული მრევლის სახელით,
ღვთისა წყალობით მუდამ აღვსილსა
წმიდა გიორგი გყავდეთ მფარველი.
ამინ!

1980.

უწმინდესი ილია II და არქიმანდრიტი სოგრატი

დედა პელაგია (ქსოვრელი)

გმადლობთ უწმინდესო ყველაფრისათვის!

თეთრიწყაროს რაიონში, ბედიანის მონასტერში გვიან ღამით ჩავედით, დედებმა მათთვის განკუთვნილი ტიპიკონი დაარღვიეს და ქრისტესმიერი სიყვარულის კიდევ ერთი ნათელი მაგალითი გვიჩვენეს. მათი სითბოთი და სიყვარულით გამთბარი ჩვენი გულები დღესაც სავსეა იმ ნათელი შთაბეჭდილებებით, რომელიც იქ, ბედიანის მონასტერში მხცოვან მონაზონთან, დედა პელაგიასთან შეხვედრისას განვიცადეთ.

დედა პელაგია უწინ მცხეთის დედათა მონასტრის კეთილმოწესე ყოფილა, შემდეგ წმინდა ნინოს მონასტერში უმოღვაწევია, გურჯაანის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მონასტრის წინამძღვარიც გახლდათ.

მონაზვნობა განუზომელი ბედნიერებაა – ბრძანებს დედა პელაგია, – ამ გზაზე რომ ვდგავარ ეს ღვთის წყალობა და ჩვენი უძვირფასესი მამის, უწმინდესი ილია II-ის დამსახურებაა.

მამა რომ გარდამეცვალა, ძალიან განვიცადე, მდგომარეობიდან ვერ გამოვდიოდი, საშინელი განცდები მქონდა, რას აღარ ეცადნენ ჩემიანები, ვერაფრით მიშველეს; ერთხელ ახლობელმა მითხრა, შენ მამას, როგორც მამას კი არ განიცდი, იგი კარგი ადამიანი იყო და კარგი ადამიანის დაკარგვას გლოვობო, შემდეგ დაუმატა, მე შენ ისეთი კარგი ადამიანი გაჩვენო, ყველა უნდა დაგავიწყდესო, ჰოდა, ამ ჩემმა მეგობარმა ერთ მშვენიერ დღეს წამიყვანა და უწმინდესი მაჩვენა, დავესწარი წირვას და მოვისმინე მისი ქადაგება, შინ საოცრად აღმსუბუქებული დავბრუნდი, მას შემდეგ უწმინდესის მადლის ქვეშ ვარ; სადაც წაბრძანდებოდა, სულ თან დავსდევდი, მისი კურთხევა ჩემთვის ერთ სიცოცხლეს უდრიდა...

შემდეგ, გარკვეული ხნის შემდეგ ჩემს ოჯახს საშინელი განსაცდელი დაატყდა თავს, შვილი გამიხდა სასიკვდილოდ ავად. ექიმებმა მითხრეს 25 წელზე მეტს ვერ იცოცხლებსო, წარმოიდგინეთ დედის გული ამ დროს.

სიონის ტაძარში მუხლებმოდრეკილი ვევედრებოდი მაცხოვრის ხატს – მითხარი უფალო, როგორ მოვიქცე, რა გავაკეთო-მეთქი. ამ დროს მოვიდნენ ჩემთან და მეუბნებიან: უწმინდესს მწყემსი სჭირდება და ხომ არავინ იცი? ვინც მწყემსობას გასწევსო. დედა შვილისთვის ხომ ყველაფერს გააკეთებს, ვახსენე ღმერთი და მივუგე, მე წავალ მწყემსად-მეთქი.

მართლაც, უწმინდესის კურთხევით, გამამწესეს მწყემსად მარტყოფის მონასტერში; ოჯახში სიტუაცია შეიცვალა, მერმე დავბრუნდით ერში, ვიფიქრე, პენსიას დავინიშნავ და ისევ მონასტერში წავალ-მეთქი, მაგრამ ჩემი დაბრუნებისთანავე, მეორე შვილიც გამიხდა ავად. მივედი უწმინდესთან და შევჩივლე, უწმინდესმა ბრძანა, მაგას არც ექიმი სჭირდება და არც წამალი, ეს ყველაფერი ღვთით ხდებაო.

ცოტა ადრე ვნახე დიდი გამოცხადება, როდესაც უწმინდესს მოვუყევი, მან ყველაფერი ამიხსნა, გამიშიფრა და ბოლოს დასძინა, შენც და შენი ოჯახიც მონასტერში უნდა იყოთ, ეს არის ღვთის ნება თქვენზეო, ჩემმა შვილებმა ეს არ შეასრულეს, ერთი გარდამეცვალა, მეორეს დიდი განსაცდელები აქვს.

ჰოდა, რას მოგახსენებდით, ჩემმა ოჯახის წევრებმა არ დაიშალეს და ჩემი ავადმყოფი შვილი მოსკოვში სამკურნალოდ წაიყვანეს.ვუთხარი პატრიარქს, თქვენ კი ბრძანეთ, რომ ეს ღვთით არის ავად, მაგრამ მოსკოვში ექიმთან მაინც მიჰყავთ, რა ვქნა-მეთქი, უწმინდესმა ჯვარი გადამსახა და სთქვა: ნუ გეშინია, ღმერთი ყველგან არის, თუ მისი წმინდა ნება არ არის, ახლოს ვერავინ მიეკარებაო; მართლაც, მოხდა სასწაული და მოსკოვში ჩასულ ჩემს ოჯახს, ექიმი, რომელთანაც შეთანხმება ჰქონდათ, არ დაუხვდათ, ზღვაში გემი ჩაძირულიყო და ეს ექიმი შემთხვევის ადგილზე გამოეძახათ, დაბრუნდბნენ დაღონებულები, მე ვუთხარი, რომ ესეც ღვთის ნება იყო-მეთქი, მაგრამ ურჩობა არ გინდათ? მე-ორედაც გადაწყვიტეს წაყვანა. მივედი კვლავ უწმიდესთან. უწმინდესმა მშვიდად მომისმინა, ჯვარი გადამსახა და სთქვა, ნუ გეშინია, ღვთის ნებას ვერავინ, აღუდგება, ახლოს ვერავინ მიეკარება, ოპერაციას ვერავინ გააკეთებსო. მართლაც, მოხდა კვლავ სასწაული. ექიმმა განაცხადა, რომ მე მას ვერ მოვკიდებ ხელს, ახლოსაც ვერ გავეკარებიო.

წმინდა ნინოს გზაზე

წმინდა ნინოს გზა ალბათ გახსოვთ, უწმინდესის კურთხევით წმინდა ნინოს გზაზე წავედი, შვილი მაშინ ძალიან ცუდად მყავდა, მე მაინც წავედი, თან ვჯავრობდი, ცუდად ხომ არ მოვიქეცი-მეთქი, მაგრამ რაღაც ძალა ისე ძლიერად მეწეოდა, შინ დარჩენა ვერ შევძელი, რომ ჩავედი, უწმინდესი უკვე ფოკაში ბრძანდებოდა, ვკითხე, უწმინდესო, შვილი ძალიან ცუდად იყო, მე მაინც აქ წამოვედი, თუ დავაშავე მაპატიე, მაგრამ შინ დარჩენა

არაფრით შემეძლო-მეთქი, უწმინდესმა ჯვარი გადამსახა და მომიგო, არა, სწორად მოიქეციო. შინ რომ დავბრუნდი, შვილი კარგად მყოფი დამხვდა...

განსაცდელები ჩემი ოჯახის თანმდევი გახდა. მე ვიტყოდი, ეს იმიტომ ხდება, რომ უწმინდესის სიტყვა ბოლომდე არ შესრულდა, შვილების შემდეგ შვილიშვილი გამიხდა ავად, ესეც ახალი სიმწარე; წირვაზე ვდგავართ და მეუბნება, სასწრაფოდ მიმიყვანე უწმინდესთან. როგორ მივიყვანდი, წირვაზე იდგა. წირვის შემდეგ შვილიშვილი სახლში წავიყვანე და მთელი ღამე ვევედრე უწმინდესის ანგელოზს, მიიღე-მეთქი ჩემი ავადმყოფი შვილიშვილი. დილით ადრიანად მოვკიდე ბავშვს ხელი და წავედი საპატრიარქოში, მეუფე დანიელი უწმინდესის ოთახის წინ შეგვხვდა, აქ რა გინდა დედაო, — მეკითხება, მე ავუხსენი მდგომარეობა. მეუბნება მეუფე — უწმინდესს ნუ შეაწუხებთ, მე დაველაპარაკებიო, თქვენ არა მეუფეო, ბიჭი პატრიარქთან მისვლას ითხოვს, სხვა არავინ უნდა-მეთქი, რა ვქნათო, — ჩაფიქრდა მეუფე. — მეუფეო, მივუგე მე, — უწმინდესმა იცის და გველოდება-მეთქი, — მართლაო, — თქვა მეუფე დანიელმა და წავიდა.

მე მართლაც ვიცოდი, რომ მთელი ღამე ჩემი ვედრება უკვალოდ არ ჩაივლიდა. შევაღე თუ არა უწმინდესის კაბინეტის კარი, პატრიარქმა მაშინვე ხელი დაიქნია და დამიძახა, მოიყვანე დედაო, მოიყვანე, ჩქარა მოიყვანეო, ხომ გითხარით, უწმინდესმა ეს ამბავი უკვე იცოდა, იგი ღვთით ხედავს ყველაფერს, დიდი მლოცველია.

მივიყვანე ბესიკი, უწმინდესი მოეფერა, დალოცა, გულში ჩაიკრა, დაუყვავა, ბავშვმა უთხრა: ღვთის არსებობა, ღმერთი ისე არა მწამს, როგორც უნდა მწამდეს, რა მეშველებაო? უწმინდესმა გაუღიმა და გაეხუმრა — მე გწამვარო? ბიჭმა — დიახო, —მიუგო. უწმინდესმა აკურთხა: ნუ გეშინია, უფალი შენთან არისო, შემდეგ წამოსვლისას სოლიდური თანხა აჩუქა, ბავშვმა იუარა — არა, უწმინდესო, მე ამისთვის არ მოვსულვარ თქვენთანო, პატრიარქმა ფული ძალად ჩაუდო ჯიბეში და თან გაეხუმრა — ბებიაშენის დამსახურებაა, ესე უცბად რომ მოხვედი ჩემთან, თორემ აქ ეპისკოპოსები ვერ შემოდიან ასე მალეო, — და გვაკურთხა.

ერთხელაც ასეთი რამ მოხდა: ჩემს შვილიშვილს ძილი დაეკარგა, კვირები ვერ იძინებდა, ვერც წამალი შველოდა, ვერც — ექიმი, მე მაშინ გურჯაანის მონასტრის წინამძღვარი ვიყავი, ვიგრძენი, რომ ოჯახს რაღაც განსაცდელი ჰქონდა. ავდექი და სასწრაფოდ წავედი თბილისში. მივედი, რას ვხედავ, მთელი ოჯახი გაუბედურებულია, ბავშვი ვერ იძინებს, ნერვიულობს და არიან ერთ ამბავში; გავმწარდი, ძალიან გავმწარდი, ვევედრე უწმინდესს, უწმინდესო, საშველი მითხარი, რა ვქნა-მეთქი, და წავედი საპატრიარქოში. მივედი. უწმინდესი პარაკლისს ატარებდა, უცებ გააჩერა ლოცვა და დაბრძანდა ტახტზე, იცით რა, — სთქვა პატრიარქმა, — ძალიან ძნელია ადამიანს რომ ძილი დაეკარგება. ამ დროს ასეთი ლოცვა უნდა წაიკითხონ. გადმოიღო წიგნი და წაიკითხა შვიდი ეფესელი ყრმის ლოცვა... პარაკლისიც გადაიხადონო.

უწმინდესო, — შევკადრე პატრიარქს, — ბესიკია ასე და რა ვქნა-მეთქი?

ვიცი დედაო, ვიცი, წაიყვანე მღვდელი და პარაკლისი გადაიხადეო, — მითხრა უწმინდესმა. — ვინ წავიყვანო-მეთქი, — აგე, მამა ილია წაიყვანეო... ახლა მამა ილია მეუფე ისაია ბრძანდება, მართლაც წავედით და ბავშვი უკვე დაძინებული დამხვდა.

სხვა რა გითხრათ, ეს ამბები იმიტომ გითხარით, რომ ხალხმა უნდა იცოდეს რა დიდი სულიერი ნიჭი აქვს ღვთისგან ჩვენ მწყემსმთავარს.

* * *

ერთი პერიოდი ჩემი სამონასტრო მორჩილება ძროხების მოვლა იყო. ურჩები იყვნენ ეს ძროხები, სვეტიცხოვლის ეზოში ხშირად დაბალახობდნენ, სვეტიცხოვლის წინამძღვარი მაშინ არქიმანდრიტი აბრაამი, (ახლა მეუფე აბრაამი) მიჯავრდებოდა ხოლმე, რას აკეთებ, დედაო, ეს ძროხები აქაურობას აბინძურებენო. ერთხელ შევჩივლე უწმინდესს, სხვა ძროხები ვიყიდოთ, ესენი ვერაფრით მოვათვინიერე-მეთქი. პატრიარქს ჩემს ნათქვამზე გაეღიმა.

ერთხელ, სვეტიცხოველში, 25 დეკემბერს, მისი აღსაყდრების დღისადმი მიძღვნილი წირვაა. მონასტერში გვყავდა ერთი პატარა, ძალიან ლამაზი ბოჩოლა. მოგეხსენებათ უწმინდესს ძალიან უყვარს ბუნება, მცენარეები, ცხოველები, მონასტრის იღუმენიამ, დედა ქეთევანმა მაკურთხა, ეს ბოჩოლა უწმინდესს ვაჩუქოთო, მივედი სვეტიცხოველში, კარებთან დავდექი და ველოდები როდის გამობრძანდება უწმინდესი; უწმინდესმა დამინახა თუ არა, სიხარულიანი ღიმილით მეძახის, მოიყვანე დედა პელაგია ეს ბოჩოლა, მოიყვანეო, სხვა რა გზა მქონდა, მივიყვანე, უწმინდესმა ბოჩოლას თვალებში ჩახედა, მიუალერსა და ეკითხება რა გქვიაო, ყველას გაეღიმა. აი ასეთი თბილი და კეთილგანმზრახველი პატრიარქი გვყავს.

ბედნიერია ჩვენი სამშობლო რომ უწმინდესი ილია II-ის მწყემსმთავრობით ცხოვრობს.

მინდა მივულოცო ძვირფას სულიერ მამას, უწმინდეს მეუფეს და დიდ მოძღვარს აღსაყდრებიდან 30 და დაბადებიდან 75 წლისთავი.

გმადლობთ უწმინდესო ყველაფრისათვის.

იცოცხლეთ მრავალჟამიერ, თქვენი ლოცვა იფარავს დღეს საქართველოს, ჩვენო თბილო და საყვარელო პატრიარქო, დიდო მეუფევ!

იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი)
სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვარი

უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს

„შიოლა ღუდუშაური ბატონი აჩხოტისაო“

ხალხური

ვმადლობთ უფალსა,
ყოვლადწმიდასა სამებასა,
ერთარსებასა,
უზენაესსა შემოქმედს ქვეყნის,
სუყველაისთვის.
უპირველეის,
უწმიდესის და უნეტარესის,
საქართველოის კათოლიკოსის
ილიაისა
მავლინებისთვის.
კავკასიონის ვლადიკავკაზჩი,
სტეფანწმინდაის,
უშვენიერეს ხევჩი აღზრდილის,
უძველეს გვარის –
შიოლაშვილი-ღუდუშაურის,
გორგასლიანთა შთამომავალის...
იმის წინაპარ სნო ყოფილაო
რომლის სახელი იმხანადაო,
იმა სოფელსა დარქმევიაო.
სნოსა ჰყვანდაო შვილ ღუდუშაო...
ოდეს მეფემან ვახტანგ გორგასალ,
თვისი დაიო მირანდუხტიო,
მტრებისგანაო გამაიხსნაო,
ამ ალაგსაო მუნ დაყოვნდაო,
სნო გაიცნაო,
რომელმანცაო მეფეს სთხოვაო,
მეენათლაო ძე ღუდუშაო.
გორგასალმაო ნათელი სცაო...
ემგვარადაო წარმოიშვაო
ღუდუშაურთა გვარ-ტომობაო.

ძველი გადმოცემითაო:
„შიოლა ღუდუშაური
ბატონი აჩხოტისაო“,
პატრონიო და მცველიო
ხევისა საზღვრებისაო –
მაუკლავს ხევსურებსაო.
მკვლელიო გაქცეულაო
მეზობელ სოფელჩიაო,
გონებააღრეულსაო
ტაძარსა შაუვლიაო,
გარნა ღვთისმშობლის ხატსაო
შიგ არღა შაუშვიაო.
გაწბილებული პირველსავეო
სახლის კარსაო მიდგომიაო,
ხმამაღლადაო უმოთქმიაო:
„მკვლელიო ვარო შიოლასაო,
შამიფარეთო“.
„მამრე ჩემთანა რისთვი მახვეო,
მე დაი ვარო შიოლასაო,
მაგრა, ვაიო, რახანაცაო
ღმერთმა ჩემთანა მაგიყვანაო,
ვალდებულ ვარო რჯულისთვინაო
შაგიფარაო...“
გამაიტანა მანდილიაო
და გაშალაო კარის წინაო,
რაიცა ზღურბლის გარდასვლასაო
უკრძალავდაო მუნ მომხდურთაო.
მიდევნებულთა ღუდუშაურთა
გაქცეულ მკვლელსა მიაგნესაო,
გარნა მისრულთა
ოდეს მანდილი მუნ ჰნახესაო,
არ დააარღვიეს რჯული მთისაო,
არა შაალეს კარი დისაო,
გარნა სარკმლიდგან ისარითაო
გულ გაუპესო, განგმირესაო –
შიოლაის მკვლელ მთრეხელიაო.

გორგასლიანთგან მონათლულთაო,
ჩინებულ გვარის მემკვიდრემაო,
უწმიდესმაო პატრიარქმაო,
მსგავსად ილია მართალისაო,
რუსეთშიაო განასრულაო
უმაღლესიო განათლებაო.
ჯერ იღუმენი, არქიმანდრიტი,
ეპისკოპოსი, მიტროპოლიტი,
შემდგომადაო საქართველოის
მართლმადიდებელ ეკლესიისა
საჭეთმპყრობელი, მწყემსმთავარიო.
რიტორიო და ღვთისმეტყველიო,
ყოვლადბრძენიო, ტკბილ მოძღვარიო,
სახარებისა მარგალიტებსო
ოქროპირითა ჩოგოგონებსო:
„ჭეშმარიტება არსო ერთიო,
უზენაესი ჭეშმარიტება
არსო ღმერთიო“.
„საცა სინანულიაო,
ღვთისგანაო შენდობაო,
წყალობა და მადლიაო“.
„დიდი ბედნიერებაო
არსო მადლმოსილებაო,
მადლმოსილი იგიაო,
ვისთანაც უფალიაო“...

ქრისტეანეთა დიდ ქომაგსაო,
ღვთისმოყვარესა, სჯულის მცველსაო,
ეკლესიათა მამკობსაცაო,

მდაბალ გულისა, მდუმარესაო,
შვენიერ, დიად ღიმილითაო,
წმიდა ნინოის,
ვახტანგ გორგასლის,
აღმაშენებლის,
მეფე თამარის...
წმიდა მამათა გზით მივალსაო,
ჭეშმარიტსაო მღვდელმთავარსაო,
ერის სულიერ დიდ მამასაო,
უწმიდესსა და უნეტარესსო,
ორიათასსა ორსა წელსაო,
ოცდახუთსაო დეკემბერსაო,
შეუსრულდაო
დაბადებისა — სამოცდაათი,
აღსაყდრებისა — ოცდახუთიო
წლისთავიაო.
უწმიდესის ლოცვითაო,
ღმერთმა განამტკიცოსაო
რწმენა, მამული, საზეპუროი,
იდუმალი და აუხსნელიო,
ტკბილი, ქართული
საღმრთო ენაო.
„იცოცხლე, სანამ არაგვი
აღმა დაიწყებს დენასა.
სანამ ყაზბეგის მყინვარი,
ამაიდგამდეს ენასა“.
ბრალთა ხედავ.
წელთა ჟამი განგიმრავლდეს,
იდღეგრძელე,
იმზეგრძელე,
შენს სიყვარულს ნუ მოგვაკლებ,
შეგვიტკბე და
შეგვიწყნარე.

იცოცხლე სანამ,
ცა განქარდება,
ზღვანი დაშრება,
მზეი წარხდება,
ოდეს უფალი
კვლა მობრძანდება,
ღვთისა სუფევა,
მუნ განცხადდება.
წმიდა სამების,
ღვთისმშობლის ოხით,
წმიდა ნინოის,
კალთა გეფაროს,
წუთისოფელი
განვლე მშვიდობით —
ორთავ სოფელსა
მარად გეხაროს.

2002 წ. მონოზონი დინარა (ქვარაია)

კათოლიკოს-პატრიარქს

საქართველოს პატრიარქო
უწმიდესო, მადლიანო,
ღვთივრჩეულო მწყემსთმთავარო,
სიბრძნის ქნარო
ტკბილხმიანო.
სულიწმიდით განბრძნობილო,
მეუფეო,
ღვთისმეტყველო.
ობოლაო მარგარიტო,
წეს-კანონო
სულიერო.
წინაპართა კვალში დგეხარ,
ქართველთაი
გუთნიდედა,
ლოცვით მკი და ლოცვით თესავ,
მოძღვრი, სწავლი,
უძღვი ერსა.
ლოცავ ყველას, გლოცავს ყველა,
წყალობ შვილთა,
უძღებ ძეთა,
ხარობ, ოდეს მართლად ვლენან,
წუხარ, თუკი

კორცხელის დედათა მონასტრის წინამძღვარი

უწმიდესის სურათთან თქმული

ცისკრის სახე შენი
სხვათა ცდა ნათლის მფენი,
მაუწყებელი ნების
განკაცებული ღმერთის.
გულში იესოს მტევი
გვმოძღვრავ მაცხოვრის ენით,
„ტკბილ არს უღელი ჩემი,
და სუბუქ ტვირთი ჩემი“.
მოყვრად გქცევია მტერი,
და შვილად — მთელი ერი,
ხილულთ-უხილავთ მლევი
ჩვენს გაბრწინვებას ელი.
ერს ეზიდები ზევით,
იესო ტკბილით ტკბები,
გაქვს სიყვარული წრფელი,
ბოროტ ზრახვების მწველი.
მრავალჟამიერ შენი
ჩვენზედა მწყსობის წლები,
მამა ხარ ბრძენთა-ბრძენი
დიდხანს ჰმწყსე „ცხორი“ შენი.

მონოზონი ირინე (ლაგვილავა)
მცხეთა, სტეფანე პირველმოწამის მონასტერი

* * *

ჩუმი ტკივილით ზიდა ერის ტკივილი თვისად,
ვნება ითმინა რწმენით, მადლი მოეცა ღვთისგან.
ემსგავსა უფალს სულით მამა სადარი მზისა,
ნაღვაწი, დამაშვრალი სათუთად უვლის მიწას,
იმკის ივერთა სამწყსო ნაყოფს დათესილს მისგან.

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთი,
არგუნა ღმერთმა ქართველთ ღმერთშემოსილი მწყემსი.
ტვირთად ებოძა ჯვარი, მწედ — ზეციური კვერთხი.
რადგან სიყვარულს იტევს მავედრებელი ერის.
იავარქმნილი რწმენა, ძლივსღა მსუნთქავი ნერგი
აღმოიყვანა მკვდრეთით, განაცხოველა ძლევით.
რავდენიც სთხოვა ღმერთსა, ისმინა ქრისტეს მხედრის,
ქართველთა სანუგეშოდ კვლავაც გვიკურთხებს მერმისს.
იდღეგრძელე და ცხონდი ფარო, იმედო ქვეყნის.

ითხოვა წვიმა — მოსცა, ითხოვა — არა წვიმა.
ლოცვით ადიდა ღმერთი დიდმა ილიამ წმიდამ,
იღვიძებს, ჩვენთვის ითხოვს ქართველთა დიდი მწყემსი,
აღსდგეს, ინებოს ღმერთმა, ცხონდეს ქართველი ერი.

მამულს სალბუნად ექმნა მწყემსმთავრის სიტყვა-ხსნისა,
ელიას მთაზე ბრწყინავს მზე — ჩამოსული ციდან,
ოქროს გვირგვინად ადგას ჩვენს მწყემსს ნაღვაწი მისგან
რაოდენ გვმართებს კრძალვა, თაყვანისცემა ღვთისა,
ერთგულება და ლოცვა, დაცვა მცნებათა მისთა.

მონოზონი ნინო (გრიგოლაძე)

უწმინდესსა და უნეტარეს მეუფეს

გაუტეხელსა ციხესა
მტერნი ვერ შევიდიანო,
მტილსა მას აღყვავებულსა
მადლის წყარონი გდიანო,
საუნჯეს წყალობისასა
ანგელოზთ დასნი გცვიანო,
გამჩენის მადიდებელსა
დიდება მაღლით გციანო.
შენთ ცრემლთა ღელეთ განბანეს
მამული სადარდიანო,
ჯვარ-ხატის ძალა დაგყვება
პირს სხივნი გადაგდიანო,
ფეხთ-ქვეშ გიყვავის მიწაი,
ზე ცანი განგეხვნიანო,
ღმერთმა გიცხოვნონ ცხოვარნი
უფლისა ბაგე-ხმიანო.

მღვდელი ილია (ჩიკვაიძე)

წმინდასა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს

ქართვლის მნათობო!

ქართვლის მნათობო,
ქარბორბალას როგორ გავექცეთ,
თავს დაგვტრიალებ სიხარულის,
ტანჯვის დღეებში,
ლოცვით გიჭირავს ეს ცა თავზე
რომ არ დაგვექცეს
და არ ჩაგვმარხოს ბაბილონის ბილწ ნანგრევებში.

ხელით გიპყრია ცრემლ-ლოცვებით გადაბანილი
სამშობლოს გული ნოეს წმინდა კიდობანივით.

იქ მიუწვდომელ ბაღ-ვენახში ჰყვავის ხეხილი,
სიწმინდით შენით მეომარი აღსდგა მონიდან,
დგას საქართველო დამეწყრილი და დამეხილი
და გველ-ვეშაპი მოიჩქარის ბაბილონიდან.

უქარტეხილოდ არც ყოფილან ჩვენი დღეები,
ჩვენ დღეთა მათთა ბინადარნი ვით გვიყელებენ,
რას ღაღადებენ, უწმინდესო, ეს ნანგრევები
ან ეს ცა-მთები, ეს ველები რას მეტყველებენ.

მიწის ბნელეთში შეხიზნულა ყრმა პირტიტველი,
ჭაბუკმან მრწემმან დედის გული ვერ გაახარა,
როგორ დაგღალეთ, ჩვენი ცოდვის
ცრემლით მტვირთველო,
ქართული დარდით დაბარდნილა შენი ჭაღარა.

შენი ხმა მამულს ესალბუნებ-ესასოება,
ვენახ-მტევნებში ამართულა, როგორც ხარდანი;
ცოდვებმან ჩვენმან შეაწუხეს ღვთის სათნოება,
ცოდვებმა ჩვენმან განარისხეს ღვთის სამართალი;
შენი ხმა მამულს ესალბუნებ-ესასოება,
ვენახ-მტევნებში ამართულა, როგორც ხარდანი.

ჩვენს ჭრილობებში ჩაბელტილი გველის შხამია,
დაბნეულ ქართველს გულ-გონება გადაეღალა,
ლოცვებმან შენმან შეაკავეს ღვთის რისხანება
და შენს ცრემლებში დაწმენდილა ჩვენი ქვეყანა,

სოფლისა თავზე მობრიალე არწივ-ლომი ხარ,
ეს კლდე-მინდვრები დაჩეხილი შენი ტანია;
ცრემლით და ლოცვით მოთმინების
გზას შესდგომიხარ
და ჩვენი ცოდვა გოლგოთაზე აგიტანია.
შენ გვიხმობ ცისკენ, ჩვენ კი უფალს
როგორ დავშორდით,
და მაინც გვინდა ჩვენს განზრახვებს
ღმერთის გზა ერქვას...

წმინდა მამაო, გადაგღალეთ ჩვენი ბავშვობით,
თუმცა ამ ცოდვებს ურჯულობა უნდა დაერქვას.

ო, სულნათელო, მაცხოვრისა მოგვეც მშვიდობა,
დღეს ხმალ-აბჯარი შეგვწყდომია ტანზე ღილივით,
გვარწყულ-გვაპურებს ეგ სიმშვიდე და სულდიდობა,
ლოცვით, კურთხევა-სიყვარულით,
ღვთიურ ღიმილით,
ჰგავს საქართველო სამშვიდობოს
გასულ კიდობანს,
თავს შენი კვერთხი დასდგომია ზეთისხილივით.

2000 წ. 3 იანვარი.

ნიკოფსიითგან დარუბანდით...

მზეო მნათობო, სიმართლეო, ქართვლის დღეებო,
ცად აღმართულო მთა-კლდეებო, სამოთხეებო,
ხელშეუხებო დიდებაო ბრძენთა ივერთა,
რა დიდებული, რა ნათელი ცა გაძლიერდა,
შენი ლაშქარი ამზევდება, შენმა მხედრებმა
ღვთისადმი კვალად აღავლინეს ლოცვა-ვედრება;
ქვეყნის საუნჯე შენს გულშია შემონახული,
შენი ოპიზა, შენი ხანძთა, შენი ხახული...
დიდო ქართველო,
მოსეს კვერთხით ერის მწყემსველო,
ყამირ-კლდეებზე სიყვარულის თესლის მთესველო,
დაღლილა უპე, სისხლის ცრემლით კვლავ ინამება,
საით წავიდეთ, იქით მთაა, აქეთ ხევია...
ღვთივწარსულიდან გაკურთხევენ წმინდა მამები
და ცის წიაღნი სამხრეებად მოგეხვევიან.
მოციქულებრივ სიყვარულით მოსდევთ ხეობებს,
თქვენ საქართველოს აწმყო-წარსულს ესახელებით,
ცის კაბადონზე ამზევდება თქვენი მზეობა
და მადლ-კურთხევას
მოგვიძღვანებთ ღვთიურ ხელებით,
ნიკოფსიითგან დარუბანდით ნათელს მიიტან,
ცის წიაღამდე აღვლენილო სვეტო, კლდე-კარო;
ო, როგორ გვინდა
მაგ ჭრილობებს ჩვენი მწირობით
და ჩვენი აბჯარ-სიცოცხლეთი გადავეფაროთ,
თავს დაგდგომია, უწმინდესო, ცა მეწამული,
ლოცვის ნადიმზე წინაპართა დარად წვეულხარ,
საქართველოა შენთვის ზეცაც და წიწამურიც
და წიწამურში წიწამურად გადაქცეულხარ,
შენ, მოციქულთა კურთხეულო შთამომავალო,
არ გვინდა აწმყო უწარსულო, უმომავალო...
შეიშრე ცრემლი, ტკბილო მამავ, მამავ რჩეულო,
ჯოჯოხეთისა ბჭე-ქართაგან ვერ დაძლეულო...

2004 წ. 1 დეკემბერი.

ლია რუსიაშვილი

გილოცავთ მოჯიძაღებით

თქვენო უწმინდესობავ, ნება მიბოძეთ, თქვენი აღსაყდრების 30-ე წლისთავი მოკრძალებული საჩუქრით - საბავშვო წიგნით, "სალი კოლხელით" მოგილოცოთ! ნათქვამია, უფლის ნების გარეშე ხიდან ჩიტი არ ჩამოვარდებაო! როგორ არ მივაწერო ღვთის ნებას, რომ შევძელი ქრისტიანული საბავშვო წიგნის ჯერ დაწერა და მერე კი გამოცემა?

ალბათ, ღვთის ნება იყო ისიც, რომ შარშან, როდესაც სულ ახალი გამოცემული მქონდა "სალი კოლხელი", თქვენ მცხეთაში მობრძანდით, რათა სვეტიცხოველში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები დაგეთვალიერებინათ. როგორც კი.... ზარების განსაკუთრებულმა ხმიანობამ მცხეთელებს თქვენი მობრძანება გვაუწყა, მეუღლემ მითხრა, გადავიდეთ სვეტიცხოველში და პატრიარქს წიგნი მიართვიო! ჯერ ვიუარე - ტაძარში ტევა არ იქნება, პატრიარქს არ ეცლება და ვერ შევაწუხებ-მეთქი... მაგრამ, მერე დავთანხმდი და სვეტიცხოვლისკენ გავემართეთ. იქ, მართლაც, დიდი ამბავი იყო, - ტაძარი უეცრად გაივსო ხალხით, თქვენ კი შესრულებულ სამუშაოებს ათვალიერებდით და არქიმანდრიტ მამა ისააკს მითითებებს აძლევდით. არანაირი შესაძლებლობა არ არსებობდა თქვენთან მიახლოებისა და მეც გავიფიქრე - "როგორც უფალს ნებავს, ისე აღსრულ-დეს ყოველივე-მეთქი!" ამ დროს ხალხი ორად გაიყო და დავინახე, რომ უკვე წასასვლელად მიიჩქაროდით კარებისკენ. იმდენად განზე აღმოვჩნდი, რომ თქვენთან მოახლოება შეუძლებელი იყო და ბედს შევეგუე, მაგრამ ამ დროს, მოულოდნელად შეჩერდით და დამაცქერდით. არ მახსოვს, როგორ დამითმო ხალხმა გზა და თქვენთან როგორ აღმოვჩნდი...

-თქვენო უწმიდესობავ, ეს წიგნი, ღვთის შეწევნით, ბავშვებისთვის დავწერე, რათა თავი დაიცვან ჯადოქრებისა და ეკლესიის მტრებისაგან! - გითხარით მორიდებით და გთხოვეთ, - იქნებ მოიცალოთ ორიოდე საათი და წაიკითხოთ?..

თქვენ გამომართვით წიგნი, ყურადღებით შეათვალიერეთ და გულთან მიიტანეთ.

-მაჩუქებთ ამ წიგნს? - მკითხეთ განსაცვიფრებელი ღიმილით.

- თქვენია, თქვენო უწმიდესობავ! თქვენ მოგართვით - მეუბნება. ვერ დავმალე სიხარული. მაშინ ჯერ კიდევ არ ვუწყოდი, რომ მართლაც მოგიძღვნიდით, მაგრამ მხოლოდ, ოდნავ მოგვიანებით...

- გმადლობთ! ღმერთმა დაგლოცოთ! - კვლავ ღიმილით და თავზე ხელის დადებით დამლოცეთ.

უკვე ჩაფიქრებული მქონდა "სალი კოლხელის" მეორე ნაწილის შინაარსი და აი, მეუღლე კვლავ მომმართავს: "გადავიდეთ სვეტიცხოველში და აიღე პატრიარქისგან კურთხევა წიგნის გაგრძელებაზე! ალბათ, უკვე წაკითხული ექნება პირველი ნაწილი...

ისევ ვიუარე, - როგორ შევაწუხო ამ გაწამაწიაში მისი უწმიდესობა-მეთქი, მაგრამ ბოლოს, მაინც გავბედე... მართლაც, იმდღევანდელივით, ტაძარში უამრავი ხალხი და საქმიანი ფუსფუსი დამხვდა. თქვენ შესრულებულ ნამუშევარს ამოწმებდით და მოძღვრებს მითითებებს აძლევდით. შემდეგ კი აჩქარებით გასწიეთ გასასვლელისაკენ. ხალხი ორად გაიყო და მე ისევ თქვენგან მოშორებით მოვექეცი. ისევ გავიფიქრე - "როგორც უფალს ნებავს, ისე აღსრულდეს-მეთქი!" და ის იყო, იმედგადაწურულმა გაბრუნება გადავწყვიტე, რომ მოულოდნელად, ჩემს გასწვრივ შეყოვნდით და გამომხედეთ... ჩემს წინ მდგარნი განზე გადგნენ და მე მოკრძალებით მოგეახლეთ თქვენ - სრულიად საქართველოს უწმიდეს კათოლიკოს-პატრიარქს. - თქვენო უწმიდესობავ, - ამოვილუღლუღე, - "სალი კოლხელის" ავტორი ვარ, ამას წინათ, ამ ტაძარში წიგნი მოგარვთვით, მიბოძეთ კურთხევა, რათა უფლის სადიდებლად განვაგრძო ამ წიგნის მეორე ნაწილის წერა-მეთქი...

თქვენი სახე ისევ საოცრად ნათელმა ღიმილმა გააშუქა და თავზე ხელის დადებით წარმოთქვით:

- დამილოცნიხართ! ღმერთმა გაკურთხოთ! ეს ორი დღე მართლაც განსაკუთრებულად ამაღლებული და სასწაულებრივია ჩემს ცხოვრებაში!

ღვთის შეწევნით და თქვენის კურთხევით, დავიწყე მეორე ნაწილი,. როცა გავასრულე და ორივე ნაწილის ერთად გამოცემის ჟამი დადგა, მეუღლემ მითხრა - აი, მოდის პატრიარქის აღსაყდრების 30 წლისთავის იუბილე!..

სწორედ მაშინ ვიაზრე, რომ წიგნისთვის წამეწერა - "ეძღვნება პატრიარქის იუბილეს"... მივხვდი, რომ უფალმა მანიშნა თავისი ნება.

თქვენო უწმიდესობავ, ბედნიერი ვარ, რომ ყოველივე ასე აღსრულდა და მცირეოდენად მაინც გამოვხატე ამ მოკრძალებული საჩუქრით ის დიდი სიყვარული, რასაც თქვენდამი ბავშვობიდანვე ვგრძნობდი.

ღმერთმა დიდხანს გამყოფოთ საქართველოს სულიერ მესაჭედ და ყველას საიმედოდ!

თქვენ მსოფლიოს პატრიარქობა დაგმშვენდებოდათ, მაგრამ ქართველ ერს უფრო სჭირდებით! ალბათ, ამიტომ აგარიდათ ღმერთმა ის ტვირთი და ჩვენი მართლმადიდებელი ერის სულიერ პატრონად დაგადგინათ. თუკი ღვთის ნება იქნა, დაე, მართალი სვიმეონივით დიდის ხნის შემდგომ შეჰგებებოდეთ უფალს, მეორედ მოსვლისას, იმავე სიტყვებით - "აწ კი მზად ვარ, მიიბარო ჩემი სული, უფალო!" შემინდე და დამლოცე, უწმიდესო!

ქრისტე იყოს ჩვენთან!!!



ირმა ჩაკვეტაძე

კათოლიკოს-პატრიარქს ილია II

ნისლი მაუსხამ გერგეტსა,
სვე თერგი ჩამაჭრისაო,
გაღმით ლომისას ზახილი
ჯიხვივით ჩამარბისაო.
უხარის შიოლაშვილსა,
შამაძახილი მთისაო
გიზრდია ხევისბერადა
შამყალებელი მტრისაო.
მოყმეს ვეფხვისთვის უბნია,
ჰამბავი კა ს ყმისაო,
ჭკუით ნათქომი სიტყვაცა
ფრანგულივითა ჭრისაო.
მაუხდინ კათალიკოზსა
გვირგვინი თამარისაო,
ლაშარს შამდგარხარ ლუხუმი,
მაღლით მზე ამადისაო...

1996 წ.

ემზარ კვიტაიშვილი

ქართველ მწერალთა შეხვედრისას უწმიდესთან და უნეტარესთან

ვნახე უფლის ნათელი,
შორსაც იყო ახლოსაც,
ჩემო ბიჭო, წუხელი
პატრიარქმა დაგლოცა.

ბევრი გვითხრა სიბრძნის და
სიყვარულის იგავი,
დამაბარა, გადმოგცე
ბედნიერი იყავი.

ეს უსურვა შენზე უფროსს,
შენს უმცროსს თუ თანატოლს;
ელის - ჩვენი გულებიდან
მადლმა გამოანათოს.

მივაწვდინოთ ეს სურვილი,
დიდი და საოცარი -
ყველას, ყველას, საქართველო
ვისი სამშობლოც არი.

სიკეთისთვის მუდამ გქონდეთ
გულისკარი ღიაო,
სულ გახსოვდეთ ღმერთი, ვისაც
სიყვარული ჰქვიაო.

ასე გვითხრა, არ ვართ მოდგმა,
მოღალატის, ლაჩრისო,
ჩემი ლოცვა, თქვენი ლოცვა
უსათუოდ გაჭრისო.

ელავს ცისკრის ვარსკვლავი და
ბრწყინავს შვიდი მთიები,
განვიწმინდოთ, გვწამს იქნება
ცოდვა ნაპატიები.

ღამეს ვათევ, გაბრწყინდი და
იკიაფე, კანდელო...
ჩემს ქვეყანას გავედრებ
ცხრა ხატსა და ანგელოზს...

გაიხარეთ! შვებას გრძნობდეს
საპყარიც და სალოსიც...
დღეგრძელობა საქართველოს
წმიდა კაცის დალოცვილს.

25.V.1994.

უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს

უწმინდესო და უნეტარესო მეუფეო!

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი გულმხურვალედ გილოცავთ დაბადებიდან 75-ე და საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებიდან 30-ე წლისთავს.

განუზომელია თქვენი როლი ქართველი ერის ცხოვრებაში. 30 წელია ბიბლიური მოსეს მსგავსად წინ უძღვით მრავალტანჯულ სამშობლოს. თქვენი ხმა სწვდება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ქართველობას, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია წმინდა იდეალები – მამული, ენა, სარწმუნოება.

თქვენო უწმინდესობავ, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო აუწყებს საზოგადოებას, რომ აქვს პატივი მოგანიჭოთ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

დაე, ეს იყოს მცირეოდენი მადლიერების გამოხატულება თქვენი წმინდა და განუზომელი ღვაწლისადმი.

უწმინდესო და უნეტარესო მეუფეო, ევედრეთ ღმერთსა ჩვენთვის,

მუხლმოდრეკით ვითხოვთ თქვენს წმინდა ლოცვა-კურთხევას.

უნივერსიტეტის რექტორი,
პროფესორი გიორგი გოცირიძე

ბერო კოლხიბერული

გვირგვინოსანი

ივერიის ღვთივკურთხეულ ოქროს აკვანში, ირწევა ჩვილი ყრმა. დიდი ხნით ბაზალეთის ტბის ძირში ჩასვენების შემდეგ კვლავ სამზეოზე გამოჩენილა. შემომჯდარა არხეინად ტყემლის ხეზე ილიას, ვაჟას, ტატოს, ალექსანდრეს, გრიგოლის და სხვა მრავალი ჩვენი წინაპრების ნანატრი გაზაფხული. გვღირსებია ნანატრი გაღვიძებაც დიდი ძილისაგან. ჩვენი ბედის წინ გამოჭენებულა ჩვენივე ჰუნე-ფაფარაშლილი მერანი და მიქრის, მიქრის არა უგზო-უკვლოდ, არამედ მამა-პაპისაგან გაჭრილ, გაკვალულ, გათელილ, ვიწრო, კლდიან გზაზე, ბილიკზე. თუმცა კვლავ მოგვჩხავის უკან „თვალბედითი შავი ყორნების“ გუნდი. ივერია კვლა მსოფლიო ასპარეზზე გამოსულა ღვთისა და კაცობრიობის სამსახურად.

გასწი მერანო...

„შენ სამოთხე ხარ“ და ჩვენ კი, ჩვენ კი ლუკმა ნატრულნი ერთმანეთსა ვჭამთ. „შენ ტკბილ ცხოვრების წყაროსა გვაწვდი“, ჩვენ კი ძმა-ძმის სისხლსა ვსვამთ.

„შენ სამოთხე ხარ“ და აქ სიყვარულს თვისი ტახტი უნდა ედგასო ნატრობდა წმიდა ილია მართალი. ეს ნატვრა ახდა. მრავალტანჯულ ივერიას დღეს კვლავ ურყევად უდგას ტახტი უფლის წმიდა სიყვარულისა, ამ ტახტზე კი გვირგვინოსანი, წმიდა ილია მართალის მოსახელე ბრძანდება. მისი უწმიდესობა დიდი მეუფე მამაი ჩვენი ილია II. გვირგვინიანი გვირგვინოსანი, რომელიც დაეწია ღვაწლით, ერის მამობით, ჩვენს დიდ, უგვირგვინო, გვირგვინოსანს. თავის ცხოვრებით – პირადი მაგალითით, მოღვაწეობით, დიდი სიყვარულით გამუდმებით მიგვმწყემსავს ყველას. სადღესასწაულო ქადაგებებით, ეპისტოლეებით, პირადი ღვაწლით, დიდი ლოცვა-ვედრებით, ღვთისა და მოყვასის „ყოველი გულით“ სიყვარულისაკენ გვიხმობს. ძმათა მტრობის, სიძულვილისა და შურის, ერთურთის გაუტანლობის, ზვაობის, უგულობის, გარყვნილების, მემთვრალეობის, ნარკომანიის, ღალატის და სხვა მრავალი უბედურებებისაგან

გვიცავს. მთელი გულით, სიყვარულით, სიმ-დაბლით, მოფერებით, დაყვავებით, შებრალებით, შეწყალებით, დიდის ლოცვა-ვედრებით ეწევა ჩვენს მწყემსვას საღვთო გზისაკენ – სამარადისო უკვდავებისაკენ.

მიუხედავად მისი უწმიდესობის მოწოდებისა, არ შეწყვეტილა საინფორმაციო საშუალებებიდან გარყვნილების, უსირცხვილობის, ათასი უზნეობის აფიშირება, რეკლამირება. თუმცა კარგად ვიცით, რომ ურცხვი, გარყვნილი, გახრწნილი დედ-მამა მორცხვ შვილს ვერ გააჩენს და ვერ გაზრდის. უსირცხვილობა, უღვთოობაა, ურწმუნოებაა. უსირ-ცხვილო ადამიანისათვის არ არსებობს წესი და კანონი, სიწმიდე და ზნეობა, კრძალულობა. მაშ როგორ გვინდა ქვეყნის აშენება, გამთლიანება, აყვავება? ქვიშაზე, უსაძირკვლოდ ხომ არა გვსურს? ურწმუნოება, უსირცხვილობა, აღვი-რახსნილობის თავისუფლებასთან გაიგივება, ეს ქვიშაზე უსაძირკვლო შენებაა. „რა ქნას იქ თვით წმიდათ-წმიდამ სად ცოდვას მადლი დაუძლევია“? იქ ხომ „თვით სამოთხეც“ ჯოჯოხეთია, სადაც შხამს ანთხევს მტრობა და შური. „გესლი ძმისა განკითხვისა“ სამწუხაროდ არ შეწყვეტილა, ძმათა მტრობა და შური კვლავ ანთხევს შხამს ჩვენს ქვეყანაში.

რატომ გვინდა გულის ტკენა, ჩვენი ერის მამისა; იმ გულისა რომელიც ამდენი ხანია მოუღალავად, საოცარის სიყვარულით, მხურ-ვალედ ფეთქავს ჩვენთვის. უმადურობაც ხომ უსირცხვილობისგან იღებს სათავეს.

კარგად ვხედავთ, „როგორის კადნიერებით“ შეკრბების, დღეს ჩვენზედ ათასი ურჯულოება. „მრავალ არიან უფალო მტერნი, რომ წარიტა-ცონ დღესაც ცხოვარნი შენნი. სწორედ დღეს გამოჩნდება ვის უფრო ძმანო, გვიყვარს“ მამული, ვინ არის ერთგული, ღვთისა, მოყვასისა და მამუ-ლის, საქართველოს დღესაც უწყდება „თავისი ბედი და უბედობა. ყველანი კარგად ვხედავთ, როგორ „ილოცს“, იღვწვის, რიგითი ჯარის-კაცივით როგორ იბრძვის, ჩვენი გვირგვინოსანი. „რაღად გვინდანან“ ჩვენ „ულვაშ-თმანი“, რაღადა გვასხია მაშ “ვაჟკაცთ მხარ-მკლავნი“. თუ ასეთ დროს „ჩვენც იქ ვიყავით გაუნძრევლად“ როდესაც ეგეთი ცეცხლი ანთია. ამდენი ურჯულოებისა, ისედაც საჩვენოდ აღარ ჩანს, „საპირიქითოთ სავალნი გზანი“.

ღვთისმოსავ, სინდის-ნამუსიან ქართველს, შეუ-ძლებელია, კეთილი მოშურნეობისკენ არ ეწეოდეს გული და სული, ჩვენი დაუღალავი გვირგვინოსანი მამის შემყურეს.

ხე ფესვების გარეშე ხმება, ნაყოფის გამომღები ვეღარ არის. ჩვენი დიდი მწყემსი გამუდმებით ცდილობს მამა-პაპის ფესვებთან კულტურასთან, ჩვევებთან, ზნეობასთან, სარწმუნოებასთან ცხ-ოვართა მიყვანას, შეყვარებას, შეთვისებას. წმიდა, წყაროების ჩვენს გამოზრდას. რაც ივერიის ცხ-ოვართა მომავალი ნაყოფიერების საფუძველია.

გვეწეოდეს ლოცვა ჩვენი ერის ტკბილი მამისა, იმედი მაქვს ჩვენი გულებიც ისე აენთება საღვთო, წმიდა ღვაწლისათვის, ღვთის, მოყვასის, ღვთივ-კურთხეული ივერიის სამსახურისათვის, როგორიც ეს ჩვენს დაუღალავ გვირგვინოსანს სურს.

გვიდღეგრძელოს, მხნეობა და მოთმინება არ მოაკლოს ჩვენს დიდ მეუფეს, მის უწმიდესობას ილია II-ს ღმერთმა, რომელსაცა აქვს დიდება პატივი და თაყვანისცემა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ღმერთი, სამშობლო, ადამიანი

„ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა“

ილია მართალი (ჭყონდიდელი)

ერი და ეკლესია

ეკლესია სხეულია უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

ჩვენ ჩვენი წარსულით, წინაპართა მიღწევებითა და ტრადიციებით სიამაყე გვახასიათებს. ეს კარგიცაა, რადგან ჩვენი წარსული ჩვენი ფესვებია, რომელიც გვასაზრდოებს. მაგრამ ამავე დროს აუცილებელია ფიქრი ხვალინდელ დღეზეც, კერძოდ იმაზე, რას შევიტანთ იმ საგანძურში, რომელიც წინაპრებმა შექმნეს და მომავალ თაობებს რას დავახვედრებთ.

დღეს ერისა და ეკლესიის კავშირზე მინდა გესაუბროთ. თუ საქართველოს ისტორიასა და ქართულ კულტურას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, თუ რა დიდი როლი აქვს შესრულებული ჩვენი ერის ცხოვრებაში ეკლესიას. დღეს კი არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვითაც ეკლესიამ თავისი მნიშვნელობა უკვე დაკარგა, რაც უდიდეს შეცდომას წარმოადგენს. მე ვიტყოდი, რომ შეიძლება ჩვენი წინაპრებისათვის ისე საჭირო არ ყოფილიყო ეკლესია, როგორც იგი დღეს თანამედროვე ამპარტავან ადამიანებს სჭირდება. რაც სულია სხეულისათვის, ეკლესია ისაა ერისათვის. როცა სული სხეულს შორდება, სხეული კვდება. ასევეა ერიც ეკლესიის გარეშე. ჩვენ მომსწრენი ვართ იმისა, რომ ათეული წლების მანძილზე თაობებს რწმენისა და ეკლესიის უარყოფით ზრდიდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ ადამიანი, რომელიც ეკლესიისა და რელიგიის ბორკილებისაგან განთავისუფლდება, უდიდეს სიმაღლეებს მიაღწევს. მაგრამ როგორც ვნახეთ, რწმენისა და ეკლესიისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ საპირისპირო შედეგი გამოიღო, ადამიანი ცოდვის ტყვეობაში ადმოჩნდა და დაღუპვის პირამდე მივიდა. მადლობა ღმერთს, რომ ამის დანახვის ძალა შეგვრჩა და ჩვენში საბოლოოდ არ წაიშალა ხატება ღვთისა.

როდესაც ქართული სულიერი კულტურის შედევრებზე ვფიქრობთ, რომელნიც ძირითადად შინაარსით ქრისტიანულია, გვიკვირს, როდის ასწრებდა ქართველი ერი მათ შექმნას, რადგან განუწყვეტლივ უხდებოდა ბრძოლა შემოსეული მტრებისაგან თავის დასაცავად. მაგრამ ის, რაც ჩვეულებრივად შეუძლებელი და წარმოუდგენელია, ღვთის მადლით შესაძლებელია. ღმერთი აძლევდა ძალას ჩვენს ერს და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დედობრივი კალთა იფარავდა, და იქმნებოდა ეს კულტურა ჩვენთვის, ოღონდ არა იმიტომ, რომ გვეამაყა, არამედ იმიტომ, რომ გველოცა და სულიერად ავმაღლებულიყავით. იმიტომ კი არ შენდებოდა ტაძრები, რომ იქ თეატრები, მუზეუმები თუ სხვა დაწესებულებები გახსნილიყო, არამედ ღვთის სახლებად და სალოცავებად. ტაძარი უნდა ყოფილიყო კარიბჭე ცისა, რათა იქ მისულ ადამიანს ზეცა ეხილა და ღვთისთვის გული გადაეხსნა. ასეც იყო, სანამ რწმენას დავკარგავდით. რწმენის დაკარგვამ ადამიანის სულიერი ტაძრის ნგრევა გამოიწვია, რასაც შედეგად -არა მხოლოდ წინაპართა თავდადებული ღვაწლით ნაშენები ეკლესია-მონასტრების, არამედ საერთოდ ყველაფრის ნგრევა მოჰყვა.

ერთხელ კიდევ ვმადლობ უფალს, რომ მოგვცა ძალა შეჩერებისა, რათა ირგვლივ მიმოგვეხედა და დაგვენახა, რა საშინელი საფრთხის წინაშეც აღმოვჩნდით.

ეკლესია, უპირველეს ყოვლისა, სხეულია უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელ საიდუმლოებას წარმოადგენს. როცა უფალმა ბრძანა, რომ ბჭენი ჯოჯოხეთისახი ვერ მოერეოდნენ მის მიერ დაფუძნებულ ეკლესიას, ამ სიტყვებით საცნაურყო, რომ ეკლესიას ბრძოლა დასჭირდებოდა მის წინააღმდეგ ამხედრიბული ბნელი ძალებისაგან თავდასაცავად. ნუ იფიქრებთ, რომ ეკლესიას თავისი არსებობის მანძილზე რომელიმე პერიოდში მაინც უცხოვრია მშვიდად. მას მუდმივად უხდებოდა ბრძოლა ხან გარეშე, ხან კი შიგნით მოკალათებული მტრების წინააღმდეგ.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ეკლესია ერთ-ერთ უძველეს ეკლესიას წარმოადგგნს და სამოციქულო ეწოდება, რადგან ჩვენთან ქრისტიანობა მოციქულებმა — ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და სხვებმა იქადაგეს.

როცა კონსტანტინე დიდმა იმპერიის დედაქალაქი რომიდან დაბა ბიზანტიონში გადმოიტანა და კონსტანტინეპოლი დააარსა, საქართველოში ქრისტიანობა უკვე სახელმწიფო რელიგიად იყო გამოცხადე-

ბული. მირიან მეფემ დელეგაცია მიავლინა კონსტანტინე დიდთან, რომელმაც ქართლში სამღვდელოება გამოგზავნა და თან უდიდესი სიწმინდე – სამსჭვალი გამოატანა, რომლითაც უფალი ჩვენა იესო ქრისტე ჯვარზე იყო გაკრული.

V საუკუნემდე საქართველოს ეკლესია ანტიოქიის იურისდიქციაში შედიოდა, რომელიც პენტარხიის ერთ-ერთი წევრი იყო. ამ ხუთთა მმართველობაში, ანუ პენტარხიაში, გარდა ანტიოქიის ეკლესიისა, რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიისა და იერუსალიმის ეკლესიები შედიოდნენ. მე-5 საუკუნეში საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალუოობა ანუ დამოუკიდებლობა მიიღო, რასაც ბიზანტიური წყაროებიც ადასტურებს. კერძოდ, თეოდორე ბალსამონი, რომელიც მე-12 საუკუნეში ცხოვრობდა, გვამცნობს, რომ ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა ანტიოქიაში უწმიდესი პეტრეს პატრიარქობის დროს მიიღო. გასარკვევი გახდა, ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფაქტი რომელი პეტრეს დროს მოხდა. პირველი პეტრე თავად პეტრე მოციქული იყო, რომელმაც ანტიოქიის ეკლესია დააარსა, მეორე პეტრე V საუკუნეში ედგა სათავეში ანტიოქიის ეკლესიას, ხოლო მესამე პეტრე – XI საუკუნეში. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ბალსამონი სწორედ პეტრე მესამეს გულისხმობდა და აქედან გამომდინარე თვლის, რომ ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა XI საუკუნეში მიიღო. მაგრამ საბედნიეროდ შემონახული გვაქვს ქართული წყაროებიც, კერძოდ, „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ვახტანგ გორგასალმა V საუკუნეში გაგზავნა დელეგაცია ანტიოქიაში, სადაც ქართლის კათალიკოსად პეტრე აკურთხეს, მე-11 საუკუნის ერთ ქართულ საბუთში კი საქართველოს ეკლესიის მამამთავარი კათოლიკოს-პატრიარქად იხსენიება, ე.ი. კათოლიკოსს უკვე პატრიარქის ტიტულიც მიემატა. ეს იმის შედეგად მოხდა, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესია აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიას შეუერთდა და მცხეთა-თბილისის გამგებლობაში შევიდა. ამიტომ ერთიანი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმიდესი და უნეტარესი ეწოდა. მსოფლიოში არ არსებობს პატრიარქი, გარდა საქართველოს პატრიარქისა, ორივე ტიტულს რომ ერთად ატარებდეს. ყოველი მათგანი ან უწმიდესია ან უნეტარესი.

წინა კვირას ჩვენთან სტუმრად კონსტანტინეპოლის დელეგაცია ბრძანდებოდა. ჩვენი საუბარი სწორედ ამ საკითხებს შეეხო. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აზრით, რომელიმე ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების უფლება მხოლოდ მსოფლიო საეკლესიო კრებას ან კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქს აქვს, რაც ჭეშმარიტებას არ შეესაბამება. ავტოკეფალიის მინიჭების უფლება ყოველ ავტოკეფალურ ეკლესიას აქვს; ეს საერთოდ მიღებული კანონია. ყოველი ავტოკეფალური ეკლესია უფლებამოსილია, თავის შემადგენელ ნაწილს, რომელსაც ავტოკეფალური ცხოვრებისათვის მომზადებულად თვლის, ავტოკეფალია მიანიჭოს. მაგალითად, მე-20 საუკუნეში რუსეთის ეკლესიამ ავტოკეფალია მიანიჭა პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ეკლესიებს, ხოლო ამ ბოლო წლებში - ამერიკის ეკლესიას. სწორედ ამგვარ ქმედებას არ სცნობს კონსტანტინეპოლის საპატრიარქო კანონიერად. საპასუხოდ ჩვენ ვამბობთ, თუკი, როგორც ბალსამონი გვამცნობს, ანტიოქიას ჰქონდა უფლება ავტოკეფალია მიენიჭებინა საქართველოსათვის, რატომ არ შეიძლება იმავე უფლებით სხვა ეკლესიაც სარგებლობდეს.

ასე რომ მაშინ, როცა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობა ყველა ეკლესიამ სცნო და ყველა პატრიარქი საქართველოს ეკლესიის მამამთავარს როგორც კათოლიკოს-პატრიარქს ისე მიმართავს, მხოლობით რიცხვში მხოლოდ კონსტანტინეპოლის ეკლესია აღმოჩნდა.

ჩვენ მასთან გვაქვს მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ ავტოკეფალურობა თვითონ კი არ მოგვანიჭოს, არამედ ცნოს, რომ დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში მივიღეთ. გარდა ამისა, დგას საკითხიც ჩვენი ეკლესიის ადგილისა სხვა ავტოკეფალურ ეკლესიათა შორის.

ამა წლის ივნისში რუსეთის ეკლესიის ათასწლისთავთან დაკავშირებით რუსეთში კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქი უნდა ჩამობრძანდეს. ჩვენ დელეგაციას ვაცნობეთ, რომ მოხარული ვიქნებით, თუ მსოფლიო პატრიაქტი საქართველოსაც ეწვევა. გარდა ამისა, მომავალში დელეგაციის კონსტანტინეპოლში წარგზავნას ჩვენც ვაპირებთ. ასე რომ, საუბარი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობის, მისი ადგილისა და მისი მამამთავრის წოდების გამო კვლავაც გაგრძელდება და იმედი გვაქვს, რომ ღვთის შეწევნითა და მადლით კეთილად დასრულდება.

მინდა ისევ იმ საკითხს დავუბრუნდე, რითაც საუბარი დავიწყე და ერთხელ კიდევ შეგახსენოთ ეკლესიის მნიშვნელობა დღევანდელ პირობებში. ეს უდიდესი საუნჯე, რომელიც ადამიანს რწმენით, სიყვარულით, სათნოებითა და მშვიდობით ცხოვრებას ასწავლის, არ უნდა დავკარგოთ.

შევსთხოვ ღმერთს, რომ ჩვენი ერი სარწმუნოებითა და სათნოებით განამტკიცოს.

ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ და სრულიად საქართველო. ამინ.

16 თებერვალი, 1987 წ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ილია II

ეკლესია და სახელმწიფო

პატრიარქი და ქართული სახელმწიფოებრიობა

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საკვირაო ქადაგება.

ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი, 7 ოქტომბერი, 2007 წელი.

„...ხშირად ვისმენთ ან ვკითხულობთ პრესაში, თუ რამდენად განსხვავებულია ჩვენი ხალხის აზროვნება, მაგრამ ხშირად გვავიწყდება, რომ ჩვენს უკან ჩვენი სამშობლოა, ჩვენს უკან ჩვენი მამა-პაპათა ძვლები და საფლავებია; გვავიწყდება, რომ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს სამშობლოს, ღვთისგან ბოძებულ, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას!“

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა! ჩვენთან არს ღმერთი!

ფსალმუნში ვკითხულობთ: „უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით.“ ეს არის ის სანატრელი მდგომარეობა, რომელზეც ფიქრობდა და ფიქრობს ქართველი ადამიანი. როდესაც ჩვენ ძალის შესახებ ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, სულიერ ძალას ვგულისხმობთ, — მადლს სულისა წმიდისა, რომელიც არის უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი. მადლი სულისა წმიდისა გვაახლოებს უფალთან და უფალს აახლოებს ჩვენთან. ეს მადლი ადამიანს აქცევს ტაძრად სულისა წმიდისა. გარდა ამისა, დავით მეფსალმუნის ამ სიტყვებში ასევე იგულისხმება: ფიზიკური ძალაც და მასთან ერთად მშვიდობაც — შინაგანი სიმშვიდე, მშვიდობა ადამიანის გულსა და გონებაში, და ასევე იგულისხმება მშვიდობა ქვეყანასა ზედა.

როდესაც ძალასა და მშვიდობაზე ვსაუბრობთ, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ერთიც და მეორეც, რა თქმა უნდა, ღვთისგანაა ბოძებული; მაგრამ უფალი ამ მადლს ერს იმ შემთხვევაში უბოძებს, თუკი იგი ამას იმსახურებს. დაუკვირდით, რას ამბობს დავით მეფსალმუნე: „უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს“, — ე.ი. ერი ღვთისა უნდა იყოს, ღვთის გზით უნდა დადიოდეს, ღვთის მცნებებს უნდა ასრულებდეს და მხოლოდ მაშინ მისცემს უფალი მას ძალსა და მშვიდობას.

მინდა, თქვენი ყურადღება მივაქციო ერთ საკითხს, რომლის შესახებ ყოველი ჩვენგანი ბევრს ფიქრობს. ეს თემაა — ადამიანი და საზოგადოება, ადამიანი და სამშობლო, რა უნდა აკეთოს ადამიანმა იმისათვის, რომ თავისი წვლილი შეიტანოს სამშობლოს კეთილდღეობის საქმეში.



ხშირად ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ ადამიანის როლს საზოგადოების ცხოვრებაში. ადამიანს ბევრის გაკეთება შეუძლია. თქვენ გახსოვთ, ამერიკის პრეზიდენტმა ჯონ კენედმა ასეთი სიტყვებით მიმართა ამერიკელ ხალხს: „ნუ ფიქრობთ იმაზე, თუ რა უნდა გაგიკეთოთ თქვენ ამერიკამ, — იფიქრეთ იმაზე, თუ რა შეგიძლიათ თქვენ, გაუკეთოთ ამერიკას“. აი, ეს უნდა გვახსოვდეს და სწორედ ამაზე უნდა ფიქრობდეს ყოველი ჩვენგანი; უნდა ვიფიქროთ: რა უნდა ვაკეთოთ საქართველოს მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის, რა უნდა ვაკეთოთ სულიერი და მატერიალური წინსვლისათვის.

ყოველ ადამიანს გააჩნია განსხვავებული აზროვნება, განსხვავებული ფიქრები, განსხვავებული სურვილები, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ შეგვიძლია, ერთად ვიფიქროთ, ერთად ვაკეთოთ სიკეთე სამშობლოსათვის. ხშირად ვისმენთ ან ვკითხულობთ პრესაში, თუ რამდენად განსხვავებულია ჩვენი ხალხის აზროვნება, მაგრამ ხშირად გვავიწყდება, რომ ჩვენს უკან ჩვენი სამშობლოა, ჩვენს უკან ჩვენი მამა-პაპათა ძვლები და

საფლავებია; გვავიწყდება რომ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს სამშობლოს, ღვთისგან ბოძებულ, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას! დღეს მსჯელობა მიდის, თუ როგორი უნდა იყოს საქართველო, ვისი მეგობარი უნდა გახდეს ან ვისთან უნდა იყოს დაახლოებული. ამასთან, ძალიან ხშირად სხვა ქვეყნები გვკარნახობენ, თუ რა უნდა ვაკეთოთ. ზოგი გვეუბნება, რომ საქართველო უნდა იყოს საპრეზიდენტო ქვეყანა, ზოგი ამბობს – არა, სჯობს, საქართველო საპარლამენტო ქვეყანა გახდესო და ა. შ. ეს სხვების გადასაწყვეტი არ არის, ეს ჩვენი გადასაწყვეტია, ეს არის ქართველი ერის და საქართველოში მცხოვრები ხალხის გადასაწყვეტი.

თქვენ გახსოვთ, 1801 წელს შეწყდა ბაგრატიონთა დინასტიის მეფობა საქართველოში და აქედან მოყოლებული ქართველი ხალხის ოცნება იყო, აღედგინა ეს უძველესი ღვთივკურთხეული დინასტია. დღეს ჩვენს ქვეყანაში ზოგიერთი გამოთქვამს ასეთ აზრს, რომ საქართველოში უნდა დამყარდეს კონსტიტუციური მონარქია. განგიმარტავთ, თუ რას ნიშნავს ეს. ეს ნიშნავს იმას, რომ მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს. მეფე არის გარანტი ქვეყნის მთლიანობისა და ყოველი ადამიანის დაცვისა; და შეიძლება, მომავალში ქართველმა ხალხმა ამის შესახებაც იფიქროს.

როდესაც კონსტიტუციურ მონარქიაზე ვსაუბრობთ, –მსგავსი ქვეყნების მაგალითებზე ვხედავთ, რომ მათ სტაბილური სახელმწიფოები აქვთ. მაგალითისთვის, გავიხსენოთ, თუნდაც, დიდი ბრიტანეთი ან ესპანეთი. კონსტიტუციური მონარქიის პირობებში, თუკი ქვეყანაში კრიტიკული ვითარება შეიქმნება, მეფე ძალაუფლებას თავის ხელში იღებს და ქვეყანაში მშვიდობას ამყარებს. როგორც ეს მოხდა, მაგალითად, ესპანეთში, როცა პარლამენტში შეთქმულება მოხდა, - მეფემ ისარგებლა თავისი ძალაუფლებით და ქვეყანა დაამშვიდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ახალ წყობაზე საუბარი არ არის მარტივი საქმე. ქართველი ხალხი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ ეს წყობა მიიღოს. შესაბამისად, ბაგრატიონთაგან უნდა იყოს გამორჩეული სამეფო კანდიდატი. შეიძლება იგი საგანგებოდაც აღვზარდოთ. ასე იყო უწინ, ბავშობიდან იზრდებოდა და ტახტისთვის საგანგებოდ მზადდებოდა ის ადამიანი, რომელიც შემდეგ მეფედ უნდა კურთხეულიყო.

ყოველივე ამას იმიტომ ვამბობ, რომ დღეს ისეთი პირობები შეიქმნა, როცა ქართველი ხალხის ეს ოცნება შეიძლება, განხორციელდეს. შევთხოვთ უფალს, ყველაფერში იყოს ნება ღვთისა! ინებოს უფალმა, რომ საქართველო გაძლიერდეს, საქართველო დამშვიდდეს, საქართველო გამთლიანდეს და თუკი ეს ასეთი გზით მოხდება, ჩვენ მადლობას შევწირავთ უფალს.

კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, საქართველო დიდი მადლითა მოცული. ქართველი ადამიანი და ის ხალხი, ვინც საქართველოში ცხოვრობს ნაზიარებია ამ მადლს, - იქნება ის ქართველი, აფხაზი, ოსი, ბერძენი, რუსი, თუ რომელიმე სხვა ეროვნების წარმომადგენელი, იმიტომ რომ წყალობა ყოვლად წმინდისა ღვთისმშობლისა დიდია საქართველოსა ზედა.

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, - ყოველმა ჩვენგანმა უნდა იფიქროს იმის შესახებ, თუ რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ სამშობლოსათვის. ყოველი ადამიანი ამქვეყნად მოსულია თავისი მისიით, ყოველ ადამიანს ღვთისაგან აქვს ბოძებული თავისი ჯვარი და ეს ჯვარი ადამიანმა ბოლომდე უნდა მიიტანოს.

შევთხოვ უფალს, რომ საქართველოში სუფევდეს მშვიდობა, ერთსულოვნება და ღმერთმა ინებოს, თუ ეს იქნება ნება ღვთისა, აღდგეს საქართველოში კონსტიტუციური მონარქია. იყოს ნება ღვთისა! ბევრია დამოკიდებული თვითონ ჩვენზეც, ბევრია დამოკიდებული ხალხზე. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთს უნდა გავუგოთ, ერთმანეთისა უნდა გვწამდეს, ერთმანეთისთვის სიკეთე უნდა ვაკეთოთ და ეს სიკეთე ჩვენვე დაგვიბრუნდება. უნდა გვახსოვდეს მოციქულის სიტყვები, რომ ყოველი ხელისუფლება ღვთისგანაა. ამიტომ ღვთის ნება იყოს საქართველოზე!

დალოცვილი და გახარებული გამყოფოთ მამაზეციერმა თქვენ და სრულიად საქართველო!

შეგახსენებთ, რომ მომავალ კვირას არის სვეტიცხოვ-ლობის დღესასწაული. საქართველოში სტუმრად ჩამო-ბრძანდებიან მსოფლიო პატრიარქი და ყველა მართლ-მადიდებელი ეკლესიის დელეგაცია. შაბათს საღამოს საზეიმო ლოცვა შესრულდება ყოვლად წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში, ხოლო კვირას სადღესასწაულო წირვა აღევლინება სვეტიცხოველში.

დღეს აქ წირვაზე ბრძანდება ქართველი მოძღვარი, მამა ალექსანდრე თანდილაშვილი, რომელიც უკვე რამდენიმე წელია ამერიკაში მოღვაწეობს. ჩვენ ვიცით, რომ იგი ძალიან ბევრს აკეთებს ამერიკაში მცხოვრები ქართველე-ბისათვის. ვითვალისწინებ მის მოღვაწეობას და დღეს დეკანოზი ალექსანდრე თანდილაშვილი დაჯილდოებულია მიტრის ტარების უფლებით. დალოცვილი და გახარებული გამყოფოთ მამაზეციერმა! ჩვენთან არს ღმერთი!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II სიტყვა თქმული სვეტიცხოველში საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების ხელმოწერაზე

2002 წლის 14 ოქტომბერი

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო.

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ძმანო და დანო, ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო სტუმრებო;

აღსრულდა განგება ღვთისა! სვეტიცხოვლის ამ დიდებულ ტაძარში, იქ, სადაც დაკრძალულია ხალენი ილია წინასწარმეტყველისა და კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სადაც იკურთხებიან მეფენი და პატრიარქნი, სადაც განისვენებენ ჩვენი წინაპარნი დღეს, საუფლო კვართისა და მირონმდინარე ბრწყინვალე სვეტის დღესასწაულზე, საქართველოს პრეზიდენტი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ხელს ვაწერთ მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტს, - კონსტიტუციურ შეთანხმებას, რომელიც განსაზღვრავს ურთიერთობას სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის.

ამ წუთებში მკვეთრად წარმომიდგება ის ეკლიანი გზა, რომელიც განვლო ჩვენმა ერმა და ეკლესიამ 2000 წლოვანი ისტორიის მანძილზე. განსაცდელი ადრეც მრავლად გვქონდა, მაგრამ წმიდა დავით აღმაშენებლისა და თამარის შემდეგ თითქმის საერთოდ აღარ დაგვდგომია მშვიდობიანი ჟამი.

ჩვენ ერთად გამოვიარეთ უმძიმესი პერიოდი მტერთან ბრძოლისა, გათიშვისა, სიდუხჭირისა, დაცემისა და ღალატისა, მაგრამ ყველაზე მძიმე დრო მაინც მეფის რუსეთთან შეერთების შემდეგ დაგვიდგა, რადგან ქვეყანას ერთდროულად მოუშალეს უმაღლესი საერო და სასულიერო ხელისუფლება, საქართველოს მეფისა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სახით. მანამდე ასეთ ფაქტს ჩვენს ცხოვრებაში ადგილი არ ჰქონია. 70-წლიანმა ათეისტურმა ყოფამ კი ჩვენს ეკლესიას ფიზიკური და მატერიალური განადგურების საფრთხე შეუქმნა. დახურეს და დაანგრეს ათასობით ტაძარი და მონასტერი, რეპრესირებულ იქნა მრავალი მღვდელმსახური. ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში სასულიერო პირს უფლება არ ჰქონდა საზოგადოებასთან კონტაქტისა, უფლება არ ჰქონდა გაჭირვებული ადამიანის დახმარებისა. არადა ეკლესიის უმთავრესი ფუნქცია ხალხის მსახურებაა.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული ამ შეთანხმების უმთავრესი მიზანიც სწორედ ის არის, რომ ეკლესიას მიეცეს საშუალება, მეტი ძალისხმევით იშრომოს ერის საკეთილდღეოდ: ეს შეთანხმება ეკლესიას აძლევს უფლებას განათლების, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვის, სამხედრო-საჯარისო და სხვა სფეროში მოღვწეობისა, როგორც ეს მიღებულია მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში. შეთანხმება გულისხმობს საეკლესიო საკუთრების აღდგენას ეკლესია-მონასტრებზე, ხატებზე და სხვა საეკლესიო დანიშნულების ნივთებზე. მუზეუმებში დაცული საეკლესიო საგანძური კი იქნება ორმხრივ (სახელმწიფოსა და ეკლესიის) მფლობელობაში. აგრეთვე მოხდება ჩამორთმეული მატერიალური ქონების ნაწილობრივი კომპენსაცია: შეთანხმებით განისაზღვრება ეკლესიის სტატუსიც.

მინდა აღვნიშნო, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა თანამედროვე ეტაპზე განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს, რაც განპირობებულია ქვეყნის შიდა პოლიტიკური მოწყობითა და, ასევე, საერთაშორისო სიტუაციის გათვალისწინებით.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ყველაზე მისაღებ ფორმად შერჩეულ იქნა კონსტიტუციური შეთანხმება, რომელიც კონსტი-ტუციის შემდეგ ყველაზე მაღალი რანგის სამართლებრივი აქტი იქნება. ამით სახელმწიფო აღიარებს, რომ ეკლესია ჩვენი ქვეყნისათვის ისტორიულად არსებული განსა-კუთრებული ფუნქციისა და მნიშვნელობის მქონე სამართალსუბიექტია.

კონსტიტუციური შეთანხმება არის დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი და მოვლენა. მაგრამ, ამავე დროს, ეს არის მხოლოდ ძირითადი მიმართულების განმსაზღვრელი ხელშეკრულება, რომლის განხორციელება უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა სამართლებრივი აქტების მიღებით.

იწყება ახალი ეტაპი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობისა და ის ყოველდღიურ დიდ შრომას მოითხოვს. დღეს ჩვენ ყველამ კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ავიღეთ ღვთის, ერთმანეთისა და საზოგადოების წინაშე და ეს ბევრს გვავალებს.

მოგეხსენებათ, პრობლემები გვაქვს და იგი ეკლესიის წიაღშიც მრავლადაა. მე იმედი მაქვს, ღვთის შეწევნით შევძლებთ, სათანადო პასუხი გავცეთ სექტანქტთა პროზელიტიზმს და ამასთან ხელი შევუწყოთ ქვეყნის მოსახლეობის მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით დაცვას; ბევრი რამაა გასაკეთებელი თვით მოძღვართა დონის ასამაღლებლად.

ეკლესია კვლავ ადასტურებს თავის მზადყოფნას, ითანამშრომლოს ნებიემიერ ორგანიზაციასთან და პოლიტიკურ ძალასთან, რომლის საქმიანობაც ჩვენი ქვეყნის ინტერესების საკეთილდღეოდ მიმართული. ეკლესია იყო, არის და კვლავ უნდა დარჩეს ერის გამაერთიანებულ სულიერ ძალად და ამისათვის ყველამ ერთად უნდა ვიღვაწოთ.

მინდა დიდი მადლიერებითა და სიხარულის გრძნობით სავსემ აღვნიშნო, რომ დღევანდელი დღე სწორედ შედეგია ასეთი ერთობლივი ზრუნვისა. ამ დოკუმენტის შექმნაში თითქმის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ მიიღო მონაწილეობა და თავისი სერიოზული წვლილი შეიტანა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა სამინისტროს, არასამთავრობო და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და დაწესებულებებს.

ცალკე მინდა აღვნიშნო დიდი დამსახურება პარლამენტისა და მისი თითოეული ფრაქციისა; აგრეთვე, წმიდა სინოდისა, საპატრიარქოსი და ჩვენი სამღვდელოების წარმომადგენლებისა:

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო. ეს საერთო დიდი ძალისხმევა, უპირველეს ყოვლისა, თქვენი კეთილი ნებითა და თანადგომით განხორციელდა: მიიღეთ ჩვენი დიდი მადლიერება. ბუნებრივია, არაერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტისთვის გაქვთ ხელი მოწერილი. მაგრამ, ვფიქრობ, ერის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, ეს შეთანხმება ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია.

უფლის ნების გარეშე არაფერი ხდება.

დიდება და მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის.

შევთხოვ ყოვლადწმიდა სამებას: „უფალმან ძალა ერსა თვისა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“. ამინ!

კონსტიტუციური შეთანხმება

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის

— საქართველომ მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროში აღიდგინა ისტორიული ადგილი, როგორც დამოუკიდებელმა და დემოკრატიულმა სახელმწიფომ:

— საქართველოს ავტოკეფალური მართლ-მადიდებელი ეკლესია წარმოადგენს სამოციქულო საყდარს და მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელ ნაწილს. იგი მე-5 საუკუნიდან ავტოკეფალურია და მისი სასულიერო-ადმინის-ტრაციული ცენტრი და კათედრაა მცხეთა, საპატრიარქო კათედრებია, აგრეთვე, თბილისი და ბიჭვინთა;

— მართლმადიდებლობა, ევროპის ერთ-ერთი ტრადიციული აღმსარებლობა, საქართველოში ისტორიულად სახელმწიფო რელიგია იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ფასეულობები;

— საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია;

— საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში და მისი დამო-უკიდებლობა სახელმწიფოსაგან.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის შესაბამისად

საქართველოს სახელმწიფო (შემდგომში სახელმწიფო), წარმოდგენილი საქართველოს პრეზიდენტით და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (შემდგომში ეკლესია), წარმოდგენილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქით, დებენ კონსტიტუციურ შეთანხმებას

(შემდგომში შეთანხმება):

მუხლი 1.

1. სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ურთიერთ-დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

2. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან, დადონ შეთანხმებები ერთობლივი ინტერესების სხვადასხვა სფეროში, რომელთა განხორციელების მიზნითაც მხარეთა მიერ მიიღება შესაბამისი აქტები.

3. ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, - სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენენ: საეკლესიო კრება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმიდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო (ქორეპის-კოპოსისა და მდივნის სახით); ხოლო სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილებას ანიჭებს კათოლიკოს-პატრიარქი.

5. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ხელშეუვალია.

6. როგორც წესი, დიდი საეკლესიო დღესასწაულები და კვირა დასვენების დღეებად ცხადდება.

მუხლი 2

სახელმწიფო მხარს უჭერს აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოს დაცვას. სასულიერო პირი ვალდებულია, არ გასცეს ინფორმაცია, რომელიც მას, როგორც სულიერ მოძღვარს, გაანდეს ან მისთვის, როგორც სასულიერო პირისათვის გახდა ცნობილი.

მუხლი 3

სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები.

მუხლი 4

1. სასულიერო პირი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულებისაგან.

2. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს სამხედრო-საჯარისო ფორმი-რებებში, საპატიმროებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შექმნას და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას.

3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განახორციელონ მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთობლივი პროგრამები.

მუხლი 5

1. საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლება ნებაყოფლობითია. სასწავლო პროგრამების დადგენა, შეცვლა, პედაგოგთა დანიშვნა და გათავისუფლება ხდება ეკლესიის წარდგინებით.

2. სახელმწიფო და ეკლესია კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ორმხრივად და გათანაბრებულად აღიარებენ შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების მიერ გაცემულ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამეცნიერო ხარისხებსა და წოდებებს.

3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განათლების სისტემაში განახორციელონ ერთობლივი პროგრამები. სახელმწიფო ხელს უწყობს ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესე-ბულებების ფუნქციონირებას.

მუხლი 6.

1. ეკლესიის საკუთრება და სხვა ქონებრივი უფლებები დაცულია კანონით. ეკლესიის საკუთ-რებაში შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონ-მდებლობით.

2. ეკლესია თავის არასაღვთისმსახურო ქონების ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას ახორ-ციელებს საეკლესიო სამართლებრივი ნორმებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

3. ეკლესია უშუალოდ არ ახორციელებს სამე-წარმეო საქმიანობას.

4. ეკლესიის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ნებაყოფლობითი შემოწირულობანი, სამეწარმეო შემოსავლები, ინვესტიციები, გრანტები, დახმარებები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სხვა შემოსავლები.

5. ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია - მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადებისაგან.

6. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით იძლევა ნებართვას ან ლიცენზიას ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის გამოყენებაზე. აგრეთვე, საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადებაზე, შემოტანასა და მიწოდებაზე.

მუხლი 7

1. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული.

2. ზემოაღნიშნულ ნაგებობათა დაცვის ზონები, მათი მოვლა-პატრონობისა და სარგებლობის წესები განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობით და ეკლესიასთან შეთანხმებით.

მუხლი 8

1. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს სახელმწიფოს დაცვაში (მუზეუმებში, საცავებში) მყოფ საეკლესიო საგანძურს (კერძო საკუთრებაში არსებული ნაწილის გარდა).

2. ზემოაღნიშნული საეკლესიო საგანძური, რომგორც საერთო-ეროვნული საგანძურის ნაწილი, არის სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ მფლობელობაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (წმიდა ნაწილებისა და წმიდა რელიქვიების გარდა).

მუხლი 9

1. სახელმწიფო და ეკლესია ერთობლივად ზრუნავენ ისტორიულ-კულტურულ და არქეო-ლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობების მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საეკლესიო საგანძურის სათანადო დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის.

2. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ამტკიცებს დამატებით წესებს მუზეუმებსა და საცავებში დაცული საეკლესიო საგანძურის სარგებლობის შესახებ, ასევე კულტურულ-ისტორიული ღირებულებების მქონე ტაძრების აღდგენის, რესტავრაცია-კონსერვაციის ან მოხატვის პროექ-ტებს.

მუხლი 10

სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, აწარმოოს მოლაპარაკება შესაბამის სახელმწიფოებთან მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართული მართლმადიდებლური ტაძრის, მონასტრის, მათი ნანგრევის, სხვა საეკლესიო ნაგებობის, აგრეთვე, საეკლესიო ნივთების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე.

მუხლი 11

1. სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-90 წლებში) სახელ-მწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს, როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტობრივი მფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება 183, 12.04.90).

2. აღნიშნული საკითხის შესწავლის, კომპენსაციის ფორმების, რაოდენობის, ვადების, ქონების ან მიწის გადაცემისა და სხვა დეტალების დასადგენად პარიტეტულ საწყისებზე იქმნება კომისია (ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში), რომელიც მოამზადებს შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტებს.

მუხლი 12

1. შეთანხმება შედგება წინამდებარე ტექსტისა და ტერმინთა განმარტებისაგან.

2. შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ორივე მხარის ხელმოწერითა და პარლამენტისა და წმიდა სინოდის დამტკიცებით.

3. შეთანხმებას ხელს აწერენ საქართველოს პრეზიდენტი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

4. შეთანხმება ძალაში შედის პარლამენტისა და წმიდა სინოდის მიერ დამტკიცებისთანავე.

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით	საქართველოს სახელმწიფოს სახელით
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია II**	საქართველოს პრეზიდენტი

სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი, 14 ოქტომბერი, 2002 წ.

მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ-გიორგი შევარდნაძეს

თქვენო აღმატებულებავ,

როგორც უკვე ცნობილია, საქართველოში ვატიკანის ოფიციალური წარმომადგენლობის ინიციატივით მომზადდა საქართველოს სახელმწიფოსა და ვატიკანს შორის საერთაშორისო ხელშეკრულება. საქართველოს საპატრიარქოსათვის სრულიად გაუგებარია, რატომ შეირჩა ასეთი ფარული ფორმა ვატიკანთან (და აქედან გამომდინარე კათოლიკურ ეკლესიასთან) ურთიერთობის დარეგულირებისათვის მაშინ, როდესაც ჩვენს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება საჯაროდ მუშავდებოდა წლების განმავლობაში და იგი არაერთგზის გახდა განხილვის საგანი როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. მის განხილვაში ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოში არსებული თითქმის ყველა რელიგიის წარმომადგენლები.

ჩვენ არაერთხელ დაგვიფიქსირებია მზადყოფნა როგორც კათოლიკების, ისე საქართველოში არსებული სხვა რელიგიების სამართლებრივი სტატუსის განხილვისა და მისი ერთობლივი გადაწყვეტის შესახებ. ამიტომაც ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი და ყოვლად მიუღებელია ვატიკანის მხრიდან ამ სახით და ამ რანგში ხელშეკრულების გაფორმების მცდელობა.

აღნიშვნა იმისა, თითქოს ეს არის ორ სახელმწიფოს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც არანაირად არ ეხება რელიგიურ სფეროს, არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან ვატიკანი სახელმწიფო არის უმთავრესად რელიგიური ნიშნით. ამდენად, მის მიერ გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებები რელიგიური შინაარსისაა და განაპირობებს კათოლიკური ეკლესიის განსაკუთრებულ მდგომარეობას ამა თუ იმ ქვეყანაში. ვატიკანს ასეთი ხელშეკრულება გაფორმებული არა აქვს არც ერთ მართლმადიდებელ ქვეყანასთან (გარდა რუმინეთისა, რომელიც ისტორიულად რომანული ქვეყანაა). ასეთი ხელშეკრულება მას არა აქვს დადებული არც ამერიკის შეერთებულ შტატებთან, არც დიდ ბრიტანეთთან და არც არაკათოლიკური კულტურის ბევრ სხვა ქვეყანასთან, რაც იმის მანიშნებელია, რომ ეს არ არის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის განმსაზღვრელი საერთაშორისო აქტი, არამედ კათოლიკური კულტურის ქვეყნებთან ვატიკანის ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტი.

საერთოდ, რელიგიური ტიპის დოკუმენტის მიღებისას არცერთ ქვეყანაში არ ხდება საზოგადოების და ტრადიციული ეკლესიის პოზიციის გაუთვალისწინებლობა. საქართველოში ამ დოკუმენტის მიღება ჩვენი ისტორიის უგულებელყოფაა, რაც ჩვენი ხალხის დიდ და სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

შევნიშნავთ იმასაც, რომ ვატიკანთან დადებული ამ ხელშეკრულებით არა თუ არ მოწესრიგდება კათოლიკურ ეკლესიასთან დაკავშირებული საკითხები, არამედ კიდევ უფრო გართულდება ისინი და ბიძგს მისცემს სხვა კონფესიებთან დაკავშირებულ მრავალ ნეგატიურ პროცესს, რაც სახელმწიფოს ახალ, მეტად სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

ვიმედოვნებთ, გაუგებრობებისა და დაპირისპირებების თავიდან აცილების მიზნით ჩვენი ხელისუფლებაც და ვატიკანიც ჩვენს საზოგადოებასთან და მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეთანხმების გარეშე ასეთი სერიოზული ნაბიჯის გადადგმისაგან თავს შეიკავებს.

ღრმა პატივისცემით
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II
2003 წელი. სექტემბერი

,,როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა''

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ქადაგება ნიკოლოზობის დღესასწაულზე

წმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი, 19 დეკემბერი 2004 წ.

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა!

ჩვენთან არს ღმერთი!

საოცარია და საკვირველი საქმენი უფლისანი! ადამიანის გონება ან მისი გული ვერასდროს მისწვდება მას. იგი გამოვლინდება ყველგან: ადამიანის მოქმედებაში, აზროვნებაში, საერთოდ, ცოცხალ სამყაროში და მთელ კოსმოსში.

ერთი დიდი მეცნიერი სწორად შენიშნავს: „მე არ მინახავს ღმერთი, მე ვნახე მხოლოდ კვალი უფლის ხელისა“. მართლაც, ამ კვალს ყველგან ვხედავთ, უპირველეს ყოვლისა კი, საკუთარ თავში და ჩვენსავე ცხოვრებაში. ვხედავთ, რომ უფალი მუდამ მფარველობს ადამიანს და განსაკუთრებით ისეთს, რომელიც ცდილობს, დაუახლოვდეს შემოქმედს.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ უფალი თვითონაც აკეთებს არჩევანს. მაგალითად, იგი ერთ-ერთ წინასწარმეტყველს ეუბნება: ჯერ შენ დედის მუცელშიც კი არ იყავი ჩასახული, როცა მე შენ გიცნობდიო. ეს სიტყვები იმას ნიშნავს, რომ ღვთისათვის წარსული და მომავალი არ არსებობს, და რომ ყველაფერი აწმყოა.

უფლის რჩეულია წმიდა ნიკოლოზიც, რომლის ხსენებასაც ჩვენ დღეს ვდღესასწაულობთ.

წმიდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან ცნობილია, რომ მის მშობლებს დიდხანს შვილი არ ჰყავდათ და ევედრებოდნენ ღმერთს შთამომავალს, რომელსაც მას შესწირავდნენ და მართლაც, თხოვნა აუსრულდათ და ეყოლათ ერთადერთი შვილი, რომელსაც ნიკოლოზი უწოდეს.

სახელი „ნიკოლოზი“ ნიშნავს გამარჯვებულს და მართლაც, ასეთია მისი ცხოვრება. იესო ქრისტემ მისცა მას განსაკუთრებული მადლი; მადლი, რომელიც ულევ წყაროსავით მოედინება, ამიტომაც არის ნათქვამი, რომ წმიდა ნიკოლოზი არის სასწაულთმოქმედი და მსწრაფლ-შემწე მრავალი სასწაული აქვს მას მოხდენილი თავის სიცოცხლეშიც და გარდაცვალების შემდგომაც.

წმიდა სერაფიმე საროველი ამბობს: მოიპოვე მცირე მადლი და ცხონდები შენც და ათასობით ადამიანიც შენს გარშემო. ამის მაგალითია სწორედ წმიდა ნიკოლოზი. მან მოიპოვა დიდი მადლი, თავისი მშობლების, თავისი ბიძის ლოცვებით და საკუთარი მოღვაწეობით. თქვენ იცით, რომ ბიძამისი იყო ეპისკოპოსი. მან აკურთხა მოძღვრად წმიდა ნიკოლოზი და უთხრა: ბედნიერია ის სამწყსო, სადაც შენ იქნები მწყემსიო.

მინდა გაგახსენოთ მის მიერ აღსრულებულ მრავალ სასწაულთაგან ერთ-ერთი, ,რომელიც ერთი საუკუნის წინ, უკრაინაში მოხდა, ოჯახი – ცოლ-ქმარი და ძუძუმწოვარი ბავშვი მიდიოდა წმიდა ნიკოლოზის ტაძარში ღამისთევით. ღამით, როცა მდინარეზე ნავით გადადიოდნენ, დედას ხელიდან გაუსხლტა ჩვილი და წყალში ჩაუვარდა. სიბნელის გამო ბავშვი ვერ იპოვეს. მთელი ღამე ტრიალებდნენ იმ ადგილის გარშემო, რა თქმა უნდა, უკვე იმედი აღარ ჰქონდათ, რომ ცოცხალს მიაგნებდნენ და ფიქრობდნენ, იქნებ მკვდარი მაინც ეპოვათ. მაგრამ ამაოდ ეძებს. შემდეგ იწყეს ბჭობა: რა ვქნათ, წავიდეთ ეკლესიაში თუ შინ დავბრუნდეთო. მაინც გადაწყვიტეს ტაძარში მისვლა, ჩვენი მწუხარება წმიდა ნიკოლოზს გავუზიაროთო, გარიჟრაჟი იყო, მრევლი ჯერ არ იყო ეკლესიაში მისული; ბავშვის მშობლებმა დარაჯს დაუძახეს და კარები გააღებინეს. ღია ტაძრიდან მათ პატარას ტირილი შემოესმათ, ტაძარში შესულებმა კი სასწაული იხილეს:

წმიდა ნიკოლოზის ხატის წინ იწვა მათი შვილი, რომელსაც ტანსაცმელი ჯერ კიდევ სველი ჰქონდა.

მსგავსი სასწაულები სხვაც ბევრია. გავიხსენოთ თუნდაც წმიდა კლიმენტის რომის პაპის ცხოვრება. წმიდა კლიმენტი ცხოვრობდა I-II საუკუნეში. იგი იყო ნაკურთხი წმიდა პეტრე მოციქულის მიერ და იყო პეტრეს და პავლეს მოწაფე. იგი რომიდან ხერსონში გადაასახლეს და საშინლად აწამეს; ყელზე მოაბეს გემის ღუზა, ჩაუშვეს ზღვაში და დაახრჩვეს. ხალხს ძალიან უნდოდა მისი ცხედრის პოვნა, მაგრამ ზღვაში ძებნამ შედეგი ვერ მოიტანა. და აი, მოხდა სასწაული. ზღვის წყალი 7 დღით მიიქცა და მოსახლეობამ კვლავ დაიწყო ძიება წმიდა კლიმენტი რომის პაპის სხეულისა. იგი ზღვის ფსკერზე, გამოქვაბულში ნახეს და რაკი აქ იპოვეს, აღარ წამოასვენეს. 7 დღის შემდეგ კი მისი სხეული კვლავ წყალმა დაფარა. როცა მიმოქცევა იყო ზღვისა და თავისუფლდებოდა ფსკერი, ხალხი მიდიოდა და თაყვანს სცემდა წმიდა კლემენტის. ეს ხდებოდა ყოველ წელს და აი, ერთხელ ზღვა რომ მობრუნდა, ერთმა ვერ მოასწრო ამოსვლა და იგი წყალმა შთანთქა. ეს იყო უმძიმესი განსაცდელი მშობლებისათვის. ერთი წელი მათ გოდებასა და ტირილში გაატარეს და შემდეგ წელიწადს, როცა მიქცევა მოხდა წყლისა, ეს მშობლები წავიდნენ წმიდა კლიმენტის თაყვანსაცემად და როცა შევიდნენ გამოქვაბულში. იქ ცოცხალი ნახეს თავიანთი შვილი. ეს იყო გამაოგნებელი სასწაული. ეს ყრმა შემდეგ უამბობდა დედ-მამას, თუ როგორ კვებავდა წმიდა კლემენტი მას მთელი წლის განმავლობაში და რომ არავითარი ზღვა და არავითარი წყალი გამოქვაბულში არ იყო.

ასეთ საოცარ სასწაულთ იქმან წმიდანები, განსაკუთრებით კი წმიდა ნიკოლოზი. დღესაც, ვინც რწმენით, სიყვარულითა და სიხარულით მიდის მასთან, ყველა ღებულობს დახმარებას, ამასთან, მას მიმართავენ არა მარტო ქრისტიანები, არამედ მუსულმანები და სხვა რელიგიის წარმომადგენლები და იგი ყველას ეხმარება.

აი, ამ დიდი მღვდელმთავრის ხსენება არის დღეს.

მინდა შეგახსენოთ, რომ რამდენიმე წლის წინ ჩვენ ვთხოვეთ წმიდა ნიკოლოზს, ყოფილიყო მფარველი ჩვენი ეკლესიისა და ჩვენი ერისა და ვუწოდეთ მას უწმიდესი და უნეტარესი, მთავარეპისკოპოსი მირონლუკიისა და ყოველთა ქართველთა დიდი კათოლიკოს-პატრიარქი. სამი დღის წინ ჩვენი დელეგაცია წავიდა იტალიაში (თქვენ იცით, წმიდა ნიკოლოზი ქალაქ ბარიშია დასვენებული), ჩვენ მივმართეთ წმიდა ნიკოლოზს წერილით და იგი ამ დელეგაციას გავატანეთ და მე მინდა წაგიკითხოთ ეს ბარათი.



მის უწმინდესობასა და
უნეტარესობას ნიკოლოზს,
მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსს,
ყოველთა ქართველთა
დიდსა კათოლიკოს-პატრიარქსა

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, ყოველთა ქართველთა სულიერო მამავ და დიდო მოძღვარო!

ქართველი ერისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით ვეამბორები შენს წმინდა მარჯვენას და სიმდაბლით თაყვანსა გცემ შენ, გეუფლრები, დალოცე, გააძლიერე, გაამთლიანე და დაამშვიდე სამწყსო შენი, სრულიად საქართველო. ევედრე მაცხოვარსა ყოველთასა, რათა სახელები ყოველთა ქართველთა ჩაიწეროს წიგნსა მას შინა ცხოვრებისასა და რათა მეოხებითა შენითა და მფარველობითა ყოვლადწმიდისა დედისა ჩვენისა ღვთისმშობელისა დაცულ იქმნას ერი ჩვენი მზაკვრებისაგან ბოროტისა და ღირს გვყავ ჩვენ დამკვიდრებად სასუფეველსა ცათასა.

ქართველი ერის სიმდაბლით გიძღვნის შენ ოქროს პანაღიას წმიდისა დიდისა მეფისა დავით წინასწარ-მეტყველისა, რომელიც ბრძანდება წინაპარი საქართველოს ბაგრატიონთა სამეფო გვარისა.

შენი მდაბალი მორჩილი და სულიერი შვილი
ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი.

დღეს ამ ოქროს პანაღიასა და წერილს მიართმევენ წმიდა ნიკოლოზს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ის განსაცდელი, რომელიც ხვდება ჩვენს ერს, ჩვენს ეკლესიას, წმიდა ნიკოლოზის ლოცვით გაივლის, ყველაფერი დამშვიდდება და ჩვენ ვიქნებით ერთი სამწყსო და უფალი ჩვენი იქნება მწყემსი ჩვენი.

დღევანდელი დღე იმითაც არის გამორჩეული, რომ 7 წლის წინ დავლოცეთ საქართველოს ეკოლოგიური მეცნიერების აკადემია და მისი თანამშრომელნი. თქვენ კარგად გესმით, რამდენად მნიშვნელოვანია დღეს ეკოლოგიური საკითხები. მეცნიერები ამბობენ, რომ იმდენად რთულია ამ მხრივ მდგომარეობა მთელ მსოფლიოში, იმდენად დაბინძურებულია წყალი, ჰაერი, ნიადაგი, რომ მსოფლიოს ომი აღარ სჭირდება; ისე შეიძლება მოისპოს მთელი კაცობრიობა. ჩვენ წმიდა სამების ამ ტაძარში ვლოცავთ ამ ჩვენს მეცნიერებს, რომლებიც თავდადებით ემსახურებიან ჩვენს ქვეყანას და ჩვენს მეცნიერებას. ღმერთმა ინებოს, რომ განიწმინდოს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სულიერი სამყარო, რომ განიწმინდოს ბუნებაც. ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის მეცნიერები და სრულიად საქართველო!

მე ასევე მინდა დავლოცო ის ადამიანები, რომელთაც შექმნეს ეს ბრწყინვალე ხატი წმიდა ბარბარესი. წმიდა ბარბარეც დიდი სასწაულთმოქმედია და უხვად გარდამოგვივლენს მადლს. ახლა შედგება ამ ხატის კურთხევა, შემდეგ კი გექნებათ საშუალება, ემთხვიოთ წმიდა ბარბარეს ხატს და ითხოვოთ მისგან შეწევნა.

კარგად იცით, რამდენად მძიმედ გვაწევს ეს ფაქტი, რომ საქართველო გათიშულია და დროებით ვერ ვაკონტროლებთ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს. ამ რამდენიმე დღის წინ შედგა წმიდა სინოდის სხდომა და წმიდა სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ 25 დეკემბერს, მომავალ შაბათს აქ, წმიდა სამების ტაძარში აღევლინოს წირვა-ლოცვა და მოხდეს მონანიება ჩვენს ცოდვათა. ცოდვა ჩადენილი აქვს ყველას: ქართველებს, ოსებს აფხაზებს, სხვებს და აი, აქ უფლის წინაშე უნდა მოვინანიოთ ეს ცოდვები და უნდა დაიწყოს შერიგების პროცესი ჩვენს ერებს შორის. ადრე თუ გვიან აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი იქნება საქართველოს შემადგენლობაში და ჩვენ იქ უნდა შევიდეთ როგორც მოსიყვარულე ძმები. ლოცვა-კურთხევა აქვს მიცემული მცხეთა-თბილისის სამღვდელოებას, რომ შაბათს ისინი შეასრულებენ წირვა-ლოცვებს თავის ტაძრებში და შემდეგ ხატებით, ჯვრებით, მრევლით და გუნდებით საზეიმოდ წამოვლენ აქ, რათა ერთად შევთხოვოთ უფალს, შეგვარიგოს და გვაკმაროს განსაცდელი.

ჩვენ მივმართავთ ყველას: ქართველებს, აფხაზებს, ოსებს და სხვებს, რომ გამოიჩინონ ქრისტიანული სათნოება, მიმტევებლობა. ბედნიერია ის, ვისაც ეს მადლი აქვს, ვინც ცდილობს შეურიგდეს მას, რომლისგანაც მიღებული აქვს წყენა.

ვფიქრობ, 25 დეკემბერი მნიშვნელოვანი იქნება, ეს ერთობლივი ლოცვები შეარიგებს და გაამთლიანებს სრულიად საქართველოს. ღმერთმა ინებოს, რომ ეს ასე იყოს.

ჩვენთან არს ღმერთი!

22 მაისი, წმიდა ნიკოლოზის ნაწილთა აღმოყვანების დღესასწაული

მსოფლიოს დიდსა მოძღვარსა, სასწაულთმოქმედსა და მსწრაფო შემწესა, მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსსა, წმიდასა ნიკოლოზს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II
მოკრძალებული თხოვნა

წმიდათა შორის საკვირველო, დიდო სასწაულმოქმედო, მოწყალეო ჩვენო მამაო ნიკოლოზ, მე, მდაბალი მორჩილი შენი ილია II, განგებითა და ნებითა ღვთისაითა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ჩემი ერისა და ეკლესიის სახელით შეგივრდები და გევედრები:

უწინამძღვრე და მარადჟამს იყავ მფარველი საქართველოს წმიდა ეკლესიისა და ქართველი ხალხისა, რათა ერსა ჩვენსა აწ და მარადის ქრისტეს გზით ევლოს; მოგვმადლე სარწმუნოება ჭეშმარიტი და სიყვარული შეუორგულებელი, დაგვიცევ ხილულ და უხილავ მტერთაგან, უწმიდურ ზრახვათა და უკეთურ საქმეთაგან, გვიხსენ ღვთის გმობისა და უარყოფისაგან, ამპარტავნებისა, შურისა და დიდებისმოყვარეობისაგან; ურთიერთმტრობისა, განკითხვისა, ცილისწამებისა და ვერცხლისმოყვა-რეობისაგან; სიცრუისა, სიძულვილისა, ანგარებისა და ცუდმეტყველებისაგან.

მოგვანიჭე განცდა ცოდვათა ჩვენთა, სიმდაბლე და მოთმინება, გული სახიერი და წრფელი, რათა ვიხილოთ უფალი და დაემკვიდროს იგი ჩვენ თანა.

მოიღე წყალობა, მწყალობელო; სოფელს მშვიდობა მოჰფინე და კაცთა შორის სათნოება დანერგე; განაახლე და მოქმედჰყავ ეკლესია-მონასტრები ჩვენი სადიდებლად ღვთისა; განანათლენ, დაიფარე და დაიცევ ყოვლადსამღვდელონი, ბერ-მონაზონნი და მღვდელმთავარნი... ქართველნი განგვამრავლენ. მოგვიტევენ უსჯულოებანი ჩვენნი და ღვთის კალთის ქვეშ შეგვკრიბე, რათა ერთი სამწყსო ვიყოთ და მწყემსი მხოლოდ უფალი იყოს.

წმიდაო მღვდელმთავარო და მსწრაფლშემწეო ნიკოლოზ, მხურვალითა გულითა შეგავედრებ წარსულთა ჩვენთა წინაპართა, მეფეთა, დედოფალთა, კათოლიკოს-პატრიარქთა, მღვდელმთავართა, ბერ-მონაზონთა და ყოველთა სამღვდელო და სამონაზვნო წესით აღსრულებულთა, ერისმთავართა, მწერალთა, მეცნიერთა, აღმშენებელთა ეკლესია-მონასტერთა, მათ შინა მშრომელთა, მხედართა და მხედართმთავართა, ბრძოლის ველზე მომწყდართა, რწმენისა და მამულისათვის თავდადებულთა და საუკუნეთაგან გარდაცვალებულთა ქართველთა; მოიხილენ იგინი და ეყავ მეოხად წინაშე წმიდისა სამებისა, რათა წყალობითა ღმრთისაითა დაიმკვიდრონ სავანე მართალთა. ხოლო ჩვენ ყოველთათვის შესთხოვე შემოქმედსა. ქრისტიანული მშვიდობითი აღსას-რული მოგვანიჭოს და ჟამსა განკითხვისასა გვიხსნას საუკუნო სიკვდილისაგან.

მსასოებელთა შენთა შემწეო, მომმადლე მე უღირსსაცა ძალა, რათა ყოვლითა გულითა და გონებითა ჩემითა ვემსახურო უფალსა, ეკლესიასა და ერსა ჩემსა.

მუხლმოდრეკით გამოვითხოვ შენს წმიდა ლოცვა-კურთხევას.

ჩვენთან არს ღმერთი,
მორჩილი და მარად მადიდებელი შენი,
მდაბალი ილია II.
წმიდა ნიკოლოზობა 9.V.85 წ.



ძლევამოსილსა საკვირველთმოქმედსა, ბოროტის დამთრგუნველსა, დიდსა მოწამესა, წმიდასა ნათელ გიორგის

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოკრძალებული თხოვნა

ტყვეთა განმათავისუფლებელო, ტანჯულთა შემწეო, უძლურთა მკურნალო და მწუხარებათა ნუგეშისმცემელო, ქართველთა დიდო იმედო, ძლევამოსილო წმიდაო გიორგი, მე მსასოებელი შენი, ილია II, წყალობითა და განგებით ღმრთისათა კათოლიკოსზპატრიარქი სრულიალ საქართვე-ლოისა, გევედრები, აწ და მარადის იყავ წინამძღვარი ქართველთა ერისა და მფარველ ეკლესიისა ჩვენისა.

შენ ბრძანდები ოდითგანვე ერისმთავარი ჩვენი; ნუ დაივიწყებ ერსა შეცოდებულსა; მეოხ გვეყავ, რათა უფალმან შეგვინდოს და განკურნოს უძლურებანი სულთა ჩვენთანი; გვიხსნას

ურწმუნოებისა, ამპარტავნებისა და შურისაგან, ღვარძლისა, მტრობისა და ცილისწამებისაგან, ვერცხლის-მოყვარეობისა, ურთიერთშუღლისა და წყევისაგან, სიძვისა, პატივმოყვარეობისა და სხვათა ქონების მითვისებისაგან, მკვლელობისა, შურისძიებისა, არა წმიდა გრძნობებისა და ფიქრებისაგან და მოგვიტეოს უმეცრებანი ჩვენნი: ეკლესია-მონასტერთა ნგრევა, კერპთაყვანისმცემლობა, ცრუმორწმუნეობა...

შევსთხოვთ უფალსა, რათა მოგვმადლოს ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოება, სასოება და სიყვარული; მოგვანიჭოს გრძნობები წმიდა და სული წრფელი; გაგვიხსნას გულისყური შეწევნად ქვრივთა, ობოლთა, მწირთა და ყოველთა გაჭირვებულთა, განამრავლოს ურთიერთშორის სათნოებანი და საქმენი კეთილნი;

დიდმოწამე გიორგი, განგვინათლე გონება, რომ ვცნათ უფალი, ვითარცა გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე, აღგვავსე ღვთაებრივითა სიბრძნითა, რათა ყოვლითა არსებითა შევიყვაროთ შემოქმედი, მოყვასი, მამული და ენა ჩვენი; ჰყავ გულნი ჩვენნი ლმობიერ და ურთიერთ ცოდვათა მიმტევებელ; მოგვიძიე და შეგვკრიბე ქრისტეს წმიდა ეკლესიაში;

სასოებით შეგვედრებ ხალხსა ჩემსა, ქრისტეს გვირგვინოსანო მხედარო გიორგი; წმიდითა მახვილითა შენითა მარად დაგვიცევ და დაგვიფარე ბოროტთაგან და ყოველთა ძვირთა საქმეთა მათთაგან; ხოლო ჟამსა განკითხვისასა შუამდგომელ გვეყავნ წინაშე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა, რათა ღირს ვიქმნეთ მოპოვებად საუკუნოისა ცხოვრებისა.

მხურვალითა გულითა შეგთხოვ, შეეწიე საუკუნითგან გარდაცვალებულთა მამათა, დედათა და ყოველთა წინაპართა ჩვენთა და დასჯილნი სულნი სატანჯველთაგან იხსენ.

მუხლმოდრეკილი გევედრები, წმიდაო გიორგი, ნუ უგულებელსყოფ ვედრებასა ჩემსა, აკურთხე ერი ქართველთა და წმიდა ეკლესია მისი; მოიღე წყალობა ჩემ ცოდვილსაცა ზედა, რამეთუ მძიმეა ჯვარი ჩემი; შემეწიე და დამიცევ მადლითა შენითა, უძლეველო.

ჩვენთან არს ღმერთი!

შენი სულიერი შვილი,
ძალისაებრ ჩემისა აღმასრულებელი
ნებისა შენისა მდაბალი ილია II

პატრიარქი და აფხაზეთი

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ქადაგება ჯვართამაღლებას

სიონის საპატრიარქო ტაძარი,
27 სექტემბერი, 2003 წელი.

„აუცილებლად ყოველდღე უნდა ვილოცოთ აფხაზეთის დაბრუნებისათვის“

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა!

ჩვენთან არს ღმერთი!

გილოცავთ ჯვართამაღლებას. დღეს არის დღესასწაული, როდესაც ჩვენ განსაკუთრებულად ვადიდებთ და თაყვანს ვცემთ ჯვარსა პატიოსანსა, ვეთაყვანებით იმ წმიდა ჯვარს, რომელზეც ეცვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე და რომელზეც მოხდა გამოხსნა კაცობრიობის ცოდვისა. საქართველოს საპატრიარქოში ინახება უდიდესი სიწმიდე.

სამსჭვალი უფლისა ჩვენისა, ისტორიიდან თქვენ იცით, რომ ბიზანტიის იმპერატორმა, კონსტანტინე დიდმა IV საუკუნის დასაწყისში ახლადგაქ-რისტიანებულ საქართველოში გამოგზავნა ორი სამსჭვალი, რომლითაც ხელები ჰქონდა მიმსჭვალული მაცხოვარს. სამწუხაროდ, ერთი

მათგანი წაღებულია მოსკოვში და „ორუჟეინაია პალატაში“ ინახება. მეორე სამსჭვალი, კი, ღვთის მადლით, ჩვენთანაა.

ჯვარი არის უდიდესი ძალა ღვთისა. ძალა, რომელიც თრგუნავს ბოროტს, ყოველ ადამიანს უნდა ესმოდეს ჯვრის მნიშვნელობა და პირ-ჯვარიც სწორად უნდა გადავიწეროთ. პირჯვრის წერისას დიდ ჯვარს უნდა ვისახავდეთ. ამასთან აუცი-ლებელია, ყველა მონათლულმა ქრისტიანმა ატაროს ჯვარი — თუ ნათლობისა არა, სხვა ნა-კურთხი ჯვარი მაინც.

ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი კი ის არის, რომ თავისი ცხოვრებით ადამიანმა ჯვარი უნდა შექმნას: უპირველეს ყოვლისა, უფლისაკენ სწრაფვით და შემდეგ, ადამიანები-საკენ; თავისი ჯვარი ბოლომდე უნდა იტვირთოს, არ უნდა შეუშინდეს მის სიმძიმეს. ჯვარი — ეს ჩვენი ცხოვრებაა, ჩვენი სიმძიმე, ჩვენი განსაცდე-ლი, ავადმყოფობა და ტკივილია. ჯვარს აძლევს უფალი, მაგრამ ასევე ეხმარება ადამიანს მის ტვირთვაშიც. კაცმა არასდროს არ უნდა იფიქროს, რომ მისი ჯვარი მძიმეა და არ უნდა ითხოვოს უფლისაგან მისი შეცვლა. უფალმა ჩვენი ძალაც იცის და შესაძლებლობაც. ამიტომ ჩვენ უნდა ვმადლობდეთ უფალს იმ ჯვრისათვის, რომელსაც გვანიჭებს თითოეულ ჩვენგანსა და საქართველოს.

თქვენ იცით, დღეს არის განსაკუთრებული დღე. ამ დღეს დაეცა აფხაზეთი, ამ დღეს იძულებული გავხდით, წამოვსულიყავით იქიდან; ეს წამება და ტკივილი, რომელიც გამოიარა ჩვენმა ერმა — ეს განსაცდელია. უდიდესი მწუხარება გამოიარა ჩვენმა ხალხმა, მაგრამ, ამავე დროს, ძალიან დიდი სულიერი ამაღლებაც. იმიტომ, რომ ერში გაძლიერდა სარწმუნოება, მოექცა ჩვენი ხალხი. ძალიან მალე, ღვთის წყალობით, აუცილებლად, დაბრუნდებით აფხაზეთში.

11 წელი ვიყავი მღვდელმთავარი აფხაზეთში და ყველაფერს ვაკეთებდი იმისათვის, რომ ქართველი ხალხი მოსულიყო ტაძარში და ვერაფრით მი-ვაღწიე ამას. ურწმუნო ქართველი ხალხი იქიდან წამოვიდა და შინ მორწმუნე დაბრუნდება. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგაძლიეროთ და გაგახაროთ თქვენ და სრულიად საქართველო.

აუცილებლად ყოველდღე უნდა ვილოცოთ აფ-ხაზეთის დაბრუნებისათვის.

ჩვენთან არს ღმერთი!



პატრიარქი და საინგილო

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ქადაგება ამაღლების დღესასწაულზე

საინგილო
კახის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი
9 ივნისი, 2005 წ.

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა!

ჩვენთან არს ღმერთი!

დღეს არის ბედნიერი დღე - ამაღლება უფლისა ჩვენისასა იესო ქრისტესი, ამავე დროს, დღეს არის ისტორიული დღე -საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი საინგილოს ეწვია; ჩვენ ჩამოვედით ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანში. გარეგნულად ეს იყო აზერბაიჯანისა და კავკასიის შეიხის მოწვევა და ამავე დროს, ამ ვიზიტს ჰქონ-და და აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა როგორც აზერბაიჯანისთვის, ასევე საქართველოსთვის.

“დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი!“ - ყველაფერს უფალი აკეთებს. ყველაფერს იგი ქმნის, ბედნიერია ის, ვინც იარაღია უფლისა; ყოველი ადამიანი უნდა იყოს ღვთის იარაღი და მისი საშუალებით უფალი სასწაულებს გააკეთებს.

ჩვენ ჩამოვედით იმისათვის, რომ კიდევ ერთხ-ელ გვეღიარებინა ჩვენი ძმური კავშირი აზერ-ბაიჯანელ ხალხთან და კიდევ ერთხელ გველოცა იმ წმიდა ადგილზე, სადაც აწამეს იესო ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული წმიდა ბართლომე (წმიდა ბართლომე ბაქოში აწამეს). მისი წამების ადგი-ლას არაფერი დგას. იქ მხოლოდ მუზეუმია ღია ცის ქვეშ. ამიტომ ჩვენ ვთხოვეთ აზერბაიჯანის პრეზიდენტსა და შეიხს. რომ იქ დაიდგას დაფა, რომელზეც აღნიშნული იქნება ამ ადგილის მნიშვნელობა.

ჩვენ გვქონდა შეხვედრა აზერბაიჯანის პრეზიდენტთან, ბატონ ილხამ ალიევთან (მე კარგად ვიცნობდი მის მამას, ჰეიდარ ალიევს). უნდა ითქვას, რომ ის ურთიერთობა, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის. განაპირობებს პოლიტიკურად სტაბილურ მდგომარეობას არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელს კავკასიაში. რომ არა ასეთი ძმური და მეგობრული ურთიერთობა, დარწმუნებული ვარ, კავკასია მშვიდობიანი არ იქნებოდა.

ჩვენ გვქონდა საუბარი პრეზიდენტ ილხამ ალიევთან იმ საკითხებზე, რომელიც გვაწუხებს ორივე მხარეს, ვისაუბრებთ თქვენზეც, საინგილოში მცხოვრებ ქართველებზე, ასევე აზერბაიჯანელებზე, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ და იმაზეც, თუ როგორ შეიძლება მივაღწიოთ მშვიდობას მთელ კავკასიაში. ჩვენ აგრეთვე გვქონდა შეხვედრა პრეზიდენტის მეუღლესთან, რომელიც ხელმძღვანელობს ჰეიდარ ალიევის ფონდს. ამ ფონდის წინაშე მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი დგას. ეს ქალბატონი ფრიად განათლებული, ინტელექტუალური პიროვნება ბრძანდება, მას ძალიან კარგად ესმის, თუ რას ნიშნავს ეროვნული ფასეულობა და ეროვნული კულტურა, ძალიან კარგად ესმის გლობალიზაციის პროცესებიც და უნდა ითქვას, რომ მას, ისევე, როგორც თვით პრეზიდენტს, დიდი პატივისცემა და სიყვარული აქვს საქართველოსადმი. ჩვენ ამან მეტად გაგვახარა.

ამას გარდა, ჩვენ გვქონდა შეხვედრა მილიმეჯლისის თავმჯდომარესთან, ასევე მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან და მის წევრებთან.

ეს იყო მართლაც ძალიან მაღალი დონის ვიზიტი. ეს იყო და არის აღიარება არა ჩემი დამსახურებისა, არამედ საქართველოსადმი დამოკიდებულებისა. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ პრეზიდენტის მიერ მე ვიყავი დაჯილდოებული უმაღლესი ორდენით.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვიცოდეთ, როგორ უნდა ავაწყოთ ჩვენი ურთიერთობა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის; ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მთელი კავკასია მშვიდობიანი იყოს. არადა, შეიძლება ეს რეგიონი ომსა და ცეცხლში გაეხვეს, ამის დაშვება არ შეიძლება. აი, ამის სურვილი არის როგორც საქართველოში, ისე აქ, აზერბაიჯანში.

მე დიდი სიხარულითა და სიყვარულით ჩამოვედი აქ, სადაც არის ჩვენი სისხლი და ხორცი, სადაც ბრძანდებით თქვენ. მე მესმის, რომ არსებობს ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომელიც გადასაწყვეტია, მაგრამ მინდა იმედი ჩაგინერგოთ, რომ ის, რაც გაკლიათ, რაც საჭიროა თქვენთვის, ღვთის მადლითა და ძალით ვეცადოთ, რომ განხორციელდეს.

უპირველეს ყოვლისა, ძალიან მახარებს მაღალი ეროვნული თვითშეგნება და სამშობლოსადმი სიყვარული. აი, გუშინ რომ ვუსმენდი ბავშვებს. რომლებიც პატრიოტულ ლექსებს კითხულობდნენ. გამახსენდა ფერეიდნელი ქართველების საოცარი დამოკიდებულება საქართველოსადმი, ეს არის რაღაც არნახული სიყვარული და იმედი იმისა, რომ ოდესმე მოხვდებიან ქართულ მიწაზე; ოთხასი წელია, ისინი წასულები არიან სამშობლოდან, შაჰ-აბასმა წაიყვანა სამასი ათასი ქართველი და დღეს მხოლოდ ასიათასიღაა დარჩენილი. ისინი ერთმანეთს ეკითხებიან ხოლმე, სად არის საქართველო და თვითონვე პასუხობენ: ცისარტყელა რომ გამოვა, ცისარტყელის ქვეშ უნდა გახვიდე და იქ არის საქართველოო. ასეთ სიყვარულსვე ვხედავ თქვენში. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ არ დაიკარგებით, თქვენ იყავით, ხართ და იქნებით ქართველები თქვენი სულით. დღეს როცა შესრულდა ეს საზეიმო წირვა. მინდა, უპირველეს ყოვლისა, თქვენ დეგლოცოთ, დავლოცო ჩვენი ორი პრეზიდენტი - აზერბაიჯანისა და საქართველოსი, ასევე დავლოცო აზერბაიჯანისა და საქართველოს ხალხი, რათა ამ მეგობრობას არ ჰქონდეს დასასრული. ეს მეგობრობა აუცილებელია ჩვენი კეთილდღეობისა და მშვიდობისათვის.

რაც შეეხება დღევანდელ დღესასწაულს, დღეს არის ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. სახარებაში წერია, როცა მოციქულებმა შეხედეს ამაღლებულ უფალს, რომელიც ლოცავდა მათ, სიხარულით დაბრუნდნენ იერუსალიმში; თიქოს გლოვა და ტირილი უნდა ყოფილიყო, რადგან უფალი განშორდა მათ, მაგრამ მოწაფეებს ახსოვდათ სიტყვები: "მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა, ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა!"

ასევეა ეს დღესაც. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენი ვიზიტი დაემთხვა კახის წმიდა გიორგის ტაძრის აშენების 150 წლისთავს. ჩვენ წინაპართა სულნი დაგვტრიალებენ დღეს აქ და ღმერთმა ნათელში ამყოფოს ისინი.

მე კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დღესასწაულს და შევთხოვ უფალს, რომ სულიერად ამაღლდეს ქართველი ერი, იყოს მტკიცე სარწმუნოებაში, სიყვარულში და სიკეთეში. ჩვენ სიყვარული უნდა ვთესოთ და იგი ჩვენვე დაგვიბრუნდება.

მინდა გითხრათ, რომ ჰერეთის ამ კურთხეულ მიწაზე ძალიან დიდ შრომას ეწევა მამა იოანე. იგი თავდადებულად შრომობს აქ და დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში უფრო გააძლიერებს თავის სულიერ მოღვაწეობას. ჩვენ ვითვალისწინებთ მის ღვაწლს და ვაჯილდოებთ ოქროს ჯვრით. მამა იოანე აღყვანილია იღუმენის ხარისხში!

დალოცვილი და გახარებული იყავით თქვენ და სრულიად საქართველო, ამინ!

ჩვენთან არს ღმერთი!

პატრიარქის ლოცვა-კურთხევა

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II-ის ქადაგება მარიამობის დღესასწაულზე

სიონის საპატრიარქო ტაძარი, 28 აგვისტო, 2008 წ.

„ყოველდღე ილოცეთ: უფალო, დიდება შენდა! წყალობითა შენითა დაგვიბრუნე აფხაზეთი და სამაჩაბლო!“

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა!

ჩვენთან არს ღმერთი!

ყველას გილოცავთ ამ დიდებულ დღესასწაულს – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღეს – მარიამობას და სიონობას! ეს არის ჩვენი უდიდესი დღესასწაული.

სიონი არის თბილისის თანატოლი. როდესაც თბილისს ჩაეყარა საფუძველი, იმ დროს ჩაეყარა საფუძველი სიონის ტაძარსაც.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი დედა ბრძანდება საქართველოს მფარველი, ბრძანდება შემწე და მეოხი ჩვენი წინაშე ძისა თვისისა და ღვთისა ჩვენისა! დღეს განსაკუთრებით შევთხოვთ ღვთისმშობელ დედას, დაიცვას და დაიფაროს თავისი წილხვედრი ქვეყანა სრულიად საქართველო და გვიხსნას ხილული და უხილავი მტრებისგან! სიკეთით, რწმენით, სიყვარულითა და სასოებით აღავსოს თითოეული ჩვენგანის გული და გონება.

ჩვენ ვცხოვრობთ ძალიან რთულ პერიოდში, როცა განსაცდელი მოინევს საქართველოზე. მაგრამ ჩვენ არ უნდა შევუშინდეთ განსაცდელს! ქართველი ერი სულით ძლიერია, ძლიერია გონებით, ძლიერია სულიერად და ფიზიკურად და ქართველ ერს ვერავითარი შინაური თუ გარეშე მტერი ვერ გატეხს!

როდესაც წმინდა მამები ხედავდნენ, რომ განსაცდელი არ ჰქონდათ, ტიროდნენ, - ღმერთმა დაგვივიწყდაო. და ღმერთი უგზავნიდა მათ განსაცდელსა და მწუხარებას. ამიტომ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი მწუხარება ღვთისგან ბოძებული წყალობაა ჩვენთვის და ჩვენი მწუხარება სიხარულით შეიცვლება.

ქართველი ადამიანი ისეთი ბუნებით არის დაჯილდებული, რომ ბოროტებას ვერ იდებს გულსა და გონებაში. ის, ვინც ღვარძლს გულში იბუდებს, უპირველეს ყოვლისა, თავის თავს ვნებს. ქართველ ადამიანს ეს არ შეუძლია, მადლობა ღმერთს! ამიტომ შევთხოვთ უფალს, რომ ყველა ხილული თუ უხილავი მტერი მოყვარედ გვიქციოს! ეს არის ჩვენი თხოვნა-ვედრება!

მაგრამ ამავე დროს ჩვენ უნდა ჩავუღრმავდეთ საკუთარ თავს, ჩავხედოთ ჩვენს გულს, ჩვენს გონებას. გავაანალიზოთ ჩვენი ყოფა და დავინახოთ, რომ ბევრი რამ ჩვენშიც არ არის სწორი. ღმერთმა შეგვინდოს და შეგვიწყალოს.

ყოველდღე უნდა შევთხოვოთ უფალს, დაგვიბრუნოს აფხაზეთი და სამაჩაბლო! ამისთვის შეიძლება ამ მოკლე ლოცვის თქმა: „უფალო, დიდება შენდა! წყალობითა შენითა დაგვიბრუნე აფხაზეთი და სამაჩაბლო!“

ჩვენმა მორჩილებმა დაწერეს შედარებით უფრო ვრცელი ლოცვა: „ცას სწვდება გოდება შვილთა დედისა შენისა წილხვდომილისა ქვეყნისა, უფალო, შეგვიწყალენ და დაგვიბრუნე, ღმერთო ძლიერო, აფხაზეთი და სამაჩაბლო, ოდითგანვე სამფლობელო ქართველთა მეფეთა, მეოხებითა ყოვლადწმინდისა ღვთისმშობელისა და ყოველთა წმინდანთა, ამინ!“

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ ვერავითარი მტერი ვერ გატეხს საქართველოს; საქართველო ძლიერია, საქართველო იყო და იქნება მთლიანი და ერთიანი!

1 სექტემბერს მთელი მსოფლიო გამოეხმაურება საქართველოს სამშვიდობო აქციას, რომლის მხარდასაჭერადაც დადგებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართველები ცოცხალი ჯაჭვის სახით.

გეძლევათ ლოცვა-კურთხევა, თქვენც მიიღოთ მონაწილეობა ამ აქციაში და თან ილოცოთ. ჩვენ უნდა გვახსოვდეს ძველი სიბრძნე: „წყალი მიდგება-მოდგება და თავს საგუბარში ჩადგებაო“. აფხაზეთი და სამაჩაბლო იყო და დარჩება საქართველოს შემადგენლობაში!

ღმერთმა დაგლოცოთ. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა დედამ გადაგაფაროთ თავისი კალთა თქვენ და სრულიად საქართველოს! დალოცვილი და გახარებული იყავით და მშვიდობა, სიხარული და სიყვარული სუფევდეს თქვენში, მთელს საქართველოსა და მსოფლიოზე, ამინ!

ჩვენთან არს ღმერთი!

პატრიარქი და ქართული ინტელიგენცია

ქართველი ერი ყოველთვის გრძნობდა მის მაჯისცემას გულდასმით მიყურადებული სულიერი მამის სიდიადეს და მის წინამძღოლობით ჩვეულებისამებრ მამულისა სლვაᲐ მისთვის ყოველთვის იყო გზამკვლევი სულიერი თუ ეროვნული თვითშეგნების გზაზე.

ამის დასტური გახლდათ რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებული წერილი, რომელიც წმიდა ილია მართლის ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ რედაქციის თაოსნობით მომზადდა და დაიბეჭდა კიდეც გაზეთ „ჯორჯიან თაიმსში“.

ამ წერილს უყოყმანოდ მოაწერა ხელი ქართულმა ინტელიგენციამ და ამით გამოხატა ქართველი ერის კეთილშობილური ნება, ეკლესიურობა და ეროვნული თვითშეგნების სისავსე.

საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისათვის

მიმართვა პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებათა, მათ შორის ელექტრონული მედიის წარმომადგენლებისადმი

საქართველოს სახელმწიფოებრიობა საუკუნეების სიღრმეში იღებს სათავეს.

ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ბრძოლისა და შენების ისტორიაა, რომელსაც ქართველი ხალხი მართალი სარწმუნოების დაცვით, მამულის სიყვარულით და წინაპართა მიერ ნაანდერძევი ზნემაღალი იდეალებისადმი თავდადებით ერთგულებით ახორციელებდა.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის ქვაკუთხედი, ყოველთვის იყო მართლმადიდებლობა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მებაიახტრეობა ეროვნული, კულტურული, სახელ-მწიფოებრივი აღმშენებლობის მაღალზნეობრივი, ზოგადსაკაცობრიო იდეალებისთვის ბრძოლაში ყოველთვის საცნაური იყო.

დღეს, პოლიტიკურად უმძიმეს ეპოქაში, როდესაც საქართველოს სახელმწიფო ცდილობს კუთვნილი ადგილი დაიბრუნოს კულტურული კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, განუზომლად დიდია ქვეყნის სახელმწიფოებრიობის, ეროვნული ზნეობის და ტრადიციული, კულტურული ერთობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესიის როლი.

ამ მოვლენების კვალდაკვალ, ქართული სახელმწიფოებრიობის ღალატად და ეროვნული ინტერესების საზიანოდ გვესახება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა მიერ საეკლესიო თემებზე არაკომპეტენტური მსჯელობა.

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლებმა უნდა გააცნობიერონ ეკლესიის და მისი მწყემსმთავარის როლი ქვეყნის აღმშენებლობაში, აგრეთვე ისიც, რომ ეკლესია, როგორც მარადიული ღირებულებების, ჭეშმარიტების გამომხატველი ზეციური დაწესებულება არ ექვემდებარება მოდერნიზაციის მოდურ პრინციპებს და იმ იდეალების ერთგული რჩება, რომელიც საფუძველშივე განამტკიცებს სახელმწიფოებრივ სულისკვეთებას, ქვეყნის ეროვნულ თვითშეგნებას და მთლიანობას.

ჩვენდა საბედნიეროდ, საქართველოს მართლმადიდებელ ავტოკეფალურ სამოციქულო ეკლესიას მართავს მსოფლიო ავტორიტეტის მქონე დიდი საეკლესიო და ეროვნული მოღვაწე, ღრმად განსწავლული და ინტელექტუალური პიროვნება, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. მისი უწმინდესობა გარდა დიდი სულიერებისა და ქვეყნისადმი ერთგულებისა, არის მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნება, პოლიგლოტი, ღრმა აზროვნების შემცველი ნაშრომების, წერილების, ქადაგებების, ეპისტოლეების ავტორი.

მიგვაჩნია, ეკლესიასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა უნდა გადაწყდეს მხოლოდ და მხოლოდ მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით, მას აქვს კანონიერი



უფლება, როგორც ეკლესიის მეთაურს, აგრეთვე მორალური უფლება, როგორც სამშობლოსთვის დამაშვრალ მწყემსთმთავარს, რომ მის აზრს, სწავლებას, გზას, რომელიც ქვეყნის ერთიანობის, სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის, მშვიდობის, განმანათლებლური მოღვაწეობის და სიყვარულის გზაა, მიჰყვებოდეს ერიც და ბერიც.

მის სახელს უკავშირდება საქართველოში საეკლესიო, სარწმუნოებრივი ცხოვრების არნახული აღორძინება, მისი უშუალო წინამძღოლობით აღსდგა 1989 წელს ქართული ეკლესიის ფაქტობრივი ავტოკეფალია.

მან, თავისი ღრმა სულიერებით და სახელმწიფოებრივი თვითშეგნების წყალობით არაერთხელ იხსნა ქართული ეკლესია, ამდენად საქართველოს სახელმწიფოებრიობა რეალური, კარსმომდგარი საშიშროებისაგან.

დიდია დამსახურება მისი, რომ დღეს საქართველოში მოქმედებს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება.

ამ და სხვა მრავალი დამსახურების გამო, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის და ქართული ეკლესიისადმი მტრულად განწყობილმა ძალებმა წამოიწყეს აღვირახსნილი, ანტიეროვნული კამპანია პრესის და ინფორმაციის სხვა საშუალებებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის, უწმიდესის და უნეტარესის ილია II-ის მიერ ეკლესიაში განხორციელებული ეროვნული კურსის წინააღმდეგ.

ჩვენ მივმართავთ პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებათა, მათ შორის ელექტრონული მედიის წარმომადგენლებს, გამოიჩინონ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნება და არ დაუშვან საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესიისა და მისი მეთაურის, უწმიდესის და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის წინააღმდეგ ანტიეროვნული კამპანიის შემდგომი ესკალაცია და არ შებღალონ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები.

კათოლიკოს-პატრიარქი და ქართული მასმედია

2003 წლის 17 მარტს ჟურნალისტთა ფედერაციის ინიციატივით დაიწყო ჟურნალისტთა დღეები, რომელიც გაზეთ „ივერიის“ გამოცემის 126-ე წლისთავს მიეძღვნა. იმავე დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II შეხვდა მასმედიის წარმომადგენლებს - გაზეთების რედაქტორებს, ტელეკომპანიების თანამშრომლებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წარმოსთქვა:

„ქალბატონებო და ბატონებო,

მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრით. უპირველეს ყოვლისა, გილოცავთ დიდმარხვას. უკვე განვლო მარხვის ერთმა კვირამ და ხალხის ნაწილი სულიერად ემზადება აღდგომისათვის. ღმერთმა ინებოს, რომ მშვიდობიანი აღდგომა გაგვითენდეს.

ასევე გილოცავთ ჟურნალისტის დღეების დაწყებას. მინდა ვთქვა, რომ ჟურნალისტებს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა გაკისრიათ, თქვენზე დიდად არის დამოკიდებული, როგორ დღევანდელი დღე, ისე - მომავალი. მითუმეტეს ახლა, როცა წინ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები გველის.

რა თქმა უნდა, სხვადასხვა პარტიებს შორის დიდი პოლიტიკური დაპირისპირებაა მოსალოდნელი, ყველას მეტი ხმის მიღება უნდა, რათა პარლამენტში საკუთარი წარმომადგენელი ჰყავდეს, მაგრამ ხშირი შემთხვევაა, როცა ამ მიზნის მისაღწევად პოლიტიკოსები უკადრის საქციელს არ ერიდებიან და ხშირად ჟურნალისტებსაც თანამონაწილედ იხდიან.

საერთოდ, ჩვენი ტელევიზია, ჩვენი პრესა ცოტა მძიმეა ხალხისთვის. მე იმის მომხრე კი არა ვარ, რომ უარყოფითი მხარეები დავფაროთ, მაგრამ ჩვენი მასმედია იმდენად გაჯერებულია უარყოფითი ინფორმაციით, რომ ხალხს მომავლის იმედი ეკარგება - ჟურნალისტებმა მეტი მონდომება უნდა გამოიჩინოთ, რომ ის კარგიც, რომელიც, მართალია, ძალიან ცოტაა, ნათლად გააშუქოთ, რომ საზოგადოებას სტიმული მისცეთ.

ჩემი აზრით, ყველანაირი უარყოფითი მოვლენის შესახებ წერაც არ შეიძლება, ჩვენს დროში ზოგი მეტად საშინელი, ავადმყოფური ამბავი ხდება, რომლის ასახვაც მიუღებლად მიმაჩნია, რადგან უარყოფითი მოვლენები ხშირად სხვათათვის მისაბაძი ხდება.

მე ვერ ვხსნი, რატომ მოსწონს ადამიანს უფრო უარყოფითი ინფორმაცია, ვიდრე დადებითი. ვფიქრობ, სიტუაცია გაჯანსაღებას მოითხოვს, მითუმეტეს, ახლა, არჩევნების წინ. მე თქვენგან მინდა მოვისმინო. რა შეიძლება გაკეთდეს?

რაც შეეხება ეკლესიას, მინდა ვთქვა, რომ უცოდველი, უნაკლო ადამიანი არ არსებობს. ლოცვაში წერია, რომ "არა არს კაცი, რომელი ცხონდეს და არა სცოდოს", ე.ი. არც ყოფილა, არც არის და არც იქნება მთლად უცოდველი ადამიანი. უცოდველი მხოლოდ უფალია. მარხვის დროს იკითხება დიდი სულიერი მამის, ეფრემ ასურის ლოცვა - "ჰე, უფალო, მომანიჭე მე განცდაი თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა", ე.ი. ვისაც გააჩნია განცდა თვისთა ცოდვათა, ვინც ხედავს თავის თავს, ის მხოლოდ საკუთარ თავზე იფიქრებს. ჩვენ რატომღაც ყოველთვის სხვის გამოსწორებაზე ვფიქრობთ, სხვას ვამხილებთ, საკუთარ თავს კი არ ვუღრმავდებით. "განცდაი თვისთა ცოდვათა" ძალიან ნაკლებად არის ჩვენში, მაშინ, როცა ეს გამოსწორებისა და წინსვლის ერთადერთი გზაა; ეს ორი მცნება - საკუთარი ცოდვილობის შეგრძნება და სხვათა განუკითხველობა. საოცრად არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთი მეორისაგან გამომდინარეობს, თუ ადამიანს გააჩნია ცოდვების განცდა, სხვას აღარ განიკითხავს.

ხანდახან ამბობენ, ჟურნალისტები დაკვეთით წერენ, დაკვეთით მუშაობენო. მაგალითად, როცა ვინმეს სხვა ადამიანის დამცირება უნდა, ჟურნალისტს მის საწინააღმდეგო სტატიას უკვეთავს... ღმერთმა დაგიფაროთ ასეთი საქმისაგან. ეს არის სულის გაყიდვა, ეს იგივეა, რომ ადამიანმა ეშმაკს მიჰყიდოს სული".

საუბარი შემდეგ ჟურნალისტიკის ზოგად პრობლემებს შეეხო. გამოითქვა სურვილი, გამოვიდეს თავად ჟურნალისტებისათვის განსაზღვრული პერიოდული გამოცმა ჟურნალისტიკური ეთიკის შესახებ. ერთხმად აღინიშნა, რომ ჟურნალისტს კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული თავისი მოღვაწეობის მიზანი. აზრი გამოთქვეს სტუდენტებმაც; ნამდვილი ჟურნალისტი სენსაციებს კი არ უნდა ეძებდეს, არამედ ყოველთვის მორალური კანონებით უნდა ხელმძღვანელობდს და, პირველ რიგში, პიროვნებას, ადამიანს სცემდეს პატივს. სამშუხაროდ, დღევანდელი ყვითელი პრესა ამ მოთხოვნებს თითქმის საერთოდ ვერ ასრულებს.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II ამის თაობაზე თავისი მოსაზრება გააცნო ჟურნალისტებს:

"რა თქმა უნდა, ცენზურის არსებობა მიუღებელია. ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი, რომ ჟურნალისტთა საბჭომ თუ კავშირმა, ხანდახან გამოთქვას თავისი უარყოფითი შეხედულება ამა თუ იმ პუბლიკაციაზე. შეაფასოს, იყო თუ არა ზნეობრივი მისი გამოქვეყნება. როცა უარყოფით ინფორმაციაზე არავინ რეაგირებს, გამოდის, რომ საზოგადოება ღებულობს ამას, განა ასე შეიძლება?

ერთი რამ უნდა ითქვას: ჩვენი ცხოვრება სამოთხე არასდროს იქნება,. ერთი დიდი მღვდელმთავარი ამბობს: ჩვენ გვინდა სამოთხე ავაშენოთ დედამიწაზე, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ დედამიწა სამოთხიდან განდევნილ ადამიანთა სამყოფელიაო. პრობლემები ახლაც არის და მომავალშიც იქნება, ვიდრე კაცობრიობა იარსებებს. ჯერ კიდევ რომაელები ამბობენ: "დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მათთან ერთად". დრო სულ ახალ-ახალ წინააღმდეგობებს შემოგვთავაზებს, მასთან მიმართებაში კი ჩვენი საზომი, მოქმედების კრიტერიუმი უნდა იყოს ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე დაყრდნობილი ზნეობა. ჟურნალისტიკა საზოგადოებას წინ უნდა უძღოდეს, ვფიქრობ, საბოლოოდ ყველაფერი გამოსწორდება.

კიდევ ერთხელ გილოცავთ საზეიმო დღეების დაწყებას და გისურვებთ დიდ წარმატებებს".

დიალოგი

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და ვერიკო ანჯაფარიძე

ბოლო დროს ხშირად შემოდიოდა სიონშიც. იდგა გარინდებით. დიდხანს... ვიდრე სანთელი არ ჩაიწვებოდა. მეგობრობდა კათალიკოს-პატრიარქთან. უყვარდა... ჩემი უკანასკნელი სადგური თქვენთან არისო, ეუბნებოდა. ამშვიდებდა მკვდარ შვილზე საუბარი მწყურვალივით ვეწაფები თქვენს სიტყვებსო, ეუბნებოდა...

მე მახსოვს მათი პირველი შეხვედრა...

ეს იყო 1981 წელს, საპატრიარქო რეზიდენციაში... დედაშვილივით თბილი ალერსიანი... ცრემლიც კი გაუბრწყინდა თვალებში, მაგრამ მხოლოდ ერთი წამით. შემდეგ გაიღიმა. მე ძალიან მინდოდა თქვენი გაცნობა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თქვენზე ლეგენდები დადის... მერეც... ამ ბოლო დროს, რაც ხანი გადის, ეკლესია მეძახისო... სამწუხაროდ, ამ უაღრესად საინტერესო საუბრის მხოლოდ ფრაგმენტი შემომრჩა... ვფიქრობ, მკითხველისათვის მაინც საინტერესო იქნება იგი...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — იმედი დიდი ძალაა. ღამით სასაფლაოზე ბავშვი შეხვდა კაცს. ბავშვი კანკალებდა შიშით. შენ არ გეშინიაო? — ჰკითხა. არა. აბა, გაიხედე. იმ შუქს ხედავ? აი, იმას ვუყურებ, მივსდევ. იქ სოფელია. სოფელში კი იმედიაო...

ვერიკო ანჯაფარიძე — დიახ, იმედი რომ არ იყოს, რა გვეშველებოდა. იცით, მე მომიკვდა შვილი... ძალიან მიჭირს. მოულოდნელად ენერგია მომემატა... დიდი წყურვილი მქონდა, რაღაც ხმამაღლა მეთქვა და მივუძღვენი შვილს იბსენის „მოჩვენებანი". მითხარით, არის თუ არა სხვა სამყარო... გწამთ? იცით?...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — რასაკვირველია. მე ეს მწამს.

ვერიკო ანჯაფარიძე — იცით, მე მატერიალისტი ვარ და ამიტომ ისეთ კითხვებს გისვამთ... არ გაგიკვირდეთ. რწმენამდე როგორ მიდის ადამიანი?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ორი გზა არსებობს... უბრალო, სტიქიური და ცოდნით. სამწუხაროდ, მოკლებული ხართ დიდ ლიტერატურას, რომელიც არსებობს ამის შესახებ. რომ გაცენოთ მას, მაშინ ეჭვი აღარ გექნებათ. არსებობს გარდაცვალება და არა მოსპობა.

ვერიკო ანჯაფარიძე — ის ავტორები ალბათ, — ფანატიკოსები არიან.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II —- არა, მე მოგახსენებთ ნამდვილ მეცნიერებაზე; მაგალითად ასტრონომებზე. დიდ დაკვირვებებს ახდენენ ისინი. ძალზე საინტერესოა მაგალითად, — თუნდაც, უკანასკნელ ხანს, კლინიკურ სიკვდილზე დაკვირვებები, ნამდვილად ძალიან საინტერესო. ყოველივე ეს ძალიან გვაახლოებს იმ ქვეყანას... თქვენ რომ ბრძანეთ, მატერიალისტი ვარო, ყველა ვართ მატერიალისტი, ოღონდ ესაა, ურწმუნო არ უნდა ვიყოთ. მატერია მაინც მკვდარია. მას განაგებს სხვა ძალა და ეს არის ღმერთი.

ვერიკო ანჯაფარიძე — რა არის ღმერთი...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ძალა, უზენაესი ძალა. შესანიშნავად ამბობს იოანე ღვთისმეტყველი — ღმერთი არის სიყვარული. მატერიას არ უნდა მივანიჭოთ ისეთი ძალა და უფლება, რაც ღმერთს ეკუთვნის. მატერია თავისთავად უაზრო. ის კანონებს ვერ შექმნიდა.

ვერიკო ანჯაფარიძე — თქვენ რასაც ამბობთ, ამის მარტო ჭკუით აღქმა კი არა, განცდითაც ძნელია... მე მგონია, ამისათვის საჭიროა ის გარემოცვა, რაც თქვენ გაქვთ. მე ვიცი, რა არის მარტოობა. საშინელ ორომტრიალში ვცხოვრობ. ბევრ ხალხთან მიხდება ურთიერთობა, მაგრამ მაინც შემიძლია მარტო ვიყო.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — პირობებს თვითონ ადამიანი ქმნის. მთავარი ფაქტორი მაინც ადამიანია. არავის არ ექნება ისეთი ცუდი პირობები, როგორიც მე მაქვს. ხალხი ბევრი, საწუხარიც ბევრი, ცხადია, კარგიც ბევრი... მაგრამ ჩვენ მაინც ვპოულობთ დროს ლოცვისთვის...

ვერიკო ანჯაფარიძე — ლოცვა გაძლევთ სიმშვიდეს?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — დიახ. მაძლევს. მე გასწავლით ერთ ლოცვას.

ვერიკო ანჯაფარიძე — მასწავლეთ...

კათოლიკოს პატრიარქი ილია II — „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შეგვიწყალენ ჩვენ ცოდვილნი". სხვათა შორის ჩვენი წინაპრები, რომელთაც არ ჰქონდათ პირობები დასვენებული ცხოვრებისათვის, ამ ლოცვით ცხონდნენ.

ვერიკო ანჯაფარიძე - "უფალო, იესო ქრისტე... ძეო ღვთისაო, შეგვიწყალენ ჩვენ ცოდვილნი"... რა კარგია. ყოველდღე წავიკითხავ, უთუოდ!

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II – შესანიშნავია. ამ ლოცვას აქვს 2000 წლის ისტორია. ამას განსაკუთრებით ხშირად იმეორებდნენ უდაბნოში, ბერები... ძალიან ძლიერია. თქვენ იგრძნობთ სიმშვიდეს. ხატი გაქვთ?

ვერიკო ანჯაფარიძე – დიახ. მაქვს ხატი...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II – ასევე კანდელიცაა საჭირო... უნდა დაანთოთ და ილოცოთ... ყველგან შეიძლება ილოცოთ. ადამიანი მუდამ ღმერთთანაა ამ ლოცვით. თქვენ სწორი ბრძანეთ... ჩვენ ძალიან მატერიალისტები ვართ. ადამიანი შესდგება ორი სუბსტანციისაგან. ორივეს სჭირდება საზრდო. ჩვენ ძალიან ბევრს ვფიქრობთ ჩვენს ცხოვრებაზე, სულზე ცოტას... წუთებს. იმ დროს, როცა სული მთავარია.

ვერიკო ანჯაფარიძე – მაგრამ მატერია ხომ საყრდენია.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II – დიახ. მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ მიწიერი ცხოვრება ეტაპია. მთავარი იქაა, ჩვენი სამშობლო იქაა. დიდი საქართველო იქაა.

ვერიკო ანჯაფარიძე – თქვენ ეს გწამთ?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II – მწამს... მე იცით, ეს როდის ვიგრძენი? როცა ლოცვის დროს მოვიხსენიე ჩვენი მეფეები და პატრიარქები... ვიგრძენი კავშირი იმათთან, მათი დახმარება. ეს კავშირი საჭიროა ყველასთვის, თქვენთვისაც. თქვენი შვილი მკვდარი არაა.

ვერიკო ანჯაფარიძე – მე მას ხშირად ვხედავ სიზმარში და მოვდივარ სიონში. მე მასთან კავშირი არ გამიწყვეტია. იცით, რა, ბატონო ილია, ცხოვრებაა სასტიკი.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II – ცხოვრება იმონებს ადამიანს. ყველას კი არ შეუძლია ცდუნებიდან თავის დახსნა. მიეცემა დროის მდინარებას... ზოგი ფიქრობს, აქ ვიყო კარგად და იქ რაც იქნება, იყოსო. მართალია, მიწიერნი ვართ, მაგრამ იმის უნარი უნდა გვქონდეს, რომ ცოტათი ავმაღლდეთ.

ვერიკო ანჯაფარიძე – მართალს ბრძანებთ. უწინ იყო ასეთი ხალხი. ახლა ყველაფერი უფრო და უფრო ვიწროვდება. ლოკალური ხდება. პირობებიც ხომ საჭიროა...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II – დიახ. მაგრამ მთავარი მოქმედი პირი მაინც ადამიანია. სიკეთესა და ბოროტებაში ადამიანი მუდამ მონაწილეობს. აი, მე გახლდით ახლახან საფრანგეთში. მქონდა საუბარი იქაურ ქართველებთან. ყველა მორწმუნეა. ერთმა არქიტექტორმა, კობახიძეა გვარად, მითხრა რომ რთულია მისი ყოფა-ცხოვრება, დღე და ღამ შრომაში ვარო. ბოლოსდაბოლოს, თქვენთვის თუ გრჩებათ დრო-მეთქი, ვკითხე. – კი, განსაზღვრული დრო მაქვსო.

ვერიკო ანჯაფარიძე – დიახ. მეც ვიყავი საფრანგეთში... იქ უფრო შენახულია სარწმუნოება, იმათ კიდევ ილუზიები აქვთ...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II – სამწუხაროდ, ეს ილუზიები უკვე ქრება, იყო ერთი დიდი მეცნიერი ტერტულიანე. ის ამბობს, რომ ყოველი ადამიანის სული ბუნებით ქრისტიანია. ადამიანს მუდამ ახასიათებს სულიერი კავშირი ღმერთთან, როდესმე ეს გამოჩნდება და ვერავითარი მიწიერი კეთილდღეობა ვერ შეცვლის სულის მოთხოვნებს.

ვერიკო ანჯაფარიძე – ნამდვილად. მეც მჯერა ეს.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II – უნდა ვეცადოთ, მივყვეთ სულის ხმას... არ დავკარგოთ კავშირი... ეს აუცილებელია.

ვერიკო ანჯაფარიძე – ბატონო ილია, თქვენ გეცოდინებათ ქრისტეს სუდარა რომ იპოვეს, ტურნის სუდარა...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II – დიახ... შენახულია ის ფარჩა.

ვერიკო ანჯაფარიძე – ღმერთო, რა საინტერესოა. თქვენ გჯერათ?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II – რა თქმა უნდა. საქმე იცით რაშია? თანამედროვე ადამიანს ყველაფრის ცოდნა ადგილს აღარ უტოვებს რწმენისათვის. ადრე ქრისტეს რეალურ არსებობასაც კი უარყოფდნენ, ახლა აღიარებენ, თუ ხელი მიგიწვდებათ და 1980 წლის ჟურნალ „ნაუკა ი ჟიზნის“ პირველ ნომერს ნახავთ, ზუსტად ამის შესახებ წერია შიგ. პირველი საუკუნის მწერლებს აღწერილი აქვთ იესო ქრისტეს ცხოვრება... ეს ყოველივე სინამდვილეა.

ვერიკო ანჯაფარიძე – მამშვიდებს თქვენთან საუბარი... იცით, იმდენს ვიძახი ღმერთო, ღმერთო და არ ვიცი...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II – ჩვენ ვილოცებთ თქვენთვის, რომ ღმერთმა გაგაძლიეროთ.

თინათინ კობალაძე.
„ჯვარი ვაზისა“
1987 წ.

პატრიარქი და ქართული მწერლობა

წმიდა ლაზარეს სახელს უკავშირდება ქართველთა უძვირფასესი საუნჯის, - ქართული ენის სულიერი ძალა. იგი არის წინა სახე ამ ენის შემდგომი დიდებისა, ამიტომაც ჩვენმა ეკლესიამ ლაზარეს შაბათს დაადგინა ქართული ენის დღესასწაული.

ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელია ენა ქართული, ვითარცა გონება და სიყვარული. მისი სათავე ისევე უცნობია, როგორც მელქისედეკ მამათმთავრისა. მასშია მთელი საქართველო... გაზაფხულზე გაშლილი პირველი ვარდივით მშვენიერია იგი და ახლად ამოსული მზის ცხოველმყოფელი სხივივით საამო, ცისფერია მისი სამოსი, ზეცაა მისი საწყისი; უფალია მისი მშობელი და მფარველი. სიტყვა მისი მჭრელია, ვით დავით აღმაშენებლის ხმალი, ძლიერია, როგორც სვეტიცხოველი, და ნაზი, ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდული დილის ნამი.

მართალია, ჩემი პატრიარქობის დროს ეკლესიები აშენდა, გამრავლდა სასულიერო სასწავლებლები და ეპარქიები, მორწმუნეები, მაგრამ მე ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გაკეთდა არის ის, რომ შვიდგზის ლოცვა აღდგა.

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვა ჟურნალ „მნათობის“ პრეზენტაციაზე

კათოლიკოს-პატრიარქის ფონდი, 30 სექტემბერი, 2006 წელი

ქალბატონებო და ბატონებო!

უპირველეს ყოვლისა, ყველას გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს, გილოცავთ იმას, რომ ჩვენ ერთად ვართ, ერთად ვზეიმობთ ჟურნალ „მნათობის“ გამოცემის განახლებას.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და ამიტომ ყოვლად შეუძლებელი და წარმოუდგენელია, რომ იგი დაიღუპოს. საქართველო აუცილებლად გადარჩება და მას აუცილებლად ექნება ნათელი მომავალი!

ჟურნალ “მნათობის“ გამოცემა ჩვენი ერის სურვილით განახლდა; ეს ჩვენი ერის სულის მოთხოვნილებაა და ამიტომ არაფერია საკვირველი, რომ მისი გამოცემა მოხერხდა.

მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჟურნალის რედაქტორს, ბატონ თამაზ ჭილაძეს და განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა იმისათვის, რომ მან დახმარებისათვის მე მომმართა. ხომ შეიძლებოდა მას სხვებისთვის მიემართა? რა თქმა უნდა, შეეძლო.

მწერლობა, ლიტერატურა არ შეიძლება წაიშალოს, არ შეიძლება დაეცეს ჩვენს ქვეყანაში. პოეზია, პროზა - ჩვენს სულშია, ჩვენს სულიერ სამყაროშია. მახსენდება ერთი შემთხვევა, ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპისა და პატრიარქის მიერ მიწვეული ვიყავი ეგვიპტეში. ჩავედით, საკმაოდ დიდი დელეგაციით. დავათვალიერეთ ალექსანდრია, ქაირო, მოვილოცეთ სიწმინდეები. თქვენ იცით, ალექსანდრია განთქმული იყო ცნობილი ბიბლიოთეკით და ასევე ალექსანდრიის სკოლით, ახლა, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი აღარ არსებობს, მაგრამ მაინც იქ იმ ძველი დიდების რაღაც საოცარი სული ტრია-

ლებს; იგრძნობა კლიმენტი ალექსანდრიელისა და სხვა ალექსანდრიელი წმინდა მამების კვალი.

შემდეგ ჩვენ წავედით სინას მთაზე. დიდი და ძალიან კომფორტული მანქანა დაგვითმეს. ჩვენთან ერთად ბრძანდებოდა ალექსანდრიის პაპი და პატრიარქი თავისი თანმხლები პირებით, იყვნენ ასევე რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლებიც, მანქანაში სხვადასხვა თემებზე ვსაუბრობდით, საკმაოდ დიდი გზაა ქაიროდან სინას მთამდე. მანქანას გავაჩერებდი და გარეთ გამოვიდოდით, მაგრამ 5 წუთიც ვერ ვჩერდებოდით, ისეთი მცხუნვარე მზე იყო, მაშინ ასეთი იდეა დამებადა: შევთავაზე მოდით, შეევეჯიბროთ, ვინ უკეთ იცის თავისი პოეზია და ვის უფრო მდიდარი პოეზია აქვს - ბერძენ ხალხს, რუსს თუ ქართველებს-მეთქი. ჩვენ, ორი პატრიარქი შევთანხმდით, და პირველობა, რა თქმა უნდა, ბერძნებს დავუთმეთ. ერთი მიტროპოლიტი გამოვიდა და ალბათ თხუთმეტიოდე წუთი ილაპარაკა. ცნობილი ავტორების ლექსებს კითხულობდა. შემდეგ რუსებს მოვუსმინეთ. ერთმა რუსმა არაფერი იცოდა თავისი პოეზიიდან; წამოიწყო: "Однажды в студенную зимнюю пору..." რამდენიმე სტრიქონი თქვა და დადუმდა, ის ლექსიც არ ახსოვდა ბოლომდე. ჩვენს დელეგაციაში ბრძანდებოდა მიტროპოლიტი კონსტანტინე მელიქიძე. მან მთელი "ვეფხისტყაოსანი" და დავით გურამიშვილის პოეზია ზეპირად იცოდა. მისი რიგი რომ მოვიდა, კითხვა დაიწყო, გავიდა ნახევარი საათი, ის კი მაინც არ ჩერდებოდა. ბოლოს მე ვუთხარი, მეუფეო, დაამთავრეთ, თორემ უხერხულია ამათ წინაშე-მეთქი.

ამით ის მინდა ვთქვა, რომ ქართველ ერში მშობლიური ლიტერატურის სიყვარული არასოდეს ჩაკვდება!

ჩინური ფილოსოფიის მიხედვით ერისა და ადამიანის ცხოვრება ამაღლებისა და დაცემისაგან შედგება. ერთხელ ჩვენთან სტუმრად იყო უცხოელების დელეგაცია, მათ შორის ერთი ჩინელიც ბრძანდებოდა, მე მას ვკითხე: როგორ შეეძლო ჩინეთს, რომელსაც გააჩნია ასეთი ბრწყინვალე ფილოსოფია, გაეზიარებინა კომუნისტური იდეები? მან მიპასუხა: ერის ცხოვრება დაცემისა და ამაღლებისაგან შედგება და ჩვენ ახლა სწორედ დაცემის პერიოდში ვიმყოფებითო.

არც ჩვენ უნდა გვიკვირდეს ის, რომ იყო პერიოდი, როდესაც შეჩერდა ლიტერატურული ჟურნალების გამოცემა. ქართველი ადამიანის გულში არასდროს შეჩერდება ის პროცესები, რომელიც ფესვგამდგარია ჩვენს სულში.

მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ზოგადად ქართული ლიტერატურის შესახებ. მართლაც, ლიტერატურამ ეკლესიის წიაღში დაიწყო აღმავლობა.

თქვენ კარგად იცნობთ კორნელი კეკელიძის "ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიას". მართლაც, საოცარი შრომა გასწია ამ ადამიანმა. იგი იძულებული გახადეს, გაეხადა ანაფორა და შეეწყვიტა ღვთისმსახურება, გააძევეს სიონის ტაძრიდან, მაგრამ ის შინაგანად ეკლესიის წიაღში დარჩა.

რა იქნებოდა, რომ არ გვქონოდა ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა? ვერ აღორძინდებოდა ის საერო ლიტერატურა, რომელსაც ასე ვეთაყვანებით და რომლითაც ასე ვამაყობთ! ვერც დამკვიდრდებოდა იგი ასე ქართველი ადამიანის გულში.

მინდა ვთქვა, რომ ქართული ლიტერატურა იყო, არის და იქნება წინამძღოლი, მაგრამ, ამავე დროს, ის უნდა იყოს წინასწარმეტყველი! საკმარისი არ არის, გავაშიშვლოთ ჩვენი ჭრილობები, ჩვენი ნაკლი, მთავარია, ვთქვათ, თუ რა წამალი არსებობს მათ განსაკურნებლად!

ღმერთმა დაგლოცოთ!

ჩვენთან არს ღმერთი!

თამაზ ჭილაძე

ჟურნალ „მნათობის" პრეზენტაციაზე

უპირველეს ყოვლისა, მინდა უღრმესი მადლობა მოვახსენო უნეტარესსა და უწმინდესს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, ეს მისი შემწეობითა და პირადი თაოსნობით ვდგავართ დღეს იმ დიდებული ფაქტის წინაშე, რომ ქართული მწერლობა, კერძოდ ჟურნალი "მნათობი", რომელიც უწმინდესმა ერთ-ერთი საუბრის დროს "პატარა ეკლესიად" მონათლა ისევ არსებობს, ისევ განაგრძობს თავის მოღვაწეობას და ხალხს იმედის ძალას აგრძნობინებს. დიდი მადლობა მინდა მოვახსენო საპატრიარქოსთან არსებულ კულტურის გადარჩენის ფონდს, მის საბჭოს, საბჭოს ყველა წევრს იმ ყურადღებისთვის რომელიც მათ ჟურნალის მიმართ გამოიჩინეს.

დიდი მადლობელი ვარ ყველასი, ვინც გულთან ახლოს მიიტანა ჟურნალ „მნათობის" გასაჭირი, მათი ერთი საუკეთესო ნაწილი დღეს აქ, საპატრიარქოს ფონდის სხდომათა დარბაზში ბრძანდება და ჩვენთან ერთად იზიარებს იმ დიდ სიხარულს, მე ვიტყოდი - სიამაყეს, რომ ჩვენ ვართ და ვიქნებით მუდამ, იმიტომ რომ, ყველაზე დიდი მფარველი გვყავს ამ ქვეყნად - ღმერთი, ღმერთი ჩვენთან არის!

დღეს ყველასთვის აშკარა ხდება, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია და არც სურვილი აქვს კულტურას მიეხმაროს. საკვირველი კია, რადგანაც ყველა სახელმწიფო, თვით რუსეთიც კი, დღეს კულტურაზე ზრუნავს, იმიტომ რომ, უპირველეს ყოვლისა, მომავალზე ფიქრობს. კულტურაზე ზრუნვა მომავალზე ფიქრია. ერი, რომელიც თავის კულტურაზე არ ფიქრობს, მომავალზეა ხელჩაქნეული. ჩვენ ასეთი ერი არა ვართ. ეს ჩვენმა დედა-ეკლესიამ დაგვანახვა კიდევ ერთხელ.

ჟურნალი „მნათობი“ არასოდეს გარეულა პოლიტიკურ ბატალიებში. პოლიტიკამ შეჭამა არა მარტო სულიერი, საერთოდ ჩვენი ცხოვრება, შეიქმნა ისეთი აბსურდული ვითარება საქართველოში, თითქოს ხალხს პოლიტიკის მეტი აღარაფერი ჭირდებოდეს. მთავარი ფიგურა ქართველი ხალხის გახდა პოლიტიკოსი. ეს ძალიან დრამატული და შემაშ-ფოთებელი ვითარების აღმნიშვნელია. ჟურნალ „მნათობს“ თავიდანვე მიაჩნდა და დღეს, რა თქმა უნდა, განაგრძობს ჩვენი დიდი წინაპრების დაწყებულ საქმეს და იმ რწმენით ცხოვრობს და მოქმედებს, რომ ქართველთა ყველაზე დიდი პოლიტიკა დღევანდელ დღეს კულტურის სამსახურია, რასაკვირველია, ეროვნულ დამოუკიდებლობასთან ერთად. ეროვნულად დამოუკიდებელი ერი, უპირველეს ყოვლისა, თავის კულტურაზე უნდა ფიქრობდეს, გვექნება კულტურა, გვექნება მომავალი! - ეს ჭეშმარიტებაა და ჩემგან არავის ესწავლება. მე ვწუხვარ, რომ ჩვენში ეს ასე არ არის. ბოლოს და ბოლოს, თავისუფლება კულტურის ენით მეტყველებს. ერთადერთი ენა თავისუფლებისა კულტურაა, ამის დავიწყება არ შეიძლება, მე ვიტყოდი - ამის დავიწყება საბედისწეროა. პოლიტიკის გაბატონების გამო, ჩვენს თვალწინ ზოგიერთები ცდილობენ, გაჰყონ ჩვენი ხალხის ერთიანი კულტურა “გუშინდელ“ და “დღევანდელ“ მოვლენებად. ეს, სხვა თუ არაფერი, შთაგონებულია ლენინური თეორიით “ერთი ხალხის ორი კულტურის შესახებ“, რომელიც თავის დროზე იქცა სამოქალაქო ომის იდეოლოგიურ ბაზისად. და ის არის ძალიან საყურადღებო და ძალიან საგანგაშო, რომ ჩვენთან კულტურის ასეთი დაყოფა აშკარაა. ვის ვუტოვებთ, ვის მიღწევად ვთვლით, ვის ვაბარებთ იმ დიად მიღწევებს, რომელიც წარსულში, გუშინ ჰქონდა ჩვენს მეცნიერებას, ჰქონდა ჩვენს ხელოვნებას, ჰქონდა ჩვენს მწერლობას - ცარიზმს? კომუნისტებს? ვაბარებთ და უარვყოფთ მას? არა, ეს ქართველი ხალხის დიადი მონაპოვარია, ამ მონაპოვარს კი ერთადერთი დრო აქვს - მარადისობა! არ არსებობს კულტურის დრო. კულტურა, რომელიც დღეს იწყება, არ შეიძლება კულტურად ჩაითვალოს, კულტურა, როგორც კაცობრიობა, შორეული წარსულიდან მოდის. არ შეიძლება სხვანაირად მისი წარმოდგენა და ყოველი სხვანაირი წარმოდგენა სახიფათო და საგანგაშოა. გუშინდელი და დღევანდელი კულტურების ასეთი დაპირისპირება იწვევს კიდევ უფრო დიდ უბედურებას: ეს არის არა მამათა და შვილთა ნორმალური, ლოგიკური და სასურველი დაპირისპირება დიელაქტიკური განვითარებისთვის, არამედ გერებისა და მამინაცვლების ბიოლოგიური სისასტიკით აღბეჭდილი ბრძოლა. აი, სადამდე მივდივართ, მეგობრებო! ადამიანებს ეშინიათ თავიანთი ასაკისა - ეს არის ყველაზე საბედისწერო რამ, რაც კი ჩვენ ამ ბოლო დროს განვიცადეთ. აქედან უკვე ერთი ნაბიჯია უპატრონოთა თავშესაფრებამდე და უფასო სასადილოებამდე, რომლებიც სიღატაკის ნიშანია და არა წარმატებისა.

ჩვენ, სხვათაშორის, მართლაც შეგვიძლია დღევანდელ დღეს ავაშენოთ ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფო, რა თქმა უნდა, თუ ზოგიერთი დაგვაცლის, მაგრამ უარყო და დაუპირისპირდე შენს წარსულს, ტრადიციებს, შენი ხალხის ადათ-წესებს, ცხოვრების თავისებურებას, ეს იმას ნიშნავს, რომ ავაშენოთ ძლიერი, მდიდარი სახელმწიფო და... დავკარგოთ სამშობლო! ეს კი საშინელებაა. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ იმ დიად ცნებას, რასაც სამშობლო ჰქვია და რომლის დასაცავად მახვილიანი ბერის აჩრდილიც დგას. ჩვენმა ხალხმა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე თავისი სიცოცხლითა თუ სიკვდილით დაამტკიცა, რა არის სამშობლო. ამიტომ, კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოვახსენებ ჩვენს ეკლესიას, პირადად კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს და მთელ ქართველ ერს, რომელმაც უდიდეს გაჭირვებას გაუძლო, მაგრამ იმედი მაქვს, ეღირსება ადამიანური ცხოვრება, მას ხომ ჯერ არასოდეს ადამიანურად არ უცხოვრია! მოდი, ვუსურვოთ მას ღირსეული მომავალი და „მნათობი“ ჩავთვალოთ, მივიჩნიოთ ერთერთ იმ ჯარისკაცად, რომელიც საქართველოს მომავალს ემსახურება.

დიდი მადლობა!



უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II საკვირაო ქადაგება

სიონის საკათედრო ტაძარი, 2000 წელი, 25 ივნისი

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა!

ჩვენთან არს ღმერთი!

წმიდა მეფე და წინასწარმეტყველი დავითი ამბობს: „დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველი არიან საქმენი შენნი“. მართლაც საკვირველია ყოველი საქმე უფლისა და ხშირად ღვთის განგებას ადამიანის გონება ვერ სწვდება. ამის მისაღწევად კი საჭიროა: ჭეშმარიტი სარწმუნოება, სიყვარული და სასოება — იმედი.

დღეს დიდი დღესასწაულია, რომელიც წელიწადში ერთხელ აღინიშნება. ესაა წინასწარ-მეტყველთა, მოციქულთა, მღვდელმთავართა, ღირსთა მამათა და მოწამეთა ხსენების დღე. წარმოიდგინეთ, მსოფლიო წმიდათა შორის რამდენი ქართველი წმიდა მოწამეა! თქვენ იცით, რომ ჯალალ-ედ-დინის შემოსევისას მარტო თბილისში 100 000-ზე მეტი ქართველი ეწამა. ალბათ, მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ქვეყანა და ისეთი ეკლესია, რომელსაც იმდენი წმიდანი ჰყავდეს, რამდენიც საქართველოს. აი, ამიტომაა დღეს ბედნიერი დღე.

ყოველი ჩვენთაგანი ამა თუ იმ წმიდანის სახელს ატარებს და ჩვენი წმიდანების დღესასწაული ხომ ჩვენი დღესასწაულიცაა.

სწორედ ამ დღეს დაემთხვა ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა — ჩვენი დიდი პოეტის — გალაკტიონ ტაბიძისათვის წესის აგება. 41 წელი დასჭირდა იმას, რომ შესრულებულიყო ეს საიდუმლო. თქვენ იცით, რომ 1959 წლის 17 მარტი სამგლოვიარო დღედ იქცა მთელი საქართველოსათვის — გაურკვეველი მიზეზების გამო ტრაგიკულად გარდაიცვალა გალაკტიონ ტაბიძე. ამ ფაქტის შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობდა და არსებობს დღესაც, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მან ისეთი მძიმე პერიოდი გამოიარა, რომ ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა შერყეული ჰქონდა. ამიტომ, ღვთის წყალობით, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ წესი ავუგოთ მას. თქვენ იცით, რომ გალაკტიონის მამა სასულიერო პირი იყო — კეთილმოწესე. ანუ როგორც იმ დროს ეწოდებოდა „ბლაღოჩინი“.



გალაკტიონმა დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, თბილისის სასულიერო სემინარია. იყო პედაგოგი, მიიღო მრავალი ჯილდო, გახდა აკადემიკოსი, სახალხო პოეტი და ა.შ. მაგრამ მთავარი რაც არის — იგი იყო ჭეშმარიტი ქრისტიანი, ჭეშმარიტი თავდადებული ქართველი. იგი იყო, მართლაც, მეფე პოეტებისა, მან დაიპყრო ისეთი მწვერვალები, რომელსაც სხვებმა ვერ მიაღწიეს.

ამქვეყნად ყველაზე დიდი საიდუმლო თვითონ ადამიანია. იგი საერთოდ სასწაულს ეძებს. ყველაზე დიდი სასწაული კი თვითონ არის. ერთხელ, როდესაც ორი ასტრონომი საუბრობდა. ერთმა თქვა: მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში ვსწავლობ პლანეტებს, ვარსკვლავებს, ვაკვირდები მათ სხვადასხვა საშუალებებით, მაგრამ არასდროს დამინახავს ღმერთიო. მეორე ასტრონომმა უპასუხა: ერთი რამ დაგავიწყდა: შენ ჯერ უნდა ჩაიხედო შენს გულში, შეისწავლო და განიწმინდო საკუთარი თავი, რადგან ღმერთს მხოლოდ სუფთა გულში დაინახავო. აი, სწორედ ეს ავიწყდება ადამიანს.

ადამიანი მართლაც, საოცარი ქმნილებაა, უფრო სწორედ, ქმნილებათა გვირგვინია.

ერთ ბავშვს ჰკითხეს: როგორ წარმოგიდგენია ღმერთიო? მან უპასუხა: ღმერთი ისეთი დიდია, რომ მას ვერ იტევს ცა და ქვეყანა, მაგრამ ამავე დროს, ისეთი პატარაა, რომ ჩემს გულში ეტევაო. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენს გულში დაივანოს უფალმა.

სახარებაში წერია, მაცხოვარი ბრძანებს: თქვენ ხართ ტაძარი სულისა წმიდისა. აი, ამისთვის არის მოწოდებული ადამიანი. მან ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ სულიწმიდის ტაძრად იქცეს. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი ასპარეზია სიკეთისა და ბოროტების ბრძოლისა. როგორც ერთმა დიდმა მეცნიერმა თქვა, ქვეყანა გაიყო შუაზე და ბზარმა ჩემს გულზე გაიარაო. აი, ეს გაყოფილი გული უნდა გავამთლიანოთ ჭეშმარიტი რწმენით, სასოებითა და სიყვარულით.

დღეს ჩვენ წესს ვუგებთ გალაკტიონს, მინდა მივესალმო ჩვენს მწერლებს, პოეტებს, საზოგადო მოღვაწეებს, ჩვენს ინტელიგენციას, მრევლს, **მინდა კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, რომ თქვენ მწერლები და პოეტები არა მარტო იმისთვის ხართ, რომ ლექსი ან მოთხრობა დაწეროთ, არამედ თქვენ ბრძანდებით წინამძღვარი ჩვენი ერისა, და არა მარტო წინამძღვარნი, არამედ წინასწარმცნობელნიც ქვეყნის ხვალინდელი დღისა. თქვენ უნდა დაუსახოთ ჩვენს ერს გზა მომავლისა,** ღმერთმა შეგაძლებინოთ ეს.

ღმერთმა დალოცოს და აცხოვნოს სული მონისა ღვთისა გალაკტიონისა და დააწესის იგი, „საადაცა მართალნი განისვენებენ“.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და თქვენთან ერთად ღმერთმა დალოცოს, გაახაროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო! ამინ.

სიონის ტაძრის ეზოში მომზადდა სუფრა გალაქტიონის სულის მოსახსენებლად. მიბრძანდით იქ და მოვიხსენოთ გალაკტიონის სული.

ჩვენთან არს ღმერთი!



გალაკტიონის საფლავი მთაწმინდაზე

მთაწმინდის მთვარე

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!
მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი
ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს
და ხეებში აქსოვს
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!
მთვარე თითქოს ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით,
და, მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით,
მოჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელვარე
ოჰ! არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!
აქ ჩემს ახლო აკაკის ლანდს სძინავს მეფურ ძილით,
აქ მწუხარე სასაფლაოს, ვარდით და გვირილით,
ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული,
ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული
და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,
ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა,
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები,
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები;
თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს
მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,
თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის,
ამ ზღვამ რომ აღზარდა,
სიკვდილის გზა არ-რა არის, ვარდისფერ გზის გარდა;
რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე,
რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე,
რომ, აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები,
რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,
რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი
ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!

პატრიარქი და განათლება

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მეცნიერებათა აკადემიაში წარმოთქმული სიტყვა

6 თებერვალი 2005 წ.

„ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ რა უმნიშვნელოვანესი პრობლემები დგას დღეს ჩვენს წინაშე, არა მარტო ეკლესიის, არამედ ერის, ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის წინაშე, რომელთა გადაჭრასაც დროულად უნდა შევუდგეთ“.

ქალბატონებო და ბატონებო!

გულითადად მოგესალმებით ყველას, მოხარული და ბედნიერი ვარ, რომ დღეს ვიმყოფები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. მინდა საქართველოს მართლ-მადიდებელი ეკლესიის და პირადად ჩემი სახელით მოგესალმოთ ყველას. ჩვენ თავს ვიხრით თქვენს წინაშე იმ დიდი ღვაწლისთვის, იმ დიდი წვლილისთვის, რაც თქვენ შეიტანეთ და დღესაც შეგაქვთ მეცნიერების საგანძურში. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივულოცო ბატონ თამაზს არჩევა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მაღალ თანამდებობაზე, მინდა, ასევე მადლობა მოგახსენოთ თქვენი გადაწყვეტილებისათვის, ჩემს არჩევასთან დაკავშირებით.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მუდამ ხელს უწყობდა მეცნიერების განვითარების პროცესს. ჩვენთან იყო და დღესაც არის საოცარი უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს პატრიარქობის დროს დამკვიდრდა. მეცნიერები, ჩვენი კულტურის მუშაკები იკრიბებოდნენ პატრიარქთან ხუთშაბათობით და მიდიოდა მსჯელობა ამა თუ იმ საკითხებზე. ჩვენ ვაგრძელებთ ამ ტრადიციას. და მოხარული ვართ, რომ გვაქვს ხშირი შეხვედრები როგორც მეცნიერებთან, ისე საზოგადო მოღვაწეებთან.

ერთი დიდი მეცნიერი ამბობს: ჩვენს წინაშე ორი დიდი წიგნია – ბიბლია და მეცნიერება ბუნების შესახებ. და თუ ზოგიერთი ამბობს, რომ ეს ორი წიგნი ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი თავად ვერ გებულობს ან ერთს, ან მეორეს.

ურთიერთობა რწმენასა და ცოდნას შორის - ეს არის უძველესი პრობლემა. ჯერ კიდევ I-II საუკუნეებში განიხილებოდა ეს საკითხი. ამის დამადასტურებელი არის შრომა წმიდა კლიმენტი ალექსანდრიელისა, რომელსაც ეწოდება „სტრომატა“ ანუ „ხალიჩები“, სადაც ნათქვამია, რომ ორივე, ცოდნაცა და რწმენაც, აუცილებელია ადამიანისათვის. ეს უდიდესი მეცნიერი და ფილოსოფოსი მსჯელობს იმის შესახებაც, თუ რომელია პირველადი და ამბობს, რომ პირველადი არის რწმენა და მასზე არის დაშენებული ცოდნა. ბოლოს იგი საოცარ დასკვნას აკეთებს და ამბობს, რომ მხოლოდ მორწმუნე ადამიანი არის მონა ღვთისა, ხოლო მორწმუნე განათლებული ადამიანი არის მეგობარი ღვთისა და რომ საფუძველი ამისა არის თვითონ სახარებაში, როცა უფალი ჩვენი იესო ქრისტე მიმართავს თავის მოციქულებს და ეუბნება: „მეგობარნო ჩემნო; მე არ გიწოდებთ თქვენ მონას, არამედ მეგობარს, რადგან თქვენ უკვე ყველაფერი იცით, რაც გადმოგეცით“.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ თითქმის ყოველი მონასტერი საქართველოში იყო არა მარტო სულიერი მოღვაწეობის ადგილი, არამედ დიდი მეცნიერული ცენტრიც, მაგალითად, ივერთ მონასტერი ათონის მთაზე, პეტრიწონი და მრავალი სხვა. ჩვენ გვინდა, რომ ეს ტრადიცია აღდგეს. ეს არ არის ადვილი, იცით, როგორი მძიმე გზა განვლო ეკლესიამ ამ 200 წლის მანძილზე, მაგრამ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ტრადიცია, რომელიც ახასიათებდა ქართულ ეკლესიას, კვლავ გაცოცხლდეს და ჩვენი ურთ-

იერთობები ახალ სიმაღლეზე ავიდეს. სწორედ ამ მიზნით დავაარსეთ ჩვენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფონდი, რომელიც მოემსახურება ჩვენი სულიერების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინებასა და განვითარებას. ზოგიერთი თქვენგანი უკვე არჩეულია საბჭოში, რომელიც იქნება ამ ფონდის განმგებელი.

მინდა, მეცნიერებათა აკადემიას საჩუქრად გადავცე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეს ვერცხლის ხატი.

კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით ყურადღებისათვის.

ღმერთმა დაგლოცოთ და ღმერთმა დალოცოს, გააძლიეროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო!

(შეხვედრის დასასრულს)

მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა მოგგახსენოთ არჩევისათვის.

მინდა ასევე ვთქვა, რომ სრულიად ვეთანხმები ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძეს იმაში, რომ შემთხვევითი არ არის, რომ კათოლიკოს-პატრიარქის ფონდი ახლა დაარსდა. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პროცესი გარდაუვალია. და იმისდა მიუხედავად, გვინდა ჩვენ ეს თუ არა, იგი აუცილებლად გაგრძელდება. ამ დროს ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი სულიერი და ეროვნული ფასეულობანი.

ჩვენ გვაქვს დიდი სწრაფვა დასავლეთისკენ. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ დასავლეთიდან შემოდის კულტურაც და შემოდის ფსევდოკულტურაც. ჩვენ უნდა გავარჩიოთ, რა არის მისაღები და რა არა.

სრულიად გეთანხმებით იმაში, რომ ამ ფონდს ექნება ძალიან დიდი მნიშვნელობა. თქვენ ჩვენი საამაყო მეცნიერები ბრძანდებით და მინდა, რომ უბრალოდ მაყურებლის როლში კი არ იყოთ, არამედ ამ ფონდის მუშაობაში ქმედითი მონაწილეობა მიიღოთ. თქვენგან ველოდებით ძალიან საქმიან რჩევებს. მე ასე წარმომიდგენია: ფონდმა უპირველეს ყოვლისა საქმე უნდა გააკეთოს. არის ასეთი თანამედროვე გამოთქმა: "მე გეხმარები შენ იმისათვის, რომ შენ დაეხმარო საკუთარ თავს". ჩვენი მუშაობა ეტაპობრივი უნდა იყოს.

ორიოდე დღის წინ ვუსმენდი ჩვენს რადიოში ბატონი შოთა ნადირაშვილის ძალიან საინტერესო ლექციას, სადაც ბატონი შოთა საუბრობდა იმაზე, რომ წინა მთავრობებმა ვერ შემოგვთავაზეს ისეთი იდეა, რომელსაც გაჰყვებოდა ხალხი და მხარს დაუჭერდა. ჩვენ ამ ფონდით ისეთი იდეა უნდა შევქმნათ, რომ მთელი ერი ამოგვიდგეს მხარში და ამაში თქვენი დახმარება ძალიან გვჭირდება.

საერთოდ მე მქონდა ერთხელ თუ ორჯერ შეხვედრა ჩვენს ფსიქოლოგებთან და ვუსაყვედურე კიდეც მათ, რომ სათანადოდ არ მუშაობენ. ფსიქოლოგები უნდა იყვნენ ყველა დაწესებულებაში და რჩევებს უნდა გვაძლევდნენ - ჩვენც, პარლამენტსაც, მთავრობასაც, პატრიარქსაც, სკოლებსაც და ყველას, და ჯერჯერობით ეს არ კეთდება. მომავალში, ალბათ, ასეც იქნება: მაშინ ფსიქოლოგებმა ხუმრობით მითხრეს, რომ ზოგიერთს ეშლება ფსიქოლოგი და ფსიქიატრი და ამიტომ უარს ამბობენ ჩვენს დახმარებაზეო. მე ვფიქრობ, რომ დღეს ეს უკვე აღარავის ეშლება და ფსიქოლოგები უნდა გააქტიურდნენ.

მინდა, მოგახსენოთ კიდევ ერთი რამ. რამდენიმე წლის წინ მე გამოვთქვი ასეთი აზრი, რომ სასკოლო პროგრამაში ჩვენ უნდა შევიტანოთ ღრმა აზროვნების, განყენებული თუ ფილოსოფიური აზროვნების კურსი. ეს უნდა იყოს პირველი კლასიდან ბოლო კლასამდე. აქ რა თქმა უნდა, ლოგიკაც იქნება გამოყენებული, ანთროპოლოგიაც, ფილოსოფიაც. ეს შეიძლება გაკეთდეს დიალოგების სახით. დიალოგები, მაგალითად, აქვს პლატონსაც, ნიკოლოზ კუზანელსაც და სხვებსაც. ეს ძალიან განავითარებს ჩვენს გონებას. რადგან როგორც ჩვენს ფიზიკურ კუნთებს სჭირდება ვარჯიში, ასეთივე სჭირდება ვარჯიში ჩვენს გონებას.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ჩვენ ემოციური ხალხი ვართ და გულის კულტურა და გრძნობების კულტურა ჭარბობს ჩვენში. ჩვენ ჯერ რაიმეს ვაკეთებთ და მხოლოდ შემდეგ აკონტროლებს მას გონება. იმ დროს, როდესაც ჯერ გონება უნდა განსჯიდეს და იაზრებდეს, ვიდრე რაიმეს მოვიმოქმედებდეთ, ვიდრე რაიმე ნაბიჯს გადავდგამდეთ. ეს ძალიან სერიოზული საკითხია და თუ ჩვენ შევიტანთ საშუალო სკოლაში ასეთ საგანს, მაშინ საშუალო სკოლის დამთავრებისას ჩვენ გვეყოლება მოაზროვნე ადამიანი და იმ შეცდომებს, რომლებსაც დღეს უშვებს ახალგაზრდა, მომავალში აღარ დაუშვებს. მე ვფიქრობ, ასეთი კურსის შექმნა ამ ფონდის ერთ-ერთი მიზანიც იქნება ვფიქრობ და განათლების მინისტრიც დაგვთანხმდება. ბევრია ისეთი საკითხი, რომელიც არ ითმენს. მაგალითად, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მილიონზე მეტი ახალგაზრდა გასულია უცხოეთში, ზოგი მათგანი დაბრუნდება, ზოგი კი ვერა.

როგორ დავეხმაროთ, რომ მათ არ დაივიწყონ მშობლიური ენა და არ მოწყდნენ თავის ფესვებს? ჩვენ უნდა ვიფიქროთ ამაზეც.

ასე რომ, ეს ფონდი ძალიან მნიშვნელოვანია და თქვენი დახმარება ძალიან გვჭირდება. კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II სიტყვა წარმოთქმული მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

15 აპრილი, 2005 წელი

„ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა მეცნიერებით დაინტერესდეს“

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო, ქალბატონებო და ბატონებო,

ნამდვილად ბედნიერი ვარ თქვენთან შეხვედრით; მადლობელი ვარ იმ პატივისათვის, რომელიც მე მომაგეთ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრად არჩევა ჩემთვის დიდი დაფასებაა და ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობა. ამასთან ერთად, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს იმას, რომ ჩვენი ეკლესია და მეცნიერება თანდათან უახლოვდება ერთმანეთს.

კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველოში მეცნიერების პირველი კერები იყო მონასტრები, სადაც სულიერადაც მოღვაწეობდნენ ჩვენი მამები, რომლებიც, ამავე დროს, დიდ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდნენ. შემთხვევითი არაა, რომ მეცნიერებათა აკადემია ითვლება გელათის აკადემიის მემკვიდრედ, რომელიც წმიდა მეფის დავით აღმაშენებლის მიერ დაარსდა. თუ რას უნდა ემსახურებოდეს აკადემია, გამოხატულია მის სიტყვებში, რომ იგი უნდა ყოფილიყო ახალი იერუსალიმი და მეორე ათინა. იერუსალიმი - თავისი სულიერებით, ხოლო ათინა თავისი დიდი მეცნიერებით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია დღეს მძლავრი მეცნიერული ცენტრია, რომელსაც უნდა გავუფრთხილდეთ და ამასთან უნდა ფიზრუნოთ მის გაძლიერებაზე. აღმასვლის პროცესი უნდა იყოს უწყვეტი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დღეს ახალგაზრდობაში ერთი სამწუხარო ტენდენცია მკვიდრდება - მეცნიერება აღარ არის მათი ინტერესის სფერო. ჩვენი ახალგაზრდები სხვათა შორის, ნიჭიერი ახალგაზრდები, გატაცებულნი არიან პოლიტიკით, ეკონომიკით, ფინანსებით და სხვა ამგვარი საკითხებით. რა თქმა უნდა, ქვეყნისათვის ესეც საჭიროა, მაგრამ საქართველო მეცნიერების გარეშე წარმოუდგენელია. მე ვიტყოდი, უპერსპექტივოა. აი, ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის რომ ჩვენი ახალგაზრდობა მეცნიერებით დაინტერესდეს, მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის მისი დაფინანსება ისეთი არაა, როგორიც უნდა იყოს.

მიმაჩნია, რომ მეცნიერებათა აკადემიამ უნდა იზრუნოს, რომ ამ მეცნიერული ცენტრით დაინტერესდეს არა მარტო საზოგადოება, არამედ ხელისუფლებაც. ამ მიზნით, ჩემი აზრით, უნდა შემუშავდეს ისეთი პროგრამები, ისეთი წინადადებები, რომელიც ხელს შეუწყობს, დღევანდელი მოთხოვნილებების გათვალისწინებით, ქვეყნის განვითარებას. მაგალითად, აქ უნდა განიხილებოდეს ისეთი საკითხები, როგორიც არის საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია, ეკონომიკური გაჯანსაღება, განათლების სისტემა, სოფლის მეურნეობა და ა.შ. ანუ მრავალი ის პრობლემა, რომლებიც დღეს ასე გვაწუხებს. არ შეიძლება, რომ მეცნიერებათა აკადემია იყოს ჩაკეტილი. უნდა შეიქმნას ჯგუფები, სადაც გაერთიანდებიან ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, ეკლესიის წარმომადგენლები, პოლიტოლოგები... და შეიმუშავებენ გარკვეულ რეკომენდაციებს. ასევე უნდა შეიქმნას მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელიც აღნიშნულ საკითხებზე იმუშავებს და ამა თუ იმ თემას საერთო კრებისათვის მოამზადებს.

ვფიქრობ, მეცნიერებათა აკადემიამ უნდა უხელ-მძღვანელოს ქართველოლოგებისა და კავკასიოლოგების მუშაობასაც. კარგად მოგეხსენებათ, რომ წარსულში იყო უფრო მეტი ქართველოლოგი, მაგრამ იმის გამო რომ, ჩვენი მხრიდან მათ შესაბამისი ყურადღება არ ექცეოდა, და არც სათანადო დაფინანსება იყო, უცხოელი ქართველოლოგები ძირითადად გახდნენ ან არმენოლოგები, ან საერთოდ წავიდნენ ამ დარგიდან. რაც მეტად სამწუხაროა. და ეს ხარვეზი აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

რაც შეეხება იმ საკითხებს, ბატონო პრეზიდენტო, რომელიც თქვენ დააყენეთ, ფაქტი ერთია, ჩვენ უნდა გადავარჩინოთ ის სამეცნიერო ინსტიტუტები, რომლებიც, მეცნიერებათა აკადემიასთან არსებობს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავაშოროთ ინსტიტუტები და მეცნიერებათა

აკადემია ერთმანეთს. ამ დაშორებით ერთიცა და მეორეც დაიშლება, ამიტომ სრულიად ვუჭერ მხარს თქვენი წინადადებას, რომ ინსტიტუტების ურთიერთობა მეცნიერებათა აკადემიასთან, რომლებიც ამ წლების განმავლობაში ასე ინტენსიურად და ნაყოფიერად ხორციელდება, ისევ უნდა გაგრძელდეს.

მინდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს ეკლესია მუდამ ამოგიდგებათ მხარში. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მეცნიერებათა აკადემიამ თავისი ნაყოფი მომავალშიც გამოიღოს.

იმედი მაქვს, რომ ის შესანიშნავი ტრადიცია, ხუთშაბათობით მეცნიერებთან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შეხვედრებისა და საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობისა, კვლავაც გაგრძელდება და ურთიერთ-სასარგებლო იქნება.

კიდევ ერთხელ მოგახსენებთ მადლობას ყურადღებისა და დიდი პატივისათვის, რომელიც მომაგეთ მე და ჩვენს ეკლესიას.

ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ და სრულიად საქართველო.

ამინ!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II სიტყვა წარმოთქმული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრად არჩევისას

საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემია, 11 მარტი, 2005 წელი

ბატონო პრეზიდენტო,

ქალბატონებო და ბატონებო

უპირველეს ყოვლისა, ყველას მოგესალმებით და მადლობას მოგახსენებთ ამ დიდი წოდების მონიჭებისათვის. მე თავს ვიხრი ჩვენი მეცნიერების წინაშე. დიდია თქვენი ღვაწლი, თქვენი წვლილი ერისა და ეკლესიის, ჩვენი ქვეყნის წინაშე ძველი რომაელები ამბობდნენ: "თემპორა მუტანტურ ეტ ნოს მუტამურ ინ ილლის" - "დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთად", მე ვიტყოდი, რომ ის, რაც აქ, ამ წუთებში ხდება, ისტორიული აქტია, რაც წარმოუდგენელი იქნებოდა საბჭოთა კავშირის პერიოდში. ეს არის პირველი შემთხვევა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად იქნა არჩეული. საქართველოს ეკლესიის ტრადიცია იყო და დღესაც არის ის, რომ ჩვენთან ეკლესია და მეცნიერება დაახლოებულია ერთმანეთთან. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ისტორიულად თითქმის ყოველი მონასტერი იყო არა მარტო დიდი სულიერების ცენტრი, არამედ დიდი მეცნიერული სავანეც, სადაც იწერებოდა ორიგინალური წიგნები, ითარგმნებოდა სხვადასხვა მეცნიერული და საღვთისმეტყველო ლიტერატურა, სადაც მოღვაწეობდნენ დიდი მეცნიერები. თუნდაც ჩვენი გელათის აკადემია გავიხსენოთ. როცა წმიდა მეფე დავით აღმაშენებელმა ეს აკადემია დააარსა, ასეთი მიზანი დაუსახა მას - იგი უნდა ყოფილიყო ახალი იერუსალიმი - თავისი დიდი სულიერებით და მეორე ათინა - მეცნიერებით. მთელი ისტორიის მანძილზე ვცდილობდით და ვცდილობთ, განვახორციელოთ დიდი მეფის, წმიდა დავით აღმაშენებლის ეს ანდერძი.

არ შეიძლება ვიცხოვროთ მხოლოდ ჩვენი წარსულით, არ შეიძლება, ვიამაყოთ მხოლოდ დიდი ისტორიით. ჩვენ უნდა ვიფიქროთ დღევანდელ დღეზე, დღევანდელ პრობლემებზე, იმ სიძნელეებზე, რომლებიც ერის წინაშე დგას: ერმა და ეკლესიამ. სახელმწიფომ და, უპირველეს ყოვლისა, ჩვენმა მეცნიერებმა უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ რა უნდა იყოს ქართული იდეოლოგია; ის იდეა, რომელიც გადაარჩენს სრულიად საქართველოს.

უწმიდესსა და უნეტარეს კალისტრატე ცინცაძეს შესანიშნავი პრაქტიკა ჰქონდა, რომელსაც ჩვენ ვაგრძელებთ. ყოველ ხუთშაბათს კათალიკოს-პატრიარქს შეხვედრები ჰქონდა მეცნიერებთან. რა თქმა უნდა, მასთან არ განიხილავდნენ პოლიტიკურ საკითხებს, ვინაიდან ეს იმ დროს მეტად საშიში იყო. ეს იყო მეცნიერული საკითხები, ეკონომიკა, ფილოსოფია, ხალხის ცხოვრება. ყოველმა მეცნიერმა იცოდა, რომ ამ დღეს, ხუთშაბათს, საღამოს კათოლიკოს-პატრიარქის კარი ღია იყო და მრავალი მეცნიერი იკრიბებოდა მასთან. ამ შეხვედრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. თქვენ მოგეხსენებათ, რომ უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე ყველაზე მძიმე, 1932-1952 წლებში მართავდა საქართველოს ეკლესიას. ეს იყო რეპრესიების წლები, როცა ანგრევდნენ ტაძრებსა და მონასტრებს. ის რეზიდენცია, სადაც დღეს ჩვენ ვიმყოფებით, ეკლესიას ჩამორთმეული ჰქონდა და კათოლიკოს-პატრიარქი სიონის ეკლესიის ეზოში პატარა ბინაში ცხოვრობდა. იყო შემთხვევა, როცა მას აკრძალული ჰქონდა სახლიდან სიონში შესვლაც. ფაქტიურად, პატრიარქი პატიმრობაში იმყოფებოდა. ისეთი შემთხვევებიც იყო, როცა მთელი სინოდი პატიმრობაში ჰყავდათ, უწმიდესსა და უნეტარესმა კალისტრატემ გაუძლო ყოველივე განსაცდელს და საქართველოს ეკლესია ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა. რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, მას ხალხის

მხარდაჭერა ჰქონდა.

როცა იმ ოცდაშვიდ წელს გადავხედავ, რომელიც მე მარგუნა უფალმა, რომ ვყოფილიყავი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ნათლად ჩანს, რომ ეს იყო და არის კიდეც უმძიმესი წლები. ჯერ საბჭოთა კავშირის პერიოდი, შემდეგ რეჟიმისა და ხელისუფლების შეცვლა, რამაც სიკეთესთან ერთად ძალიან მძიმე შედეგებიც მოიტანა როგორც ჩვენი ეკლესიის, ისე ჩვენი ერისათვის,. მაგრამ მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ეკლესია თუმცა ნელი ნაბიჯით, მაგრამ მაინც წინ მიდის.

ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველოს მეტად რთული გეოპოლიტიკური მდებარეობა უკავია. მე მახსენდება შეხვედრა ვატიკანში, რომის პაპთან — იოანე-პავლე მეორესთან. ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა. პაპმა გადმოიღო რუკა და უყურებდა საქართველოს. შემდეგ მითხრა: რა რთული ადგილმდებარეობა გიკავიათო! მე ავუხსენი, რომ ჩვენ მუდამ ვიცავდით ჩვენს მამულს, ჩვენს ენას, კულტურას, ჩვენს ეკლესიას და რომ მუდამ ბრძოლაში ვიყავით; მან მიპასუხა: ალბათ, ამიტომაც ხართ ასეთი ძლიერები, რომ ამას გაუძელითო.

და აი, დღესაც მიმდინარეობს ეს ბრძოლა; ჩვენი ქვე-ყანა საჭიროებს დაცვას, მოფრთხილებას, საქართველოს ისეთი მდებარეობა აქვს, რომ მას ყოველთვის სჭირდება დაცვა. ვფიქრობ, მეცნიერებათა აკადემიამ უნდა ჩამოაყა-ლიბოს თავისი რეკომენდაციები საქართველოს უსაფრთხო-ებასთან დაკავშირებით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ყოველი თქვენთაგანი უდიდესი მეცნიერია. თქვენ ცნობილი ხართ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში, მაგრამ მეცნიერთა წრეში. მიმაჩნია, რომ იმ მეტად მნიშვნელოვან და ფასეულ შრომებს, რომლებიც თქვენ გაქვთ შექმნილი, ხალხი, ქართველი ერი უკეთ უნდა იცნობდეს; უნდა იცნობდეს ჩვენი ახალგაზრდობა. ჩვენ, და განსაკუთრებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფონდი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მხარში ამოვუდგეთ ჩვენს მეცნიერებს და აღვადგინოთ კავშირი მეცნიერებათა აკადემიასა და ჩვენს ახალ თაობას შორის.

თქვენ, ალბათ, ყურადღება მიაქციეთ საეკლესიო დროშას, სადაც გამოსახულია წმიდა ნინოს ჯვარი, ჯვარს გარშემო გასდევს ლურჯი ფერის ორი ზოლი — ერთი ფართო და განიერი, მეორე კი - უფრო ვიწრო. ეს განიერი და ვიწრო ზოლი ჯვრის გარშემო ერთმანეთს უერთდება, რაც იმის სიმბოლოა, რომ უნდა არსებობდეს კავშირი უფროს და უმცროს თაობათა შორის, რაც საქართველოს კეთილდღეობას წაადგება.

მადლობელი ვიქნები, თუ თქვენგან მივიღებ რჩევებს, რეკომენდაციებს, იმედი მაქვს, რომ ჩვენ გვექნება მჭიდრო ურთიერთკავშირი. მინდა გავიხსენო ერთ-ერთი ხუთშაბათი, როცა მე მქონდა შეხვედრა ჩვენს პოეტებთან და მწერლებთან. ამ შეხვედრას ესწრებოდა ცნობილი პოეტი მორის ფოცხიშვილი. იგი თითქმის სულ ბოლოს გამოვიდა სიტყვით. ბატონი მორისი ბოლო წლებში ხშირად ვარდებოდა დეპრესიაში, ვინაიდან მხედველობას კარგავდა.

მან შეხვედრაზე საოცარი რამ გვითხრა: დღეს ღმერთმა მეორედ გადამარჩინაო. ამ სიტყვებს ყველა ინტერესით, დიდი ყურადღებით შეხვდა, მან მოგვითხრო: როცა ახალგაზრდა ვიყავი, თბილისში ხიდზე გადავდიოდი, ვიღაც ბიჭმა ხელი მკრა და მტკვარში გადამაგდო. მე ცურვა არ ვიცოდი, წყალმა წამიღო, გონება დავკარგე და წყალმა სიონის წინ ამომაგდოო. ეს იყო უწმიდეს კალისტრატეს პატრიარქობის პერიოდი, შეატყობინეს პატრიარტქს, უწმინდესი კალისტრატე მაშინვე ჩასულა ნაპირზე. მაშინ სანაპირო გზა არ იყო და წყალი იმდენად ახლოს იყო შენობებთან, რომ მოსახლეობა ფანჯრიდან თევზსაც იჭერდა. ჩასულა ნაპირთან პატრიარქი კალისტრატე, დაუწყია ლოცვა და ახალგაზრდა მოსულიერებულა თურმე. შემდეგ იგი დიდი პიროვნება, დიდი პოეტი გახდა. ბატონმა მორისმა მეორე შემთხვევაც გვიამბო: "დღეს მე თავის მოკვლას ვაპირებდი . გადავწყვიტე, მივსულიყავი ფანჯარასთან და იქიდან გადავვარდნილიყავი". და სწორედ იმ დროს, როცა იგი იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ შეასრულებდა ამ საშინელ საქმეს, მას დაურეკეს საქართველოს საპატრიარქოს კანცელარიიდან და უთხრეს, რომ პატრიარქი იწვევდა საპატრიარქოში. აი, ამან გადაარჩინა! ბატონი მორისი იმდენად მადლობელი იყო და იმდენად განმტკიცდა მასში რწმენა, რომ გარდაცვალების წინ მან დატოვა ანდერძი, რომ მცხეთის დედათა მონასტრის ეზოში დაგვესაფლავებინა.

მინდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს ეკლესია იყო და იქნება ჩვენი ერის, ჩვენი ქვეყნის, პირადად თქვენი და ჩვენი მეცნიერების სამსახურში. მე კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ ამ მაღალი წოდებისათვის.

პატრიარქი და ახალგაზრდობა

საუბრები სასულიერო აკადემიის სტუდენტებთან

თემა „მე ვარ ადამიანი“

ადამიანი ეს არის დიდი საოცრება: მოკვდავი ხორცი და უკვდავი სული. მას შეუძლია ჩავიდეს ჯოჯოხეთამდე და ამაღლდეს ღმერთამდე.

„რომელსა უნდეს შემოდგომად ჩემდა, უარყავ თავი თვსი“, — გვასწავლის უფალი. უნდა უარყო შენი ეგოიზმი, შენი მე, შენი ამპარტავნება. ამის შემდეგ „აღიღე ჯვარი შენი“.

ძალიან ძნელია თავის უარყოფა, ცხოვრებაში ყველაზე ძნელი... ბედნიერია ის ადამიანი, რომელმაც მოახერხა თავისი „მეს“ უარყოფა და თავისი ნება დაუმორჩილა ღმერთს, ასეთ ადამინს გაუადვილდება ჯვრის ტარება. მთავარია, ბოლომდე ატაროს.

ჩვენი ცხოვრება ჯვარია. უპირველეს ყოვლისა, ესაა სწრაფვა ღვთისაკენ და შემდეგ ადამიანისაკენ. ჩვენი რწმენა ვერტიკალურია. თუ ადამიანმა ეს ჯვარი არ შექმნა, ვერ უშველის ვერც ლოცვა, ვერც მარხვა... უპირველეს ყოვლისა, უნდა შევძლოთ ურთიერთშველა და ურთიერთდახმარება. პავლე მოციქული გვასწავლის: ‘ურთიერთას სიმძიმილი იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული ქრისტესი“. ადამიანს უნდა დავეხმაროთ შეძლებისდაგვარად.

ჩვენ ძალიან ხშირად გვინდა, დედამიწაზე სამოთხე შევქმნათ, მაგრამ ასე არ არის. დედამიწა სამოთხიდან გამოდევნილი ადამიანის სამყოფელია. ეს არის ყოველდღიური განსაცდელი, ჩვენი ყოველდღიური გამოცდა. იობის წიგნში წერია: ‘მართლაც განსაცდელი ყოფილა ადამიანის ცხოვრება დედამიწაზე,“ მიუხედავად ამ განსაცდელისა, შენთან ერთად არის უფალი. ადამიანი ბოლომდე ვერ მიიტანდა თავის ჯვარს, უფლის დახმარება რომ არ იყოს, შევთხოვთ ღმერთს, რომ არასოდეს გაგვშორდეს!

გავიხსენოთ წმინდა გიორგის ცხოვრება. მისდამი დიოკლიტიანეს სიყვარული სიძულვილში გადავიდა. წმინდა გიორგიმ ნახა ჭეშმარიტი გზა. ის სისხლით იცლებოდა საკანში, თითქოს უფალმაც დატოვა. ამ დროს კი მოესმა: ‘გიორგი, მე შენთან ვარ!“ როცა გაგიჭირდებათ, გახსოვდეთ, რომ უფალი ჩვენთან არს!

* * *

ადამიანმა უნდა ისწავლოს აზროვნება, რომ გაარჩიოს, სად არის კეთილი და სად არის ბოროტი. მე მახსენდება იაპონური პოეზიიდან: ‘მოვიდა გაზაფხული, აყვავდა ალუბალი, მაგრამ მოვიდა თოვლი და მე ვეღარ ვარჩევ, სად არის ყვავილი და სად არის თოვლი“. ეს ადამიანებზეცაა ნათქვამი. ჩვენ ხშირად ვერ ვარჩევთ, სად არის კეთილი და სად არის ბოროტი, რადგან ‘მოვიდა თოვლი“.

თემა „კულტურა და ფსევდოკულტურა“

კულტურა ადამიანის გარეშე არ არსებობს. ის ადამიანშია, უბრალოდ უნდა გამოვლინდეს.

ყოველი ადამიანი განსხვავდება ერთმანეთისაგან თავისი ბუნებით და კულტურით. ამქვეყნად ორი ერთნაირი არაფერი არსებობს. არ არსებობს ორი ერთნაირი ხე, ყვავილი, ფოთოლი... უფალი ყველაფერს ქმნის მხოლობით რიცხვში, ქმნის ერთს...

ლათინური გამოთქმის თანახმად, ‘მსგავსი მსგავსს იმეცნებს“. ვფიქრობ, სულიერი სამყარო ადამიანისა დღეს იმდენად დაიმცრო, იმდენად დაიჩრდილა ღვთის ხატება, რომ მისთვის ცრუ კულტურა უფრო მისაღები გახდა. ავიღოთ ჩაცმულობა დღევანდელი ახალგაზრდებისა. ნამდვილად არ არის ესთეტიკა, სილამაზე. ვერ გრძნობენ, ასეთი ჩაცმულობა როგორ აუშნოებს ადამიანს.

ავიღოთ მუსიკაც. ის, რაც დღეს დასავლეთიდან შემოდის, სათავეს აფრიკულ ტომებში იღებს. ეს რიტმები, რომელიც აღიზიანებს ადამიანს და აღაგზნებს, იქიდანაა და მასში რაღაც შავი ძალაა...

ადამიანის ცხოვრება ეს არის შინაგანი ბრძოლა კეთილისა და ბოროტისა. ადვილია თქმა იმისა, რომ კეთილი უნდა ავირჩიოთ, მაგრამ იმისათვის, რომ დაეძლია საკუთარი თავი, შიო მღვიმელი მღვიმეში ჩავიდა, წმინდა მამები კი უდაბნოში გავიდნენ. ასეთი მძიმეა საკუთარ თავთან ბრძოლა!

წმინდა მამების სწავლებით, ცოდვა თვალებიდან შემოდის, შემდეგ გონებაში, გულში შედის და ბოლოს მთელ სხეულს იმონებს.

როცა ცოდვა თვალებში შემოვა, თუ არ გადაუკეტე გზა, გონებაში შევა, მითუმეტეს გულში და უკვე გვიანია. შეგიპყრობს და მოდის დაცემა. ღმერთმა ძალა მოგცეთ ასეთ დროს!

* * *

თუ ადამიანს ღმერთმა აპატია ცოდვა, შენც უნდა აპატიო სხვას. მიუტევე, რომ მოგეტევოს! შეიყვარე, რომ უფალმა შეგიყვაროს! სულმოკლეობით, მრისხანებით, აჩქარებით ნუ განსჯით.

გაიხსენეთ,'მდიდარი ჭაბუკის იგავი", უფალი მაშინვე არ აძლევს დიდ ტვირთს, ჯერ ამზადებს, ამოწმებს...

როცა ადამიანი უკვე ქრისტიანია, საზოგადო მცნება უნდა შეასრულოს: 'მაპატიე, უფალო, და მეც ვაპატიებ!"

თუ ღრმა სინანულს განიცდი, 'მაპატიე" – მხოლოდ ეს ერთი სიტყვა გაგათავისუფლებს. სიკეთე და სინანული გულწრფელად უნდა გამოხატო, 'ჰყო საქმე სინანულისა".

როცა ადამიანი მოძღვრის წინაშე ტირის, შემდეგ კი გადის და სხვას უსამართლოდ ექცევა, საშინელ შედეგს ვიღებთ: უფალი მოსთხოვს უფრო მეტს, ვიდრე მის წინაშე ჰქონდა ვალი. ვიდრე ერთად ხართ, მანამდე შეურიგდით ერთმანეთს!

* * *

„ეკლესია გადაარჩინა მონოზვნობამ", -ამბობენ წმინდა მამები. ქრისტიანისათვის თავის შემეცნება არის ლტოლვა ხსნისაკენ, წარმართვისათვის კი არა.

... მე ძალიან მახარებს თქვენი მაღალი აკადემიური დონე. მახარებს, რომ არ ჩამორჩებით სხვებს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ჩვენი პროფესორ–მასწავლებლების დამსახურება. სტუდენტებმაც არ უნდა შეწყვიტონთ სამეცნიერო მუშაობა, ისარგებლეთ ჩვენი ბიბლიოთეკით. აქტიურად იმუშავეთ და ითანამშრომლეთ.

თემა „ავტორიტეტი და პიროვნების კულტი"

მე ვერ წარმომიდგნია ოჯახი, სადაც არ არის მშობლის ავტორიტეტი. მახსენდება ჩემი ოჯახი, ჯერ მამის, შემდეგ დედის სიტყვა იყო ჩვენთვის კანონი. როცა ძმებმა ოჯახები შექმნეს, დედმამის სიტყვა იყო აქაც გადამწყვეტი.

სამწუხაროდ, დღეს ავტორიტეტი უარყოფით მოვლენად აღიქმება. თქვენ როგორ გაიზარდეთ, არის თქვენი დედ–მამა თქვენთვის ავტორიტეტი? უსმენთ მათ? რომელი ასრულებს კურთხევას? ალოცვინებთ თქვენს მშობლებს თავს?

ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს ოჯახებსა და ურთიერთობაში ავტორიტეტის გარეშე შეუძლებელია არსებობა. მის გარეშე ვერ იარსებებს ოჯახი. ნებისმიერი საზოგადოება დაიშლება...

თანასწორობამ დაშალა ხალხი, ოჯახები... ეს ტალღა მოდის ჩვენკენაც. ქართველი ადამიანი გაუძლებს ამას?

ჩვენ ყველაფერი გადამეტებული ვიცით: სიკეთეც და უარყოფითიც, ვეხეთქებით ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. ერთადერთი, რაც ჩვენ დაგვიცავს, ესაა ჩვენი სარწმუნოება, ტრადიციები, იმუნიტეტი... ვერავინ შეზღუდავს სატელევიზიო გადაცემებს. ერთადერთი დამცველი მექანიზმი არის სულიერი იმუნიტეტი: ჩვენი რწმენა, მორალი, სიყვარული, ტრადიციები. ალბათ, ეს გვიშველის.

თემა „თავისუფლება და პასუხისმგებლობა"

ბევრს არ ესმის სწორად, რა არის თავისუფლება. თავისუფლება ნიშნავს, გქონდეს იმედი, სულიერი ძალა, რომ უხელმძღვანელო შენს თავს. თუ შენს თავს ვერ მართავ, ვერც ოჯახს მართავ.

უცხოეთში არ არის თავისუფლება. იქ ადამიანი იხრწნება და ამ გახრწნას თავისუფლებას ეძახიან.

დიდი შიში მაქვს, რომ თავისუფლების არასწორი გაგება ჩვენთან შემოდის და არ გავუსწროთ ამით დასავლეთს. ჩვენ დამჯერი ხალხი ვართ და ყველაფერს ვეხეთქებით. ჩვენ ჩვენი დევიზი, გაგება და ტრადიციები უნდა გვქონდეს.

* * *

მინდა უფრო ღრმად ჩაუკვირდეთ ერთ რამეს: უფალმა ხომ იცოდა, რომ ყველამ ადამიანი კეთილად არ აგამოიყენებდა თავისუფლებას? მაინც რატომ მიანიჭა? ვფიქრობ, არ ჯობდა მონები ვყოფილიყავით. იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ეს არის ცხონების გზა, რომელიც არ უნდა იყოს მარტო უფლისაგან ბოძებული. მასში თავად ადამიანმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა. მას უფალმა არჩევანი მისცა. ქადაგებებში არაერთხელ მითქვამს, რომ სასუფეველსაც და ჯოჯოხეთსაც თავად ადამიანი ირჩევს, ირჩევს დედამიწაზე. სინერგია ამ წუთისოფელში უნდა შედგეს. უნდა შეერწყას ერთმანეთს ღვთის ნება და ადამიანის ნება. ამ გზით ხდება ადამიანის სასუფევლის ღირსი.

თემა „დრო ჩემს ცხოვრებაში"

ღმერთმა რაღაც საოცარი სამშობლო მოგვცა, ჩვენ განცხრომას მივეცით და ვერ ვგრძობთ დროის მნიშვნელობას, ვერ ვიყენებთ მას. ისეთ მდგომარეობაში ვართ, თითქოს დრო ჩვენთვის არ არსებობს, არადა მას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ყოველი დრო განკუთვნილია ყოველი ადამიანისათვის და ყველამ უნდა გამოიყენოს იგი. დღე ის უნდა გაანაწილო, რომ ან თვითონ შეიძინოთ ცოდნა, ანდა სხვას გაუკეთოთ სიკეთე, მოუტანოთ სიხარული.

თემა „ადამიანის უფლება და მოვალეობა, პასუხისმგებლობა“

დღეს ძალიან ბევრს ვსაუბრობთ ადამიანის უფლებებზე, მაგრამ ვერ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას, ვინ ვართ და რა უნდა ვაკეთოთ,. ადამიანი გახდა მომხმარებელი. ჩვენ ვფიქრობთ, რა გვინდა და ნაკლებ ვფიქრობთ იმაზე, რა უნდა ვაკეთოთ, რომ ჩვენი ქვეყანა ბედნიერი იყოს.

უფლება და პასუხისმგებლობა ძალიან მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული...

თემა „ღრმა აზროვნების შესახებ“

როგორც ჩვენს სხეულს სჭირდება ვარჯიში, ასევე გონებაც. ვფიქრობ, რომ ღრმა აზროვნება სკოლებში უნდა ისწავლებოდეს. ეს ჩვენ ძალიან გვჭირდება. ქართველები უფრო ემოციური ხალხი ვართ, გულის კულტურა უფრო განვითარებულია ჩვენში, გონება ნაკლებად აკონტროლებს.

ანალიზს ვაკეთებთ მაშინ, როცასაქმეს დავასრულებთ (მაგ.პოლიტიკა). ესაა სწორედ ჩვენი ხასიათი. თუ ჩვენ ბავშვებს სკოლიდანვე ღრმა აზროვნებას მივაჩვევთ, ის შეცდომები, რაც წარსულში იქნა დაშვებული, აღარ იქნება.

თუ გადავხედავთ ეკლესიის დიდ მამებს, ისინი ღრმად სწავლობდნენ ანტიკურ ფილოოფიას. ნუ წარმოვიდგენთ, რომ ცარიელ ნიადაგზე ფილოსოფოსები გავხდებით. ამიტომ გთხოვთ, ვისაც ამის სურვილი აქვს, შეექმნათ წრე, შეეხვდეთ ერთმანეთს, გავუზიაროთ ერთმანეთს ჩვენი აზრი. ვფიქრობ ამით ჩვენ მივცემთ მაგალითს სხვა სასწავლებლებს.

თემა „საქართველოს მომავალი“

მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ჩვენ თუ ეროვნული ფასეულობა არ შევინარჩუნეთ, მოსული, მოტანილი ფასეულობა ბევრს ვერაფერს მოგვცემს. ქართველი ხალხი გრძნობს ამის აუცილებლობას. მართალია, ბევრი ნაკლი გცაქვს, მაგრამ მე მაინც იმედით ვუყურებ საქართველოს მომავალს. პრობლემა ბევრია... მახსენდება ზიგმუნდ ფროიდის გამოთქმა: ‘არის პრობლემა, რომელთანაც ვერ მიფრინდები, მასთან კოჭლობით უნდა მიხვდე. და ეს კოჭლობანა ამ შემთხვევაში ცოდვა არ არის“. და აი, ჩვენც კოჭლობით მივდივართ პრობლემების გადასაწყვეტად.

ერთი რამ მინდა გითხრათ: ჩვენ მუდამ ვსაუბრობთ ჩვენს ჭრილობაზე, ჩვენს უარყოფით მხარეებზე, მაგრამ არ ვამბობთ, რა გვეშველება, რა ეშველება ამა თუ იმ პრობლემას. მართალია, მრავალი სიძნელეა ჩვენს წინაშე, მაგრამ როცა საქართველოს გადარჩენაზე ვსაუბრობთ, განა შეიძლება დავუშვათ, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი მიწა არ გადარჩება? —ღვთის მადლით, ეს შეუძლებელია. საქართველო აუცილებლად გადარჩება, მაგრამ რა გზებით, ეს ჩვენ უნდა ვეძიოთ.

ჩვენთან არს ღმერთი!

* * *

თქვენი აზრით, რა არის სამშობლო? მე მახსენდება უწმინდესისა და უნეტაერესის — ეფრემის ქადაგებიდან სიტყვები: ‘ქართული მიწა რომ აიღო და გამოსწოვო, სისხლი გამოჰყვებაო“. ეს საოცარი სიტყვები დამამახსოვრდა.

მართლაც, რა არის სამშობლო, რატომ გვიყვარს იგი? რატომ ძგერს ასე ძლიერად გულში? ამის ახსნა თითქმის შეუძლებელია... ვფიქრობ, ეს სიყვარული გენებით გადმოდის ჩვენში... მახსოვს ბავშობაში როგორ გვარიგებდა დედაჩემი: ‘რაც უნდა გაგიჭირდეთ, საჭმელ-სასმელის საშოვრად უცხოეთში არ წახვიდეთ, სამშობლო არ დატოვოთო. თქვენ ის უღელი უნდა ზიდოთ, რაც ღმერთმა ჩვენ ხალხს დააკისრაო“. იმ დროს უცხოეთში წასვლა სრულიად წარმოუდგენელი იყო. დედაჩემი თითქოს დღევანდელ დღეს ხედავდა, როცა სამშობლოს ამდენი ადამიანი ტოვებს და ლუკმა-პურისთვის საზღვარგარეთ მიდის. წასულია მილიონზე მეტი ახალგაზრდა და რამდენი დაგვიბრუნდება, ღმერთმა იცის.

ასე რომ გეძლევათ თემა: ‘რა არის სამშობლო?“ შეიძლება ლექსად არ დაწეროთ, იყოს პროზაულად. მთავარია ნათქვამი გულიდან ამოსული იყოს. მე მინდა ავარჩიო კარგი ლექსი ან ტექსტი და სიმღერის შესადგენად კომპოზიტორებს მივცე. მინდა გითხრათ, რომ მცხეთის მონასტრის დედებმა სამშობლოზე ტექსტი შეადგინეს და მის მუსიკაზე ერთ-ერთი კომპოზიტორი მუშაობს. ვფიქრობ, რომ მუსიკის მიმართ ჩვენს სასწავლებელს ცოტა მწყრალი დამოკიდებულება აქვს. სამწუხაროა, რომ ის ერთადერთი სასწავლებელია, რომელსაც საკუთარი გუნდი არ ჰყავს. საოცარია, ჩვენ ხომ მუსიკალური ხალხი ვართ! ყოველივე ეს დამოკიდებულია ლოტბარზე. სულ ვფიქრობ და ვეძებ ისეთ ლოტბარს, რომელიც კარგი გუნდის შექმნაში დაგვეხმარება.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ! ღმერთმა ინებოს, რომ თქვენც და ჩვენი სამშობლოც ბედნიერები იყოთ.

ჩვენთან არს ღმერთი!

თემა „იდეალური ოჯახი“

ჩვენთან არს ღმერთი!

ჩვენი ოჯახი თითქოს ჩვეულებრივი ოჯახი იყო, მაგრამ ბარაქიანი. ჩვენთან არ შეწყვეტილა ლოცვა. მე არ მახსოვს არცერთი დღე, რომ ჩვენ არ დავმდგარიყავით ხატების წინ და საღამოს ლოცვები არ წაგვეკითხა. მამამ ზეპირად იცოდა ლოცვები. ერთ-ერთ ჩვენგანს 90–ე ფსალმუნს ათქმევინებდა, შემდეგ გვასხურებდა ნაკურთხ წყალს, თვითონ რჩებოდა მარტო. ხატების შუაში დაკიდებული იყო ‘საქართველოს დიდება“, რამდენი წმინდანიც იყო, მამა იმდენჯერ დაიჩოქებდა.

ჩვენთან სტუმარი ულევი იყო. სარდაფები, მიუხედავად იმისა, რომ გაჭირვების წლები იყო, სავსე იყო სურსათით. გამცემი ხელი ცარიელი არასოდეს რჩება.

ღმერთმა დაგლოცოთ!

მილოცვა პირველკურსელებს

ჩვენთან არს ღმერთი!

ყველას მოგესალმებით. განსაკუთრებით მოხარული ვარ პირველკურსელებთან შეხვედრით და გისურვებთ, რომ კეთილად წარიმართოს თქვენი ცხოვრების გზა. ადამიანის ცხოვრება ეს მართლაც გამოცდაა, როგორც მართალი იობი ამბობს და ბევრად დამოკიდებულია თვითონ ადამიანზე. მახსენდება ჩემი სასწავლო წლები, მეც ვფიქრობდი ჩემს მომავალზე, ჩემი ცხოვრების გზაზე. მქონდა ერთადერთი სურვილი, დამემთავრებინა სასულიერო სასწავლებელი და ვყოფილიყავი მოძღვარი ერთ მივარდნილ სოფელში, მინდა, რომ იფიქროთ თქვენი ცხოვრების გზაზე. ფსალმუნში ჩვენ ვკითხულობთ: ‘მაუწყე, მე, უფალო, გზა, რომელსაცა ვიდოდე, რამეთუ შენდამი აღვიღე სული ჩემი“. ეს ძალიან რთული პროცესია და ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც ნახავს თავის გზას. ერთმა სასულიერო პირმა ასეთი სიტყვები თქვა: ‘მძიმეა ჯვარი, რომელსაც უფალი გაძლევს, მაგრამ აუტენელია ის ჯვარი, რომელსაც თვითონ ღვთის ნების გარეშე იღებ“. ადამიანს უნდა ესმოდეს თავისი შესაძლებლობა, უნდა იცნობდეს თავის თავს. ძველი რომაელები ამბობდნენ: „ნოსცე ტე იპსუმ“ – შეიცან თავი შენი. სამწუხაროდ, ადამიანი ვერ იცნობს თავის თავს, უფრო ცდილობს, რომ შეისწავლოს სხვა ადამიანი, სხვა პიროვნება და შეისწავლოს არა მისი დადებითი მხარეები, არამედ უარყოფითი, ამით კი განკითხვაში ვარდება. განკითხვა, თქვენ იცით, დასაწყისია დაცემისა. ღირსი მამა ეფრემ ასური ამბობს: ‘მომანიჭე მე განცდაი თვისთა ცოდვათა და არა განკითხვა ძმისა ჩემისა“. ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც ხედავს თავის ცოდვას, იგი აუცილებლად განიკურნება ამ ცოდვისაგან.

მე მახსენდება ჩემი შეხვედრა უწმინდესთან და უნეტარესთან –მელქისედეკ III–თან. ჩემი სტუდენტობის დროს იგი იყო პატრიარქი, მას ჰქონდა დამთავრებული ყაზანის სასულიერო აკადემია, ის უაღრესად დიდი პიროვნება და დიდი ნიჭის პატრონი იყო. ამ დროს პროტოპრესვიტერი ბრძანდებოდა ობოლაძე, რომელმაც პატრიარქთან მიმიყვანა; პირველი, რაც მან მითხრა, ეს იყო: „ღმერთი ამპარტავნებს შემუსრავს, ხოლო თავმდაბალთა მიანიჭებს მადლსა“. ეს სიტყვები ისე ჩამებეჭდა გულში, რომ არასოდეს დამავიწყდება. ის ხედავდა ალბათ ჩემში რაღაც მომავალს...

სულ ვფიქრობ, რა უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ ეს სიტყვები შევასრულო. ჩვენ უნდა ვესწერაფოთ სიკეთის კეთებას. ყოველდღე უნდა გავაანალიზოთ, თუ რა სიკეთე გავაკეთეთ.

დავით წინასწარმეტყველმა იცოცხლა 70 წელი. აქედან 40 წელი იყო მეფე. ძალიან მიყვარს ერთი ადგილი მისი ცხოვრებიდან. მას ჰქონდა რთული გზა ცხოვრებისა. იგი იყო მწყემსი და ღმერთმა ეს მწყემსი აირჩია მეფედ, დაბლიდან აიყვანა ზეცად. მას მოუხდა ბრძოლა და საბოლოოდ გაამთლიანა ისრაელი.

ქადაგება

სიონის საკათედრო ტაძარში სასულიერო აკადემიის და სემინარიის ახალი სასწავლო წლის აღსანიშნავად გადახდილი პარაკლისის წინ

სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმინდისა სულისათა!

ჩვენთან არს ღმერთი!

უპირველეს ყოვლისა ყველას გილოცავთ ახალ წელს. დღეს იწყება საეკლესიო ახალი წელი. იწყება ახალი იდეებით, ახალი აზრებით, ახალი გზებით, წამოწყებით. ჩვენ ვმადლობთ უფალს ამ დიდი წყალობისათვის. დღეს იწყება ახალი სასწავლო წელიც. ის, რაც დღეს საქართველოს ეკლესიაში ხდება, არის ღვთის დიდი წყალობა და სასწაული. კეთილი აკეთებს სიკეთეს, ბოროტი –ბოროტებას და ეს ყველაფერი ბუნებრივია. ამ ურთულეს დროს, როცა მსოფლიოში ასეთი წინააღმდეგობაა სიკეთესა და ბოროტებას შორის, ღვთის წყალობით იხსნება სამედიცინო სასწავლებელი. უკვე ერთი წელია, მოქმედებს ხატწერისა და რესტარვაციის უმაღლესი სკოლა. მე ვნახე აბიტურიენტების ნახატები და მინდა ვთქვა, რომ ზოგიერთი მათგანი უკვე ჩამოყალიბებული მხა-

ტვარია, ეს ჩვენ დიდ იმედს გვაძლევს. იხსნება ლოტბარების, ქართული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერების სასწავლებლებიც. მინდა ვთქვა, რომ ამ ურთულეს დროს ღმერთი გვაძლევს იმედს და ადამიანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ აღასრულოს ნება ღვთისა. აუცილებლად უნდა დავინახოთ ის, რომ უფალი მოდის ჩვენკენ და ჩვენ არ უნდა დავშორდეთ მას, ჩვენც უნდა წავიდეთ უფლისაკენ. ეს შეერთება—სინერგია ღვთაებრივი და ადამიანური ძალისა მოგვცემს საოცარ შედეგს.

მინდა ასევე ვთქვა, რომ ჩვენ ჩავრიცხეთ აკადემიაში, სემიანარიასა და ინსტიტუტში ყველა, ვინც კი აბარებდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა მიიღო უარყოფითი ნიშანი. ჩვენ ეს გავაკეთეთ თქვენდამი იმედით და სიყვარულით. დღეს ჩვენ უნდა ვიფიქროთ ყოველი ადამიანის სულზე, განსაკუთრებით ახალგაზრდების მომავალზე. თქვენ მოსული ხართ არა მარტო იმიტომ, რომ მიიღოთ ცოდნა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რომ მიიღოთ მადლი. ერთმა ბრძენმა ადამიანმა თქვა: შეიძლება დაკარგო ფული და სიმდიდრე, მაგრამ ამით არაფერს დაკარგავ, დაკარგავ ჯანმთელობას, შენ შეიძლება კიდევ იცოცხლო, მაგრამ თუ დაკარგავ ღვთის ძალასა და მადლს — შენ ყველაფერს დაკარგავ". ღმერთმა დაგვიფაროს, რომ დავკარგოთ უფლის მადლი.

ჩვენთან არს ღმერთი!

მოგონებები

ინტერნიზაციის, პატრიარქობის ხანის მოღვაწეობიდან

ჩვენთან არს ღმერთი!

მოდით ვიმსჯელოთ, ვიფიქროთ, რას გავაკეთებ საქართველოსათვის. ჩვენ სულ ველოდებით, როდის მოგვცემს სამსახურს მთავრობა, ველოდებით კეთილდღეობას და ა.შ. ძნელია ადამიანმა წარმოიდგინოს, მომავალში რას გააკეთებს, მაგრამ სურვილი ხომ უნდა ჰქონდეს? მე, მაგალითად, ჩემს თავზე გეტყვით: ძალიან მაინტერესებდა სოფლის მეურნეობა. ბავშობაში ვფიქრობდი, რომ ალბათ ზოოტექნიკოსი გამოვალ—მეთქი. მაინტერესებდა მედიცინა, ბუნებასთან სიახლოვე. როცა სასულიერო სემინარიის სტუდენტი გავხდი, ვფიქრობდი, რომ ვიქნებოდი მოძღვარი ერთ პატარა სოფელში და იქ ვიმუშავებდი ისე, როგორც მუშაობენ გლეხები: მექნებოდა მიწის ნაკვეთი და ეს სოფელი იქნებოდა, როგორც ერთი ოჯახი. აი, ასეთი სურვილი მქონდა და უფალი სულ სხვას მიმზადებდა.

ძალიან რთული პერიოდი გაიარა ჩვენმა ერმა ჩემს პატრიარქობაში. მსჯელობენ, თუ რა გაკეთდა. იმის შესახებ ლაპარაკი, რომ პატრიარქმა რა გააკეთა, ცოტა ძნელია. სათქმელია, პატრიარქმა ერთიან სამღვდელოებასთან, მორწმუნე ხალხთან ერთად რა გააკეთა. ვფიქრობ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი შვიდგზის ლოცვის დაწესებაა. ყველაფერი ღვთის ნება და ღვთის განგებაა. დიდი მნიშვნელობა აქვს საპატრიარქო რეზიდენციის დაბრუნებას.

ვფიქრობ, სწორედ ამ ლოცვამ გააერთიანა ჩვენი ერი. მსოფლიოში არცერთ ქვეყანაში არ არსებობს, რომ ერთდროულად ამდენი ხალხი ლოცულობდეს. ერთადერთი მუსულმანები არიან, ისინი დღეში ხუთჯერ ლოცულობენ. მე ვიყავი მიწვეული ალექსანდრიაში, ეგვიპტეში. სასტუმროდან ჩანდა მთელი ქუჩები. ვხედავდი, თუ როგორ ჩერდებოდნენ აქაურები და როგორ ლოცულობდნენ. ამ შემთხვევამ მაიძულა, მენახა ბიბლიის სიმფონია, გამეგო, თუ რამდენჯერ ლოცულობდა ხალხი თუნდაც ძველ აღთქმაში. და ჩვენ ვნახეთ 118—ე ფსალმუნში: შვიდგზის დღეასა შინა გაქებდე შენ, უფალო".

ჩვენთან არს ღმერთი!

„აწმყო, წარსული და მომავალი"

ჩვენთან არს ღმერთი!

წარსული, აწყმო და მომავალი შეგვიძლია განვიხილოთ ფილოსოფიური თვალსაზრისითაც და შეგვიძლია განვიხილოთ ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენი ერის ცხოვრებაში.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ მტერი მუდამ ცდილობდა გაეყო ჩვენი ქვეყანა, გაეთიშა ქართველი ხალხი, რასაც ხშირად აღწევდა კიდეც. ეს მცდელობა იყო ისტორიულად და არის დღესაც. ჩვენ მუდამ ვეძებთ გარეშე მტერს და ვერ ვხედავთ შინაგან მტერს ჩვენში. ვერ ვხედავთ იმას, რომ ჩვენშია დაბუდებული სურვილი გათიშვისა. ეს ყველაფერი ალბათ ამოზრდილია ჩვენს სისუსტეზე, ამპარტავნებაზე.

საქმე იმაშია, რომ მტერი ხედავს ჩვენს ნაკლსა და არაფერს არ იშურებს: არც ფულს, არც ჯილდოებს, რომ მიაღწიოს საკუთარ მიზანს. თქვენ გახსოვთ, როცა საქართველომ დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, სამეფო გვარი, თავადაზნაურობა. ვისაც გავლენა ჰქონდა და სიტყვა ეთქმოდა საქართველოში, რუსეთში წაიყვანეს. ზოგს გენერლობა მისცეს, სხვადასხვა პირობები შეუქმნეს და ა.შ. ისინი კმაყოფილნი იყვნენ, მათ დაავიწყდათ თავიაანთი მოვალეობა ერისა და ქვეყნის წინაშე.

ავიღოთ ბოლო მაგალითი: აჭარა, ჩვენი წამებული კუთხე. მე ძალიან კარგად ვიცნობ ამ კუთხეს, რადგან აკადემიის დამთავრების შემდეგ შვიდი წელი იქ ვიყავი. ისეთი რთული პერიოდი იყო, რომ ჩვენ არ შეგვეძლო მთიან აჭარაში შესვლა, თუ ამისათვის მთავრობის ნება არ გვექნებოდა. გამსახურდიას დროს დადგა ისეთი საკითხი, რომ აღარ უნდა ყოფილიყო ავტონომია. ამისთვის გაიგზავნა იქ ასლან აბაშიძე. ზუსტად ვიცი, რომ მისი დანიშვნა სწორედ ამ მიზნით მოხდა, რომ აჭარა მთლიანად საქართველოს განუყოფელი ნაწილი გამხდარიყო, მაგრამ ასლან აბაშიძეში აღიძრა ასეთი სურვილები: 'მე ვარ ბატონი, მე ვარ გამგებელი". მახსენდება შეხვედრები მასთან. ძალიან ყურადღებიანი იყო ჩემდამი და ეკლესიისადმი. ის გრძნობდა, რომ ეკლესიას აქვს თავისი სულიერი ძალა.

ამ ბოლო დროს იჩინა თავი არც თუ ისე ახალმა სენმა. ეს არის სვანეთისა და სამეგრელოს საკითხი. მტერი უნერგავს ჩვენს სისხლსა და ხორცს, რომ თქვენ ქართველები არ ხართ, გაქვთ საკუთარი ენა. სინამდვილეში ეს არის დიალექტები ქართული ენისა. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ითარგმნოს ბიბლია სვანურ და მეგრულ ენაზე, ადრე იმასაც კი ცდილობდნენ, რომ წირვა-ლოცვა შეედგინათ ამ ენებზე. თუ ჩვენ ახლავე არ გამოვიძიეთ ყოველივე მეცნიერულად, თუ არ დავარწმუნეთ გზასაცდენილი ადამიანი, არ ვიცით, რა იქნება ორი წლის მერე.

მეუფე ანანიას მრავალი წყარო აქვს მითითებული, საიდან ვართ, ვინ ვართ და ბოლოს და ბოლოს სად მივდივართ. ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ შეხვედრა გვქონდა მეცნიერებთან. თვითონ მეგრელებმა და სვანებმა უნდა ამოიღონ ხმა.

ქართველი, რომელიც უღალატებს ეროვნებას, ის ხდება საშინელი მტერი ქართველებისა. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვართ ერთი სისხლი და ხორცი. ვინც ამ ამბით დაინტერესებული იქნებით, შეექმნათ სამეცნიერო საბჭო და ვიმუშავოთ ამ საკითხზე. ეს ჩვენი საერთო ტკივილია.

ჩვენთან არს ღმერთი.

* * *

ჩვენთან არს ღმერთი!

არსებობს ასეთი გამოთქმა: ჩვენ აღარა გვყავს ფილოსოფოსები, არამედ გვყავს კრიტიკოსები. ჩემი აზრით, ფილოსოფოსი ის არის, ვინც აზროვნებს, მსჯელობს ფილოსოფიურად.

არიან ადამიანები, რომლებიც ყველაფერს ცუდად ხედავენ. არ მოსწონთ, ვთქვათ, ამინდი. ჩვენ ხომ ვერ შევცვლით ამინდს? არ შეიძლება ყველაფრის გაკრიტიკება, ცუდად დანახვა ადამიანის, ნივთის, ყვავილის, დაწესებულების და ა.შ.

ჩემი აზრით, ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება იქიდან წარმოდგება, რომ თვითონ ადამიანში არ არის წესრიგი. წმინდანები ადამიანში სილამაზესა და ჰარმონიას ხედავენ.

ჩვენთან არს ღმერთი!

* * *

ჩვენთან არს ღმერთი!

თქვენ იცით, რომ დღეს გალაკტიონის დაბადების დღეა. დღეს მას 113 წელი შეუსრულდა. ღმერთმა აცხონოს და ნათელში ამყოფოს მისი სული! დღეს დილას რადიოში ასეთი რამ მოვისმინე: 'გალაკტიონი ხშირად ამბობდა: 'მე ის არ ვარ, ვინც თქვენ გგონიათო". იქნებ ბავშვებმა ახსნან, რატომ ამბობდა გალაკტიონი ასეთ სიტყვებს? სინამდვილეში ვინ იყო ის? გალაკტიონი, უპირველეს ყოვლისა, ღრმადმორწმუნე ადამიანი იყო, თუმცა ამავე დროს მან იცოდა საკუთარი თავის ფასი, იცოდა, თუ ვინ იყო ის. ხშირად იყო ისეთი შემთხვევა, როცა მას ან ზედმეტად აფასებდნენ, ანდა ვერ ხედავდნენ იმ ნიჭს, რომელიც მას ღვთისაგან ჰქონდა ბოძებული. მე მომისმენია გალაკტიონზე ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც მას იცნობდნენ, მომისმენია უწმინდესისა და უნეტარესის – ეფრემ მეორისაგან. იგი კარგად იცნობდა გალაკტიონს, თითქმის მეგობრობდა მასთან. გალაკტიონი რომ ლენინის ორდენით დააჯილდოვეს, ასეთი რამ მომხდარა: მთავარი სადგური ხალხით გავსებულა, რომელიც მოსკოვიდან მომავალ მატარებელს ელოდა. გალაკტიონი დიდუბეში ჩამოსულა. უწმინდესი და უნეტარესი ეფრემ II იმ დროს ეპისკოპოსი ყოფილა და ბინა ჰქონია თბილისში, პოეტი მასთან მისულა და უთქვამს: 'მეუფეო, დამაჯილდოვეს და მოდი ავღნიშნოთო".

მომისმენია ასევე დიდი მხატვრისაგან – შურა ბანძელაძისგან, მისი მოხატულია დიდუბე (ის ძალიან ნიჭიერი მხატვარი იყო,) იგი კარგად იცნობდა გალაკტიონს, მან ისეთი რამ მიამბო: 'ერთხელ გალაკტიონს ვხატავდი. იგი ბავშვივით იყო. პატარა რაღაც უხაროდა და პატარა რაღაც სწყინდა", ხატვის დროს ლენინის ორდენი გაიკეთა და მითხრა: 'ეს ძალიან კარგად გამოხატე – ჩანდესო". ასეთი ბავშური იყო გალაკტიონი.

ეს სამი სანთელი სპეციალურად მოვიტანე, რომ მთელი დღე ენთოს და მისი სულისათვის ილოცოთ.

ჩვენთან არს ღმერთი!

* * *

ჩვენთან არს ღმერთი!

გუშინ ძალიან საინტერესო შეხვედრა გვქონდა ქალბატონ ანა კალანდაძესთან, თუმცა ჩვენ ვერ მივეცით საკმარისი სალაპარაკო დრო და მან თითქმის ვერაფერი თქვა. ისე კი ქალბატონი ანა თავისი ბუნებით სიტყვა-ძუნწია. ვფიქრობ, რომ ცოტაა თქვა მასზე, რომ ის ღრმადმოაზროვნეა. მისი აზროვნება საოცრად არამიწიერია, არა-ამქვეყნიურია, მისი შედარებები და გამოთქმები უფრო ზეციურია.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ბევრი ნიჭიერი ადამიანი ჰყავს, მაგრამ ყველა ვერ ავლენს თავის ნიჭს. როგორღაც ჩაკეტილია, მის ნიჭს გამოვლენა სჭირდება. ანამ გამოავლინა თავისი ნიჭი. ვფიქრობ, რომ ყოველი ადამიანი გენიალურია, თუ ის ნორმალური და ჯანსაღია. ჩვენი ნაკლი, ჩვენ მიუწვდომელობა ის არის, რომ ზოგიერთმა არ იცის, რაშია მისი ნიჭი, მისი გენია. რა უნდა გააკეთოს ეკლესიამ, რომ ქართველი კაცის ნიჭი მაქსიმალურად გამოავლინდეს? ვიფიქროთ ამაზე.

ვიფიქროთ, რომ საზოგადოება ნაკლებად ზრუნავს ჩვენს ეროვნულ ფასეულობათა დაცვაზე. ამაზე მხოლოდ პიროვნებები ფიქრობენ. საზოგადოება კარგ სამუშაოზე, კარგ შემოსავალზე, საჭმელ-სასმელზე, ჩასცმელზე, მანქანაზე და ა.შ. ფიქრობს. ის ძალიან ცვალებადია. ავიღოთ თუნდაც სახარებიდან: მთელი იერუსალიმი მაცხოვარს ხვდება და ოსანას უგალობს, რამდენიმე დღის შემდეგ კი იგივე ხალხი, იგივე საზოგადოება იტყვის: 'ჯვარს აცვი იგიო".

ვფიქრობ, რომ ჩვენ ბევრი გენიალური სტუდენტი გვყავს. წინათ სემინარიიდან და აკადემიიდან რევოლუციონერები გამოდიოდნენ, ახლა კი გენიალური ადამიანები გამოვლენ, რომლებიც, ღვთის მადლით, ერის სამაგალითო პიროვნებები იქნებიან.

ჩვენთან არს ღმერთი!

შეხვედრა ოტია იოსელიანთან

მე მინადა კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ აზრი განწყობის თეორიაზე. როგორ იქნება განწყობა, რა არის სტიმული, რომელიც ადამიანს ამა თუ იმ საკითხის მიმართ განაწყობს. განაწყობს ვთქვათ ოჯახის მიმართ, შრომის მიმართ, სწავლის მიმართ, სწავლის მიმართ და ა.შ. ვთქვათ, თქვენს წინაშე არის წიგნი, მაგრამ არა გაქვთ განწყობა, წაიკითხოთ იგი. ძალიან ბევრი რამ დამოკიდებულია მის სათაურზე. ბოლო დროს კაცობრიობამ მიატოვა წიგნი და დაკარგა სწორი დამოკიდებულება მასზე. როგორ განვაწყოთ ქართველი ადამიანი, რომ კითხვა დაიწყოს სასაწავლო ასაკიდან?

ტელევიზია და რადიო იძლევა ზერელე ინფორმაციას. წიგნი კი პირიქით, ის უფრო ღრმაა. ადამიანის აზროვნებაც ზერელე გახდა. იგი პეპელასავით ერთი ყვავილიდან მეორეზე დაფრინავს და ერთ ადგილას ვერ ჩერდება. ეს ჩვენს ხასიათში გამომუშავდა. არ არის იოლი, რომ ადამიანი წიგნს დაუბრუნებს.

სამწუხაროა, რომ აღარ იწერება ისეთი კარგი ზღაპარი, რომელიც ბავშვს დააინტერესებდა. ზღაპარში ხომ დიდი სიმართლეა და ადამიანი სიკეთისკენ მიჰყავს.

მინდა გითხრათ, რომ სკოლაში დიდი მკითხველი არ ვიყავი. წიგნების კითხვა განსაკუთრებით სემინარიაში სწავლისას დავიწყე. ასეთ დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მეგობარს. მე მყავდა ერთი მეგობარი, რომელსაც აინტერესებდა ფილოსოფია, ანთროპოლოგია, ფსიქოლოგია, ლოგიკა და როგორღაც იმან იმოქმედა ჩემზე. ჩვენ ლექციების შემდეგ მივდიოდით ბიბლიოთეკაში, ვწერდით თხზულებებს... ვერც დღეს წარმომიდგენია, რომ არ გადავხედო ახალ წიგნს, არ წავიკითხო რაღაც ახალი.

ჩვენთან არს ღმერთი!

შეხვედრა ნოდარ გრიგალაშვილთან

ჩვენთან არს ღმერთი!

დღეს განათლებას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. ჩვენ ვცხოვრობთ რთულ პერიოდში, როცა ხდება ფასეულობათა გადაფასება, მოდის რაღაც ახალი ხედვა. გლობალიზაციის პერიოდი გარდაუვალია, მაგრამ შეიძლება ჩვენი კორექტივები შევიტანოთ ამ პროცესში. მე მიმაჩნია, რომ ის ეროვნული და სულიერი ფასეულობა, რომელიც ჩვენმა ხალხმა საუკუნეების განმავლობაში დააგროვა, არ უნდა დავკარგოთ. პირიქით, უნდა ვეცადოთ, რომ არა მარტო ვისწავლოთ სხვებისაგან, არამედ ჩვენც ვასწავლოთ სხვას. საქართველო არის უძველესი ისტორიისა და კულტურის ქვეყანა, ძალიან ხშირად დასავლეთი ხედავს მხოლოდ ჩვენს სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას და ნაკლებ ყურადღებას აქცევს ჩვენს ისტორიას, ხელოვნებას, კულტურას... ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის რომ დავანახოთ, გავცნოთ, რომ ჩვენ გვაქვს საექსპორტო ისეთი რამ, რაც მათ არ გააჩნიათ. დასავლეთი ძალიან პრაქტიკულია.

ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ აუცილებელია შერწყმა ცოდნისა და რწმენისა. ეს უძველესი საკითხია. ისეთი მეცნიერი, როგორიც იყო კლიმენტი ალექსანდრიელი (რომელმაც დაწერა დიდი

შრომა 'სტრომატა"), ასეთ დასკვნას აკეთებს: 'მხოლოდ მორწმუნე ადამიანი ცოდნის გარეშე არის მონა ღვთისა, ხოლო მორწმუნე და ამასთანავე მცოდნე ადამიანი არის მეგობარი ღვთისა". ეს სიტყვები სახარებიდანაა აღებული, უფალი მოციქულებს ასე ეუბნება: 'მეგობარნო ჩვენო".

მე იმედით ვუყურებ ჩვენს მომავალს.

ჩვენთან არს ღმერთი!

აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ვიზიტისა და საქართველოს კულტურის შესახებ

ქრისტე აღსდგა!

ჩვენთან არს ღმერთი!

გილოცავთ აღდგომის დღესასწაულს, კვირაცხოვლობას. იმედია, რომ წმინდად განვლო ამ დღეებმა.

თქვენ იცით, რომ ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში. ვფიქრობ, კარგი შედეგები ექნება ამ ვიზიტს. გუშინ მქონდა შეხვედრა მერიის შენობაში მასთან და შემდეგ კონდოლიზა რაისთან. მე ვუთხარი პრეზიდენტს, რომ საქართველოს სახით ამერიკას ეყოლება ერთგული და ძლიერი პარტნიორი. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი საქართველოს უყურებს, როგორც პლაცდარმს, როგორც ადგილს, სადაც უნდა დამკვიდრდეს აშშ-ს რაღაც სამხედრო ძალა და აქედან აწაარმოს თავისი ოპერაციები სხვა ქვეყნების მიმართ. თვითონ ამერიკაში არსებული სამხედრო ძალები ასე უყურებენ ამ საქმეს. ამის შესახებ ველაპარაკე ჩვენს პრეზიდენტსაც. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ საქართველოს უპირველეს ყოვლისა 3000 წელიწადზე მეტი სახელმწიფოებრიობა გააჩნია. ის არის უძველესი ქვეყანა უძველესი და უნიკალური კულტურით, ასე რომ ეს ურთიერთობა უნდა იყოს ორმხრივი. ბევრი რამ არის ისეთი, რაც უნდა ისწავლონ ამერიკელებმა საქართველოში. ძალიან ვწუხვარ, რომ ამერიკის პრეზიდენტმა ვერ ნახა ჩვენი ხელოვნებისა და ჯანაშიას სახელობის მუზეუმები. იგი უშუალო იყო ყველაფერში. ჩვენი შეხვედრისას, როდესაც ერთმანეთს მივესალმეთ და კეთილი სურვილები გამოვთქვით, უკან დაბრუნდა და ფოტოგრაფს სთხოვა პატრიარქთან სურათი გადაგვიღეთო. ჩვენ მინანქრის წმინდა გიორგის ხატი მივართვით, ის მისი სილამაზით გაოცდა. ვფიქრობ, სასწრაფოდ უნდა შევქმნათ ასეთი წიგნი 'ქართული უნიკალური კულტურა". ჩვენ უნდა ვაჩვენოთ რისი შემქმნელები, რისი გამკეთებლები ვიყავით და დღეს რას ვაკეთებთ. ამისათვის ხელოვნებათმცოდნეები და ისტორიკოსები უნდა მოვიწვიოთ, რათა ყველას ვაჩვენოთ, თუ ვისთან აქვთ ურთიერთობა. ღმერთი მოწყალეა და ყველაფერი კარგად იქნება.

აღდგომა დღეს, საღამოს, ტრადიციულად, საპატრიარქოში, ჩვენ შევხვდით პრეზიდენტს, ხელისუფლების წევრებს, გამოვთქვით აზრი, რომ ძალიან ცოტაა დაწერილი პატრიოტული ლექსი, სიმღერა... იქ მათ მოვასმენინე სიმღერა ბარსელონა, როგორც მაგალითი. მართალია, იგი უცხოა ჩვენთვის, მაგრამ ძლიერი მუსიკაა. ცნობილი მომღერალი ქალბატონი ნორსულად კაბალიე იქედანაა და ეს სიმღერა მის საპატივცემლოდ არის დაწერილი. ისეთი ჟღერადობაა ორკესტრის, ზარებისა თუ გუნდისა... რა თქმა უნდა, ჩვენი მუსიკა ქართული უნდა იყოს, ქართული მელოდიით. ამის მსგავსი ან უკეთესი, პატრიოტული. მუსიკა თითქმის დამთავრებულია, ამაზე ერთ-ერთი კომპოზიტორი მუშაობს.

ღმერთმა დაგლოციო!

ქრისტე აღსდგა!

მოსკოვში ვიზიტის შესახებ

ჩვენთან არს ღმერთი!

გილოცავთ დიდ მარხვის დასაწყისს. ეს არის სულიერი ბრძოლა საკუთარ თავთან. თქვენ ალბად მიაქციეთ ყურადღება, რომ როცა ადამიანი იწყებს მარხვას ან სულიერ მოღვაწეობას, ბრძოლა უფრო მეტი და არ უნდა შეგეშინდეთ ამის გამო. წმინდა მამები ამბობენ, რომ ადამიანი განსაკუთრებით ხორციელი ბრძოლებით ან განრისხებულია, ან განიკითხავს ან ზედმეტ საჭმელს ჭამს. ამ ყველაფრისაგან თავი უნდა შევიკავოთ.

მინდა გითხრათ, რომ მზადდება ჩვენი მნიშვნელოვანი ვიზიტი მოსკოვში. მქონდა შეხვედრა რუსეთის ელჩთან. უნდა ითქვას, რომ ჩვენ ძალიან გულახდილად ვისაუბრებთ, არ მოვერიდე და ვუთხარი, რომ მთავრი უნდობლობა ჩვენს შორის ბოლო წლებში წარმოიშვა. რაც მოხდა აფხაზეთში, ეს მათი ინსცერინება იყო. ვუთხარი, რომ სეპარატიზმი გადამდები სენია და ჩვენ ერთად უნდა მოვაგვაროთ პრობლემები.

ამ ვიზიტით ძალიან დაინტერესებულია საზოგადოება. თქვენ იცით, რომ არ არის პირდაპირი რეისი მოსკოვი-თბილისი, თბილისი-მოსკოვი. იდგა პრობლემა, თუ როგორ უნდა შემდგარიყო

ეს ვიზიტი. მე ვთქვი, რომ ვერ შევძლებდი ჩასვლას, თუ გამგზავრება მესამე ქვეყნის გავლით მოხდებოდა. ვუთხარი, რომ ან უნდა გახსნილიყო რეისი, ან სპეციალური რეისი უნდა შემდგარიყო. საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიწერა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და , როგორც მითხრეს, იქნება სპეციალური რეისი. თითქმის 70 კაცი მობრძანდება მოსკოვში. მათ შორისაა მეცნიერები, ელდარ შენგელაია, ბიზმესმენები და ბევრი სხვა. ჩვენ გვექნება შეხვედრა მის უწმინდესობასთან, პატრიარქ ალექსი მეორესთან. სწორედ მისი მიწვევით მივდივართ. ჩატარდება ერთობლივი წირვა კრემლის მიძინების ტაძარში. ხალხი ელოდება, რომ უფრო ნორმალური ურთიერთობა დამყარდება.

ღმერთმა დაგლოცოთ!

ჩვენთან არს ღმერთი!

* * *

ჩვენთან არს ღმერთი!

მოსკოვში ჩვენი მოგზაურობის შემდეგ ყველას მოგესალმებათ. მინდა ამ ვიზიტის შესახებ ორიოდე სიტყვით ჩემი შთაბეჭდილება გაგიზიაროთ. ვფიქრობ, რომ ეს ვიზიტი მეტად მნიშვნელოვანი იყო. მიზეზი თქვენც იცით: ჩატარდა მართლ-მადიდებლური ენციკლოპედიის XII ტომის პრეზენტაცია, რომელიც შეეხო საქართველოს ეკლესიის ისტორიას. მე ვუთხარი, რომ იმდენად მნიშვნელოვანია ეს წიგნი, შესაძლოა მეორედ გამოვიდეს და დაშვებული შეცდომები შესწორდეს. ამ ვიზიტს ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. გველოდებოდნენ იქ მცხოვრები ქართველები.

ვფიქრობ, რომ ეს ურთიერთობა უნდა გაუმჯობესდეს, ბევრი რამ არის დამოკიდებული ჩვენს ხელისუფლებაზე, უნდა დაველოდოთ მოვლენებს...

ჩვენთან არს ღმერთი!

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვა ეკონომიკის უნივერსიტეტში

18 მაისი, 2007 წელი

"წიგნი უნდა იყოს თქვენი განუყრელი მეგობარი"

უპირველეს ყოვლისა, ყველას მოგესალმებით!

ძალიან მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრით. ჩემთვის ყოველთვის დიდი სიხარულია ახალგაზრდებთან შეხვედრა, მათთან საუბარი და თქვენი იდეების მოსმენა.

უნივერსიტეტში და საერთოდ, ნებისმიერ სასწავლებელში, ადამიანმა მარტო ცოდნა კი არა, აუცილებლად აღზრდა და სულიერება უნდა მიიღოს. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ცოდნა ურწმუნო ადამიანის ხელში ძალიან საშიშია, რადგან მან იგი შეიძლება ბოროტებისთვის გამოიყენოს. ასე რომ, აღზრდასთან ერთად თქვენ უნდა მიიღოთ, რაც შეიძლება მეტი ცოდნა. ამისათვის საჭიროა, ისწავლოთ წიგნებთან ურთიერთობა, ყოველდღიურად წიგნი უნდა იყოს თქვენი განუყრელი მეგობარი.

მაგონდება ჩემი სტუდენტობის წლები. სტუდენტები ვიყავით გაყოფილი ორ ნაწილად: ერთი ჯგუფი სულ ბიბლიოთეკაში ვისხედით და წიგნებს ვკითხულობდით, ხოლო მეორე ჯგუფი მეცადინეობდა მხოლოდ პროფესორ-მასწავლებლების ლექციებზე ჩაწერილი კონსპექტების მიხედვით. მინდა გითხრათ, რომ ძალიან დიდი განსხვავება იყო ამ ორ ჯგუფს შორის.

მე ძალიან მაინტერესებდა ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, ლოგიკა, ანთროპოლოგია, ლიტერატურა და ყველაფერმა ამან თავისი შედეგიც გამოიღო. 8 წელიწადი ვსწავლობდი: 4 წელი - სემინარიაში და 4 წელი - აკადემიაში და ღვთის მადლით, ისეთი შედეგები მქონდა, რომ 8 წლის განმავლობაში მე იქ ვიყავი პირველი სტუდენტთა შორის. ახლა თავადაც მიკვირს, ჩემზე მეტად განათლებულები იყვნენ და პირველი რატომღაც მე ვიყავი.

როცა სემინარიის სტუდენტი გახლდით, ჩემთან სასულიერო აკადემიის სტუდენტებს მოჰქონდათ თავიანთი ნაწერები და მე მათ ვუსწორებდი. ამის შესახებ მთელ აკადემიაში ხმა გავრცელდა და იმდენი სტუდენტი მოდიოდა ჩემთან, რომ გასწორებას უკვე ვეღარ ვასწრებდი. თქვენთან თავს კი არ ვიქებ, ამით იმის თქმა მინდა, რომ ეს ყველა-ფერი შრომის შედეგია და თქვენ უნდა გიყვარდეთ შრომა.

როდესაც ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ვიყავი, ერთი მოხუცებული ექიმი ჩამობრძანდა სოხუმში, - იგი ცნობილი ფიზიოლოგის პავლოვის მოწაფე იყო. პავლოვი იყო მღვდლის შვილი და ძალიან მორწმუნე პიროვნება. ერთხელ მას დიდი თანამდებობის პირი კრემლიდან გაესაუბრა და ჰკითხა: "თქვენ ცნობილი, მსოფლიოში უდიდესი მეცნიერი ბრძანდებით და ნუთუ მორწმუნე ხართ?" ის ელოდებოდა, რომ პავლოვი ვერ გაბედავდა ღმერთის აღიარებას მის წინაშე და ეტყოდა არა

ვარ მორწმუნეო, მაგრამ პავლოვმა მშვიდად უთხრა: დიახ, მორწმუნე ვარო და დასძინა: როცა ჩვენ ადამიანის სისხლს ვსწავლობთ, მორწმუნე კი არა, შეიძლება წმინდანიც კი გახდე, ისე ამტკიცებს ეს ღვთის არსებობასო.

პავლოვი ამბობდა, რომ ადამიანს გააჩნია ორი გონება: მცირე და დიდი, და რომ მცირე გონება - ადამიანის გონებაა, ხოლო დიდი - ადამიანის გული.

როდესაც პავლოვი ეკლესიის წინ გაივლიდა, იგი ქუდს მოიხდიდა და პირჯვარს გადაიწერდა. ერთხელ მას უბრალო მუშა შეხვდა და დაინახა, როგორ იწერდა ეკლესიის წინ პირჯვარს (მან, რასაკვირველია, არ იცოდა, ვინ იყო პავლოვი), მუშამ თავი გადააქნია და დასცინა მას: "ჰოი, სიბნელევ!" პავლოვი ბნელად მიიჩნია და თავისი თავი კი განათლებულად, რადგან ღმერთი არ სწამდა!

მინდა ერთი რამ გირჩიოთ: შეიძინეთ წიგნები და იქონიეთ თქვენი პირადი ბიბლიოთეკა, როდესაც სტუდენტი ვიყავი, ერთი პროფესორი სულ გვარიგებდა, მართალია გიჭირთ, მაგრამ ახლავე დაიწყეთ პირადი ბიბლიოთეკის შეგროვებაო. მეც ამას გისურვებთ, აუცილებლად იზრუნეთ ამაზე. პირადი ბიბლიოთეკა უნდა იქონიოთ და ყოველდღე წიგნი უნდა იკითხოთ. რა თქმა უნდა, ეს "ბოევიკები" არაფერს მოგცემთ, - იკითხეთ ისტორიული წიგნები, მხატ-ვრული ლიტერატურა, ძალიან ავითარებს გონებას ფილო-სოფია, ლოგიკა, ფსიქოლოგია და საღვთისმეტყველო წიგნები.

მინდა ასევე გისურვოთ, რომ ახალგაზრდებმა აუცილებლად იქონიეთ კავშირი უფროს თაობასთან. ეს აუცილებელია, რადგან უფროს თაობას მეტი გამოცდილება, მეტი ცოდნა აქვს. ახლა, რატომღაც მიიჩნევა, თითქოს ყველაფერი ახალგაზრდებმა უნდა აკეთონ, - მაგრამ რჩევა უფროსებს აუცილებლად უნდა ჰკითხონ.

მინდა მოგიყვანოთ ერთი მაგალითი. ჩინურ ფილოსოფიაში არის დიდი ფილოსოფოსი კონფუცი. ალბათ, წაგიკითხავთ მისი შრომები და თუ ჯერ არ წაგიკითხავთ, გირჩევთ მოძებნეთ მისი ცხოვრება და შრომები და აუცილებლად წაიკითხეთ. ეს დიდი პიროვნება იყო და ბევრი მოწაფეც ჰყავდა. სხვათა შორის, მას ადანაშაულებენ, რომ წესიერ ხალხს ვერ არჩევ, ვინც მოდის შენთან ყველას ღებულობო. და კონფუცი ასე ჰპასუხობდა: ყველა უნდა მივიღოთ და ვინუ უვარგისი იქნება, თავისთავად ჩამოგვშოდებაო.

ერთხელ კონფუცი თავის მოწაფეებთან ერთად გზაზე მიდიოდა და ჩიტებით მოვაჭრეს შეხვდა, რომელიც მახეებს დგამდა და ჩიტებს იჭერდა. კონფუციმ ეტლი შეაჩერა და გალიას მიუახლოვდა. დახედა და შეამჩნია, რომ გალიაში მხოლოდ ნორჩი ჩიტები ისხდნენ, იკითხა: რატომაა სულ პატარა ჩიტები რომ დაგიჭერიაო? კაცმა მიუგო: უფროსებს მეტი გამოცდილება აქვთ და მათი დაჭერა ძნელია. აი, პატარები კი ადვილად ეგებიანო მახეში. კონ-ფუცი თავის მოწაფეებს მიუბრუნდა და უთხრა: დაიმახსოვრეთ ეს გაკვეთილიო.

მინდა ვთქვა, რომ ჩვენი ქვეყნის ბედნიერება სწორედ თაობათა ერთობაშია და ჩვენი ეკლესია სწორედ ამაზე ზრუნავდა საუკუნეების მანძილზე და დღესაც ამას ვაკეთებთ. ეკლესია მუდამ იყო ის ძალა, რომელიც აღუღაბებს და ამთლიანებს ერს. ამიტომაც იყო, რომ ჩვენი ეკლესიის წმინდა სინოდმა მიიღო საგანგებო დადენილება, რომლის თანახმად სასულიერო პირს ეკრძალებოდა რომელიმე პარტიის წევრობა. ეს იმიტომ გავაკეთეთ, რომ პოლიტიკური განხეთქილება არ შემოვიდეს ეკლესიაში.

ბოლოს, მინდა გითხრათ, რომ შექმნილია კათოლიკოს-პატრიარქის ფონდი და პირველი საკითხი, რომელსაც ჩვენ ყურადღება დავუთმეთ, - არის ნარკომანიასთან ბრძოლა. ეს იმისათვის აღვნიშნე, რომ ყველამ გაიგოს - ნარკომანია არის სირცხვილი, ეს არის სულმოკლეობა. ზოგიერთი ფიქრობს: ერთხელ გავსინჯავ ე.წ. "წამალს" და მერე აღარ მივეკარები. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასინჯოთ ეს, რადგან იგი არის საწამლავი. ეს არის ისეთი გზა, როცა ადამიანი თავისი ნებით შედის ბოროტი ძალის გამგებლობის ქვეშ და ბოროტი ძალა ამოქმედებს მას.

კიდევ ძალიან ბევრი სათქმელი მაქვს და მომავალში, ალბათ, კვლავ შევხვდებით და საუბარიც გვექნება.

თქვენ იცით, წირვა-ლოცვას, ძირითადად, სამების ტაძარში ვატარებ. მინდა გითხრათ, რომ წმინდა სამების ტაძარი - ეს არის დიდება ღვთისა და დიდება ქართველი კაცისა. მე არაერთხელ მითქვამს, რომ ამ ტაძრის აშენებით ქართველმა ერმა შექმნა თავისი ავტოპორტრეტი. საერთოდ, ყოველი ადამიანი, როდესაც რაღაცას აკეთებს, ამით საკუთარ ავტოპორტრეტს ქმნის და შინაგანად როგორი სულიც გააჩნია ადამიანს, ისეთია მისი ნაშრომიც. და აი, ამ გაჭირვების დროს ქართველმა ერმა ეს ბრწყინვალე ტაძარი ააშენა და მადლობა და დიდება ღმერთს ამისათვის!

ღმერთმა დალოცვილი და გახარებული გამყოფოთ!

ჩვენთან არს ღმერთი!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II სიტყვა წარმოთქმული ნარკომანიის პრობლემისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე

საპატრიარქო რეზიდენცია,
8 მარტი 2005 წ.

„ჩვენ ვუთანაგრძნობთ ამ სენით დაავადებულებს. ვუთანაგრძნობთ იმიტომ, რომ გვესმის, რამდენად მძიმეა ეს ავადმყოფობა, მაგრამ ჩვენ არასდროს შევურიგდებით იმათ, ვინც ვაჭრობს ამ საშინელი საწამლავით!..“

ბატონებო და ქალბატონებო,

ყველას მოგესალმებით, მოხარული ვარ, რომ დღეს გვაქვს შეხვედრა მასმედიის წარმომადგენლებთან.

ბევრი რამ კეთდება დღეს საქართველოს, ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ, თუმცა იმედი მაქვს, მომავალში ცხოვრების უკეთესი პირობები ექნება ჩვენს ხალხს, ჩვენ ყველანი ბედნიერნი ვართ, რომ საქართველო არის თავისუფალი, მაგრამ პრობლემებიც მრავლად გვაქვს. ამიტომაც რეალურად უნდა შევხედოთ ჩვენს ცხოლვრებას და დავინახოთ ჩვენი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

პრობლემათა შორის, უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ მილიონზე მეტი ქართველი გავიდა უცხოეთში, მრავალი სახის საშიში სენია მოსახ-ლეობაში, გახშირებულია ქურდობა, მკვლელობა, ღალატი... მაგრამ ამ უარყოფით მოვლენათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ნარკომანიას. ნარკომანია, მართალია, მსოფლიო სენია, მაგრამ ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ და ამიტომ განსაკუთრებით დიდ საშიშროებას წარმოადგენს იგი ჩვენთვის.

ამ სენით დაავადებულები არიან ჩვენი შვილები, ბევრ შემთხვევაში ისინი არიან განათლებული, ნიჭიერი ადამიანები და ფაქტიურად, ჩვენ მათ ვკარგავთ, მინდა ვთქვა, რომ, მართალია, ნარკომანია უმძიესი სენია, მაგრამ იგი იკურნება და მრავალი შემთხვევაა, როცა ეკლესიაში მოსული ადამიანი სრულად გათავისუფლდა ამ სენისაგან.

მახსენდება ჩემი ვიზიტი აშშ-ში, ჩიკაგოში მოგვიწყვეს დიდი შეხვედრა და იქ იყო ახალგაზრდების ყოფილი ნარკომანების ერთი ჯგუფი, რომლის წევრებიც დადიოდნენ მთელს ქვეყანაში, აშშ-ში და ეძებენ გამოსწორების მსურველ ნარკომანებს, შემდეგ მიჰყავთ ისინი სპეიალურ კლინიკაში და ეკლესიაში და უად-ვილებენ მათ ამ სენისაგან გათავისუფლებას. მართლათ, კარგი შედეგები ჰქონდათ. ჩვენთანაც არის ასეთი არა ერთი შემთხვევა.

მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ვუთანაგრძნობთ ამ სენით დაავადებულებს. ვუთანაგრძნობთ იმიტომ, რომ გვესმის, რამდენად მძიმეა ეს ავადმყოფობა, მაგრამ ჩვენ არასდროს შევურიგდებით იმათ, ვინც ვაჭრობს ამ საშინელი საწამლავით! ისინი ხომ ამით ჭამენ პურს, მინდა ვთქვა, რომ ეს არის სისხლიანი პური. არავის არ უნდა ჰქონდეს ასეთი პური, ასეთი პური არ უნდა შევიდეს ოჯახში, იმიტომ რომ ღვთისა და ერის წინაშე უდიდესი დანაშაულის ფასადაა იგი მოპოვებული.

იმედი მაქვს, რომ ბოლოსდაბოლოს ისინი გაიგებენ, თუ რას ნიშნავს ნარკოტიკებით ვაჭრობა. ეს არის საშინელი ცოდვა და ეს ცოდვა ედება არა მარტო მათ, ვინც ამას აკეთებს, არამედ მათ შვიოლებსა და მთელ ოჯახს.

მე განსაკუთრებით მინდა მივმართო ფსიქოლოგიის ინსტიტუტს, ფსიქოლოგებს. მინდა მივმართო მასმედიას, ჩვენს ტელევიზიას, ჩვენს ხელისუფლებას. ჩვენ უნდა გავერთიანდეთ ამ ბრძოლაში. მე მესმის, რომ ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი ხელისუფლება ბევრს აკეთებს ამის აღმოფხვრისათვის, მაგრამ ალბათ, მთელი ერის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასწავლებლებს, სკოლებს, იმ ბავშვებსა და ახალგაზრდებს, რომლებიც არ არიან დაავადებულნი ამ სენით. უნდა გამოვიყენოთ

დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია. ჩვენი ბავშვები, ჩვენი ახალგაზრდები უნდა განვაწყოთ იმისათვის, რომ ეს საშინელი საწამლავი და ნარკოტიკი არ გამოიყენონ. ნარკომანია არის რეალობიდან გასვლა, უფრო სწორედ, ეს არის მცდელობა რეალური ცხოვრებიდან გაქცევისა, მე ვიცი, ზოგიერთს ვაჟკაცობადაც მიაჩნია და ამაყობს კიდეც, რომ ის იკეთებს ან ღებულობს ნარკოტიკს.

მე მინდა ვთქვა, რომ ეს ვაჟკაცობა კი არა, ლაჩრობა, სულმდაბლობაა, სულით ძლიერი ადამიანი რეალურად უნდა ხედავდეს იმ პრობლემებს, რომელიც დგას როგორც ერის, ისე პირადად მის წინაშე და კი არ უნდა გაექცეს მას, არამედ უნდა მოიკრიბოს სულიერი და ფიზიკური ძალა და წინააღმდეგობა გაუწიოს მას, იმ შემთხვევაში, როცა ადამიანი ღებულობს ნარკოტიკს, იგი გაურბის პრობლემებს. ამასთან, ოჯახი კარგავს თავის წევრს, და არა მარტო ოჯახი, მთელი სახელმწიფო კარგავს პიროვნებას, რადგან ის აღარ არის სრულყოფილი წევრი ჩვენი საზოგადოებისა.

იმედი გვაქვსბ რომ მრავალი დაგვიბრუნდება და გაგვითავისუფლდება ამ სენისაგან, უპირველეს ყოვლისა, ადამიანს უნდა ჰქონდეს სურვილი გათავისუფლებისა, ადამიანს უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ის აუცილებლად გაიმარჯვებს. რა თქმა უნდა, სარწმუნოება, ეკლესიაც ყველაფრით შეუწყობს ხელს და დაგვიბრუნდებიან ჩვენი შვილები.

პირველი ნაბიჯი, რომელიც გადადგა კათოლიკოს-პატრიარქის ფონდმა, იქნება ბრძოლა ისეთ საშინელ სენთან, როგორიც არის ნარკომანია, გმადლობთ აქ მობრძანებისთვის, მადლობას ვუხდი ფონდის საბჭოს წევრებს მობრძანებისთვის და იმედი მაქვს, რომ მოგვაწვდით თქვენს აზრებს.

როცა წმიდანთა ცხოვრებას ვკითხულობთ, ხშირად წერია, რომ ესა თუ ის წმიდანი დაიბადა და გაიზარდა კეთილმორწმუნე ოჯახში და მისი მშობლები წმიდად და პატიოსნად ცხოვრობდნენ. და ის მადლი, რომელსაც მშობელი ღვთის წინაშე ჰპოვებს, მათ შვილებსაც გზას უხსნის, როცა ადამიანი სცოდავს, მას უნდა ახსოვდეს, რომ ეს ცოდვა მას მოეკითხება, ხოლო მის შვილებსა და შვილთაშვილებს ცხოვრების გზაზე განსაცდელს მოუვლენს. ეს უნდა ახსოვდეს ყველას!

თქვენი ყურადღება ამ საკითხზე იმიტომ გავამახვილე, რომ მინდა აღმზრდელობით პრობლემებზე გესაუბროთ. სამწუხარო ფაქტია, რომ დღეს ჩვნ ვერ ვზრდით ჩვენს შვილებს ისე, როგორც უნდა აღვზარდოთ. შევხედოთ ჩვენს ზოგიერთ სატელევიზიო გადაცემას; რას სწავლობენ ჩვენი შვილები?! როგორ იზრდებიან, რას აკეთებენ, ეს საცოდავი, გაშიშვლებული ახალგაზრდები?! მშობლები კი უყურებენ მათ და კმაყოფილი არიან იმით, რომ მათი ქალიშვილების სიშიშვლე ვიღაცას მოსწონს!

პატრიარქი და ბავშვები



უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II

საკვირაო ქადაგება

სიონის საკათედრო ტაძარი, 10 დეკემბერი

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა!

ჩვენთან არს ღმერთი!

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ, გაგაძლიეროთ, ღმერთმა დალოცოს, გააძლიეროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო. ამინ.

დღეს ვლოცავთ კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის 155-ე სკოლის მოსწავლეებს, პედაგოგიურ კოლექტივს, სკოლის დირექტორს - სარდიონ შაბათავას.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რამდენად დიდი პასუხისმგებლობაა ბავშვების აღზრდა, ისინი ხომ ჩვენი მომავალია. ჩვენ უნდა აღვზარდოთ საქართველოსთვის თავდადებული, მორწმუნე და პატრიოტი ახალგაზრდობა. ამასთან დაკავშირებით, საზოგადოების წინაშე დგება ერთი პრობლემა, როგორც დავუკავშიროთ ერთმანეთს სკოლა, ოჯახი და ეკლესია, აუცილებელია სამივეს ერთადმყოფობა, რადგან მხოლოდ ამ შემ-თხვევაში მიიღწევა შედეგი. მე მინდა ჩვენ მასწავლებლებს ვთხოვო, რომ განსაკუთ-რებული ყურადღება მიაქციოს ბავშვთა სული-ერი აღზრდის საკითხს. გარდა იმ ცოდნისა, რომელსაც თქვენ სკოლაში აძლევთ, უნდა ასწავლოთ მათ რწმენა, სიყვარული, პატიება, ცოდვათა შენდობა, სასოება, ანუ იმედი. არასდროს უნდა დავუკარგოთ ბავშვებს იმედი, რადგან როდესაც ადამიანი სასოწარკვეთი-ლებაში იმყოფება - უდიდეს ცოდვაში ვარდება.

ღმერთმა დალოცოს 155-ე სკოლა, მისი დირექტორი, მასწავლებლები, მოსწავლეები და მომსახურე პერსონალი. იმედი მაქვს, რომ ეს სკოლა ღირსეულ მამულიშვილებს აღზრდის.

ჩვენთან არს ღმერთი!

ნიშნად ჩვენი ლოცვა-კურთხევისა. მინდა გადმოგცეთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელის ხატი, ასევ კეთილი სურვილები და რეკომენდაციები, რომლებსაც, ტრადიციულად, სკოლებს გადავცემთ ხოლმე. ამის გარდა, იმ სკოლების დირექტორებს და მასწავლებლებს, რომლებსაც ვლოცავთ, მუდამ ვთხოვთ, რომ მოსწავლეებს ორიანი არ დაუწერონ. ბავშვებმა ეს უნდა შეახსენოთ ხოლმე მათ.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და ბედნიერი შობა-ახალ-წელიწადი გაგითენოთ!

შეგახსენებთ, რომ მომავალ ოთხშაბათს არის დიდი დღესასწაული - ხსენება დიდისა მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა და წმიდისა მეფისა ვახტანგ გორგასალისა.

თქვენ იცით, რომ მოციქული ანდრია პირველ-წოდებული საქართველოში ქადაგებდა. სი იყო ერთ-ერთი პირველი მისიონერი ჩვენს ქვეყანაში. ქართველმა სამღვდელოებამ და მორწმუნეებმა 6 თვის განმავლობაში ლოცვითა და მოღვაწეობით განვლეს გზა წმიდისა მოციქულისა ანდრია პირველ-წოდებულისა. ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა სოფლებსა და ქალაქებში ტარდებოდა წირვა-ლოცვები, სრულდებოდა ნათლობები.

წმიდა ანდრია პირველწოდებულის და ჩვენი დიდი მეფის ვახტანგ გორგასალის ლოცვა გეწეოდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს.

პატრიარქი და მსოფლიო

პატრიარქის, ყოვლადუწმინდესი ბართლომეოს I-ის სიტყვა საპატრიარქო რეზიდენციაში

12 ოქტომბერი 2007წ.

უნეტარესო საყვარელო ძმაო და თანამწირველო, მთავარეპისკოპოსო თბილისისა და კათოლიკოს-პატრიარქო სრულიად საქართველოისა, ბატონო ილია!

მართლმადიდებელი ეკლესიების უნეტარესნო და პატიოსანნო საჭეთმპყრობელნო და წარმომადგენელნო,

წმინდანო მღვდელმთავარნო, მაღალღირსნო ხელისუფლების წარმომადგენლებო, უფლის მიერ საყვარელნო შვილნო,

დიდია ჩვენი სიხარული, ვინაიდან თქვენთან ერთად ვიმყოფებით, უნეტარესო და უსაყვარლესო ძმაო, თქვენს სტუმართმოყვარე და ისტორიულ ქვეყანაში, საქართველოში, რომელთანაც ჩვენს კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოს მჭიდრო, საუკეთესო სულიერი და ამასთანავე კანონიკური ურთიერთობა აკავშირებს.

მადლობას მოგახსენებთ გულთბილი და საპატიო მიღებისათვის, რომელიც ძმური სიყვარულით და სიხარულით ავსებს ჩვენს გულებს. თქვენს სიყვარულს, უნეტარესო ძმაო, კავკასიონის მედგარი მთებიდან მონაბერ 'მსუბუქ სიოსავით" ვგრძნობთ და ჩვენს სულებში ისეთ გრძნობას ბადებს: 'ვითარცა ცვარმა გარდამომავალმა მიერ მთასა ზედა სიონსა, მუნ ამცნო უფალმან კურთხევაი უკუნისამდე (ფსალ.132.3.)

თავი მოვიყარეთ დღეს აქ, რათა ერთად აღვნიშნოთ საქართველოს უწმინდესი ეკლესიისათვის მეტად მნიშვნელოვანი თარიღი, მცხეთის ჯვრის მონასტრის აღშენებიდან 1400 წლისთავი. სწორედ მცხეთაში მიიღო წმინდა ნათლობა ქართველმა ხალხმა IV საუკუნეში და მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღს შეუერთდა. ამასთან ერთად ვზეიმობთ თქვენი უნეტარესობის, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი და ავტოკეფალური ეკლესიის ტახტზე აღსაყდრებიდან 30 წლისთავს, ანთებული კანდელივით რომ უნათებს თქვენს მორწმუნე ხალხს მთელი ამ ხნის განმავლობაში.

წყაროდან ნათლის მიმღებელმა განმაახლებელი და მოციქულებრივი ტვირთი იტვირთეთ. ღვთაებრივი სიბრძნით განანათლეთ 70 წლის განმავლობაში ათეისტურ და ავტორიტარულ რეჟიმში მცხოვრები ხალხი. რეჟიმი ებრძოდა ეკლესიას, მას უფლებები შეუზღუდა და ამიტომ უფალმა გაანადგურა ათეისტური სახელმწიფო.

თქვენ ისეთ მდგომარეობას გაუძელით, რომ ჩვენ, ვისაც ის უშუალოდ არ განგვიცდია, მისი აღქმაც კი არ ძალგვიძს. მაგრამ, ამავე დროს, თქვენ გადმოგეცათ სამწყსო, მოწყურებული ღვთისა და ღვთაებრივის სიყვარულს, და მიუხედავად მრავალი განსაცდელისა, მარადიული ცხოვრებისაკენ მიუძღვებით მათ. ეკლესიის წინააღმდეგ გაჩაღებულმა ბრძოლამ, მიუხედავად იმისა, რომ ხალხს მეტად უჭირდა, თქვენ დიდი გამოცდილება და თავგანწირვის გრძნობა შეგძინათ.

გარდა ამისა, ისინი, ვინც იმ პერიოდში ქრისტეს ერთგულნი დარჩნენ, მისი ჭეშმარიტი მიმდევრები მზად იყვნენ თავი გაეწირათ მისთვის.

ვიდრე ამ დიდ განსაცდელს გადაიტანდა მრავალტანჯული ქართველი ხალხი, თავს გამანდგურებელი ომი დაატყდა, რომელმაც დააბრკოლა მისი წინსვლა. ერთი სიტყვით, თქვენს უნეტარესობას დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა, განსაცდელისაგან და ომისაგან წელში გაწყვე-

ტილი ხალხი სულიერად უნდა გაეძლიერებინა.

განუსაზღვრელი სიხარულითა და დიდი კმაყოფილებით თვალს ვადევნებთ თქვენი უნეტარესობის ენერგიულ და აღმშენებლობით მოღვაწეობას, რის შედეგადაც საქართველოს ისტორიული და მოძმე ეკლესია კვლავ თავის ძველ დიდებას იბრუნებს, კვლავ მშვიდობიანი და სტაბილური გზით მართლმადიდებლობის წიაღში ცოცხლობს, მის ძველ საეკლესიო ტრადიციას უბრუნებდა.

მოხარულნი ვართ, აღორძინების სულს რომ ვგრძნობთ, ეს არის სული ნუგეშისმცემელი უფლისა ჩვენისა, რომელიც მსჭვალავს მოციქულთა ოფლით გაჟღენთილ და მოწამეთა სისხლით განბანილ ამ ქვეყანას. ეკლესიის ეს აღორძინება, მისი წინსვლა არ მოხდებოდა, თუკი 1977 წელს საპატრიარქო ტახტზე ესოდენ ღირსეული პიროვნება არ აღსაყდრდებოდა. არ იქნებოდა წინსვლა, თუკი ამ ქვეყანას არ ეყოლებოდა ესოდენ ზნეობრივი, მშრომელი, შორსმჭვრეტელი, სიბრძნითა და მოთმინებით მმართველი პატრიარქი, რომელიც თავის ხალხს მეორე სულიერი დაბადებით მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში და მის ძიებაში დააბრუნებდა.

ვიცით, ამ საქები სიტყვებით უხერხულობას განიცდით, მაგრამ თქვენო უნეტარესობავ, ჩვენც, ვითარცა მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის უპირველესი ტახტის წარმომადგენელს, ვალდებულება გვაკისრია, რომ ჯეროვნად შევაფასოთ თქვენი ღვაწლი და პატივი მივაგოთ; მადლიერების გრძნობით განვიმსჭვალოთ, რადგანაც თქვენ, თქვენი ფასდაუდებელი ღვაწლით ამას იმსახურებთ.

გარდა ამისა, ჩვენ რომც გავჩუმდეთ 'ქვანი იღაღადებენ" (19,40). უბრწყინვალესი, ნატიფი, აურაცხელი რაოდენობის ტაძართა ლოდები არ დამალავენ თქვენი უნეტარესობის დიდ ღვაწლს ეკლესიის აღორძინების საქმეში.

დანგრეული და მიწასთან გასწორებული შენობების აღდგენა, ქართული სეკლესიო ხელოვნების განახლება ტრადიციის ფარგლებში, ქადაგება და ხალხის მართლმადიდებელი წიაღისკენ გაძღოლა, წმინდა ნათლისღების მეშვეობით ურიცხვი რაოდენობის ხალხის ეკლესიის წიაღში შეყვანა, სასულიერო სასწავლებლებისა და კატეხიზური სკოლების დაარსება, ახალგაზრდა და განსწავლულ სამღვდელო პირთა მომრავლება, საეკლესიო ცხოვრების წესის ფართოდ დანერგვა, მონასტრების განახლება, საქველმოქმედო და საზოგადო მოღვაწეობა, ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია იმ უთვალავ საქმეთა შორის, რაც თქვენი პატრიარქობის დროს გაკეთდა.

შეუძლებელია, არ აღინიშნოს აგრეთვე თქვენი ღვაწლი ქართული საეკლესიო საგალობლების აღორძინების საქმეში, მეცნიერთა და ხელოვნების მუშაკთა წარმომადგენლების ეკლესიასთან დაახლოვებაში, საუკეთესო და მჭიდრო კავშირი ხელისუფლებასთან, და საეკლესიო ხელოვნების განსაკუთრებულ აღორძინებაში, რომელიც უკვე გამოსცემს ბრწყინვალე ნაყოფს და თქვენი ხალხის თავისთავადი შემობრუნების უეჭველ დასტურს წარმოადგენს.

საქართველოს ეკლესიის ამ მიმართულებას, მშვიდობიანად რომ მიაბიჯებს სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან ერთად, ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, არსებული ერთსულოვნება და თანამშრომლობა ამ კურთხეული ქვეყნის ისტორიას ეფუძნება.

იბერიის ისტორიის შორეულ წარსულში, მისი მეზობელი ქვეყნები, სპარსეთი და ბიზანტია, ერთმანეთს ეცილებოდნენ მისთვის.. ამ ბრძოლაში სპარსელებმა იარაღს მიანიჭეს უპირატესობა. მაგრამ, როგორც ამას ბიზანტიის ისტორიის საუკეთესო მცოდნე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ალექსიძე აღნიშნავდა, 'ის სულიერი ურთიერთობები, რომლებიც ბიზანტიასა და კავკასიას შორის განვითარდა, ბევრად უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე სპარსული იარაღი".

მართლმადიდებელი საქართველოს კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან კავშირი, რაც ბიზანტიური სულისა და კულტურის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს, კონსტანტინე დიდის ეპოქას უკავშირდება. კონსტანტინე დიდმა ხომ წვლილი შეიტანა ამ ქვეყნის გაქრისტიანებაში.

საეკლესიო ურთიერთობების გარდა მჭიდრო იყო პოლიტიკური ურთიერთობებიც; ბიზანტიელი იმპერატორები ცდილობდნენ დაეცვათ იბერია სპარსელთა შემოტევებისაგან. იმპერატორმა ჰერაკლემ თქვენი ქვეყანა კვლავ დამოუკიდებელი გახადა. ქართველი მეფებიც კი ბიზანტიის იმპერიის უერთგულესი მეგობრები და თანამებრძოლები იყვნენ ბოლომდე, მის დაცემამდე.

კონსტანტინეპოლი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში განათლებისა და კულტურის მსოფლიო ცენტრს წარმოადგენდა, დიდ გავლენას ახდენდა მართლმადიდებელ საქართველოზე. სამეფო ოჯახებიდან აქ განათლების მისაღებად, მეფე – ქალაქში იგზავნებოდნენ მეფეთა შვილები, რომლებიც უკან ბერძნულ განათლებასა და ბიზანტიურ კულტურას ნაზიარებნი ბრუნდებოდნენ. ბევრი მათგანი ბიზანტიაში დარჩა და მის სამსახურში ჩადგა. მათ შორის არაერთი სახელგანთქმული პოლიტიკური თუ სულიერი მოღვაწეა ცნობილი. აქ შეგიძლია დავასახელოთ განთქმული იოანე, თორნიკე, დავით კუროპალატი, გრიგოლ ბაკურიანის ძე და კიდევ მრავალი სხვა.

ქართველთა ამაღორძინებელმა, მეფე თამარმა შეიფარა და მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია თავის ნათესავებს, ტრაპიზონის იმპერიის დამაარსებელს ალექსისა და დავითს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბიზანტიისა და საქართველოს ისტორიაში დედოფალ მართა–მარიამის პიროვნება, რომელიც იყო ასული ქართველი მეფის ბაგრატ IV–ისა და მეუღლე ბიზანტიის იმპერატორის მიქაელ VII დუკასი. იგი საქართველოს ისტორიის მძიმე პერიოდებში ქართველი ხალხისათვის 'იმედად და სინათლის სხივად" მოჩანდა. თბილისში., ხელოვნების მუზეუმში დაცულ ხახულის ტრიპტიქოზე მისი გამოსახულებაა დაცული, ხოლო ამ რამდენიმე წლის წინ კი თრაკიაში, პაპიკიონის მონასტერში მისი საფლავი და ბეჭედი აღმოჩნდა. ყოველივე ზემოთქმული სამუდამოდ დარჩება როგორც ბიზანტიური და ქართული კულტურის სიმჭიდროვის დამადასტურებელი, იბერიული და ბიზანტიის მემკვიდრე ხალხთა საუკუნეობრივი და ისტორიული ძეგლი, ორივე ხალხის საერთო ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა.

მორწმუნე ქართველ ხალხს დღესაც იმედითა და სიყვარულით სავსე მზერა აქვს მიპყრობილი კონსტანტინეპოლისაკენ, იმისათვის, რომ კვლავ დაუკავშირდეს მართლმადიდებლობის ამ უძველეს ცენტრს, რომ კვლავ განაახლოს ურთიერთობები იმ სულიერებისა და კულტურის ტრადიციასთან, რომლის მემკვიდრეც ის არის და მიიღოს ძალა და იმედი მისი ურცხვი და დიდი წმინდანებისაგან, როგორიცაა: წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, იოანე ოქროპირი, იოანე მმარხველი, გერმანიოსი, ნიფონი, წმინდა დიდ მოწამე ეფემია, ღირსი თეოდორე სტუდიელი, ქრისტესმიერ სალოსი წმინდა ანდრია და მრავალი სხვანი.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი ვიზიტი განამტკიცებს ამ მრავალსაუკუნოვან სულიერ ურთიერთობებს, რომლებიც კონსტანტინეპოლის დიდ და დედაეკლესიას აკავშირებს მის ასულთან, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან. და ხელს უწყობს ამ ურთიერთობათა კიდევ უფრო გაფართოებას.

თქვენო უნეტარესობავ, ვუსურვებთ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, რომ ღმერთმა დიდხანს უცოცხლოს თქვენი თავი, მოგანიჭოთ ჯანმრთელობა, რათა სახარებისეული სიტყვის მართლკვეთის მეშვეობით, გაგეგრძელებინოთ თქვენი მისია, ხოლო თქვენი საყვარელი სამწყსო დღითი-დღე კიდევ უფრო გააძლიეროს.

კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა. უფალმა თავისი მადლიანი ხელი დაასხას და დალოცოს თქვენს მიერ დაგეგმილი სადღესასწაულო ღონისძიებები, რათა მათ ისეთი ნაყოფი გამოიღოთ, რომელიც მისივე სახელის სადიდებელი იქნება.

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის

ქადაგება

სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე

სვეტიცხოველი საპატრიარქო ტაძარი,
14 ოქტომბერი, 2007 წელი.

„გთხოვთ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, დალოცოთ საქართველო და მისი საზღვრები და ქართველი ხალხი!"

ყოვლად უწმინდესო ბართლომეოს I!

მთავარეპისკოპოსო კონსტანტინეპოლისა და ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქო, თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენო უნეტარესობავ, მთავარეპისკოპოსო კვიპროსისა ქრიზოსტომოს, თქვენო უწმინდესობავ, ჩეხეთისა და სლოვაკიის მიტროპოლიტო ქრისტეფორე, ქრისტეს მიერ საყვარელო ძმანო და დანო!

უპირველეს ყოვლისა, გულითადად მოგესალმებით საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის სახელით, რომელსაც ჰყავს მრავალი ათასობით წმინდა მოწამე, ღირსი მამა და მღვდელმოწამე. მახსენდება მისი უნეტარესობის, ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპისა და პატრიარქის, უნეტარესი ნიკოლოზის ვიზიტი

საქართველოში. ეს ვიზიტი შედგა ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის პერიოდში, როდესაც ჩვენი ქვეყანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა. ჩვენ იგი დარიელის ხეობაში ჩავიყვანეთ, სადაც საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის გადის და ვთხოვე, – დაელოცა საქართველოს საზღვრები, რათა უფალს განემტკიცებინა საქართველო. მან დალოცა ჩვენი ქვეყანა და ბრძანა, რომ საქართველოს ჰყავს იმდენი წმინდა მოწამე, იმდენი მღვდელმთავარი და ღირსი მამა, ეს ზეციური მხედრიონი არ დაუშვებს, რომ დაირღვეს საზღვრები საქართველოსი.

და აი, დღეს გთხოვთ, თქვენო ყოვლად-უწმინდესობავ, დალოცეთ საქართველო, მისი საზღვრები და ქართველი ხალხი.

ჩვენი წინაპრები ასე ლოცავდნენ: „იხარეთ ორთავ სოფელსა შინა.“ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ერი ერთია, ჩვენშია ძალა და სული და გენები ჩვენი დიდი მეფეებისა – ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარის, არჩილის, ლუარსაბის და სხვების. მათი ლოცვა შეგვეწიოს ჩვენ და საქართველო აუცილებლად დაძლევს იმ სიძნელეებს, რომელიც დგას დღეს ჩვენ წინაშე.

მისი ყოვლადუწმინდესობის ყურადღება განსაკუთრებულად მინდა იმ პრობლემებზე მივაქციო, რომელიც დღეს საქართველოს წინაშე მწვავედ დგას – ეს არის აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. აფხაზეთის ტრაგედია – ესაა ღია ჭრილობა საქართველოს სხეულზე და ნურავის ეგონება, რომ დრო გავა და იარებიც მოშუშდება. საქართველო განიკურნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთი კვლავ იქნება მის შემადგენლობაში. ქართველი ხალხი არასდროს შეურიგდება იმას, რომ საქართველოს ჩამოაშორონ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. არაერთხელ მითქვამს, რომ თუ გარეშე ძალების მხრიდან ამგვარი მცდელობა იქნება, – ის სიძულვილი და მტრობა, რომელსაც ისინი სთესდნენ, – უკვე ხალხში გადავა და ეს არ უნდა დავუშვათ.

მინდა გითხრათ, რომ ეს 30 წელი, რომელიც საქართველომ განვლო, მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. საქართველოს ეკლესია მუდამ უჩვენებდა გზას ერს. მართლმადიდებელი სარწმუნოება მუდამ იყო და იქნება ჩვენი ერისა და ჩვენი სულიერების განმამტკიცებელი, შემაერთებელი, შემდუღებელი. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ ეს ერთობა არ იყოს დარღვეული. ამ 30 წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ მე არ შემიძლია ვთქვა, რომ ეს ჩემი გაკეთებულია. მახსენდება სიტყვები წმინდისა მეფისა დავით წინასწარმეტყველისა: „უფალი მეფობს.“ როდესაც მეფე დავითს ხალხი აქებდა და ამბობდა, რომ მან გაამთლიანა ისრაელი,-მეფემ გააჩუმა ისინი და უთხრა: „უფალი მეფობს!“

უფალი მეფობს, უფალი ქმნის, უფალი ამთლიანებს, ხოლო ბოროტი ძალა ანაწევრებს..

იმედი მაქვს, რომ ურთიერთობა საქართველოსა და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდება და ჩვენ მივიღებთ ახალ სულიერ ძალას.

მინდა მადლობა მოვახსენო მის ყოვლადუწმინდესობას ჩამობრძანებისათვის. თქვენს ვიზიტს საქართველოში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

თქვენმა ვიზიტმა და თქვენმა პიროვნებამ მოგვანიჭა დიდი სულიერი ძალა შემდგომი მოღვაწეობისათვის.

ასევე მადლობას მოვახსენებ კვიპროსის მთავარეპისკოპოსს, უნეტარეს ქრიზოსტომოსს, ჩეხეთისა და სლოვაკიის მიტროპოლიტს, უწმინდეს ქრისტეფორეს, უკრაინის მიტროპოლიტს, უწმინდეს ვლადიმერს და სხვა ეკლესიების დელეგატებს. თქვენი ლოცვა აღევლინა დღეს მიწიდან ზეცას. დღეს ჩვენ შევასრულეთ საღმრთო ლიტურგია იმ ტაძარში, სადაც არის დაკრძალული კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ხალენი წმინდა ელია წინასწარმეტყველისა. აქ არის დაკრძალული მრავალი წმინდა მეფე და პატრიარქი – კათოლიკოსი ანტონ I, მეფე ერეკლე II და უკანასკნელი მეფე გიორგი XII. ეს არის უდიდესი და უწმინდესი ადგილი, სადაც ძველად ხდებოდა კურთხევა მეფეთა და პატრიარქთა. ჩვენი წინაპრების ლოცვა-კურთხევა შეგეწიოთ თქვენ და მთელ საქართველოს. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება და ძლიერი იყოს თქვენი ლოცვა. ispola eti despota!

ნიშნად დიდი პატივისცემისა და სიყვარულისა, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, მინდა გადმოგცეთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ვისურვებდი, რომ იყოს მფარველი პირადად თქვენი და კონსტანტინეპოლის ეკლესიისა.

ღმერთმა დაგლოცოთ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას ამ დიდებულ დღესასწაულს – სვეტიცხოვლობას. მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღვთისა და მამისა და ზიარება სულისა წმინდისა იყავნ თქვენ ყოველთა თანა და მსოფლიოსა ზედა, ამინ.

ჩვენთან არს ღმერთი.

მისი ყოვლადუწმინდესობის მსოფლიო პატრიაქის ბართლომეოსის სიტყვა წარმოთქმული საზეიმო სხდომის დროს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში

15 ოქტომბერი, 2007წ.

უნეტარესო მთავარეპისკოპოსო მცხეთა-თბილისისა და კათოლიკოს-პატრიარქო სრულიად საქართველოისა, უფალო ილია,

ქრისტეს მიერ საყვარელო ძმაო,

მოზეიმო ძმანო მღვდელმთავარნო.

მაღალღირსნო და პატივცემულო ხელისუფლების წარმომადგენელნო,

უფლის მიერ საყვარელნო შვილნო,!

კვლავ დიდ მადლობას აღვავლენთ წმინდა სამების მიმართ, რომელმაც თავისი გამოუთქმელი მოწყალებითა და დაუცხრომელი მზრუნველობით, საშუალება მოგვცა, ისევ ჩამოვსულიყავით ამ ამაყ, დიდებულ და სახელგანთქმულ ქვეყანაში, და მის ეკლესიასთან ჩვენი უწყვეტი და ძმური კავშირი დაგვედასტურებინა.

თქვენო უნეტარესობავ, ძმებო და დებო, ჩვენო შვილებო, ჩამოვედით თქვენთან სამეუფეო ქალაქიდან არა უპირატესობის წარმოსაჩენად, არამედ იმისათვის, რომ ჩამოგვეტანა საუკუნეობრივი სული დიდი ეკლესიისა, და, რათა თავმდაბლობითა და, ამავე დროს, ქრისტესმიერი სიქადულით გვექადაგა სიტყვა ჯვარცმული და აღდგომილი უფლისა, რომელიც თავისი უხვი წყალობის მომადლებით, ამკობს და ცხოველი ძალით განახლებს მრავალტანჯულ ეკლესიასა და ჩვენს სარწმუნოებას.

პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში ხაზგასმით გვასწავლის: ‘ რომელნი სულითა ღმრთისათა ვლენან, ესენი არიან ძენი ღმრთისანი“ (რომ. 8,14). ჩვენი სიხარული გამოიწვია იმაში დარწმუნებამ, რომ ‘მადლითა ღმრთისათა იქცევით სოფელსა შინა“ (II კორ. 1,12), რამეთუ სულიწმიდიდან გარდამომავალი მადლის უხვი ნაკადით ირწყვება და ცხოველდება არსება თქვენი, და განცხადებულად ჩანს, რომ ‘არა ამაოდ მადლი იგი ღმრთისა შეიწყნაროთ თქვენ“ (II კორ. 6,1), არამედ ვითარცა დაწინდვა მომავალი ზეციური მეუფებისა.

ჩამოვედით თქვენთან, საყვარელნო, რათა თქვენთან ერთად ვიზეიმოთ 1400 წლისთავი თქვენი ხალხის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიწმინდისა, ისტორიული და დიდებული ჯვრის მონასტრისა, რომელიც თავად უფლის კურთხევითა და ანგელოსთა მითითებით, მცხეთასთან ახლოს მდებარე ბორცვზე აშენდა. გვინდა, პატივი მივაგოთ იმ ხალხს, რომელმაც ძალიან ადრე ისწავლა სიყვარული, თავგანწირვა და გაღება. ეს ყველაფერი არაჩვეულებრივადაა წარმოჩენილი ქართველთა სათაყვანებელი პოეტის, შოთა რუსთაველის ‘ვეფხისტყაოსანში“ მისი უკვდავი სიტყვებით: ‘რასაცა გასცემ, შენია, რაც არა — დაკარგულია“. გვინდა, პატივი მივაგოთ ხალხს, რომელიც, თუკი საბერძნეთის ეროვნული გმირის მაკრიანის სიტყვას მოვიხმობთ, მრავალგზის ჯიჯგნა მტერმა, მაგრამ მისგან მუდამ რჩებოდა ის ‘საფუარი“, ის რჩეული ‘ცომი“, რომლის შესახებაც სახარება გვიამბობს (მთ. 13,33).

ამასთანავე, გვინდა, პატივი მივაგოთ ხალხს, რომელმაც მიიღო, მაგრამ, ამავე დროს, ბევრი რამ მისცა კონსტანტინეპოლის დედა ეკლესიას და რომელთანაც, კონსტანტინე დიდის ეპოქიდან მოყოლებული, მრავალსაუკუნოვანი და შეუწყვეტელი ისტორიული ურთიერთობა აკავშირებს.

უსათუოდ უნდა აღნიშნოს ისიც, რომ თქვენმა წინაპრებმა სარწმუნოებას ათასობით თავდადებული მოწამე შესძინეს, რომელთაც თავიანთი სისხლით დაიცვეს მართლმადიდებელი რწმენა,

ისევე, როგორც თბილისი – ასიათასმა მოწამემ.

ქართველი ხალხი სულიერ საზრდოს იღებდა სამეუფეო ქალაქიდან, რომელსაც მჭიდროდ დაუკავშირდა, აწ უკვე ბიზანტიის ისტორიის კუთვნილებად ქცეული, წარუშლელი სახეების მეშვეობით, როგორიცაა: დავით კურაპალატი, თორნიკე ერისთავი, დიდი დომესტიკოსი გრიგოლ ბაკურიანის ძე, კეთილმორწმუნე დედოფალი მარიამი – საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის ასული და იმპერატორ მიქაელ დუკას მეუღლე.

დღემდე ამ საერთო კულტურულ მემკვიდრეობას ეფუძნება ჩვენი ორი ეკლესიის, კონსტანტინეპოლის დედა-ეკლესიისა და მისი ასულის, იბერიის ეკლესიის კავშირი.

გარდა ამისა, ქართველმა ხალხმა მსოფლიო ცივილიზაციას მისცა ნამდვილი შედევრები, უნიკალური და დიდებული ძეგლები, როგორიცაა სახელგანთქმული ხახულის მონასტრის ტრიპტიქონი – ადამიანის ნებისყოფისა და მოთმინების განსაცვიფრებელი გამოვლინება. მსოფლიო მნიშვნელობის ეს შედევრები საუკუნეების განმავლობაში ადამიანთა აღტაცებას იწვევს, მიუხედავად მათი წარმომავლობისა და სარწმუნოებისა. ეროვნულ მუზეუმში დაცული თუ წმინდა ტაძრებში დაბრძანებული ხატები ქართველი ხალხის შინაგან კულტურას, კეთილშობილებასა და დახვეწილ გემოვნებას, პირველ ყოვლისა კი მის გრძნობათა სიფაქიზეს მოწმობს.

ვხარობთ გამოუთქმელი და კეთილი სიხარულით, რამეთუ ახლოდან დავინახეთ მადლი უფლისა, გარდამოსული მსხმოიარე ვენახსა ზედა საქართველოს ეკლესიისა. ვხარობთ, რამეთუ სიამოვნებით ვადევნებთ თვალს დედაქალაქის ეროვნულ თეატრში ხელოვნების მოყვარულთა ამ ღონისძიებას, სადაც ეკლესიის მესაჭის გამორჩეული და მძიმე ცხოვრების გზა ტკბილმოუბარი ქებითა და ანგელოსური მელოდიით ფასდება. ვხარობთ უთვალავი დიდებული ტაძრის მშენებლობის ხილვით, პატიოსანი მონასტრებიდან გამომავალი ასკეტური ცხოვრების ძლიერი მაჯისცემით; ვხარობთ ყოველივე იმით, რასაც თვალით ვხედავთ, გონებით ვწვდებით და ყურით ვისმენთ,; მთელი გულით გისურვებთ, რომ უფალმა ღმერთმა ჩვენმა სამარადისოდ დაგიცვათ მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში, რათა არ დაინთქათ ამქვეყნიური ცხოვრების ბობოქარი და შემმუსვრელი ზღვის ტალღებში.

საყვარელნო ძმანო და დანო, უფლის მიერ საყვარელნო შვილნო, ჩვენი მხრიდანაც მოგვაქვს სასიხარულო უწყება, რომ ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესია, – ეკლესია წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, მოწამეთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა იღვწის მზისქვეშეთის ყოველ კუთხეში; მისი ურყევი მისწრაფებაა: 'მოვედინ სუფევა შენი", ხოლო უფლისა ჩვენისა სანუკვარი სურვილის თანახმად, ცდილობს, ქრისტეს სამწყსოში შემოკრიბოს ყოველი პირმეტყველი ცხოვარი, რათა აღსრულდეს მცნება უფლისა ჩვენისა – „და იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს" (იოან.10,16).

ჩვენ არ გვემუქრება იმის საშიშროება, რომ ამქვეყნიურ ძალაუფლებად გადავიქცეთ. „ჩუენი მოქალაქობა ცათა შინა არს" (ფილიპ. 3,20), რამეთუ უფლის სხეულის ნაწილებს წარმოვადგენთ, ჩვენ არ ვცხოვრობთ უტოპიური აზრებით, არც რეალობას მოწყვეტილი შეხედულებებით, თითქოს დაპყრობილი გვქონდეს გული ყოველი ადამიანისა, მაგრამ საფუძვლიანი იმედი გვაქვს, რომ ეკლესიას, თავისი ძალისხმევით, შეუძლია გავლენა იქონიოს მთელს მსოფლიოზე, რადგანაც ის ფლობს იმ საფუარს, რომლითაც ძალუძს, მოზილოს და განაახლოს სამყარო. ჩვენ არ ვძალადობთ სინდისზე და არც იდეოლოგიურ ზეწოლას ვახდენთ. პირიქით, ვცდილობთ, მოვხსნათ ნებისმიერი მიჯაჭვულობა ამქვეყნიურობასთან და ხელი შევუწყოთ ღვთაებრივის უმაღლეს გამოვლინებასთან მიახლოებას; აზროვნების გაჯანსაღების მეშვეობით, სულიერებას ვძენთ ნებისმიერ სქოლასტიკურ აზრს, საამისოდ კი სიტყვასა და ფრთაშესხმულ ძალებს – ჭეშმარიტებას და სიყვარულს მოვუხმობთ. ახალი აღთქმის წიგნები, განსაკუთრებით კი 'მოციქულთა საქმე" – ეს საყოველთაო სახელმძღვანელო წიგნი, რომელიც მოგვითხრობს სასწაულს კანდაკის საჭურისის ეტლში (8,26), კორნილიოსისა და პეტრეს სიზმარს (10); წარმართთა მოციქულის, პავლეს მოქცევას ქრისტეს გამოცხადებით დამასკოს გზაზე (9), სადაც გაისმა ბრძანება უფლისა: 'ზე აქუნდეს სახელი ჩემი წინაშე ყოველთა წარმართთა, და მეფეთა და მთავართა, ძეთა ისრაელისათა" და პავლეს მტკიცე გადაწყვეტილებას – 'ამიერითგან წარმართთა მიმართ მივიდე", რომელიც საყვირის ნაღარასავით გაისმა მოციქულთა კრებაზე; ყოველივე ეს და კიდევ მრავალი სხვა, გვარწმუნებს და გვიბეჯითებს აზრს სახარებისეული ქადაგების ზოგადსაკაცობრიო განზომილების შესახებ.

გარდა ამისა, უპირველესად ყოვლისა, ყურად ვიღებთ, საყოველთაო მოძღვრებას უფლისა

ჩვენისა: ‘წავედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი“ (მთ. 18,19).

ერთი, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია არის ერთადერთი ამქვეყნიური რეალობა, რომელიც ღმერთკაცულ განზომილებას ქრისტეს სხეულად აღიარებს; მხოლოდ ესეც კი საკმარისია საიმისოდ, რომ ეკლესიამ წინააღმდეგობა გაუწიოს პიროვნების თავისუფლების შეზღუდვას თანამედროვე ტექნოლოგიის პირობებში; ფულის გაბატონებას და მისი მეშვეობით პიროვნების უმოწყალო დამცირებას; ომის გაჩაღებას; ხმა აიმაღლოს მატერიალური დოვლათის არაკეთილსინდისიერი და არათანასწორი განაწილებისა და შიმშილის წინააღმდეგ. ჩვენ კულტურათა განადგურებას კი არ ვცდილობთ, არამედ ყოველი პიროვნების გაკეთილშობილებას და ქრისტეს სხეულში მისი წარმოჩენისათვის ვიღწვით.

სიცრუის და ადამიანისათვის ღმრთივბოძებული კანონების შერყვნის პირობებში, არ არსებობს უფრო დიდი ჭეშმარიტება, ვიდრე სიყვარულია; აქედან გამომდინარე კი., არასოდეს, არანაირი გზით არ გამოვლენილა სიყვარული იმაზე აღმატებულად, ვიდრე დაცემული ადამიანისათვის განკაცებული ღმრთის ჭეშმარიტებასთან ზიარებაა, რის შედეგადაც ცხონება მიიღწევა.

მოკრძალებით გაუწყებთ ჩვენი მსახურების ძირითად მიმართულებებს და თქვენთან ერთად აღვასრულებთ და წარმოვაჩენთ ეკლესიის რეალობას, ვითარცა უფლის სხეულისას. ეს ასე იმიტომაა, რომ ყველა მორწმუნე, მიუხედავად იმ მანძილისა, რომელიც მათ ერთმანეთისაგან სხეულებრივად აშორებს, აზროვნებით ერთ მთლიანობას, ერთ სულიერ ოჯახს, ერთ განუყოფელ და შეკავშირებულ მეუფებას, ერთ სხეულს წარმოადგენს; ეს სხეული კი იესო ქრისტეა. პავლე მოციქული გვასწავლის: „თქვენ ხართ ხორცნი ქრისტესი და ასონი ასოთა მისთაგანი“ (I კორ. 12,27).

მართლმადიდებელი მორწმუნეები უფლის სხეულის ნაწილებს წარმოადგენენ და, მიმადლებული ნიჭის შესაბამისად, გარკვეული ადგილი უკავიათ მთლიანობაში. თავად უფალი არის საზოგადო სიცოცხლე და, ამასთანავე, მოწყალე შესაკრებელი, რომელიც თავის თავში ყოველ წევრს აერთიანებს; ამ სიმრავლისაგან კი ერთი, ღმერთკაცობრივი, ჰარმონიულად შეკავშირებული და ერთსულოვნებით მოძრავი ორგანიზმი ყალიბდება.

მოგმართავთ და გთხოვთ: გიყვარდეთ უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რამეთუ მან პირველმა შეგვიყვარა და გაითავისა ჩვენი მოკვდავი ბუნება, იმისათვის, რომ მისი

სხეულის ნაწილი გავმხდარიყავით და უკვდავებას ვზიარებოდით.

დარჩით ერთგულნი ჩვენი წმინდა მართლმადიდებელი დედა ეკლესიისა და სარწმუნოებისა, ანუ ქრისტესმიერი ერთი, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისა, რომელშიც, წილად გვხვდა ბედნიერება და დავიბადეთ; ლოცვასა თუ მონანიებით აღსარებებში ნუ დაივიწყებთ თქვენს სულიერ მეორედ შობას, მისი მეოხებით კი — ღმრთის მიერ შექმნილი ჩვენი ბუნების თავდაპირველ დანიშნულებას.

დარჩით გაერთიანებულნი, კეთილგანწყობილნი თქვენი მწყემსმთავრებისა და სულიერი მოძღვრების სწავლებათა მიმართ; პირველყოვლისა კი ოცდაათი წლის განმავლობაში ანთებულ ლამპრად დაღვენთილი და მბრწყინავი შუქის გამომანათებელი თქვენი უნეტარესი პატრიარქისა. შეისმინეთ სახარებისეული იგავი და ნუ გამოეკიდებით ცრუსა და წარმავალს, რომლებიც ხანმოკლე სიამოვნებას გვანიჭებენ, მაგრამ შემდეგ მარადიულ ტანჯვას გარდაგვცემენ. ილოცეთ ჩვენთვის და კონსტანტინეპოლის ეკლესიისათვის, რათა არა დაშტრდეს მტვირთველი ჯვარისა მოწამეობრივისა.

სიტყვის დასასრულს კი ვედრებით აღვაპყრობთ ხელებს უფლის მიმართ და მეგობარი იბერიის შვილთ,გრიგოლ ორბელიანის იმ სიტყვებით შევავედრებთ, რომლითაც მან თამარ მეფის ხატს მიმართა ბეთანიის მონასტერში:

„შენადვე, მეფევ, მოველ ვედრებით:
მოხედო ბედკრულს
შენს სატრფოს —მამულს,
და ჯვარით შენით აკურთხო კვალად.
შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი,
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის,
წმინდით საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათლებული!
ზნე ამაღლებით,
ძლევის დიდებით,
სამშობლოს მიწის სიყვარულითა!..
რომ განვიღვიძნეთ, სულით განვახლდეთ,
და განქრეს ბნელი უმეცრებისა!

ბუქარესტის მთავარეპისკოპოსის და რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქის, დანიელის მ ი ლ ო ც ვ ა

უდიდესი პატივისცემისა და უფლისმიერი ძმური სიყვარულით ვიზიარებთ თქვენი უწმინდესობის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავართა და მორწმუნე მრევლის უდიდეს სიხარულს ჯვრის მონასტრის 1400 და თქვენი უწმინდესობის აღსაყდრების 30 წლისთავთან დაკავშირებით.

წარსულში გადატანილი უმძიმესი განსაცდელის მიუხედავად, ჩვენმა ეკლესიებმა შეინარჩუნეს და განამტკიცეს ძმური კავშირი ჩვენს მღვდელმთავრებს, სამღვდელოებასა და მრევლს შორის და ამით მნიშვნელოვნად უერთგულეს იმ წმინდა მემკვიდრეობას, რომელიც ჯერ კიდევ რუმინული კულტურის დამაარსებელისა და ქრისტესათვის წამებული წმინდა მღვდელმთავრის, ანთიმოზ ივერიელის ეპოქიდან იღებს სათავეს. კურთხეული საქართველოდან მოვლენილმა წმინდა ანთიმოზმა მდიდარი მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რაც მოწმობს ვლახეთში მის მსახურებას, საიდანაც ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია მის მიერ დაარსებულ სტამბაში გამოცემული უამრავი წიგნი, გავრცელებული მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში. ბუქარესტში ანთიმოზმა დაარსა სამონასტრო კომპლექსი, რომელიც ანთიმოზ ივერიელის სახელს ატარებს. იგი „ყოველთა წმინდათა კვირას“ მიეძღვნა. მოგვიანებით რუმინეთის ეკლესიის წმინდათა რიცხვს წმინდა მღვდელმთავარი ანთიმოზ ივერიელიც შეუერთდა. 1996 წლის 27 სექტემბერს, სწორედ აქ, ამ მონასტერში, აკურთხა ერთ-ერთი ტაძარი თქვენმა უწმინდესობამ, ნეტარხსენებულ თეოქტისტესთან ერთად. ბუქარესტის წმინდა ანთიმოზის მონასტრის ბერები გულმოდგინედ ლოცულობენ ჯვრის მონასტრისათვის, რომელიც მცხეთაში, ერთ-ერთ ბორცვზე აიგო და სადაც წმინდა ნინო IV საუკუნეში ქრისტიანობას ქადაგებდა.

თქვენო უწმინდესობავ, ამ სადღესასწაულო დღეებში, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერება საქართველოს ეკლესიის ისტორიაში, ჩვენ ვთხოვეთ დასავლეთისა და სამხრეთ ევროპის რუმინული მართლმადიდებელი საყდრის მიტროპოლიტს, მაღალყოვლადუსამღვდელოეს იოსებს, გადმოეცა თქვენთვის ჩვენი უდიდესი მოწიწება, პატივისცემა და ძმური მოლოცვა ამ უმნიშვნელოვანეს თარიღებთან დაკავშირებით.

შევთხოვოთ ქრისტეს, ჩვენს უფალსა და მარადიულ მღვდელმთავარს, რომ მოგანიჭოთ ხანგრძლივი სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რათა მისი შემწეობით გაგრძელოთ საქართველოს წმინდა მართლმადიდებელ ეკლესიის წინამძღოლობა მართლმადიდებელ ეკლესიებთან თანაზიარებით.

თქვენი უწმინდესობის ქრისტესმიერი ძმა,
ბუქარესტის მთავარეპისკოპოსი და
რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის
პატრიარქი
დანიელი

აშშ-ს პრეზიდენტ ბუშის მ ი ლ ო ც ვ ა საქართველოს პატრიარქისადმი, გადმოცემული საქართველოში აშშ-ს ელჩის ჯ. ტეფტის მიერ

უწმინდესო და უნეტარესო მეუფეო, ჩვენთვის ძალიან დიდი პატივია, რომ მე ვესწრები ამ ღონისძიებას, რომელიც ეძღვნება ესოდენ მნიშვნელოვან დღესასწაულს. მე ჩემი სახელით და ასევე ჩვენი ამერიკელი და ქართველი თანამშრომლების სახელით გილოცავთ ამ დღესასწაულს.

მაგრამ მე ასევე მივიღე დეპეშა ვაშინგტონიდან, რომელიც მსურს, წაგიკითხოთ:

თეთრი სახლი, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი,
2007 წლის 15 ოქტომბერი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს

თქვენო უწმინდესობავ,

ამერიკელი ხალხის სახელით გულითადად გილოცავთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქად აღსაყდრების 30 წლისთავს. თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ ეკლესია აყვავდა. ვიცი, რაოდენ გაფასებთ ქართველი ხალხი თქვენ და ყველა თქვენს მიღწევას. გისურვებთ საუკეთესო ჯანმრთელობას და შემდგომ წარმატებას.

პატივისცემით,
ჯორჯ ბუში,
ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი

პატრიარქი და ფერეიდნელი ქართველები

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ქადაგება ნინოობის დღესასწაულზე

სიონის საკათედრო ტაძარი, 2001 წ. 1 ივნისი.

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა!

ჩვენთან არს ღმერთი!

წმიდა ნინოს ლოცვით ღმერთმა ინებოს თქვენი და საქართველოს მშვიდობა და სიცოცხლე, ყველას გილოცავთ ამ დიდებულ დღეს. თქვენ იცით, რომ ეს დღესასწაული დაკავშირებულია წმიდა ნინოს საქართველოში შემოსვლასთან, როცა წმიდა ნინო შემობრძანდა ჯავახეთში, ფარავნის ტბასთან შეხვდა მწყემსებს, რომელთაც ჰკითხა: „სად არის საქართველო? სად არის ის წმიდა მიწა, სადაც ბრძანდება კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი?“ წმინდა ნინო რჩეულთაგან რჩეულია, უფალი წმიდა მეფე დავით წინასწარმეტყველის პირით ამბობს: „აღვამაღლო რჩეული ერისაგან ჩემისა“ უფალმან აღამაღლა იგი, როგორც რჩეული. თქვენ იცით, რომ წმიდა ნინო კაბადოკიელია. დიდმა რწმენამ წამოიყვანა ის ამ შორული ქვეყნიდან საქართველოში, რათა სახარება ექადაგა. წინ მადლი უფლისა უძღოდა მას და ძალა უფლისა შეეწეოდა. მადლი მხოლოდ მორწმუნეთ და თავმდაბალთ ეძლევა, რამეთუ, თქვენ იცით ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო თავმდაბალთ მადლს მიანიჭებს, ამიტომ, რაც უფრო თავმდაბალია ადამიანი, მით უფრო მეტი მადლი ებოძება მას უფლისაგან. თავმდაბალი უნდა ვიყოთ ჩვენც და არა მხოლოდ უფროსებისა და მშობლების მიმართ, არამედ ყოველი ადამიანისადმი. უნდა გვახსოვდეს, რომ სხვებიც ისეთივე უკვდავი სულის მატარებელნი არიან, როგორც ჩვენ. ღვთის მადლი, ღვთის ძალა უძღოდა წინ წმიდა ნინოს, რამაც იგი მცხეთას მოიყვანა. უფლის შეწევნით, წმიდა ნინომ მეფე მირიანი, დედოფალი ნანა და სრულიად საქართველო მოაქცია. ეს იმას ნიშნავს, რომ მასში იყო დიდი მადლი და დიდი ძალა. ამ მადლით ცხოვრობდა და ცხოვრობს სრულიად საქართველო და ჩვენი ერი. ამ მადლმა ღვთისამან, რომელიც არის “უძლურთა მკურნალი და ნაკულელვანთა აღმავსებელი“, გადაარჩინა ქართველი ხალხი.

მინდა მოკლედ გიამბოთ ჩვენი ირანში ვიზიტის შესახებ, სადაც ირანის მთავრობის მიწვევით ვიმყოფებოდით. ეს გახლდათ ისტორიული ვიზიტი, რადგან ჯერ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ოფიციალურად არასოდეს ყოფილა ამ ქვეყანაში. თქვენ იცით, რომ საქართველოსა და ირანს შორის ყოველთვის ძალიან მჭიდრო ურთიერთობა იყო. თუმცა ძალიან ხშირად მტრული დამოკიდებულებაც გახლდათ. სპარსეთს მრავალგზის აოხრებია ჩვენი ქვეყანა, და იმ ქვეყანაში მრავალი ქართველი წმინდანია დაკრძალულია. სწორედ ჩვენი ირანში ყოფნის პერიოდს დაემთხვა სპარსეთში წამებულ ქართველ წმიდანთა ხსენების დღეც. ეს ნიშანი იყო იმისა, რომ ზეციური სამყარო და ჩვენ გავერთიანდით იქ ყოფნისას.

ირანში შეხვედრა გვქონდა ოფიციალურ პირებთან, შევხვდით აგრეთვე ირანის პრეზიდენტს და მათი ქვეყნის სულიერ წინამძღვარს. ირანი ისლამური სახელმწიფოა. ძალიან შეზღუდული და თავისებური, მაგალითად, ქალს არა აქვს უფლება, რომ ქუჩაში თავდაუბურავმა გაიაროს. თუკი ვინმე ამას გაბედავს, მას 60 როზგით სჯიან. აი, ასეთი მკაცრი კანონები აქვთ, ქალები, გოგონები და ბავშვები ყველანი შავებით არიან შემოსილნი, გეგონება, მთელი ქვეყანა მგლოვიარეო. ასეთია ისლამური კანონები.

ჩემთან ერთად ირანში ბრძანდებოდნენ ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი იობი, ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსი გერასიმე, მამა ზენონი, მამა ტარიელი, ჩვენი მგალობლები და მრავალი სხვა.

ფერეიდნელ ქართველებთან შეხვედრის დღე ისტორიული და განუმეორებელი გახლდათ. ეს იყო საოცრება. ის სიყვარული, ის ძველი ქართული ენა, რომელიც ჩვენ უკვე აღარ გვახსოვს, მათ შეინარჩუნეს, და რაც მთავარია, მათ აქვთ ისტორიული სამშობლოს ენით აღუწერელი სიყვარული; ხალხი იძახდა: “დაგვიკოცნეთ საქართველოს მიწა! ჩვენ აქ მარტონი ვართ, კიდევაც ჩამოდით!“ საოცარი იყო მათი გამომშვიდობება. ძალიან მომეწონა ძველი ქართული დალოცვა, რაც ჩვენ უკვე აღარ გვახსოვს, მათ კი შეინარჩუნეს: “ღმერთს ებარებოდე“ საოცარი სიტყვებია! აღვადგინოთ ეს ძველი ქართული დალოცვა, დაიმახსოვრეთ იგი და ასე დაემშვიდობეთ ხოლმე ერთმანეთს.

საოცარი სიყვარული გამოიჩინეს ფერეიდნელმა ქართველებმა. დიდმა თუ პატარამ, იქაური მოლა ქართველია გვარად იოსელიანი. მას ცოტა უჭირდა ქართული, სხვები შედარებით უკეთ ლაპარაკობდნენ. ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ შეიძლება ამ ხალხის გადარჩენა, სრულიად რომ არ მოსწყდნენ

ეროვნულ ფესვებს. მე მათ ვუთხარი: "ჩვენ სიყვარული ჩამოგიტანეთ საქართველოდან თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ მარტონი არა ხართ, მიტოვებულები არა ხართ. თქვენ გაქვთ სამშობლო, ულამაზესი საქართველო". ტაშის გრიალი იყო, ასე გამოხატავდნენ თავიანთ გრძნობებს როცა ვლაპარაკობდი, სულ ჰაეროვან კოცნას მიგზავნიდნენ, როცა ვთქვი - „მე ბევრი ვიფიქრე რა ჩამომეტანა თქვენთვის და ქართული მიწა ჩამოგიტანეთ-მეთქი" - მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. "ეს მიწა ჩვენს გმირებს უნდა დავაყაროთ" - ასე მითხრეს. მე ძალიან ბევრჯერ ვყოფილვარ უცხოეთში, შეხვედრებიც მქონია უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან, მაგრამ ამგვარი სიყვარული არცერთ ქვეყანაში არ მინახავს. ხშირად იმეორებდნენ: "დაგვიკოცნეთ ქართული მიწა". მე მოვუწოდე მათ, საქართველოში ხშირად ჩამოსულიყვნენ და ასევე ჩვენც ხშირად ვეწვეოდით. ერთმანეთს საოცარი სიყვარულით დავშორდით.

წმიდა ნინოს ლოცვით ღმერთმა დაიფაროს იქაური ქართველები.

კიდევ ერთხელ ყველას გილოცავთ წმიდა ნინოს დღესასწაულს. წმიდა ნინომ მოაქცია ჩვენი ქვეყანა და მომავალშიც კვლავ შეკრებს, გაამთლიანებს და მოაქცევს მას.

ჩვენთან არს ღმერთი!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ! თქვენთან ერთად ღმერთმა დალოცოს, გაამთლიანოს, შემოიკრიბოს და გაახაროს სრულიად საქართველო!

საქართველო-ირანი – ცივილიზაციათა დიალოგი

ირანის ისლამური რესპუბლიკის ისლუმარი და კულტურული კავშირების ორგანიზაციის მიწვევით, საქართველოს ღვთისმსახურთა დელეგაცია ეწვია თეირანს ოფიციალური ვიზიტით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მეთაურობით.

ქართული დელეგაციის ვიზიტი მიმდინარეობდა პროგრამის „ცივილიზაციაა შორის დიალოგი" ფარგლებში, რომელიც ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის მოჰამედ ჰატამის ინიციატივით მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვა

2001 წ. მაისი

საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და იგი ევროპისა და აზიის შესაყართან, შავი და კასპიის ზღვებს შორის, კავკასიის ქედის სამხრეთით მდებარეობს. ამ ტერიტორიაზე ადგილობრივმა ქართველურმა ტომებმა შექმნეს კულტურა, რომელიც ცნობილი იყო მთელს მაშინდელ წინა აზიასა და მის მიმდებარე რეგიონებში. ქართველთა დიდი გაერთიანებების - დიაოხისა და კოლხას სიძლიერის შესახებ ცნობებს ვხვდებით უძველეს აღმოსავლურ (ასურულ, ურარტულ) წყარეობში. შემდგომ ეტაპზე განსაკუთრებული გავლენით გამოირჩეოდა კოლხეთი და იბერია (ძვ. წ. აღ. VI-III საუკუნეები).

ჩვენს ქვეყანაზე ოდითგანვე გადიოდა სავაჭრო გზები, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს ჩინეთიდან და ინდოეთიდან ვიდრე რომამდე და ესპანეთამდე. ამიტომაც იყო, რომ თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ეს ტერიტორია ყოველთვის შედიოდა სხვა სახელმწიფოთა ინტერესების სფეროში და მისი დამორჩილების სურვილით აღძრულს მრავალგზის უცდია ბედი მომხდურს. ურარტუელთა, მიდიელთა, თურქ-სელჩუკთა, არაბთა, სპარსთა, მონღოლთა, ოსმალთა, რომაელთა, ბერძენთა, რუსთა ინტერესები ხშირად იკვეთებოდა გზათა ამ შესაყართან და იღვრებოდა ათასობით ქართველის სისხლი მამულის დასაცავად.

საქართველო, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი საოცრებაა იმ თვალსაზრისით, თუ როგორ გადაურჩა იგი ამდენ განსაცდელს და დღევანდლამდე მოიტანა თავისი მეობა, ეროვნულობა და თვითმყოფადობა. როგორ გაუძლო გარეშეთაგან სრულიად დაუცველმა ამ მცირერიცხოვანმა ერმა ჟამთა სიავეს?

რა თქმა უნდა, ღვთის წყალობით, რომლის ღირსიც ჩვენი ხალხი, მე ვფიქრობ, იმიტომ გახდა, რომ მისი გული სიყვარულის განსაკუთრებული უნარით, ვაჟკაცობის, ერთგულების, თავდადების, გულითადობის გრძნობით არის დაჯილდოებული.

ქართველს ყველაფერი საუკეთესო სხვისთვის, სტუმრისთვის, გარეშეთათვის ემეტება. "საუცხოო" - ე.ი. უცხოსათვის მისაცემი, ასე უწოდებს იგი ყველაზე ლამაზს, მშვენიერს, კარგს. ჩვენი ცხოვრების წესადაა ქცეული გამოთქმა: სტუმარი ღვთისაა, ვინც არ უნდა იყოს იგი: ქართველი თუ არაქართველი, ქრისტიანი თუ არაქრისტიანი, მტერი თუ მოყვარე, თუ ის სტუმარია, მისი პატივისცემა პიროვნების, ოჯახის, ერის ღირსებად ითვლება.

მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ მიუხედავად მოსახლეობის სიჭრელისა, საქართველოში არასოდეს ჰქონია ადგილი ეროვნული ან სარწმუნოებრივი ნიშნით დევნას; ამიტომაც არის, რომ აქ გვერდიგვერდ საუკუნეებია მშვიდობიანად მკვიდრობენ მუსლიმები, იუდეველები, ქრისტიანები და სხვა რელიგიების მიმდევარნი; მაშინაც კი, როდესაც მწვავდებოდა ურთიერთობა ამა თუ იმ სახელმწიფოსთან, საქართველოში მცხოვრები ამ ქვეყნის წარმომადგენლებისადმი დამოკიდებულება კვლავ შემწყნარებლური რჩებოდა, ურთიერთობის ეს წესი არ შეცვლილა ჩვენს თანამედროვე ყოფაშიც და იგი სულ ახლო წარსულში კიდევ ერთხელ დადასტურდა. მოყვასისადმი ასეთი დამოკიდებულება მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების დიდი პატივისცემიდან და სიყვარულიდან მომდინარეობს. ქართველმა კაცმა შეისისხლხორცა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს სიტყვები და ცხოვრებაში გაატარა მისი მცნებები:

"... შეიყუარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა" (მათ. 22, 37).

"... შეიყუარე მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი" (მათ. 22, 39).

"... მოიძიენ მშვიდობაი და მისდევდინ მას" (1 პეტრ. 3, 11),

ქრისტიანობას საქართველოში 2000 წლოვანი ისტორია აქვს. აქ პირველ საუკუნეში იქადაგეს მოციქულებმა: ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა, მატათამ, თადეოზმა, ბართლომემ. საქართველოშია დაკრძალული ძველი აღთქმის უდიდესი წინასწარმეტყველის, წმიდა ილია თეზბიტელის ხალენი და მთელი ქრისტიანული სამყაროს უდიდესი სიწმიდე, - კვართი მაცხოვრისა იესო ქრისტესი. სახელმწიფოებრივ რელიგიად მართლმადიდებლობა IV საუკუნის I ნახევარში გამოცხადდა, როდესაც ქვეყანას მართავდა ნათესავით სპარსი და სულით ქართველი მირიან მეფე. საქართველოს მოქცევა უკავშირდება კაბადოკიელი ქალწულის, მსოფლიოში ერთადერთი განმანათლებელი ქალის - წმიდა ნინოს სახელს.

ქრისტიანობასთან არის შესისხლხორცებული მთელი ქართული კულტურა. ქრისტიანობა განსაზღვრავდა და განსაზღვრავს ჩვენი ყოფის ყველა სფეროს. ქვეყანა, რომელსაც ომის ქარტეხილთაგან თითქმის არასდროს დაუსვენია, საუკუნეების მანძილზე მაინც ქმნიდა ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს. მსოფლიოში ცნობილია, ქართული ტიხრული მინანქარი, ჭედურობა, ხატწერა, ფრესკა, ხუროთმოძღვრება, გალობა, სიმღერა, ცეკვა, მსოფლიოში ცნობილია ოცსაუკუნოვანი ქართული მწერლობა, რომლის უძველესმა ნიმუშებმა V საუკუნიდან მოაღწია. ქართული დამწერლობა სამი სახისაა (რომელიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული), ქართული ანბანი მსოფლიოში ცნობილ 14 ანბანთაგან ერთ-ერთია.

ჩვენმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა - ავტოკეფალია V საუკუნიდან მოიპოვა და მართლმადიდებელ საპატრიარქოთა შორის დიპტიხში მისი ადგილი მეექვსით განისაზღვრა. XI საუკუნიდან ქვეყნის სულიერ საჭეთმპყრობელს კათოლიკოს-პატრიარქის უმაღლესი ტიტული აქვს მინიჭებული. მე ვარ 141-ე მეთაური საქართველოს ეკლესიისა.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ერი ყოველთვის შემწყნარებლობით გამოირჩეოდა. ამასთან, იგი ითავისებდა და საკუთარ პრიზმაში გარდატეხდა სხვადასხვა ქვეყნების კულტურულ მიღწევებს, თვით იმათთაც, რომელნიც ძალით იმორჩილებდნენ და ავიწროებდნენ ჩვენს ხალხს. საქართველოსთვის ერთნაირად საინტერესო იყო და არის აღმოსავლეთიც და დასავლეთიც, ჩრდილოეთიც და სამხრეთიც. ქართულადაა თარგმნილი როგორც ბიზანტიური, რუსული და ევროპული კულტურის, ასევე, არაბული, სპარსული, ინდური, ჩინური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები. როდესაც ვსაუბრობთ კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგზე, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი ნათელი და დიდი მაგალითია ამ ურთიერთკავშირისა.

ავიღოთ თუნდაც ირანისადმი დამოკიდებულება.

საქართველო-ირანის ურთიერთობის ფესვები ძველი წელთაღრიცხვის შორეული წარსულიდან იწყება. იმ უძველესი დროიდან XIX ს-მდე არ დამცხრალა დაპირისპირება ჩვენს ქვეყნებს შორის, ირანი იყო სახელმწიფო, რომელსაც ყოველთვის სურდა თავის მფლობელობაში ჰქონოდა ჩვენი მიწა-წყალი და ამ მიზნის მისაღწევად მკვეთრ ნაბიჯებს დგამდა, მიუხედავად ურიცხვი შემოსევისა, ქართველი ხალხი ბოლომდე არ გამტყდარა და მრავალგზის დარბეული და განადგურებული, ფენიქსივით აღმდგარი კვლა იწყებდა ბრძოლას დამოუკიდებ-ლობისათვის.

საოცარია, რომ მაშინაც კი, როდესაც ეს ორი სახელ-მწიფო სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყო დაპირისპირებული, ამ ქვეყნების შვილები პოულობდნენ ძალას და უნარს იმისას, რომ ამაღლებულიყვნენ თავიანთ გრძნობებზე, დაეფასებინათ და ერთმანეთისგან შეეთვისებინათ ის, რაც კარგი და მისაბაძი იყო მათ ყოფასა და კულტურაში. მაგალითად: XII-XVIII საუკუნეების საქართველო დიდი ინტერესით ეცნობოდა სპარსული პოეზიის შედევრებს, რომანტიკული და ჰეროიკული შინაარსის ნაწარმობებს. აქ სიამოვნებით კითხულობდნენ და სწავლობდნენ ფირდოუსის, რუდაქის, ომარ ხაიამის, ხაზეფის, ონსორის, გორგანის, ნიზამის, ჯალალ-ედ-დინრუმის და სხვათა ნაწერებს. არ შეიძლება არც იმის უარყოფა, რომ ქართველი მეფენი და დიდებულნი დიდი გავლენით სარგებლობდნენ ირანის შაჰის კარზე და მეტად ანგარიშგასაწევ პიროვნებებად ითვლებოდნენ. ირანის ცხოვრებაში უდიდესი კვალი დატოვეს წარმოშობით ქართველების: ალავერდ-ხანის, იმამყული-ხანის, იშთაჰა და ნიშათ გურჯების და სხვათა მოღვაწეობამ. ამიტომაც სამართლიანად წერს ჩვენი დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი: "თუ პოლიტიკური ცხოვრების სფეროში საქართველო მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა სხვადასხვა მუსულმანურ ქვეყნებთან, და მათ შორის, ირანთან, პოეზია და ხელოვნება ქმნიდა ქართულ-სპარსულ კულტურულ ერთობას და ღვარძლის ნაცვლად თესდა სიყვარულის თესლს".

სამწუხაროდ, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც სხვადასხვა ქვეყნებს შორის, თუნდაც, ყველაზე ფართომასშტაბიანი დაპირისპირება საფრთხეს ვერ უქმნიდა ზოგადად კაცობრიობას. დღეს ჩვენ ყველანი უკვე მომსწრენი ვართ იმისა, თუ როგორ იზრდება მსოფლიო კატასტროფის საშიშროება, როგორც ვრცელდება ბირთული, ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა მასობრივი განადგურების საშუალებანი, აქტიურდება ცენტრიდანული სეპარატისტული ჯგუფები. პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოღვაწენი, ეროვნული თუ საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ხშირად ვერ ეწინააღმდეგებიან მზარდ ძალადობას. "ცივი ომის" პერიოდი თითქოს წარსულს ჩაბარდა, მაგრამ "ცივი მშვიდობის" ჟამი ნამდვილად დგას, რომელიც განვითარებას საით ჰპოვებს, დარწმუნებით ვერავინ განსაზღვრავს.

"სამყარო საჭიროებს ახალ ეთიკას, - წერს ფრანგი მწერალი ფილიპ ოჟიე - როგორც ეს იყო ყოველთვის, როცა გვიახლოვდებოდა განსაცდელისა და უბედურების ჟამი. მას სჭირდება კეთილშობილი იდეალისტები და მსოფლიო მშვიდობის იდეის მხარდამჭერი ენერგიული, გონიერი მომხრეები, ადამიანები, რომელნიც შეძლებენ ურთიერთთანამშრომლობის გზების გამოძებნას, რომ პასუხი გაეცეს სამყაროს ახალ გამოწვევებს, სამყაროსი, რომლის უშიშროებაც დღეს უკვე მხოლოდ ურთიერთგაგებასა და ნდობას შეიძლება დაეფუძნოს".

სწორედ ამ მიზნით იყო, რომ 1995 წელს ჩვენი პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ-გიორგი შევარდნაძის და იუნესკოს გენერალური დირექტორის, ბატონ ფედერიკო მაიორის ინიციატივით საქართველოში ჩატარდა საერთაშორისო ფორუმი თემაზე: "სოლიდარობის მხარდაჭერისათვის, კულტურათა დიალოგისათვის, შეუწყნარებლობის საწინააღმდეგოდ", რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოში და ერთგვარ წინაპირობად იქცა ცივილიზაციათა დიალოგის დაწყების აუცილებლობის შესახებ ირანის პრეზიდენტის, ბატონ საიედ მუჰამედ ხათამის 1999 წლის იუნესკოში წამოყენებული ძალიან მნიშვნელოვანი წინადადებისა.

ის, რომ ირანის ინიციატივით მიმდინარე წელი მსოფლიო ცივილიზაციათა დიალოგის წლად იქნა აღიარებული, დიდ იმედს გვისახავს.

უდიდესი კულტურის ქვეყანა, ამავე დროს თავისი ტრადიციების აქტიური დამცველი, ზოგიერთისთვის შეუვალი, ნათლად აცნობიერებს, რომ კაცობრიობას არა აქვს სხვა გზა, თუ არა ურთიერთშემწყნარებლობისა და ურთიერთთანამშრომლობისა. ამით იგი მაგალითს აძლევს ყველას სწორი არჩევანის გასაკეთებლად.

დიახ, თანამედროვე მსოფლიო საზოგადოებამ უნდა აღიაროს აუცილებლობა იმისა, რომ ჩვენი განსხვა-ვებულობისა და აზრთა პლურალიზმის მიუხედავად უნდა ვისწავლოთ ურთიერთპატივისცემა და მშვიდობიანი თანაცხოვრება.

"ურთიერთგაგების სურვილი მოგვიწოდებს, უარვყოთ ძალისმიერი ლოგიკა, გონიერებისა და ლოგიკის ძალის სასარგებლოდ", - ბრძანა ფედერიკო მაიორმა 1995 წ. თბილისში.

ამიტომაც საზოგადოებისათვის, რომელიც მოწოდე-ბულია გადარჩენისათვის, დამახასიათებელი უნდა იყოს სამი აუცილებელი პირობა: შემწყნარებლობა, მრავალ-ფეროვნება, განვითარება.

"შემწყნარებლობა შეიძლება შევადაროთ ხიდს, რომელიც საშუალებას გვაძლევს გადავიდეთ ეჭვიანობის, სიძულვილის, დაპირისპირების და ძალადობის ნაპირიდან ურთიერთგაგების, მხარდაჭერის, შეთანხმებული მოქმედების და კეთილგანწყობის სანაპიროზე" (დოქტ. ჯონანა ლე მეტე დიდი ბრი-

ტანეთი, განათლების დარგში ნაციონალური ფონდის გამოკვლევების შემსწავლელი ცენტრი).

ამასთან, შემწყნარებლობა არ უნდა გულისხმობდეს მორალური და ეთიკური ნორმების დარღვევას, ამიტომაც იგი უნდა რეგულირდებოდეს კანონმდებლობითი მექანიზმებით, ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის მიერ სხვებზე თავისი ცხოვრების წესის, რელიგიური მრწამსის იძულებით თავს მოხვევა და მბრძანებლობა, დღეს უკვე ძალიან დიდი უარყოფითი შედეგის მომტანი იქნებოდა.

მრავალფეროვნება, მრავალსახოვნება სამყაროსი იყო და არის ერთადერთი პირობა კაცთა მოდგმის არსებობისა და წინსვლისა. ჩვენს დროში, როდესაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პიროვნებას, იზრდება ღირებულება ამა თუ იმ ერის ინდივიდუალობისა და თავისთავადობისა. ამავე დროს, კაცობრიობა უნდა შეეგუოს იმ საზღვრებში ცხოვრებას, რომელშიც იგი ამჟამად არის. ახალი ტერიტორიული დაყოფანი, ახალ კონფლიქტებთანაა დაკავშირებული, ხოლო ნებისმიერი ლოკალური დაპირისპირება შემდგომში შეიძლება გლობალური კატასტროფის სათავე გახდეს.

ზომიერების დაცვაა საჭირო რელიგიური თავისუფლების თვალსაზრისითაც. მიმაჩნია, რომ თავისუფლებით არ უნდა სარგებლობდნენ ის სექტები და რელიგიური მიმდინარეობები, რომელნიც საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას, საზოგადოებას, ქვეყანას.

"მე მჯერა მსოფლიოს მრავალფეროვანი კულტურული სამყაროს არსებობის აუცილებლობისა. მასში არ არიან დიდნი და მცირენი, უფროსები და უმცროსები, ძლიერნი და სუსტნი; მათ უნდა აერთიანებდეთ შემოქმედებითი შინაგანი კავშირი, რომელიც მოიცავს მსოფლიოს ყველა ხალხს". - ბრძანა კულტურათა შორის საერთაშორისო დიალოგის ფორუმზე საქართველოს პრეზიდენტმა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბოლო ერთი საუკუნის მანძილზე კაცობრიობამ გადადგა გრანდიოზული ნაბიჯები მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის მხრივ. ეს პროცესი კვლავაც გრძელდება და მსოფლიო საზოგადოება ახალ-ახალი საოცარი აღმოჩენების მომსწრე ისევ გახდება, მაგრამ საკითხავია, ისევ გახდება კი კაცობრიობა განვითარების ამ ეტაპზე გონიერების იმ სიმაღლეს, რომ წინასწარ განსაზღვროს თავისი მოქმედებების შედეგები და თავი შეიკავოს პოტენციურად საშიში ნაბიჯებისაგან?

მეტად დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ადამიანთა შინაგანი სულიერი წინსვლა საერთო ჯამში მკვეთრად ჩამორჩება სწრაფ ტექნიკურ განვითარებას და თუ არ აღდგება მათ შორის ბალანსი, ადამიანთა მოდგმა თავისივე გამოგონების მსხვერპლი გახდება.

უფალმა დღეს თითქოს დედამიწის მკვიდრთ მიანდო პლანეტის ბედი. სიცოცხლე და სიკვდილი, - ამ ორი მკვეთრად გამოკვეთილი რეალობის წინაშე აღმოვჩნდით ჩვენ III ათასწლეულის დასაწყისში.

რას ავირჩევთ? საით წავალთ?

მართალია, მართლმადიდებელი ეკლესიის ყოფა შორს არის საერთაშორისო პოლიტიკისაგან, მაგრამ მსოფლიოში შექმნილი სიტუაცია ბუნებრივად მოითხოვს, ჩვენი სიტყვა ვთქვათ ამ მიმართულებიაც. მდგომარეობა იმდენად ფეთქებადსაშიშია, რომ რელიგიური ლიდერებიც ვალდებულნი არიან მხარი დაუჭირონ მსოფლიოს უსაფრთხოების მექანიზმის შექმნის ინიციატივას, რაც რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს.

1. გაეროს გააქტიურება და გაფართოება ახალი სტრუქტურებით, სადაც გადამწყვეტი ხმის უფლებით ისარგებლებს ყველა მასში შემავალი დამოუკიდებელი სახელმწიფო.

2. ამჟამად არსებული ყველა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება და დაფიქსირება არსებული საზღვრებისა;

3. რეალური ნაბიჯების გადადგმა სახელმწიფოთა განიარაღების მიღწევისათვის;

4. საერთაშორისო სამხედრო ძალების შექმნა სახელმწიფოთა შორის მშვიდობის შესანარჩუნებლად.

რა თქმა უნდა, ბუნებრივია, იარსებებს განსხვავებული წინადადებები და შემოთავაზებანიც, მთავარია აღიარება იმისა, რომ, ისევე როგორც სამყაროს გადარჩენის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ცივილიზაციათა დიალოგი, ასევე მსოფლიო უსაფრთხოების ეფექტური მექანიზმის შექმნაც აუცილებელია.

მიმაჩნია, რომ სწორედ ცივილიზაციათა შორის დიალოგმა უნდა დაუდოს სათავე ყველასათვის მისაღები უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებას, ამიტომაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მის აღმატებულებას პატივცემულ აიათოლა ჰამენეის, ირანის სულიერ ლიდერს და მის აღმატებულებას, ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბატონ საიედ მუჰამედ ხათამს, კაცობ-რიობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამ უდიდესი წამოწყების შემოთავაზებისათვის.

გამოჩენილმა ინტელექტუალებმა და რელიგიურმა მოღვაწეებმა, ალბათ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით უნდა დააფიქსირონ თავიანთი პოზიციები. მართალია, მორალურ მოწოდებებს ფიზიკური, მატერიალური ძალა არა აქვთ, მაგრამ მათი მნიშვნელობა მაინც დიდია. იგი მსგავსია

საერთაშორისო სასამართლოსი, რომელსაც თუმცა არა აქვს დამსჯელი ფუნქცია, მაგრამ აქვს უფლება მხილებისა. ამ მხილებას კი ძალა რომ ჰქონდეს და ზემოთქმული ცარიელ სიტყვებად არ დარჩეს, ეს აზრები მასებმა უნდა გააცნობიერონ და მიიღონ.

ესა თუ ის წინადადება, როგორი მომხიბვლელიც არ უნდა იყოს იგი, თუ მყარ საფუძველს არ ეფუძნება, შედეგს არ მოიტანს. ამიტომაც თანდათან მსოფლიო აღიარებს რელიგიის აუცილებლობას და უკვე მიიჩნევენ, რომ XXI საუკუნე რელიგიური ნიშნით იქნება გამორჩეული. ამან შეიძლება მრავალი პრობლემა გადაჭრას, რადგან თუ ადამიანებს გავუღვივებთ ჭეშმარიტების ძიების სურვილს. თუ ვაზიარებთ ჭეშმარიტ მცნებებს და განვუმტკიცებთ ზნეობრივი ღირებულებების დაცვის სურვილს, ისინი თვითონ მივლენ ურთიერთგაგებისა და თანადგომის, მშვიდობის დაცვის აუცილებლობამდე.

მე ვფიქრობ ჩვენი ქვეყნების, – ირანისა და საქართველოს რელიგიური ლიდერები და სასულიერო მოღვაწენი, ჩვენი ხელისუფალნი და საზოგადოება მზად არიან, რათა მსოფლიოს ვუჩვენოთ, მაგალითი იმისა, რომ რელიგიური განსხვავებულობის და წარსულში დაპირისპირების მიუხედავად, შეგვწევს უნარი ურთიერთპატივისცემისა, უნარი მშვიდობიანი და მეგობრული თანაარსებობისა.

ჩვენ ყველანი ჩვენი წარსულიდან მოვდივართ, ამიტომაც ჩემი სიტყვა XI საუკუნის ირანელი ბრძენის, ქეიქაუსისა და XII საუკუნის ქართველი გენიალური პოეტის, შოთა რუსთაველის სიტყვებით მინდა დავამთავრო:

„თუ გსურს იყო გონიერი, სხვის სარკეში ჩაიხედე, ანუ სხვისი თვალებით შეხედე საკუთარ თავს“ („ყაბუს-ნამე“).

„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“...

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ („ვეფხისტყაოსანი“).

უცხოელები ჩვენს პატრიარქზე

მამა ბესარიონი, ათონის მთის ზოგრაფის მონასტრის წინამძღვარი:

უწმინდესმა ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. ათონზე სტუმრობისას მე იგი არ მინახავს. მსმენოდა, რომ ქართველებს განსაკუთრებული პატრიარქი ჰყავდათ, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა; ეს საოცარი სულიერების მქონე ბერია, სწორედ ისეთი, რომლებიც ძველ ათონზე მოღვაწეობდნენ; მის შესახებ ბევრი წავიკითხე წიგნში, რომელიც სქემარქიმანდრიტ ვიტალის ცხოვრებაზე მოგვითხრობს ... წავიკითხე აგრეთვე 2004 წლის სააღდგომო ეპისტოლე და დავინახეთ, რომ ეს მართლაც წმინდა ადამიანი; ასსეტ ადამიანებს პატივი უნდა მოვაგოთ და თაყვანი ვცეთ, რადგან მათზე ძალიან ბევრია დამოკიდებული, ისინი გვიჩვენებენ სწორ მართლმადიდებლურ გზას.

მამა ამბროსი, ათონის მთის ზოგრაფის მონასტრის წინამძღვარი:

ვფიქრობთ, რომ უწმინდესისა და უნეტარ-ესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II სახით ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს მამასთან გვაქვს საქმე; ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ გახლავთ; როდესაც იგი ათონის მთაზე ჩამობძანდა, თვით უდიდესი მამებიც კი გაოცებულნი იყვნენ მისი სიბრძნითა და სულიერებით. ბედნიერია ქვეყანა, რომელსაც ასეთი მწყემსმთავარი ჰყავს. მე მჯერა, რომ ივერია გაბრწყინდება.

მამა კალინიკე, ივერონის მონასტრის ყოფილი წინამძღვარი, მღვდელმონაზონი:

საქართველოს ეკლესიას გამორჩეული მწყემსმთავარი ჰყავს და თავმდაბალი და მოღვაწე მღვდელთმთავრები. მე საქართველოს პატრიარქი გავიცანი ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი ეპისკოპოსი იყო, კუნძულ როდოსზე, მართლმადიდებელთა სინოდზე. იგი გამორჩეულად თავმდაბალი ადამიანია, ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულით აღსავსე. მთელი გულით უყვარს თავისი სამწყსო და ეწირება მას. ჩვენი დელეგაციის ყველა წევრმა დაინახა, რომ ხალხს გულწრფელად უყვარს თავისი პატიარქი.

სოფელ ლეტოვოს მთავარანგელოზ მიქაელის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი დიმიტრი კუვერტალოვი (რუსეთი):

,,უწმინდესი ილია საოცრებაა . . . მის მხრებზე დგას მთელი საქართველოს ეკლ-ესია... მარტო ის რად ღირს, რომ მან ეს თუნდაც მცირე -15-20 წუთი ჩვენთვის ჰამოძებნა, თანაც მაშინ, როდესაც შორ გზაზე მიდიოდა და ძალიან ეჩქარებოდა. . . ეს ჩვენთვის რვთის წყალობა იყო, ოღონდ რით დავიმსახურეთ, არ ვიცი . . . მასში იგრძნობა უნიკალური გონიერება, ისიც, თუ როგორ იცავს და ცვლის ადამიანს მადლი ღვთისა, მასში საერთოდ არ არსებობს ადამიანური სისუსტეები, იმდენად ნათელი და მოქნილი გონება აქვს, ყურადღებიანი მზერა, თუთოეულისათვის მოახერხა ყურადღების დათმობა, მოსიყვარულე სიტყვის თქმა. . . ჯგუფის თითოეულ წევრს მოეფერა უწმინდესი, ეს წარმოუდგენელია .... შთაბეჭდილება ენით აუწერელია ... ეს განსაკუთრებული უნარი და ნიჭია, რომ ყველასთვის შეძლო ყურადღების მიქცევა ... ეს არის ბრძენი და კეტილი მწყემსი ... სხვა სიტყვები არა მაქვს, სახარებისეულად კეთილი და ბრძენია ... ძალინ სულირეი ადამიანია, წარმოუდგენელად!"

ნიკოლოზ კასიანოვი (რუსეთი):

მე თქვენს უწმინდესს ადრეც შევხვედრივა ზოგორსკში, როდესაც იგი ჯერ კიდევ აფხა-ზეთის მიტოპოლიტი იყო; ჩვენ ვგალობდით, როდესაც იგი შემოვიდა, ჩუმად, უხმაუროდ მოვიდა გუნდთან, სწორედ ჩემს გვერდით დადგა და რიგითი მგალობელივით იგალობა ... თავზარდაცემული ვიყავი ... საოცარი მუსიკალურობის გარდა მისგან ისეთი საოცარი სულიერი სითბო მოდიოდა, რომ ტირილი მომინდა ... გალობის დასრულების შემდეგ მე მისგან კურთხევა ვითხოვე და მთელი ამ წლების მანძილზე ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მან ჩემი შინაგანი განწყობა იგრძნო ... სულ მალე იგი პატრიარქი გახდა ..."

დეკანოზი ჰერნიკ პაპროცკი (პოლონეთი):

,,უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II პირველად 1995 წელს შევხვდი, როდესაც საქართველოში წმინდა მღვდელმოწამე გრი-გოლ ფერაძის შესახებ ფილმის გადას-აღებად ჩამოვედი;

უწმინდესი ილია საოცარი ადამიანია; ხშირად მასთან ურთიერთობისა თუ საუბ-რისას მიგრძვნია, რომ ეს არ არის უბრალოდ ადამიანი, იგი ზეციური სტუმარია დედამი-წაზე ... ბედნიერი ერია, რომელსაც ასეთი მწყემსმთავარი ჰყავს, რამეთუ მას გადაშენება არ უწერია..."

მღვდელმონაზონი ნიკანორი, ათონის მთის ქილანდარის (სერბული) მონასტრის ანტიპროსოპი:

,,საქართველოში პირველად ვარ და მან ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ უწმინდესი ილიას სახით მე ძველი დროის ბერი ვიხილე ... იგი ძალზე უყვართ საქართველოში და განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ, მაგრამ მაინც მგონია, რომ ქართველებმა კიდევ არ იციან, რა არამი-წიერი ღვტიური წყალობა მოუმადლებია მათთვის უფალს... ამით კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თქვენ რჩეული ერი ხართ..."

დეკანოზი ანდრია კოტრუცა:

„ადრე მხოლოდ გაგონილი მქონდა, რომ საქართველოს ჰყავს პატრიარქი. ახლა წილად მერგო ბედნიერება, შევხვედროდი უნეტარეს პატრიარქ ილია. მისგან ისეთი გასაოცარი სითბო ვიგრძენი, რაც აქქმდე არასოდეს მინახავს. ამ შეხვედრის შემდეგ უკვე აღარ მიკვირს, რომ ქართველები ასეთი განსაკუთრებული ხალხი ხართ; უწმინდესი ილია თავისი სიყვარულით, რწმენით, ლოცვით ამას აფრქვევს თავის ხალხზე. მიუხედავად იმისა, რომ ის ჩქარობდა, შორ გზაზე მიდიოდა, არ გვიგრძვნია დროის სიმცირე, შეყოვნდა ჩვენს გამო, ყველას მოგვეფერა, განსაკუთრებული სითბო და დიყვარული გვიწილადა; ეს განსაკუთრე-ბული ადამიანია, არავის არ ჰგავს, ვისურბევდი, რომ მისი ხალხი ღრმადმორ-წმუნე იყოს, რომ ისინი შეგროვდნენ პატრიარქის გარშემო“.

ქრისტოს კანავასი, ბერძენი ლიტურგისტი:

„საქართველოში პირველად ჩამოვედი; ძალზე ბედნიერი დამადლობელი ვარ, რომ მისი ნუწმინდ-ესობის ლოცვა-კურთხევით შესაძლებლობა მომეცა, საკურთხეველში დავსწრებოდი წირვა-ლოცვას. მინდა გით-ხრათ, რომ ლიტურგიის ის უძველესი ტრად-იციები, რაც საუკუნეების წინ არსებობდა, მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებ-ლურ ეკლესიაშია შემორჩენილი; ეს მხოლოდ და მხოლოდ უწმინდესი ილიას დამსახურებაა... ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი პატრიარქი ჰყავს; თქვენ ბედნიერი თაობა ხართ, რომ მის დროს ცხოვრობთ და იცნობთ მას, კურთხევას იღებთ მისგან. ეს უდიდესი მადლია...“

„ის ჩემი პატრიარქიც არის“

„...Грузия будет жить. И мы, кто дружил и любил, будем дружить и любить. И поддерживать друг друга.
Не любящие, да не любимы будут. Никем.

Сегодня я, русский человек, — грузин. И горжусь этим“.

Юрий РОСТ
09.10.2006

„საქართველოს პატრიარქი, ილია II, რომელიც ჩემი პატრიარქიც გახდა. ის ჩემთვის უმაღლესი მორალური ავტორიტეტია, ღვთიური სიმშვიდით, კეთილგანწყობით, უშუალობით, სითბოთი, იუმორით სავსე“.

იური როსტი

იური როსტი და „ნოვაია გაზეტა“ ხშირად წერს საქართველოსა და ქართველებზე, გვანებივრებს თანადგომითა და სიყვარულით.

ამ გამოცემამ ამჯერადაც ერთ-ერთმა პირველმა მიულოცა საქართველოს პატრიარქს იუბილე: **„დედამიწის ღირსეულ მოქალაქეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს, ვუ-ლოცავთ დაბადებიდან 80 წლისთავს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მის ხალხს კი ბედნიერებას“.**

ის მწყემსია თავისი ხალხისა, მაგრამ, როცა არ მიჰყვებიან მათსავე გადასარ-ჩენად ნათქვამ უწმინდესის სიტყვას, თვითონაც რჩება ხალხთან, რათა მათი ბედი გაიზიაროს...“

...და ხალხმა განაგრძო სვლა მისკენ, რათა აღვსილიყო, გაჟღენთილიყო მისი სინათლით, მისი რწმენით, მისი სისუფთავით, მისი ჭკუით... ხალხმა განაგრძო მასთან ახალშეძენილი ჩვილების მი-ყვანა და ეუბნებოდა მას: მოგვინათლე შთამომავლობა და არ იყო უარი არავისთვის;

გამრავლდა ტაძრები და ეკლესია-მონასტრები, გამრავლდა მრევლი მისი პატრიარქობის ხანაში, გამრავლდა ხალხი, რომელსაც სწამს ღმერთი და ენდობა პატრიარქს – თავის ნათელ-მირონს, ნა-თესავს, მთელი ქვეყნის სულიერ მამას!

ყველაფერი კარგად იქნება

ნუ დაეცემი სულს ნუ იტანჯავ,
ტანჯვა ყოველთვის ფიქრით იწყება...
იფიქრე კარგი და დაინახავ,
რომ ყველაფერი კარგად იქნება.
როგორც ისწავლი სამყაროს ხედვას,
შენიც ცხოვრებაც ისე იქნება...
გულს ნუ გაიტეხ, გწამდეს უფლის
და ყველაფერი კარგად იქნება.
ტყუილ-უბრალოდ შიში და ღელვა,
განა ვერ ატყობ, რომ არ გიხდება...
ნუ შიშობ, უფლის იწამე მარად
და ყველაფერი კარგად იქნება!
როცა ვარდები დეპრესიაში
და შენი ტანჯვა ატყობ იწყება,
მაშინ მოუხმე თვით შთაგონებას –
თქვი: „ყველაფერი კარგად იქნება!"

რომც დაგარწმუნონ – შენ იღუპები,
შენი სიცოცხლის წუთი ითვლება, –
რწმენას მოუხმე და დაინახავ,
რომ ყველლაფერი კარგად იქნება!
როდესაც იმედს აზრი აღარ აქვს
და შენი გული ბოღმით ივსება,
ერთადერთია, რაც გადაგარჩენს –
თქვი: „ყველაფერი კარგად იქნება!"
თუ ცოდვები გაქვს, სულით დაეცი,
ღმერთი არ გტოვებს – შენსკენ იხრება,
ის მოწყალეა ყველა ცოდვილის
და ყველაფერი კარგად იქნება!
დიდი ნიჭია თავ შეკავება,
ნიჭით სიბნელე ნათლით იცვლება,
როცა ამ ნიჭს ფლობ, შენ უკვე იცი,
რომ ყველაფერი კარგად იქნება!

როცა ირწმუნებ სიტყვების ძალას,
და ეს სიტყვები შენთვის იფრქვევა,
სხვებს აუხსენი და შთააგონე,
რომ ყველაფერი კარგად იქნება!
„როდის იქნება? როგორ იქნება?" –
როცა კითხვები გულში ისმება,
ნუ უფიქრდები უაზრო სიტყვებს,
ღმერთის წყალობით
სულყველაფერი კარგად იქნება!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ილია II

წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის
სალიტერატურო ჟურნალი
„საქართველოს მოამბე“

მკითხველს ვთხოვთ, მოუფრთხილდეს ჟურნალს მასში გამოქვეყნებული მასალების გამო

ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა, არ ემთხვეოდეს რედაქციისას

ოპერატორი: ნორა თიგიშვილი

რედაქციის მისამართი: თელავი, კევლიშვილების ქ. №10

რეგისტრაციის № 34-4-114